

114
1969/3

1969 წლის 3-ე კვარტალი



მეცნიერება

698
114/3

5

1969

გნეთოგი

საქართველოს
საბჭოთა მწერალთა
კავშირი

ქვეყნალტვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუკნალი

წელიწადი 45-ე

№ 5

მაისი, 1969 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

10969

შ ი ნ ე ა რ ს ი

სიმონ მთვანე — გამომკვეყნებელი ლექსებიდან	3
ვანო უჩუხუხეღაშვილი — ფერიცვალთბა. რომანი. დასასრული	5
მახტან ჭავჭავაძე — ლექსები	31
ზორის ჩხეიძე — პირუტყვიანი მოთხრობა	34
გიორგი მირიანი — ლექსები	51
ირაკლიანე ქავთარაძე — გაფრინული ჩიტები	53

100 ვ. ი. ლენინი 100

ალექსანდრე ზახტაძე — ვ. ი. ლენინი კრულტურული ინტერნაციონალიზმის შესახებ	61
--	----

კრიტიკა და კუბლიცისტკა

ივანე ბერიტაშვილი — მისნიკობის საკითხისადმი მიმღვინი საკავშირო კონფერენციის შედეგები	70
ანდრე ჯუკაბაშვილი — კარგონოლოგიური კრულუმები ვაჟა-ფშავეღას შემოქმედებაში	77
იური სურგუძე — „ზრუნობა, კვირული ძღვეღაღაღაღა...“	88
გივი ვარდოსანიძე — კრიტიკული აზროვნების მაღალი დონისათვის	94
აკაკი თოჭურია — ... ღამ, ცისკარივით ანათებღეს	101
ღიმიტკი იმვაშვილი — კომედიის თანრობრივი საციციფიკის ჯოვირთი სა- კითხი	112
იოსებ ბერიტაშვილი — ფსევდონიმიებისა და კრიკტიკების ამონსენისათვის	121
სარგო თარნავა — ქართული საბჭოთა კრულა ფრანგულ ენაზე	126

11286



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მართლმსაწინაობის კანონები — ტრიუმფით მსოფლიოს გვიგზე



პასტორის ბუნიძე — ფრანგული ჩანაწერები

წიგნების მიმოხილვა

აბაგი შანიძე — მრულ საკაში ფანაშული	178
ბაძან ჯაფარიძე — ბრწყინვალე ვარსკვლავის მამიძეიანი	185
ვ. ითონიშვილი — კოლმეტრი ნაშრომი თუშეთის შესახებ	188



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მადრაძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლეზანიძე, ბ. შლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექნოლოგიური რ. ჩაყვტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

გადაეცა ასაწყობად 3/IV-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IV-69წ., ქალაქის ფორმატი 70x108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. უე 02168 ტირაჟი 11.000. შეჯ. № 1068

ბიბლიოგრაფია: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

საქ. კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



გამოუქვეყნებელი ღმერთი

ჯერ დიდი კალო არ მიღეწია,
არც დიდ მორევში მისვრია ბადე,
ორმოცდაათი წელი მეწვია
და მე მგონია მეწვია ადრე.

რას ვიფიქრებდი, აგრე ადრიან,
თუ ხუთჯერ ათი წელი მნახავდა,
თუმცა ჩემს სულში ქვეყნის მადლია,
მაინც ხორბალი ველარ დახვავდა.

არ მიმიღია არვის ნობათი,
არც სიყვარულის მცირე ბარათი,
მცირე დრო დამრჩა შემოდგომამდი
და აწ გამიხვებ საგზლის კალათი.

მოყვასის მიმართ დამჩემდა ხათრი,
უზმოზე ქართლის ნისლი ვიხვამე
და არ მეგონა ორმოცდაათი
წელი ამოვა ამ გრძელ კიბეზე.

ნუთუ, ვერ შევძლებ კიდევ ვირბინო,
მთებს ვერ დაეხედავ ღამის მთევარი,
ნუთუ, გაფრინდა თეთრი მიმინო,
და ვერ მოძებნის ჩემი მწვევარი.

ორმოცდაათი ფიქრი აფრინდა,
თუ დაარხიეს ტილის ქუდები,
ნუთუ, თვალები წლებმა დაბინდა
და სიტაბუკვე, ვერ მობრუნდები.

მე აგვისტოში რა დამასვენებს,
როგორ მიქრიან წელთა ტივები,

ნუთუ, მაისო, არ დამასველებს
შენი უხაბუნა ოქროს წვიმები.

ჩემი ჭალარა ნამით დაცვარე,
ლოყა მომადე ვარდზე სალუქი,
მამულში ნამგლის მოსმა მაცალე,
მერე მომთხოვე რთველში პასუხი.

თუ გაგონდება გვალვა მაშრობდა,
ვერ დავამძიმე საგზლით კალათი,
ორმოცდაათი წელი დამშორდა,
თუ შინ მეწვია ორმოცდაათი.

მე მეჩვენება ადრე მეწვია,
ვინ გამომიცხოს მოხუცს ნაზუქი,
ჩემი ცხოვრება ერთი ბეწვია,
მაინც გრძელა ჩემი პასუხი.

ძმები და წლები გავდნენ სუფრასთან,
ჩემს მოგონებებს, როგორც ტყუპები,
ორმოცდაათი წელი სუნთქავდა
და მე ვფიქრობდი სად ვიღუპები.

მე დიდი კალო ვერ მიღეწია,
ვერ გაუმართლე მშობელს იმედი,
რა დროს ორმოცდაათი წელია,
წელი ბევრია, ხვათი მცირედი.

დიდი ბედელი ვერ ავიშენე,
ვერ დავახვავე ძნები კალოზე,
ვის დავუძახო — მოდი, მიშველე,
თუ მოგეწონოს, ხვათი დალოცე.

ამდენი წელი როგორ გავეუშვი,
როგორც ნისლეები დამშრალ ჭაობის,
მაინც წილი მაქვს იმ სიყვარულში,
რაც კუთვნილია ჩემი თაობის.

ვერა ვერ გაეხსნი მე ძველ იარებს,
იარა ჩრის სულის ნაწილი,
დრო სივრცედ იქცა და მე ვიარე,
ვეო დაჯასრულე გრძელი მანძილი.

გზაზე მშობელი ბევრი ვეძიე,
თმაზე განვლილი ზამთრის ფითრია,
გზად ბევრ თაობას მე დავეწიე,
ამიტომ წლები არსად მითვლია.


დრო როგორც სივრცე მე გადავლახე,
გზაზე დავტოვე ბევრი უსტარი,
ყველა ოცნება ვერ ვაბალახე,
ყველა თაობას ვერ გავუსწარი.

დავხარჯე სიყრმის ძალიც და ღონეც,
უკვე მეღლება მგონი კუნთები,
გზას ვადგევარ და საგზალი მომცე,
წაგალ და მალე ვერ დაგბრუნდება.

თუ მართალი ვარ გზა დამილოცეთ,
ჩემთვის დახარჯეთ ეშხის მარილი,
მთების კალთებზე თქვენ დამიკოცნეთ,
ფუტკარის მთაფლავი ყველა ყვავილი.

არსად მჭერია პაბის ყანწები,
თმაზე ნოემბრის თხელი ჭირხლია,
მეც ხარი ვიყავ უღლის გამწვევი
და რჭა უღელზე ბევრჯერ მიხლია.

თუ შეიცვალა სულის სამანი,
ფიქრის დიდ გზაზე ერთი ბეწვია,
ხვეწი გამოინდა შარა სავალი,
მე კი სიბერე სახლში მეწვია.



ფერიხვალბა

603160

დღით სამსახურში მიმავალმა ელიზბარმა გაზეთები იყიდა. საღამოს გაზეთი გაშალა თუ არა, თვალში ეცა წერილის სათაური: „დავსაჯეთ დამნაშავენი, დავსახეთ ღონისძიებანი!“ წერილს მექანიკური საამქროს გამგე აწერდა ხელს.

„უაითუ, მეც ვარ დამნაშავედ გამოცხადებული?! რას იტყვიან სკოლისა და ინსტიტუტის ამხანაგები, პროფესორ-მასწავლებლები?“ — და თითქოს ვიღაცას ედავებო, გუნებაში წაილაპარაკა, სინამდვილეში ხომ მე არაფერ შეაში ვარ და, ალბათ, აქ ჩემზე სიტყვაც არ იქნება ნათქვამი.

ამ იმედით შეუდგა წერილის კითხვას. აბზაციც არ ჰქონდა ჩათვებული, რომ თვალი ბოლო წინადადებისაკენ გაექცა: „სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებებისათვის მექანიკური საამქროს წუნმდებელი ელიზბარ საბაშვილი სამსახურიდან განთავისუფლებულია!“ მთელი სხეული აუძაგძაგდა, თვალთ დაუბნელდა, ძლივსლა ამოისუნთქა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, რაღა პირით შევხედო ირმას, რითიღა გავიმართლო თავიო?!
ორი დღის წინ არ იყო, რომ ეტრაბა-

ხებოდა, ჩემი მუშაობით ყველა კმაყოფილია, აი, ნახავ, თუ არ დამაწინაურონო.

ასე უფრო იმიტომ ეუბნებოდა, რომ იცოდა ირმას პატივმოყვარეობის ამბავი. ცოლი ხომ სულ იმას ნატრობდა, როდის იქნება ისე დაწინაურდე, რომ მეც შემეძლოს სხვა ქალებივით ქმრით ვიამაყო. აი, ესეც დაწინაურება! ორა თვის წინ სწორედ ამ გაზეთის რედაქციას გაუგზავნა ლექსები, ცისმარე დღე, დილაადრიან ყიდულობდა გაზეთს. ეგონა, უსათუოდ დაბეჭდავდნენ. ესეც შენი ლექსების დაბეჭდვა!

საამქროს ეზოში შესვლისას, ყარაული ჩვეულებისამებრ თავის დაკვრით მიესალმა.

„ალბათ ამან ჭერ არ იცის!“ გაიფიქრა ელიზბარმა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ეზოში მყოფ მუშებსაც საეჭვო არაფერი გამოუმედავნიბათ. ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ, მოიკითხეს. არაფერი უკითხავთ და, როცა საამქროს გამგის კაბინეტისაკენ გაემართა, არც თვალი გაუყოლებიათ.

ჩანს, არც იმათ იციან! იქნებ არც არის განთავისუფლებული? გაზეთში შეცდომა მოუვიდათ, საყვედურის გამოცხადების მაგივრად დაწერეს, განთავისუფლებულია.

ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცდა, როცა განცხადებების დაფას ჩაუარა გვერდით. დაფაზე არავითარი ბრძანება არ იყო გამოკრული. ამან კი გამბედაობა შემატა და თამამად შევიდა საამქროს გამგის კაბინეტში.

იგი რაღაც ბარათს კითხულობდა გატაცებით. სტუმარი რომ დაინახა, თვალი აარიდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ელიზბარს და გულში გაკრა, ერიპა, საქმე ვერ არის კარგადო.

— რაზე გარჯილობარ? — შეეკითხა საამქროს გამგე, როცა ბარათი ჩაათავა.

ელიზბარმა გაზეთი გაშალა, საამქროს გამგეს მაგიდაზე დაუდო და წერილი უჩვენა:

— ეს მართალია?

საამქროს გამგეს გაზეთისთვის არც დაუხედავს, ისე უბასუხა:

— რა გულმოსული ლაპარაკობ. იცი თუ არა, რომ ეს პარტიული ორგანოა?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— როგორ თუ არ აქვს! დიახ, ეს პარტიული ორგანოა. საბჭოთა პრესა იმით განსხვავდება კაპიტალისტურისაგან, რომ ჩვენს პრესაში სიმართლე იბეჭდება, კაპიტალისტურ გაზეთებში კი მოჩამხელი ამბები.

— ამაზე არ გედავებით. მე მხოლოდ...

— რა მხოლოდ? — საამქროს გამგე ფეხზე წამოხტა. — მითხარი, რა მხოლოდ, რა გაქვს სადავო?! განა განცხადება, გამათავისუფლეთო, შენი ხელით არ დაწერე. თქვი, იქნებ გაიძულე, ან შეცდომაში შეგიყვანე?! არა, ხომ?! აი, მე ეს მესმის! ჰოდა, ამიტომაც გაგიწიე ანგარიში. ჭერ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმე გაგვეთავისუფლებინოს და ბრძანება დაფაზე არ გაგვეკრას! შენი მოხსნის ბრძანება კი დაფაზე არ გამოვაკართ. რაღა გაქვს დასამდურო?!

— ბატონო კუკური, მე ხომ ცამდე მართალი ვარ?!

— აბა, მამ მე ვყოფილვარ დამნაშავე. — ნაძალადევად ჩაიციწა კუკური და მოწყვეტით სკამზე დაეშვა, — რა ექნა, ვერ გიშველე. ზემდგომმა ორგა-

ნობმა დაბეჯითებით მოითხოვეს წუნმდებლის განათავისუფლებამ და ხომ ვერ შევედავებოდი, ხომ ვერ შევეცდებოდი?!

— კი, მაგრამ, ნუთუ შეიძლება უღანაშაულო ადამიანის დასჯა?!

— რა შეიძლება და რა არა, ეს მე არ ვიცი, მაგრამ როგორც მეგობარს, მინდა ერთი რამ გირჩიო, სხვა გამოსავალი არ არის, უნდა მდგომარეობას შეეგუო. დამიჯერებ, მოიგებ, არ დამიჯერებ, გინდაც ქვეყანა შესძრა, ვერაფერს გახდები. დრო, ჩემო ძამიკო, ყველაფრის წამალია. ორი-სამი თვე გაივლის, ეს ამბავი ყველას მიავიწყდება... ჭერ მე არც სიკვდილს ვაპირებ, არც აქედან წასვლას და, კაცი არ ვიყო, თუ ამ ადგილზე ვერ აღვადგინე, რაიმე საქმეს მაინც გამოვიჩინებ. აი, მე ეს მესმის!

ელიზბარი გაკვირვებული მისჩერებოდა საამქროს გამგეს, ნეტავი ეს კაცი რა სინდისით მელაპარაკება ასეთ რამესო.

საამქროს გამგემ თვალი აარიდა ელიზბარს:

— მითხარი, თანახმა ხარ თუ არა?

ელიზბარს უნდოდა ეყვირა, შენ ხარ ჩემი დამლუპველი, შენ გადევს ჩემი ცოდვაო, მაგრამ თავი შეიკავა, იქნებ, ჭერ ყველაფერი არ დამთავრებულა და კიდევ რაიმე მეშველოს. საამქროს გამგე რომ მოვიმდურო, ვაითუ, ამით საქმე მთლად გავიფუქოო. ეს მაინც უთხრა:

— რაღად გინდათ ჩემი თანხმობა?! ერთხელ ხომ უკვე დამითანხმეთ, თქვენს ხელში ვარ! ნუ გამწირავთ, მეც ადამიანი ვარ, ცოლ-შვილის პატრონი!

შუბლშეკრული შეხვდა დიმიტრი, თავი ოფიციალურად ეკირა, უხალისოდ უსმენდა, ლაპარაკი ეზარებოდა.

„ნეტავი ასე გულცივი რამ გახადა ეს კაცი?! ხომ არ ექვიანობს?!“ — ფიქრობდა ელიზბარი. დიმიტრის ყოველ სიტყვას უნდობლად ეკიდებოდა.

მასში თანდათან თავმოყვარეობისა და მეტოქესთან შეჭიდების გრძნობამ გაიღვიძა. თუ კაბინეტში შესვლამდე უნდოდა დიმიტრისთვის როგორმე თავი შეებრალებინა, ახლა გამომწვევად აღლევდა პასუხებს და სიტყვასაც უბრუნებდა.

— ცამდე მართალი ვარ! — ამბობდა იგი, — ერთადერთი დანაშაული, რაც მიმიძღვის, ის არის, რომ ოსტატს აქტებზე ხელს ბრძალ ვუწერდი.

— მერე რატომ უწერდი, რატომ შენ სიმაღლეზე არ იდექი?

— უკუთობა ჩემი! თან იმან დამაბნინა, რომ საამქროს გამგემ არაერთხელ გამაფრთხილა, ოსტატს ყველაფერი დაუჭერე, ის თავის საქმის პროფესორია, არაფერში არ შესცდებო. თქვენც ხომ მიჩიჩიეთ, უფროსების მორჩილი და გამგონე იყავით.

— ახლაც გირჩევ, აბა ერთი საქმე აქამდე არ მისულაო. — და დიმიტრიმ გაზეთზე ხელი დასცხო. — მაშინ აღჩუხე გექნებოდა საქმე!

— გაზეთში ის დაბეჭდეს, რაც გამგემ აცნობა. მე სულ რაღაც სამი თვეა ვმუშაობ საამქროში, ისინი კი წლობით უშვებენ უხარისხო ნაწარმს!

— რას იზამ, წერილი ახლა დაიბეჭდა!

— კარგი და, ჩემს გარდა, სხვა არავინ არის დამნაშავე?!

— გირჩევ, სხვებს თავი დაანებო და შენ თავზე იფიქრო!

— ამიტომაც მოვედი თქვენთან!

— უკვე გვიანაა, ველარაფერს გიშველი, უძლური ვარ!

— თქვენ მოგიხსნივართ და თქვენვე უნდა აღმადგინოთ!

— ვინ გითხრა, რომ მე მოგხსენი?

— საამქროს გამგემ!

— გაუფრენია. თუ გინდა სიმართლე იცოდე, მე პირადად შენი განთავისუფლება გაზეთიდან გავიგე. ალბათ უბრძანეს! იმანაც რა ჰქნას! არ შეასრულებს ბრძანებას, საპნის ბუშტივით გააქრობენ. ასეა ცხოვრება!

— მაშ, ზემდგომ ორგანოებში გავსაჩივრებ!

— აგაშენა!.. თუმცა ^{გარეუნივერსიტეტი} მდიდრულია, გორც ძველ ნაცნობს, არ შემიძლია გულახდილად არ გელაპარაკო, მოდი ჩივილს თავი დაანებე. თუ მაინც და მაინც გული გერჩის, მაშინ ნურავის დაადანაშაულებ, ნურც იმას იტყვი, რა იყო, ან როგორ იყო! იცოდე, რაც უფრო ენას კბილს დააქვრ, მოიგებ!

ელიზბარი ჯერ გაზეთის რედაქციაში მივიდა. რედაქტორმა თანაშემწის პირით შემოუთვალა, დღეს ვერ მიგიღებ, ხვალ გამოიარეო. მეორე დღეს თანაშემწემ ასეთი პასუხით გამოისტუმრა, რედაქტორი ჩაკეტილია, მოწინავეს წერს და დღეს არავის ლებულობსო.

მხოლოდ მესამე დღეს შესძლო რედაქტორთან შესვლა.

— ჩვენ არაფერ შუაში ვართ! — მიუგო რედაქტორმა, როცა ელიზბარის საჩივარი მოისმინა. — სიტყვა-სიტყვით დავბეჭდეთ საამქროს გამგის პასუხი.

— მერე ეს ხომ სიმართლე არ არის?!

— იცი, რა გითხრა, მოდი, ტყუილ-უბრალოდ დროს ნუ გვაკარგინებ. კაცი პრესაში დავებრდი, — თითქოს ნათქვამის დადასტურება სწადიაო, მელოტ თავზე ხელი გადაისვა, — და ჯერ არ მახსოვს, მამხილებელი წერილი დაგვებეჭდოს და ადრესატი გამართლებას არ ცდილიყოს. ჩვენი გამოსვლა სწორი იყო. ეს თვით საამქროს ხელმძღვანელობამ დაგვიდასტურა. თქვენს შორის ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, ამის დადგენა ჩვენ არ გვევალება. ბევრიც რომ მოეინდომოთ, ამას ვერც გავარკვევთ! თუ მაინცდამაინც გინდათ ამის გაგება, მიაკითხეთ იმას, ვისაც ეს ეხება.

მეორე დღეს, ამხანაგების რჩევით, ელიზბარი პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში მივიდა.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა კომიტეტის თავმჯდომარემ მაშინვე მიიღო, გულდასმითაც მოუსმინა, მაგრამ როგორც კი

ელიზბარმა განაცხადა, ჩემი განთავისუფლების შესახებ საქალაქო გაზეთშიც დაბეჭდესო, მაშინვე ხელის აწევით შეაჩერა:

— რაკილა აქამდე მივიდა საქმე, მორჩა, ველარავინ დაგიცავს, ველარავინ გამოგესარჩლება!

თითქმის ასეთივე პასუხით გამოისტუმრა კომკავშირის რაიკომის მდივანმაც და დამატებით ესეც უთხრა:

— რალა პირით დადიხარ აქეთ-იქით, როგორ არ გრცხვენია: პასუხისგებაში მისაცემი ხარ, შენ კი სამსახურში აღდგენას თხოულობ!

— მე მართალი ვარ, რისა უნდა მრცხვენოდეს!

— მაშ, ჯერ შენი სიმართლე დაამტკიცე და მერე მოითხოვე სამსახური.

— აქ სწორედ სიმართლის დასადგენად მოვედი. ველარაფერი გამოიგია, სადღა წავიდე, ვიღას მივმართო?

— სჯობია თავი დაანებო საჩივრებს და პატიოსანი შრომით გამოისყიდო დანაშაული!

იგი ცოლს თითქმის ორ კვირას უმაღავდა თავზე დატეხილ უბედურებას. რატომღაც დაიმედებული იყო, რომ თავს გაიმართლებდა და სამსახურში აღადგენდნენ. დღის ბოლოს, აქეთ-იქით სიარულით მოღლილი, შინ რომ მივიდოდა, გარეთ აღარ გამოდიოდა. ეგონა, მისი განთავისუფლების ამბავი მეზობლებმა იცოდნენ და ყველას თავს არიდებდა. ვია აღარ ასვენებდა, კისერზე ახტებოდა, მალ-მალ ახსენებდა, მანქანას როდის მიყიდო. ელიზბარი, ვინ იცის, მერამდენეჯერ აძლევდა სიტყვას, ცოტა კიდევ დამაცა და მანქანასაც გიყიდი, ველოსიპედსაცო, და ბავშვს ოთახში აჩუქვდა დაატარებდა.

ელიზბარი წუხდა, ეგებ ირმამ ყველაფერი იცის, მაგრამ დუმს, ელოდება, მე როდის გავეუმხელ ჩემს თავზე დატეხილ უბედურებასო.

ერთხელ, ვითომ, სხვათა შორის, ცოლს უთხრა, მიმიძიმს მექანიკურ საამქროში მუშაობა, ნეტავი სხვა სამსახური მაშოვნენიაო.

— აკი ამბობდი, კარგი ადგილიაო, ასე უცებ ახრი რამ შეგეცვალა ელიზბარ?

მეზობლები

— ასე მეგონა, მაგრამ საქმეში რომ ჩაიხიხედე, დაგრწმუნდი, ჩემს ბუნებას არ შეეფერება, ირმა!

— ნეტავი გამაგებინა, ისეთი რა ბუნებისა ხარ, რომ ვერც ერთ ადგილს ვერ ეგუები?! როგორ ვერ გაიგე, რასაც სხვები აეთებენ, შენც ის უნდა გააკეთო, როგორც სხვები ცხოვრობენ. შენც ისე უნდა იცხოვრო!

ელიზბარს ფერი ეცვალა, ირმა ისე ლაპარაკობს, ეტყობა, იცის ჩემი სამსახურიდან განთავისუფლების ამბავი. თუ არ იცის, დღეს არა, ხვალ გაიგებს და უკეთესია ისევე მე ვუთხრაო.

— ეჰ, ჩემო ირმა, არ მინდოდა ამ ამბავით გული მეტყინა შენთვის, მაგრამ როდემდისღა დაგიმალო, — ხმა აუთრთოლდა ელიზბარს — აგერ უკვე ორი კვირაა, რაც სამსახურიდან გამანთავისუფლეს.

— რატომ? — ისე შესძახა ირმამ, თითქოს ამისთვის წინასწარ იყო მომზადებული.

როცა ელიზბარმა ყველაფერი დაწერილებით უამბო, ირმა ერთხანს ფიქრს მიეცა, მერე მწარედ ჩაიციხა:

— ტყუილად ადანაშაულებ სხვებს. თავად ხარ უშნო და მოუქნელი!

— ლამის ჭკუაზე შევიშალო მაგრამ, რა ვქნა, ასე წარიმართა ჩემი საქმე ვნახოთ, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. იმედებს იძლევიან, თუ ამ ადგილზე არ აღგადგენთ, სხვა სამუშაოს მაინც გამოვიჩინახავთო. — თქვა ელიზბარმა, რომ ქალისათვის იმედი არ მოეშალა, თორემ საამქროს გამგის დაპირება თითონაც არ სჯეროდა.

— ვერაფერი გამოიგია, რალა ყველაფერი შენ გემართება! სირცხვილი არ არის, რას იტყვის ხალხი? — ერთგვარი თანაგრძნობის კილოთი თქვა ირმამ. — ეს რა უბედურებაა, რის ვაი-ვაგლახით ვიშოვეთ ჯერ ერთი, მერე მეორე სამსახური და ვერც ერთგან ვერ ივარგეთმცა გარეგნულად ასე მიძიმე გა-

ნიცადა ირმამ ეს ამბავი, მაგრამ გულში მაინცდამაინც დიდი წყენა არ უგრძობია. ის გარემოება, რომ თვითონ ასე კარგად შეეწყო სამსახურს, ელიზბარმა კი ფეხი ვერსად მოიკიდა, მას ერთგვარ უპირატესობას აძლევდა. ხელს უწყობდა, რომ ქმარი თავის გავლენაში ჰყოლოდა და სრული თავისუფლებით ესარგებლა.

აბა, სხვანაირად როგორ მოიქცეს?! ეტყობა, მის ქმარს არ გააჩნია ის ფხა და შემართება, რითაც ძლიერი მამაკაცები არიან დაჯილდოებული. ცხოვრებაში კი ძლიერნი იმარჯვებენ. თავისი მოუქნელი ქმრის წყალობით ისიც დაბეჩავებულია, ბევრ რამეს მონატრებული, როდემდის უნდა გაგრძელდეს მისი ცხოვრება ასე?! რითია სხვებზე ნაკლები? გონჯი რომ იყოს, უშნო, ულამაზო, გემოვნებას მოკლებული, მაშინ ბედს შეურიგდება, გული აღარ მოუკვდება. ის კი ლამაზია, მომხიბვლელი. მერე რა ფასი აქვს მის სილამაზეს?! ვის რად უნდა ტყუილებრალოდ წყალში გადაყრილი სიმდიდრე?!

ირმა უფრო გათამამდა, ქმარს აღარაფერს ეკითხებოდა, აქეთ-იქით მოუხშორა სიარულს. თუ აღრე სანებლიძე ძლივს ითანხმებდა, მანქანით შინ წაეყვანა, ახლა თავისით დაიკავებდა ზოლზე მის გვერდით ადგილს, თითქოს ეშინია, არავინ დამასწროსო. ერთი სიტყვით, აღარავის ერიდებოდა. აღარც ქმრისა ეშინოდა. სანებლიძეს მისდევ-მოსდევდა, გვერდიდან არ სცილდებოდა. აღარც ეს კითხვები აწუხებდა: არ გამკიცხო, მსუბუქი ხასიათის ქალად არ ჩამთვალონ!

ვინც რა უნდა თქვას! ის არ შეუშინდება ჭორიკანა ქალების ტუტუნს, თავის საქციელში უზნეოს არაფერს ხედავს. განა სულელი არ იქნება, იმის გამო, რომ ქალები გაჭორავენ სანებლიძეს ჩამოსცილდეს?! ამ კაცმა ხომ ბევარი რამ გააკეთა მისთვის?! უკვე ოთხი წელია რაც გათხოვდა. გაჭირვების მეტი რა ნაბა ქმრის ხელში?! მეტისმეტად ერთგვროვანი, მოსაწყენია ელიზ-

ბართან ყოფნა. თვეები, წლები ისე გაქრნენ, ისე წაიშალნენ მის მესხდერებაში, თითქოს არც უცხოვრებას სანებლიძესთან გატარებული დღეები კი არასოდეს დაავიწყდება, ყოველთვის სიამოვნებით გაიხსენებს.

ფერიცვალობა დღე იყო. ეს დღე ბავშვობიდანვე უყვარდა ირმას. დედამისი ფილტვებს უჩიოდა. ფერიცვალობა მარტო ზაფხულის გარდატეხის დღე კი არა, თითქოს დედის ხასიათის შეცვლის დღეც იყო. მხიარულდებოდა, უფრო ნაზი და მოალერსე ხდებოდა. აუცილებლად ირმასთან ერთად ქალაში წავიდოდა. იასამნის მსგავს მოწითალო-ვარდისფერ ბუჩქს ტოტებს ამტვრევდნენ, სურნელოვან მინდვრის ყვავილებს კრეფდნენ, ხის ძირას ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებს აგროვებდნენ.

მთელი შემოდგომა და ზამთარი დედა კარგად იყო, აღარც იმდენად ახველებდა. გაზაფხულის მოახლოება კი გულს უღონებდა, ხასიათს უცვლიდა. რა მისანი, რა მიხვედრილი ყოფილა ადამიანის გული?! დედა მისში გარდაიცვალა, მაშინ როცა ფერადი ყვავილებით შეიმოსა მთა-ბარი.

დედის ხსოვნის აღსანიშნავად, ირმა ფერიცვალობა დღეს უთუოდ ტყეში ან მინდვრად გაივილიდა ზოლზე. ამჯერადაც მთელი არსებით უნდოდა, ენატრებოდა ბუნების წიაღში ყოფნა. ელიზბარმა ყურთან არ გაიკარა მისი თხოვნა, ისეთ დღეში ვარ, დანა რომ დამარტყა, წვეთი სისხლი არ გამომივა და რა მესეირნებო. კოჭრის ტყეში მანქანით ისინი დაბრძანდებიან, ვინც უზრუნველად, უდარდელად, ნებივრად ცხოვრობენო.

არც უნდა ეთხოვა! როგორ ვერ გაიგო, რა უქმურია ელიზბარი?! ოდნავდაც არ ცდილობს მის სიამოვნებას! სანებლიძე კი ამ მხრივ ძვირფასი ადამიანია, მისი გულისათვის არაფერს იშურებს! ალბათ, ცხრა მთას იქით გაყვება.

ირმას უნდოდა ეთქვა სანებლიძესათვის, ქალაქგარეთ მსურს წასვლაო, რომ ამჯერადაც თითქოს საწადელს მიუხედავად, თავად მისცა კაცმა ეს წინადადება.

ირმა მაშინვე დათანხმდა, მხოლოდ შინ მივირბენ, ბავშვს დაეხედავ, შენ კი ექვსი საათისათვის რიგის ქუჩის კუთხეში დამელოდეო.

ელიზბარი შინ არ იყო. ვიას ეძინა. მარგალიტას სიტყვა დაუტოვა, მელოვინე ქალის სანახავად მივდივართ ამხანაგებში, ალბათ, უპატივცემლოდ არ გამოგვიწვევენ და შემავიანდებათ.

მტკვრის პირას პატარა რესტორანში ამჯობინეს სადილობა. მანქანით ქროლვამ, გრილმა პაერმა, მოჩხრიალე მდინარემ, გემრიელმა საქმელებმა და სანებლიძის გადაქარბებულმა თავანახობამ ირმას გული გაუხალისა, ორმა ქიქა შუშხუნა შამპანურმა კი თავბრუ დაახეია.

სანებლიძე ხან ბატონის მწვადს აწვდიდა, ხან შემწვარ ვარაყს, მაგრამ ქალი აღარაფერს ეკარებოდა, საკმარისია, ასე გემრიელად ჩემს სიცოცხლეში არ მისადილიაო. რაკი ლენოს არ სვამ, ლიმონათი მაინც მიირთვიო, ძალას ატანდა სანებლიძე, ქიქას ლიმონათით ულიცლიცებდა, თავისაში კი შუშხუნა შამპანურს ისხამდა. თავზე მალალი კლდე გადმოჰყურებდათ, ცისფერი თვალებით მოწინწკლული ხევსით რომ იყო დაფარული. კლდის პატარა ნაპრალში ასკილის ბუჩქს ამოეხეთქა. მდინარეში ამოყოფილ ლოდებსაც გადასდებოდა ხავსი. დროდადრო ძლიერი ტალღა კლდეს ეხეთქებოდა, ხავსს გლეჯდა. ტალღა რომ ლოდებს გადაუვლიდა, ხავსი წყლის ზედაპირზე რჩებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, მალე მდინარეც ხავსით დაიფარება და გაღმა-გამოღმა გორებსაც ხავსი მოედებო.

ირმა თვალს არ ამორებდა დახავსებულ კლდეს.

— ნეტავი რას გასცქერი ასე გაშტერებული? — შეეკითხა სანებლიძე და თვალი გააყოლა ქალის მზერას.

— მეტი არაფერი მინდა, კლდეზე

ამაფოფხა და შეწითლებული ასკილის ძირას ხავსზე დამსვია! — მიხუტო ირმამ.

— ეს რა სანატრელია, შენ მოინდომე, თუგინდ ცხრამთას იქით წაგიყვან. გინდა „ჯვარზე“ ავიდეთ, იქიდან რომ გადმოიხედო, თავი ქვეყნის მბრძანებელი გეგონება?

— წავიდეთ! „ჯვარზე“ ასვლა ოცნებად მაქვს გადაქცეული!

მზიანი, ამინდი იყო. თეთრი, გამჭვირვალე ღრუბლის ქულები, ფარას ჩამორჩენილი ბატკნებივით ცაზე რომ დაბორილებდნენ, ემდებამ მზეს ეფარებოდნენ. მაშინ არემარე მზის შუქისა და ჩრდილის რაღაც საშუალოთი იმოსებოდა. ნელ-ნელა აღმოსავლეთით ცა სრულიად მოიწმინდა. ღრუბლები დასავლეთით შექუჩდნენ და რამდენიმეჯერ ზედიზედ დაიქუხა. ზენა ქარმა ჯერ თითო-ოროლა წვიმის წვეთი გადმოყარა, მერე კი შხაპუნა წვიმა წამოვიდა.

— რა საოცარია, წვიმს და თან მზე ანათებს! — ამბობდა ირმა და მანქანის ღია ფანჯრიდან ხელს წვიმას უშვერდა.

— მზე პირს იბანს! ნუთუ დღემდე არ გინახავს? — შეეკითხა სანებლიძე.

— როგორ არა, მინახავს, მაგრამ ასე ლამაზი არასოდეს მჩვენებია.

ქაქანით მიმავალმა მანქანამ აღმართი აათავა და ვაკეზე გაიჭრა.

დიდებული სანახაობა გადაიშალა მათ თვალწინ: შეიდფერი ცისარტყელა ცაზე გადარკალულიყო. ისე მოჩანდა, თითქოს ცისარტყელის ერთი ბოლო ჯვრის მონასტერზე ეშვებოდა.

— აი, სილამაზე! — თქვა სანებლიძემ და უფრო მოუმატა სიჩქარეს, თითქოს ცდილობს ცისარტყელას წამოეწიოსო, მაგრამ მიახლოვების მაგივრად, იგი სულ უფრო შორდებოდა მათ...

— ასე მგონია „ჯვრიდან“ ცისარტყელას ავეყვებით, ზეცაში ავალთ და უსასრულობაში დაეიკარგებით! — ამბობდა ბავშვური აღტაცებით ირმა.

— ასეც იქნება! არემარეს ცის ლაქვარდიდან გადმოვხედავთ, თავი ქვეყნის მბრძანებელი გეგონება!

— მაშ, ჩქარა! არასოდეს დამავიწყდება ეს დღე. ამ წარმტაც სანახაობაზე აუცილებლოვ ლექსს დავწერ.

— ლექსს მე მომიძღვნი, არა?

— რატომაც არა!

ჯვარზე რომ ავიდნენ, ცისარტყელა გაქრა მათი თვალთახედვიდან.

— ვერაფერი გამიგია, რა იქნა, სად დაგვემალა ცისარტყელა? — ამბობდა გაოცებული ირმა, თან ხელით თვალს იჩრდილებდა და პირდაბანილი მზით გაკაშკაშებულ ცას გასცქეროდა.

— უკვალოდ გაქრა, ვეღარ იპოვი. ასეა წუთისოფელიც. გაირბენენ წლები და ჩვენი უკვალოდ გავქრებით!

— ოიმე, დედა, ვერც კი წარმომიდგენია, თუ ეს როდისმე მოხდება!

— შენს წლებში მეც ასე მეგონა. ახლა კი... ეჰ, არ ღირს სალაბარაკოდ. თურმე სიზმარი ყოფილა ჩვენი ცხოვრება! როგორც იყო და არ იყო რა, დღეს ვართ, ხვალ აღარ ვიქნებით!

— ვერ წარმომიდგენია, რომ ქვეყანას მზე დანათოდეს, ყველაფერი ისევე იყოს, როგორც ახლაც, მე კი მიწაში ვიწვე. ნეტაეი დიდხანს მაინც ცხოვრობდეს ადამიანი?!

— დიდხანს იცოცხლებ, თუ ცოტახანს ეს თითქმის ერთი და იგივეა, მთავარია, ლამაზად იცხოვრო!

— რას ეძახი ლამაზ სიცოცხლეს?

— ისეთ სიცოცხლეს, რომელიც კაცს არასოდეს ავიწყდება. აი, მაგალითად, დღევანდელი დღე სამუდამოდ დამამახსოვრდება!

ირმა კარგა ხანს ჩუმად იყო, მერე კი ხმადაბლა წაილაპარაკა:

— რა კარგად თქვი, განა შეიძლება დღევანდელი დღის დავიწყება?!

ისინი მონასტრის გალავნიდან გადაყურებდნენ მტკვრის პირას გაშენებულ ისტორიულ ქალაქს. დიდებულად აღმართულიყო სვეტიცხოველი. ცაში ატყორცნილი მისი ვეება გუმბათი ოქროსფრად ლილეოვებდა მზის სხივებში, თითქოს თავისი განიერი მხრებით კავკასიონის ბუმბერაზ მთებს უტოლებოდა... მდინარის პირას, შარაზე

მანქანების განუწყვეტელი ნაკადი მიედინებოდა. მტკვრისა და არაგვის მესართავთან, ატეხილ ქალაქში მარტყეს შეეფარებია თავი. სელაპებივით ყურყუმელავობდნენ მდინარეში დიდრქება კამეჩები...

მზე ახალი ჩასული იყო, როცა ისინი „ჯვრიდან“ წამოვიდნენ. გზა ცარიელი იყო. არც მანქანები ხვდებოდათ, არც ფეხით მოსიარულენი.

ირმა ცქმუტავდა, მოუსვენრად ხან გზას გაჰყურებდა, ხან სანებლიძეს უმზერდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა.

წინა კვირას სანებლიძემ იგი დილმში წაიყვანა, რომ მანქანის ტარება ესწავლებინა. მცირეოდენი ახსნა-განმარტების შემდეგ, ირმა საჭეს მიუჭდა. იგი ჯერ სანებლიძის დახმარებით მართავდა მანქანას, მაგრამ უცებ ისე გაუადვილდა, განუცხადა, დაუხმარებლად შეიძლია სიარულიო.

სანებლიძემ ფრთხილად გაუშვა საჭეს ხელი და, მართლაც, ირმას სულაც არ გასძნელებია მანქანის მართვა.

— ეს რა იოლი ყოფილა! — ამბობდა წარმატებით წახალისებული და მანქანას ტრიალ მინდორზე დააქროლებდა.

— არ ხარ მართალი! — პასუხობდა სანებლიძე, — მანქანის მართვა ძნელი საქმეა. ეს შენ ხარ ასე ყოჩალი, მოხერხებული, თორემ ზოგი თვეობით წვალობს, მაინც არაფერი გამოსდის.

მანქანის მართვამ ისეთი დაინტერესება იცის, რომ, ახალგაზრდებს ვინ ჩივის, ხანშიშესულებიც იშლებიან ჭკუანზე.

ირმას გატაცებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ლადი არწმუნებდა, ჯერ არ შეეხვედრივარ ადამიანს, ვისაც შენსავით უცებ ესწავლოს მანქანის მართვაო.

სანებლიძე მიხედა ქალის მოუსვენრობის მიზეზს. სწორ გზაზე გავიდნენ თუ არა, მანქანა შეაჩერა და ირმას საჭესთან დაჯდომა შესთავაზა.

— გაოცებული ვარ! — თქვა სანებლიძემ, ირმამ მანქანა რომ დასძრა, —

ვინ იცის, რამდენი მძღოლის გვერდით ვმჯდარეარ, მაგრამ შიში მაინც მქონია. ახლა კი პირიქით, სრულებით არ მეშინია.

— ნუთუ ასე საიმედოდ ვმართავ მანქანას?

— რასაკვირველია!

ირმა ხალისით ატრიალებდა საჭეს. ხან წამოიწევდა, გზის პირს აყოლებდა თვალს. აღარც სანებლიძე ახსოვდა, აღარც თავისი თავი.

სანებლიძე ერთ ხანს გზას გასცქეროდა, მაგრამ უცებ თვალი მოსტაცა მანქანის სატერფულზე დაწყობილმა ქალის სწორმა ფეხებმა. ირმას ისედაც მოკლე კაბა მალა ასწეოდა და ისეთი უნამუსული და თავბრუდამხვევი იყო, რომ კაცს ერთი წამით თვალთ დაუბნელდა, მერე კი მთელ სხეულზე ცეცხლი წაეკიდა.

ირმას არ გამოჰპარვია კაცის აღელვება, მაგრამ როდი შეიმჩნია, ისეც დამშვიდებით განაგრძო მანქანის მართვა.

გზის პირას მაყელის ბუჩქები გახშორდა.

— ირმა, გიყვარს მაყვალი? — შეეკითხა კაცი, გაზრდილი ცნობისმოყვარეობით რომ გასცქეროდა შავად დახუნძლულ მაყელის ბუჩქებს.

— მიყვარს!

— მეც ძალიან მიყვარს! ეჰ, სად ხარ, ჩემო ბავშვობავ! უდარდელად დაერბოდი ჭალებში, ჩიტებზე ვნადირობდი, მაყვალს ვკრეფდი. მას შემდეგ მაყვალი გემოთი არ მინახავს!

— მაშ, მოეკრიფოთ!

მანქანა გააჩერეს და მაყელის ბუჩქებს შეერივნენ.

სანებლიძე მსხვილ, ჩაშავებულ მაყვალს რომ იპოვიდა, ირმასთან მიჰქონდა, გააღე პირი, მწიფე მაყელით უნდა ჩაგიგემრიელოო.

ირმა უარობდა, ბატონო ლადი, თავად მიირთვიო, მაგრამ პირს მაინც აღებდა და კაცის მიწოდებულ მაყვალს გემრიელად შეეჭცეოდა.

მაყელით გული რომ იყერეს, სანებ-

ლიძემ, ისე, ვითომ სხვათა შორის, თქვა:

— რა კარგი პაერიამ! რამეღალირს დახუნძლული მაყელის ბუჩქის ჩეროში ჯდომა! — და მხარ-თეძოზე წამოწვა.

ირმა გზაზე გავიდა.

სანებლიძემ დაუძახა:

— მოდი, შენც არ გაწყენს დასვენება. ასკილის პირას ჯდომას ნატრობდი და აქ უფრო არა სჯობია?!

ირმას სჯეროდა, რომ სანებლიძე გულწრფელად ელაპარაკებოდა, თუმცა ქალური ინსტინქტი კარნახობდა, რომ სიფრთხილე მართებდა.

კაცი გულში ჩამწვდომი ალერსით უმზერდა, ეხვეწებოდა მოდი, ჩემს გვერდით დაჯექიო, მაგრამ ირმა უარობდა, ბალახი ნამიანია, კაბა დამისველდებაო.

— კარგი, ახლავე საფენს მოვიტან! — თქვა სანებლიძემ, წამოდგა და მანქანასთან მიიბრინა, უკან კარი გამოაღო და, თითქოს ხელგაწაფულია ამ საქმეშიო, თვალის დახამხამების უმაღლეს საჯდომს ზვევრი გადააძრო, მაყელის ბუჩქთან მიიტანა და ძირს გაშალა.

ქალს დაჯდომა უმძიმდა, ირგვლივ იხედებოდა, მაგრამ კაცმა მკლავზე ხელი სტაცა და ძალით გვერდით მოისვა. ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ... უკან, ბუჩქებში, ჩიტუნების სტვენა გაისმა. ქალი გულისყურით უსმენდა, კაცი დაცარიელებულ გზას გასცქეროდა, სადაცაა დადამდება და, მორჩა, აქ ადამიანიშვილი აღარ გაიჭაჟანებსო.

კაცმა ქალს ხელი ხელზე გადაუსვა. ქალმა გაუმწყრაოდ მოიცილა, მაგრამ, ცოტა ხნის მერე, როცა ლადიმ კვლავ გაიმეორა ეს, წინააღმდეგობა როდიღა გაუწია. კაცმა წელზე ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა. ირმამ უბოძა, გასხლტომას შეეცადა, მაგრამ გრძნობაალტყინებულ ლადის მარწუხებით შემოეჭდო მისთვის წელზე მკლავები. რაკილა ასე იოლად თავი ვერ გაითავისუფლა. ქალმა გაიბრძოლა. ერთმანეთს წაეჭიდნენ. ბოლოს ქალი ქვეშ მოექცა,

კაცი ზედ გადაეფარა. — ირმა, ირმა, ძვირფასო, მე ხომ შენთვის სიცოცხლესაც არ დაეშურებ! შენ კი როგორ არ გეცოდები, როგორ არ გებრალბები?! რა იქნება ერთხელ, მხოლოდ, ერთხელ მაკოცინე. გეხვეწები, გემუდარები, მხოლოდ ერთხელ მომანიჭე ბედნიერება, რომ სიცოცხლის აღსასრულის ეამს შემეძლოს ამ ნეტარი წამების გახსენება! — ეჩურჩულებოდა კაცი.

ირმა არაფერს ამბობდა, გათანგული იწვა და ოდნავ წინააღმდეგობასაც არ უწევდა. სახეზე ხელებს იფარებდა, მერე კი ლადის ნებას დაჰყვა და კონცითვე უბასუხა.

ისეთი მოულოდნელი იყო სანებლიძისათვის ეს გამარჯვება, რომ სიხარულით თავბრუ დაეხვა. ის მხოლოდ იმას ხედავდა, თუ როგორ ესახებოდა ირმას სახეზე ვნება, მაგრამ რა იცოდა, ან საიდან შეეძლო სკოდნოდა, რას განიცდიდა ქალი, სანამ მის ნებას დაჰყვებოდა. ბედნიერებაში მყოფი ადამიანები ხომ თავიანთი ბედნიერების გარდა, სხვა არაფერზე ფიქრობენ. სანებლიძე კი ამაზე დიდ ბედნიერებას ვერც ინატრებდა. დამკრახული მტევანით მწიფე ქალი, რომლის უბრალო ხელის შეხებაც უსაზღვრო ვნებას გვრიდა, მორჩილად მკლავზე ეწვა, თვალდახუჭული და მიბნედილი.

თითქმის აღარაფერი უშლიდათ ხელს, რომ ტბილ განცხრომას მისცემოდნენ. კაცმა მაგრად მოუჭირა ქალს ხელები ნახ, მოძრავ წელზე და მჟიდროდ მიეკრა ვიწრო კაბაში გამოჩავეთულ მის მკერდს სხეულს. თან აჩქარებით უკოცნიდა თვალებს, ლაწივებს, და უცებ, თითქოს თავზე ცივი წყალი გადაასხესო, მოდუნდა, დაეცრა, დაიშრიტა. გზნებით როდილა უძგერდა გული. მისმა ვნებით ანთებულმა თვალებმააც ეღვარება დაკარგეს, ჩაქრენ, ჩაიფერფლენ...

არემარეს იისფერი ბინდი ჩამოსწოლოდა, ირგვლივ სიმშვიდე გამეფებულიყო, ქვეყნიერება ძილს ეძლეოდა.

მხოლოდ ირმას გულს ვერ მოესვენა.

ვერაფრით აეხსნა, რა მოხდა, ასე უცებ რამ დააცხრო, რატომ შემოწყინა სანებლიძემ, ახლა მის გვერდით მშვილდდ რომ იწვა, გულაღმა. თვალი ჩამობნელებული ცისთვის გაეშტერებია და მძიმე განსაცდელში მყოფ ადამიანისთვის ჩუმად ოხრავდა.

— ირმა, გენაცვალე, ყური დამიგდე! — გაუბედავად დაიწყო ბოლოს ლადიმ. — მე არ შემიძლია ქალთან, რომელიც მიყვარს და ვალმერთებ, რაიმე უგუნურობა ჩავიღინო. და, საერთოდ, დაიხსომე, არ მინდა, რომ შენ ჩემთვის მარტო საყვარელი იყო. ფარულ სიყვარულში მე ვერ ვხედავ ბედნიერებას.

— ამით რის თქმა გინდა?

— მე ახლა იმ ასაკში ვარ, არ შემიძლია ციყვივით ბუჩქებში ძრომა. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, მინდა, ჩემი კანონიერი ცოლი ვახდე!

— მერე რას უშვრები ცოლ შეიღს?! — შესძახა ირმამ. მიხვდა, რომ მეტი აღარ იყო საჭირო გულაღმა წოლა, წამოჯდა.

— შენ ჯერ არ იცი, რა არის მოსიყვარულე კაცის გული! — მიუგო სანებლიძემ და ისიც წამოჯდა. — ქვეყანაზე ვერაფერი, თვით ოჯახური მოვალეობაც ვერ აღუდგება მას წინ.

— მერე რას იტყვის ხალხი?

— შენი არ ვიცი, ჩემთვის კი სულ ერთია, ვინც რა უნდა, ისა თქვას!

— არა, მე ეს არ შემიძლია! — თქვა ირმამ. და გაიფიქრა, განა ისე როგორ ეუყვარვარ ამ კაცს, რომ ცოლ-შვილს ჩემს თავს ამკობინებს და საშვილიშვილოდ გამართულ ოჯახს ანგრევსო.

— პირდაპირ მითხარი, ნუ მომერიდები, იქნებ ჩემი ხანდაზმულობა გაფიქრებს?! ჭეშმარიტი სიყვარულისთვის წლები რა ბედენაა?! განა ჩემზე უკეთ ვინმე მოგეფერება, ვინმე მოგზალურსებს? ჩემზე უკეთ ვინ იცის შენი სილამაზის ფასი?! ამბობენ სიყვარულს არ ესაჭიროება ფიცი და მტკიცებაო, მაგრამ, რა ვქნა, როცა სიტყვები თავისით იღვრებიან გულიდან. ოჰ, ნეტავი.

იმას ვეღირსო, რომ დღედაღამ შენს გვერდით ვიყო, შენი სუნთქვა მესმოდეს, შენი ჩურჩული სმენას მიტკობდეს. მაშინ უძლეველი ვიქნები, მთებს შევძრავ, ქვეყანას შევკვიდები!

მამაკაცებს შესწევთ უნარი ქალის გულის მოსაგებად სიტყვის კორიანტული დააყენონ, ათასი რამ გამოიგონონ. სანებლიძეს კი ეს არ ესაჭიროებოდა. ირმას სჭეროდა მისი, ყოვლისშემძლე ადამიანად მიაჩნდა. უზრუნველი ცხოვრება, ფუფუნება, რასაც კაცი ჰპირდებოდა, მის ფანტაზიას ფრთებს ასხამდა.

ლამით ირმა ქმარს ეკვროდა, მის ტუჩებს მხურვალე ტუჩებს აგებებდა, მაგრამ მათ ხვევანა-ალერსს სიღრმე აკლდა. მიხვედრილნი იყვნენ, ორივემ იცოდა, რომ ყოველივე ამას მოსაჩვენებლად, ვალის მოსახდელად აყეთებდნენ, მაგრამ ამაზე კრინტს არ სძრავდნენ. გამახვილებული ყურადღებით უსმენდნენ მოდარაჟე გულების ძვერას, თითქოს ცდილობენ ერთმანეთის ფიქრი ამოიცნონო.

რატომ ეჩვენება ქმარი ცივი, დამცხრალი? იგი მასში ვეღარ ბადებს უძძლავრეს ვნებას. საოცრება მეტი გინდა?! ელიზბარი ხომ ლამაზი, წარმოსადგვი, ყოველმხრივ უნაკლო ჰაბუკია. სანებლიძე კი ხანში შესული კაცია, ულამაზო, მაგრამ სულშიამწვედომი გამოხედვა აქვს. მერე რა სათუთად, რა მოწიწებით უსვამს ხოლმე მკლავზე ხელს. რა ნაზი, ვნებისამშლელი კოცნი იცის. თითქოს მარტო ყინის მოსაკლავად კი არ ეწაფება მის ბაგეებს, ცდილობს, როგორმე მეტი სიამოვნება მიანიჭოს.

ქვეყნად ყველაფერი მოსაწყენია. მარგალიტას თქმით, ადამიანს თურმე მოხუცებულობაში სიცოცხლეზეც გულის ეყრება, მაგრამ არ ეგულება ქალი, ხვევანა-ალერსი რომ მობეზრდეს! ან სად არის ისეთი ქალი, ვისაც არ ენატრებოდეს ძლიერი მამაკაცის მფარველობა,

თავყვანისცემა. ქალი თუ არ შეიჯავრებს ასეთ მამაკაცს, მისადმი პატივისცემით, თანაგრძნობით მაინც განიხსნავალება. ეს კი სიყვარულს აუცილებელივ წინ უსწრებს და ხანდახან ძნელდება კიდევ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა.

ვაჟი ფიქრობდა, რატომ არის ასე, რომ მთელი გზნებით, მთელი გატაცებით ირმა მიყვარს, ქვეყანას მიჩრევნია, მაგრამ არც ვერიკოსადმი ვარ გულგრილი და ისიც ჩემში ვნებათაღელვას ბადებსო?! მართლაც, ვერიკოს სიახლოვე გულში ცეცხლს უნთებს, ნებისყოფას უღუნებს. მისი სიყვარულის შუქის-მფრქვეველი ფაზლები მწველ გრძნობათა აღში ხვევს, გაბედულება და ის დიდი გამოცდილება, რაც ამ ქალს მამაკაცებთან ურთიერთობაში გააჩნია, მეტისმეტად მომხიბვლელსა ხდის და განუზომელ ხორციელ კმაყოფილებას ანიჭებს.

ირმა ქმარს გაუთავებლად ეკითხებოდა, გიყვარვარ თუ არაო. რაღა დროს ამის კითხვაა, ნუთუ დღემდე არ იცი, რომ მიყვარხარო, ეუბნებოდა ელიზბარი. სადღაც, გულის სიღრმეში კი წუხდა, ვაითუ ექვებშია და ამიტომ მაცივდება ასეო. თუმცა ვერ წარმოედგინა, საიდან უნდა გაეგო მისი ვერიკოსთან ურთიერთობის ამბავი.

გამოცდილმა მამაკაცებმა მშვენივრად იციან როგორ აუბნონ ცოლებს გზა-კვალი, როგორ მიჩქმალონ, დაფარონ თავიანთი ცოდვები. ელიზბარი კი ამ მხრივ უეშმაკო იყო. ამიტომაც, ირმასთან შედარებით, პასიურობდა, ხან დაღლილობას იმიზეზებდა, ხან უგუნებობას და ფიქრებს ეძლეოდა.

იგი თავის დანაშაულს გრძნობდა და ცოლთან საჭირო სიმტკიცეს ვერ იჩენდა. რა თქმა უნდა, ვერ იტანდა ირმას გარეგარე სიარულს, სანებლიძესთან გაშინაურებას, მაგრამ ამას გადაპრით ვერ უკრძალავდა, რადგან სინდისი ქენჭნიდა. ერთი-ორჯერ გადაკვრით, ქარაგმულად უსაყვედურა კიდევ, მაგრამ ირმამ ეს ისე ითავილა, ისე შემოწყრა, სანამ

ელიზბარმა არ მოუბოდიშა, ხმა აღარ გასცა.

რაკილა ორივე ცოდვილი იყო, ერთ-მანეთს ბევრ რამეს უთმობდნენ და, რაც არ უნდა უსიამოვნება მოსვლოდათ, უმალ შერიგდებოდნენ ხოლმე...

პირველ ხანებში სანებლიძეს ირმას სინორჩე და სილამაზე ალაგზნებდა. მერე ეს განცდა, მისი ღრმა რწმენით, წამდვილ სიყვარულად გადაიქცა.

რაკილა თამარი გრძნობდა მოახლოებულ საშიშროებას, ქმარს უფრო ეხმატებოდა, ბევრ რამეს ითმენდა, ეგუებოდა. ის კი არა, თითქოს ბავშვებიც მიხედვრილი არიან ამასო, მამას თვალწარბში შესციცინებდნენ და სულ იმას ცდილობდნენ რამენაირად ესიამოვნებინათ, მისი გული მოეგოთ.

ოჯახური სიტუაციით დამთვრალი სანებლიძე ხანდახან გაიფიქრებდა ხოლმე, ჩემი ცოლ-შვილის პატრონს ნეტავი საიდან მებადება ასეთი უგუნური სურვილებიო. გადააბიჯებდა თუ არა სახლის ზღურბლს, ცოლ-შვილიც ავიწყდებოდა, ოჯახური მოვალეობაც. ირმასთან ყოფნისას კი ფიქრობდა, ამ ქალის გულისათვის ღირს ყველანაირი სისულელის ჩადენაო.

ხანში შესულ მამაკაცებს ერთი მხრიდან სიყვარული რომ შეუფერებათ, მეორე მხრიდან ჭკუა ეპარებათ. ყოვლის-შემძლე გრძნობა ახლებთ, აახალგაზრდავებთ, იმედებით აღავსებთ, თუნდაც საიმედო არაფერი ჰქონდეთ. ამასთან თავიანთ მოგვიანებულ გატაცებაში უზენოს ვერაფერს ხედავენ.

სანებლიძე სინდისის წინაშე თავს იმით იმართლებდა, ვითომ ირმა პირველი ქალი იყო, რომელიც მას წამდვილად უყვარდა.

იგი ღრმად იყო დარწმუნებული თავის გრძნობების გულწრფელობაში, რასაც ირმას ყოველ ნაბიჯზე უმტკიცებდა. თანაც იმას შესჩიოდა, ძნელია ჩემი ხნის კაცისათვის ქურდულად აქეთ-იქით სიარული. აღარც ცოლის მო-

ტყუება შემძლია, აღარც ამდენი თვალთმაქცობა. მზად ვარ ოჯახს თავი მივანებო და შენ გაგზადო... ჩემს კანონიერ მეუღლედო.

ირმა არ თანხმდებოდა, ორივესათვის ძნელი იქნება ასეთი ნაბიჯის გადადგმაო. გულის სიღრმეში კი უხაროდა, სანებლიძე მისი გულისთვის ასეთი დიდი მსხვერპლის გაღებას რომ არ ერიდებოდა.

— ეს შენს კარგ ქალობაზე მეტყველებს! — ეუბნებოდა სანებლიძე. — ის დედა, რომელიც შვილს მიატოვებს, აღარც შვილის ღირსია, აღარც — ქმრისა. ამას არცა ვთხოვ, გიაც ჩემთან იქნება. საკუთარი შვილივით მეყვარება. ზრუნვა-პატრონობას არ მოვაკლებ. მის ღიმილსა და თვალთა ციმციმში ხომ შენი ბავშვობა მესახება!

ქალი დუმდა, გულში კი ფიქრობდა, რა კეთილი, გულისხმიერია ეს ადამიანი. მარტო ჩემზე კი არა, ჩემს შვილზეც როგორ ზრუნავს. ვინ იცის, იქნებ ასეთი გავლენიანი, სახელოვანი კაცის მფარველობა უმჯობესიც ფოს გიას მომავლისათვის? ან მე, ან ჩემი ქმარი რას წარმოვადგენთ? პაიკები ვართ, უძლურნი და უსუსურნიო.

— რა ექნა, ბუნებით ეგოისტი ვარ! — უმტკიცებდა სანებლიძე — მხოლოდ ჩემი უნდა იყო, საზიარო სიყვარული კი არა, სიკვდილიც არ მინდა.

ირმა მაინც უარობდა, ნუ მთხოვ იმას, რისი გაკეთებაც არ შემძლიაო.

სანებლიძე ისევდაისევ აცივდებოდა... თავგამოდებით უტევდა ირმას, სააღურსო სიტყვების კორიანტელში ახრჩობდა, სულს არ ათქმევინებდა.

ეპ, ქალის გულო, ბუნებით კეთილო, ჩვილო, მგრძნობიარე, შემბრალებელო! მხოლოდ ეს არის მიზეზი, რომ იოლად მიღიხარ დათმობაზე!

ირმა დღითიდღე სანებლიძისადმი სიბრალულით იმსჯელებოდა... სიბრალულიდან სიყვარულამდე კი ერთი ნაბიჯია.

— რაც გინდა, ყველაფერს შეგისრულებ, ოღონდ ნუ მთხოვ ქმარ-შვილი-

მიატოვეო. — ეუბნებოდა ქალი კაცს.
— მაშ ეს მაინც მითხარი, გიყვარვარ თუ არა?

ირმა თანხმობის ნიშნად თავს ზრიდა. აღტაცებული სანებლიძე თვალწარბს უკოცნიდა. ქალიც მის კოცნას კოცნითვე უპასუხებდა.

— კიდევ ერთხელ, კიდევ, კიდევ! — ეხვეწებოდა სანებლიძე.

ირმაც ასრულებდა მის თხოვნას.
— ეპ, მაინც ეჭვი მეპარება შენს სიყვარულში! — ოხრავდა სანებლიძე.

— რატომ?
— იმიტომ, რომ ნამდვილი სიყვარულისთვის არაფერს იშურებენ!

საქმე დღითიდღე მწვავდებოდა. ქალს უჭირდა კაცის მოგერიება. გულუხვი დაპირებები გულს უღობდა, სანებლიძის საჩინო მდგომარეობა საზოგადოებაში ხიბლავდა. განუზომელ ნეტარებას ჰგვრიდა იმის წარმოდგენა, რომ ამ კაცის ხელში შეძლებულად იცხოვრებდა.

ქმრის რწმენა კი დღითიდღე ეკარგებოდა, მისადმი სულ უფრო გულგრილი ხდებოდა.

თვითონ ელიზბარიც შეიცვალა. გახდა, მხრებში ოდნავ მოიღუნა, ხელები თითქო დაუგრძელდა. ერთადერთ იაფფასიან კოსტუმს იშვიათადღა იუთოვებდა, რამაც მისი სიძველე თვალშისაცემი გახადა, ტანზეც ხალუათად ადგა, შარვლის უბე ცოტა ჩასთრევდა კიდევ. თურმე ქალებსაც მოსწონთ, კაცი რომ ხორცშესხმულია, შემოსულ ტაროსავით ჩენჩოში გამოჰქვილილი.

ირმა განსაკუთრებით იმაზე ღელავდა, რომ ელიზბარი მოეშვა, მოღუნდა, ხალისი წაერთვა. უფრო გულჩათხრობილი და უთქმელი გახდა. მთელი დღე გარეთ ფეხს არ ადგამდა, თითქოს ადამიანებთან შეხვედრას გაურბისო. გალიაში გამომწყვდეული დათვივით წინ და უკან დააბიჯებდა ოთახში. ან არადა, იჭდა თავჩაღუნული და გამტყრებული იატაკს დასცქეროდა. ერთიორჯერ ირმა შეეკითხა, რა გაქვს ამდენი საფიქრალიო. არაფერიო, ამბობდა

ელიზბარი. და, მართლაც, სრულიად არაფერზე ფიქრობდა, ფიქრის უნარიც წართმეოდა. ხშირად დანჯარასთან იდგა და ფარდასამოფარებული ქუჩას ვასცქეროდა. არც ის აკითხავდა ვინმეს, იმასაც არავინ ნახულობდა. აბა, ვის გაახსენდებოდა, ვის რაში ესაჭიროებოდა? არავინ ჰყავდა ახლობელი და გულშემატკივარი. აღარც ირმას ადევნებდა თვალყურს. როგორც არ უნდა დაეგვიანა, არ საყვედურობდა, სად ხარ აქამდეო. ხანდახან ქალი თვითონვე იმართლებდა თავს, აქა და აქ ვიყავი, იმიტომ შემაგვიანდაო, მაგრამ ქმარს ეს არ აინტერესებდა, მისგან ანგარიშს არ მოითხოვდა.

ირმა რამდენადაც გულგრილად ექცეოდა ქმარს, იმდენად გულთბილად ეპყრობოდა სანებლიძეს. ეს კი ლადის შეუძნეველი არ რჩებოდა. მან იცოდა, რომ ქალის გული მოგებული ჰქონდა. რა წამს მოიწადინებდა, შეეძლო დაუფლებოდა, მაგრამ თავს იკავებდა, ვაითუ, მერე სიყვარულის ცეცხლი გამინელდეს და იმ ნაბიჯის გადადგმა გამიძნელდეს, რამაც ირმა სამუდამოდ ჩემ საკუთრებად უნდა აქციოსო.

ახლა კაცი ქალს იმას კი არ ეკითხებოდა, თანახმა ხარ თუ არა, ქმარ-შვილი მიატოვო და ჩემი გახდეო, არამედ იმაზე მსჯელობდა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, რა გზას დასდგომოდნენ, რომ ეს საქმე მოხერხებულად და უხმაუროდ გაეხორციელებიათ.

— სრული ბედნიერების განცდისათვის უმჯობესია უცხო გარემო, — ამბობდა სანებლიძე — ამიტომაც, რომ ახლადშეუღლებულნი ნათესავეებსა და ახლობლებს გაურბიან. თავლის თვეს მოგზაურობაში ატარებენ. ჩვენც გავცილდეთ აქაურობას. ზელის შემშლელი არავინ გვეყოლება და ჩვენი ბედნიერების მეტი არაფერი გვეხსომება.

— მერე, სად უნდა წავიდეთ? — კითხულობდა ცნობისმოყვარეობააღმართული ქალი.

— ქვეყანა დიდი. ლენინგრადში ან

მოსკოვში გადაესახლდეთ. გინდა დროებით ვიცხოვროთ იქ, გინდა სამუდამოდ დავრჩეთ. ისეთი პროფესია მაქვს, სადაც არ უნდა წავიდე, ცხოვრება არ გამიჭირდება.

ქალი დუმდა...

— ყოველი წუთი ძვირფასია ჩემთვის, — არ ცხრებოდა კაცი — მე ხომ თითქმის ორი მესამედი სიცოცხლე გავლიე. შენი სიყვარულისათვის ერთი კი არა, ათი სიცოცხლეც არ ქმარა. ექ, სად ხარ, ჩემო სისხლქარბო სიკვამლე! მაშინ რომ შეგხვედროდი, ჩვენზე ბედნიერი წყვილი ქვეყანაზე არ იქნებოდა!

ეს რა აგმა სულმა დაუჩლუნგა გონება მის ქმარს?! აღარც მისი ერთდებდა, აღარც ხალხისა სცხვენი! ამ სამოახლე გოგოს გვერდიდან აღარ იცილებს, შეთქმით მანქანით დააქროლებს, ლამის ზედ გადაჰყვეს! იქნებ უბრალოდ, დროს სატარებლად დადის ლაღი ირმასთან?! ივლის, ისეირნებს, ეინს მოიკლავს და მერე თავს მიანებებს... ამას რა სჯობია, მაგრამ...

მეტისმეტად მგრძნობიარე, მიხვედრილი ყოფილა ეჭვით შეპყრობილი ქალის გული. ვის შეუძლია მასზე უკეთ ამოიკნოს სიყვარულის ნიშნები?! სანებლიძე ხომ მთლად გამოიკვალა. გაუზრბის, თავს არიდებს, მისი ყოველი მოქმედება მეტყველებს, რომ გონებით სხვაგან დაჰქრის.

იქნებ უკვე ქვეყანამ იცის მისი ქმრის გამოიწურების ამბავი?! ალბათ ქორს ქორზე კინძავენ ნაცნობები, მეზობლები, ახლობლები. ქმრებისა არ იყოს, ცოლებიც ხომ ყველაზე გვიან გებულობენ თავზე დატეხილ უბედურებას. ახია, ყველაფრის ღირსია. რატომ თავიდანვე ვერ გამოიკნო, თუ რა ზნისა და ხასიათისა იყო სანებლიძე?! ეტყობა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, უთუოდ ადრეც ატყუებდა. ამ ორი წლის წინ არ იყო, რომ ვიღაც ლამაზი ქალის ფოტოსურათი უნახა პორტფელში. სანებ-

ლიძე მის გვერდით იწვა სანაპიროზე. ქმარმა უთხრა, ჩემი ამხანაგის შვილია, თვითონ მამამ გადაგვიღო სურათი. მერე მეორე სურათი უჩვენა და ერთ შუახნის კაცს დაადო ხელი, აი, ესეც მისი მამაო. მანაც დაიჭრა. საერთოდ, ქმარს ბრმად ენდობოდა, მისი ყველაფერი სწამდა. ან სხვანაირად როგორ მოქცეულიყო. მას ხომ გულწრფელად უყვარდა ქმარი. და კუბოს ფიცრამდე ეყვარებოდა, რომ ასე არ ემუხთლა, სხვაზე არ გაეცვალა!

ის რომ კარგი ქალი იყოს, თავზე ლაღი უნდა დაასხას, გააკიცხოს, ოჯახიდან გააძევოს. ან არადა სამაგიერო მიუზღას, შუბლზე რქები დაადგას. არა, ასეთი რამ არ შეუძლია. ასე მხოლოდ ქვენა, ცხოველური ვნებით აღტყინებული ქალი მოიქცევა. ის კი დედაა, ქმარ-შვილის პატრონი და არასოდეს დაკარგავს შვილების თვალბეჭეცის უფლებას. ეს რა მუხთალი ყოფილა ცხოვრება, ეს რა უბედურება დაატყდა თავს! ეჭვის ჭია გულს უღრღნის, ახრჩობს, სულს უხუთავს! მორჩა, დუმილი აღარ შეუძლია, ხმას ამიძლებს, ქმარს პასუხს მოსთხოვს!

იმ ღამეს სანებლიძეს ჩვეულებრივად დააგვიანდა. ბავშვები და თამარი უკვე იწვნენ, სინათლე არ აუნთია, ისე გაიხადა და დაწვა.

„თავისივე სახლში ქურდულად დადის!“ — გაიფიქრა თამარმა და უნდოდა ქმრისთვისაც მიეხალა პირში, მაგრამ თავი შეიკავა. ისედაც უძილობა დამჩემდა, ახლა რომ თავი გავინერვიულო, ღამეს თეთრად გავათენებო.

ქმარმა კი, ბალიშზე თავის მიდებისთანავე, ხერინვა ამოუშვა.

„აი, უღარდელი კაცი, რა უცებ ჩაედინა თუმცა ჩემი არ იყოს, იქნებ თავს იმძინარებს!“ — გულში თქვა თამარმა და სურვილი აღეძრა, გაეგო, მართლა ეძინა თუ არა ქმარს. მის მხარეს გადაბრუნდა და წასჩურჩულა:

— გძინავს?
ქმარმა ხმა არ გასცა, თუმცა ქალი

მიხვდა, რომ იგი დაიძაბა, თითქოს იმის ფიქრშია, გავცე თუ არა პასუხიო.

თამარმა ახლა ხელით შეანჯღრია.

— რა თავს იმძინარებ, ხმა ამოიღე!

— რა გინდა? — იკითხა კაცმა ყალბი ზმორებით.

— ველარ ვიტან შენს საქციელს, აღარ შემიძლია ასე!

— ვერაფერი გამივია, რა არ შეგიძლია?

— ის, რომ ოჯახი აღარ გახსოვს, დილით გადიხარ და შუალამისას შემოდინხარ!

— მაშ საღამოთი გავალ და დილით შემოვალ! — და კაცმა უდარდელად გაიცინა.

— შენ ისეთი ჭკუისა ხარ, არც ეს გაგიკვირდება! ამ ხნის კაცს როგორ არ გრცხვენია, რომ იმ ტუტრუცანას თავს უტოლებ?! —

— ვინ შენა და ვინ ასეთი ლაპარაკი. იქნებ შენს არსებაში სხვამ დაიღო ბინა?!

— ნეტავი რად გვირდება ამდენი თვალთმაქცობა. განა არა სჯობია პირდაპირ მითხრა, რა გინდა, რა განგიზრახავს?!

კაცი მცირეხანს ყოყმანობდა, თითქოს რაღაცის თქმაც უნდა, და არც უნდაო. ბოლოს სული მოითქვა და თქვა:

— მე უკვე გითხარი!

— არა, არ გითქვამს, როგორ არ გრცხვენია, კიდევ რომ ცბიერობ?! ვის ატყუებ, შენი გულის მოკვლა არ მინდოდაო?! შენ დუმდი, რადგან მშიშარა ხარ, მხდალი! აი ახლაც არ გყოფნის გამბედაობა იყო გულახდილი და პირდაპირი!

— გეყოფა დაცინვა... საქმეზე ვილაპარაკოთ.

— შენ რა, ეს საქმედ მიგაჩნია?

— რასაკვირველია, ეს ჩემი სასიცოცხლო საქმეა!

— ჰმ, ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა ჭკუაზე შეშლილხარ!

— რა საჭიროა ასე გამოვჩვევით ლაპარაკი, მოდი და, გონიერულად ვიმ-

სჯელოთ! თითქმის ათი წელსა, რაც ვიქორწინეთ. სიმართლე მითხარა, ჩემს ხელში თვლიდი თუ არა თავს ბედნიერად?

— კი არ ვთვლიდი, ქვეყნად ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულებოდა! ამას ხმამალღაც ვლალადებდი. ეს არაერთხელ შენთვისაც მითქვამს.

— რად ვიცბიერო, მეც თავი ბედნიერად მიმაჩნდა!

— გიყვარდი, არა?

— ჰო, ასე მეგონა.

— როგორ თუ გეგონა?! მაშ, რა ტომლა შეფიცებოდი, მთელი გზნებით, მთელი გატაცებით მიყვარხარო? — თან ქალმა გაიფიქრა, მორჩა, ყველაფერი დამთავრებულია, რიღას იმედი უნდა მქონდეს, როცა ამას ასე აშკარად მეუბნებაო.

— ეტყობა ვცდებოდი, მაშინ არ ვიცოდი რა იყო ნამდვილი სიყვარული!

— ცბიერი ყოფილხარ!

— ცბიერიცა ვარ, ვერაგიც, გაიძვე-რაც, რაც გინდა, მიწოდე, მაგრამ...

— გაჩუმდი! ვიცი რა ენის პატრონიცა ხარ! ახლა თავს უმანკო კრავად წარმომიდგენ!

— თავის გამართლებას არ ვაპირებ, ცოლდელი ვარ, მაგრამ მინდა იცოდე, ჩემზე უფრო კაცის მოდგმა, კაცის ჯილაგია დამნაშავე. რალანაირად არ ვებრძოდი ამ გრძნობას, ვცდილობდი როგორმე უკუშეგდო, თავიდან მომეცილებინა, მაგრამ ძალა არ მეყო, ნებისყოფამ მიმტყუნა!

— ნებისყოფამ კი არა, შენ უმტყუნე ოჯახს, ცოლ-შვილს, საკუთარ სინდისს! კაცი, რომელიც თავისი სიამოვნებისათვის შეილებს გაიმეტებს, მამა კი არა, ჯალათია!

— ესეც მაკადრე?! ამიერიდან შეუძლებელია ჩვენი ერთად ყოფნა! — და სანებლიძე ლოგინში წამოჯდა, მაგიდის ლამპა აანთო.

— ჩააქრე შუქი! — შესძახა თამარმა. — შენი თვლების დანახვა არ მინდა. ისიც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, ან აქამდე რად შეგალიე სი-

ცოცხლე! სულ იმის ფიქრში ვიყავი, რა გამეკეთებია ისეთი, რომ შენ გეთქვა, აი, როგორ ვუყვარვარო, შენ კი, თურმე, რა ვერაგი, რა დაუნდობელი ყოფილხარ!

— თამარ, გთხოვ გამიგო, მამატიო!

— შე რომ კიდევაც გაპატიო, რა პასუხს აძლევ შეილებს?!

— შეილებს ჩიტის რძესაც არ მოვაცლებ!

— იმათ ჩიტის რძე კი არა, მამა უნდათ, მამა!

— ყოველთვის მათი მოსიყვარულე მამა ვიქნები!

— მაშასადამე, მხოლოდ მე გძულვარ, მე გამიბრბინარ. რა დაგიშავე, რას მერჩი?! ყოველივე, რაც კი ჩემში ძვირფასი იყო, მსხვერპლად შენ მოგიტანე: სული თუ ხორცი, ახალგაზრდობა თუ უმანკობა! ასე მიხვდი სამაგიეროს? სად არის შენი სინიღისი, სად არის შენი ადამიანობა?!

— განა, შენ თვითონ მოისურვებდი გეცხოვრა კაცთან, რომელსაც აღარ უყვარხარ? ბუნებრივია, დღეს არა, ხვალ შენც შეიძულე?!

— ფარისევლობით, გარყვნილობით შესძლებ ჩემზე ლამაზი ქალის შებილწულ სარეცელში დრუნჩის წაყოფას, მაგრამ ვერასოდეს ვერ ეღირსები ისეთ ქეშმარიტ, გულწრფელ სიყვარულს, როგორიც ჩემი სიყვარული იყო შენდამი. სამართლიანობა მოგიზღავს სამაგიეროს. დღეს თუ ზურგს მაჭკევ, ხელსა მკრავ, ხვალ ასევე მოგექცევიან შენ. მარტოობასა და გაჭირებაში ამოგზდებ ცოდვილი სული! ზიზღისა და წყევლა-კრულვის ღირსი ხარ, მაგრამ მაინც არ გწყველი! ადამიანს, რომელიც ჩემთვის ყველაფერი იყო, საწყველად და სამიწად ვერ გავიმეტებ! თმცა ერთი რამ მასულდგმულებს, მამხნევეებს, მიამედებს: ქალებმა თავდავიწყებით იციან სიყვარული, მაგრამ იციან საშინელი სიძულვილიც. რაკილა ასე გძულვარ, როგორმე მეც შეგიძულე. რაღა სინიღისით მომწოლხარ გვერდით, გამეცა-ლე, მომწყდი თავიდან!

სანებლიძე ერთბაშად წამოდგა, სკამზე დაწყობილი ტანსაცმელი მთხვევტა და სწრაფი ნაბიჯით გაეშრდა მცოცრე ოთახში.

თამარს არაერთხელ უნდოდა ირმას ქმარი გაეფრთხილებინა, ცოლს თვალყური ადევნეო, მაგრამ ის აფიქრებდა, ვითუ ეს ამბავი ახალგაზრდა კაცმა მძიმედ განიცადოს და მეტოქეს რაიმე უბედურება აუტეხოს. რაც არ უნდა იყოს, ლაღი მამაა ჩემი შეილებისაო.

იმ ღამის შემდეგ კი, როცა სანებლიძემ ყველაფერი ასე გულახდილად აღიარა, მის გულში ერთბაშად გაღვივდა შელახული თავმოყვარეობის ნაპერწყალი.

ნეტავი რაღას ელოლიავება?! როცა ლაღიმ ასე შეუბრალებლად გასწირა, იმანაც უნდა გული მოუკლას, მორალურად მოსკოს, გაანადგუროს!

ასე კი მსჯელობდა თამარი, მაგრამ გულის სიდრმეში მაინც ებრალებოდა ქმარი. განა თავისი უბედურება არ ეყოფა ლაღის?! ისედაც მოლიბულ გზას ადგია და, დღეს იქნება თუ ხვალ, უფსკრულში გადაიჩეხება. ესეც რომ არა, ჩხუბითა და დავით რას მიაღწევს?! რაკი დაირღვა მეგობრობა, მოკვდა სიყვარული, ორივესათვის აუტანელი იქნება ერთად ცხოვრება. სიყვარულს ადამიანს თავზე ვერ მოახვევ! ეს ისეთი გრძნობაა ძალდატანებით ვერაფერს გახდები!. ისე კი, რა ცვალებადი ყოფილა კაცის გული?! ეგონა ლაღი თავს ანაცვლებდა, არავისზე გასცვლოდა. ნუთუ ყველაფერი ყალბი იყო, მოჩვენებითი?! საოცარია! კაცი დაბერდა და ახლა მონიღომა რომანების გაბმა. ეტყობა, ყმაწვილკაცობისდროინდელი თვისებები სიბერის ემს თავს იჩენს ხოლმე ადამიანში. ახლა ზოგი სანებლიძეს ჰკითხოს, როგორი მოხუცია! ამ კაცის უბედურება ის კი არ არის, რომ ბერდება, არამედ ის არის, რომ თავი ისევ ჭაბუკი ჰგონია და ჰქუაყ ისევ ახალგაზრდული მოსდევს. თან სულით-

ხორცამდე რა წამხდარი ყოფილა. ის კი მას ენდობოდა, სპეტაკ ადამიანად მიაჩნდა. აბა სხვანაირად როგორ შეიძლება ყოფილიყო?! ქმრებს ხომ ის ქალები არ ენდობიან, ვინც თავად არ იმსახურებენ ნდობას! გული იმაზე უფრო უკვდება, რატომ შეცდა, რატომ დაუკავშირა ამ მატყუარა კაცს თავისი ცხოვრება, რატომ თავიდანვე ვერ ამოიცნო, თუ რა ზნისა და ხასიათისა იყო!

ნუთუ ლადიმ არ იცის, ასე უსიკრცვილოდ, ასე უსინდისოდ ხელს რომ ჰკრავს, რა განსაცდელში აგდებს თავის შვილების დედას?!

რამდენი გაჭირვება, მწუხარება, ცრემლი და ნაღველი მოელის! ვილას ჩაღად უნდა ორი შვილის დედა. ის ხომ ის აღარ არის, რაც იყო. აღარც ის იერი აქვს, აღარც ის სილამაზე! ისე ეჩვენება, თითქოს რაიმე მიგდებული ნივთია, გამოუყენებელი, ყველასაგან მივიწყებული! ნუთუ ყველაფერი დამთავრდა?! სიზმარი, სწრაფწარმავალი სიზმარი ყოფილა ადამიანის სიცოცხლე! უქმროდ და უსიყვარულოდ, ალბათ, ფუჭი და არარაობა იქნება ცხოვრება. რა შემადარწუნებელია იმის გაფიქრება, რომ აღარ ეყოლება მეგობარი, ვინც მის წუხილს გაიზიარებს. თანაგრძნობას გაუწევს, გულს გაუმაგრებს, ჭირსა და ლხინში გვერდით ამოუდგება! თან რა უმწეო, უსუსურ არსებად ესახება თავი. ნეტავი, რაღა ფასი აქვს მის სიცოცხლეს, უმჯობესია მოკვდეს და მოისვენოს?!

აქ ერთი წუთით შეჩერდა ქალის გონება. მერე თვალები დახუჭა, იქნებ სიბნელეში იმედის მცირედ შუქს მაინც მიაგველიო. და უცებ მომცინარე შვილები წარმოუდგნენ თვალწინ, მათი ხმაც შემოესმა: „დედიკო ჩემია! არა, დედიკო ჩემია!“ ისინი ხომ ხშირად ასე ედავებოდნენ ერთმანეთს, თანაც ეჯიბრებოდნენ, რომელი უფრო მაგრად ჩაეკვროდა მკერდში. და თვალბაცრემლებულმა თამარმა, თითქოს

ვილაცის გამოსაჯერებლად, ხმამალა შესძახა:

— არა, არა! სიკვდილს! უკუწურება! მე დედა ვარ, ორი შვილი გასაზრდელი მყავს! ამიერიდან მე უნდა ვიყო მათი დედაც და მამაც, ამიტომ ორმაგად მმართებს დიდსულოვნება და წინდახედულება!

ასე როგორ მივიწყა?! რახანია აღარც ინახულა, აღარც დაურეკა! თურმე სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ. ალბათ აქეთ-იქით დადის, გაწამაწამია. ნუთუ დახმარება მაინც არა სჭირდება?! ისეთი მორიდებულია, ვერ უბედავს! რა დაშავდება, რომ თავად მიაკითხოს, მისი ასავალ-დასავალი გაიგოს, ხელი გაუწოდოს! — ხშირად ფიქრობდა ვერიკო.

ქალს სულ უფრო უმძაფრდებოდა ელიზბარის ნახვის უნაღი. მექანიკურ საამქროში გაიგო, რომ იგი მათ მეზობლად ცხოვრობდა, ფალიაშვილის ქუჩაზე.

ელიზბარი რომ მარტოხელა იყოს, პირდაპირ კარზე მიადგება და ეტყვის, შენი ამბის გასაგებად მოვედიო. ცოლშვილიან კაცთან კი აბა როგორ მივიდეს? ვაითუ, იმის ცოლს ეჭვები აღუძრას, თან ელიზბარმა კიდევ მეტად დაიფასოს თავი?

ვერიკომ გარეთ სიარულს მოუხშირა, უკეთესია, ვაჟს ქუჩაში შეეხვდეს, სხვა რომ არაფერი, ხელის შემშლელი არავინ გვეყოლება, გულახდილად ვისაუბრებთო.

ორ დღეს მის ცდას შედეგი არ გამოუღია, მესამე დღეს კი... თუმცა სჯობია, ყველაფერი ისე აღწეროთ, როგორც იყო.

სექტემბრის გრილი საღამო იდგა. ვერიკო ახალმორწყულ ფილაქანზე ლაღად, მსუბუქად მიაბიჯებდა. ბედნიერებით გაფურჩქნული სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ყვითელი ყვავილებით მოჩითული შავი კაბა, ტანზე მჭიდროდ რომ ადგა, უფრო უშუალოსა და მიმზიდველს ხდიდა ქალის მოხ-

დენილ ტანს. მისი დანახვისას კაცი იფიქრებდა, საცეკვაოდ გასვლას აპირებს, ფეხი უკვე მუსიკისათვის აუყოლებია და საცაა ხელუბსაც გაშლისო.

ღიახ, მიდიოდა და მიცეკვავდა. უცებ ქუჩის მეორე მხარეს, ოთხსართულიანი სახლის ბელეტაჟის ფანჯარაში ელიზბარს შეასწრო თვალი. ვაჟი გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა, ის არის თუ არაო. იგი, ეტყობა, მიხვდა, რომ ქალმა თვალი შეასწრო, უკან დაიხია.

ქალმა მზერა კი აარიდა ფანჯარას, მაგრამ გრძნობდა, რომ ვაჟი ისევ უთვალთვალავდა.

ვაჟს ქალის დანახვისთანავე გულში გაჰკრა, ეს როგორ ვაახალგაზრდავებულა, დამშვენებულაო.

ქალი კი ფიქრობდა, ნეტავი რა დაემართა, ასე რომ გამხდარა და გაფერმკრთალებულაო.

ერთმანეთისთვის ხეირიანად არც შეუხედავთ, მაგრამ თითქოს რაღაც უხილავი ნიშნებით შეთანხმდნენ, რომ ვერიკო რიგის ქუჩით ჭავჭავაძის პროსპექტზე გავიდოდა, ელიზბარი კი პარალელური ქუჩით წინ უყვლებდა.

ვაჟი ერთხანს ყოყმანობდა. რაც იყო-იყო, ახლა მაინც საქიროა თავის შეკავება, ვისაც უნდა ცოლი ერთგული ჰყავდეს, თვითონაც ერთგული ქმარი უნდა იყოსო. მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა გარეთ მიაქანებდა. ბოლოს თავი დაირწმუნა, ვითომ ვერიკოს შესახვედრად კი არა, რახანია გარეთ ფეხი არ გამოდგამს, ქალაქში გავივლი, იქნებ ვინმე ნაცნობს გადავეყარო და ჩემი გასაჭირი შევჩივლოო.

მარგალიტა კი გააფრთხილა, ირმამ რატომღაც შეიგვიანა, საავადმყოფოში დავრეკავ და გავიგებ, რაშია საქმეო.

სწრაფად ჩაიცივა, გარეთ გავარდა და რიგის ქუჩის კუთხესთან მიიბრინა.

ვერიკო არ ჩანდა. ვითომ გაეხარდა კიდევ, თავისუფლად ამოისუნთქა, კარგია, რომ ვერ წამოვეწიე, ნეტა თავი საიდანმე არ გამოყოს, ახლავე აქაურობას უნდა გავცილდყო.

შეჩერდა, უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ისევ წინ გადააბიჯა. თან ორივე მხარეს ტროტუარზე ხალხს აცქერდებოდა, მაღაზიებშიც იხედებოდა. მოდების ატელიესთან შეჩერდა. თითის წვერებზე შედგა, ფარდის ზემოდან ცდილობდა შიგ შეხედვას.

უცებ კარი გაიღო და ისინი პირისპირ აღმოჩნდნენ. ცალკე მოულოდნელი შეხვედრით, ცალკე ქალის ანთებული თვალებით დაბნეულმა ვაჟმა საღმის მიცემაც ვერ მოახერხა.

ვერიკოს ასეთ რამეებში გამოცდილება არ აქვდა, ვაჟი რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა, გაუცინა და პირველი მიესალმა.

— გამარჯობა, ელიზბარ, ეს როგორ შეცვლილხარ, უცებ ვეღარც გიცანი.

— გაგიმარჯოს, ვერიკო! ჩამოვარდა დღემილი.

— რას გავჩერებულვართ, გავიართო! ელიზბარი დაწინაურებულ ქალს უხმოდ გაჰყვა.

ვერიკო ათას რამეს ჰყვებოდა, იცინოდა.

ელიზბარი მისი ნათქვამიდან ნახევარსაც ვერ გებულობდა, შიშს აეტანა, ვინც ჩემი ამბავი იცის, რომ დამინახოს, რას იტყვის, ანდა ირმამ რომ თვალი მომკრას, რა პასუხი გავცე, რითი ვიმართლო თავიო.

კაფე „ცისკარს“ რომ ჩაუარეს, უცებ ელიზბარმა დარბაზში ირმა და სანებლიძე დაინახა, ნაყინს შეექცეოდნენ.

ირმა თვალბში შესცივინებდა კაცს. ეს უკანასკნელი, ეტყობა, რაღაც სასაცილო ამბავს უყვებოდა, რომ ქალმა გულიანად გაიცინა.

ვაჟს წამით თვალთ დაუბნელდა, შეჩერდა, ნაბიჯის გადადგმა უჭირდა.

— რას შეჩერდი? — შეეკითხა ქალი.

ვაჟმა არაფერი უპასუხა.

— გინდა კაფეში შევიდეთ, ნაყინი ვჭამოთ! — თქვა ქალმა.

ვაჟმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— არც მე მინდა. შენი გულისათვის მოვიდნომე.

როცა კაფეს ვასცდნენ, ვაჟმა მორიდებით თქვა:

— მაპატიე, ბავშვი მოხუცის ამარა დავტოვე, პურის საყიდლად გამოვედი, ახლავე შინ უნდა მივბრუნდე.

— როგორც გენებოს.

ელიზბარმა შებრუნებაც ვერ მოასწრო, რომ ქალმა თქვა:

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ ერთმანეთს ვერაფერი ვუთხარით. შენ თუ არ გაინტერესებს ჩემი ამბავი, მე მინდა ვიცოდე, როგორ ხარ, რას საქმიანობ. იქნებ, ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს?! თუ გინდ, წყნეთში ამოდი! ამ საღამოთი დიმიტრი საში დღით ქუთაისში მიდის.

— ვერ შეგპირდები!

— იქნებ ზეგ მაინც მოიცალო?!
— ზეგ სოფელში მივდივარ!

— აბა, კარგად ბრძანდებოდე, რაღას აგვიანებ, სახლში ცოლი მიგელის, კაბის კალთაზე ჩამოეკიდე, არავინ მოგტაცოს.

ელიზბარი უკან გაბრუნდა. მოედანს შემოუარა, კაფეს მოპირდაპირე მხარეს, გაზონებზე, ბუჩქებს ამოეფარა. მხოლოდ ახლა შენიშნა, კაფეს წინ სანებლიძის ვოლგა.

ირმას და სანებლიძეს უთვალთვალედა, გული უღონდებოდა. ნეტავ რად მითხრა ვერიკომ, ცოლს კაბაზე ჩამოეკიდე, არავინ მოგტაცოსო, ან აგდებით რატომ ჩაიციანა?! უცებ მარგალიტას სიტყვებიც გაახსენდა, რამდენადაც ცოლია ლამაზი, ორი იმდენად ქმარი უნდა იყოს ფრთხილიო.

ჩანს, მის თავზე რაღაც უბედურებაა. სხვებმა ყველაფერი იციან, თვითონ კი ბაიბურში არ არის. მერე ვინ არის დამნაშავე?! რატომ აძლედა ირმას თავისუფლებას, რატომ არ უკრძალავდა სანებლიძესთან სიარულს? როგორ არ იცოდა, რომ ქალისა და კაცის ასეთ დაახლოებაში უთუოდ სხვა რამ იმალება. სანებლიძეც ხომ ისეთივე მამაკაცია როგორც სხვები. ყველა მამაკაცი იმას

ცდილობს, რამენაირად ხელში ჩაიგდოს ლამაზი ქალი!

ამასობაში სანებლიძე და ირმა კაფედან გამოვიდნენ, ჩასხდნენ მანქანაში და ვაკის პარკისკენ გასწიეს.

„ნეტავი აქეთ საით მიდიან? — უცებ თავზარდამცემმა ფიქრმა გაჰკრა გულში, საფარიდან გამოვარდა, ტაქსში ჩაჯდა და მძღოლს ხელით უჩვენა, ვაკის პარკისაკენ წამიყვანეო.

ახალშებინდებულ იყო. ჯერ ქუჩებში შუქი არ ენთო, ამიტომ უფრო გარკვევით მოჩანდა სანებლიძის მანქანის წითლად ანთებული ფარები.

„ალბათ საბურთალოსკენ გაუხვევენ!“ — ინუგეშებდა თავს და თვალს არ აცილებდა წითელ ფარებს.

გზაჯვარედინზე მანქანამ მარცხნივ შემოუხვეია და ვაკის სასაფლაოსკენ გაიქრა.

— „ალბათ ჰაერზე გაისეირნებენ და უკან გამობრუნდებიან“. გაიფიქრა და უცებ გაახსენდა, რომ ჯიბეში სულ რაღაც სამი აბაზი ედო.

ვინ იცის, იქნებ ისიც აღარ აქვს?

ხელი ფრთხილად ჩაიყო ჯიბეში და ფული გადათვალა.

ამასობაში მრიცხველმა ორმოცი კაპიკი ჩამოყარა.

— თუ ძმა ხარ, აქ გააჩერე! — უთხრა მძღოლს და ფული გაუწოდა.

დაიშვებულმა, მგზავრი მანეთს მომცემსო, მძღოლმა უკან მიუხედავად ცერი და საჩვენებელი თითი გაიშვირა, მგზავრს ხურდა ფული უხალისოდ გამოართვა და ყუთში ისე ჩაყარა, არც დაუხედავს. თან მანქანა სწრაფად მოაბრუნა და ელიზბარს დაცინვით უთხრა:

— შე კაი კაცო, აქ რაღა მოგარბენინებდა, სასაფლაოსთან არ იყო, რომ გამოგატარე, ბარემ იქ ჩამომხტარიყავი!

ელიზბარი გზიდან გადავიდა და ბუჩქებს შეერია, რადგან მოსახვევიდან გამოჭრილი მანქანა რატომღაც სანებლიძისას მიამსგავსა, ეგონა, მისი ვარაუდი, ირმამ და სანებლიძემ ჰაერზე გამოი-

სეირნესო, მართლდებოდა, მაგრამ მანქანა სხვისი გამოდგა.

როგორც კი გზაზე გავიდა, მოსახვევში ისევ მანქანის შუქმა გამოანათა. ეს კი ნამდვილად ისინი არიანო, დაბეჭითებით თქვა, მაგრამ ამჯერადაც იმედი გაუტრუვედა.

ოციორდ ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, რომ მანქანის გაბღვრილებულმა ფარებმა თვალები დაუბნელა. ისევ გზიდან გადახტა. ახლო-მახლო არც ხე იდგა, არც ბუჩქები იყო, ბალახებში წაწვა და სახეზე ხელები აიფარა. ეს მანქანაც სხვისი გამოდგა. შიგ შექვიფიანებული ყმაწვილკაცები ისხდნენ და „აჰ, დანდალი, დანდალის“ მღეროდნენ.

მანქანები თბილისიდანაც მოდიოდნენ. ისინი რომ მიუახლოვდებოდნენ, გვერდზე გადადიოდა და თავჩაღუნული ვანაგრობდა გზას. მძღოლები გახანგრძლივებულ სიგნალს აძლევენ, თან სიჩქარეს უმატებდნენ, თითქოს ეშინიათ, მგზავრმა წაყვანა არა გვთხოვოს. ავტობუსიც წამოეწია, მაგრამ ელიზბარს შოფრისათვის წაყვანა არ უთხოვია. სჯობია ფეხით ვიარო, თორემ შეიძლება სანებლიძის მანქანამ ისე ჩაიაროს, ვერ დავიწახოო. დაიღალა, მუხლებში ძალა გამოეღია, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, აღმართზე წახრილი ძლივსლა მიაბიჯებდა. ქვემო წყნეთს რომ მიადგინა, ელნათურის ბოძთან შეჩერდა და საათს დახედა. ათი საათი სრულდებოდა.

წყნეთში კი ამოაღწია, მაგრამ საქმეის არის, ახლა სად ეძებოს ისინი?! შეიძლება სანებლიძის აგარაკზე მივიდნენ. იქნებ ბავშვის დაბადების დღეს იხდიან, ან რაიმე წვეულება აქვთ?! ჰოდა, ჯერ სანებლიძის აგარაკს მოსძებნის.

ერთხანს უძრავად იდგა, არ იცოდა, საით წასულიყო. იფიქრა, იფიქრა და, როგორც იყო, გაიხსენა, რომ რესტორნიდან ორმოცდაათიორდ ნაბიჯზე, მარჯვნივ, პატარა შუკა შედიოდა, შუკის ბოლოში კი სანებლიძის აგარაკი იყო.

პირველივე შემხედურმა მიაწყავლა,

სულ პირდაპირ იარე და რესტორანს წაადგებო.

რესტორანს გვერდით ჩაუარა, მარჯვნივ გაუხვია და ნაცნობი ორსართულიანი სახლი დაინახა. მხოლოდ ორი ფანჯრიდან გამოდიოდა შუქი, ეტყობა, მაგიდის ლამპა ენთოთ. მთელი კარმიდამო ჩაბნელებული იყო.

ფრთხილად მიაბიჯებდა. ეშინოდა, არავის დაენახა. აგარაკიდან მოშორებით შეჩერდა, იქნებ ეზოში სხედან და, რომ შემამჩნიონ, რას იტყვიან, ასე გვიან რომ ამოიყვანა, ან რა ქურდულად მოიპარებო.

ხუთიორდ წუთი იდგა. მთელი სხეული უკანკალებდა, თითქოს რაღაც საშინელი ამბის მოლოდინშიაო.

მალე ოთახში შუქი ჩაქრა და ორივე ფანჯარა ჩაბნელდა. მერე აივანის კარმა გაიჭრიალა. კიბეზე ფეხის ხმა გაისმა.

აქეთ-იქით იხედებოდა, თავშესაფარს ეძებდა, მაგრამ ორივე მხარეს ჩამწკრივებულ აგარაკებს რკინის ბადის ლობიები ერტყა.

ჭიშკარი ფრთხილად გაიღო, მერე მანქანის ძრავაც ახრიალდა.

ელიზბარი აქეთ ეცა, იქით ეცა, და, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, გზის პირას დამშრალ რუში ჩაწვა.

მანქანა ეზოდან უშუქრად გამოვიდა და ჭიშკარის შორიახლო შეჩერდა.

წინკარი ფრთხილად გაიღო და სანებლიძე გადმოვიდა. ჭიშკარი დახურა, კლიტე დაადო და ისევ საქვს მიუჭდა.

მანქანა რომ დაიძრა, ელიზბარი მიწას გაეკრა. უცებ ფარები აბღვრიალდა და ირგვლივ ყველაფერი განათდა.

როცა მანქანამ გვერდით ჩაუარა, გარკვევით დაინახა უკანა საჯდომის კუთხეში მიყუნქული ირმა. დაინახა და ერთბაშად შექანდნენ კოტეჯები, ცაზე ვარსკვლავები აირივნენ. მაგრამ ეს რაღაა?! რატომ ირტყამს სახეზე მუშტებს, ან რატომ ახლის თავს მიწას. ან ეს ვინღაა, ხმამაღლა რომ ღმუის?! თუ თვითონაა, რატომ ვერ სცნობს თავის ხმას, ამ იღუმალ წყვილიადში ასე შემზარავად რომ გაისმის. აგერ გზაზე მომა-

ვალი ძალი შეჩერდა, უცქირა, უცქირა ანთებული თვალებით და ბოლოს კუდამოძუებული უკან გაბრუნდა. მალი-მალ მისკენ იხედება. ოციოდენ ნაბიჯი რომ გაიარა, ერთბაშად მოჰკურცხლა და სიბნელეში გაუჩინარდა.

იგი როდის-როდის წამოდგა და ბორძიკით გაემართა შარავზისკენ.

ეჰ, ნეტავი ეს არ ენახა და თუგინდ მომკვდარიყო! თუმცა ისეთი რა ნახა? განა დღემდე არ იცოდა, რომ ირმა სანებლიძეს მისდევ-მოსდევდა?! ვილას ემდურის? ახია მასზე, რატომ თავიდანვე არ აუქრძალა ამ კაცთან სიარული?! თვითონვე სტყუის და მთლად არც სტყუის, როგორ იფიქრებდა, რომ ირმა ასე უსინდისოდ უმუხთლებდა?! ირმასთან ხომ არც თვითონ არის მართალი. როგორც იტყვიან, ორივე ბარი-ბარში არიან. იმ განსხვავებით, რომ მან იცის ცოლის უღირსი საქციელი, ირმა კი ბაიბურში არ არის. პირიქით რომ მომხდარიყო, ნეტა როგორ მოიქცეოდა ირმა?! ნუთუ შეეგუებოდა, სხვა ქალებივით მიუტევებდა?!

რესტორანთან შეჩერდა. ეზოში მანქანები შეათვალიერა. სანებლიძის ვოლგა რომ ვერ აღმოაჩინა, რესტორნის შესასვლელთან მივიდა. ერთი აურზაური იდგა შიგ. ვინ ხმამაღლა ლაპარაკობდა, ვინ სადღეგრძელოს ამბობდა, ვინ ხარხარებდა, ვინ კიდევ მღეროდა.

ელიზბარს არასოდეს ღვინის დალევა არ სდომებია, ახლა კი ისე ძლიერ მოუნდა, დათრობის სურვილი ისე გაბატონდა მის სულში, ლოთებს ღვინის დალევის წინ რომ ემართებათ ხოლმე. შესცქეროდა მაგიდებთან მსხდომ ადამიანებს და ფიქრობდა: აი, ცხოვრება ამათ დაიტრაბახონ, ქეიფობენ, მღერიან, იცინიან, დროს ატარებენ! აბა, მამ როგორ? ცხოვრება უნდა ღირდეს იმათ, რომ იცხოვრო! ეჰ, რატომ ფული არ აქვს, რომ ღვინოში ჩაყლას დარდი, მწუხარება! მცირე ხნით მაინც თავი ყოვლისშემძლედ და ბედნიერად წარმოიდგინოს!

— შენ, ეი, ძმობილო, რა თვალებს იბრკიავ! — მოესმა ვილაცის ხმა.

ელიზბარი მიმედ შეტრიალდა, ეგონა, ახლა იმასაც ეტყოდნენ, აქაურობას გასცილდით, ამიტომ ზურგს უკან გაჩერებულ მებუფეტეს, უაზროდ რომ იცინოდა, თვალი აარიდა და გვერდით ჩაუარა.

— რას გარბიხარ, ბიჭო, მოდი ღვინის შეტანა მიშველე, მალარიჩი იქნება! — მიმართა მებუფეტემ.

— კი, ბატონო, გიშველი! — მიუგო ელიზბარმა.

— იცოდე, სულ ოცი ყუთია. მერე სალაპარაკო რომ არ იყოს, წინასწარ გავრიგვეთ.

— იმდენი მომეცი, რომ ერთი ბოთლი ღვინის დალევა შემეძლოს.

— კეთილი, ღვინოსაც დაგაღვევინებ, კარგადაც გაქმევ და გამოსაზარხოშებელ ლუდის ფულსაც მოგცემ, სხვა რაღა გინდა.

— თქვენი კარგად ყოფნა!

ღვინის ყუთები სარდაფში ეწყო. პირველი ყუთის ატანაში მებუფეტეც დაეხმარა. კიბეზე ასვლისას ორჯერ მოითხოვა შესვენება, გულწამლებად წუწუნებდა, მოეხუცდი, ძალა გამომეღია, გული ყელში მეჩრებაო.

ელიზბარმა კიბეზე წარამარა დასვენებასა და ღიჯადმოგდებული კაცის გაუთავებელ წუწუნს ამჯობინა, ყუთები მარტო აეზიდა. გახარებული მებუფეტე ელიზბარს ყუთის მხარზე მოგდებაში ეხმარებოდა, თან ერთი და იმავეს გაიძახოდა, ყოჩაღ, ბიჭო, ჯან-ლონით სავსე ყოფილხარ, ორმაგი მაღარიჩი გეკუთვნისო.

მართლაც, ელიზბარი ყუთების აზიდვას რომ მორჩა, მებუფეტემ ორი ბოთლი ღვინო დაუდგა. ჯერ მწვანელი, ჯონჯლის მწილი, ყველი, ლობიო მიუტანა, მერე ერთი მწვადიც მოაყოლა.

ელიზბარს ლუქმაც არ ჩაუღია პირში, ისე გაავსო ნათალი ჭიქა ღვინით და არაყივით ერთბაშად გადაჰკრა. ზედპური და წიწმარის ღერი დაატანა. ორი

წუთის შემდეგ კიდევ დალია, ამჯერა-
დაც პურისა და წიწმანის მეტი არაფე-
რი დაუყოლებია.

სიამის მომგვრელმა მათრობელამ
გულ-მკერდში დაუარა, ნელ-ნელა ძარ-
ღებში გაებნა, სახსრებში გაუჭადა, წა-
ხალისდა, გამხნევდა, წელში გაიმართა.
ისე ეჩვენებოდა, თითქოს ირგვლივ
ყველაფერი განათდა, თვითონაც უფრო
წარმოსადგევი შეიქმნა, ძალ-ღონე შეე-
მატა, ყველასათვის შესაძინევი გახდა.

კიდევ დალია. ამჯერად მწვადი შეა-
ტანა და უმაღლესი კიჭაც გადაჭრა.
იმ კაცის სიხარბით სვამდა, დათრობა
რომ უნდა და ვერ თვრებდა. ბოლოს სიმ-
ღერის ხასიათზე მოვიდა და მოქეიფე
ყმაწვილკაცებს, „ჩემო ტკბილო მეგობ-
ბაროს“ რომ მღეროდნენ, ისიც აპყვა.

სიმღერა რომ დამთავრდა, მეზობელ
სუფრაზე თამადა წამოდგა.

— ბიჭებო, თქვენი კირიმეთ ხმაში,
ერთი სადღეგრძელოც მათქმევინეთ! —
დაიძახა მან და კიჭა მალღა ასწია, თით-
ქოს ღვინოს ფერს უსინჯავსო. — მო-
დით და, იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც
მარტო მისჯდომია მაგიდას და პურსა
სვამს. თუმცა ამას მარტობა არ დაერ-
ქმის. მაგიდაზე ხომ ორნი არიან: ისა
და ღვინო. ვენაცვალე ღვინის მომგონს.
ამაზე უკეთეს მეგობარს კაცი ვერ იშო-
ვის ქვეყანაზე! მოწყენილს ვაგამხიარ-
ულებს, დაცემულს ფეხზე წამოგაყე-
ნებს, მკვდარს ვაგაცოცხლებს, ერთი
სიტყვით, ღვინოა ჩვენი ღმერთი!

— არა ხარ მართალი, — შესძახა მე-
ორემ — ღვინო კაცს თავად აქცევს
ღმერთად!

— მაშ გაუმარჯოს, — განავრძო თა-
მადამ, — ჩვენს მეზობელ სუფრაზე
მოქეიფე ორ ღმერთს! — და ელიზბარ-
თან მივიდა, ჯერ თავაზიანად კიჭა საე-
სე ბოთლზე მიჯახუნა, ელიზბარსაც
კიჭაზე მიუქახუნა, მერე, კი ღვინის
ბოთლსა და ელიზბარს მიმართა. —
თქვენი კირიმეთ, ღმერთებო, თქვენი
გამარჯვებისა იყოს!

ელიზბარი ფეხზე წამოდგა და მად-
ლობა გადაუხადა.

თამადა ალავერდს სიმღერების წა-
მომწყებთან გადავიდა. იმანაც ვანმე-
თელობა და სიცოცხლე უსუტრეაქუნა-
ბარს, მერე მეგობრობაზე ჩამოაგდო
სიტყვა და ბოლოს ურჩია ცხოვრება
ისე აგწყოს, რომ უმეგობროდ არასო-
დეს პური არ გეჭამოსო, და სიტყვა ასე
დაამთავრა:

— ლოთები კი არ გეგონოთ, ჩვენც
საქმეს ვაკეთებთ, ვშრომობთ. ხელფა-
სის აღებისას კი ყოველთვის პატარა
პურსა გჭამთ! თვიდან თვემდე გვწყინ-
დება სიყალბე, ერთმანეთის ქება, გან-
დიდება. ადამიანები ხომ მხოლოდ სიმ-
თვრალეში ხდებიან გულწრფელნი?!
აი, ამიტომ ვეტანებთ ღვინოს. გვინდა
ხანდახან მაინც ვიყოთ ისეთნი, როგო-
რიც ღმერთმა შეგვქმნა: გულწრფელნი,
პირდაპირნი, უშიშარნი, სიმატლის
მოქმედნი! ეტყობა, შენ ჩვენზე უარეს
ბედში ხარ, მარტო რომ მისჯდომიხარ
სუფრას, გინდა შენ თავთან მაინც იყო
გულწრფელი, მართალი, მოურიდებე-
ლი. მაშ, ვაგიმარჯოს!

— კარგი სიტყვაა! — მოუწონა თა-
მადამ. — ჩემი საქმეც ასეა, ბიჭებო,
სიყრმეს გეფიცებით, ჩემს სიცოცხლეში
არ დაფრებოდნი, ღვინის გარეშე რომ
შემეძლოს რამენაირად თავდავიწყება.
გაუმარჯოს ღვინოს, ჩვენს ღმერთს,
ჩვენს მაცოცხლებელს!

და ასე, რიგრიგობით ყველამ ადღეგ-
რძელა ელიზბარი. რაღა არ უსურვეს,
ვიდას არ შეადარეს. ყველა იმას ურჩეე-
და, უმეგობროდ პური არ გეჭამოს,
უმეგობრო კაცი, რა კაცია, ამქვეყნად
მეგობრობის გარდა ყველაფერი იკარ-
გებო.

— თუ ძმა ხარ, მოდი, სუფრები გა-
ვაერთიანოთ, უფრო უკეთ ვილხენო,
ვიმხიარულებთ, ერთობაშია ძალა! —
შესთავაზა თამადამ ელიზბარს.

ელიზბარმა ჯერ იუარა, მაგრამ სიამა-
დლობელი რომ შესვა, მერე თვითონ-
ვე მიამოჩა თავისი მაგიდა იმათ მაგი-
დასთან. ყოველ კიჭას ძირამდე სცილი-
და, თან გულში იმეორებდა ეს-ეს არის
მოსმენილ სიტყვებს: ჩემს სიცოცხლე-

ში არასოდეს არ დავთვრებოდი, ღვინის გარეშე რამენაირად რომ შემეძლოს თავდავიწყება...

ღერეფანში ზარის ისეთი გაგრძელებული წკრიალი გაისმა, თითქოს ვიღაცას მძარცველები მოსდევნენ და ცდილობს სახლში თავი შეაღწიოსო.

ირმას ვალვიძებისთანავე გულში გაპკრა, ეს კარგს არაფერს მოასწავებს, ვითუ, თამარი მომეკრა, რომ მლანძლოს და მთათხორო. მაგრამ მაშინვე გაახსენდა, როცა დაწვა, ელიზბარი შინ არ იყო და იმედი მიეცა, იქნებ ის მოვიდო. ფრთხილად გაახილა თვალი, ქმრის საწოლი ცარიელი იყო.

ამასობაში მარგალიტა გამოვიდა ღერეფანში და გასძახა:

— ვინა ხარ?

ზარის წკრიალი არ შეწყვეტილა, ისე გაისმა ელიზბარის მთლად შეცვლილი ჩახლენილი ხმა:

— მე ვარ, კარი გამოიღეთ!

იგი ღერეფანში თამამად შევიდა, თან ღვინისა და თამბაქოს მკვეთრი სუნის შეიტანა. მარგალიტას მოუბოდიშა, მამატიე, დედი, ასე რომ დავიგვიანე და შეგაწუხეო, მერე გადაეხვია და გადაპკოცა, უკეთილშობილესი ადამიანი ხარ, დიდხანს იცოცხლეო. ოთახამდე ხელგადახვეულმა მიაცილა და ძილი ნებისა უსურვა. თავიანთ ოთახში რომ შევიდა, ცდილობდა ისე გაეელო, რომ ფეხი არ არეოდა, მაგრამ ბორძიკობდა, ავეჯს აწყდებოდა. შუქი აანთო. და ირმას, თავს რომ იძინარებდა, საბანი გადაეხადა:

— რა თავს იკატუნებ, თვალი გაახილ!

ირმამ საბანს სტაცა ხელი, ცდილობდა შიშველ ტანზე გადაეფარებინა, მაგრამ ქმარმა არ დაანება და კვლავ შეუტია:

— ადექი, ადექი-მეთქი!

— რა დროს ადგომაა, საცაა გათენდება, ელიზბარ!

— გეუბნები, ადექი-მეთქი!

— მე კი გეგვეწები, გემუდარები, დაწექი, ელიზბარ!

— იცი, რა გითხრა, წადი და იშას ეხვეწე და ემუდარე, ვისთანაც აქეთ-იქით დაბრძანდები!

— ეს რა ამბავია შენს თავს, ასე რამ შეგცვალა, გიქპერი და ველარ მიცვინიხარ, ელიზბარ!

— მე კი ახლა გიცანი, გეუბნები, ადექი! — და ქალს მკლავში ხელი ჩააქლო, საწოლიდან ბურთივით გადმოიხროლა.

— რა იყო, რა დაგემართა, ელიზბარ? — შესტირა ზრმამ და კისერზე შემოეხვია. თან შეეცადა ლოყაზე ეკოცნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა პირი იბრუნა, ქალს გამეტებით ხელი ჰკრა და შეჰყვირა:

— თავიდან მომცილდი-მეთქი!

ქალი წატორტმანდა, ხელი ფერღზე იტაცა, ვაიმე, დედაო. მერე ცრემლნარევი ხმით შევედრა:

— შენ! კირიმე, ის მიინც მითხარი, რა დაგიშავე, ელიზბარ?!

— აი, ეს! — და ჯერ ერთ ყბაში, მერე მეორეში გაუშალა სილა.

ირმას არც დაუცვენსია, არც გაციცხლებულა, არც ქმრის მოგერიებას ცდილა. ვაჟი გამეტებით ურტყამდა მუშტებს სახესა და თავში.

ბოლოს ქალს არაქათი გამოეცალა, მუხლი მოეკვეთა, სახეზე ხელები აიფარა და ესლა ამოიტირა:

— ადამიანი მეგონე, შენ კი მხეცი ყოფილხარ!

— აი, შე კახა, კიდე მე მადანაშაულებ? შენ თუ პატიოსანი ქალი ხარ, აბა, მითხარი, ამ საღამოთი წყნეთში რა გინდოდა?

წყნეთის ხსენებაზე ქალი მთლად წახლდა, ენა მუცელში ჩაუფარდა, ისტერიულად აქვითინდა, თან ქვეშ-ქვეშ კარი-საყენ იხედებოდა, თითქოს მშველელს ეტებო, ბოლოს შეილის საწოლს ამოეფარა და ქმარს შევედრა:

— დამშვიდდი, ელიზბარ, ხმადბლა ილაპარაკე, თორემ მეზობლებს ძილს

გვეფერებოდა და სახლის პატრონსაც გავანაწყენებთ!

ელიზბარს არაფრის გაგონება არ უნდოდა, მითხარი, სანებლიძესთან ერთად წყნეთში რა გინდოდაო, გაიძახოდა.

ქალი პასუხს არ აძლევდა. ეს კი ვაჟს უფრო ამჭინავარებდა, მითხარი სიმართლე, თორემ მოგკლავო.

— მოკალი! — შესძახა ირმა, ღამის პერანგის საკინძე გადაიხია, ქმარს წინ აეტრუხა და შიშველი მკერდი მიუშვირა. ელიზბარმა მავიდიდან მონადირის დანა აიტაცა და შემართა:

— მითხარი სიმართლე, თორემ ნაკუწ-ნაკუწად გაქცევ!

ირმა უშიშრად იდგა, არც უკან იხევდა, არც პატივბას ითხოვდა, არც ვინმეს უხმობდა, მომეშველეთო.

ქალის შეუპოვრობამ ვაჟი უფრო გაახელა. მაღლა აღმართული დანა მოიჭინია, მაგრამ ირმას კი არა, მის ბალიშს რამდენჯერმე ღონივრად დასცხო, თითქოს ამით გულს იოხებს, თან ქალს აჩვენებს, აი, ასე აგუწავო. ბოლოს დანა კედელს ესროლა და ირმას სურათის ქვეშ მიარტო. თვითონ კი საწოლზე გულდაღმა დაემხო, აქვითინდა.

ირმამ ქმარს თესსაცმელები გახადა, გვერდით მიუწვა, ამშვიდებდა, ეალურსებოდა: ალერსი და მოფერება კი ეხერხებოდა, თუკი მოისურვებდა, თითქოს ამისთვის იყო გაჩენილი.

რალაც ათიოდე წუთის შემდეგ ქმარი ცოლს ეხვეწებოდა, მაპატიე, მე შენი ფეხის მტვრალაც არ ვლირვარ, ასე უგუნურად კი მოგეპყარიო. თან ყბას უშვერდა, სამაგიერო გადამიხადე, მუშტით ცხვირ-პირი დამიფევე, თუ ეს ცოტაა, მაშინ დანა დამკარ გულში და გამათავე, შენც თუ შემომწყურები, მაშინ რაღა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლესო. ქალს მკერდზე ხელს უჭერდა, ჩქმეტდა. ძნელი გასაგები იყო, რის გამოხატვა უნდოდა ამით, მონანიებისა თუ გულში აბობოქრებული ბოღმისა.

ელიზბარს მალე ჩაეძინა. მძინარე ვიდაცას ემუქრებოდა, ირმას ხან ხელის

კრით იცილებდა, ხან იხუტებდა, შფოთავდა, იგინებოდა.

ლოგინში წამომჯდარი ირმა თვალს არ აცილებდა ქმრის აწითლებულ ღამაზ სახეს, ბალნით დაფარულ განიერ გულ-მკერდს. ბოლოს წამოდგა, იატაკზე მოზნეული ბუმბული მოაქუჩა და დანით დაფლეთილ ბალიშში ჩაყარა, კედელზე მირჭობილი დანა გამოაძრო და კარადაში დამალა. მერე თავის საწოლზე დაწვა. დიდხანს იტრიალა ლოგინში. ვერა და ვერ დაიძინა. მისი სული არასოდეს ყოფილა ასე შეძრწუნებული.

აი, სადამდე მივიდა საქმე?! ელიზბარს დღემდე უბატონოდ სიტყვა არ უკადრებია, უყვარდა, პატივს სცემდა, ახლა მუშტებს ურტყამს, ღამის დანის წვერზე წამოაგოს. რა საწინდარი აქვს, რომ ხელს არ გაიძეტოს. ღირსიცაა. რატომ აძყვა მაცდურ გრძნობას, რატომ მისცა გულს გასაქანი?! მერე რა, რომ სანებლიძე კარგად ეპყრობოდა, ქათინაურებით ამკობდა, მის ალერსში ამოსდიოდა სული?! განა ამიტომ უნდა ამჩატებუდიყო?! დამნაშავეა, ბარემ ბევრსაც ნანობს, მაგრამ უკვე გვიანაა! რაც მოხდა, იმას აღარაფერი ეშველება. ქმარს, რამდენიც არ უნდა უმტკიცოს, რამდენიც არ უნდა უფიცოს, თავის სისპეტაკეში ველარ დაარწმუნებს. ჩანს, მან ყველაფერი იცის! სანებლიძის აგარაკთან ხომ ვილაც კაცს შეასწრეს თვალი! ვინ იცის, იქნებ ელიზბარი უთვალთვალებდა.

დღილით ცოლ-ქმარი ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

ქალი ფიქრობდა. ორში ერთია: ელიზბარი, ან ისევე ჩხუბს ამიტებს, ან პატივბას მთხოვსო. თუ ჩხუბი ამიტებსა, არაფერს დავუთმობ, დღესვე სახლიდან წავალ და მის სახეს აღარ ვიხილავ, თუ მოიბოდიშებს, ვაპატიებ, გულს მოვიბრუნებო.

ქმარი კი უხერხულად გრძნობდა თავს, ცოლთან ლაპარაკი უჭირდა, ბუნ-

დოვნად ახსოვდა წუხანდელი ამბავი. წუხდა, ალბათ, ცოლს დიდი შეურაცხყოფა მივაყენეო, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, იქნებ ჩემს წარმოდგენაში ვაზუვიადებ, სინამდვილეში კი ისეთი არაფერი მომხდარა, თორემ ირმა ამ დღით შავ დღეს დამაყრიდაო.

სიმთვრალეში, მართალია, საცემრად გამიმეტა, მაგრამ, ეტყობა, ნანობს. ეს რა აუტანელი სიმთვრალე სცოდნია! ასეთი ადამიანი საბრალო და საცოდავიო, ამართლებდა გულში ქმარს ირმა.

სადამოთი ირმა სამსახურიდან აღრე დაბრუნდა, ელიზბარი შინ არ იყო.

მარგალიტამ გადასცა, ელიზბარი დილას ისე წავიდა, არც ის უთქვამს, სად მივდივარო, არც ის, როდის დავბრუნდებიო.

ირმა გვიანობამდე არ დაწოლილა, ქმარს ელოდა.

როდის-როდის გამოჩნდა იგი. უგონოდ მთვრალი იყო. დერეფანში შესვლისთანავე ირმას ხელი ჰკრა, მომცილდი თავიდან, შენი დანახვა არ მინდაო. თან უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენა, მუშტიც მოიშველია.

ირმა არ უძალიანდებოდა, არც სიტყვას უბრუნებდა. ძლიერ მუშტებზე უფრო ის აშინებდა, მეზობლებს არ გაეგოთ, რომ ქმარი სცემდა. ელიზბარს უყვავებდა, ყოველნაირად ცდილობდა მის დამშვიდებას, ეხვეწებოდა, ოღონდ ახლა დაწყე და დაიძინე, დილაზე თუ გინდა ცხვირ-პირი ამოშინაყეო.

ელიზბარი საცემრად იწევდა, ცხვირწინ მუშტს უქნევდა, ბოლოს ფეხქვეშ მოიგდო და გამეტებით ურტყა წიხლი.

საქმე ისე გამწვავდა, რომ ირმამ მარგალიტას გასძახა, მიშველეო.

მოხუცმა ელიზბარს დაუყვავა, დაამშვიდა. მთვრალს იმდენი გონება კიდევ შერჩენოდა, რომ ეუხებრბულეობდა სახლის პატრონის თანდასწრებით ცოლის გალანძღვა. მარგალიტას თხოვნა შესისინა და დაწვა.

ამან კი ირმა დააიმედა, რახან სწევის თანდასწრებით არ გამცირებს, არ მლანძღავს და არ მაგინებს, გულს ისევ მოუბრუნდებო.

ღილით ელიზბარს აღრე გამოეღვიძა, მაგრამ თავს იმძინარებდა, ცოლის სამსახურში წასვლას ელოდა.

ამაში ირმამ ქმარის სისუსტე დაინახა, ეტყობა, რცხენია, თავს დამნაშავედ გრძნობსო; გამბედაობა შეემატა, ქმარს მიეჭრა, საბანი გადახადა და სიძულვილით სავსე ირონით შესძახა:

— რაღას ელოდები, ვაჟბატონო, აღექე!

ელიზბარი ზღაზვნით წამოდგა, ცოლს აღმაცერად შეხედა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხელი ჩაიჭნია, ვითომ არ ღირს შენთან ლაპარაკიო.

— რა ცხვირი ჩამოიგრძელე, აბა, ახლა მითხარი, რა გინდა ჩემგან?

ელიზბარი დუმდა, ცოლს თვალს არიდებდა.

— იქნებ მოგწყინდი, აღარ გინდა ჩემთან ცხოვრება?

— უმჯობესია ეს შენს თავს შეეკითხო! ეკ, ირმა, ირმა! რამდენი სიფრთხილე ყოფილა ცხოვრებაში საჭირო! თავიდანვე ხომ გული კარგს არაფერს მეუბნებოდა, ვეჭვიანობდი, მაგრამ მაინც ველუმდი, რადგან შენს განაწყენებას ვერიდებოდი, იქნებ ვცდები და ტყუილუმბრალოდ გული რატომ უნდა მოვუკლა-მეთქი. აი, ახლაც ყველაზე უფრო იმაზე ვწუხებარ, რომ ამას იქით ველარაფერს დაგიჭერებ!

— თუ ჩემს ერთგულებაში არ ხარ დარწმუნებული, მაშინ რაღა ფასი აქვს ჩვენს ერთად ცხოვრებას? იქნებ სჯობდეს, რომ ერთმანეთს გავცილდეო?

— არა, მე ეს არ მითქვამს! — ანვარიშიუცემლად წამოიძახა ელიზბარმა, თავში გაუელვა, ძნელი იქნება ეს ჩემთვის, ალბათ, ცოლშვილს ერთ დღესაც ვერ შეველევიო.

— იქნებ ზოგიერთი მამაკაცივით ასეთი რამ დასაშვებად მიგანჩნია?! თუ ასეა, მაშინ მე არ შემიძლია შენთან ცხოვრება!

— ადრე ხომ შეგეძლო?

— როდის, ადრე?

— სანამ შევიტყობდი შენს უღირს საქციელს!

ირმა მთლად გაფითრდა, წახდა, დაიბნა, პირში ენა ველარ მოიბრუნა.

ელიზბარი კი უტყვდა:

— მატყუარა ხარ, ცბიერი, ვერაგი... საკუთარი თავის გარდა, ჭევეანაზე არავინ გიყვარს. ქალი რომ სინდისს დაკარგავს, თავისი სქესის სათნოებას დაივიწყებს, ის რაღა ქალია, რაღა დედაა. მაგრამ, რა ექნა, ჩვენს ოჯახს დანგრევალა უნდა? განა შენ კი მოინდომებდი, რომ ჩვენს შვილს წაეართვათ დედის ან მამის აღერსი და ბავშვობიდანვე ჩაეუმწაროთ სიცოცხლე?

ეს სიტყვები ისეთი გრძნობით იყო ნათქვამი, რომ ქალს მარტო შვილი კი არა, ქმარიც შეებრალა.

— ვიცი, რომ ცხოვრებაში წარუმატებლობით შენს თვალში დავაპატარავდი, უმნიშვნელო არსება გავხდი. ხდება კაცის ცხოვრებაში ასეთი რამ, მე ჯერ კიდევ არ დამიკარგავს რწმენა, ხელი არ ჩამიქნევია. რა ვუყოთ, დღეს ასეა, ხვალ უკეთ წარიმართება ჩემი ცხოვრება.

სულში ჩასწვდა ქალს ელიზბარის ნათქვამი, უნდოდა გადახვეოდა, გაემხნეებინა, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ ნერვებმა მიმტყუნოს და ავქვეითინდო.

რა კეთილია ელიზბარი! ნეტავი მთვრალს რაღა ემართება?! ხომ ამბობენ, კაცი სიმთვრალეში უფრო გულწრფელია, ვიდრე სიფხიზლეშიო. ნუთუ მოჩვენებითია მისი სათნოება?! ვერ იტანს, რომ გონება დაკარგული ქმარი ლანძლავს, სცემს, დანას უღერებს?! როგორღა იცხოვროს მასთან, როგორღა უყვარდეს?! როგორ? ნუთუ აღარ უყვარს ქმარი?! თვითონაც აღარ იცის, გრძნობებში ველარ ერკვევა. ეს რა გაუგებარი, რა ძნელი ამოსაცნობი ყოფილა სიყვარული?! იმასაც ვერ მიმხვდარა, სიზმარიშია, თუ ცხადლოვ ზღედა ეს ყველაფერი?!
ორი დღე ელიზბარი არ დამთვრალა. მერე კი ისევ წინა დღეების ამბავი გან-

მეორდა. ირმას ხან ეფერებოდა, მკერდში იკრავდა, კოცნიდა. ხან ლანძლავდა, სცემდა, ერთხელ დანაც კი მოუჭნია და კინალამ მკერდი გაუპო. შეშინებული ირმა მარგალიტასთან გავარდა, ბავშვიც იქ გაიყვანა. იმ ღამით დედა-შვილს სახლის პატრონთან ეძინათ.

ღლით ირმა უთენია ადგა. მძინარე ბავშვი ფრთხილად გადაკოცნა; მერე მარგალიტას გამოემშვიდობა, პატარა ბარათი დაუტოვა ელიზბარს გადაეცო, და სახლიდან გავიდა.

ელიზბარი ჩვეულებრივზე ადრე აღგა, თითქოს გულმა უგრძნო მოახლოებული უბედურება, მაშინვე ირმა იკითხა, რა იქნაო.

მარგალიტამ პასუხად ბარათი გაუწოდა. „სამუდამოდ მივდივარ, რადგან ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია!“ — ეწერა შიგ.

ელიზბარი დიდხანს დასცქეროდა წერილს. ცრემლებმა თვალები დაუნისლა, ბუნდოვნადღა ხედავდა ნაწერს.

თითქოს გაიამაც იგრძნო უბედურება, მამას დალონებულმა ჰკითხა:

— მამიკო, რატომ ტირი?

— არა, არ ვტირი, შვილო!

— მაშ ცრემლები რატომ ჩამოგდის!

— არა, ეს ცრემლები არ არის, შვილო! — ხელისგულებით თვალები შეიმშრალა და გია გულში ჩაიკრა.

ერთხანს ორივე დუმდა, მერე ბავშვმა თქვა:

— დედიკომ მითხრა, დათუნიები უნდა გაჩვენოო. სად არის, დედიკო, როდის მაჩვენებს?!

— დედიკო სხვაგან წავიდა, დათუნიებთან მე წაგიყვან!

— მალე მოვა დედიკო?

— არ ვიცი, შვილო!

— მაშ, ჩვენ წავიდეთ დედიკოსთან!

— არა, ჩვენ ჯერ სოფელში წავიდეთ, ბებიკოსთან!

— ბებიკოსთან შენ წადი, მე დედიკო მინდა!

ერბა, ცოლს ვილა ჩივის, შვილიც გაუბრბის! თუმცა გია რა გასამტყუნარია, დედა უყვარს, მისი აღერსი სწყუ-

რია. გაიზრდება, კეკუაში ჩაეარდება და გაიგებს, რომ ქარაფშუტა დედიკომ მარტო მამისი კი არა, ისიც მიატოვა.

როგორ დაიჭეროს, როგორ ირწმუნოს, რომ ადამიანმა ყველაზე ახლობელი და სანუკვარი ასე უცებ, ასე ერთბაშად დაკარგოს?! ნუთუ ირმა მისთვის აღარაფერი იქნება?! ან როგორ შეელოოს შვილს, ურომლისოდაც სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია? რა უთხრას დედას, ახლობლებს, ნათესაებს?! როგორ აღიაროს თავისი სიგლაზე — ცოლი გამეჭვავო.

მართლაც, ეს რა უბედურებაა მის თავს, რა ცეცხლში ჩაეარდა? აი, თურმე, რა მუხთალი, რა დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი?! ნეტავი ეს რა-

ღაა, რატომ ებინდება თვალები? არა, თვალები კი არ ებინდება, თვითონვე ხუჭავს... სიბნელეში უკეთ ხედავს იმ ნაღველსა და სიდუხჭირეს, მწუხარებასა და ცრემლს, მარტოობაში რომ მოელოის. ნუთუ მისთვის აღარ გამოანათებს მზე, აღარ გაბრწყინდება იან ვარსკვლავნი?! არა, ამას ვერ დაიჭერებს! რა ვუყოთ, რომ წაიფორხილა, იქნებ წაიქცა კიდევ, მაგრამ იმედი მთლად არ დაუკარგავს, ჯერ კიდევ ღონე ერჩის, ძარღვებში სისხლი უჩქეფს, არ აპირებს ფარ-ხმლის დაყრას, ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევას. იცის სათუთი სიყვარული, მაგრამ იცის სასტიკი სიძულვილიც. მხოლოდ უნდა გამაგრდეს, გონიერება მოიკრიბოს, მხნედ, გაბედულად შეეჭიდოს მზაკვრულ ბედს...





პანკანს ჯანახაძე

• • •

ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდნენ მშვენიერი
სხვა ქუჩაზე კი არა,
ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდნენ.
ახლა აღარ ვხვდები...
მაგრამ ახლა ვხვდები,
რასაც მაშინ ვერ ვხვდებოდი ბოლომდე.
ბევრის ნება,

ბევრის ვნება დარჩა დაუფარავი,
ბევრი დათვრა შემოდგომის ნებითა და
ვნებით,
ჩვენს ქუჩაზე ალევები არ დაურგავს
არავის:
ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდნენ მშვენიერი
დები.

• • •

შენ ხარ პირველი საოცრება,
ხოლო ვევიპტის
პირამიდები სიზმარია მოჩვენებითი.
შენ ხარ მეორე საოცრებაც: სემირამიდას
ბაღში რა მინდა,
ან საერთოდ მეტი რა მინდა?!
შენ ხარ მესამე საოცრებაც, და არტემიდას
ტაძარი ჩემთვის არ არსებობს ამიერიდან.
შენ ხარ მეოთხეც, ფიდაისის ზევსზე
მაღალო,
სული და გული შენს ალერსში უნდა
დავღალო.
შენ ხარ მეხუთე საოცრებაც: ქალიკარნასის
მავზოლეუმზე ლამაზია შენი პარნასი.

შენ ხარ მეექვსეც: სხვამ შესწიროს
მსხვერპლი ქელიოსს,
მე კი შენმა მზემ ავი თვალი მომიგერიოს.
შენ ხარ მეშვიდეც: გზას მინათებს შენი
ვარსკვლავი
ალექსანდრიის სახელგანთქმულ
შუქურასავით...
შენ ხარ პირველიც და მეშვიდეც,
შენ ხარ შვიდივე,
წლები აღმართზე ლოდებივით
ამაზიდვინე.
მაინც ვერ ვამხელ მე შენს სახელს,
ხოლო სხვებისთვის
არაფერს ამბობს ეს დუმილი მოჩვენებითი.

• • •

ყველას ვილაციის რაღაცა მართებს:
სისხლი და სიტყვა,
ფული და ნივთი,

და ზოგი ჰყიდის ქალაქის ვარდებს,
ზოგი ხელოვნურ ნაძვისხეს ჰყიდის.
ეთამაშება იმედებს კაცო,

როგორც აკრძალულ სათამაშოებს,
ბოლოს ზიარი ტურტლები
მკაცრი
კანონი ყველას ათანასწორებს.

მე მხოლოდ ერთი სტრიქონი მშარობებს,
რომ გადაეურჩე უმჯველ სიკვდილს, —
მაგრამ არ ვყიდი ქალადის ვარდებს
და არც ხელოვნურ ნაძვისხეს ვყიდი.

* * *

ფარდობითობის თეორიის მალალ
გალაყანს
დიდხანს ვუარე.
მაგრამ კარი ვერ მოუუნახე,
და გაოცების დაუფარავად

ნდობით შეეხედე დღეებს უახლესს.
და როცა აზრი დაიხვეწა დაუხვეწავი,
ასე გავფანტე ბუნდოვანი ფიქრების ფარა:
ნელა იზრდება ჩემი ლერწამი
და სხვისი შვილი იზრდება ჩქარა.

* * *

დავტოვე წყნარი გარეუბანი
და ქალაქგარეთ ისე გავედი,
თითქოს გამწერეს ლაზარეთიდან.
ნელა,
თანდათან
და შეუმჩნეველად
პატარავდება დიდი ქალაქი
და მე ვიზრდები ქალაქის ხარჯზე.
ორი დღის შემდეგ

დავებრუნდები
ტელეფონებით დანადრულ სახლებს,
ორი დღის შემდეგ
დავენახეები
ორ დღეში ოდნავ შეცვლილ ნაცნობებს,
ორი დღის შემდეგ
დავიკარგები
ვერტიკალურად გაზრდილ ქალაქში.

* * *

აქ პარალელურ სვეტებს და წვეთებს
ფეხქვეშ ეგება ქარი ტორტმანით,
აქ შეუმჩნეველად ერთმანეთს ჰკვეთენ
ვერტიკალი და ჰორიზონტალი.
იყოფა გზა და
ტკივილი ახლა
ხელშესახები ხდება ნივთივით,
ზოგი წინ მიდის

და ზოგი მალა,
ჩვენ კი შიგნით და შიგნით მივდივართ.
ბევრი ქარივით ეხლება კედელს,
ჩვენ კი ერთგულად ვდგავართ ცოტანი
წერტილზე,
სადაც ერთმანეთს ჰკვეთენ
ვერტიკალი და ჰორიზონტალი.

* * *

თქვენ,
ვინც ოდესმე წერილებს მწერდით,
თქვენს ყოველ სიტყვას და ყოველ
წერტილს —

სიყვარულით და პატივისცემით —
სამარადისოდ ინახავს ჩემი



მეხსიერების ცეცხლგამძლე ყუთი,
 სადაც აწყვია ათასი ფუთი
 თქვენი გრძნობების ჯართი და ღუნთი,
 რომელსაც ფასი არა აქვს თქვენთვის
 ანდა

თანდათან

სალამოს ბაზრის

ჭირნახულივით აკლდება ფასი.

ჩემთვის კი აღარ არსებობს უკმე,

მაგრამ საკმაო დრო მრჩება უკვე,

რომ მივიხედო ხანდახან უკან

და შევადარო ვულკანი ვულკანს.

მე სხვა სურვილებს დავადე ხუნდი:

მეხსიერების ცეცხლგამძლე ყუთი —

ეს არის ჩემი ოქრო და ვერცხლი, —


ვერ შეეხება ვერასდროს ცეცხლი

და ვერც გასაღებს მოარგებს ვერვინ,

სანამდე ჩემი ტვინი და ნერვი

არ დაკარგავენ შეგრძნების უნარს

და სანამ მიწა ჩემთვისაც ბრუნავს.



ბრის ჩხიძე

ჭ ი შ კ ა რ თ ა ნ

მ თ ხ რ ბ ა

შეუწევს სიცხე ბამბურის ქედზე გაზაფხულის დამლევადან დაიჭირა. ნაციკრევე, უდრუბლო ცაზე მზე წითლად აღმობრწყინდებოდა ხოლმე.

ალოებისათვის მისწრება ამინდი განუზომელ სიხარულს გვრიდა ზემოცხვეთელებს.

ასეთ დღეებში არ იქნებოდა თვალს სამო რამ არ ეხილა. და აი, იმ ერთ მშვენიერ შაბათს, უთენია, საერთო ონკანებზე წყლისათვის გამოსულმა მეოჯახეებმა უმაღლეს შეამჩნიეს თავის კარშიდამოში მარჯვედ დატრიალებული ბაბილინე.

ნახევრადმიტოვებულ სახლში ქალი ხშირ-ხშირად შედიოდა და გამოდიოდა. აქეთ-იქით სიარულში ფეხებში ებლანდებოდა კუდაპრეხილი, შავი გაგარეულებული კატა, რომელსაც სოფლის გოგო-ბიჭები საყდრის გადაღმა თრიმლანარში ხვდებოდნენ, ვინ იცის რაზე მონადირეს.

უკვირდით და მოსწონდათ მეზობლებს: როგორ იოლად ახერხებდა ქალი შორიდან შინ დაბრუნებას, სოფელში შეუქმნევლად შემოსვლას და ახლო მეზობლებს მალულად საქმის კეთებას.

ახალგაზრდებს ძლიერ სურდათ გაეგოთ, თითქმის გაგარეულებული შავი

კატა როგორ იგებდა პატრონის შინ დაბრუნებას.

ზემოცხვეთელების ღვიძლზე ნადები, ნათესავი და თანასოფელი გახლდათ ბადრუაშვილის ქვრივი ბაბილინე. ქალი ახალგაზრდა აღარ იყო. ორგულის მეტი ვერც სიბერეს შესწამებდა ვინმე, თუნდაც მოკირკიტე თვალთ.

მარტოხელად დარჩენილი, მოხნიერებული დედაკაცი, ოდესღაც მოშენებული, მრავალრიცხოვანი ოჯახის კერიაზე წყალს არ ასხამდა მთლად დასავსებად. ეს, ვინაც სულ შინ იყვნენ, იმათაც უჭირდათ. ბაბილინე კი წელიწადში სამას დღეს სოფლიდან სამოციოდე კილომეტრით მოშორებულ მინდვრებში იმყოფებოდა.

იქ, უკიდევანო ვაკეებზე, გაზაფხულსა თუ შემოდგომაზე, ხან სათესს დასდევდა, ხან წველიდა, ხან სადილ-ვახშამს უმზადებდა მინდვრის მუშებს. არც თუ იშვიათად, კედელზე აგურის მწყობელ-შემღულაბებლობასაც ჩინებულად ახერხებდა მშენებლობაზე. მამაკაცებს რატომღაც არ უნდოდათ ხმამაღლა ელიარებიანთ ამ ქალის საცადელი თორემ სოფლური საქმეების საკმაო ჯადოქარი და დახელოვნებული ოსტატი იყო ბაბილინე ბადრუაშვილი.

მოძალბებულ საზოგადო სამუშაოებზე ასე ყველგან, ყველასათვის ხელდა-

ხელ მომხმარებელ გამოსადეგი ქალი უეცრად, შეუმჩნეველად მოვარდებოდა თავისი ქმრის, ზემოცხავეთის კერძო სამკვიდროზე ორი, სამი, ხშირად ხუთი დღით.

არ იფიქროთ ამ დღეებში მისი ხელი და გონება ოდნავ მაინც მოისვენებდა. ქალი წამითაც ვერ ურიგდებოდა უქმად ყოფნას. რას არ აკეთებდა, რას არ გამოიგონებდა. მისთვის გაყოფილად არ არსებობდა საღიაყო და სავაქეაყო საშრომი.

ერთხელ თითქმის მთლად დაშლილი, ყველასაგან დაეიწყებულ იქნა თელის ურემიცი კი გადახელა, ბადრუაშვილების მამაკაცების, ხელნაკიდები ჭონება არისო. შეკეთებული, აღდგენილი ურემი, მერე როგორც ენამწარებმა წაიუხამსეს, ორმოცი წლის წინათ გარდაცვლილ მამათილს ძეგლად დაუდგა სახლის გვერდითო.

იელისის იმ დამდეგსაც, უთუოდ პარასკევ საღამოს ან ნაშუადღევს მოვიდა ბაბილინე სოფელში და თავის სახლში შეიპარა. ასე დაასვენეს მეზობლებმა, რადგან ქალი შაბათ დღით გამოჩნდა ეზოში დატრიალებული და მანამდე არავის შეხვედრია.

ყველაზე ადრე ის მედოლე ლიმონა ახვეტაშვილმა დაინახა. იმ მედოლემ, რომელსაც დოლიბრაგუნას ეძახდნენ მთელ იმ მხარეში. დაინახა და დაიძახა: რაღა მიჭირს, აკი მოსულაო.

შაბათს, კვირას, ორშაბათს ქვრივის სახლს ასჯერ მაინც აუარ-ჩაუარა მედოლემ. განგებ ახველა და აცემინა ცხვირი. საუღლე ხარის ბდავილისდარად. შორს გასაგონად დაამთქნარა. ბოლოს ვიღაცა გამეღელს აუხირდა, ხმავალდა ყვირილ-ბრუხუნნი აუტეხა, იქნება ქალი ჩემკენ შემოვახედოო.

ბაბილინემ არ იქნა, თავი არ მოიტრიალა შარაზე აყბედებულ მეზობლისაკენ. თითქოს არცა სცნობდა ქვეყანაზე მედოლეს არსებობას. გაოცდა კაცი. მესამე დღეა სდარაჯობს ქალს და რას ხედავს:

სამჯერ მზის ამოსვლიდან სამჯერვე

მზის ჩასვლამდე ერთი წუთით, ჯერი-სათვისაც არ მოსწყდა დედაკაცი სამუშაოს. მერე როგორ აქერდა დიდი მნათობი, წყალს ადუღებდა, მიწას ადრბდა. გულის შემადონებელ სიცხეში პურის საჭმელადაც არ შევიდა გადახურულში.

სამუშაოზე გამოსვლის დროს, ცის გუმბათის ქვეშ თან გამოტანილ ნორჩ აკაკის ტოტზე დაკიდებულ საგზლის აბგიდან პურს ამოიღებდა. გაზაფხულის დამდეგს მეორედ ჩაბარულის შუაგულზე ჩამოუჭდებოდა გრილი მიწის ბეჭობურას. შოთს მარცხენა ხელში ისე განზე დაიჭერდა, თითქოს ყოველ გამეღელს ეპატიყდებოდა, თუ გშია, იშტა გაქვს, მოდი, დამეწვიეო. ლუკმის გადასაგორებლად, შშრალი საჭმელი გულზე არ დამადგესო, იქვე ახლოს ედგა ცივი წყლით საჯე დორა.

• • •

ჩემად თვალთვალს, სალაპარაკოდ ქვრივი ქალის გამოყოლიების ცდას, ლიმონა მედოლემ ორ დღეზე მეტად ვერ გაუძლო. დიახ, ორ დღეს ითმინა კაცმა. არ მივიდა ქალთან ახლოს ხმის გასაცემად. აცა, იქნება თვითონ შეგულიანდეს, შარაში გადმოცუნდრუქდესო. ამოდ დაშვრა. თავის საქმით გატაცებულმა ბაბილინემ არც თავი აიღო, არც ეზოს გარეთ გადავიდა. ლიმონა მედოლეს კი არა, შარაზე ჩავლილ მეზობელ ქალებსაც არ გამოელაპარაკა, არ გაავონა თავისი ხმა.

მესამე დღეს, მზის ქედს იქით ჩაძალებულის ეამს, კაცმა ლოდინს ველარ გაუძლო. მოთმინებამ ნაიბრები გადაიარა და ძლიერ ახლოდან გადაიხედა ბადრუაშვილების ეზოში. გულმა დაუწყო ბავაბუგი. კინალამ თვალები წამოსცივდა: ხედავს და რას ხედავს, ხანდაკრული ქალი მიწაზე წამოწოლილიყო, ჩითუელის ტანისამოსი სხეულზე ისე შემოტმასნოდა, თითქოს სულაც არაფერი ეცვა. მომრგვალებული თეძოები წერწყტა, თეთრი წვივები, პატარა

ტერფებითურთ, ნაქანდაკარებივით ეწყო შავ ნაბარავზე. სავესე ვულმკერდმა და ნახატმა სახემ ზომ სულ გადარია მედლოლე. მიწაზე წამოწოლილ ბაბილინეს ძილი მოარეოდა. ამას ადასტურებდა თანაბარი, მშვიდი სუნთქვა და ლამაზი ნესტოების ოდნავ შესაძინევი მოძრაობა.

„რა ადვილად მოსაპარავიაო“, მრუშულად გაკაწრა მედლოლეს გულში. სანახაობამ წინწანაჭარივით სწრაფად აურიო არც თუ დალაგებული გონება და ხნეობა. მერე რა კი ეზოში გადასვლა და სასურველი მიბარვა ვერ გაბედა, ეს ოხერი ვერ სიბნელეც არ ჩამოწოლილიყო, კარგა ხანს იდგა ჭიშკართან მონუსხულ-გამოყეყეჩებულო. რის ვაივავლახით გვიან ამოიღო ზრინწიანი ხმა:

— ჰაი, ბაბილინე, საღამო მშვიდობისა!

— დღე და მშვიდობა ნურც შენ მოგაკლოს, — იყო პასუხი. დასვენება არდაცალბებული ქალი უმაღლე წამოდგა. ტანსაცმელი და თმა გაისწორა, მოსულის თვალს ვულმკერდი აარიდა. წაძინების დროსაც იგრძნო რაღაც არასასურველი თვალთვალი. ვიღაც უყურებდა, ჭვრიტინით ხვრეტდა. არ ეგონა თუ, ვინმე ზემოცხავეთელი მამაკაცთაგანი ამას შეჰბედავდა.

— ჰაი, ჰაი, ეს რა ქალი ხარ! მინდორში არ გყოფნის სამუშაო? რაკი სოფელში ამოხველ დაისვენე და ის არის. შენ კი... მანდ, ქუჩაში გადმოსეირნება ხომ არავინ აგეკრძალა. სამბაბილაგ, ეზოს აქეთ, შარაზე გადმო-მეთქი, თუ არა. მე თვითონ გავიღებ ჭიშკარს და ბაღში გეახლები.

— ჭიშკარს ხელი არ ახლო! — აუკრაძალა ქალმა.

შერქმეული სახელის ვაგონებამ ბაბილინეს სმენა ცუდად ვასჭრა. ნათლის სახელის გარდა, ის ნებას არავის აძლევდა ვისმეს მისთვის სხვა რამე დაეძახა. იმ ზედმეტი სახელის შერქმევისათვის, რომელიც მედლოლემ დაუძახა, ხუთი წელიწადია ერთ კაცს სახეს არიდებს. შერქმევა კი აი, როგორ მოხდა:

ბრიგადირმა მისი ნაყელი და ნაშორჩინი შეამოწმა და ხუმრობით თქვა: „სამი ბაბილინეს ნამუშევარს უღრისო... ამის გამგონე სხვა მშორჩინავ-შემყველავებმა ხელები შემოაკრეს, ერთად წამოიძახეს, სამბაბილაო! მერე ის „სახელი“ თითო-ოროლამ კიდევ გაიმეორა.

• • •

— გადმო-მეთქი, შარაზე! — ცვლავ გაუმეორა ბრძანებისკილოშერეულად მედლოლემ.

— აკი ერთხელ ვითხარი, ვერ გადმოვალ-მეთქი! შარაზე საქმე არ მაქვს. აქ კი... ზეგ, დილით, ისევ უნდა გავსწიო იორზე. შენც გეცოდინება, მარგვლა დამთავრდა, ჭირნახულის აღება იწყება. ამ ორი ალოს შესაყარ-გასაყარის თავისუფალი დღეები დადგა მინდვრად. და... ამან მომცა საშუალება სოფელში, საკუთარზე ამოვჭრილიყავი, სახლისთვის მიმეხედა. რალა დაემლო: ვეშურტი შინაური სამუშაო უკან არა მოვიტოვო რა გრძელ კუდად.

— გადმო-მეთქი, თორემ მე თვითონ... — ახლა კიდევ დამეუჭრა ლიმონა და ჭიშკარს მიეყრდნო, გაუბა: — აბა, რა ჭირად ჩაციებიხარ რიყნალს, მაგან მოინელა ზემოცხავეთლების უთვალავი წინაპარ-მინაპარი.

— მერე მაგით რა გინდა მითხრა? — შეეკითხა ქალი.

— შენაც ეგ გელის! — მოჩქარებით უთხრა მედლოლემ. — ჰო და, რა კი ასე დაწესებულა, რომ მაგ მიწამ ყველა უნდა მოინელოს, ცოტა მაინც აიხედე, ქალო მალა. სამარეში არავინ ჩაგაყოლებს არც მაგ თოჭინასავით მორთულ ეზო-გარემოს, არც სახლს, არც ჩაკუქნულ-გადაძალულს და არც შენ ხატი-სებურად მოკაზმულ ცხვირ-პირს.

— ცხვირ-პირი, რა ბრძანებაა, სამარეში რად მინდა რამე.

— მეც მანდ ვარ! მაშ, თუ არავინ არაფერს ჩაგატანს სამარეში და არც გინდა რამე იქ, შენ ნაცვლად, შენ ნაამაგარ-ნათავცემვეს აქ დარჩენილი ვი-

დაცა ჩაატანს გემოს ერბოზე შეხრა-
კულ ვარიასავით. დიახ, ეს ასე მოხდება.
ამის ფიცს ახლავე გეტყვი ლიმონა ახ-
ვეტაშვილი. მოგესხენება, ცინც ვარ.
ერთი მედოლე, სადაც ერდო მალალია,
ლიმონაც იმის მყარია! შენ არც იცი,
ვერ წარმოიდგენ, ამ სერზე წამოჭიმულ
სოფელში და ყველგან, სადაც ჩემი დო-
ლის დაკვრა დასჭირებიათ, როგორი
მკვდარი და ცოცხალი მინახავს, ჰე...
ჰეი...

— ლიმონაუ! — დარბაისლად უთხრა
ქალმა, რა კი კურდღელივით მშიშარა
მედოლე ჭიშკარს აქეთ, ეზოში ფეხს არ
სდგამდა, — რამდენჯერ უნდა ვითხრა,
დრო არ მაქვს-მეთქი. შარაზე გამოსე-
ლას ვერ ვიქმ. არც თქვენ ვადმოხვი-
დეთ აქეთ. დაბინდებამდე, სანამ თვა-
ლით რაიმე ჩანს, ეს გადარეული ნა-
ცარქათამა, ჯიჯლაყა, მამლიბიბილო, ბა-
ლბა სულ უნდა მოვსპო. დადამებულშიც
ვერ დავისვენებ. ახალშენ ხეხილს,
ნერგებს სათითაოდ წყლის მიგდება ჭი-
რდება ფესვებთან, ამაღამ ეზოს მოუ-
რწყავს ვერ დავტოვებ.

— მაშ ხვალისთვის? შენ ოღონდაც
გამახარე და ხვალაც ამ თვის და წლის
არის! — მიეცა იმედი მედოლეს.

— ხვალინდელი დღე მე არ მეკუთვ-
ნის. — მოუჭრა ბაბილინემ. — ბიკას
ბიქს ვახმარივარ. აი, იმასა, ნობლარი
გოგო რომ შეირთო. ქორწილში შენაც
იყავი მედოლედ. ნახე რა ქნეს ორ წე-
ლიწადში! დაუძახე ძიელ ახალგაზრ-
დებო. ქალი ოცისაც არ შესრულებუ-
ლა და ერთი ბავშვი რომ ხელთ უჭი-
რავს, მეორეზე მზად არის. ოცდაორი
წლის ბიჭი ოჯახს უძღვის- იფ, რა სახლს
იშენებენ. ივარგეს, ივარგეს. ღმერთმაც
ხელი მოუშართოთ.

— ჰე... ჰე... — გაუხარდა ბიკას ბიჭის
ხსენება მედოლეს. — გამიგია, მუშის კა-
რგი გამასპინძლება იციან. ვაგინარია.
მათაც გადაუხედე ეზოში. იცი, რა და-
ვინახე? ერკემალი აკაის ფესოზე გა-
მოუბამთ თოკით. უთუოდ მალე გადა-
აქცევენ, დაჰკლავენ. ხი... ხი... ხი...
ქი... ქი... ქი... ქმარი ლომივით ბიჭია

და ჯანიანი გოგოც შეხვდა. აბა, რაღა
უჭირთ. ერკემალს მოკალულ დიდ ქვა-
ბში ჩაყაურმებენ, ჰა! ადრე დამწიფე-
ბული ჰამიდორიც ამოუტანიათ, ორი
სავსე გოგრობა, შენეული თეთრი სახე-
დრით ხირსიძირიდანა.

— კის... კის... — გაეცინა ბაბილი-
ნეს. — თეთრი სახედარი! ამდენ ხანს
ვით გააძლებინეს! მე რომ ის ცხოველი
იმ ჩემ ნათლულ, ნაობლარ გოგოს ვა-
ჩუქე, კბილი აღარ ჰქონდა.

— წელკავი სახედარს! — ჩაიბურღ-
ლუნა მედოლემ. — შენ ის მითხარი,
შესწავენ თუ არა მწვადებსა.

— მა რას იზამენ, რა დაუშლით.

ცხვრის ყაურმისა და მწვადების მო-
გონებამ მედოლე ააღელვა, მაღაზე მო-
იყვანა, პირი ამწვლაუნა. სიამით ცხვი-
რი დააცემინა.

— ღეთის წყალობა! — დალოცა ბა-
ბილინემ და დროც იხელთა.

შარის მხრიდან ჭიშკარს მოწოლილ
კაცს როგორღაც გაუძვრა, წუთით გა-
ქრა. მალე მეზობლის თერთმეტოდე
წლის გოგონა შეიყვანა ეზოში, პირში
კევი ჩაუდო, ამა დეჰეო, ახლა თითონ
დაპატრია მედოლე.

— შემოდი. იქ, დერეფანში დაბრძა-
ნდით. თუ ხმელი შოთის ყუას მისატა-
ნებლად არ დამიწუნებთ, სასმელსაც
გიშოვით. რბილი პური არ მიძევს. აქ,
სოფელში თონეს ველარ ვახუტებ. შო-
თები ივრისპირიდან წამოვიღე! სან-
ოთხ დღეში დამიძველდნენ და გამი-
ხმენ კიდევ.

ლიმონამ ჭიშკარი გაიარა, ეზოში შე-
ვიდა და გაჩერდა.

— აქ შირჩენია! — უთხრა. რაკი
ჩემთვის გემეტება, სასმელსაც აქ, გა-
რეთ გეახლებით. ხმელი შოთის წვერი
და ყუა ზემოცხავეთელმა ადაიანმა არ
ვიცი, როდის დაიწუნა საკმელად.

• • •

„შენმა ყბებმა მაგ კევის მეტი აღა-
რაფერი ვაღეჭო“, მიაწყველა თავის
გულში ლიმონამ ბავშვი. ვანზრახებუ-

ლი გოგონა ფეხდაფეხ დასდევდა ყველგან ბაბილინეს, ხანდახან შეჩერდებოდა, ენით კეცს მეორე ყბაში ინაცვლებდა. ასე ღეჭვას განაგრძობდა, თან ცალი, მტრულ-იჭენეული თვალით ეზოში აბორიალებულ მედოლისაკენ ქურდულად იმზირებოდა.

— გამაგებინე, აღამიანი ხარ თუ რკინა. ქალო, ვანა პარასკევ ღამით არ ამოხველ შინ მინდვრებიდან. სამიოდე დღით გერგო სულის მოთქმა და აქაც თავბღღვირს იყრი! ვეჰ! დასვენება ხომ არ გწყენს ჭანში. სამბაბილაჲ, ვერავის მოგვატყუებ! მთელმა სოფელმა ნამღვილად ვიცით, არა გიჭირს რა. ზემოცხავეთის მოანგარიშეს, რა დამალუბა! ეს მან მოსდო ხმა აქაურობას: სამბაბილა ყოველ ალოზე ორას დღეს იწერსო. პა და, ასეთ ვისმეს, ერთი დღე არ გინდა გაიილაღო. ცარიელ სახლში მოსულხარ და ამოდენა თავსატეხი გამოგივდია. შენი ეზო, ეზო კი არა, კარგა მოზრდილი ბაღია. მითხარი მაინცა, ვისთვის გინდა ეგეთი კუნთების დაუზოგავად ზელა. შენ უბედურო, ქმარი მაინც შეგჩინეოდა ამ მოხნიერების ეამს.

— ვასწყდეს, ამოვარდეს ომის მომგონი! — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ქალმა. — თორემ კოზმანი ახლა, ვინ იცის, გვერდით მეყოლებოდა.

— მარტობა, გამიგონია, ძნელიაო! — შეაპარა სიტყვა მედოლემ.

— ჩემზე მაგას ნუ ამბობ. მარტო არ ვარ. ხომ ზედავ, ეხელსაქმობ. მოქმედების, ნაყოფის მოტანის ძალი ჯერ არ შემსუსტებია. სახლიც არ მაქვს უსულდგმულად გამოცარიელებული. ავე, თუ არა! — ბაბილინემ სტუმარი თავისი სახლის სახურავისაკენ გაახედა. — ერთი შავი ციცა მაინც დამიდის მტრის ეინზე, — ოღნავ დასცინა თავის თავს და ცხოვრებას ქვრივმა.

შავი კატა, სულ უკან რომ დასდევდა ბაბილინეს, უცბოს დანახვაზე სახურავზე ამხტარიყო, კუდაპრებილი კრამიტებზე დაბაჯბაჯებდა.

— ვაჰ, ეგ საჯღაღოე კატა... მე სხვა

რამეზე გეუბნები, — დაუწია და დაუპამა ხმას გაქედანავებულმა მედოლემ. — თუნდაც... შენი შვილებიც სახის ეგრი დაგვაფიწყდა ზემოცხავეთელებს. შვილიშვილებისთვის ხომ ჯერ თვალიც არ შეგვივლია.

— თქვენ კი არა, ჩემი შვილიშვილები, სამშობიარო სახლიდან გამოყვანის შემდეგ, იმ ერთხელმეტად მეც არ მიწახავს.

— თვითონ მათ რად არ ვნახეს?

— არ ვიცი!

— შვილების და შვილიშვილების ეგ საქციელი მოსაწონია?

— არ მითქვამს, მომწონსო!

— ეტყობათ, უშენოდ მგლოვიარედ არ არიან, თალხი არ აცვიათ. ვინ იცის, არც გახსენებენ. ახლა ეს მითხარი, თუ გახსოვს, რამდენი წლის ვათხოვდი?

— ეტყობათ, უშენოდ მგლოვიარედ არ არიანო, ბაბილინეს ეწყინა ეს სიტყვები. მოულოდნელად ნეკნების ქვემოთ ხელი წაივლო, თითქოს შიგნეულში მძიმე მუშტი ჩაჰკრესო, რაღაც ძლიერ ეტკინა. იცოდა, ეს „რაღაც“ ღვიძლის შემოჩენილი ტეხვა იყო და ქალი გაშრა, გაისუღრა. სანამ წამოვლილმა ტკივილმა არ გაუარა, რამდენიმე წუთს ხმა არ გაუღია. მხოლოდ კბილების კბილებზე მოჭერით, კენესა არავის გავაგონოო, სიმწარე შეკავებით, თითქოს კვერცხი გალანდაო, გვერდულად გახედა შემოჩენილ კაცს და უთხრა:

— ლიმონავ, თექვსმეტი წლისა გავთხოვდი. მითომ შენ რა გინდა! არ დამაცალეს ბადრუაშვილებმა დაფრთიანება. დამავლეს ხელი, წამომიყვანეს. ისე, ჩემთან რა ანგარიშიც გაქვს, ავერ ვარ. დავჯდეთ, ჩამოვწეროთ, ჩამოვყაროთ. შვილსა და შვილიშვილებს, თუ კაცი ხარ, თუ ჩემი მეზობლობაც გინდა, ნუ მიმიწვდები! ღმერთმა ქნას და ინებოს, უჩემოდ იყვენენ კარგად, არასოდეს არაფერი გასჭირებოდეთ, დაჭირებოდეთ! მე ისინი ჩემი გამჩენი ერის და თავიანთი თავისთვის სავარგებლად გავზარდე. მორბედი თუ წერილს გამომიგზავნის ან გაირჯება, ხუთ წელიწადში ერ-

თხელ მინც მნახავს, გავიხარებ, ესაა და ვს. ნამდვილად გეუბნები, ნახვის მეტი არა მინდა რა მათგან.

აქ შოლოდ მოგვიანებით გაიფიქრა ქალმა: „ნეტავი ასე მწარედ რადა მკებენს, მშვიერი კი არ იყოს ეგ უბედურ დღეს დაბადებულიო“.

იმ თვეში ბაბილინე ბადრუაშვილს ორმოცდახუთმეტი წელი უსრულდებოდა, მაგრამ მნახველი ამდენს ვერ მისცემდა.

ზემოცხავეთის მკვიდრმა მოხნიერების ეამს ქმრის მამათაპაის სამოსახლო მახლებს და შილებს დაულოცა.

მეთორმეტე წელიწადი გავიდა შარაქურჩის დასალიერის ფერდელა ხრიოყზე გადასახლდა. ახალი სამოსახლო, თავიდანვე იცოდა, მშვიერი ადგილი იყო. ჩასიბულ, სითქოს ჩაცემენტებულ რგვალ-ქვიან ნიადაგზე, ერთ მტკაველზედაც არ იღო დედამიწის ქერქს ზემოდან გადაკრული ხეხილის ნერგისთვის ტუძუს მაწოვებელი მიწა. სწორედ ამ მიზეზით იქ არაფერ დასახლებულიყო.

ეს მარტო მან, ბადრუაშვილის ქვრივმა გაბედა ვერანა მიდამოზე საცხოვრებლად გასვლა, საიდანაც მთელ სოფელს საქვიტკირო ღორღი და სილახრეში გაჰქონდა ოდითგანვე.

ახლა იმ საათებში, როცა ლიმონა აგულიანებდა, დაისვენე, ჭიშკრის გარეთ გადმოდიო, თან შეუბრალებლად კებნდა, ბაბილინე, ახალი სამოსახლოს კბილა ვაშლებს, ქლიავებს, მსხლებს, ლედებს, კოდმეებზე შემორგულ აკაკებს, კაკლებს, სათალარედ გაშვებულ ვაზის ძირებს ბალახებს აცლიდა, მიწას უფხვიერებდა. სასოფლო ნავ-გეჯიდან ეზოში შემოპარულ ნეკზე წვრილი წყლის ნაკადულით ყველას რიგ-რიგობით ფესვებს უსველებდა. ახალგაზრდა, ნაყოფის მომცემ მცენარეებს თუნდაც ჩაის ჭიქის ასავებზე მეტი ნაში არ შეხედროდათ, ქვრივი არას დაგიდევ-

დათ. მის კუთვნილ სისველეს ერთ ცვარს არ აკლდებდა არც ერთ ძირს.

ბაბილინემ იმ წვრილი ნაკადის იმედ-ემხით დაიღო უდაბურ, ქვიშა-ღორღნალის სათხარზე სამოსახლო, მე ვიცი როგორ ბალ-თალარს გავიშენებო. უთვალავი თვითმცლელის დასატვირთი რგვალი ქვა-ღორღი ჯერ წერაქვით ამოყარა, მერე მახლობელ ხევში ჩაღება. ასე თავისი გაიტანა ნერგებმა ძალუმად იგვარეს და ივარგეს. გავიდა დრო და როგორც ქვრივზე, ისე იმის სამოსახლოსა და სახლზე, ვის აღარ ეჭირა თვალი აცა, იქნება ან გათხოვდეს, ან გაუჭირდეს, გაჰყიდოს. აქ, ზემო ცხავეთში თავის. ქმრის ნაშვირი აღარავინ ჰყავსო, შეიძლება კიდევაც მოკვდეს, ღვიძლის ტყვივლს უჩივისო.

— ეგ სახლი, წინ და გვერდებზე ბალი, თალარი და ერთბაშად შემოღობილი სამოსახლო, მგონია შენ შეილებს და შეილიშვილებს არც უნახავთ.

განუახლა გულის ცხრად გამაპობელი საუბარი ქალს მედოღემ.

— სწორად მიმხედარხარ და დაგხსომებია. მართლა არ უნახავთ. აქ მოსვლის დრო არც ერთს არ აქვს. მამ, მე რა გავაწყო? თუ ნებით არ მოვლენ, ძალით ვერსაიდან მოვიყვან. — თავშეკავებულად მიუგო გულის სიღრმეში ძლიერ ნაწყენმა ქალმა.

— რახან აგრეა, როგორ მოიქცევი?

— აკი ერთხელ ვთქვი და უთოდ გაიგონე, სადაც არიან, იქ იყონ კარგადმეთქი.

— მაგას აგრე ადვილად ურიგდები? რა გავაწყოვო! ამას დამიხედეთ!

„ნამდვილად ძალზე მშვიერია“, დაასვენა ლიმონას ლაპარაკიდან ქალმა-კარგად იცნობდა სტუმარს. თუ ყუთიანად ნაპურმარლივეი არ იყო, მაშინვე მოუბრუნებელ, წინდაუხედავ ავეიობის გუდას მოხსნიდა პირს. ეს იმდენად არაფერი. მისი შემოდგომის მწერივით შხამიანი ნესტრის საესავი ადვილი ასატანი არ იყო.

და ბაბილინეს ქალურად თავშეუკაც-
ვებელი წყურვილი წვავდა, დარწმუნე-
ბულიყო, მართლა შიოდა თუ არა კაცს.
უეტრად ხელი უფრო მაგრად ჩაჰკიდა
მეზობლის გოგონას. ნელი-ნელ დაიძ-
რა, აღიმართა, მამაკაცის სიამაყის მო-
მდრეკი გულმკერდი წინ წამოსწია. მე-
რე თეთრი კბილების დობე გამოფინა
წითელი ტუჩების რკალში. მუშტრისე-
ბურად შეათვალიერა ღიმილიანი ყოველი
მხრიდან. თავი ძლიერ შეიკავა, სიცილი
არ წასკდომოდა. მედლოე ღიმილის შა-
რვლის სათავეები თქმობის კოტორტე-
ბის ქვემოთ ჩამოვარდნოდა. სადაც იყო,
ტანსაცმელი სულაც ჩაძვრებოდა. ჯა-
რისკაცული ღვედის ქამარიც უშნოდ,
ბალდუმივით ფაყვედ ჩამობლანდოდა
ჭიბის დაბლა, სათაქროზე, „თუ მშიე-
რია, კიდევ რასმე წამკენსო“, იფიქრა
ახლა ქალმა და არც მოსტყუვდა.

— ოჯახისათვის ეგეთ თავგადაღებულ
დედას და დიდედას, იგეთი გულცივი
მორბედი ვით გამოგივიდა, ჰა.— იციტხა
კაცმა და განავრძო: — არა, ნეტავი
ვიცოდე. ახსოვხართ თუ არა მაინცა. —
ღანთხია შხამიც.

— რა გინდა, რად უნდა ვახსოვდე-
მეთქი! — კვლავ მოუტრა ქალმა. —
ყველას თავისი თავი აქვს საწუხარი,
სადარდელი. შენ სიცოცხლე და ოჯახი
ადვილი შესანახ-მოსავლელი ნუ გო-
ნია! მე, რა! განა ბალღი ვარ, თავს ვერ
მოვუარო. ღმერთმა საქმე ისე ნუ გამი-
ხალოს, შვილების და შვილიშვილების
ან ქვეყნის ხელში შემჩერე გავხდე.

— ყველა უზადოდ ვახარდე. დააქა-
ლე, დაავაქაცე. მეტი, მართლაც რა
უნდა უნდადეთ! ახლა ჩანს, მხოლოდ
თავის თავზე ფიქრობენ კუდაბზიკა თა-
ხუნებივით, ჩვენი ძვირფასი ქათიბი არ
დაგვეციოდეს უდროოდ. სხვა, დედა თუ
დიდედა, წყალს წაუღიაო. შენკენ მო-
ხედვა მანკად მიიჩნიათ. ხსენებას ხომ
ნუღარ იტყვი. ბაბილინე გვეყავსო, უთ-
უოდ ნაგრად ფიცავენ, ესეო და ჩვენ
ქალაქში დავდივართ, ის კი, იქ, სოფე-
ლში, ივრიმინდვრებში მიწას ჩასტყე-
რის, პრანჭობის თავი არ აქვს, ახალი

მოდის კაბა არ აცვიაო. იქნება იმასაც
ტრაბახობენ, ციდან ჩამოვარდით. ხო-
ქეპზე გადაკრულებს ზემოთაქვენი
არ გვიღნავლიაო.

— შენ, პეი, დღეს რად შემომიჩნდი!
— შეიკრა ბაბილინემ კობები. — განა
როცა რაიმე სიაში სწერენ იმ ჩემ შვი-
ლებსა და შვილიშვილებს იქ მაინც არ
იტყვიან, ამა და ამ ბაბილინესი ვართო!
— არ იტყვიან! სიაში მამის სახელი
იწერება.

— შენ კი ჩაგივარდეს ეგ ენა გულ-
გვამში.

— ახლა იმასაც გამომიტყდი, არ ნა-
ნობ იმაზე, რასაც სოფელში შენზე ამ-
ბობენ?

— რაო, რას ამბობენ?

შეეკითხა ბაბილინე და მკლავები მო-
იღერა, რათა მუშტი დაეთხლოშა თავში
თუ უწმინდურს რასმე იტყოდა მედო-
ლე.

— ცუდი რამე კი არ იფიქრო. იმაზე
გეუბნები... — უცებ შეიცვალა კილო
ღიმილამ. — შენ არ იყავი, თავმჯდო-
მარე შეტკერე, მთელი სოფელი გარეთ
გამოარეკინე სამუშაოდ. ძაღლის ყბა
გამოიბი, წყალი, წყალიო. მოვიდა კი-
დევაც ეგ დალოცვილი სოფელში.

ბაბილინემ მაშინვე შეატყო, რა სათ-
ქმელსაც მალავდა უკანასკნელ სიტყვე-
ბის კორიანტელსა და კილოში მედო-
ლე: „თავმჯდომარე იმიტომ გაიძარჯა,
ქალბატონო, რომ შენთან დაძვრებოდა
ღამღამობით. წყლის გამოყვანის მოთა-
ვეობა, თბილისში მიღებზე სირბილი,
ბალიშზე თავდაღებულს, მკლავი-მკლავს
გადაქობილს აკისრებინეო“.

ამ დანაშაულს ბაბილინეს თავისი
ღები, ძმები, მამლები და შილებიც
სწამებდნენ. ეს ერთი იმ მიზეზთაგანიც
იყო, რისთვისაც ბაბილინე ბადრუაშვი-
ლების ზემოთა სამოსახლოდან ახლო
მეზობლებს ვაეროდა და სოფლის გა-
რეთ სილა-ხრეშის სათხარზე დაესახლა.

„დანაშაული, ცოდო“ როგორღაც
უახლოვდებოდა ნათესავეების იქვეუ-
ლობას.

ბაბილინემ თავმჯდომარეს მართლა ჩა-

ავონა ზემოცხავეთში წყლის მოყვანა. კაცმაც საოცრად მოინდომა ეამებინა ქალისათვის.

დიდიან-პატარიანად დაბეგრა სოფელში ყველა.

ომის ინვალიდები და საშუალო სკოლის მასწავლებელ-მოსწავლეებიც უკლებლივ გამოიყვანა სამუშაოზე, თითო მუჭა მიწას მიანიც ამოჰყრიან თხრილიდანო. ბაბილინე სხვებზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ ცემდა წერაქვს და იქნევედა ნიჩაბს. თავი არა, წარმოდგენაშიც არ დებია ბალიშზე თავმჯდომარესთან. ერთი რამ კი ნამდვილად მოხდა: ლაკებზე თუ თვალაღზეში, საგარეჯოსთან, სად—ბაბილინეს კარგად აღარ ახსოვდა, დიდი დანანებით უთხრა კაცმა: „ჩემი გაუბედურების სანაცვლო ღმერთმა მოჰკითხოს ბაღრუაშვილების მთელ გვარს, მათ მომპარეს, თვალსა და ხელეშუა გამომაკალეს შენი თავი. ახლა ზემოცხავეთში წყლის გამოყვანა კი არა, მითხარი და შენი გულისთვის, შენი სურვილის შესასრულებლად, ბიჭობისას ჩემი შენდამი ტრფილის ხარკად, თრიალეთს მივადგები ძირში მოსათხრელადო“.

— წყალი ზემოცხავეთში თავისით კი არ მოვიდა, მოვიყვანეთ!—გაჯავრებით მიაბალა ქალმა.

— თუნდაც ავრე იყოს! — არ ცხრებოდა მელოლე. — ოქროს გვირგვინი რა უყავი, სად გიძვეს მალულად?

— ეგეთი რამე, გვირგვინიო, არც მიფიქრია. ექვსი ქალ-ვაჟი გავზარდე. ჩვილის გასაბანად, ცომის მოსახელად, პერანგის გასარეცხად წყალს სამტროსამოყვრო მანძილზე დაშორებულ წყაროდან ვეზიდებოდი მხრით, ზურგით. და მარტო მე კი არა, მთელი სოფლის დედაკაცობა ჩემებრ წელიწვეტაში იყო. მე, შენ კარგო კაცო, წყალი მიწოდოდა მენახა ჩემსა და ყველა ზემოცხავეთელის ეზოსთან. ამისათვის გავისარჯე, რაც შემეძლო, როგორც შემეძლო. ჰე, ჰეი, შე უსამართლო და უმადურო ლიმონავ! ის სასმელი ყველაზე მეტი შენ შეგებდა და მადლობელიც

არ ხარ. აქი შენი კარის საძირკველთან, კიბის ქვეშ ბარძაყის სიმსხო ფრლადის მილი გაგიდის სულ ყოველ წუთს სანკარა წყაროს წყლით ავსილი! წყალი მოვიდა, ამას მოესწრნენ ჩვენი, ზემოცხავეთელი დედაკაცები და შენი მოკლე აზრით, თურმე დავაშავე. დიდად გმადლობთ, ახლა თუ გარჯის სანაცვლოდ უზნეო, ნამუსზე ხელაღებულ ქალს მიანიც არ შეძახით ზურგსუკან.

— წყალი დიახ, მოვიყვანეთ სოფელში!—გადაასხვაფერა ლიმონავი.

მეტისმეტი მოუვიდა. აქ, ივრისპირიდან ამოტანილი თუნდაც ერთი ხმელი შოთი არ დაეკარგო, ქამარს გადასინაცვლებელი ნაჩვრეტი აღარ აქვსო. გატკბილება, საამებელის თქმა მიანიც ვერ მოახერხა, მალე ისევ მისებურად, მწარედ განაგრძო:

— შენა კი, სოფლის სარგებელ დიდი ბარაქის პირველი ცეცხლმემკეთებელი და მეზუყე, სად იყავი, როცა ოქროსფერ ონკანიდან შადრევანმა ამოსჩქეფა? არსად, არსად ლოდავი იქ ახლოს! მეორე დღეს გავიგეთ თავშანთავაზე ცხვარს წველიდი. აქ კი, ზემოცხავეთში, იმ კარგ დღეს, შენ წამოწყებულ პირველზე ბანის მომძახებმა მოიხვეჭეს სახელი, საჩუქარიც მესამემ და მეოთხემ მიიღო, ზილოც იმბრისამ ჩამოიკიდა მკერდზე.

ასეთი წასაკებნის განუწყვეტლად სალაპარაკოდ დოლიბრაგუნას პირში ენა არ უჩერდებოდა.

ქალი გულქვად უსმენდა. ზოგიერთივით ცოფი არ ემართებოდა. გული მომივიდეს და ვისზედამო. თუმცა სამაგიეროს მიზღვა აღარ დააყოვნა.

— ღმერთმანი, ჩემმა მზემ, ლიმონავ. — დაიწყო რბილად. — იმაზე რაზედაც მე შენ წამომიხჩროლე, გვირგვინი, სახელი, არასოდეს არ მიფიქრია. ეგეები პირველად, შე უკუღმართო, მე შენ ჩამაწვეთე ყურში. რაღა დაგიფიცო, ჩემი ხასიათისაგან ვიცი, ბევრი ავი რამე მჭირს. ერთი ამ ავთაგანია: თუ რამ შენინიშნე ვასაკეთებელ-საღვაწი ჩემია, სხვისია, კერძოა, საერთოა, მანამ ვერ

მოვისვენებ, სანამ ან მე არ გავაკეთებ, ან სხვას არ დავადგები თავზე, ჰანდუ ვაკეთებ. მთაზე წყლის ამოყვანის ამბავიც ასე იყო. აბა, მე ჩემი ქონებით რა შემეძლო. თუჯის ერთი მილის საყიდლადაც ფული არ მეყოფოდა. მოტანას ხომ სულაც ვერ შევძლებდი. რაკი ასე იყო, თავმჯდომარეს შევეუხინდი და როგორც ხედავ, წყალი არის. — აქ ქალმა სწრაფად შეცვალა ხმა; მკაცრად და შთამბავონებლად მისდგა: — მე შენ მდოღვე ლომონა ახვეტაშვილი ნუ გგონივარ. ჩამონართმევ ბაღში, სადაც მამაშენმა, ღმერთმა წაწყმიდოს ის შენი აქ დატოვებისათვის, სახლი ჩაიღვა და მიიშისეთ. ოთხმოცწლიანი კაკლები გაუწყნაყოფიერე, მსხლები ფითრებს შეაჭამე, ვაშლები ბურტყას მიეცი, კურკოვნები—რა გარგარი, რა ჭერამი, ატამი, ქლიავი და ნუშები შეშად მოსჭერი. ერთი ძირი ვაზი და ლუღვიც არსად გიდგას. ესეო და, დოლის ბრაგაბრუგი ვიციო, სადაც ქვაბი გაიჩხაკუნებს, იქ გარბიხარ. შენა ხარ, მიწაზე მკლავის მოქნევას სათოფეზე არ ეკარები. ეგ, რა არის, ლეშით მაძლარ შავი სკვავევით უფრთხილდები მოდონდლოებულ მძოვრს, არიქა, მუდამ ედგას ძაღლებისაგან საცხოვნებელი სულიო. ერთი სიტყვით, არ მოვკვდებო. მერე და, რა ფასი აქვს შენს სიცოცხლეს!

— ჩემი სიცოცხლე მას ეკითხება, ვინაც და რადაც გამაჩინა!

— ჰა, რაო, რა სთქვი ამას წინათ, შე არ ვასახარელო. ბიკანთ ბიქის ნაობლარა ცოლი მუშისთვის ერკემალს დიდ მოკალულს, საშლაფლავე ქვაბში ჩაყაურმებსო! ხირსიბოლოზე პამიდორი დამწიფებიათ, ნავარგვეი ნაყოფით სავეს გოგროხები ჩემი ნაჩუქარი ბებერი, თეთრი სახედრით მთაზე ამოუზიდიათო! მაშ აბა, მომქმედ, სიცოცხლის მოხარულ ადამიანებს სხვა რა უნდა ექნათ, სხვა რა შეუძლიათ!

• • •

ბაბილინეს გამწარებამ დოლიბრაგუნა, რომ იტყვიან, აყევა. „რაკი ჩემზე

ჯავრი ამოვაყრევი, თავი შეეკიკე, სიტყვა არ შევეუბრუნე, სამაგერო—არა უთხარი რა, იქვი აღარა მქვს, მქმევს რასმეო“.

მთელი ზემოცხავეთი იცნობდა ბაბილინეს უცნაურ ხასიათს. თუ ავად ან კარგად არ გააბრაზებდნენ, თუ მასთან ურთიერთობაში ან სასიხარულოს ან საქმუნავს არ დაუტრიალებდნენ, იმისგან აღვილად ფეტვის ორ მარცვალს ვერ იშოვნიდა მეზობელი.

— ლაპარაკი, ბაბილინე, შენ შეგებებოდა, მე კი არა. მაშ ეციხ რად შემომიტრიალე! — უტიფრად, მაგრამ შემარიგებლად ჩაულაპარაკა ლომონამ. ჩაახველა მობოშებული ქამარი აიწია, ჩავარდნილ, ხერხემალზე მიკრულ მუცელზე გაბარდული ხელი ვადაისვა, ნახე ქალო, რა ცარიელიაო. შემდეგ ცუდლუტურად გაუბა ისევე:

— იქნება ქეიფ-დროსტარების ლახათს მიძრახავ. მაგაში ხომ მაინც არ მყავს ტოლი. ეგ მაინც მომეკითხება ვაქვასური.

— არაფერიც, არაფერიც! — შეაჩერა ბაბილინემ. — თფუ! ქეიფ-დროსტარებისა შენ იმდენი გაგეგება, რამდენიც მოწეული, ვახლეჩილი ბროწეულის გემო-სილამაზისა სახედარს. მოუპირავები რომ ღვინით იხრჩობიან და შენაც იმათთან ათენებ ხოლმე ლამეებს, ამას მაქადნი? დოლის ბრაგაბრუგში აცინცულ-მოგდებულ გროშებს მეორედღეს სასაილოში მიარბენინებ ბუღლამა, ბუღლამაო! ეგა, ქეიფ-დროსტარების მოყვარული კაცის შნო კი არა, ფაშვილმერთაობის ნამდვილი ნიშანია დედლის აკაკანებასავით კვერცხის დადების შემდეგ. ეგ, ქეიფი კი არა, ცუდი ზნე, ჭურდობის ღვიძლზე ნადები მშაა. ვასწი აქედან! იქ მიდი, საიდანაც მოხველ. მე რად შემომჩხავი! — გაუბრაზდა.

— არა, ბაბილინე! სად, ვისთან მაგდებ! — მთლად მოიკაცვა მდოღვე. — ვანა შინ არა ვიძევს რა! კოჭბით ივრისპირიდან თათრული ჩობან-ყაურმა მაინც არ ამოიტანე. შენა და, ცარიელი სახლითა და განჯინითა?

— არ ვიცოდი თუ შინ მოსვლის უმალ შენ მესტუმრებოდი, თორემ ზაქის სათბილოებს წამოვიღებდი ზურგით, მოგართმევდი ვით გიორგი მეფესა.

— თუ ქალი ხარ, შემიბრალო! რადროს სათბილოებია რაც გაქვს მას დევკრლები, მეექვსე დღეა ამ მთის ზურგზე დოლი არავის დასჭირვებია. ის დედაბერი შუაუბანში ჩემ ქირად გადაიქცა და მოკვდა. პო და, აბა, სად ვკამდი რასმე.

— აი, შე!.. — დაეწვა გული ბაბილინეს. — რა გაეწყობა! შენ ცოდოს შესანანებლად ვერ გავიხდი სულის ამოხვლის ქამს. აგერა მიდი აკაყის ნერგთანა, აბგა ჩამოიღე. შიგ ყველი, პური, ნიორი, სტაფილო ძეგს, ბორჯომის წყლის ბოთლის ძირზე მაგარი არაყიც დგას. ჭრილობის მოსაბანად დამაქვს შემთხვევისათვის. ცოტაა, ორმოცდაათი გრამი ძლივს იქნება. მი... სჭამე, დალივე...

— ხი... ხი... ხი... აქამდე რად მაწვალე! აღრე გეტქვა ეგა, შე კარგო ქალო!

— აღრე რად უნდა მეტქვა! — გაოცდა ქალი.

— იმდენ მწარეს აღარ დაგახარვებდი. — მოუჭრა კაცმა.

მელოლემ წამიც არ დააყოვნა. ფეხი გადადგა აკაყის ნერგისაკენ. სწრაფად ჩამოიღო აბგა იქვე, ნაბარავ, რბილ მიწაზე ჩაიკეცა. ყაბას თვლებში აუფათურა ხელები. პირველად ორმოცდაათი გრამი წინწანაჭრით გაუმასპინძლდა პირს, მერე პურს, ყველს, ნიორს მოუღზინა. დაბოლოს, კბილებში ხრამაზრუში აუყენა სტაფილოს ბოლქვებს, რაც მასპინძელს წამოეღო ივრისპირიდან და კარგად აღარ ახსოვდა.

სანამ კაცი საქმელს ჭამდა, ბაბილინემ კამა-ობრახუშ-ნიახურის ნათესაში მუსრი გაავლო ნაყარქათამას, ჭიჭლას, შამბს და მზეც ჩაეფარა ქედის გადაღობით.

სალამოვდებოდა. უკვე ცაზე აქა-იქ ჩანდნენ ვარსკვლავები, როცა ლიმონამ ფერდი ამოიგნო. ამის საზღაურად ბა-

ბილინეს სასაგზლე ამოუცარიელა. გამშრალი ბორჯომის წყლის ლურჯ ბოთლი რომ კვლავ ჩადგა აბგის თვალებში და ჩამოკიდა აკაყის ტოტზე, დააბოყინა და მოჰყვა:

— ეკ, მადლიანია ეს დალოცვილი ჩვენი ზემოცხავეთი.

— მადლობა გამჩენს, რომ მაგის გაგების გონი მაინც არ გამოუწირავს შენთვის, ლიმონაე!

— მადლიანია, მა რა! — შეედავა ლიმონა ქალს, თითქოს ის ზემოცხავეთის მადლიანობას უარყოფდა. — ეს მიწა, პაერი, შენისთანა ადამიანი, ისეთი პური, როგორიც ჩვენმა მინდორმა იცის, აბა, კიდევ სხვაგან სად იქნება... ვთქვათ, ასე არ ყოფილიყო, მაშინ ხომ პურადებიც აღარ იქნებოდნენ ჩვენში. მაშინ რალა მეშველებოდა. უთუოდ ერთ თვეში სულს გავაცხებდი, — ამბობდა მარტო თავის გასაგონად მელოლემ. მაგრამ ყურმახვილ ბაბილინეს არაფერი გამოპარვია.

ზემოცხავეთისთვის მართლაც კარგზე კარგი პაერი, მდებარეობა მიეთარჯნა ბედს, თუ სოფელზე შეიძლება თქვას კაცმა ასე.

ახლანდელი მოსახლეობის წინაპრებს ბამბურის ქედის ერთ წვერზე უხსოვარ დროში დაუდევთ სამოსახლოები. წინათ, რვეოლუციამდე, რა და როგორი იყო იქ ხალხი და სოფელი ახლა ამაზე ბევრი ვერაეინ ვერაფერს იტყვის.

ათას ცხრაას სამოცდარვა წელს კი ამ სოფელში მოტორის ვეებერთელა წისქვილი, ხუროთმოძღვრების, ინჟინერებისა და ზემოცხავეთელებისაგან დიდად ნამამაგარ-ნაშენები სახალხო სახლი, საავადმყოფო და აბანოა. ყოველ სახლსა, ბოსელსა და საქათმეში ინთება საღამომობით ელექტრონი. სოფლის ოთხ დიდ უბანში, ოთხ დიდ, ძველისძველად ნაგებ საყდრებს ცაში შეუფერენიათ გუმბათები. ეს საყდრები და საყმაოდ ძლიერი ციხე-გოდლები, სოფლის სულ მალღ წერტილიდან გორიზად რომ იმზირებიან, მეცხრამეტე საუკუნემდე უშენებიათ მარადისობაში წასულ ჩვენ

მშვენიერ პაპებს და დიდებებს თავიანთი სახელის და შთამომავლობაზე ამავის სახსოვრად.

ბამბურის ქედის ერთ გრძლად გავაკებულ სერზე ასე ძველი ძველებით და ახალი საცხოვრებელი შენობებით მართულს და ამაყ დასახლებას სასმელი წყალი არ ჰქონდა მაღალ ადგილებში წყარო არსად სჩქეფდა. ჰას თუ გასჭრიდნენ, წყლის ძარღვამდე ორმოები ვერ აღწევდნენ ქვესკნელში.

პურის მოსახელ, სასმელ, ჩვილის გასაბან წყალს დიასახლისები მართლაც ბამბურის მთავრეხილის ფერხთით გაშლილ ერთი სოფლის წყაროებიდან ეზიდებოდნენ სახედრებით, მეტი წილი მხრით, ზურგით და შედარებით მდიდრები—ურმებზე დაწვენილ რუმბტიკებით. წყაროები ზემოცხავეთლების კერებიდან ორი-სამი კილომეტრით იყვნენ დაცილებულნი.

სველი ტვირთის ზიდვით, ნამეტნავად ზამთარში ქალები ეწამებოდნენ, იტანებოდნენ, როგორც იქაურები იტყოდნენ, „მიძვრებოდნენ მიწაში“. დღემდე ახსოვთ ზემოცხავეთლებს რამდენმა ქალმა გააფრთხო სული წყლის ვახზე, დამსხვრია კოკა და მახლობლების გულები.

მამაკაცები ბევრჯერ შეეცადნენ საზოგადოებრივი მდინარის ნაპირისთვის დაეახლოვებინათ. ესე იგი, საღმე ძირს, ვაკეზე გადასახლებულიყვნენ, სადაც წყაროც ბევრი იყო და ჰების ამოყვანაც ადვილად შეიძლებოდა.

რა გაჭირვება არ ადგათ ქალებს! მაგრამ მამაკაცების ამ განზრახვას უთქმელად ეწინააღმდეგებოდნენ. მათ ენას არ დასკდებოდა „გაფწყდით წყლის ზიდვით“. თუ იტყოდნენ რამეს პირიქით იტყოდნენ. — „რაც უნდა ის დაგვემართოს. შორიდან სავსე კოკების ორევეთ სანაშენოდ არ გაფწყდებით. დაბლობში, ხაშმიანი სიცოცხლე კი არ გვინდაო“.

მაინც რა მთავარი საბუთი ჰქონდათ ლეჩაქიან-მანდილოსნებს და არ ამხედდნენ რადაც უჭირდათ ქვემოთ მდი-

ნარის ნაპირზე გადასახლება? ეს თურმე მღვდლებმა გამოარკვეეს, როცა ისინი დიდი დაფასებით სარგებლობდნენ სოფლის ოთხ საყდარში.

„აქ, მაღლა, მთაზე, ბალები გვეზრდებიან კარგად. ვერც ჩვენს გასათხოვარს და მით უფრო საქმროს, ამის გამო ვერ იწუნებენო“. — გამოუტყდნენ სულიერ მამებს ქალები.

— შორიდან წყლის ზიდვაზე რაღას იტყვით? — შეეკითხნენ თურმე კვლავ მღვდლები.

— მაგას, როგორც იქნება, გავუძლებთ! — კვლავ მიუგეს ლეჩაქ-მანდილიანებმა.

ქალების ამ მოსაზრებას, მაღლა მთაზე ბალები კარგად და კარგები გვეზრდებიანო, მამაკაცები ვერსაით წაუვიდნენ. გულის მპოვნელ, ლამაზ დაქინებულ ეჩვენებოდათ ის. ბევრს იგივე საბუთი ქალისაგან ოჯახისა და შთამომავლობისათვის თავგანწირვის მშვენიერ მაგალითად ესახებოდა. მას შემდეგ ზემოცხავეთლები აღარ მიიწევდნენ დაბლობზე გადასახლებლად. თითონ მამაკაცებსაც ხომ დიდად რგებდათ ბამბურის ქედის ჰაერი. ახლა აღარავის ახსოვს, რომ მთელ იმ მხარეში თავიანთი მეორე ნახევრებისათვის ქეშმარიტი კრძალვით იყო გამსჭვალული ყველა ზემოცხავეთელი მამაკაცი. და რომ ამის მიზეზი გახლდათ ქალების დაქინება: მთის წვერიდან ფეხს არ მოვიცვლითო. დიახ, სამუდამოდ დათმეს მამაკაცებმა ძირს, ველზე გადასახლების განზრახვა. ამის გამო თავიანთი ქალები უფრო მოეწონათ და უფრო შეუყვარდათ. ეს გასაოცი არ იყო. აქი აღამიანი სწორედ გონიერებისათვის მიანიათ ბუნების მეფედ.

• • •

ასეთ სოფელში მიღებით წყლის ამოყვანაზე მეტი ამაგი მოსახლეებისადმი კიდევ აბა, რა შეიძლებოდა. და აი, ორი ათეული წლის წინათ, ომის გათავების წელიწადს, როცა ბაბილი-

ნეს ქალობა წითელი ვარდივით უბ-
დღვრივალეზდა, სოფლად წყლის ამოყ-
ვანა ათავებია თავმჯდომარეს. რალა
მანცა და მანც ეს ამბავი ბაბილინეს
შეჩენით გაკეთდაო, ენაძვირობდნენ
ლიმონა მედოლესებრნი სოფელში.
მერე პირიდან პირში გადასცემდნენ:
მანდ საქმე სუფთა არ არის. მაგ დედა-
კაცს თავმჯდომარესთან ნაცნობობასა
და ნათესაობაზე უფრო ახლობლობა
აქვსო.

ასე იყო თუ ისე, ბაბილინესაგან
დანთებულ კოცონს, როცა ნაკვერჩხ-
ლებმა სითბო დააფრქვეეს, ვინ იცის,
ვინ მიუჯდა ახლოს. ონკანებში წყლის
მოსვლის დღეს ქალი არ დაესწრო.
სასოფლო ზეიმში გამოტოვეს, თუ თი-
თონ გამორჩა, არავის უკითხავს და
შეუნიშნავს.

ეს შემთხვევები მოაგონა ლიმონამ
ქალს. ამით ეგონა და სურდა, რო-
გორც ყოველ ბოროტ ადამიანს, კე-
თილისთვის სულსა და გულში ენგვი-
ნი ლურსმანი შეესო. ლიმონამ ამას
კიდევაც მიაღწია. ქალს გულზე სიმ-
ბიმე შეაწვა და ღვიძლი ისევე აუტყდა.
ლიმონას კი რა ენაღვლებოდა. არაყი
დალია, პური, ყველი, ნიორი, სტაფი-
ლოები გვახლათ, ახალგაზრდა ხეები-
დან მოკრეფილი გარგარიც ბევრი მი-
ირთავა. ასე დალია მედოლემ ის დღე,
თავისთვის საამოდ და მეზობლის გა-
მამწარებლად. მოგვიანებით წავიდა
თავის სახლში. თუმცა, იმის გულში
თუ ჩაიხედავდით, ადვილად ამოიკი-
თხავდით, რომ ბაბილინესთან დარჩენა
ერჩია ლამითაც.

არასასურველი სტუმრის წასვლის
წუთს, მასპინძელს წამოწოლის უმაღ-
ჩაეძინა. მამლის პირველ ყვირილზე
სოფელში ატეხილმა ხმაურმა და
ღვიძლის კვლავ შემოტევამ ცუდ გუ-
ნებაზე გამოაღვიძა. სულის მოსათქმე-
ლად მაშინვე გარეთ, ეზოში გავიდა,
თუმცა ჯერ ისევე ბნელოდა. კარმიდა-
მოში შემოყვანილი სარწყავი ნაკადის
სველ კვალს მიჰყვა ბოჩილით. მალე
უბნის ნავ-გეჯამდე მიიღწია.

თითბრის ონკანიდან მოჩქაფუნე
წყაროს წყალს ნაადრევზე ნაადრევად
შეღვიძებული ქალები შემოხვეოდნენ
გარს. ბინდ-ბუნდში ქურჭლებს ავ-
სებდნენ, ერთმანეთს ცივ წყალს ას-
ხამდნენ. სიამისაგან კიოდნენ, ტკვარ-
ცალებდნენ. მერე, საესე ქურჭლებით
დატვირთულები, შინისაკენ მიისწრა-
ფოდნენ. დასველებულები, გახარებუ-
ლები, ნაამებნი, კი არ მიდოდნენ, მი-
თამაშებდნენ.

ბაბილინეს ამ შემთხვევამ ღვიძლს
ისევე წამოვლილი ტკივილი მოჰპერა
და გაუქარწყლა. როცა სხვებივით
შეიფურთქუნა პირზე წყალი, როცა
ონკანის შხეფები ჩითეულის საზაფხუ-
ლო ტანსაცმელზე შეაფრქვია ნაცნობ
ქალებს და მათაც სამაგიერო გადაუ-
ხადეს, გამხიარულდა, ჯანზედ მოვიდა,
ღონიერად გასწია ზემოუბნისაკენ. იქ,
ბიკას ბიჭის და ნაობლარას ეზოში
უკვე ელოდნენ. სანამ დანიშნულ ად-
გილას მივიდოდა, გზაში წყალსადენის
მშენებლობის მთელი ჰაი-ჰარა გაიხ-
სენა.

ბიკას ბიჭის ჯერ დაუმთავრებელი
სახლი რომ გამოჩნდა, კიდევც ინათ-
ლა. ნაწერს წაიკითხავდა ადამიანი.

ბაბილინე თითქმის გადაიპარა საშე-
ნი მასალით მორიალებულ ეზოში. ჩუ-
მად, ხმის გაუღებლად წაავლო ხელი
აგურ-ქაფჩას. საშენი მასალის და
ხელსაწყოს მომარჯვების შემდეგ, გაა-
გონა თავისი ხმა მშენებლობის პატ-
რონებს:

— დულაბი მომავლეთ!

როცა გაქეცილი ტაშტით ხსნარი
მიუტანეს, სათავეს მორთულობის
წყობას შეუდგა ქალი. სახლის ამ
თვალსადაგამის გამოყვანაში, მთელ
იმ მხარეში, ბაბილინეს ტოლი არ
ჰყავდა. ამიტომაც უბრალო საქმისა-
თვის არ აცდენდნენ. ორი ხელქვეითი
ეხმარებოდა. სადილად ძირს, სუფრას-
თან ვერ ჩამოიყვანეს, ბარემ მოსათა-
ვებელი მოვათავოო. კერძი და პური
ნაობლარა ნათლულს ლავგარდნებზე
ამოატანინა.

დალაშქრულში სხვა მუშებთან ერთად, ოდნავი პატივიც არ დასჭირებია სუფრას პირველი თვითონ მიუჯდა და სხვებიც მიიპატიჟა, მოდიო, ბარემ ვივანშმოთ და შინისკენ ვავსწიოთო.

ახალგაზრდა, ნაობლარა დისასხლისს ერკემელის ხორცი გემრიელად ჩაეყურებინა, პამიდორიც ზომაზე მიეცა, ბიკას ბიქს ღვინოზედ ებრუნა. საფერავით შეღებილი რქაწითელი ჰქონდა. სასმელი ლალის ვარსკვლავების ნაპერწყლებს აფრქვევდა სავსე ქიქებიდან და რაღა გასაოცარი იყო, თუ პურობა გაგრძელდა.

ღლით მშენებლობაზე ნამუშევარი მეზობლები ხუმრობდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ, კიდევ იცინოდნენ, კიდევ მღეროდნენ.

ბაბილინეს ცხოვრების წესით ეს იყო ქეიფი, ნამდვილი სიამე და არა ლიმონა მედოლეს წრიალი სოფელ-სოფელ.

* * *

შინისაკენ წასასვლელად ქალი ძალიან გვიან, მარტო გავიდა მშენებლობის ეზოდან. მოკლეზე მოკლე ივლისის ცხელი ღამე გრძელზე გრძელი ეჩვენებოდა ჩაძინებული სოფლის შუაგულზე უამხანაგოდ მიმავალს.

შარაზე გასვლის უმალ ქალმა ცას შეხედა, ნეტავი მაცოდინა ჩემი ვარსკვლავი რომელიაო. მალა ცქერაში ფეხი წამოჰკრა რაღაც საგანს, ხესაც მიეხალა და ისევ იგრძნო ღვიძლის საშინელი შემოტევა-სატკივარი დანით დატრიალდა გულ-გვაშში. იღბლად, სანამ თავს კარგად შეიმავრებდა, ტკივილმაც გაუარა. მაგრამ ამან გაახსენა მედოლე ლიმონა ახვეტაშვილი.

— სმა-ჰამამ ლიმონასავით ხომ არ გამიტაცა? — ეკითხებოდა ქალი თავის თავს. — ხომ არ ვისვავე ადამიანმა? — და თავის თავს თვითონვე დაემუქრა: — „მაცალე მე შენ, მაგ უზრდელობისათვის, მაგ უზნეობისთვის რა ვიქნა, სამ დღეს გაშიშვლებო“.

აღარ ახსოვდა, რომ სულ მცირეოდენი ყაურმა შექამა, ზედ ერთი პატარა ქიქა ღვინო დააყატლა მინს-წამო გულ-გატეხილობა გადეთქიდა ლამიან შარაზე.

— მართლა და, რა არის ჩემი სიცოცხლე?

ეკითხებოდა თავის თავს, თან საღვიძლზე ზელს იჭერდა.

„რა არის-მეთქი, ჩემი სიცოცხლე. ერთი მარტოხელა დედაკაცი ვარ. მალე დედაბერი გავხდები. ჰოდა, მოდი ქვას შვიადებე ზემოცხავეთს, გამოეკეტავ სახლს, გადავსახლდები ქალაქად. შევიღებს არა, არ შევაწუხებ. თბილისი მადლიანია. მესარეცხედ, მეეზოვედ დავუდგები კეთილ ადამიანებს. სული? ვანა სულ ერთი არ არის სადაც ამომივია!“

— მაგრამ თურმე არა, სულ ერთი არ არის, სად ამოუვა სული ადამიანს, — თქვა, როცა თავისი სახლის ლანდს მოკრა თვალი ღამეში. აქ წყლის ჩქრიალ-ტყლაშუნიც შეესმა. ბრძყვიალა თითბრის ონკანი ვილაცას ღიად დარჩენოდა. ყვითლად პრიალა ლითონი ვარსკვლავების შუქზე ოქროსფრად ბრწყინავდა. ნავ-გეჯას ზემოდან გადამდგარი, ისედაც ლურჯი წყლით სავსე აუზს, კიდევ წყალს უმატებდა მილი.

ამ ონკანიდან ივსებდა ბაბილინე ქურჭლებს, როცა შინ, სოფელში ამოდიოდა. იმ ნავ-გეჯიდან ეზოში შეუდიოდა ნეკისსიმსხო წყლის ნაკადი. იმ ნაკადით გაანაყოფიერა ვერანა ქვანალი სამოსახლო.

თითბრის ონკანი, წყლით სავსე ნავ-გეჯა, ნეკის სიმსხო ნაკადი იყვნენ ხშირად იმისი გულისმშოვნელები მარტობის დროს გარჯაში. მაგრამ ახლა ეს, რა ხმაურია ნავ-გეჯასთან? ნაკადის ჩქრიალის გარდა წყლის ჰავლა-ჰავლა ტყლაშუნი ესმის ბაბილინეს.

გვიანია. შარაზე ამ დროს ადამიანები წყლისათვის აღარ გამოდიან. მამ რა უნდა იყოს. მხედველობა გააშახვილა, სმენა მიუყინა.

ხელში მასპინძლის ეზოდან წამოღებული ძაღლის მოსაგერიებელი სახრე მოიპარევა. ამ ფიქრებში ქალი კიდეც მივიდა წყალთან. შესდგა, ეტყობა ბიკას ბიკის თეთრი, ბებერი სახედარი, ქვეუბანში ჩამოსულა. სანამ ნაპატრონალის კიშკართან მივიდოდა, წყალი შეუნიშნავს, აყალყულა ნავ-გეჯაში ჩამხტარა. უგუნური ცხოველი აუზში ბუქნაობს, გამძღარ ფაშვის კოლოტს ცემს ნავ-გეჯაში წყლის გუბეს. ღერის, აქცევს წყალს ფეხით სავლელ გზაკვალზე. შარახე ჰოკი დამდგარა. ნეკის სიმსხო რუს სათავე მოშლილა და ბაბილინეს ეზოში ნამი აღარ შედის.

— შენ კი აგიჭრელებ ვაგებს! — დამუჭრა ქალი სახედარს.

სახრე ხელში ღონივრად მოჰქნა, მიპარვით ნავ-გეჯისკენ ვაემართა. გოცებისა და სირცხვილისაგან უეცრად სახე მიეგრიბ-მოეგრიხა და ჰვალნაყრავეით წელი გაუყავდა, ფეხი ვეღარ გადადგა. თეთრი სახედარის ნაცვლად ნავ-გეჯაში ტიტველი მედოლე ღიმონა ახვეტამვილი ტოპავდა.

აირია ქალი. კინალამ გონება დაკარგა. ეს როგორ მომივიდა, რად არ გამახსენდა, სახედრები არასოდეს არ ბანაობენ, წყალს ერიდებიანო, და სახრემოღერებული კაცს თავს წაადგა.

— ხა... ხა... ხა... ქი... ქი... ქი... — გაისმა მედოლეს ჩირქილა ხმა. — ბაბილინე ხარ, გიცანი!

ქალი გონდაკარგულივით გამოშტერებული შედგა სახრით ხელში. ვეღარ გაეგო საით ვარიდებოდა უხერხულ სანახაობას.

— ჰა, ქალო! ევ სახრე განზე დაიჭი. განა ნავ-გეჯაში ბანაობას მიშლი! — ამ სოფელ ზემოცხავეთში მეც იმდენი ხმა მაქვს, რამდენიც შენა. კანონიც აკი გვათანაბრებს.

— იყავ, იყავ, ოღონდაც შენ ჰუჭუყი ვაიცოდე! — უეცრად წამოიძახა ბაბილინემ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა, რადგანაც ღიმონამ წყლიდან მშრალზე ამოსვლა დააპირა. — შენთან ახლა ლაპარაკის თავი

არ მაქვს, იქნება გამოძინება მოვალწრო გათენებამდე. მინდრებში ვარ წასასვლელი.

ქალმა სახრე მართლაც მოიქნია, შორს დასცა. გული შეეკუმშა, სუნთქვა გაუჭირდა. დამით მედლოესთან ასე უცნაურად შეხვედრამ, ადამიანი რომ სახედრად მიიღო, ზემოცხავეთიდან მთლად გაქცევის განზრახვა ერთ წამში გაუთაყეცა. ამ გაოგნებასა და სირბილში ღიმონა კიდეც ამოსულიყო მშრალზე.

— არა, რა მითხარი! — მოსძახოდა. ქალს. — მანდ იყავიო. არა, იქ რად უნდა ვიყო! განა შენთან არ მირჩევნია. აჰა, მოვდივარ! — და გაეკიდა. თუმცა ორიოდ ნახტომის შემდეგ შეჩერდა.

— მანამდე არა ჰამე რა, სანამ მე შენ ჩემ ჰერქვეშ დოლი არ დაგაბრაგუნებინო! ვასცი!... ვასცი!... აქედან! — მიძახა შარხიდან ბაბილინემ.

— ხა... ხა... ხა... მერე როგორ დავუკრავდი!

გულდამწვარი, შეურაცხყოფილმა ქალმა თავის ეზოს მიადწია. გულს უწამლავდა ადამიანის ბედის უკულმართობა.

„არა, აბა ის კი არსად გადაეყრება ასე მოულოდნელად, ვინც სოფელში წყალი გამოიყვანა. მას დასვენების დროც არა აქვს. თავხედურად შეხვედრა კი არა, თითქმის დაბერებული კაცი, გზაზე შემთხვევით რომ შეეყრება ხოლმე, ბიჭვივით წითლდება, ენა ებმება. განა არ აჯობებდა ის შეხვედეს, მოულოდნელად სოფლის შარახე, სწორედ ისე უმოწმოდ, როგორც მედოლე შეხვედა.“

— ჰო და, რას იზამ მაშინ, ბაბილინე? — შეეკითხა ქალი თავის გულს.

— ეზოს ჰიშკარს ვაეულებ, შინ შევიყვან. — უთხრა გულმა.

— რადაო, ჰა?

— იმიტომ, რომ ის ვაეკაცია, ზრდილი, ტყბილად მოუბარი,

აქ ქალმა ხელეზი ვაიქნია. არა, არა, ნატვრით ვის რა მიუღია, მე რომ მი-

ვილოო. აგერ, უბნის საყდრის ეზოში, უღვიძარი ძილით ძინავთ ბადრუაშვილების წინაპრებს, ვისაც სხევებზე ნაკლებ არ ეხერხებოდათ ნატვრა.

ბაბილინეს შინ აღარავინ ჰყავს. მართო ერთი შავი კატა შერჩენია. ისიც ახლოს არ ეკარება. დერეფნის ხეზე შესესუბდება. იქიდან დასცქერის პატრონს დღისით მიმქრალ, ვიწრო ბაიებით. ამ კატის ეშინია ბაბილინეს. სანამ უქირისუფლოდ დარჩენილ, მართოხელა ბებერს მეზობლები შემიცხადებენ, მანამ ეს ნადირი დამგლეჯსო. ასეა და, ვერას გზით ვერ გაიმეტა სათოფედ. იქნებ სწორედ იმისათვის, რომ განგებნის იღუმალ განრიგებაში ბაბილინეს ამ კატისაგან უწერია დაგლეჯა.

— „მაშ რაღა მინდა შინ მარტოკას. ჩემ დუშმანს ეუცქირო და ვიფიქრო, როდის გავთავადები“. — და გაზებირებულოვით წარმოთქვა: — სიკვდილო, არ მოგცემ ნებას ისე მომეპარო, როგორც შენა გსურს. დაე, ესეც ჩემი საქმე იყოს როგორ შეგეყრები მე შენ. ამიტომ ახლავე გავწვევ ივრისპირები-საყენ. იქ, ველებზე, ვენახებში, ცხვარში, საქონელთან, მწყემსებთან, მძლოლებთან, მწველავებთან, შემთხვევით მიმსვლელ-მომსვლელებთან დაველოდები. ვერა, ვერა, კატას ვერ დავაგლეჯინებ ჩემს თუნდაც გაციებულ ხორცს.

ნავ-გეჯას ოციოდე ნაბიჯის მოშორებით, ცოტაც არ იყოს მედოლესაგან შიშნაჭამმა, კაცი შინ არ შემომივიარდეს, აბა რას გავაწყობ, ყვირილს ხომ არ დაეწყებო, ხელი წაიღო ჭიშკრისაკენ არა, ხმას როგორ ვერ გაიღებს, თუ კი კაცი თავს დაესხმის. დიახ, ვერ გაიღებს, წკმუტუნსაც ვერ იზამს. გაახსენდა შემთხვევა ზემოცხავეთში: ერთ ქალს მამაკაცი შეუფარდა სახლში. საბრალომ სირცხვილით, თავის მოჭრა არ გავიათყეცოო, ენა დაიღუმა.

ჭიშკარი ისე ადგეილდა ვილოო, როგორც პატრონს ხელში ჰქონდა შეჩვეული, რაღაცას გამოედო. ბოლოს ფეხებში მოხვედრილი რბილი საგანიც იგრძნო.

ბაბილინეს არ შეშინებია. ამ ჭიშკრის ძირას მეზობლის ხბორებმა იცოდნენ დაყრა და ნამცოხარის ამოღება. თუმცა ახლა ეს არ გამართლდა. რბილი საგნები ხბორები რომ ეგონა, წამოდგნენ, ადამიანებივით ალაპარაკდნენ. ახლა კი ნამდვილად შეშინდა ბაბილინეს, ბავშვების ხმის გავონებაზე ტანში გააძაგდა. ამაღამ ეს მეორედ მოეჩვენა ადამიანები ცხოველებად.

— ვინ ხართ, აქ რაღა ხართ? — შემკრთალად შეეკითხა.

— უკაცრავად, ბატონო, — მოესმა გარკვევით. — ჩვენა კოზმან ბადრუაშვილის ქვრივი გვინდა.

— გინდათ, მერე რაო? — ბაბილინემ ვერავინ იცნო.

— შინ არ დავგიხვდა. ერთმა კაცმა, ლიმონა მქვიანო, გვითხრა: სოფელშია, გვიან დაბრუნდებო. არა, არა, იორზე წავიდა, ნამდვილად ვიციო.

— ის კი არ იცით, სახელად რა ჰქვია კოზმანის ქვრივისა?

— როგორ არა, ბაბილინეს ეუბნებინა.

მხოლოდ ამ დროს ბაბილინემ კარგად დალანდა ჭიშკარს მიუღებელი ორი ბიჭი. დიდი თოთხმეტისა იქნებოდა. ის ელაპარაკებოდა. პატარა, თორმეტისა — დუმდა ბიჭებმა გზა დაუთმეს ქალს, ჭიშკრის გასაღებად რიკულზე ხელი მიაშველეს.

— რა კი ბაბილინეს სტუმრები ბრძანებულხართ, ჭიშკარი უნდა გაველოთ, ეზოს გაივლიდით, დერეფანში დაიდლიდით. ჭიშკრის ძირში ჩემი სტუმრების მოცდა აბა, რასა ჰყავს. ან მეზობლისას სადმე შეუხვევდით მას-პინძლის დაბრუნებამდე. ჩემ სტუმარს ზემოცხავეთში პატვზე არავინ ეტყ-

ვის უარს. — უსაყვედურა ბავშვებს ბაბილინემ.

— დიდდა ბაბილინეს მავას ვით ვკადრებდით. განა მასთან მოსულუბი პირველად სხვის სახლში შევდგამდით ფეხსა! — გაჯავრდა უფროსი ბიჭი. — ავი ვითხარით, კოზმან ბადრუაშვილის შვილიშვილები ვართ და დიდდასთან გეახელით. პაპის სახლამდე მივალწიეთ და სხვაგან რად გავათევდით ღამესა. სხვაგან ღამის გათევას აქ, ჭიშკრის ძირას გვერჩია კიტელებზე წამოწოლა. გარეთ ამ თვეში არ ცოვა, არც ნოტიოა რაკი დიდდას იორზე გაუწევია, ასე გვითხრა ლიმონამ, არსადაც არ შევალთ სხვისას. მისი უნახავები გავსწევთ თბილისში იმ ავტობუსით, რომელმაც მოგვიყვანა.

ხნიერი ქალი ვაოვნდა. ასე ჭერ იმისთვის არავის უწყენინებია, არც თუ არავის გაუხარებია. კინაღამ გული შეუღონდა. ღვიძლმაც ისევე წამოუარა. საოცარი კი იყო, ასე მოულოდნელად თავს დატეხილი სტუმრები და ტყვიელები ოდნავადაც ვერ ურყევდნენ ჯანს სიამის ურუანტელით მთლად შეპყრობილ, გათანგულ სხეულში.

— რაო, რა სთქვით? კოზმანო, შვილიშვილებო, ბაბილინეს სახლს მივაგენითო, ბარაქალა, ბაღლებო! ოღონდაც ერთი კიდევ გამაგონეთ მკაფიოდ თქვენი ხმა. გონება კი არ მლაღატობდეს! აგერ რა დამეშართა ამალამ: ნავ-გეჯაში ადამიანი სახედრად მომეჩვენა.

— ვიცით, პაპა აღარა გვეყავს. დედამა გვეუბნებოდა, ზემოცხავეთში მხოლოდ დიდდა ბაბილინე არის დარჩენილიო. — განაგრძობდა უფროსი. — პო და, რაკი დიდდა ცოცხალია, კარგად არის, სოფლიდან შორსაც წასულა, უმისოდ შინ არ შევედით.

— მამეთ, მამეთ და ის არის. ამას იქით ადვილად აღარ მოვკვდები. მე ვარ კოზმან ბადრუაშვილის ქვრივი. გიცანით, ორივენი ისა ხართ, პირწა-

ვარდნილი კოზმანი! ის ბედლაშქვარი ომიდან შინ ვეღარ დაბრუნდა.

— დიდდა, პაპის სურათი ხომ არ გაქვს? — შეეკითხა უმცროსი.

— სურათი იქ, ზემოთ შინმოუსვლელთა სახლში ჰყილია. გათენდება, მიგიყვანთ, განახებთ. ახლა შინაც შემოდით. შუქზედაც მეჩვენეთ, როგორებიცა ხართ.

ერთმანეთის უნახავი ნათესაეები დერეფანში დატრიალდნენ. ბაბილინემ ხელის ფათურით ელექტროგამომრთველი მიაგნო, გადაატრიალა, გაანათა, მაგრამ თვალთ ახლა დაუბნელდა. ბავშვების ვერც მიფერება შეძლო, ვერც ხელი ახლო გულში რომ ჩაეკრა, გადაეკოცნა. კარგახანს საშინლად საამური გულის ტრიალი ჩამოვარდა წინაპარსა და შთამომავლებს შორის.

— რა გაქამოთ, რით გვაგახართ! — ლაპარაკობდა ხნიერი ქალი, თან ვერ შეგჩერებულყო ბავშვების ცქერით. — ნეტავი არა მებადოს რა. პაპა-თქვენი არ მყავს ცოცხალი, თორემ ჰედისას გადავაქცევიდი, დაეკლავდი, ახლა რა ვიღონო! — და სასინჯად, იქნება კვლავ ხმა გავიგონოვო, გაესაუბრა: — გენაცვალეთ, გარეგნულადაც ის ხართ, კოზმანის ღვიძლზე ნადები. ეე... რა უბედური ვიქნებოდი იორზე გამესწრო თქვენთვის, გათენებას ველოდი მხოლოდ და ავტობუსიც ჩამოვივლიდა.

— დიდდა იორზე ჩვენც წაგვიყვანე თანა! — ერთად შეეხვეწნენ ძმები. — მაგ მდინარის პირის მინდვრებზე რა არ გაგვიგონია, რა არ წაგვიკითხავს. ნახვით, აბა, ვინ გვანახებდა.

— მე იქიდან აქ, ზემოცხავეთში, მალე ვერ დაებრუნდები. — აცნობა მამინვე სიხარულით საქციელმოშლილმა დიდდამ შვილიშვილებს.

— ჩვენც იქ, სადაც შენა, დიდდა, — კვლავ ერთად უთხრეს ძმებმა. — ოღონდაც წაგვიყვანა... და... არც ძილი გვინდა, არც სასმელი, არც საჭმელი. ამ სიტყვებზე ქალი ისევე მომავარდა, ბიჭუნებმა „საქმე თქვეს“ და ბაბილინე რისი ბაბილინე იყო, მათი ნათქ-

რის, ნასურვილების განხორციელებას არ შესდგომოდა ბაბილინელებურად.

— აგერა, კედელზე მიკიდებული თექა-ნაბდები მოიგდეთ ზურგზე. ასე იცოდა მინდრებში გამგზავრებისას კოზმანმა და მხად გავსწიოთ ავტობუსის გაჩერებასთან. თუმცა შუადღემდე მოიკათ. ეზო-გარემოში დატრიალდით. თუ გინდათ, იღრიალეთ, ბუე-ნალარა დაკარით, ოღონდაც სოფელმა დაინახოს თქვენი გამოჩენა ჩემ ნიადაგზე.

გათენება შორს აღარ იყო. როცა დიდდამ შვილიშვილებს ურჩია გამგზავრებამდე გამოეძინებინათ. ბაბილინე ამასობაში საუზმეს მოუშადებდა მოსულებს, მაგრამ საღა და იყენენ ბიჭუნები დერეფანში. ოთახებში მოშლილი გამომრთველები შეენიშნათ და ხელდახელ ასწორებდნენ. გამოცდილი ოსტატებივით ირჩებოდნენ. დაშალეს, კვლავ ააწყეს ელექტრონის უთო და ელექტროლუმელები.

ბაბილინეც არ იყო უქმად. განჯინებში და საკუქნაოებში დაფოთარებდა. საიდან რა შენახული არ გამოქონდა სუფრაზე.

შხის ამოსვლისას ორთავე შვილიშვილი სახლის სახურავზე ავიდა, იქ, სადაც შავი კატა წამოსკუპდებოდა ზოლმე. შვილიშვილები გეგმავდნენ, საიდან ჯობდა სახლში ელგაყვანილობის ახალი ზონრების ჩაქიშვა. შხის ამოსვლამდე, რას არ გადახედეს, რა არ გაივარაუდეს, ბაბილინეც ფაციფუცობდა და თანაც შარასა და წყაროსაკენ იხედებოდა.

ნავ-გეჯასთან წყლის წასაღებად მოსული ქალები და გამვლელი ზემოცხავეთელები ბაბილინეს სახლისაკენ იყურებოდნენ. ისინი ხედავდნენ სახურავზე ასულ ორ ბიჭუნას, რომლებიც კრამიტზე ფრთხილად აღგამდნენ ფეხებს. მათ გარშემო კი, საწვიმრის ნაპირებზე, გამხიარულებული შავი კატა კუდაპრეხილი დადიოდა. მალე ყმაწვილები ძირს ჩამოვიდნენ. ელგაყვანილობის სკეტზე

რომ აფორთხდნენ და იქ რაღაც-ჯაასწორეს, ისევ მიწაზე დაეშვნენ. ყოველ სერგთან მივიდნენ, ლოზნისმარჯუნ შეათვალიერეს, მერე ქიშკარი გახარეს და თოხით რუს გაწმენდა-გაღრმავებას შეუდგნენ.

ბაბილინე ხანდახან გამოიხედავდა გარეთ, ბიჭები ხომ ისევ აქ არიან და ხომ არ მომეჩვენა რამეო.

დიდედა-შვილიშვილების შეხვედრის და შინ დატრიალების სურათს შორიდან შესცქეროდა ლიმონა მედოლუ.

„ეს ვინ ეშმაკები ჩამომეჩხირონო“ მოსდიოდა გული. ვერაფერს მიმხვდარიყო იმ აზრების, იმ ფხის, იმ ძვალრბილის პატრონ ადამიანებისას, როგორც ეს უცნაური შინმოუსვლელი კოზმანი, იმისი ნაცოლარი ბაბილინე და ახლა საიდანღაც გამოჩენილი შვილიშვილები იყვნენ. ყველაზე უფრო ერთი რამე აბრაზებდა: ბალები შევიდნენ თუ არა დიდედის სახლში, მაშინვე პატრონებივით დატრიალდნენ და განა არ იყვნენ პატრონები. ამ მდგომარეობაში მედოლემ არ იცოდა, როგორ მისდგომოდა მოხნიერებულ ქალს.

მედოლეს დიდი, ძალიან დიდი საქმე ქონდა ბაბილინესთან. ამიტომაც მის სახლს მიუახლოვდა, ქიშკრის მახლობლად ქვაზე ჩამოჯდა. დედაკაცი კარგ გუნებაზეა და, გამოვა თუ არა ეზოს გარეთ, მაშინვე ეტყვის რა საქმეც აქვს. ერთი თუმანი ქირდება ლიმონას. ქირდება და უნდა იშოვოს აუცილებლად. რა ღმერთი გაუწყრება, ბაბილინემ ჩანთაში ხელი არ ჩაიყოს, ფული არ ასესხოს.

ნასესხვეს კი როდის, რით გადაიხდის ლიმონა? ვალი არაფერია. ამა ნასესხევის გადახდა, რა საფიქრებელია იმ დღეს, როცა ქალი შვილიშვილებს ზემოცხავეთიდან თავის დედ-მამასთან გაისტუმრებს, ლიმონა დოღს შემოუბრაგუნებს, სტუმარ-მასპინძლებს ასე ავტობუსამდე მიჰყვება და ამაში გუბრის.

მხვანე შირიუაბს შორის

ცის თალი კალთაბარაქიანი
ჩამოდის დაბლა სხივების თქემად,
და აწკრილებს ველი ცვრიანი
პაწაწკინტელა მზეების ეფვანს.
დილა ანთია, როგორც კანდელი,
გარშენორტყმული პეპლების თქორით,
ვით უეცარი ხილვა ნათელი,
ფეთქავს სიმწვანე ტირიფებს შორის.
ბალში ბალახებს ცისნამი აწვიმს,
გოგმანობს ბაღლი — აპრილით თვრება,
და ხიდან ხემდე პატარა მანძილს
ესხმება დიდი ლამაზი ფრთები.

ბავშვი —
მეწამულ შუის ათრთოლება —
მიძყვება თავის უჩინარ აღმართს
თუ გაზაფხულის უბიწოება
უსასრულობის ბილიკზე გაჰყავს?...

ცის თალი კალთაბარაქიანი
ჩამოდის დაბლა სხივების თქემად,
და აწკრილებს ველი ცვრიანი
პაწაწკინტელა მზეების ეფვანს.
გაფუტაცნივარ მჩქეფარე მორვეს
და ჩემს სიმღერას ვედუდუნებ ჩუმად,
რამეთუ მწვანე ტირიფებს შორის
თეთრი მუზები არასდროს დუმან.

გამოლვიება



ხეებმა ლურჯი რიჟრაჟის კართან
მიწის ბუბუნი შეიგრძნეს უცებ,
და ენძელების ღიმილში გაქრა
თოვლი, რომელიც ითვლიდა წუთებს.

ფერადი ხმები დაირსა მთებში,
გაყვავი კვალში ფერების ძახილს,
წაიბორძიკეს ღვარებმა ხევში
და მდინარეებს აემღვრათ სახე.

ცა — აღანძული ღრუბლების ტბორი —
ქედებს დააწვა ვეება ტვირთად,

მერე ნელნელა აცრემლდა თქორი
და გაინასკვა ტოტებზე კვირტად.


ამიფართქალდა ცისფერი ზვირთი
შორეულ გზებზე მგზავრობით დაღლილს,
და, ვით გამხვლა ლამაზი ფიჭრის,
განათდა ჩემი სამრეკლოს თალი.

წვიმის ელურტულით დაღლილმა ზეცამ
ტყეს დააწურა წოწოლა ქუდი...
და ძილის გუდას ნისკარტით წეწავს
დაბრუნებული მერცხლების გუნდი.

• • •

გადავწვე შტოებს —
შუქი იელვებს,
ვით შემოდგომის უთქმელი სიბრძნე...
დასკუპებული ოქროს ფრინველი
პირველყოფილი სიჩუმის სიმზე.
ცა მოცახცახე
გულში ჩაიკრავს
სიყვითლეს —

გზებზე ზვირთებად დაღვრილს...
გაგარდა თოფი! —
ტყის მოზაიკას
გაუწყდა
ერთი
მფეთქავი
ძარღვი.



გაუჩინილი ჩიტი

ევას გაცნობამდე გივი თავის ცხოვრებას შინცდამაინც არ ემდურებოდა. მისი ცოლი, მარგალიტა, მარჯვე ქალი გამოდგა. ორი ვაჟი ჰყავდათ, და ისინი უკვე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ.

მარგალიტას შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ ქმარს თვალი ლამაზი ქალებისკენ გაურბოდა, და დატუქვას არ აკლებდა. გივი ისეთ სიფრთხილეს იჩენდა, რომ წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოდიოდა.

ევა მისი მორიგი გატაცება იყო. თავს უკვე გამარჯვებულად სთვლიდა, ასეთი დარბაისელი მანდილოსანი ტრფობის მახეში ვაჟაბიო ხელსაყრელ შემთხვევასღა ელოდა, რომ ევას კიდევ უფრო დაახლოებოდა.

გივის ძალიან ეწყინა, რომ იმ საღამოს ევა მასთან შესახვედრად არ გამოვიდა. დიდხანს იყო აყუდებული ხის ჩრდილში. მერე კი ლოდინით გულგაწყალებული სანატორიუმს გაშორდა. გადაწყვიტა, ევა დაესაჯა, რამდენიმე დღეს არ შეხვედროდა. ევა საკმაოდ დასჯილად რომ ჩასთვალა, გივიმ პარკს მიამურა და იმ მაგნოლიის ხის ქვეშ დაჯდა, მერხზე, სადაც ევასა და ანგელინას უყვარდათ დასვენება.

გივიმ მომავალი ანგელინა შორიდან დაინახა, მაგრამ მის გვერდით მყოფი

ქალი ვერ შეიცნო. გული დაწყდა, მაგრამ არ შეიმჩნია და დარდიმანდულად მიესალმა ანგელინას, მერე ჰკითხა:

— როგორ ბრძანდება ჩემი კოლეგა? დღეს სანატორიუმში ყოფნა ამჯობინა?

— ევა გაემგზავრა, სამაგიეროდ, თავისი სტუდენტი დაგვიტოვა... გაიცანით!

— ანგელინა, არ მესმის, რომელ სტუდენტზე ლაპარაკობ?

— დიახ, ბატონო, პატყცემული ევა ჩემი პროფესორი ბრძანდება.

— პროფესორი?! — კიდევ უფრო გაიკვირვა გივიმ.

— სწორედ პროფესორი და არა... — წინადადება არ დაუმთავრებია ანგელინას, უნდოდა კი ეთქვა: არა თქვენი კოლეგაო, მაგრამ თავი შეიკავა, გივის არ ეწყინოსო.

გივი სახტად დარჩა. ენა ჩაუფარდა. ასე როგორ გააცურეს?! ძლივს მოახერხა, რომ კალაპოტში ჩამდგარიყო... ანგელინა გაიხმო და ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა.

გივი არც ევას პროფესორობას მოელოდა, არც მის ასეთ უეცარ გამგზავრებას. აფრიალებული აგარაკი უკაცრიელ უდაბნოდ გადაეჭვა, სადაც უკვე არავინ, არც რაიმე იზიდავდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მის მიერ

მოწონებულ ქალთან დაშორებამ გული ასე მოუკლა.

„როგორ გამათამაშეს!?. რა სასაცილო მდგომარეობაში ჩავეარდი.. ნიღბაფარებული პროფესორი!.. ანგელინაც კი ვინმე ყოფილა..“

ანგელინას გივისთვის არ უთქვამს, რომ ევას პროფესორობა თვითონაც მხოლოდ მისი გამგზავრების დღეს გაიგო. ამიტომ გივი დარწმუნებული იყო, რომ მის გასულელებაში ანგელინაც მონაწილეობდა, და მასთან შეხვედრას თავს არიდებდა.

„მოანგარიშე“ ევასთან თავი მოსწონდა თავისი ბულალტრობით. ევას კი თავისი სამსახურზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

„ჩემთან შეხვედრის შემდეგ, ალბათ, რა გულიანად ხარხარებდნენ“, — ბრაზობდა გივი, — „არა... უეჭველად სიამოვნებადთ ჩემთან ერთად ყოფნა... ჰო, კი, ბატონო, სწორედ სიამოვნებადთ ჩემი სასაცილო მდგომარეობით თავის ვართობა...“

გივის თითქოს მეტი დაცვა, ევასთან შეხვედრამ ისე შეურყია ერთფეროვანი ცხოვრება ჩაუფიქრდა, როგორ ცხოვრობდა... სამსახური, სხვადასხვა ქალებთან ვართობა, საკუთარ ოჯახში კი მარტოობა... შხადაა, თავის შერცხვენის ადგილს ვაეცალოს, მივლინება შეჰკვეცოს, დავალებულ სამუშაოს თავი მიანებოს... მაგრამ სად იპოვის სიმშვიდესა და მყუდროებას?... ოჯახისკენ გული არ მიუწევს...

ღამის სიბნელეში, ზღვის ნაპირზე წამოწოლილი, ვარსკვლავებით მოჭედნილ ცას შესცქეროდა, მშვიდი ზღვის წყნარი ტლაშუნი ისმოდა. მის არსებაში კი ზვირთები ბობოქრობდა. მუშტრის თვალით გადახედა განვლილ ცხოვრებას და კმაყოფილი ვერ დარჩა.

გივი სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი იყო, მარგალიტას კი საშუალო სკოლა ახალდამთავრებული ჰქონდა, როცა დაოჯახდნენ. გივი ერთი დაწესებულების ბულალტერიაში მოანგარიშედ მუშაობდა და ახალ ოჯახს

ჰაპანწყვეტით უძღვებოდა. სიყვარული უადვილებდათ გაქირვების ატანას... გივი იმ იმედით მხნობდა, რამდენიმე წელიწადში აკადემიას დავამთავრებ და ოჯახს ვავალდებო.

ბიჭი შეეძინათ, ეს იყო დიდი სიხარულიცა და დიდი საზრუნავიც. დახმარებისათვის მშობლებს არ მიმართავდნენ. გივი თავისი სამსახურს დროებით მოვლენად სთვლიდა. მთელი გულისყური მხატვრობისკენ ჰქონდა მიპყრობილი. დაწინაურებაზე არ ფიქრობდა. კეთილსინდისიერი მუშაობა მაინც დაუფასეს და განყოფილების ბულალტრად დანიშნეს. ამით წელი მოიმაგრა, მაგრამ ახალი თანამდებობა მეტ შრომას მოითხოვდა. სწავლისათვის დრო და ძალა აღარ რჩებოდა. გაუქირდა. გადაწყვიტა, ძველ თანამდებობას დაბრუნებოდა. ამას კი ცოლის დასტური სჭირდებოდა, მაგრამ ამის თქმა ვერ გაებედა. ერთ საღამოს დრო შეურჩია, როცა ჩვილს ჩაეძინა და მარგალიტამ წიგნის წასაკითხად საწოლზე მოიკალათა.

— კითხვაში არ ჩაგეძინოს... სჯობს, დაწვე და კარგად მოისვენო, სანამ ბავშვს სძინავს.

— უნდა წავეითებო, საინტერესო ადგილზე ვარ...

— მარგალიტა, ჩემს ამბავს რატომ არ მეკითხები?... აკადემიაში რომ ვერ დავდივარ, ვერ ხედავ?... ვერ ვხატავ...

— რამ გავაზარადა?! ბულალტერიას ვინდა შეაბერდე!?

— მეც ამას ვდარდობ. სამსახურსა და სწავლას ერთად ვერ ვახერხებ... — ვერ გაბედა საწადელის თქმა.

მარგალიტა კითხვას განაგრძობდა. ვერ გრძნობდა ქმრის წუხილს. გივიმ ვერ ისარგებლა ცოლის საყვედურით: ბულალტერიას ვინდა შეაბერდეო, ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა საუბრის განახლება.

— მარგალიტა, ყური დამიგდე... იმას ვამბობდი...

კითხვით გართულმა მარგალიტამ ხელი გაასავსავა: თავი გამანებეო.

— მარგალიტა, — უფრო ხმამაღლა თქვა გვიმ, — შენთან ლაპარაკი არ ხერხდება, ან ბავშვს უვლი, ან სულ წიგნს კითხულობ... მარგალიტა...

— ჰო, გისმენ, ბატონო... — ცოლის ხმაში წყრომა გაისმა.

გვიმს ეწყინა ასეთი კილო, მაგრამ თავი შეიკავა.

— შენ შითხარი: უნდა შეაბერდეო...

— არ მახსოვს...

— ბულალტერიას შეაბერდეო...

— ჰო, ჰო...

— ისეთი მდგომარეობა შემექმნა, აკადემიას ან სამსახურს თავი უნდა მივანებო.

— ხომ არ გაგიყდი?!

— ჯერ არა... მონაგარიშის თანამდებობას უნდა დაუბრუნდე.

— რაო?.. — წიგნს თავი მიანება მარგალიტამ, — შენ მართლა გაგიყებულხარ, სული ძლივს მოვიტყვივით... შენი საღებავების თხუნა პურს ვერ გვაქმევს.

— მაშ რას მირჩევ?

— იმას, რაც ჰკვიანმა კაცმა უნდა გააკეთოს, ვისაც ცოლშვილი უყვარს...

— მაშ...

— დიახ, ჯერ ოჯახს პური სჭირდება...

— მხატვარი აღარა?

— რომელიც უკეთესი ბულალტერია, ვიდრე მხატვარი...

— ჩვენი დაახლოების დღეებში ასე არ ლაპარაკობდი!..

— მაშინ მეც შენსავით მეოცნებე ვიყავი...

— როგორ შეიძლება, აღამიანი ასე შეიცვალოს!..

— მეძინება, თავი დამანებე... ჩემი აზრი უკვე მოგახსენე...

მარგალიტას უცებ ჩაეძინა... აღელვებული გვიმ საბტად დარჩა. წამოდგა, რომ მარგალიტა ვაღევიძებინა, მასთან ჩხუბით გული მოეჯერებინა. ამ დროს ბავშვმა წამოიტირა, მარგალიტა მაშინვე წამოხტა, აკვანს მიაშურა, საათს დახედა.

— შია... — თვალდახუჭული აკვანს მიუჯდა და უბისკენ ხელი წაიღო.

საჩხუბრად მომზადებული სიტყვები კრძალვით მიმოიფანტნენ, დედის წინაშე. (გამტყუნებელი, ქათვჭაქინდრული იდგა გვიმ აკვანთან. ბულალტრის თანამდებობაზე უნდა დარჩენილიყო...

გადიოდა თვეები, გვიმ სამხატვრო აკადემიის გზა დაივიწყა...

ერთ დღეს სამსახურიდან შინ რომ დაბრუნდა, თავისი სამუშაო კუთხე ალაგებული დახედა. გაცოცხლებული გვიმს მარგალიტამ ფრთხილად უთხრა:

— ბავშვს ოთახში ვასაქანი არ ჰქონდა, გაგფუჭებდა ნახატებს, ამიტომ სარდაფში შევიანხე... როცა დაგვირღებდა, მე თვითონ ამოგიტან.

გვიმს გული დაწყდა, არაფერი უთქვამს. სახლიდან გავიდა და შინ გვიან დაბრუნდა მთვრალი, ფეხზე ძლივს იდგა, მძინარე ბავშვთან ბარბაცით მივიდა, ლულულულით აკოცა, ტანთვაუხდელი ტახტზე მიეგდო და მაშინვე მკვდარვით ჩაეძინა...

გვიმ ბელსაც და ცოლსაც შეურიგდა, მშვიდი ოჯახური ცხოვრება განაგრძო. თავის მხატვარ ამხანაგებთან შეხვედრას გაურბოდა, მდორე, დაწყნარებული ცხოვრება რომ არ აფორიაქებოდა. მალე მეორე ბიჭიც შეეძინათ. ახლა ერთ ოთახში თავი განსაკუთრებით ვიწროდ იგრძნეს.

ბედმა გაუღიმათ, მათი ჯერიც მოვიდა, საბურთალოს მასივში ორთოთახიანი ბინა მიიღეს, მაგრამ მარგალიტა იქ გადასვლას არ ჩქარობდა.

— სად გამოვჩინო ჩვენი ხაბაკ-ხუბაკი! ხომ თავი მოგვეჭრა! — წუწუნებდა მარგალიტა.

გვიმ ხმას არ იღებდა.

— დროა, ყური გამოიფხიკო, ასე გლახაყურად ცხოვრება არა გრცხვენიო? — კაპასობდა ცოლი.

— ყურის რა მოგახსენო, ჯიბე ი გამოფხიკილი მაქვს.

— შენ არაფერი გაინტერესებს... აბა, მიყურე, მე თუ ფული არ ვიშოვო.

— ბატონი ბრძანდები იქნებ დავისვენო შენი წუწუნისსაგან.

— კარგი, აბა!

— რას აპირებ?

— ვაჭრობა უნდა დავიწყო.

— ვერ გავიგე!

— უფრო ხელსად რომ ვთქვა, გადა-
მყიდველობა.

— არ გამაგიჟო!..

— შენ კი უკვე გამაგიჟე შენი არხე-
ინობით... მომეცი ფული და თავს არ
შევიწუხებ.

— მაინც რით ფიქრობ ვაჭრობას?

— ფისოს, ჩემს ამხანაგს, ხომ იც-
ნობ? საგალანტერიო მაღაზიაში მუ-
შაობს ნოქრად. როცა კარგ საქონელს
მიიღებს, არ დამიკავებს... ნელ-ნელა
გავეყიდი კარგ ფასად... ორივე ხელს მო-
ვითბობთ.

— ოჯახს მიღუბავ?!

— ნუ გეშინია, ისე ფრთხილად, მო-
ხერხებულად მოვიქცევი, რომ...

გივიმ ბევრი უშალა მარგალიტას
მაგრამ ვერაფერს ვახდა. მალე დაეტყო
ოჯახს მარგალიტას მარიფათი, როგორც
თვითონ ამბობდა. ორი წლის განმავ-
ლობაში ისე მორთო ახალი ბინა მოს-
კოვში შექმნილი უცხოური ავეჯით,
რომ...

ხანი ვადიოდა. ბიჭები დავაყკაცდნენ.
ერთი უნივერსიტეტს ამთავრებდა, უმ-
ცროსი მესამე კურსის სტუდენტი იყო.
ოჯახის სრული ბრძანებელი მარგალი-
ტა ვახდა. ისე დახელოვნდა ვაჭრობის
საქმეში, რომ არც ერთ „ცნობილ“ სპე-
კულიანტს არ ჩამოუვარდებოდა. ასე
იყო, მაგრამ ოჯახს არაერთხელ ვანუც-
დია დიდი შიში... ძლივს დაუძვრენია
თავი. გივი სულ ემუდარებოდა, მოეშვი
ამ მყრალ საქმესო.

— შენთვის რომ დამეჭრებინა, ასე
კარგად მოწყობილი არ ვიქნებოდით.

— სამაგიეროდ, მშვიდი ცხოვრება
გვექნებოდა, ყოველ გაფაჩუნებაზე გუ-
ლი არ ვაგვისკდებოდა.

— სამაგიეროდ, ხალხში გამოწყვე-
ტილი არა ვართ, მტერ-მოყვარესთან
წელგამართული ვართ...

— როცა ჩავარდები, მაშინ ნახავ,
როგორ მოიკავებები.

— თავი დამანებე, ყვავივით ნუ და-

მჩხავი... შენ რას წარმოადგენ, ერთი
საცოდავი ბულალტერი ხარ. მე ერთმარ
ვიყო, შიმშილით სულ ამოვგზდებოდა,
შე საცოდავო!..

— ახია ჩემზე, ხომ დავიჯერე და მხა-
ტერობაზე ხელი ამალდებინე...

— იმედი არ გქონდა, რომ კარგი
მხატვარი დადგებოდი, თორემ აკადე-
მიას არ მიატოვებდი...

გივის ენა ჩაუვარდა, ბოლმა ახრჩო-
ბდა, ხელი ექავებოდა, მზად იყო ცოლს
მიეარდნოდა... შეეშინდა და ვარეთ გა-
ვარდა.

მარგალიტა სტუმრებთანაც ხშირად
წამოსძახებდა:

— ყველაფერი ეს ჩემი შნოა!..

— რასაკვირველია, ოჯახში შენა ხარ
ყველაფერი...—ეტყოდა გივი თავშე-
კავებით, მარგალიტას ხელს მოხვევდა,
რომ ხუმრობაში ჩაეტარებინა ცოლის
უღიერი საქციელი.

გივის თანდათან გაუქარდა მეუღლი-
სადმი სიყვარული, პატივისცემა შეი-
ლები ოჯახის მეთაურად დედას სთვლი-
დნენ, რჩევა-დარიგებისთვის, ფულისა-
თვის მას მიმართავდნენ. გივი მეგობ-
რულ სიტბოს ვარეგარე დაეძებდა. თუ
ვინმე ქალი მოეწონებოდა, თავშეკავე-
ბას საჭიროდ არა სთვლიდა. ბედიც წყა-
ლობდა...

ევესთან კი პირი დაეწვა, თავს დამა-
რცხებულად გრძნობდა. მისი ნახვა ენ-
ატრებოდა. ახლა რითი უნდა ეახ-
ლოს?... საზოგადოებაში ასე გამოსულ
მანდილოსანს თავისი ბულალტრობით
ველარ გააკვირვებდა. ევესთანაც იმგვარ
დამამცირებელ მდგომარეობაში აღმო-
ჩნდებოდა, როგორც ცოლთან იყო...
ბედს შერიგებოდა?... არც ეს შეეძ-
ლო. როგორ ნანობს, რომ ასე ხელმო-
ცარული დარჩა... ხელი მოჰკიდოს მხა-
ტრის ფუნჯს? „კაი დროსაა, ჩემი ასა-
კის მხატვრებს ახლა იუბილეს უხდი-
ან!“—მწარედ გაიფიქრა გივიმ.

ოჯახში თავს უცხოდ გრძნობდა და
ცდილობდა რაიმეს მომიხეზვებით გა-
რეთ ყოფილიყო. უფრო ხშირად კირო-
ვის ბაღს ეტანებოდა, სადაც ხანდაზ-

მულ კაცებთან საუბრით ერთობოდა, ხან მარტოობას ირჩევდა, მყუდრო ადგილს გამოიხატავდა და უსიამოვნო ფიქრებს ეძლეოდა: დაფიცებული იყო, ხატვა არასოდეს ეცადა. ერთხელ, როგორ მოხდა ეს, არც კი იცის, უბის წიგნაკი ამოიღო და ხატვას შესდგომოდა. ქალის სახეს ხატავდა... რამდენიმე ფურცელი დახია, მაგრამ მაინც ჭიუტად განაგრძობდა ხატვას. დიდხანს ეწვალა... ბოლოს წამოიძახა:

— ის არის! — აღელვებული, ევას სახეს თვალს არ აშორებდა... მას, ხატვა კიდევ შესძლებია. მარტო ყოფნა უკვე აღარ შეეძლო, თავს ვარიყულად აღარ გრძნობდა. ნახატი სათუთოდ უბეში შეინახა და პარკში შექნილ ნაცნობებში გაერია.

ეს რა ახალი ჭირი გაჩინა. მარცხი გადატანილი ჰქონდა. მხატვრობაზე სულ არ ფიქრობდა. ნეტავ ვერ დაეხატა... ახლა კი გულში ეკვივის ჭია შეუძვრა და ღრღნა დაუწყო. გიგი მისტიროდა დაკარგულ დროს. ზოგიერთი მისი თანაკურსელი სახალხო მხატვრადაც არიან აღიარებულნი. მათი ნახატები მუზეუმებს ამჟღავნებს. მას კი არც ერთი მათი გამოფენა არ უნახავს, თუმცა სამხატვრო გალერეის წინ გავლს ყოველდღე უხდებოდა. ძველ ამხანაგებთან შეხვედრას გაურბოდა... ახლა ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა იყო. მისი დათვალიერება მოეხალისა გადაწყვიტა, ისეთი დრო შეერჩია, როცა მხატვრები გამოფენაზე არ იქნებოდნენ.

ერთ კვირა დღეს გალერეაში ახალგაზრდების ჯგუფს შეჰყვია. ეტყობოდათ, რაიონიდან ჩამოსულნი იყვნენ. გულგაღებულნი ჰაბუკი შემოეგებათ. შავი თმა ფაფარივით გადაფენოდა. სპორტსმენივით მკვრივი ტანი ჰქონდა. თვითონ იყო ხელოვნების ნიმუში. ხალისიანად მეგზურობდა. გალერეის ერთი კედელი რომ დაათვალიერეს, ჰაბუკი საშუალო ზომის სურათთან შეჩერდა.

— აი სურათი, რომელიც გამოცანას

წარმოადგენს. მისი ავტორი უცნობია. არც წელი ვიცი, როდისაა დახატული, საბჭოთა პერიოდს კი ეკუთვნის. სამხატვრო აკადემიის არქივში აღმოაჩინეს. ეს დახელოვნებული მხატვრის შემოქმედება არაა, მაგრამ მისი ავტორი დიდი ნიჭითაა დაჯილდოებული. გვხიბლავს ფერთა კარგი შეხამება, ჩანაფიქრის ლირიზმი...

გივი თვალს არ უჯერებდა, გული კინალამ შეუღონდა... იცნო თავისი ნახატი, რომელიც აკადემიაში გამოცდების ჩაბარებისას წარადგინა: ბავშვს გალიიდან ჩიტი გაფრენია, ხელი გაუწვდია დასაჭერად გულდაწყვეტილს... გივიმ ვერ მოითმინა, ნახატი მიუახლოვდა. დახრილი ჩარჩოს ვითომდა გასასწორებლად, თითებით მოეალერსა. „ეს ხომ ჩემი ცხოვრების ნათელი სხივია, გატაცება, იმედი... ახლა კი მხოლოდ გაფრენილი ჩიტი... გაფრენილი ჩიტი...“

აღელვებულს იქ ყოფნა აღარ შეეძლო.

მისი ნიჭი კი არ გაფრინდა, გააფრინეს... თვითონაც სულმოკლეობა გამოიჩინა. ვერ გაუძლო ცოლის გაუთავებელ, გულსაგამაწყვალებელ წუწუნს დაწყნარებული ცხოვრება ამჯობინა. და აი რა შერჩა ხელში... ცარიელი გალია. კეთილმოწყობილი ოჯახი და აწეწილი ოჯახური ცხოვრება... თითქოს უცხო ოჯახში შემთხვევით მოხვედრილი სტუმარია... მეტის მოთმენა აღარ შეუძლია, მოახსენებს ქალბატონს, რისი ღირსიც ბრძანდება... მაგრამ მასთან ლაპარაკიც არა ღირს...

კომუნარების ბაღში შეუხვია. ყრუ ადგილი მონახა, მერხზე მოდუნებული დაეშვა მიწაზე დაგდებული ხმელი ტოტი აიღო, ჯაყვით წვერი წაუმხავილა და ტოტით ხახვა დაიწყო. მოყრილ ფხვიერ აგურზე ლამაზი ასოები გამოჰყავდა. თვალი გააყოლა დაწერილს. ამოიკითხა: „ევა... ევა...“ ტოტი მოიმარჯვა ასოების წასაშლელად. ვერ გაიმეტა, დაენანა.

ევას ნახვა მოენატრა. იგი გაუგებს, გაამხნევეს.

ასე ცხოვრება აღარ შეუძლია, როგორც ამდენ ხანს იყო ყველაფერზე ხელჩაქნეული. არც ისეთი მეგობარი გააჩნდა, მისთვის გული გადაეშალა... ახლა, ალბათ, ცნობილი მხატვარი იქნებოდა, რომ... ვის აინტერესებს, რა იქნებოდის ის გვითვისარი, ახლა რა ბრძანდები. მტერ-მოყვარე მხოლოდ გამარჯვებულს აფასებს. დროა, თავს უშველოს, ბორკილები დამსხვრეულია, თავისუფალია, მაგრამ არ იცის, ეს თავისუფლება როგორ გამოიყენოს?! ხელი გაუწოდეთ... ევას მიაშურებს სააღსარებოდ. რას ეტყვის? წუწუნს მოჰყვება?

არა, არა, ევასთან განახლებული, წელგამართული უნდა მივიდეს. ერთ ადგილას ყოფნა არ შეუძლია. წამოიჭრება და ჩქარი ნაბიჯით ზეივანს გაჰყვება.

ფიქრი აწვალებს: როგორ დამტკიცოს, რომ „გაფრენილი ჩიტი“ მისია?.. განაცხადოს?.. ვაითუ, თავი სასაცილოდ გაიხადოს? ძველ ამხანაგებს, უკვე ცნობილ მხატვრებს, უნდა შეხვდეს. იქნებ ახსოვთ, რომ მისი ნახატია. ვაითუ, არავის ახსოვს, მაშინ თვალი სადღა გაახილოს?!

წელი იწურებოდა. თბილისში ზამთრის სუსხიანი ქარი მძვინვარებდა, ქადრის გაყვითლებულ ფოთლებს ქუჩაში საცოდავად აპროწიალებდა. გივის ამღვრეულ გუნებას სიამოვნებდა ქარის ბობოქრობა. დიდხანს იხეტიალა ქუჩა-ქუჩა... და ბოლოს ევას სახლის წინ აღმოჩნდა. ამ ადგილს კარგად იცნობდა. აქ არაერთხელ ჩაუვლია, მაგრამ ევასთან მისვლა ვერ გაუბედავს. ახლაც სასწრაფოდ გაეცალა აქაურობას.

ასე ლაჩრულად სანამდე უნდა იქცეოდეს?! თავის თავზე გულმოსული უკან დაბრუნდა. კიბეს აჰყვა. ევას ბინის კართან ისევ შეყოყმანდა.

„ნეტავ მარტო დამხვდებოდეს!“ — ინატრა გივიმ.

ლაპარაკი მოესმა. უკან დაიხია. ევას მეზობელი სტუმრებს გამოჰყვავს ვას-

ცილებლად... გივიმ უყოყმანოდ დარეკა ზარი. კარი გაიღო.

— მობრძანდით, გივი ბატონო, ისე შეეგება ევა, თითქოს მის მოსვლას ელოდა. ცისფერი აბრეშუმის ხალათი ეცვა. მკერდზე ხელი მიიფარა. იგი ჩვეულებრივი ოჯახის ქალი იყო, პროფესორული იერი ვერ შენიშნა. ევამ სტუმარს ქალები გააცნო.

— მხატვარი? — შეეკითხა გივის ჭაღარაშერეული მანდილოსანი.

— თამრო, შენ, როგორც ხელოვნებათმცოდნეს, ყოველი კაცი მხატვარი, ან მოქანდაკე გგონია, — უპასუხა ევამ გივის მაგიერ.

— თქვენი ფოტოსურათი ეურნალში იყო დაბეჭდილი.

გივი კვლავ დუმდა. არ უნდოდა თავისი ამბის გამჟღავნება.

— წარმოუდგენელია ასეთი მსგავსება!

— გივი, დაბრძანდით. თქვენს ვინაობას მერე მოვეუყვები. ბოდიშს ვიხდი, ერთი წუთით დაგტოვებთ. — და ევა ოთახიდან გავიდა.

გივი მარტო დარჩა ორ დარბაისელ მანდილოსანთან. თავს უხერხულად გრძნობდა. სხვა დროს ქალებთან ტკბილი მოსაუბრე, ახლა ენის მობრუნებას ვერ ახერხებდა. ამ მოულოდნელმა შეკითხვამ სულ დააბნია... ქალები ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდნენ.

შემაწუხებელი დუმილი რომ დაერღვია, გივიმ ძლივს თქვა:

— ბატონებო, ნებას მომცემთ, პაპიროსი...

— კი, ბატონო, — მისცა ნება თამრომ.

გივიმ პაპიროსი ქალებსაც შესთავაზა. თამრომ მამაკაცურად გააბოლა. ამასობაში, როგორც იქნა, ევაც დაბრუნდა. ხალათი გაეხადა, სასტუმროდ გამოწყობილიყო.

— როგორ გაერთეთ უჩემოდ?

— გაბუტულები ვისხედით... ბატონ გივისთან საუბარი ამიკრძალე.

— ბოდიშს ვიხდი, მყუდროება დაგირღვიეთ. — თქვა გივიმ.

— რასა ბრძანებთ! — უპასუხა თამრომ, — საუბრით გული საკმაოდ მოვიჯვრეთ, უკვე წასასვლელად ვემზადებოდით.

ქალები წავიდნენ. მოაგარაკენი მართო დარჩნენ. ევა ოთახიდან ხშირად გადიოდა. ჩაფიქრებული გივი პაპიროსს აბოლებდა და კედელზე ჩამოკიდებულ ზეთით ნახატ სურათებს ათვალერებდა. ევა მხატვრობის მოყვარული ყოფილაო, ესიაშოვნა გივის.

— გეტყობათ, არა გცალიათ... სხვა დროს გესტუმრებით.

— ახლავე მოვიცილი...—და ევამ გივი სახელდახელოდ გაწყობილ სუფრაზე მიიპატიჟა, ჩემს ახალ ბინაში პირველადა ხართ, გთხოვთ ჰერი დამილოცოთო.

— გისურვებთ ყოველივე კარგს ახალ ჰერქვეშ, ქალბატონო ევა, — აღდეგრძელა გივიმ დინჯად, მერე ღიმილით დაუმატა, — მალე ბულალტრის თანამდებობა მიგელოთ ახალ ბინასთან ერთად.

— მადლობას მოგახსენებთ... ჩემი საავარაკო ზუმრობა არ დაგვიწყნიათ... ნუ დამძრახავთ... ასე იყო საჭირო, რომ სტუდენტ ანგელინას თავი შევიწროებულად არ ეგრძნო ჩემთან.

— ანგელინასთან ერთად მეც, არა?

— ყველაფერი ეს ჩემს უნებურად მოხდა.

— თქვენი უეცარი გამგზავრებაც?

— ასე იყო საჭირო...

— გაგაცნობდით... თუმცა ეს ხომ ჩვენი შემთხვევითი ნაცნობობა იყო ავარაკზე...

— თქვენ მობრძანდით და ეს ჩვენი ნაცნობობა გრძელდება... როგორ იგონებთ ავარაკზე ყოფნას?

— კარვად...—სევდიანად თქვა გივიმ.

— მეც კმაყოფილი ვარ... ანგელინა ხშირად მიგზავნის წერილს, სულ თქვენს ხსენებაშია, მოკითხვას გითვლით...

— თქვენ რატომ გაწუხებთ?!

ევა გაწითლდა, ვერაფერი უპასუხა. დუმილი ჩამოვარდა, გივი ადგა, გაიარ-

გამოიარა, მერე თავისი სკამის ზურგს დაეყრდნო და თქვა: *არჩინებული*

— პირდაპირ უნდა გთხრობათ... თქვენნი ნახვა ძალიან მინდოდა... ამიტომაც დაუპატივებლად მოვედი.

ევა თავჩაღუნული იჯდა. ხმა არ ამოუღია. ისლა მოახერხა, ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია და გივის სევდიანად გაუღიმა.

— თქვენთან დაშორების შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა... გავხედე ჩემს მიერ განვლილ გზას და კმაყოფილი ვერ დავრჩი...—და აღგზნებულად გააცნო გივიმ ევას თავისი ცხოვრება... ბოლოს უთხრა: — გულის მოსაოხებლად ვინმესთვის ხომ უნდა მეთქვა აღსარება... არჩევანი თქვენზე შეჩერდა... თავი ხომ არ მოგაბეზრეთ?

ევა ყურადღებით უსმენდა, ხმა არ ამოუღია.

გივი სკამზე დაღლილი დაეშვა და თქვა, როგორც ტელევიზორში იციან ხოლმე:

— გმადლობთ ყურადღებისათვის...

გულიანად გაეცინათ. ამ მოულოდნელმა ზუმრობამ დაძაბულობა შეანელა, და ორივემ შეება იგრძნო. მაგრამ დუმილი მალე ისევ ლოდად ჩამოწვა. ევა ჩაფიქრებული იჯდა. გივი ეჭვებმა შეიპყრეს:

„რა საჭირო იყო ყველაფერი ეს?.. ევა, ალბათ, ფიქრობს, როდის მომშორდება ეს გაჭირვებული კაციო?“

გივიმ საათს დახედა.

— რა დრო გასულა! — ადგა და პალტოს ჩასაცმელად წინკარისკენ წავიდა.

ევამ გვიან მოისაზრა, რომ სტუმრის გაცილება იყო საჭირო. გივი ქუდს იღებდა, რომ საკიდარის თაროდან გაზეთში გახვეული გრაგნილი ჩამოვარდა და გაიშალა.

ევა დაიხარა და აიღო ფერადი ნახატი, დააკერდა და წამოიძახა:

— მაგნოლიის ხის ძირას ვზივარ, სადაც ანგელინასთან ერთად ვისვენებ-

დი... ვოცნებობ... როგორ მინდოდა ამ ადგილის ფოტოსურათი შექონოდა.—ბავშვივით ალტაცებულმა ნახატი გულზე მიიკრა... უცბად შერცხვა, სურათი დაბლა დაუშვა. — მართლაც მშვენიერი ადგილია, მაგრამ...

— მაგრამ... სურათი არ ვარგა.—დაასრულა წინადადება ნაწყენმა გივიმ.

— მინდოდა მეთქვა: მშვენიერი ნახატია... თუ შეეღუვი?

— ნაძალადევი მოწონებია...

— რა გვეიანი ყოფილხართ!—უთხრა

გაფითრებულ გივის, — კარგია... მომილოცავს...

გივი თავდახრილი ფეხავი მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

გივიმ იგრძნო ევას ხელის სითბო, მის თვალეში კი მეგობრული მზრუნველობა იხილა, თავი ველარ შეიკავა, რომ მხურვალედ მადლობა არ გამოეხატა, ხელზე აკოცა, ველარ გაუძლო მის სიახლოვეს და გულში ჩაიკრა.

მოდუნებულ ევას ნახატი ხელიდან გაუვარდა...





ვ. ი. ლენინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შ მ ს ბ ხ ე მ

ეროვნული საკითხი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთი მნიშვნელოვანი და რთული საკითხია.

მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ სარბი-ელზე პროლეტარიატი გამოვიდა და დაუპირისპირდა ბურჟუაზიას — ეროვნულ საკითხში ერთმანეთს უპირისპირდება ორი პოლიტიკა, ორი მსოფლმხედველობა — ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — აი ორი, ურთიერთისაღმი მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიათ მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტრც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში“¹.

ეროვნული საკითხის შემუშავება მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სახელთან არის დაკავშირებული.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოგვეცეს ძირითადი საბელმძღვანელო დებულებები ეროვნული საკითხის შესახებ. ისინი ეროვნული ჩაგვრის მოსპობისა და, საერთოდ, ეროვნული საკითხის ვადაჭრას პროლეტარიატის ბურჟუაზი-ზე გამარჯვების საკითხს უკავშირებდნენ. კ. მარქსი 1847 წლის ნოემბერში პოლონეთის 1830 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილ მიტინგზე რომ გამოდიოდა, აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზი-ზე პროლეტარიატის გამარჯვება, ყველა ნაცი-

ონალურ და სამრეწველო კონფლიქტის გააღ-ლახვას მოახწევებდა, რომლებიც კი იმეამდ მტრობას ბადებდა ერებს შორის. ამასთანავე მეორის გამარჯვება პირველზე ყველა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებას ნიშნავდა.

კომუნისმის სამროგრამო დოკუმენტში — „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ იმდენად, რამდენადაც მოისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოისპობა აგრეთვე ერთი ერის ჩაგვრა მეორეს მიერ, რომ კლასთა წინააღმდეგობის დაეცმასთან ერთად ერის შიგნით დაეცე-მა ერების მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.

მარქსი და ენგელსი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეროვნულ საკითხს. ისინი წერდნენ: „თუ შინაარსით არა, ფორმის მიხედვით მაინც პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პირველ ყოვლისა ნაციონალური ბრძოლაა. თეორიული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია, პირველად თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოეღოს ბოლო“¹.

მარქსი და ენგელსი გულისხმობენ სწავლობდნენ ყველა ქვეყნის ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიას. მათ, ისტორიულ-კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, შესანიშნავი ნიმუშები მოგვეცეს ეროვნული მოძრაობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულებასა.

მარქსიზმის ფუძემდებლები შეუთრგებელ ბრძოლას ეწეოდნენ რასიზმის, ნაციონალიზ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 13.

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 24.

მისა და კოსმოპოლიტიზმის ბერეუზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდნენ მეშუა კლასს. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ბერეუზიული ნაციონალიზმზე და პროლეტარული ინტერნაციონალიზმზე რომ მიუთითებდნენ, აღნიშნავდნენ: „მაშინ როდესაც ყოველი ერის ბერეუზია თავის განსაკუთრებულ ეროვნულ ინტერესებს ინარჩუნებს, მსხვილმა მრეწველობამ შექმნა ისეთი კლასი, რომელსაც ყველა ერი თვით და იგივე ინტერესები აქვს, და რომლისთვისაც უკვე მოსაბილია ეროვნელობა, — კლასი, რომელიც ნამდვილად თავისუფალია ძველი სამყაროსაგან და ამასთანავე ერთად უპირისპირდება მას“¹.

ისინი წერდნენ, რომ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლენებს ბოლოს მოუღებს პროლეტარული რევოლუცია, რომელიც სპობს ყოველგვარ ჩაგვრას, როგორც სოციალურს, ისე ნაციონალურს.

ვ. ი. ლენინმა, ეროვნულ საკითხში მარქსისა და ენგელსის ძირითად დებულებებს რომ ეყრდნობოდა, ეს დებულებები შემოქმედებითად განავითარა ახალ ისტორიულ პირობებში და მარქსისტული აზროვნების ისტორიაში პირველმა გამოიმუშავა ეროვნულ საკითხში კომუნისტური პარტიის პროგრამა და პოლიტიკა. კომუნისტური პარტია ინტერნაციონალურ პარტიად იქმნებოდა, რომელიც აერთიანებდა რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების პროლეტარებს. ინტერნაციონალიზმი საფუძვლად უდევს მარქსისტულ პარტიას. კაპიტალის ბატონობიდან მშობთა განთავისუფლება ეროვნული საკითხი კი არ არის, სოციალური საკითხია, რომელსაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც რუსი პროლეტარის, ისე უკრაინელი, ქართველი და სხვა ეროვნების პროლეტარისათვის.

კომუნისტური პარტია თავისი წარმოშობის დღიდანვე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულია. იგი შრომებულ მასებს ზრდიდა და ზრდის ურთიერთდაახლოების, ნდობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით და ყოველთვის უღმობელ ბრძოლას ეწევა ბერეუზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა ეროვნების პროლეტარებს. ვ. ი. ლენინი, ყველა ქვეყნის პროლეტარათა მკიდრო ერთიანობის ინტერნაციონალურ პრინციპს რომ ასაბუთებდა, ჟერ კიდევ 1894 წელს ამბობდა, რომ სხვადასხვა ენისა და ეროვნების მუშები ვალდებული არიან ასატყად ებრძოლონ ნაციონალურ სიძულვილს. ასეთი ებრძოლისათვის მხოლოდ ერთადერთი იარაღი არსებობს — თვითველ ცალკე სახელმწიფოში პროლეტარათა

კლასის ორგანიზაცია და მკიდრო შეკრებილება გაბატონებული კლასის წინააღმდეგ პროლეტარულად, ასეთი ეროვნული ორგანიზაციების ერთ საერთაშორისო პროლეტარულ შემადგენელსავე საერთაშორისო კაპიტალის ბატონობის დასამხობად².

ვ. ი. ლენინი შეერეებულ ბრძოლას ეწეოდა ბუნდის, პოლონელი სოციალ-დემოკრატების და სხვათა ნაციონალიზმის წინააღმდეგ და ასაბუთებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ პროგრამას. ბერეუზიული ნაციონალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ შეუთავსებლობას რომ ეხებოდა, ვ. ი. ლენინი წერდა: „ვინც ნაციონალიზმის თვალსაზრისს დაადგა, ის, ბუნებრივია, მოისტრეებს ჩინური კედელი შეშოვლოს თავის ეროვნებას, თავის ეროვნულ მშობთა მოძრაობას, მას არ აერთობს ისიც კი, რომ საკირო ვახდება ცალკეული კედლებისაგან თვითველ ქალაქში, დაბაში, სოფელში, არ აერთობს ისიც კი, რომ განცალკევებისა და დაქუცმაცების ტაქტიკით იგი ატარად აქვეყნს ყველა ერის, ყველა რასის, ყველა ენის, პროლეტარათა დაახლოებისა და ერთიანობის დიად ცნებას...“³

ლენინიზმს წილად ხედა მარქსიზმის ისტორიაში პირველად შემუშავებინა ეროვნულ საკითხში პარტიის თეორიული პროგრამა და პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გამოდის მარქსისა და ენგელსის დებულებებიდან: „ხალხი, რომელიც იმონებს სხვა ხალხებს, თავის საკეთარ ბორკილებს ქედავს;“⁴ „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც ჩაგრავს სხვა ხალხებს,“⁴ რომ პროლეტარიატის პროლეტარული და ეკონომიური განთავისუფლება შეუძლებელია ეროვნული ჩაგვრის მოუსპობლად.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ქვეყნებშია ერთა თვითგამორკვევის უფლებების აღიარება. ამ ღონებზე მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ბოლოს უღებს ხალხების სრულფასოვან და არასრულფასოვან ერებად დაყოფას და აღიარებს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობას, სპობს ერებს შორის უნდობლობისა და სიძულვილის საფუძვლად და აშხადებს ნიადავს ურთიერთდაახლოებისა და ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 172.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 645-646.

³ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 16, 33-438.

⁴ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 18, 33-509.

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან“ თბილისი, 1948, გვ. 76.

დიდი გაჭნევა მკოვა რუსეთის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. დანაგრეულ ხალხთა მოძრაობას მხარს უჭერდა ბოლშევიკური პარტია. პარტიის მესამე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში — „პოლონეთის ამბების გამო“ — აღნიშნული იყო: „მალე დადგება ის დღე, როცა რუსეთის უველა ეროვნების პროლეტარიატი ერთსულოვნად გამოვა საქმულელ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და მასზე საბოლოო გამარჯვებით გაიყაფავს გზას შემდგომი ბძოლისათვის სოციალიზმის მოსაპოვებლად.“¹

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ეროვნულმა საკითხმა. თუ რევოლუციის აღმავლობის წლებში რუსი პროლეტარიატის მხარდამხარ რუსეთის განაპირა მხარეების პროლეტარებმა ერთობლივი იერიში მიიტანეს თვითმპყრობელობაზე, რევოლუციის დამარცხების შემდეგ თავი იჩინა ნაციონალიზმმა. „ველიკორუსული“ ნაციონალიზმის გვერდით ნაციონალიზმმა ვადილება იწყო უკრაინელ, პოლონელ, ებრაელ, თათარ, ქართველ და სხვა ხალხებს შორის. ყოველივე ეს რუსეთის მარქსისტების წინაშე იყენებდა გადაუდებელ ამოცანას — ყოველმხრივ დაღრმად დაემუშავებინათ ეროვნული საკითხი.

კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა მარქსისტული პრინციპი ერთა თვითგამორკვევის უფლებისა თვით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე. ეს პრინციპი მიმართული იყო გაბატონებულ ერების ბერეუაზიელი ნაციონალიზმის წინააღმდეგ და იცავდა დამოუკიდებელ და დამონებული ერების სახელმწიფოებრივი გამოყოფისა და დამოუკიდებლობის უფლებას. მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც ყველა სხვა საკითხში, ისე თავისუფალი თვითგამორკვევის საკითხშიც, პირველყოფისა, დანტერესებულისა ერის შვიგით პროლეტარიატის თვითგამორკვევით.

ვ. ი. ლენინი თვითგამორკვევის ღონუნგს ორი სიტყვით გამოხატავდა: „გამოყოფა გაერთიანებისათვის.“ ამ დებულების სისწორე დადასტურებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიული გამოცდილებით. მარქსიზმ-ლენინიზმი ერთა თვისუფალი თვითგამორკვევის უფლებას აღიარებს და, ამასთანავე, არ აიგივეებს ამ უფლებას ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხთან. უკანასკნელ საკითხს ლენინური პარტია წყვეტს ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში, საზოგადოებრივი განვითარებისა და სოციალიზ-

მისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ვ. ი. ლენინი, ნაშრომში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“, აღნიშნავდა: „ერთა თვითგამორკვევად იგულისხმება მათი სახელმწიფოებრივი გამოყოფა უცხო ერთა კოლექტივებისაგან, ივლისსმება დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა.“¹

ერთა თვითგამორკვევის ბოლშევიკური ღონუნგის არსი ის არის, რომ მხოლოდ თვითონ ხალხს აქვს უფლება განსაზღვროს თავისი ბედნი.

თვითუფლ ერს უფლება აქვს თავის ცხოვრება ისე მოაწყოს, როგორც თვითონ სურს. მას უფლება აქვს შეინარჩუნოს თავისი მანეზხენეულებებიც კი, შეინარჩუნოს და აღადგინოს ყოველგვარი დაწესებულება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარქსისტები მიესალმებიან და მხარს დაუჭერენ ერის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს. პარტია არ ცდილობს თავისი ნებასურვილი თავს მოახვიოს რომელიმე ერს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი უღალატებს თავის პრინციპებს. პარტია, ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის რომ იბრძვის, ამასთანავე უფლებას იტოვებს აგიტაცია გასწიოს ერის მანეზხენეულებათა და დაწესებულებათა წინააღმდეგ.

ყოველ ერს შეუძლია მოეწყოს თავისი სურვილისამებრ, — ავტონომიის საფუძველზე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ვინაიდან გრის სუვერენული და თანასწორუფლებიანია. პარტია, ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებისათვის რომ იბრძოდა, სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების გამოყენებას სავალდებულოდ არ თვლიდა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის ეროვნულ საკითხში თავისებური პირობები აქვს. მეფის რუსეთში რამდენიმე ათეული ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ: რუსები, უკრაინელები, პოლონელები, ფინელები, ბელორუსები, ესტონელები, ლატვიელები, ქართველები, სომხები, თათრები, ბაშკირები, უზბეკები და სხვები. რუსეთში გაბატონებულნი იყვნენ ველიკორუსები მოსახლეობის 43 პროცენტს შეადგენდა, ეროვნულ უმცირესობანი კი 57 პროცენტს, მათ შორის: უკრაინელები — 17 პროცენტს, პოლონელები — 6 პროცენტს, ბელორუსები — 5 პროცენტს და ა. შ.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს შემდეგ თავისებურებებზე: 1) „უცხოტომელები“ დასახლებული არიან განაპირა მხარეებში; 2) ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა რუსეთში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებში; 3) განაპირა მხარეებში მცხოვრებ ხალხებს საზღვრის გადაღმა თავიანთი თანამე-

¹ სკვ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში... ნაწ. I, გვ. 102.

მძულეები ჰყავთ, რომლებიც მეტი ეროვნული დამოუკიდებლობით სარგებლობენ (მაგალითად: ღინელები, პოლონელები, რუმინელები); 4) კამბიკალიზმის განვითარება და ევლუტურის საერთო დონე ხშირად განაპირა მხარეებში უფრო მაღალია, ვიდრე სახელმწიფოს ცენტრში. ამრთავად, — დასძენს ვ. ი. ლენინი „სწორად მხოლოდ აზიურ სახელმწიფოებში დაიწყო ხანა ბურჟუაზიული რევოლუციებისა და ეროვნული მოძრაობისა, რაც ნაწილობრივ მოედო რუსეთის ფარგლებში მყოფ მონათესავე ხალხებსაც.

ამრთავად, რუსეთში ნაციონალური საკითხის სწორედ ისტორიული კონკრეტული თავისებურებანი განსაკუთრებით ვადუდებებს ხდიან ჩვენში ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას მიმდინარე ეპოქაში.¹

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა შეგნებულად აფერხებდა განაპირა მხარეების ეკონომიკურ განვითარებას, ამასთანავე შრობიერი მიწა-წყლიდან ამკვებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს და მათს ადგილზე რუს კოლონისტებს ასახლებდა. განაპირა მხარეებში თითქმის ყველა თანამდებობა რუს ჩინოვნიკებს ეკავათ, რომლებიც რუსულ ენაზე აწარმოებდნენ საქმებს დაწესებულებებსა და სასამართლოებში. აკრძალული იყო დედაენაზე ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. ცარიზმი მიისწრაფოდა ჩაეხშო ეროვნული ევლუტურის ყოველგვარი განვითარება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმის ამ პოლიტიკას თავისი ინტერესებისათვის იყენებდა ადგილობრივი ბურჟუაზია, რომელიც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ფართო პროპაგანდას ეწეოდა. ამის გამო ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სოციალ-დემოკრატიის მიერ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლებების აღიარება სოციალ-დემოკრატიებისაგან მოითხოვს, რომ ისინი:

ა) უამყოლად მტრულად უუერებდნენ ძალადობის ყოველგვარ გამოყენებას, რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს, გაბატონებული ერის მხრივ (ან იმ ერის მხრივ, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს) იმ ერის მიმართ, რომელსაც სურს გამოეყოს სახელმწიფოდ;

ბ) მოითხოვდნენ ასეთი გამოყენების საკითხის გადაწყვეტას ამა თუ იმ ტერიტორიის მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ საყველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფართო კენჭის ყრის საფუძველზე;

გ) ეწეოდნენ შეუწყვეტელ ბრძოლას როგორც შერჩეულ-ოქტიაბრისტულ, ისე ლიბერალურ ბურჟუაზიულ („პროგრესისტები“, კადეტები და სხვა) პარტიებთან საერთოდ ნაციონალურ ჩაგვრის ყოველგვარი დაცვის ან

დამცემის, ანდა კერძოდ ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფის გამო.²

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა კომუნისტური პარტიის ეროვნული პროგრამის ორი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა: ერთა თვითგამორკვევის უფლება და პროლეტარიატის ინტერნაციონალური შეკავშირება. კომუნისტური პარტია ყოველთვის იცავდა ერთა თანასწორ უფლებიანობას, რომელიც საფუძველშივე უარყოფს რომელიმე ერის პრივილეგიას.

მარქსიზმმა, ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას რომ აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შექმნამდე, ამით სრულიადაც არ არის მომხრე დიდი სახელმწიფოს დაქვემდებარებისა, პირიქით, მხარს უჭერს სხვადასხვა ერების გაერთიანებასა და მჭიდრო ურთიერთდაახლოებას, რომელსაც საფუძველად ედება თავისუფალი და ნებაყოფლობითი პრინციპი.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ რომ მონღოლების, სპარსელების, ეგვიპტელების და გამოუკლებლად ყველა ჩაგრული და არასრულწიკისოვანი ერის გამოყოფის თავისუფლებას მოვითხოვთ, სრულიადაც არა იმიტომ, რომ ჩვენ მათი გამოყოფის მომხრენი ვართ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მომხრენი ვართ თავისუფალი ნებაყოფლობითი, და არა ძალდატანებითი დაახლოებისა და შეერთებისა.“³

საბჭოთა ეკვიპის კომუნისტური პარტია მთელ თავის მიღეწეობაში თანმიმდევრულად და განუხრელად იცავდა ლენინური ეროვნული პროგრამის ძირითად დებულებებს. პარტია განუხრელად ადასტურებდა თავის ეროვნულ პროგრამას ყრილობებისა და კონფერენციების მიერ მიღებულ საკანგებო დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ეროვნულ საკითხში პარტიის ყველა გადაწყვეტილების ძირითადი არის არის: 1) ერების მიმართ იძულების ყველა და ყოველგვარი ფორმის უარყოფა; 2) საყველთაო ბედის მოწყობის საქმეში ერების თანასწორობისა და სუვერენობის აღიარება; 3) აღიარება იმისა, რომ ხალხთა მტკიცე გაერთიანება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე; 4) რომ ასეთი გაერთიანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კამიბალიზაციონობის დამხობის შედეგად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ განახორციელა და უზრუნველყო რუსეთის ყველა ხალხისათვის ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. 1917 წლის

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 281.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 78.

3 სკკპ რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების... ნაწ. 1, გვ. 916.

7 ნოემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ მუშებისა, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი მიმართვაში აღნიშნა ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლა და გამოაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფს თვითგამორკვევის უფლებას რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერი-სათვის.

1917 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ დამატარა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, სადაც მოცემული იყო ერთგულ საყიდოში საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის პრინციპები. დეკლარაციით მან მთელ მსოფლიოს აცხადებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის საფუძველი ეროვნულ საკითხში არის რუსეთის ხალხების თანასწორობისა და სუვერენობის ცნობა; ერებს ეძლევათ თვითგამორკვევის უფლება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფამდე; გაეშქმად უოკლავარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური შერღვევა და პრივილეგია. დეკლარაცია ამხელდა ცარიზმის მტრულ პოლიტიკას რუსეთის ხალხების მიმართ; ამხელდა უნდობლობის პოლიტიკას, რასაც მიმართავდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა რუსეთში შემავალი ხალხების მიმართ. დეკლარაცია აცხადებდა ჩვენს ქვეყანაში ურთიერთნდობისა და თანასწორი უფლებიანობაზე დამყარებულ ერთა მეგობრობას.

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი გამოხატულებაა აგრეთვე რსფსრ სახკომსაბჭოს მიერ 1917 წლის დასასრულს გამოქვეყნებული მოწოდება: „რუსეთის და აღმოსავლეთის ყველა მუსულმან შრომელს“. საბჭოთა მთავრობა აცნობებდა აღმოსავლეთის ხალხებს უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას, ყოველგვარი ჩაგვრისა და ძალადობის პოლიტიკის უარყოფას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად იბრძოდნენ ყველა ერის თანასწორუფლებიანობის და ხალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების განხორციელებისათვის.

1917 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ ცნო უკრაინის რესპუბლიკა და მისი უფლება რუსეთისაგან გამოყოფისა, ხოლო 31 დეკემბერს — ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საბჭოთა მთავრობამ ცნო აგრეთვე ბალტიისპირეთის ქვეყნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

სოციალისტური სახელმწიფოს მტრები ვარაუდობდნენ, რომ კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად რუსეთი ცალკეულ ნაწილებად დაიშლებოდა, რასაც შედეგად მოჰყვებოდა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია. „გვეუბნებიან — წერდა ვ. ი. ლენინი, — რუსეთი დაქვეითდება, დაიშლება ცალკეულ რესპუბლიკად, მაგრამ ჩვენ ამის არ უნდა გვეშინოდეს, რამდენ

იც უნდა იყვეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ჩვენ ამის არ შეგვეშინდება, ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ სად გადის სახელმწიფო საზღვარი, არამედ ის, რომ შენარჩუნებულ ექნეს ყველა ერის მშრომელთა კავშირი ყოველგვარი ერის ბურჟუაზიასთან საბრძოლველად.“¹

პარტია დარწმუნებული იყო, რომ სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლებული ხალხები ნებაყოფლობით დაახლოებისა და გაერთიანების გზას დაადგებოდნენ. ეს მართლაც ასე მოხდა.

თუ ცარიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები ეროვნული განკერძოებისაგან მიიწრაფოდნენ, ოპორტუნისტული რევოლუციის პირველი დღეებიდანვე გაიღიერდა ხალხთა გაერთიანების ტენდენცია. იმ ერების დიდმა ნაწილმა, რომლებიც რუსეთის შემადგენლობაში შედიოდნენ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არ მოისურვა საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფა.

ლენინურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას ეროვნული საკითხისა და ერებს შორის თანამშრომლობის საკითხის გადამწყვეტილას დიდ სიმძლეების გადალახვა მოუხდათ.

ცნობილია, რომ რუსეთი, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველაზე მრავალეროვანი სახელმწიფო იყო. საჭირო გახდა იმპერიაში შემავალ 60-დე ერს, ეროვნებასა და ეროვნულ ჯგუფს შორის მკვიდრო მეგობრული თანამშრომლობის განხორციელება.

მეორე მხრივ, ეს ხალხები ეკონომიური და კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ. ზოგ მთავანში ფეოდალური და პატრიარქალური ურთიერთობაც კი იყო შენარჩუნებული. უაღრესად დიდი და რთული შემთხვა იყო ჩასატარებელი მათი სოციალისტური განვითარების გზაზე დასაყენებლად.

ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ცარიზმისაგან მეგობრობით მიიღო უნდობლობა და მტრობა ხალხებს შორის. საჭირო იყო ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის ნაშთების ლიკვიდაცია და ხალხთა ურთიერთდამტრებისა და თანამშრომლობის საფუძვლის ჩაყრა.

კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა რუსეთის განაპირა მხარეების მშრომელთა დახმარების ლოზუნგი, რის შედეგადაც ისინი დაეწიოდნენ ცენტრალურ რუსეთს, უნდა შეეჭმნათ და განვეითარებინათ საკუთარი მრეწველობა, საკუთარი მეურნეობისა და სახელმწიფო აპარატის ეროვნული კადრები, დედაენაზე მომუ-

¹ ვ. ი. ლენინი; თხზ., ტ. 26, გვ. 402.

შევე კელტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა მძლავრ ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადააქცია. ლენინური ეროვნული პოლიტიკით რომ ხელმძღვანელობდნენ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ბრწყინვალედ გადაკრეს რუსეთის ხალხებს შორის ინტერნაციონალური თანამშრომლობის პრობლემა. სოციალისტების ბაზაზე შესაძლებელი გახდა წინააღმდეგობა და დამონებელი ხალხების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

ხალხებმა, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამდე პატრიოტულ პირობებში ცხოვრობდნენ, გვიანტურნი ნატივში ვეაყეთეს სოციალისტებისაგან ისე, რომ არ გვევლიათ კაბიტაღიში, ხალხები, რომლებიც განწირული იყვნენ მოსპობა-გადაშენებისათვის, სოციალისტების პირობებში აღორძინდნენ და მოიპოვეს მანამდე ვაგფორარი მიღწევები, კომუნისტურმა პარტიამ ბოლო მოუღო ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობას, რაც ჩვენ ძველმა საზოგადოებამ შეგვიდრეკობად დაგვიტოვა; ხალხებს, რომლებსაც არ გააჩნდათ მრეწველობის ჩანასახი, დღეს დიდად ვანვითარებული მრეწველობა აქვთ, ეროვნული რესურსები დაფარულია ფაბრიკა-ქარხნებით, რომლებშიც ეროვნული კადრები მუშაობენ. იმ ხალხებში, რომლებსაც რევოლუციამდე დამწერლობა არ გააჩნდათ, დღეს ეროვნული კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე დგას.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, სოციალისტების ბაზაზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხთა ურთიერთდახმარებამ და მეგობრობამ ჩვენში დაამკვიდრა ეროვნებათა ძმური თანამშრომლობა, გაიმარჯვა ხალხთა თანასწორუფლებიანობის, მშობისა და მეგობრობის საბჭოთა იდეოლოგია.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის, სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობისა და მისი განმტკიცების იდეური საფუძველია სოციალისტური პატრიოტიზმის ორგანული შეხამება პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან. აქედან გამომდინარე, ვასაგებია, თუ როდენ დღი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთდაშორებულუბის საკითხის სწორ, მარქსისტულ-ლენინურ გაგებას.

ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი კი არ უარყოფენ ერთმანეთს, არამედ ერთიანობაში იმყოფებიან. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი სრულიად არ უარყოფს პროლე-

ტარულ პატრიოტიზმს. პროლეტარიატი, რომელიც ინტერნაციონალიზმის ერთგულია, ამასთანავე მოკლებული არ არის პატრიოტიზმის გრძნობას. ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის ორგანული შეხამება კომუნისტების დამახასიათებელი თვისებაა. კომუნისტები, როგორც ინტერნაციონალისტები, ამასთანავე თავიანთი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები არიან. უდიდესი ინტერნაციონალისტი ლენინი აღნიშნავდა: „უცხოთ თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებელი პროლეტარიატისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ ვუეუვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ვუეუვარ ვერად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მისი მშრომელი მსახური (ე. ი. მისი მოსახლეობის 9/10) ავამღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე.“¹

რუსი პროლეტარიატი, აღზრდილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულსკვეთებით, უდიდეს ეროვნულ სიამაყეს განიცდის იმით, რომ რუსმა ერმა წარმოშვა რადიშჩიკი და დეკაბრისტები, ბელისკი და ჩერნიშევსკი, პლუხანოვი და ლენინი, რომ ველიკორუსმა პროლეტარიატმა მოახდინა ოქტომბრის რევოლუცია და ამით დასაბამი მისცა სოციალისტების ეპოქას. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი თავისი ქვეყნის მხურვალე პატრიოტია და ამავე დროს ცხოვრებაში თანმიმდევრულად ატარებს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს.

პატრიოტიზმის უმადლესი სახეა საბჭოთა პატრიოტიზმი, რომლის ძალა ის არის, რომ მის ჩასაბრძოლველ ან ნაციონალისტური კრურწმენა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ ღრმა ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი, ყველა ერის მეგობრული ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. საბჭოთა პატრიოტიზმი ერთიან მშურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერს.

საბჭოთა პატრიოტიზმის განვითარება ინტერნაციონალიზმის განვითარებასთან განუერულ კავშირში მიმდინარეობდა. თითქმის შეუძლებელია რაიმე ზღვარის გავლება საბჭოთა იდეაინების ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს შორის, ერთი მხრივ, სოციალისტური სამშობლოსადმი მათს სიყვარულსა და, მეორე მხრივ, სხვა ეროვნებათა თანამოქმედისადმი მათს სიყვარულსა და პატივისცემას შორის.

მათ შესაებ, ვინც ერთმანეთს უპირისპირებდა ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს, კარგად იყო აღნიშნული საბჭოთა მუსიკოსთა თათბირზე. „ღრმად ცდებათ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ეროვნული მუსიკის გაფერჩქნა ნიშნავს ხელოვნებაში ინტერნაციონალიზმის აღმდენადმე დაზრდილვას, ინტერნაციონალიზმი

¹ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 111.

ხელოვნებაში ეროვნული ხელოვნების დამკვირვებთა და დამტყდომის საფუძველზე როდი წარმოიშობა. პირიქით, იგი აქ წარმოიშობა, სადაც იფორმირება ეროვნული ხელოვნება. ამ ქვეშეპირობების დაიწყება ნიშნავს სახელმძღვანელო ხაზის უარყოფას, საკუთარი სახის დაკარგვას, იმას, რომ დაადგე უთვისებო კოსმოპოლიტიზმის გზას. სხვა ხალხის ეროვნული მუსიკის სიმდიდრის დაფასება მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია, რომელსაც თავისი შალღან-ვითარებული მუსიკალური კულტურა აქვს. მუსიკაში, ისევე როგორც ყველაფერში, ინტერნაციონალისტი არ შეიძლება იყოს, თუ არა ხარ საკუთარი სამშობლოს ნამდვილი პატრიოტიკა.¹

შოაფლის ცალკეული ქვეყნის პროლეტარები „თავიანთი“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ რომ იბრძვიან, ამით გამოხატავენ თავიანთ მუდრეალე პატრიოტიზმს, ამასთანავე რევოლუციურ მოღვაწეობაში თანმიმდევრულად ატარებენ ინტერნაციონალიზმს. გერმანიის პროლეტარიატის ბელადი ერნსტ ტელმანი აღნიშნავდა: „მე უთვისებო ადამიანი არა ვარ. მე გერმანელი ვარ დიდი ეროვნული და, ამასთან ერთად, ინტერნაციონალური გამოცდილებით. ჩემი ხალხი, რომელსაც მე ვეუფუნე, რომელიც მე მიყვარს, რომლითაც მე ვამყობ, — გერმანელი ერო მამაცი, ამაყი და შეუდრეკელი ერი. მე სისხლითა და ხორციით გერმანიის მუშათა კლასს ვეუფუნე. და, ამიტომ, როგორც შეილა რევოლუციური კლასი-სა, გვიან მე გავხდი მისი რევოლუციური ბელადი. ჩემი სიცოცხლე და შრომა მიმართული იყო მხოლოდ გერმანელი ხალხის მშრომელთა საკეთილდღეოდ, ჩემი ცოდნა, ძალა და გამოცდილება, ჩემი მოღვაწეობა — მთელი ჩემი არსება ეუფუნოდა გერმანიის მოავლისათვის, სოციალიზმს გამარჯვებისათვის, თავისუფლებებისათვის, გერმანელი ერის ახალი აუცილებლობისათვის ბრძოლას.“²

მარქსიზმ-ლენინიზმი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ინტერნაციონალისტობა, თუ არა ხარ საკუთარი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი. შეუძლებელია ინტერნაციონალისტობა, თუ პატრის არა სცემ და არ გიყვარს მშობლიური ხალხი.

კომუნისტურ პარტიას, რომელიც თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია, მოუხდა ბრძოლა ქვეყნის შიგნით არსებულ ყოველგვარი და ყველა სახის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, როგორც ველიკორუსული, ისევე განაბრია მხარეებში გამოვლენებული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. პარტია სამკდრო-სასიცოცხლო

ბრძოლას ეწეოდა ველიკორუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც მისწრაფოდა ეროვნული რესპუბლიკებისა და რესპუბლიკური დიქტატორების, ანგარიშს არ უწყობდა ტრეზნის თავისებურებებსა და ცხოვრების პირობებს, ცდილობდა ძირი გამოეთხარა ერების თანასწორულეზიანობისათვის, მომხრე იყო ასიმილაციის პოლიტიკასა, ეითომდა „ინტერნაციონალიზმის“ ინტერესებიდან გამოპოვინა.

ველიკორუსულ შოვინიზმს ძირითად საშიშროებად რომ სთვლიდა, ვ. ი. ლენინი გადაჭრით ილაშქრებდა მის წინააღმდეგ. 1922 წლის რექტომბერს პოლიტბიუროსადმი ვაგზავნიდა ბარათში იგი აღნიშნავდა: „ველიკორუსულ შოვინიზმს ეუცხადება სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. როგორც კი განვთავისუფლდები ამ წყეული კბილისაგან, ჩემივე სალი კბილებით დავვლეჯ მას.“

საქირია აბსოლუტურად დაინებით მოვითხოვოთ, რომ ცაქ-ში რიგრიგობით თავ-მქ დომარეობდენენ

რუსი
უქრაინელი
ქართული და სხვ.
აბსოლუტურად!¹

ვ. ი. ლენინი მრავალჯის გვასწავლიდა, რომ მარქსისტებმა აუცილებელია ერთმანეთისაგან განასხვავონ მწავრელი ერის ნაციონალიზმი და ჩაგრული ერის ნაციონალიზმი, დიდი ერის ნაციონალიზმი და პატარა ერის ნაციონალიზმი.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ პატარა ერის „ნაციონალიზმის მიმართ თითქმის ყოველთვის ისტორიულ პრაქტიკაში ჩვენ, დიდი ერის ნაციონალეზი, დამნაშავენი აღმოვჩნდებით ხოლმე უამრავ ძალადობაში, და უფრო მეტიც — ჩვენდა შეუმჩნეველად ჩადეფათ უამრავ ძალადობასა და შეურაცხყოფას, — საქმარისა მხოლოდ გავიხსენოთ ჩემი მოვონებანი ეოლ-გვიან იმაზე, თუ ჩვენში როგორ აბუჩად იგდებენ სხვა ტომელებს, თუ როგორ უწოდებენ პოლონელს უსათუოდ „პოლიანიშკას“, თუ როგორ ამასხარაებენ თათარს უსათუოდ „კინაზის“ შერქმევით, უქრაინელს — როგორც „ხოზოლს“, ქართველსა და დანარჩენ კავკასიურ სხვატომელებს — როგორც „კავკასიკი ჩელოეკს“².

უდიდესი ინტერნაციონალისტი ვ. ი. ლენინი მრავალჯის აღნიშნავდა, რომ ველიკორუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, რუსმა კომუნისტებმა უნდა იბრძოლონ, ხოლო ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ — ადგილობრივმა კომუნისტებმა.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის

¹ Совещание деятелей советской музыки в ЦК ВКП(б), 1948, გვ. 139.
² ერნსტ ტელმანის წერილი, ქურნალი „ბოლშევიკი“, 1950, № 21

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 438
2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 691-692.

პრინციპების ცხოვრებაში პრაქტიკულ განხორციელებას. როდესაც გაცნო ევრეთიწოდებულ „აგრონომიზაციის“ იდეას — აგრონომიის საწყისებზე რსფსრ რესპუბლიკაში შესვლის ვითარებას, რესპუბლიკების გაერთიანების იდეას, ლენინმა სერიოზულად გააკრიტიკა ეს პროექტი, ვინაიდან მისი განხორციელების შემთხვევაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მხოლოდ ლიტონ სიტუვებად იქცეოდა. ვ. ი. ლენინმა წამოაყენა საკითხის პრინციპულად სხვა-ნაირად გადაწყვეტა — ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის, ნებაყოფლობითი გაერთიანება ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად — საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად — მათი სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენ ეცნობით თავს თანასწორუფლებიანად უკრაინის სს რესპუბლიკასთან და სხვებთან, მათთან ერთად და მათ თანაბრად შეედრებით ახალ კავშირში, ახალ ფედერაციაში.“¹ და სწორედ ლენინის მითითებითაა შესაბამისად შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ რესპუბლიკებში ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარებას და მისამზადებელ მუშაობას მათი ერთიან სახელმწიფოვ გაერთიანებასათვის. სწორედ ამ პერიოდში დაიწერა წერილი „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „აგრონომიზაციის“ შესახებ“, რომელშიც ვ. ი. ლენინი მოითხოვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განხორციელებას, საბჭოთა კავშირის დიდ და პატარა ხალხთა შეგობობის განმტკიცებას.

აღნიშნული წერილის შექმნის საბაზი იყო იმ დროს წარმოშობილი კონფლიქტი საქართველოს კომუნისტურ პარტიაში — ერთი მხრივ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა (რომელსაც ს. ორჯონიძე ხელმძღვანელობდა) და მეორე მხრივ ქართველ კომუნისტთა ქვეულ შორის (რომელსაც ბ. მდივანი ხელმძღვანელობდა).

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ახორციელებდა პრინციპულად სწორ ხაზს, იბრძოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების შექვიდროებისათვის, გამოდიოდა ბ. მდივანის ქვეულის საფუძველზევე მცდარი პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტობრივად აფერხებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკურ გაერთიანებას, ცდილობდა საქართველოს განცალკევებულობის შენარჩუნებას, რითაც ხელს უწყობდა ბერყეზობილი ნაციონალიზმისა და ქართველ მენშევიკთა პოზიციების განმტკიცებას.

კონფლიქტის გარკვევის მიზნით რუსეთის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ სა-

ქართველოში მოაწვინა კომისია ფ. აქაფინის ხელმძღვანელობით.

ვ. ი. ლენინი დიდად იყო დარწმუნებული „საქართველოს საკითხით“ და შეუფერხებლად ელოდა კომისიის მოსკოვში დაბრუნებას. კომისიის მასალებს რომ გაეცნო, ვ. ი. ლენინმა მხარი არ დაუჭირა ბ. მდივანის ქვეულის პრინციპულად მცდარ პოზიციას. მაგრამ, რაიც იმ დროს დიდმპყრობელური შოენიზმში მთავარი საფრთხე იყო და, ამასთანავე, უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმე თავიანთ თავზე უნდა მიეღოთ წინათ გაბატონებული ერის კომუნისტებს (ანუ რუსებს), ვ. ი. ლენინმა „საქართველოს საკითხში“ ყურადღება გაამახვილა სტალინის, ძეგრიანისა და ორჯონიძის შეუდომებზე. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ქართველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპური მაგალითი, სადაც საქმისაღმდეგ ქვეშაობრივად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უღარეს სიღრმეობას, თავზნობობასა და დამთმობლობას. ის ქართველი, რომელიც უგულებელყოფს საქმის ამ მხარეს, ათვალწუნებით წამოისვრის ბრალდებას „სოციალ-ნაციონალიზმში“ (მაშინ როდესაც ის თვითონ არის ნამდვილი და ქვეშაობრივი არა მარტო „სოციალ-ნაციონალი“, არამედ უხეში ველეოკორუსი დერეჟინსად). ეს ქართველი, არსებობდა, არღებდა პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის ინტერესებს, რადგან არაფერია ისე არ აფერხებს პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა, და არაფერია ისე მწიველ არ განიცდიან „შეურაცხყოფილი“ ნაციონალები, როგორც თანასწორობის გრძობას და ამ თანასწორობის დაზღვევას, თუნდაც დაუდევრობით, თუნდაც ხუმრობის სახით, ამ თანასწორობის დაზღვევას მათი ამხანავი პროლეტარების მიერ. აი რატომ არის, რომ ამ შემთხვევაში სკობია ეროვნულ უმცირესობათაღმდეგ დამომობლობისა და ლმობიერების მხრივ გადავალამოთ, ვიდრე დავაკლოთ მარილი.“¹

ვ. ი. ლენინი წინააღმდეგი იყო ეროვნულ საკითხში პარტიის პრინციპული პოლიტიკიდან ოდნავი გადახვევებისაც კი. იგი იძულებული იყო პარტიის უღრესად გამოჩენილ და ფეტორიტეტულ მოღვაწეთა მიმართ მოეთხოვა: „საჭიროა სამაგალითოდ დაისაჯოს აშხ. ორჯონიძე (ამას მით უფრო გულისტკივილით ვამბობ, რომ პირადად ვეუფთენი მისი მგვობრების რიცხვს და ვმუშაობდი მასთან ერთად საზღვარგარეთ ემიგრაციაში)... პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთელი ამ ქვეშაობრივ ველეოკორულ-ნაციონალისტური კამპანიისათვის უნდა

დაეცინათ, რა თქმა უნდა, სტალინსა და ძერ-
ენსკისა.¹

თი ასეთი შეუპოვრობით იცავდა პროლეტა-
რული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს —
სჭვადასხვა ეროვნებათა თანასწორფლებიანო-
ბასა და მეგობრობის იდეოლოგიას — ჭეშმარი-
ტად უდიდესი ინტერნაციონალისტი ვ. ი.
ლენინი.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტურ
პარტიას გადაწყვეტი ბრძოლა მოუხდა აგ-
რეთვე განაპირა მხარეებში გამოვლინებული
ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.
კომუნისტური პარტია შეუტრიალებელ ბრძოლას
წეწოდა როგორც ველიკორუსული, ისე ადგი-
ლობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ვინა-
იდან ნაციონალიზმისაქენ ყოველგვარი გადაბ-
რა ნიშნავს პროლეტარიატის ინტერნაციონა-
ლური პოლიტიკის ბერკეტაზიულ-ნაციონალის-
ტურ პოლიტიკასთან შეგუებას.

კომუნისტურმა პარტიამ განაღდგრა ყველა
და ყოველგვარი ჟურის ნაციონალისტები და

წმინდად დაცევა პროლეტარული ინტერნაცი-
ონალიზმის პრინციპები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია
ყოველთვის იბრძოდა ნაციონალიზმის ყოველ-
გვარი გამოვლინების წინააღმდეგ და მასებს
ზრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმი-
სა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით. სკკპ
პროგრამაში აღნიშნულია: „პარტია დაუცხ-
რომლად აღზრდის საბჭოთა ადამიანებს პრო-
ლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვე-
თებით, ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს
მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის
განმტკიცებას... სოციალისტური პატრიოტიზ-
მი და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი
ორგანულად შეიცავენ პროლეტარულ სოლი-
დარობას ყველა ქვეყნის მეშუათა კლასთან,
მშრომელბთან. პარტია კვლავც მტკიცედ
იბრძოლებს ბერკეტაზიული ნაციონალიზმის,
რასიზმისა და კოსმოპოლიტიზმის რეაქციული
იდეოლოგიის წინააღმდეგ.“¹

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 694

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
პროგრამა, თბ., 1967, გვ. 136-137.



ივანე ბერიძე

მეხსიერების საკითხისადმი მიძღვნილი საპაპვირო კონფერენციის შედეგები

(მოხსენება საქ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე)

უკვე რაც წელია რაც ნერვული სისტემის მოქმედების მეტად აქტუალურ საკითხებზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ვაგრაში საკავშირო კონფერენციებს აწყობს, რასაც ჩვენ ვაგრის საუბრებს ვუწოდებთ. წლებს იანვარში ასეთი კონფერენცია მეექვსედ იყო მოწვეული, იგი მეხსიერების საკითხს მიეძღვნა.

როგორც ყველასათვის ცნობილია, ცხოველთა და ადამიანის გონებრივი განვითარება ეფუძნება ადამიანისა და ცხოველთა ნიჟს, შეგარძნების ორგანოთა საშუალებით დაიხსომოს აღქმული გარემო. აღქმული სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისა და მოვლენების დამახსოვრებაზე დამოკიდებულია ადამიანისა და ცხოველთა უნარი ყველა ამ აღქმული ობიექტის წარმოსახვის — ხატის ანუ წარმოდგენის სახით. ინდივიდი, სუბიექტი ამ წარმოსახული ხატის მეშვეობით იმნაირადვე მოაქცევს, როგორც ამ ობიექტის უშუალო აღქმის დროს იქცეოდა.

მეხსიერების პრობლემა სისტემატური და კომპლექსური კვლევა-ძიების უშუალო საფუძველია 15-20 წლის განმავლობაში იქცა მსოფლიოს ყველა კულტურულ ქვეყანაში. მეხსიერებას შეისწავლიან ნეიროფიზიოლოგები, ნეირომორფოლოგები, ნეიროქიმიკოსები, კიბერნეტიკოსები. მეხსიერების შესასწავლად არსდება ლაბორატორიები და ინსტიტუტები.

ბიოლოგიურ მოვლენათა კვლევა-ძიების დონე იმდენად ამაღლდა, მისი ტექნიკური ბაზა იმდენად განმტკიცდა, ნეიროფიზიოლოგიის, ნეირომორფოლოგიის და ნეიროქიმიის დარგებში ჩვენი ცოდნა დღეს ისე მაღლა დგას, რომ მართო მეხსიერების მოვლენათა აღწერა და დახასიათება კი არ გახდა შესაძლებელი, არამედ შესაძლებელია აგრეთვე ჩაეწვდეთ მეხსიერების ნერვული სუბსტრატისათვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და სტრუქტურულ საფუძვლებს. მრავალი მეცნიერი ვაიტაცა ამ პრობლემამ. დღეს ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, მორფოლოგიის და კიბერნეტიკის ეურნალთა თითქმის ყველა ნომერში რამდენიმე ნაშრომი ქვეყნდება მეხსიერების შესახებ.

მაგრამ ჩვენ, ამ პრობლემის მკვლევარნი, ვერ კიდევ ვიმყოფებით კვლევა-ძიების პირველ სტადიაში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მეხსიერების მკვლევარ ენთუზიასტთა ნაშრომებში მართო მეხსიერების სხვადასხვა მოვლენათა წარმომოხის შესახებ კი არა, ამ მოვლენათა კლასიფიკაციისა და დახასიათების შესახებაც სხვადასხვა აზრია გატარებული. ერთი და იმავე მოვლენათა შესახებაც დიდი ტერმინოლოგიური სხვადასხვაობაა.

სწორედ ამიტომ ვაგრის უკანასკნელი საუბრების მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, ბოლო მოგველო აზრთა სხვადასხვაობისათვის მეხსიერების მოვლენათა კლასიფიკაციის, დახასიათების და ტერმინოლოგიის შესახებ. ამასთან

ერთად. რასაკვირველია, უნდა გამოვყვეთ ყველაზე უფრო ნაყოფიერი მიმართულება მეხსიერების კვლევა-ძიებაში, დავესახა სწორი მეთოდური მიდგომა, შევვეფასებინა თეორიული წარმოდგენები მეხსიერების მოკლე-ნათა წარმოშობის შესახებ.

ჩვენი მოხსენებები ფსიქონევრულ მეხსიერებას ეხებოდა. ასეთებია ხატისმიერი მეხსიერება, ემოციურა მეხსიერება და პირობით-რეფლექსური მეხსიერება. ყველა ეს მეხსიერების ფორმა დამახასიათებელია, როგორც ხერხემლიან ცხოველთათვის, ისე ადამიანისათვის. ადამიანს მეხსიერების კიდევ ერთი ფორმა აქვს. ლოგიკური მეტყველების მეხსიერება. მაგრამ მეხსიერების ეს ფორმა არ იყო წლევანდელი გავრის საუბრის საგანი.

გავრის კონფერენციას ჩვენ საღისეოსიოდ მთავარი დებულებები წარუდგინეთ იმ წიგნის მიხედვით, რომელიც შარშან გამოვიტოვე მეხსიერების შესახებ რუსულ ენაზე: „ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა“. ჩვენი აზრი მეხსიერების ფორმათა შესახებ დაწერილებით ამ წიგნშია მოყვნილი.

უხლა კი მოკლედ მოვახსენებთ, თუ მეხსიერების რანაირ მოკლენებს ეფუძნებთ ხატისმიერ, ემოციურ და პირობით-რეფლექსურ მეხსიერებას. ხატისმიერი მეხსიერება ზემოთ უკვე განმარტეთ. იგი გამოიხატება ადამიანის და ხერხემლიან ცხოველთა უნარით — ერთხელ აღქმული ობიექტი დაიმახსიეროს და შემდეგში ხელახლად წარმოესახოს იგი ხატის სახით, რომელიც პროცირდება გარემოს იმავე ადგილს, საიდანაც წარსატყვისი ობიექტი იყო აღქმული. თუ ეს წარმოსახული ობიექტი სასარგებლო იყო ინდივიდალსათვის, მაშინ ინდივიდი ისევ მოიქცევა, როგორც ამ ობიექტის აღქმისას მოიქცა. მაგალითად, წარმოიდგინეთ: ძალი ზის ვალიაში, მას საქმელი ჭერ შორიდან ეუჩევენთ და შერე მის თვალწინ მიემართ, რომელიმე საგნის უკან. 10-20-30 წუთის შემდეგ რომ ვალიის კარი გაუღოთ, ძალი იმ ადგილსაკენ წავა, სადაც საქმელი დევს და შექამს. თუ საქმლის ჩვენების შემდეგ ვალიის წინ შირბას დაუდგამთ, რათა ძალი საქმლის ადგილს არ ზედავს, იგი ასევე მოიქცევა. ამ შემთხვევაშიც, თუ კარს გაუღებთ, ძალი შემოვლის შირბას და პირდაპირ საქმლისკენ წავა. ხოლო თუ საქმლის ჩვენების შემდეგ კარი მოგვიანებით 1-2 საათის შემდეგ გაუღეთ. იგი გამოვა, მაგრამ საქმლისკენ არ წავა. მასსადამე, ძალს დაეიწყდა საქმლის ნაჩვენები ადგილი. ასეთ მოკლენიან დახსომებას მოკლევადიანი ხატისმიერი მეხსიერება ეწოდება.

თუ ძალი ვალიიდან რომელიმე სულ სხვა ახალ ადგილს წაეიყვანეთ და იქ საქმელი შევაქამეთ ან დაეაყნოსინეთ, ე. ი. თუ მან საქ-

მელი აღიქვა ახალ ადგილზე, როგორც დანახვით, ისე უნოსვითაც და ვეჭოვნებით, აგრეთვე სმენით და ვესტიბულურად (წინაგანით უნარის ნახვეარკალოვანი არხები და კარიბჭე), რომელიც განვლილ მანძილს აღიქვამს, მაშინ იმ ადგილს წავა მეორე დღესა და შემდეგ დღეებშიც, რასაკვირველია, თუ შვირიათ. ამას ჩვენ განვიხილავთ, როგორც გრძელვადიანი ხატოვანი მეხსიერების გამოვლინებას. გრძელვადიანი მეხსიერება ერთხელ შექმული საქმლის ადგილისადმი შეიმძღვა ძალდა რამდენიმე კვირის შემდეგაც გამოაღინოს.

ხატისმიერი მოკლე და გრძელვადიანი მეხსიერება ძალდება და სხვა ძუძუმწოვრებზე უკეთ აქვთ გამოხატული მიიმუნებს. მაგალითად, უმდაბლესი მიიმუნების (პავიანების) ხატისმიერი მოკლევადიანი დახსომება, საქმლის ადგილისა მისი ერთხელ დანახვის შემდეგ ერთი-ორი საათამდე გრძელდება, ხოლო გრძელვადიანი დახსომება საქმლის ადგილისა, სადაც ერთხელ საქმელი ჭამა, რამდენიმე თვის შემდეგაც გამოვლინდება. იგი ვაცილებით ნაკლები აქვთ ფრინველებს. მაგალითად, ქათმის ან შტრედის ხატისმიერი მოკლევადიანი დახსომება საქმლის ადგილისა, მხოლოდ დანახვის შემდეგ რამდენიმე წუთს გრძელდება. გრძელვადიანი კი ახალ ადგილზე საკენის აკენკის შემდეგ, რამდენიმე დღეს. რეპტილებსა და თევზებს მხოლოდ მოკლევადიანი მეხსიერება აქვთ და ისიც მცირე ხნით: კუ და ხელიკი საქმლის ახალ ადგილს 3-4 წუთის, თევზი კი მხოლოდ 12 წამის განმავლობაში იხსომებენ.

ისიც შევისწავლეთ, თუ ხატისმიერი მეხსიერებას სუბსტრატს თავის ტვინის რომელი ნაწილი ეკუთვნის. ჩვენ დაუადგინეთ, რომ მეხსიერების სუბსტრატს წარმოადგენს ღიდა ტვინის ჰემისფეროების ქერქის ახალი ნაწილი-ნეოკორტექსი, და რაც უფრო მეტად აქვს ცხოველს განვითარებული ახალი ქერქი, მით მეტ ხანს ენახებათ მეხსიერებაში ერთხელ აღქმული სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები.

როდესაც ეხმარობთ ფსიქოლოგიურ ტერმინებს: აღქმა, ხატი, ეს არ ნიშნავს თითქოს ჩვენ მხოლოდ სუბიექტურ განცდებს ვვალისხმობდეთ. აღქმის თუ ხატის სუბიექტური განცდის აღმოცენებას განსაზღვრული ნერვული ელემენტების აგზნება-გააქტივება უღვეს საფუძვლად. ამიტომ, როდესაც აღქმას, ხატს ეხმარობთ, იმ ნერვულ პროცესებს ვვალისხმობთ რომლებიც მათ უღვევთ საფუძვლად. არ შეუვარდებთ იმ ფსიქონერვული პროცესების განმარტებაზე და იმ ექსპერიმენტებზე, რომელთა საშუალებითაც დაუადგინეთ მათი ნერვული ბუნება. იმას კი ვიტყვით, რომ ხატისმიერი მეხსიერება უმთავრესად ღიდა ტვინის ქერქის შუბლის წინა ნაწილებზეა დამოკიდებული. ამ ნაწილების ქირურგიული წესით

დაზიანებას მესხიერების პეტისმეტა დაქვეითება მოსდევს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მესხიერების დროებით დაქვეითების მიზეზი თავის ტენიის სხვადასხვა განაოფილებათა ორმხრივი დაზიანებად არაა. მაგრამ ამ შემთხვევაში მესხიერების აღდგენა მოკლე ხანში — რამდენიმე კვირის განმავლობაში ხდება, მაშინ როდესაც შებლის წინა ნაწილის დაზიანებას მესხიერების საშუალო დაქვეითება მოსდევს.

ჩვენ ვაგრის მოსაუბრეთ ისიც მოვახსენეთ, თუ რაწილი წარმოადგენს გვაქვს მოკლე და გრძელვადიანი მესხიერების წარმოშობაზე. გავიზიარეთ უკვე ცნობილი აზრი, რომ როდესაც ქერქი მოქმედებაში მოდის რამელიმე საქმელი ობიექტის დანახვისას თუ ჭამისას, ქერქის შესატყვის მიმდებელ ფარგლებში ამოქმედდება განსაზღვრული ნერვული წრეები. ამ წრეებში ავზნება მარტო გარეგანი ობიექტის მოქმედების დროს კი არ ტრიალებს, არამედ აგრეთვე ამ მოქმედების შემდეგ რამდენიმე სეკუნდს და ზოგჯერ მეტ ხანსაც. იმის მიხედვით, თუ ობიექტმა რა ემოციური გავლენა მოახდინა. ამ ავზნების ტრიალის ე. წ. რევერბერაციის დროს ნერვულ დაბოლოებებში წარმოიშობა ერთგვარი აქტიური ნივთიერება, მედიატორად წოდებული, რომელიც ხელს უწყობს ავზნების გადაცემას ნერვული დაბოლოებებიდან უკრდში. ეს მედიატორი ავზნების რევერბერაციის დროს ნერვულ დაბოლოებებში დიდი რაოდენობით გროვდება. და რამდენიმე ათი წუთის განმავლობაში აადვილებს ავზნების გადაცემას, მანამ მედიატორის მოხიზრების გამო მისი რაოდენობა საქმარისად არ შემცირდება. აი ამ ხნის განმავლობაში საქმლის უთვის სიტუაციის რომელიმე ნაწილის ხელახლა აღქმა მთელი აღნიშნული წრეების გააქტივების ახდენს და შესატყვის ხატს წარმოშობს საქმლის ადგილმდებარეობაზე, რასაც საქმლის ადგილს ცხოველის წასვლა მოჰყვება. მოკლევადიანი მესხიერების წარმოშობის ყველა ეს დეტალი ექსპერიმენტებით არის დამტკიცებული სხვადასხვა მეცნიერის მიერ. ამიტომ, კონფერენციის მონაწილეებმა თითქმის ერთხმად გააზიარეს ეს კონცეფცია მოკლევადიანი მესხიერების წარმოშობის შესახებ.

რაც შეეხება გრძელვადიანი მესხიერების წარმოშობას, ამაზე გარკვეული ექსპერიმენტებით დამტკიცებული აზრი არც ჩვენ გამოგვაოქვამს და არც სხვა მონაწილეებს გამოუთქვამთ, მაგრამ ყველა იმ აზრისაა, რომ მას საფუძვლად უნდა ედოს ავზნებულ ასოციაციური პირამიდულ უკრდებში მოკლევადური და სუბმოლეკულური ცვლილებები. ივლინისებმა რომ ამას მოჰყვება ერთგვარი აქტიური ცილის წარმოშობა, რომელიც უნდა, მოქმედებდეს უკრდის ზედაპირულ მემბრანაზე და ახდენდეს მასში მყარ ცვლილებებს, რაც ხელს

უნდა უწყობდეს ნერვული დაბოლოებებიდან უკრდში ავზნების გადასვლას ამ აქტიური ცილის წარმოშობა უნდა წარმოედგოს ავზნების რევერბერაციის დროს საქმლის ობიექტის მიერ გამოქმედებულ ნერვულ წრეებში. ამანაირად, ვამოძინებ, რომ როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მესხიერების წარმოშობა დამოკიდებული უნდა იყოს ავზნების რევერბერაციის დროს ახალი ქერქის განსაზღვრულ ნერვულ ელემენტებში ცილვანი ნივთიერებათა მოლეკულურ ცვლილებებზე.

აქედან ცხადია: პარსონოლოგიური ფსიქიკური აპარატის შქონე ადამიანი შაბლონურ ფსიქიკურ რეაქციებს როდი გამოავლენს. მუდმივ აწონდაწონასთან და დამბლვ ორიენტაციასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური პროცესებმა ხშირად ეჯახება პიროვნების საწინააღმდეგო განწყობილებას; ტენდენციებს; სურვილებსა და სწრაფვას. ამით ადამიანის ფსიქიკურ აპარატში ექმნება კონფლიქტური განცდების გარკვეული კვანძი, რომელიც ითხოვს ლოგიკურ გადაწყვეტას და ფსიქოლოგიურ განტვირთვას. რაც უფრო რთულია სუბიექტური ან ობიექტური სიტუაცია, მით უფრო მკვეთრად, ღრმად და უფრო კონფლიქტურად არის წარმოდგენილი ანტიონომიური რეაქციები.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიონომიური რეაქციები ინტელექტუალურ გრძნობაზე ფუძნდება. ამ გრძნობით უნდა იყოს გამოხარბი, აგრეთვე, სუბიექტური განწყობის გარეშე მდგარი ობიექტური კრიტიკა, როდესაც შესაძლოა გულწრფელი სიძულვილისა და პატივისცემის ერთდროული გამოვლინება.

ანტიონომიურ, ფსიქოლოგიურ რეაქციათა პრილში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვეა-ფშაველას პოემა „აღუდა ქეთელაური“. ამ ნაწარმოებში აღწერილია ორი გვირბის — ხევსურ ალუდას და ქისტ მეცალის შეტაკების განსაკუთრებული, განცდებით აღსილი სცენა. აქ წარმოდგენილია ღრმა ტრაგიაში, ისმება საკითხი: სიკვდილი ან სიცოცხლე, მესამე გზა არ არსებობს.

გვირბული შეწყინება მთავრდება ხევსურის სრული გამარჯვებით, მაგრამ, ვაჟას თქმით, ხდება „სასწაული“:

„აღუდას თოფი არ უნდა,
 ატირდა როგორც ქალიო;
 არ აპურის იარაღებსა,
 არ ეხარბება თვალთ,
 თვად დაუღვა ხანჯარი,
 ზედ ეკრა სპილოს ძვალთ,
 გულზედ ძეგლიგი დაადვა,
 მკლავზედ ფრანგული ხმალიო,
 მარჯვენას არ სურის მეცალსა,
 იტყოდა: „ყოღვა ართო;
 ვაჟაყო ზემგან მოკლულთ,
 ღმერთთა ვაცხონოს მკვდარიო.
 მკლავზედავ გეხას მარჯვენა,
 შეწზედ ალალი ართო,
 შეწ ზელ შეწს გულზედ დამიწლეს,
 ნემსე ხარობს აუის კართო,
 კარგი გყოლია გამდელი,
 ღმერთთ გიღღგვრქელის გვარიო!“
 სივტივ გახურა ნახადი,
 ზედ გადაადვა ფარიო“.

ხევსურის უჩვეულო, პირველი შეხედვით, ასე ეთქვამთ, უცნაური და გაუპართლებელი სა-

ქციელი ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს მოითხოვს.

რა იყო ის სასწაული, რომელიც მონდა მეცალის სიკვდილის შემდგომ? სიძულვილი იცვლება აღტაცებით, სურვილი შეურაცხყოფისა — დატირების ძმური გრძნობით, ბრახი — გულწრფელი გულკეთილობით, ზიზღი — სიყვარულით, გაიკცვა — პატივისცემით, შურისძიება — კეთილშობილური პატიებით, განურჩევლობა — თვითგანწირვამდე მისული ზრუნვით, მტრობა — მტრისადმი მძვინვარე სიყვარულის გრძნობით, შორისაღმა — სიკეთით.

ასეთია ღრმა ანტიონომიური ხასიათის ფსიქოლოგიური რეაქცია, რომელსაც ალუდა ავლენს სწრაფი გადაწყველების სახით, ისე, რომ ხანგრძლივი ფიქრი და ფსიქოლოგიური „უცხინა“, არ დასჭირდება.

ღრმადი მეტოქის გვირბული წინააღმდეგობა ალუდაზე ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, რომ იგი უძევლეს ადათთა წინააღმდეგ იშვიათ დიდსულოვნებას იჩენს და მტრის გულწრფელი მეგობარი და პატივისმცემელი ხდება.

უფრო მეტიც: ალუდა არ უშინდება თემიდან ვაძვეების შესაძლებლობას და იღებს მტოციე გადაწყვეტილებას შესწიროს მსხვერპლი ყოფილ მტერს, მოუნათლავ მეცალს.

საჭიროა ვახსოვდეს, რომ აღნიშნული ანტიონომიური გადაწყვეტი შესაძლოა გამოარციელდეს მხოლოდ მაღალ პიროვნულ დონეზე.

მე მქონდა შემთხვევა მესაუბრა ერთ-ერთ ლიტერატორთან, რომელსაც ალუდას საქციელი ფსიქოლოგიურად გაუგებრად, შეუძლებლად და ავტორის არარეალურ ფანტაზიად მიაჩნდა.

აღნიშნული აზრი უეჭველად მცდარია. პიროვნულ დონეზე შესაძლოა მიმდინარეობდეს უაღრესად რთული და მოულოდნელი გადაწყვეტებები. ხსენებული თვალსაზრისით, ვაჟას შემოქმედებითი მასალა ფასდაუდებელია პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის საკვანძო პრობლემებისათვის.

დამარცხებულ მტრის შებრალების გრძნობა ინტელექტუალური ემოციაა.

ალუდა ქეთელაური აღტაცებულია მოწინააღმდეგის გვირბობით, რომელსაც გულის ნაცვლად „რკინა“ აღმოაჩნდა და მისთვის განსაკუთრებულად ძვირფასია ხმა მოველუბობის ადამიანური სიწმინდისა. იგი მედგრად (სტოიკურად) იღებს თემის გადაწყვეტილებას თავისი განდევნის შესახებ.

პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ პიროვნულ ანტიონომიურ მოქმედებათა ბრწყინვალე მაგალითია.

თემის კანონსა და ინდივიდუალურ რეაქციათა შეხლა დაკავშირებულია ღრმა ფსიქოლოგიურ პერტურბაციებთან. განცდათა ამ კალენ-

დოსკოში ძირითადად ორი მომენტი იპყრობს ყურადღებას, სახელდობრ:

1. ძველის მიმართ შესაძლოა პროტესტი, და იგი არ არის აბსოლუტურად უმწიკლო; 2. მთავალეობის ზოგად-საკაცობრიო თვალსაზრისით, მორალურად განმტკიცებული რეაქცია სასარგებლო და პერსპექტიულია.

სამშობლოს მოღალატისა და გამყიდველის ბახას და მისი ბიძაშვილის ლეთისოს დიალოგში ვაჟა ჩერდება ფსიქოლოგიურად უაღრესად საინტერესო მომენტზე, სახელდობრ: ლეთისო ერთდროულად გამოავლენს ორ სიწინაღმდეგო ტენდენციას: დაღებიისა და უარყოფითს.

მოგვეყვას ამ დიალოგის ცალკეული გამოთქმები. ლეთისო მიმართავს ბახას (დადებითი ტენდენციის-პატრიოტიზმი): „შენი ვარ და პირში იმითმ გეუბნები, უხერხული, უმსგავსი საქმეა მაგრამ ჩვენ ერთობლივ საგვარეულომ ხეალ ფხა უნდა გამოვიჩინოთ, ვგ წალი მთელს საგვარეულოსა მხედება, მთელი თემის და გვაარის ქუეყანა“¹.

ლეთისო (უარყოფითი ტენდენცია — წაქეზება შური იძიოს ვანძღველი მეტროპოლის ჩონთას წინააღმდეგ): „ვიცე როგორ მომეცევა, მშაო, შეც იხე მოვეტყევი, რა ქვანა ჩონთამ როდის დაგიძახა — შენი საცოლე მიიყვ და თუ ბიჭი ხარ, მოდი, წაიყვანეო. შენც მიდი, მიარტყი თოფი“²...

„შარს თუ გინდა, მე ჩამოვადებ. დროს შევერჩევი, მიხეხს მე მიოცემ. და როცა საქმე საქმეზე მივა, შენ შენსას ცეცად მაშინ“³...

„მაგრამ, შენ რომ ერთი დრო გქონდა კარგი და ვერ მოიხმარე, ეგ დიდი სირცხვილია შენთვის. ხელშეკონილი კი არ უნდა გაყოლიყვი თან, მანამ დრო გქონდა, ეგ ხანჭარბი, ეხლა რო გულში იმაჩყვებ, ჩონთასათვის უნდა გემარჯვა, მაშინ დაგიოცონიდი მარჯვენას“⁴.

ბახა უპასუხებს: „მე განა მიწა მიმიღებს, განა სამარე, ჩემთვის გათხრილი, პირს არ შეიკრავს, მე რო მავათი წაერი გამოყვეს თანა და ისე მოვკვდე?“⁵

ლეთისო უპასუხებს: „თუნდა სამარემაც პირი შეიკრას; სამარემდე გინ მიგატანს, ზედაც არ შემოგხედნებ, მე თითონ და სხვა უარესს ვიზამს“⁶.

საყოველთაოდ ცნობილია პოემა „გველის მკამელი“-ს დრმა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. მასში დასმულია აგრეთვე ფსიქოლოგიური ანტინომიის მნიშვნელოვანი პრობლემები, ამ ასპექტში ყურადღებას იპყრობს ბავშვებისადმი პიროვნული და მყოიდლებულების პრობლემა. პოემის გმირი მინდათა ერთის მხრივ ბავშვებისათვის მშობელთა თავგანწირვას ქადაგებს, მეორეს მხრივ, მომხ-

რვა მათ მიმართ შეყრი და მომთხრენ დამოკიდებულებსა. მისი აზრით, ბავშვები უნდა იყვნენ ქმედითი და ნებისყოფის მქონე პირობაში.

ვთა ფშაველას შემოქმედებაში სიყვარულისა და სილამაზის გრძნობები კაცის მიმართ, ურთიერთისაგან განუყოფელია, აღამიანის სიყვარული როგორც პიროვნული სპეციფიკა, არ შეიძლება არსებობდეს, თუ სილამაზისადმი სათანადო დამოკიდებულება არ არის. ამის გამო, პიროვნულ დონეზე, აღნიშნული ორი განცდა შერწყმულად არის წარმოდგენილი (ლუგარეზული სახით), როგორც უმჯლესი ემოცია.

სიყვარული და სილამაზე, თვითველი ამ გრძნობათაგანი ცალ-ცალკე ძლიერდება და მტკიცდება თანაარსებობაში.

არ შეიძლება არ დაეეთანხმოთ იას სამართლიან საყვედურს, მიმართულს აღამიანისადმი: „აღბათ ვერ აფსაებს ჩვენს სილამაზეს“¹.

ის მიამართ თავის აღტაცებას ყველაფერი გამოხატავს, რაც კი არსებობს ბუნებაში: ძველც და ახალიც, ლამაზიც და ნაკლოვანიც. მოუესმინათ თვით იას: „მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დაეატებობ ტყეს, ბალახს და იმ ვაღმიდამ გამომცქერებს გულხევისანს ყვდესა, სურნელს მივაფრჭვევ არე-მარეს, კვდლას ვუყვარვარ: აგერ იმ დამბალს ყუნუს, თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს მიცინის ზოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, — მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდან გამიცინებს, გაიდიმება საცოდავი, თუმცა უწიოდ, მაგრამ გულკეთილბა კი დიდი ვაღდფინება ზოლმე მარხედ“².

როგორც ვხედავთ, სიყვარულსა და სილამაზეს სიკეთისაკენ მივყვართ; ბუნებაში წარმოქმნება პირობები ბუნდერი დიმილისა, საყოველთაო აღტაცებისა და კმაყოფილებისა... ცხოვრება მხოვებს აზრსა და გამოართლებს.

შრომისა და აქტიური ქმედობის პრობლემებს, რომლებიც პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი შინაარსია, მთავარი ადგილი უჭირავს ვთა-ფშაველას შემოქმედებაში. პოეტის აზრით, უმჯობესია იყო ქვა ან ხე, ვიდრე უსაქმო.

შრომითს საქმიანობას მოწყვეტილი აღამიანი საზოგადოებას მოწყვეტილი იქნება, მეტად მიიმე და აუტანელ სიტუაციაში აღმოჩნდება.

უსაქმურობა მანკიერებაა აწმყოსათვის და, პირველ ყოვლისა, მომავლისათვის. მას იმედის დაკარგვა მოჰყვება. წარსულში უსაქმურობა შეიძლება დაგმო, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იქნება. ქმედობა აუცილებელია და სავალდებულოა ცხოვრების რომელიც გინდა პერიო-

1 ტომი V, „ა“, გვ. 35-36.

2 იქვე.

1 ტომი VII, „მოკეითლი“ გვ. 280-281-282.

დისათვის, მოხუცობის და ახალგაზრდისათვის.

ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში მთელი პრინციპულობით არის დახმული ის საკითხი, თუ რომელია ადამიანისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი თავისებურება — ქმედობა თუ სიტყვა. პოეტის აზრით, სწორედ პაროქნული ქმედობაა ძირითადი სპეციფიკური ნიშანთვისება, სწორედ ის უღვეს საფუძვლად ადამიანის ცხოვრებისეულ მიმართებას.

ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება ამ დებულებით არის გამსჭვალული. მდუმარე ცხედარი კი არ უნდა იყოს, არამედ — ქმედითი, მოველსინით პოეტს:

„არ მიწადა თავს ლეშად ვგრძნობდე,
უსულოს ვღებულს, ტილა;
სვავნი, ორბნი და კაქკაპნი
მათრევენენ, მკამდნენ ზიარად“ 1;

სული და გრძნობა თან უნდა ახლდეს ადამიანს მის ქმედებაში. საქმიანობა, რომელიც ისე სრულდება, რომ მასში ადამიანური სინდისი, სული და გრძნობა არ მონაწილეობს, მართოფუძი და არაპროფუქციული კი არაა, მკენც არის. ვაჟა-ფშაველას აუცილებლად მიაჩნია, რომ მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ეროვნულ რეაღერ თუ გონებრივღირებულებას ჰქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის, დღევანდელი ხალხი ცალცალკე და საერთოდ საჭირო აზრით და გონივრებით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითთულის ჩვენგანისა უნდა იყოს აზრმწერილი. დღევანდელს თვითთულის მოქმედებას უნდა იქ მივეუფდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა. თვითთულის ჩვენგანის მოქმედება, მასასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც უნდა რომში მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მიმავალი გზით არ წავიდით, სწორე გზით, რომს აცდებობ. სწორე გზა აწეყო. ვინც აწეყოს კეთილსინდისიერად ემსახურება იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის; ვინც ბეგრს ჰხნავს და სთესავს, იმას ბევრი პური მოსდის; თუნდაც მოუსაჯლობა იყო მაინც სხვაზე მეტი მოთუა.²

გენიალური პოეტის დებულება დიდებული ფორმულაა, რომელსაც საფუძვლად უღვეს შრომის, მოვალეობის და მორალის პიროვნული პრინციპები.

ხსენებული ფორმულით უნდა ხელმძღვანელობდეს, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდობა, რომელიც ისტორიულად მოვალეა იყოს ჩვენი მომავლის შემქმნელი და უზრუნველყოფელი. დიდი პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედე-

ბის ფსიქოლოგიური ანალიზი გვჩვენებს, რომ პატრიოტული საყვარელი სუბიმიოლური თავის ხალხისადმი სამსახური, სიყვითისადმი მისწრაფება, ადამიანის მიმართ სპეციფიკური ემოციები, ნათელი მომკვლხვენი სწრაფება, დიდსულოვნებით და გმირობით აღტაცება, შიშისა და სიმშდლის გრძნობის განკიცება, მიზნის განსაზღვრა, ადამიანის არსებობის მნიშვნელობა და დანიშნულება, ბუნების სილამაზისადმი ჭედის შობრა, ადამიანის მორალური სიწმინდე და მრავალი სხვა ქმედობაში უნდა ხორციელდებოდეს. ამასთან, ადამიანის აქტიური ქმედობის ფსიქოლოგიური მიმართება და ლოგიკური კონტრაილი მაღალი პიროვნულ რეგისტრების დონეზე უნდა მიმდინარეობდეს.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა პერსონოლოგიური, ქმედითი ფსიქოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელია მხატვრულ ლიტერატურაში. მსგავსად გოთოესი, ვაჟა ფშაველა აღნიშნავს, რომ ჰუმანიტატი ადამიანური სიბრძნისა და ადამიანის ქმედით ცხოვრების ცენებში, პიროვნული ფსიქოლოგიის ასპექტში, ერთი და იგივეა; ქმედობა სიბრძნეა, სიბრძნე კი — ქმედობა. ასეთი გაგებით ტენდენცია მუდმივი, აქტიური შემოქმედებითი წესისადმი დადებითი კომპლექსური განცდაა. იმგვარი ემოცია აფექტური გამოვლინებაა პიროვნულ დონეზე, ე. ი. ინტელექტუალური გრძნობაა ვუნდტის და გინტეისინის მიხედვით.

დასახული მიზნების განხორციელებისადმი სწრაფეას გოთეე ენერგიულ სწრაფეას უწოდებებს და განიხილავს, როგორც ზოგადსაკაცობრიო სულიერ თვისებას. ეს თვისება სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი სხვადასხვა პიროვნებაში. პიროვნების თავისებურების და გარემო სიტუაციის მიხედვით ენერგიული მისწრაფება ზოგჯერ აპათიამდე დაეშვება, ზოგ შემთხვევაში კი პირველივე მარცხს შეუძლია ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენერგიულ სწრაფეას შესახებ გოთეეს პრინციპი და მომავლისადმი ქმედითი სწრაფეის შესახებ ვაჟის პრინციპი უნდატი პაროტოტიპებია პიროვნების ფსიქოენერგეტული პოტენციალის შესახებ და უშუალო კავშირი აქვს პერსონოლოგიის პრობლემასთან ნორმაში და პათოლოგიაში.

ვაჟა-ფშაველა, ისე, როგორც არავენ, ეტრეფობა და ეთყვანებობდა თავის სამშობლოს, თავის კეთხებს, მის ბუნებას, მან იცოდა საქართველოს გმირული წარსული, სწამდა მისი მომავალი, გულთან ახლოს მიქონდა თავისი ხალხის ჭირ-ვარამი.

ამ წერილში მხოლოდ ზოგიერთი გზაა დასახული გენიალური ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ფსიქოლოგიური ანალიზისა. ამ მხრივ შემდგომი შემოქმედებითი ძიება საჭიროა.

1 ტომი II, „გულო, არ გატყდა“, გვ. 13.
2 ტომი IX, „კრიტიკა ბ. იმ. ვართავაჟისი“, გვ. 369.



„გრძნობა, ძვეული ჟღერადობა...“

ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების საყვარლოში მოგზაურობას იმ გზით მივყავართ, რომელიც სიღრმეში ჩაბრუნებულ სპირალს მოგვაგონებს.

პირველად მოძრაობა სპირალის ფართო წრის საზღვრებით მიემართება. ეს მოძრაობა სწრაფია, არასდროს არ უყოვნდება; არ ხდება ურადლებით ჩაყვრება საგნებისადმი, აქ მხოლოდ და მხოლოდ პირველი ხალვაა ჯერ სრულიად უცნობი მხარისა, მისგან მიღებულ პირველ, ზოგადი შთაბეჭდილება. შემდეგ გზის ახალ-ახალი ზეგულები იწყება, იწყება ჩაწვდომა ნიჟარის ფენებში, ფესვებში, შიგნით სიღრმეში, გულის იმ მთავარ „კუნთადე“, რომლის ბულისაღია ვადასცემს პოეტის შემოქმედებას ცოცხალ, დინამიკურ თრთოლვას, მხატვრულსა და ადამიანურის მთლიანობას. მოვლენათა ზედაპირული ასახვიდან იგი ვადადის ფენების აუქსარებულ და საფუძვლიან დამოუკიდებელ-შთაბეჭდილებებიდან თანდათან აღმოჩენილ და ათვისებულ შინაგან სიმდიდრეთა ანალიზზე.

შემოქმედების ასეთი გზით სელა ყველა პოეტს როდი ძალუძს. განა იშვიათია, როდესაც შთაბეჭდილებათა წრის ვადადის შემდეგ, ჩერდებიან კიდევ, გზის გაგრძელება აღარც კია საჭირო — რადგან სიღრმეში აღარაფერია. ეს განსაკუთრებით გულდასაწყვეტია იმ შემთხვევაში, როდესაც პოეტი, ერთი შეხედვით, თითქოს ხანგრძლივ მოგზაურობას გეპირდებოდა. მაგრამ, ვაი, რომ ეს მოგზაურობა აღარ შემდგარა, რადგან ის დიდმნიშვნელოვნება, რომლის იმედსაც პოეტი გვაძლევდა, საქმე საქმეზე რომ მიღდა, მხოლოდ მოზენებთილა აღმოჩნდა.

საბედნიეროდ, ჩვენ მარტო ამგვარად კი არა, სხვაგვარადაც, საწინააღმდეგო სახითაც შეიძლება მოვტყუდეთ.

ანა კალანდაძის პოეზია, პირველი გაცნობისას, ისეთით არაფრით დაგაინტერესებთ, რასაც, ჩვეულებრივ, თანამედროვე მკითხველი „დიდ“ პოეზიაზე წარმოდგენას უკავშირებს. აქ არც ფილოსოფიური ფიქრებია „არსებობის რაობაზე“, არც „მსოფლიოს მასშტაბში“ გაშლილი კონფლიქტები, არც ფორმალური ძიებისას საგანგებოდ მაგვასმული, ეფექტური სიახლე. პოეტის ხმაში სრულიად არ ისმის პეტიციური, იშვიათია პათოსური, საზეიმოდ შეაწეული ტემპრი. გრძნობათა უშუალო გამოხატვა (მართლაც, თითქოს მხოლოდ გრძნობათა, და უფრო რიგად კი უბრალო „ჩვეულებრივ“ გრძნობათა), ლირიკული მინიატურულობა (როგორც პოეტის დამახასიათებელი საყვარელი ეანტული ფორმის გამოსახულება, და როგორც აშკარა, გაბატონებული სტილის ნიშანი მისი ლექსების უმეტესობისათვის) — აი, რა გვეცემა თვალში, როდესაც ქართული პოეტის ანა კალანდაძის შემოქმედების გაცნობას ვიწყებთ. „აკვარელურობა“, „იმპრესიონისტულობა“, „აკვარელობაც“ კი, აი, სიტყვებთ, რომლებზეც პირველი შთაბეჭდილებისთანავე გაუღუვებს გონებაში მკითხველს.

ცუდია განა ეს „აკვარელურობა“? საეჭვოა, ვინმემ დაიწყო ამის მტიკება. ეს შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც თავისი ხედვის, სმენისა (და გულის) „სტრუქტურით“ არ შესწევს ძალა იგრძნოს მშვენიერება ფიქრთან პეიზაჟისა. აი, მაგალითად, ასეთისა:

თოვლი აჭარა-გურიის მთების,
ჩემულ მთათა...
მკითვ წისქვილი გუბაზოულზე
ჩემს ეზოს კართან...

აი კიდევ:
ღამაზ მინდორზე თრთის, კანკალებს
ჩრდილი ვაშლის ხის,

და ველსა ვარე ბზა მიმოდის მთვარის
 არწივი...
 გუნდთა ვარსკვლავთა ცად ამოჰყრის ქარი
 მარბიყით,
 მარბიყს გასტყორცნის და ვარსკვლავნი
 მკრთალის ციმციმით
 გზის დაუთმობენ მდებლად დაფიონს.
 ამბორს უყოფენ ღამით უხვად დაცვარულ
 სერებს
 ვარდ-ბილილანი ცვლავ ალერსის
 არამკამარენი.

გელისუფრი და ლაკონიერობა აქ ისეთია,
 ერთ იაპონურ გრაფურზეზე, სადაც ფერები ნა-
 ტრია, ნახატი კი — მტკიცე და ზუსტი:

რკინის აივანს, მუხდრო აივანს
 იშვიათად თუ ეწევა კაცი...
 სამაგიეროდ ნუშის და ცაცხვის
 აქ ფოთლოვანია ისე ზნობია...
 ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,
 ამ მარტოობის არ ეშინიათ?

ზნობად ანა კალანდაძის ლექსებში გაიღ-
 ეებს ზოლზე სახე-დეტალი, რომელიც, მთელს
 სურათს—ხილულსაც და ფსიქოლოგიურსაც—
 თათქოს ქარავს, ადუღებებს (ხეს უკაუ-
 ნებს, ხეს უღის ირგვლივ ჰრელი კოდალა“
 და სხვ.). პეიზაჟი ა. კალანდაძის ლექსებში
 „ობიექტურია“ და დამოუკიდებელი, მაგრამ
 ყოველთვის ლაკონურია და გამდიდრებული
 „ბოლომდე არ თქმულით“, ქარავმებით, რაც
 გამოსახულის უშუალო საზღვრებს სცილდება:

აქ სინჟმა, მზე და სინჟმე
 გულთა მკოდავი...
 ხეს უკაუნებს, ხეს უღის ირგვლივ
 ჰრელი კოდალა...
 და იმაღება ქვეშით ღამურა —
 სატრფი ღამთა...
 ალაზნის ველზე ნათლის სვეტივით
 დგას ალვერდი...
 და როგორც ტყუთა მოუსვენარი
 სული მშფოთავი,
 ხეს უკაუნებს, ხეს უღის ირგვლივ
 ჰრელი კოდალა...

არა მგონია, ვინმემ თქვას—ასეთი ლექსები
 არ ვარგაო. მაგრამ იმაღლება კითხვა: ცოტა ხომ
 არ არის ყოველთვის ეს?

ცოტა ხომ არ არის ასეთი იმპრესიონისტუ-
 ლობა, სინატიფე სამყაროს დეტალების ასახ-
 ვისა, ასეთი დხვეწილობა თანამედროვე პო-
 ეზისათვის, რომელიც თანამგზავი და გამო-
 მხატვრულია დღევანდელი დაძაბული სულიერი
 ცხოვრებისა? ხომ არ გვეცოტავება პოეტისა-
 თვის — ჩვენი შეგობობისა და შთამაგონებლი-
 სათვის (ღიაბ, ღიაბ, შთამაგონებლისა და
 მასწავლებლისათვის) ეს დამამშვიდებელი მე-

ლოდია, მელოდია, რომელსაც ის ასე ზნობად
 მღერის, ასეთი უნარი ბუნების თანამგზავი-
 სისა, მასთან „თანთესიერად“ შეწყობისა,
 იმისათვის, რომ მართებულად ეუბნებოდეს
 დასმულ კითხვებს, საჭიროა უფრო ღრმად ჩა-
 ვაყვით სპირალს, არ უნდა შევიზღუდოთ იმით,
 რაც თვალში გვეცემა.

ანა კალანდაძის უფრო სხვაგვარი ხასიათის
 ლექსები აქვს, ეოდრე ისინი, რომელთა სტრი-
 ქონებიც ჩვენ მოვიყვანეთ. მისთვის უფრო და-
 მახასიათებელი ლექსებია — ლირიკული მინა-
 ტურები, პეიზაჟური ჩანახატები. „ავეარელი“.
 მათი ქვეშარბიტი რაობა ერთბაშად არ ვაიგება,
 ისინი გულუბრველივით მხოლოდ გარეგნულად
 მოჩანს.

უფრო ღრმად, უფრო ყურადღებით ჩაუ-
 ვიკრდეთ პოეტის ლექსებს.

ანა კალანდაძის პეიზაჟის სამყარო ნამდვი-
 ლად რომ ბუნებით „შემოიფარგლება“, თითქოს
 მხოლოდ ბუნებით, ამავე დროს მისი მინიატურ-
 რული დეტალებით, რომლებიც, თუმცა ამო-
 ლეწილია საერთო „კონტექსტიდან“, მაგრამ
 მოახლოებული, გადიდებული მოჩანს. ჩვენ
 გრანდიოზულ ჭაჭივებს კი არ ვხედავთ კავკასი-
 ის მწვერვალებისას, არამედ მისი ბილიც, რომ
 მელსაც ისე შემოვლუბა ბუნჩნარი, რომ მის
 ირგვლივ ვერაფერს ვეღარ ამჩნევ. მხოლოდ
 ამ ბილიცს ხედავ, მხოლოდ ამ ბილიცს „გრძნობ“.
 ვრცელი და ვამილი, ფერდობებზე შეუფენი-
 ლი ტყეების მრავალფეროვანი პანორამა კი არ
 იქცევის ყურადღებას, არამედ მსხვილი პლანი
 აღიქვამ ცალკედ ხეს და, თი, მის ტოტსაც
 კი, ნათლად ხილულ ფოთლებსა და ყვავილ-
 თა ფერცლებსაც კი. აქ არც არწივებია და
 არც ჩიქები, კავკასიის აუცილებელი სიმბო-
 ლები, არამედ—ბებლები და, სასაცილოც კია
 თქმა, კიამაიები, რომლებთანაც საუბარს იწ-
 ყვებს პოეტი. დეტალი გადიდებულია, მაგრამ
 სამყარო გეჩვენებათ შევიწროებულად, არა?

თუმცა, რაზე „გვესაუბრება“ პოეტი, და რო-
 ვორ მიმდინარეობს ეს „საუბარი“?

ბუნების სამყარო, რომელიც ჩვენს წინ წარ-
 მოისახება ანა კალანდაძის ლექსებში, წარმ-
 ტაცია და... თურმე, ცუდად დაუძლია. ის დაც-
 ვის ადამიანებისგან, თავისი „ნაწილაკებისგან“
 შოელის, ამ ყველაზე უფრო გონიერ და, ამი-
 ტომაც, მოსალოდნელია, უფრო ჰუმანურ არსე-
 ბათივან. სიცოცხლისათვის ზრუნვა, მშვე-
 ნიერების, სიყვითის დაფასება—აი რას მოგვი-
 წოდებს პოეტის ლექსები. ეს მოტივი აქ მთა-
 ვიარის და — განა საჭიროებს მტკიცებას? — უაღ-
 რესად თანადროულიც.

თვალს ვერ უსწორებ მზეს, ღიმილით
 დახარე თავი,
 ქარი მზარუნველად დაგაფარებს თავზე
 ზალახებს,

შენ ბაღების თვალს არ დაგანახებს...
 თ, მხოლოდ თვითონ შეგხედავს მალაით...
 ხედავ, რამდენი სინათლეა, რამდენი შუა?
 შენ თვალების გახელის უმაღ
 მზეს შადლობით შეხედე ჩემად...
 იყავ დღევგრძელი, ლურჯთვალა იავ...

ანდა შეორე ლექსის დასაწყისი:

ხედავ, გაზაფხული ვარდის საუფლოსა
 რარივ ამშვეინებს და კრთება ასკილიც?
 ეივები აქვთ ფრთოსანთ, ვარდი უჭმობთ
 მგოსანთ.

ტრფობით აღვსილი...
 ისმის გოგო-ბიჭთა ხმა სიმღერისა, —
 ვარდებს თუ კრეფენ?
 ნიაქარს მოაქვს ფშვინვა ველისა,
 ბუღბუღნი ყვფენ...

რა თქმა უნდა, ამგვარი ლირიკული მოტი-
 ვები არ გულისხმობს „ბუნების ზღაერის“ თე-
 მას, დღეს ასე პოპულარულს პუბლიცისტიკა-
 სა და ლიტერატურაში. ეს „იები“, „ვარდები“,
 „მებლები“, ბუნების ამ უტყვ, სუსტძალივან-
 თა უველა ეს სახე, ანა კალანდაძის ლექსებში
 თავისებურად პერსონიფიციკრებულია, გაადაში-
 ანურებულია. პოეტისათვის მნიშვნელოვანია
 ასეთ ხატოვან-სტილურ პლადარამზე თქვას,
 თუ რა აუცილებელი და საჭიროა მეგობრობა
 და ურთიერთმზარდაქერა აღმამიანთა შორის,
 სიწმინდე და კეთილშობილება მათი ზრახვე-
 ბისა, გულისთქმისა და გრძნობებისა, ტაქტი
 და დახვეწილობა მათ ურთიერთდამოკიდებუ-
 ლებში. ანა კალანდაძის ლირიკა თავისებური
 გარდატეხა ჩვენი პოეზიისა, ჩვენი ლირიკა-
 ტურისა ჰუმანისტური მიმართულებისა. პოეტი
 ხშირად აშკარად არც ლაბარაკობს, მაგრამ მი-
 სი სახეების მოულოდნელ თანხვედრებში, იმ
 სახეებისა, რომლებიც თოქოის სულ სხვადა-
 სხვა, ურთიერთშეუბიძრებელ სიბრტყეზეა
 მოთავსებული, მისი ასოციაციების ემოციურ
 თავისებურებაში გამოსქვივის „ლოგიკური“
 არსი დიდი და სერიოზული, უაღრესად თანა-
 მედროვე ჰუმანისტური თემისა.

უფრადღებუა გარე სამყაროს დეტალებთანდმი.
 მასში ჩაიჭრება და მასთან „შერწყმა“ აქ სრუ-
 ლიადაც არ ნიშნავს მკერეტელობას. და ჰუმან-
 ისტური მზრუნველობა პოეტისა „იებისადმი“
 ძალიან შორს არის გულაწუვებისა და იდი-
 ლოურობისაგან.

ერთი მაგალითი.
 ბერმა პოეტმა უმღერა იმ უდიდეს სიხარულს,
 ფაშინზე საპოთა ხალხის გამარჯვებას რომ მო-
 ვტიკრია. მრავალი მშვეინერი ლექსი დაიწერა
 იმ კეთილისყოფელ სიხუმრზე, რომელიც მო-
 ჰყვა გარდასული ომის უკანასკნელ ზღუს.
 სიხუმრზე შექმნილმა ლექსებმა ბოროტების
 შემდეგ დასვენებაც ასახა, მშვიდობიან მიწაზე

მშვიდობიანი შრომის წყურვილიც. ანა კალან-
 დაძე შესანიშნავ ლექსში „კარში გამოვ, ჰია-
 ჰია მარია“ არაფერს გვეუბნება მკერეტის
 ცნობილი სიტყვების. — «Жизнь и труд —
 счастья нам ладный счет» — მსგავსს. მეტსაც
 ვიტყვი: ის არაფერს გვეუბნება ომისშემდგომ
 სიწყნარზე, მაგრამ ამ ვანცდას ის თავისებუ-
 რად ვადმოგვცემს, აღგვიბეჭდავს ვაშლის ხის
 მშვეინერ ყვავილობას, რაზედაც უკვე ავიღათ
 თვალი აღამიანებს, რომელნიც უკვე მშვიდო-
 ბიან აღამიანებად ქცეულან. ვადმოგვცემს უფ-
 აქიზეს ბეგრებს ზეთა და ჰიამაიას ფრთების
 შრიალისას, უცებ რომ გაიგონეს აღამიანებმა,
 ვისი სმენაც კარგა ხანი მხოლოდ ომის ვრია-
 ლით იყო დაჭმული.

მზე იცინის, ვარდფერტლობის დარია
 და შენს ჭობთან გუგუნია თელების,
 კარში გამო, ჰია-ჰია მარია,
 არას ვაგნებ, მხოლოდ მოგვეფერები.
 მზე იცინის, ვარდფერტლობის დარია
 და შენს ჭობთან გუგუნია თელების.

უნისლოა, ზეცას ვაუდარია,
 ყაყაო ჩანს ცის და მიწის სიცილში,
 ვაეიმარჯვეთ, ჰია-ჰია მარია,
 ბაბაროსი დაუღწევეს ციციშვილს.
 უნისლოა, ზეცას ვაუდარია,
 ყაყაო ჩანს ცის და მიწის სიცილში.

შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
 ჩვენი მოსრა, აბა, როგორ ინდომეს?
 ვაეიმარჯვეთ, ჰია-ჰია მარია,
 ეუგალობით სამშობლოს მინდორ-ველს...
 შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
 ჩვენი მოსრა, ან კო, როგორ ინდომეს?

რა შორს არის ეს ლექსი, გარეგნულად ასე
 „კამერული“, მკერეტელობისა და ნამდვი-
 ლი კამერტლობისაგან, რომელიც ასე სთიშავს
 აღამიანს დროის დიდი და მრისხანე მოვლე-
 ნებისაგან ეს ნამდვილი აპოთეოზია, მშვიდო-
 ბისმოყვარე და შრომასწეველი აღამიანებისა,
 ეს ჩვენი ხალხის გამარჯვების აპოთეოზია, იმ-
 ათზე გამარჯვებისა, ვისაც სიკვდილი მოქპინ-
 დათ შემოქმედებითი შრომისა და მშვეინერე-
 ბისათვის, ოღონდ, აპოთეოზი, ვანსაყურებუ-
 ლი თავისი ფორმით, თითქოს საყურების ხმით
 კი არა, ფლერტის ან სალაშქრის ნარნახი ხმით
 ნამდგრი. სიხარული თავიდანვე ვადმოიღვარა:
 — „ჩვენთან მუდამ გათენების დარია, ჩვენა
 ხლის ქვეშ მტერს არ ვაეთენების“. — და შე-
 მდეგ ნელი დინებით მშვიდ, შინაგანად ვაციის-
 კროვნებულ მგლოდიად იქცა:

ზღვად დარხეულ მინდორს ვაუხარია,
 ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია.
 დინჯად მისდევს კვალში ძველი გუთანა,

ვერ წაიღებს ზორბალს სულთაშუთავი.
ვრცელ მინდვრებს ტრაქტორები

ფარავენ...
ბალ-პოსტენებში თოხნიან და ბარავენ.
ზღვად დარჩეულ მინდორს გაუხარია,
ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ზარია.

გრძობათა პრინციპები კომპლექსში, რომ-
ლითაც ანა კალანდაძე მკითხველთა სამსჯავ-
როს წინაშე გამოდის, არის შინაგანად გაღაბ-
ლართული, განსაკუთრებული ყურადღების ღირ-
სი ორი მოტივი. ისინი მიეკუთვნება იმ „უხ-
ილად“, მაგრამ ლირიკულ პოეზიაში აუცილებ-
ლად არსებულ პერსონაჟს, რომელმაც ლიტერ-
ატურათმცოდნეობაში ლირიკული გვირის სა-
ხელწოდება მიიღო. ეს თვით პოეტი გახლავთ,
მისი სული, მაგრამ სულის უბრალო ნაძვრწი
და ფორტოგრაფიული ანარქული კა არა, ეს სწო-
რედ მხატვრული (მხატვრულად გარდაქმნილი)
სახეა მისი, ადამიანური ტიპი, ტიპი პიროვ-
ნებისა.

ანა კალანდაძის შემოქმედებაში ეს ადამი-
ანია, ქალია, უღარესად დაბეჭვილი, განსაკუთ-
რებულად ვაჟკაციური სულიერი ორგანიზაციის
შემონე. მისი ლირიკის გვირი ყურადღებას, გუ-
ლისხმობს, ნახ ალერსს საქართვებს და ის
ღრისია ამისა, რადგან, თავის მხრივ, მას შეუ-
ძლია და სურს სხვა ადამიანები ზრუნვითაც
დასაბრუნოს, გულისხმობს, ალერსითაც.
იი სწორედ აქ ჩნდება არსი ანა კალანდაძისა-
თვის ასე დაშახსიათებული თემისა — ადამიანის
ბუნების სილამაზესთან „შერწყმის“ თემისა.
ავტორისათვის ეს თემა იმდენად თავისთავად
კი არ არის შინაშეწველი, რომელმაც იმ
რომ ამ გზით მიიტანება მკითხველამდე მეო-
რე, უფრო სერიოზული თემა — თემა კეთილ და
გულსხმობერ ადამიანეთთან, თანამოაზრეებთან
ადამიანის მტკიცე კავშირისა. მერედა, რამდენ-
ად ფართო და მდიდარია ამ ადამიანების წრე-
განში შედის გულხეობი, მინდვრებს რომ ხნა-
ვად, მიყნობი, რომელსაც კეთილი სურვილით,
მთელი სიუხებით მიუძღვნეს გული, პატარა ეიო-
ლაც, ანბანზე რომ დაუხრია თავი, პოეტიც,
დაღუპული ბრძოლის ველზე; იღლიუს ფუნ-
ქცი — ადამიანი-ნიმუში, ადამიანი-გვირისი, უში-
შარი კომუნისტი „ყვავილით ხელში“.

ადამიანის, ქალის სულის ამ ორი „იპოსტა-
სის“ ერთიანობა — მიღობის ბედნიერება მეო-
ბრისაგან, ზრუნვა მასზე და სიხარული, დაე-
მაროს მას — მსჯელობას ყველაფერ საუკეთესოს,
რაც კი დაუწერია პოეტს, — მისი ლირიკის მო-
შიბლობის მთავარ ეთიკურ „საიდუმლოებას“
წარმოადგენს.

ახლა კი დავებრუნდები მისი ლირიკული
მინიატურების ფორმის „საიდუმლოებას“.

თვით ეს ეპიკური, თავისი არსით, სტატიკუ-
რად გვეჩვენება. აქ ფიქსირებულია წამი, წარ-

მოისახება მხოლოდ მომენტური ჩანახატო-ბე-
რეაქტორი სურათისა, თუ სულის მოძრაობისა, ან-
და ორივეს ერთად (რასაც ანა კალანდაძეს ლექ-
სებში უფრო ხშირად ვხვდებით) — უფრო სწორედ
კამათი არაფერია: მინიატურა სწორედ იმი-
ტომ არის მინიატურა, რომ ფართო გასაქანს
არ აძლევს გრძობის განვითარებას, მის ღი-
ავეტიკურ გადასვლებსა და ნაირფერობას.
ბეჭედი, ბეჭედი, რის ვაჟეთებაც მის ძალე-
მს, ეს გახლავთ — როგორც ჩანს, მოვლენათა,
მდგომარეობათა ურთიერთდაპირისპირება —
ლირიკულად გაადამიანურებული ბუნების სა-
მყაროსა და ადამიანურ განცდათა სამყაროსთან
დაკავშირებული. ფსიქოლოგიური პარალელის-
მის პრინციპი, გამოყვლებიც ყველა ხალხის
ფოლკლორის ასიათასობით ლირიკულ სიმღე-
რამა დამუშავებული. იგი ასიათასჯერ ყო-
ფილა გამოყვებული კლასიკურ პოეზიაშიც
და ყოველთვის ბრწყინვალე შემოქმედებით
გამოაჩვენებს ადრევედა (მოვიგონოთ თუნდაც
„მთის მწვერვალები“ გოეთე-ქორმონტოვისა);
გასული საუკუნის დიდი ქართული ლი-
რიკოს-რომანტიკოსის, ანა კალანდაძის საყ-
ვარელი პოეტის, გრიგოლ ორბელიანის შესა-
ნიშნავი „გამოთხოვება“ იწყება სტრიქონებით,
რომლებიც რელიეფურად გამოხატავს ამ პრინ-
ციპს:

ეთა ცის ნაში დილითა პრწყინვალეს
ახლად შლილ ვარზზედ,
მარგალიტ-კრემლნი, ცრემლთა მსდევს
ნიშნად კმუნვისა შენს დაწოზე...

და ეს ლექსიც — მთელი „ლირიკული რომანი“
— შევეთხად ვიზუალურებს, რომ გრძობათა მო-
ძრაობის გადმოსაცემად პოეტმა უნდა უარ-
ყოს მისი შემოქმედი პარალელიზმი.

ანა კალანდაძეს აქვს „ტრადიციული“, „ფო-
ლკლორული“ ტიპზე აგებული ლირიკული კომ-
პოზიციები და აქ აჩვენებულგვრდ ოსტატო-
ბას ადრევეს (მაგალითად, ლექსები — „ჩემი მთა-
ნოლია“, „მოდის გაზაფხული“, „ეიწრო ბილი-
კებს ბილიკი ჩასდევს...“, „ბეთანის გაზაფხუ-
ლსასხელებული ლექსებიდან, ბოლო ლექსი, სა-
ერთოდ, მთლად ქართული ფოლკლორის სა-
ხეობით მოტივებზეა აგებული. აქ დროულია
თქმა იმისა, რომ ანა კალანდაძე, განათლებით
ფოლოლოგი, კარგად იცნობს მას). მაგრამ შინც
პოეტის მხატვრული უნარი, ძირითადად პარა-
ლელურსახოვანი მწკრივების მოძებნა და მათი
განმტკიცება როდია, ის თამამად, სწორედ
თანამედროვე პოეზიისათვის დამახასიათებ-
ლად, უფრო „თავისუფლად“ ექცევა პოეზიის
ლოგიკის, არღვევს ამ „მწკრივებს“ და აუღლებს
მათს „ლოგიკურ“ კავშირებს.

პოეტის ლექსებში იასამანი უბრალოდ იასა-
მნის ყვავილები, იასამნის ტოტები კი არ არ-

ის, ცის ლაევარდია, გაქანება და „განსახიერება“ გულის რაღაც ბედნიერი სიღმემლოსი, რომელიც შეუპყრია ნეტარებას და სიშმაგეს, ერთსა და იმავე დროს: სპეტაკსა და ვნებიანს:

შეხედე, ცაა ძალიან ლურჯი,
ძალიან ლურჯი, დაუსაბამო...

ცას შერევია თეთრი ღრუბელი,
ცამ ხეაშიადი რატომ დაძალოს?
ჩამოფრინდები შენს ლურჯ რტოებზე,
ჩამოფრინდები, ისამანო!
და მე ვუმღერებ შენ წერილ ყვავილებს,
ო, მე ვიმღერებ, ვიმღერებ მხოლოდ
ისე უსაზღვროდ მიწადა სიმღერა,
როგორც ამ ლურჯ ცას არა აქვს ბოლო...
და თუ მე ხშირად გავყვები ღრუბლებს,
გარდისფერ ღრუბლებს—ქარივით მალეებს,
ნუ შეშინდები ვით მოეშორდები,
სად გავაქცევი შენს ლამაზ თვალებს?
შეხედე, ცაა ძალიან ლურჯი,
ძალიან ლურჯი, დაუსაბამო...
ცას შერევია თეთრი ღრუბელი,
ცა... ხეაშიადი რატომ დაძალოს?
ჩამოფრინდები შენს ლურჯ რტოებზე,
ჩამოფრინდები, ისამანო!..

ამ თითქოსდა შეხუთულ ინტონაციებში, ამ ენებიან განმეორებებში, მოვლოდნელ, თითქმის ამოღწეობრავ „ნახტომებში“, ლირიული გამოთქმის ერთი სიბრტყიდან მეორეში, მესამეში, მეოთხეში გადასვლისას აშკარად გამოსკვივის გრანობათა ისეთი გაძლიერება, რომელიც მისწევ-მოსწევს მინიატურის ჩარჩოებს, ქმნის ლექსის განსაკუთრებულ დაძაბულობას. „ზედმეტი“ სიტყვების დაუხმარებლად ამდიდრებს მის აზრს, მის შინაარსს.

წერილის დასაწყისში ანა კალანდაძის ლექსებს ჩვენ ფერწერას ვადარებდით. ლექსები, რომლებიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, შეიძლება მუსიკას შევადაროთ. ისინი მრავალმნიანი აკორდებივით მოზღვავედებიან ხოლმე, მძლავრნი და ხმაშეწყობილნი — ოღონდ, განსაკუთრებულად, არა აშკარად გამოხატული — ხმაშეწყობით, ისეთით, რომელიც აერთიანებს თამამ დისონანსებს და გამოირიცხავს ჩვეულებრივ ელერალობას.

ანა კალანდაძის ლირიკის მუსიკა შეიძლება ნათელი, მაქორული იყოს (როგორც ჩვენ, აი, ახლა დაერწმუნდით), მაგრამ შეიძლება მინორით აღსავსე იყოს და სევდიანად, დრამატულად ელერდეს!

ისამანი სველ კიბებთან
რაზე ფიქრობდა?
მისი გამრცეილი რტო, უყვავილო,
ქარს არ მიჰქონდა...

გულდახტრული მისი რტოები
თავს ძიბს იხრადნენ...
შეყვარებულნი ოდეს ქარები
მუხლს არ იყრიდნენ...
უკვე ზიზღი და სიცივე კრთოდა
მათი თვალებით...
როგორ გულგრილად, ო, რა გულგრილად
ქრადნენ ქარები...

და კვლავ ჩვენს წინაშე აკორდული წყობა, სიბრალული „იასამნისადმი“, რომელმაც უკვე დაკარგა თავისი „უყვავილები“, საუვედური ქარების მიმართ, ცივი და უგულო რომ გამხდარან, შეგვნება უკან დაბრუნების შეუძლებლობისა და მოკრძალებული იმედი. უველადური ერთად არის გაერთიანებული, ერთბაშად ნამღერია.

არა თემის მრავალგვარობა (არა იმდენად ეს მრავალგვარობა), არამედ გრანობათა მრავალგვარობა, ამ გრანობათა მხატვრული წვდომის სიღრმე, მათი გამოხატვის შეუზოვარი გულახდილობა, აი, რით გვაღვლეებს, აი, რით გვაჯადოებს ანა კალანდაძის შემოქმედება. დაბოლოს, რისი თქმაც მე მიწოდდა, ეს ანა კალანდაძის პოეზიის ეროვნული თავისებურება გახლავთ. სპირალის ამ ხვეულის რამდენადმე დაწვრილებით გაშლის საშუალება ჩვენ აქ არ გვეძლევა, მაგრამ მისი გვერდის ავლაც არ იქნებოდა სწორი.

ქართულ პოეზიას—კლასიკურსაც და თანამედროვესაც — რუსი მკითხველი, თამამად შეიძლება ამის მტკიცება, კარგად იცნობს, რადგან იგი ითარგმნებოდა და ითარგმნება სიტყვის საუკეთესო ოსტატების მიერ. იგი რუსულად ბუნებრივად, ბლიერად, ემოციურად ელერს, ხუხტია ორიგინალის მიმართ. მაშ ასე, რუსი მკითხველი, რომელიც ოდნავ მიიღე იცნობს ქართულ პოეზიას, მაშინვე იგრანობს, რომ ანა კალანდაძე სწორედ ქართული პოეტია.

ანა კალანდაძეს აქვს ლექსები საქართველოს უძველეს წარსულზე, რაც ფრად გავრცელებულია ქართველი პოეტების შემოქმედებაში, ლექსები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ქართველების მეტი, ვერავინ ვერ დაწერდა. თუმცა ეს ლექსები არც ძალიან დამახასიათებელია და არც ძალიან ემარჩევა პოეტს. მთვან მომდინარეობს ა. კალანდაძისათვის უცხო, რიტორიკული, მხოლოდ გონების თვალთ დანახული ლექსები (ვგულისმობ ისეთ ლექსებს, მაგალითად, როგორც არის „და მზეც რვალისა“).

თუ თემაციის სფეროდან სტილისტიკის სფეროში გადავალთ, ძნელი არ იქნება იმის გავება, რომ თუ არა ქართველი, თუ არა კავკასიელი პოეტი, ვფიქრობ, სხვა ვერ მოგვეცმდა ამის მსგავს სახეს:

იღმა ბერძენმა ღამისმთევარი
თოვლი ნაბღობა...
დილით მისდევდა სერზე მწვეარი
ნაკვლევს ნადირთა...

როდესაც ვლაპარაკობ ანა კალანდაძის ლექსების „ქართულბაზე“, მე უფრო სხვას ვგულისხმობ, ვიდრე გარეგნული თემა ანდა ყოფის სპეციფიკური დეტალის გამოსახვა. ლაპარაკია პოეტური სიტყვისაკენ განსაკუთრებულ დროულად. გაძლიერებულად ტემპერამენტიაზე (მაშინაც კი, როდესაც გარეგნულად ის მშვილი და დაფიქრებულია), შინაგანად აძღვნიებულზე, „რომანტიკულზე“. ადრე მოყვანილი ციტატები, ვიშვადენებ, ამის თქმის საფუძველს ვაძლევს. საქმის არსი ის კი არ არის, თუ ვინდ ძალზე ვაკვირითაც რომ შევეხოთ მას — რომ აქ ჩვენს წინაშე განსაკუთრებული ესთეტიკური მეთოდია (იქნება პოსტრომანტიკური), და არც ის, რომ ქართული ეროვნული ფსიქიკისათვის თანდაყოლილია რაღაც აუცილებელი ზეტემპერამენტულობა და რომანტიკულობა. საქმის არსი, ვფიქრობ, ის არის, რომ ქართულ პოეზიაზე, ქართულ ლიტერატურაზე, მთლიანად, ახდენდა და ახლაც ახდენს უდიდეს გავლენას დიდ ეროვნულ რომანტიკოს პოეტთა გამოცდილება (რომანტიკოსებისა პოეტური სტილის სფეროში, თემაც არა მუდამ რომანტიკოსებისა თაიდანთი ესთეტიკური მეთოდით). ბევრი აქვს წინარომანტიკული დავით გურამიშვილს. უდიდესი გავლენა მოახდინეს შემდგომ ქართულ პოეტებზე რომანტიკოსებმა — ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა და უფრო მეტად ნიკოლოზ ბარათაშვილმა. რომანტიკული ეპოსის სახეებს ვხვდებით ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, რომანტიკული ლირიკისას კი — აკაკი წერეთლის ნაწარმოებებში. დაბოლოს, ჩვენს დროში, რომანტიკული სტილის კალაპოტში ვითარდება შემოქმედება ფრთაშესხმული გალაკტიონ ტაბიძისა, ომპიანი ლეონიძისა, მგზნებარე და დახვეწილი ტიციან ტაბიძისა...

ყოველივე ეს სტილის სფეროში ქმნიდა კოორდინატს იმ სისტემას, რომელსაც ქართული თანამედროვე პოეტები, უფრო ახალი თაობების აღმამანები, იღებდნენ და იღებენ როგორც რაღაც თაისთავად ნავულისსხევე რაიმეს.

თი, ანა კალანდაძე... ის მთლად ამ სისტემაშია მოქცეული. მის ლექსებში უპირავე შინაგანი ვადაახილია, კავშირები, თანხედრები ქართულ რომანტიკულ პოეზიასთან, სახეობრივ-სტილისტიკური „თანახვედრები“. მაგ-

რამ ეს გასაგები ვახდება მხოლოდ იმისთვის, ვინც ეს პოეზია თუ ძირფეხევიანად არ იცის, ყოველშემთხვევაში, ზარმუნდ მაინც არ ეცილება მას.

აღნიშნული გარემოება სრულიად არ ამცირებს ტალანტის ორიგინალობას: ასე მოსდის ვველა სერიოზულ პოეტს, ეროვნული ხელოვნების წარმომადგენელს, და მერე, ჩვენ ზომ გამოხმურებაზე ვლაპარაკობთ და არა გადამღერებაზე, მხატვრული აზროვნების ნათესაობასა და არა მიბაძვზე.

ანა კალანდაძის საუკარელი ფერი — ლურჯი, უნებურად მოაგონებს ადამიანს ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, ვოლკოვს ტაბიძესაც და იოსებ ნონეშვილსაც. სახეობითი სიმშობილის კონტრასტები ანა კალანდაძის შემოქმედებაში ზოგადრომანტიკული თვისება კი არ არის, არამედ სწორედ ქართული რომანტიკული მუსის თვისებაა. თუ ვინდ ეს სტრიქონები:

დაღმცივდრები იმ მთების წვერსა...
მსურს, სამუდამოდ ვუყურო მზესა...
შენ... მოაკითხე ზმირად ამ კვდესა
და მოპიტანე... ფოთოლი ვერხვის...

ბუნებრივობით მოგვაგონებს ვაჟა-ფშაველას „მთასა და ბარს“, მხოლოდ მოგვაგონებს, რადგან აზრის მიმართულება სულ სხვადასხვანაირია, სტილისტიკა კი მაინც ერთი, უფრო სწორად რომ ვთქვათ — ორი მონათესავე სისტემიდან მომდინარე.

და ვისაც კი წაუკობავს ვაჟა-ფშაველას გამოჩენილი „ველისმქაველი“, განა არ იგრძნობს, თუ საიდანა აქვს ანა კალანდაძეს შესანიშნავი ლექსი „ლოცულობს გველი“?

პოეტი თაისთავს სტილის უწოდებს. ესეც ძალზე ეროვნული სახეა, ხალხური და ძალიან ზმირი ქართულ პოეზიაში.

აკაკი წერეთლის ერთ-ერთ პროგრამულ ლექსში, მავალითად, „სალამური“ ეწოდება მულოდები და ჰანგები სხვადასხვანაირია, რის საფუძველიც ღრო და შემოქმედებითი ინდივიდუალობაა, „საკრავი“ — ერთი...

დღევანდელი ქართული პოეზია დიდი, მრავალშინი ორესტრია. ანა კალანდაძის საღამური მასში მკაფიოდ გაისმის, მისი ლექსი „რა ვარ? სტირი ვარ?...“ ცოტას კი არ გვეუბნება გულშიამწვდომად და წმინდად საქართველოზეც, დღევანდელ დღეზეც და ავტორის სულზეც...

„შთამბერე, ქარო,
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!“





პრიციპული აზროვნების მაღალი დონისათვის

თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი სწორად დაკავებული ყოველდღიური ლიტერატურული ფაქტების მარტივი, ზეარევე გაცნობით მკითხველისათვის, პრიმიტიული, ზედპირული, ხოლო არა იშვიათად თვითმინური ესთეტიკური ანალიზით. კრიტიკა სწორ შემთხვევაში განზე რჩება ლიტერატურულ პროცესში წამოკრილი მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული პრობლემებისადმი. საერთოდ, მას აქვია პრობლემატობა, მსოფლმხედველობრივი მიზანწრაფვა და ინტელექტუალური სიღრმე, თვალსაზრისის მასშტაბურობა. კრიტიკა მტრწილად უგულებელყოფს მოვლენის, საგნის და, მით უფრო, ლიტერატურული პროცესის მრავალმხრივობას, მრავალწახანაოვნობას, იგი უმეტესად ხედავს ერთი კუთხით, ერთი მიმართულებით, ერთ სიზრტეში. როცა კრიტიკა ეხება კონკრეტულ ლიტერატურულ ფაქტს, მოვლენას, იგი სწორად ჭერდება ფაქტის თუ მოვლენის მიწარსის გადმოცემას, ვერ ღრმავდება მოვლენის არსში, ვერ იხენს საგანში წვდომის უნარს.

კრიტიკამ უნდა იკისროს ძირითადად პასუხისმგებლობა ზეენს ლიტერატურულ ცხოვრებაში შექმნილი მდგომარეობისათვის, როცა მცირე კრიტიკული შენიშვნაც კი ზოგჯერ მძაფრ, არაგანსად რეაქციას იწვევს. სამწუხაროდ, დღეს „გაკრიტიკება“ მწერლობაში უმაღურ საქმედ იქცა, ხოლო შექმნას, მოწონებას, აღიარებას სწორად მიაშებლობად თელიან. ამის მიზეზი ისიც არის, რომ როგორც ვაკრიტიკება, ასევე შექმნა უმეტესად ხდება ზეალეებით, დაუსაბუთებლად, დაუმტკიცებლად, კონკრეტული ლიტერატურული მოვლენის ღრმა და ყოველმხრივი იდეურ-

მხატვრული ანალიზის გარეშე, იმის გაუთვალისწინებლად, თუ ობიექტურად რა მასშტაბის, რა მხატვრული ღირებულების ლიტერატურულ ფაქტთან გვაქვს საქმე. თუ ამბობ, რომ კარგია, ისიც უნდა თქვა, რატომ არის კარგი; თუ ამბობ, რომ ცუდია, უნდა დაამტკიცო, რატომ არის ცუდი.

ვლადიმერ ზამზახიძის წერილი „დაბრუნებულ ღიმილზე“, რომელშიც განხილულია რევან ინანიშვილის ოთხი მოთხრობა, შესრულებულია კრიტიკოსისათვის დამახასიათებელი კარგი გამოვლენით, კომპოზიციისა და ქართული ენის ბუნების ნატიფი შეგრძნობით. წერილის სტილი სადა და ნათელია. მაგრამ მიუხედავად ამ კარგი თვისებებისა, წერილი ვერ ახდენს ძლიერ შთაბეჭდილებას, და უპირველესად იმიტომ, რომ მას აქვია სიღრმე, აქვია მასშტაბურობა. კონკრეტული მხატვრული ფაქტი გამოყენებული არ არის რაიმე მომწიფებული იდეურ-ესთეტიკური პრობლემის ირგვლივ საუბრისათვის. კრიტიკოსი წარმოგვიდგება არა ანალიტიკოსის, არამედ ილუსტრატორის როლში. მისთვის გადაუღაბებია კონკრეტული მხატვრული მოვლენის საზღვრები. წერილი გვაგონებს ლამაზ ჩაჩიში ჩასმულ სურათს, რომელიც არ გვაღვივებს, არ გვაფიქრებს.

კრიტიკოსს გულწრფელად სერს დაგვაჯაროს რომ რევან ინანიშვილის „ოთხივე მოთხრობა არა მარტო ლამაზად შესრულებული პროზაული ნაწარმოებებია, არამედ დამინური სიყვარულის კეშმირიტი საგლობელია“; რომ „დიდა რ. ინანიშვილის მოთხრობის ოპტიმისტური სული“; რომ „ავტორის ნამდვილი მწერლის ფერადებით აქვს დახატული ოჯახის სადღესასწაულო მზადება“; რომ „როდესაც რევან ინანიშვილის ამ მო-

თხრობას ვითხოვობ, გული სიხარულით გვესება“ და ა. შ. და მაინც ძნელია კრიტიკოსს დაუტყრო, ძნელია საკუთარ თავში აღძრა მწერლის მიმართ კრიტიკოსისებური განზობა და ფიქრი, რადგან კრიტიკოსი არ გვახედებს მწერლის შემოქმედებითს ბუნებაში, არ ანალიზებს და არ გვიჩვენებს მის თავისებურებებს, მკითხველისათვის ნათესა არ ხდის ლიტერატურული ფაქტის იდეურ-შინაარსობრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ სახეს.

ლიტერატურული კრიტიკა გვერს უვლის არა მხოლოდ ლიტერატურული პროცესების ღრმად კვლევას, არა მხოლოდ თავს არიდებს მტკივნეული პრობლემების გაშუქება-გადაჭრას, არა მარტო ვერ ახერხებს კონკრეტული ლიტერატურული მოვლენების არსში წვდომას და ანალიზს, ამასთანავე კრიტიკის ვიწრო დიაპაზონი, მისი ინტელექტუალური სიუსტემ ვლანდება მოქალაქეობრივი ნერვის ერთგვარი მოღუნებით, ცხოვრების მოვლენებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულებით, საზოგადოებრივი ყოფისადმი ნაკლები დანტერესულებით. ფიქრით, არ ვადავობარბებთ თუ ვიტყვი, რომ ჩვენი კრიტიკა ამ მხრივ ერთგვარად დამორდა კიდევ რუსი რევოლუციონერი დემოკრატებისა და ქართველი სამოციანელების მოქალაქეობრივი პათოსით შთაგონებული, მებრძოლი კრიტიკის მდიდარ ტრადიციას.

ხშირად საუკულებოდ ენობილია, რომ ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ღვაწლი თავის დროისა და შთამომავლობის წინაშე განისაზღვრა დიდი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით, საზოგადოების აწმყოსა და მომავლისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძობით, თავის ერის ტკივილებში და იდეალებში ღრმად ჩაწვდომით. ხშირად ვიცით, რომ ილია ტყეშელაშვილის და თერგდალეულთა მთელი თაობის ლიტერატურულ აზროვნებას ასაზრდოებდა, ძალას და ენერჯიას მატებდა, ფრთებს ასამადა დაუცხრომელი ზრუნვა ერის ბედისათვის, ერის ქირავარბის გაზარება, ერის ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე დგომა.

ბესარიონ ბელინსკისათვის ლიტერატურული მისალი საშუალება იყო აზრების გამოსათქმელო, ცხოვრების შუაგულში შეჭრისათვის. მის კრიტიკა ასულდგმულდება, კრიტიკა იყო მისი ცხოვრების აზრი და სიხარული და არა იმიტომ, რომ კრიტიკა ყოფილყო კრიტიკისათვის, ყოფილყო მხოლოდ ლიტერატურისათვის, არამედ მას კრიტიკა სჭირდებოდა ცხოვრების ვარდასაქმნელად, კრიტიკული აზრი მის ხელში მძლავრი იარაღი იყო საზოგადოებრივი ყოფის მანიკერებათა აღმოსაფხვრელად. ბელინსკი აღარ იქნებოდა დიდი ბობოქარი ბელინსკი, მას რომ მხატვრული

მოვლენების არსში არ დენახა ხალხის ცხოვრების შინაარსი, ლიტერატურული პროცესების წიაღში არ ამოეცნო საზოგადოებრივი ყოფის ტკივილები და ამოცნენი. ბელინსკი აღარ იქნებოდა ბელინსკი, რომ მას დიდი კრიტიკული აზრი არ ჩაეყენებინა რუსი ერის აწმყოსა და მომავლის სამსახურში.

ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ჩვენს დროში საკუთარ აღარ იყოს მწერლის აქტიური ჩარევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მწერლობის ცხოველი მონაწილეობა ხალხის დღევანდელ და ხვალისდელ საზრუნავში. პირიქით: არცერთი თაობის მწერლობისათვის დროს, ებოქმას, ცხოვრებას არ წაუყენებია უფრო დიდი მოთხოვნები, ვიდრე ჩვენი დღევანდელი დღე ამ მოთხოვნებს უყენებს ჩვენი მწერლობის. საზოგადოების აწმყოსა და მომავლისათვის, ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის არასოდეს არ დაკისრებია მწერლობას ის პასუხისმგებლობა, რაც ამჟამად ეკისრება. მხატვრული შემოქმედებითი აზრი და, კერძოდ, კრიტიკული აზრი, მოწოდებულია მხარში უდგეს ხალხს თანამედროვეობის დიდი ამოცანებში გადასატრელო, ხვალისდელი დღის შესაქმნელად. ვინ, თუ არა მწერლობა, უნდა იყოს ჩამშული მძიმე ბრძოლაში აღამიანის სული-სათვის.

ჩვენს თანამედროვე რთულ სამყაროში ახალი ძალით დიტიერთა და დაიძაბა აღამიანის სული. ვაფართოვდა ინტერესების სფერო. გაიზარდა მოთხოვნები. აღამიანი დღეს ჩამშულია მთელი პლანეტის მაფისცემაში, ჩვენი თანამედროვე ვარემოსილია ცხოვრებით, სადაც დაჩქარებულად იქმნება ახალი მხატვრული და სულიერი ფასეულობანი, ხდება ძვირის ვადაფაქება, სადაც ვაწმყებრთვლევ წარმოშობა ახალი მოვლენები და პროცესები, სადაც ყოფის არსებით თვისებად იქცა დიდი მრავალფეროვნება და სხვისხვაობა. დღევანდელი აღამიანი ვერ მარტებს მიღებული შთაბეჭდილების ვაწვდას, ინფორმაციის ვაზარებას, რომ ჩნდებიან ახალი შთაბეჭდილებანი.

და ამ რთულ სამყაროში ვინ უნდა იყოს აღამიანის შემწვე, აღამიანის თანამესაგრე და მეგობარი, თუ არა ხელოვნება, თუ არა მწერლობა, თუ არა დიდი და გულითადი, თუ არა ფართო, აღამიანზე ზრუნვით შთაგონებული, მოქალაქეობრივი პათოსით ვაგღწეოლი, მებრძოლი, შემოქმედებითი აზრი. დიდ პუმანურობას, ვარდასაქმნელ სულსა და ძალას მოკლებულ მწერლობას, კერძოდ, ლიტერატურულ კრიტიკას, არასოდეს არ მოუბოვებია ხალხის აღიარება და სიყვარული. კრიტიკული აზრი, რომელიც წიგნის მწკარებს არ ვასცილებია, წიგნის თაროზევე ჩნება.

კონკრეტული მხატვრული მისალის კრიტი-

ველი ანალიზის საფუძველზე თანამედროვე საზოგადოების სოციალურ არსში წყდომას, ახალგაზრდა თაობის ცხოვრების გზის ახსნას, მისი სულიერი ფორმირების პროცესებში გარკვევას, დღევანდელი სინამდვილის ზოგიერთი მახინჯი მოვლენის ფესვების მიკვლევას ესწრაფვის აკადემიკოსი ბაქრაძე წერილში „ქორის თეზისი“. კრიტიკოსს ამ განზრახვის კარგ საფუძველს აძლევს არჩილ სულავერდის იგივე სახელწოდების რომანი, მასში დაყენებული ცხოვრებისეული პრობლემატიკით, სინამდვილის სოციალური სურათების შექმნის მიწრაფებით.

აკადემიკოს ბაქრაძეს უნარი აქვს მასალას დაეფუძლოს. იგი წერილში დეტალურად შეისწავლის ნაწარმოების ორგანიზმს, ყველაფერს დანიწევრებს, გამოაცალკევებს და თვალწინ დაიწყობს. ხელისგულზე მოითქვამს. მაგრამ შემდეგ კრიტიკოსს უჭირს ამ დეტალების სარკვეში ამოკითხოს ცხოვრების მოვლენების არსი, პერსონაჟების ქცევის ლოგიკა, მხატვრული სახე-ხასიათების სოციალური შინაარსი და მორალურ-ეთიკური დანიშნულება. კრიტიკოსს აფიქრებს რომანის კოლოზები და სიტუაციები, მაგრამ იგი ვერ ახერხებს ცხადყოფს თუ რამდენად არიან ეს კოლოზები და სიტუაციები სინამდვილისეული, ვერ ახერხებს გამოაშკაროს მათი წარმოშობი მიზეზები, და სავედლერი შეწერისაღმდეგ, რომ რომანში არ არის ნიკო კორინთელის მსგავსი ადამიანების წარმოშობი სინამდვილის ანალიზი; რომ მოვლენათა მასაზრდოვებელი ფეხები არ არის საშვებობაზე გამოტანილი; რომ სათქმელის ბოლომდე არ თქმა ქვეტექსტების „თეორიით“ არ გამართლებათ. — სამართლანი იქნება კრიტიკოსმა საკუთარ თავსაც გაუწაფილოს.

აკადემიკოს ბაქრაძის, კარგი განზრახვა რომ კრიტიკული აზრისათვის ჩაედგას სოციალური სული, მისთვის მიენიჭებინა მოქალაქეობრივი შინაარსი და ამ გზით გაეფართოებინა აზრის მასშტაბი და დამაზონი, განუხორციელებელი დარჩა კრიტიკოსი საბოლოოდ მაინც მხატვრული მასალის ტყვეობაში აღმოჩნდა. მიკითხველს მან ვერ მისცა ის, რაც შეეძლო დაეცო. ვერც კრიტიკოსმა შესძლო თანამედროვე ცხოვრების რთულ მოვლენებში ჩაღრმავება, მათი გამოკვლევა და ახსნა; პერსონაჟების ქცევის, მოქმედებას ვერ უძოვან საზოგადოებრივი მიზეზები, და ამიტომ მისი კრიტიკა ვერ აშლდა დიდი, ფართო მოქალაქეობრივი აზრით შთაგონებული კრიტიკის დონემდე, კრიტიკამ ვერ შეიძინა ფართო, გრძელხანგრძლივობის შინაარსი და მეტროპოლი სული. იგი საბოლოოდ გულგრილი დარჩა საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში, სოციალური სარბილზე წარმოშობილი პრობ-

ლემატიკისაღმდეგ და ვიწრო ჩარჩოებით შემოიფარგლა.

მრავალი წლის მანძილზე უწყვეტ შემოქმედებით გვეხატონა ერთხელე გამოქვეყნებული წიგნებით, აზრი ერთგვარად დაიშტამა, არტახეზში მოექცა. ჩამოყალიბდა „აზრი-სქემა“, „აზრი-ეტალონი“. სამწუხაროდ, ამ წლების ინერცია ზოგიერთ დღესაც იჩენს ხოლმე თავს, და იმ ახალ კითხვებს, რომლებიც უოველდროს წამოიჭრება განვითარების პროცესში, წინსვლა და ზრდის კვალდაკვალ ხშირად ჩვენ ეუბასუხებთ ძველი სქემებით, ახალი პრობლემების გადაჭრაში ხშირად ისევ ძველი შტამები იჩენი იარაღი.

კრიტიკას, როგორც მხატვრული ლიტერატურის ყველა სხვა ელემენტის, მოეთხოვება სრულყოფილი, დახვეწილი ფორმა. კრიტიკა ვერ შეასრულებს თავის დიდ მისიას, თუ კრიტიკული აზრი მკითხველამდე მიტანილი არ იქნა დიდი ხელისუფლებით. კრიტიკულ აზრს ისევე სჭირდება მაღალი არტისტიზმი, როგორც საუბროდ ეს სჭირდება ყოველ ქვეყნარს შემოქმედებით აზრს. კრიტიკოსის მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს სიტყვის ოსტატობის დაუფლება.

და თუ ამ კანონიერი მოთხოვნების პოზიციიდან განვიხილავთ ჩვენს თანამედროვე კრიტიკას, ბევრ ნაყლს და ხარვეზს აღმოვჩენთ. კრიტიკული შემოქმედება ხშირად მოკლებულია აზრის სინათლასა და სიკვანძს, სტილურ გამჭვირვალებას, სისადავეს, ენობრივ დახვეწილობასა და სილამეს, სიტყვის ხატოვნებას, სიმდიდრეს. ბევრ კრიტიკულ ნაშრომში არ იგრძნობა ზრუნვა კომპოზიციისათვის, ნაწარმოების რიტმულ-ინტონაციური აღნაგობისათვის. ხშირად კრიტიკული აზრი მშრალი და უსიციცლოა, მოკლებულია ემოციურობას, შთამბეჭდავ ძალას. იშვიათი ჩაღვია თეორიული უზუსტობანი და შეცდომები, მსჯელობის არათანმიმდევრობა და ელოგიკობა, აზრის გაურკვეველობა, ენობრივი ლასუსობა.

მეტად მნიშვნელოვან საკითხს — თანამედროვე ქართულ მწერლობაში პრობლემატიკის საკითხს — ეხება გურამ კანკავა წერილში „პრობლემა უწინარეს უოელისა“. კრიტიკოსი ამ დიდი ლიტერატურული თემის გაშუქებას ცდილობს გურამ კანკავის მხატვრული პრობლემატიკის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და სანტიკრესო მოსაზრებებს გამოთქვამს. მაგრამ წერილში იმდენი არა ზუსტი აზრი, იმდენი ალოგიკურობა, იმდენი დაუხვეწიანი წინადადება და უადგილოდ ნახშირი სიტყვაა, რომ უნებურად გულს გწყდება; გული გწყდება, რომ ამ ხარვეზებში იყარება, ამ ნაკლოვანებებით იზარდილება ის კარგი და

საერთოდებო, რაც წერილს უდაოდ გაიჩინა. გურამ კანკავა წერს:

„კენის ცოდვა — ძმის მკვლელობა — წარმოადგენს ნაწარმოების (ლაპარაკია გურამ გეგეშვიძის რომანზე „ცოდვილი“, გ. გ.) მთავარი დრამატული კოლიზია, და მისი მხატვრული ვახანა, მთელი სიღრმით მისი ჩვენება იტყვის კიდევ რომანის ეთიკურ-ფსიქოლოგიური თუ მხატვრულ-ფილოსოფიური მოტივების ძირითად მხარეს“.

საკითხავია: დრამატული კოლიზიის ჩვენება როგორ იტყვს რომანის ეთიკურ-ფსიქოლოგიური თუ მხატვრულ-ფილოსოფიური მოტივების ძირითად მხარეს, ან რა ნიშნავს რომანის ეთიკურ-ფსიქოლოგიური თუ მხატვრულ-ფილოსოფიური მოტივების ძირითადი მხარე?

ჩავეყვით ქვეით: „ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გავიწივლებდა ერთი რამ, რითაც საერთოდ ვამორჩნევა გ. გეგეშვიძის ნაწარმოებები და ვამსჯევთ რბილად რომანი „ცოდვილი“. მათში პირველ პლანზე დგას ან წინ წამოწულია გონებაქვერტიო, ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ნაწილი“. — წერს კრიტიკოსი, და პეშმარტად მწელია მხედვ, მაინც რა არის მთავარი გურამ გეგეშვიძის ნაწარმოებებში, მათში რა დგას პირველ პლანზე ან რა არის წინ წამოწული, გონებაქვერტიო, ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ნაწილი?

წერილში ეკითხულობთ: „მიუხედავად ფსიქოლოგიური ძაღვის ერთგვარი სიმდიდრის თუ სიღრმისა, მაინც გ. გეგეშვიძის მოთბრობაში უფელზე თვალმისაცემი თუ გამაზვიანებელი მხარე — ეს ეთიკისია. ეთიკური საკითხები მისი მწერალ-მოქალაქობრივი შთავონების არსებობით მხარეა... კრიტიკოსი რატომ უპირისპირებს ერთმანეთს „ფსიქოლოგიური ანალიზს“ და „ეთიკისმს“? „ფსიქოლოგიური ანალიზი“ ხომ შემოქმედებითი ხერხია, ხოლო წინააღმდეგობაში — გამოხატულია შენარსი, იდეა, ამიტომ ხერხია და იდეის ეს დაპირისპირება ულოგიკოა, თეორიულად არ არის სწორი.“

მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხისად-მია მიძღვნილი აგრეთვე ახალგაზრდა კრიტიკოსის აკაკი ვასაძის წერილი „ტრადიციულობა და ნოვაციულობა“. კრიტიკოსის პრინციპში სწორად ესმის ამ დიდი ლიტერატურული პრობლემის არსი, მაგრამ წერილში შესამჩნევია წინააღმდეგობრიობა, გაპარულია უგემონო წინადადებები და პრიმიტიული აზრები. ზოგჯერ კრიტიკოსი მიმართავს უსაფუძვლო გაზვიანებას, ნაძალადეოდ ფილოსოფოსობს და შეიკომებს უშვებს. კრიტიკოსი წერს:

„ყოველი თაობის მწერლები შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფის 7. „მნათობი“ № 5.

მწერლებს განეკუთვნებიან ისინი, რომლებიც მთელი თავიანთი შემოქმედების მანძილზე ავითარებენ წერის ტექნიკას; მეორე ჯგუფის მწერლების შემოქმედებას მხატვრულია, თუ არ განვითარების იმიტაცია. მესამე ჯგუფს კი მიეკუთვნებიან მწერლები, რომლებიც იგონებენ წერის ახალ ტექნიკას...“

სულ ცოტა, პრიმიტიული კლასიფიკაციაა. შემდეგ: „სიმონ ჩიქოვანის მსგავსად ჩვენში და საზღვარგარეთაც არა ერთი ფურტურისტი პოეტი არღვევდა ფურტურისმის ზღუდეებს, უნებურად მათში იღიძობდა ხოლმე ტრადიციის ძალა. სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ საწინდარდ ზოგიერთი ფურტურისტი პოეტის შემოქმედებაში განსალი, რეალისტური ელემენტებს ამოკვეთებისა“.

მხოლოდ ტრადიციის ძალა? ქართული ფურტურისმის დაძლევაში გადაწყვეტი როლი შეასრულა სოციალისტურმა სინამდვილემ, ხალხის ცხოვრების აზვირთებამ, რომლის პოეტური გაზარების საკურობამ ქართული ფურტურისტი იმედს სოციალისტური რეალიზმის გზას დადგომოდნ.“

„...დრო და მხოლოდ დრო არის ყველაფრის განმსაზღვრელი და ქეშმარიტი ნოვაციურობა უმეტეს შემთხვევაში საუკუნეთა შემდეგ ვლინდება“. — წერს კრიტიკოსი. მაგრამ რატომ ვახვიალებთ? ვინა ჩვენს შორის არ დადიოდნენ ვალაკიონ ტაბიძე, გიორგი ლუონიძე, სიმონ ჩიქოვანი... ვინა ჩვენი თანამედროვენი არ არიან კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პოლიკარპე კავაბაძე...“ ყველაფერი იცვლება, ყველაფერი წინ მიდის, მაგრამ ერთი რამ მაინც მუდმივია — თავად ადამიანის ბუნება. ყოველ საუკუნეში ადამიანები იმით ვემსგავსებით ერთმანეთს, რომ თითქმის ერთნირად შორსა ერთ ქეშმარიტებისაგან“. — აცხადებს აკაკი ვასაძე, და მგონი არ გადაჯავრბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს, სულ ცოტა, მდარე ფილოსოფიაა.

მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზისადმი მისწრაფებით ხასიათდება ფილომე ბერიძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. კრიტიკოსი ცდილობს ჩივავხედოს ლიტერატურული პროცესების თუ ცალკეული ლიტერატურული ფაქტის შინაგან ბუნებაში, გამოკვლავს შემოქმედებითი მოვლენის მხატვრულ-ესთეტიკური სახე, გამომსახველობის საშეალებათა თვისებებრებანი და ხშირად სასურველ შედეგს აღწევს. მაგრამ ზოგჯერ აეტრორი, ვარდა იმისა, რომ ცალმხრობობას იჩენს და არსებითად მხოლოდ მხატვრული ანალიზით ამსოფილდება, ამსთანავე, ანალიზის დროს „ზედმეტ მონდომებას“. ერთგვარ „გადაჭარბებას“ ამტკიცებს. მას სურს თქვას აბლებურად და ორიგინალურად, თქვას, რაც შეიძ-

ლება, ღრმად და პროფესიულად და ეს მისა-
საღმებელია. მხოლოდ ეს უზომო მისწრაფე-
ბა „სიღრმისადაში“, ეს გახვიადებული ხელოვნ-
ური პროფესიონალიზმი, ეს ზედმეტი „ეს-
თეტიკური კირკიტა“ არა იშვიათად თვით-
მიზნურ ხასიათს იღებს და „გაართლებული
ანალიზის“, შეუსაბამობათა და ბუნდოვანების
სათავე ხდება.

ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ვერ-
ძოდ, ფილიპე ბერიძის წერილში „ლირიკულ-
ი თრთოლვის ეკო“, რომელიც მიძღვნილია
ოთარ ჭელიძის პოემისადმი „ჩემი მაგნიტური
ერე“. კრიტიკოსი წერს: „სუბიექტურ-ემო-
ციური აპოლოგინის, ლირიკული გზების დო-
მინანტობის მხრივ ოთარ ჭელიძემ ერთგვარი
კორექტივიც კი შეიტანა პოეტური ეპოსის
ტრადიციულ ხასიათში. მან მონახა, თუ შეიძ-
ლება ითქვას, მოხდენილი საყრდენი, პოეტურ-
ი წერტილი, რომელშიც ერთ მთლიან
მხატვრულ ფენომენად აქცია ვარჯიანი და
შინაგანი და ეპიკურ სამყაროში ფართო სა-
მოქმედო ასპარეზი შეუქმნა პირად პოეტურ
„მე“-ს, ლირიკული ხატვისა და წვდომის თა-
ვისებულ ფენს“.

აქ საქმეს ვერ შეეღობა კრიტიკოსის ერთ-
გვარი მიზნობრივობა: თუ შეიძლება ითქვასო,
ახე თქმა მკითხველის მოწონებას და მხარდა-
ჭერას ვერ დაამსახურებს, რადგან ძნელია
ჩაწვდომ ნათქვამის შინაარსში, ძნელია გზა
გაიკვლიო ამ „ესთეტიკურ ლაბირინთში“. მაინც,
რა მოხდენილი საყრდენი, პოეტური
წერტილი მოუნახავს ოთარ ჭელიძეს, რო-
მელშიც ერთ მთლიან მხატვრულ ფენომენად
აქცია ვარჯიანი და შინაგანი? რა „ვარჯიანი“
და რა „შინაგანი“? რით შეუქმნა სამოქმედო
ასპარეზი ეპიკურ სამყაროში პირად პოეტურ
„მე“-ს, ლირიკული ხატვისა და წვდომის
თავისებულ ფენს? ან პოეტს ეს რა თავისებუ-
ლი ფენი გამოუმჯღავნებია ლირიკული ხატვისა
და წვდომის? როგორ გაეფიქროთ ყოველივე ეს,
როგორ გაეგრძევეთ კრიტიკოსის მართლაც
ამ „ესთეტიკურ“ ფინიანობაში?

...ავტორის სულერ-ინტელექტუალურ შე-
საძლებლობათა ერთობლივი მოქმედება, —
წერს ჭვევით კრიტიკოსი, — პოემის ყოველ
ეპიზოდს იდეურ-ემოციური ცენტრისკენ გა-
მიზნავს, დეტალებს შორის იქმნება თანმიმ-
დევრული აზრობრივ-ემოციური კონტაქტი და
ახე იკვეთება იდეისა და განწყობილების
ცენტრი, ლირიკული გმირის მოქალაქეობრივი
და პოეტურ-ესთეტიკური მისია“. როგორ გავ-
ვივითავთ ავტორის სულერ-ინტელექტუალურ
შესაძლებლობათა ერთობლივი მოქმედება? ან
ეს მოქმედება როგორ გამოიხატავს პოემის ყო-
ველ ეპიზოდს იდეურ-ემოციური ცენტრისა-
კენ? ან რას ნიშნავს „იდეურ-ემოციური

ცენტრი“, „იდეისა და განწყობილების
ცენტრი“?

შემდეგ... პოეტის ლირიკულ განმნობა ერ-
თი მხრივ ასოციაციებში მოქარაობს, ვითარდებ-
ბა და იშლება, მეორე მხრივ კი მკაცრი ლო-
კალიზაციით ხასიათდება. იკვდება ასოცი-
აციების გამაერთიანებელი ღერძი, რომელიც
ცხადყოფს ნაწარმოების მხატვრულ არსს,
ავტორის იდეურ-ესთეტიკურ პოზიციას. ასო-
ციაციები ერთდებთან ერთ წერტილში, კონკ-
რეტდება განწყობილებისა და იდეის ხასიათი
და შეუქი ეფინება ავტორის მხატვრულ ჩანა-
ფიქრს“. და კიდევ ერთი ადგილი მომდევნო
აბზაციდან: „... საგანთა და მოვლენათა ერთ-
მანეთზე გადატანის მხატვრული პრინციპი
მაშინაა ეფექტური, როცა მსახვრელი და
საზღვრული ერთსა და იმავე დროს კიდევ
შორდება ერთმანეთს და კიდევ უახლოვდება.
ამ პროცესს პოეტი ქვეყნობიერად აწესრი-
გებს. პოეტური ასოციაციების სიზუსტე,
სიცხადე და უშუალობა მელანდრება ორმხრივ
ასპექტში: ობიექტთან შესაბამისობასა და
ერთმანეთთან ორგანულ კავშირში (ლოკა-
ლიზაცია, მხატვრული ცენტრისაკენ ვა-
მიზნება)“.

კიდევ შეიძლებოდა ამონაწერების მოტანა,
მეგრამ ვფიქრობთ, შედარებით მცირე მოცუ-
ლობის წერილისათვის, ესეც საქმარისია. და
მივინც და ვუწოდოთ ყოველივე ამას, მხატვ-
რულ-ესთეტიკური ანალიზი? „ესთეტიკური
წვდომა“ თუ „ესთეტიკური ფენი“? ძნელია
მიხვდე, როგორ მოძრაობს პოეტის ლირიკულ-
ი განმნობა ასოციაციებში, როგორ იკვდება
ასოციაციების გამაერთიანებელი ღერძი და
როგორ ცხადყოფს ეს ღერძი ნაწარმოების
მხატვრულ არსს, ავტორის იდეურ-ესთეტიკურ
პოზიციას. ან ეს რა ახალ მხატვრულ პრინ-
ციპს „ჩაწვდომია“ კრიტიკოსი — საგანთა და
მოვლენათა ერთმანეთზე გადატანის მხატვ-
რულ პრინციპს, რომელიც თურმე, მაშინაა
ეფექტური, როცა მსახვრელი და საზღვ-
რული ერთსა და იმავე დროს კიდევ შორდებ-
ბა ერთმანეთს და კიდევ უახლოვდება. გვა-
პატობს კრიტიკოსმა, მეგრამ ეს პრინციპები?
უფრო ლიტერატურული კომპიობაა. მართ-
ლაც, რაღაც ქვეყნობიერებაა საჭირო, რომ
გაგრძეც რის თქმა სურს კრიტიკოსს. ვანა, რა-
ფასი აქვს კრიტიკოსის ასეთ „მომლომებას“,
მის სურვილს — თქვას ღრმად და ახლებუ-
რად, მის მისწრაფებას — „ღდივი პროფესიო-
ნალიზმისადმი“? პროფესიონალიზმი ხომ
უპირველესად ნიშნავს ქვეშაობის, ნამდვილს
და გულწრფელს. ვანა ცხადი არ არის, რომ
კრიტიკა, რომელიც მხოლოდ კრიტიკოსს შე-
იძლება ესმოდეს; რომ მხატვრულ-ესთეტიკურ
ი ანალიზი, რომელიც მკითხველისაკენ
„წვდომის“ განსაკუთრებულ უნარს მოი-

თხოვს, — მოკლებულია სერიოზულ აზრს, ღირსებას, ზემოქმედების ძალას.

ლიტერატურულ-კრიტიკული სიტატიების კრებულში, რომელიც რუსულ ენაზე გამოსცა „ლიტერატურა და ხელოვნება“, კრიტიკოსი ვლადიმერ ჩიხტეი ეხება ქართული საბჭოთაო ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შემოქმედების. კრიტიკოსის მხედველობას არეშა ვალუტიონ ტაბიძის, ვიოტაგო ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, ვიოტაგო ქუჩიშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ალიო მიტცხულავას, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და ქართული პოეტური სიტყვის სხვა გამორჩენილი ოსტატების ნაწარმოებები; აგრეთვე მიხეილ ჩხავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელიას პროზაული ქმნილებები. მასალა, რომელსაც ხელს ჰკიდებს ვლადიმერ ჩიხტეი, უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავლის მთქმელია, იგი ყოველ საბაბს იძლევა დიდი ლიტერატურული საუბრისათვის; ღრმა, ცხოველი და შთაბეჭედავი კრიტიკული აზრის განვითარებისათვის, ჩაფიქრებისა და კამათისათვის. მაგრამ კრიტიკოსი ძირითადად სჭერდება ცალკეული მწერლის შემოქმედების თუ კონკრეტული ნაწარმოების იდეურ-მინაარსობრივ ინტერპრეტაციას; წიგნი ხასიათდება ერთგვარი ქრესტომათიურობით; იგი დაეხმარება რუს მკითხველს უახლესი ქართული ლიტერატურის ვაცნობაში, მაგრამ თითქმის არაფერს არ ამბობს ახალს, საკამათოს; მასში კეთილსინდისიერად არის მოთხრობილი ლიტერატურული მოვლენების შესახებ, მაგრამ თითქმის არაფერია სადღა, პრობლემატიკა, ჩამოფიქრებელი და გზის გამკაფივი; უშემატესად გადმოგვიტანს ტრადიციულ აზრს ამათვიმ ლიტერატურული ფაქტის ირგვლივ, მაგრამ არ ისწრაფებს გააღრმავოს, გააფართოოს, განახლოს ეს ტრადიციული აზრი.

კუმშართი ლიტერატურული კრიტიკა ვერ დასჭრდება ლიტერატურული ცხოვრების ქრესტომათიულ ცოდნას. საქმარისი არ არის სწორად გააგო და განმარტო მწერალი, ლიტერატურული ფაქტი (თუმცა ხშირად ეს ჯერ კიდევ მისაღწევია). რაგორც რომანისტიკისათვის ცხოვრების მასალა საშუალებაა გამომხატოს თავისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, გამოთქვას თავისი პოზიცია, გამოამყლანოს თავისი „მე“, ასევე კრიტიკოსისათვის — ლიტერატურული მასალა არის საშუალება თქვას თავისი სათქმელი, ცხადყოს საკუთარი მიდგომა, გადმოგვიშალოს საკუთარი ხედვა, თუ აზრის და აზაფერს არ ეღიკვები; თუ არაფერს არ ეტრძევი და არაფერს არ ამკოდრები; თუ ვერ გრძნობ და გაზედულად არ აყენებ შტკივანულ, სპირობროტო, გადაუწყ-

ყვებულ საიკთებებს; თუ არ გავჩინია საკუთარი პოზიცია, საკუთარი საწყარო, საკუთარი პოზიციონტი — შენი კრიტიკული აზროვნებული იქნება შთაბეჭედავი ძალის, ზემოქმედების უნარს, აღშრდელ, გარდამქმნელ თვისებას, ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს; იგი ვერ შესძრავს ადამიანის გულს, ვერ დაძბავს ვერ გააცხოველებს ფიქრსა და ფანტაზიას, კრიტიკოსი არ არის არც ინფორმაციონი და არც კომენტატორი, არც გულცივი ეამთაღმწერელი, კრიტიკოსი მწერალი — შემოქმედია, რომელიც ფოტოგრაფირებას კი არ ახდენს, კი არ აღწერს, ცნობას კი არ გავწვდის, არამედ ქმნის, იბრძვის, ქადაგებს...

კრიტიკოსს, როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს, აქვს თავისი საწყარო, თავისი სათქმელი. იგი ლიტერატურული ფაქტის, მოვლენის, თუ პროცესის მონა კი არ არის, არამედ ამ ფაქტებს და მოვლენებს საკუთარი კუთხით დაგვიანახვებს, თავის თვალთ გვახედებს ლიტერატურულ პროცესებში და თვით ქმნის მოვლენებს; არა მხოლოდ მონაწილეობს პროცესში, არამედ შეთავრობს მათ. რა უმნიშვნელო იქნებოდა კრიტიკის როლი, იგი მხოლოდ ილუსტრირებას თუ რეგისტრირებას რომ ახდენდეს. ბევრად იოლი იქნებოდა კრიტიკოსის დანიშნულება, იგი მხოლოდ სხვათა ნაფიქრისა და ნაზრვევის, სხვათა განცდის განქიქებას თუ ფიქსაციას რომ ახდენდეს. ჭეშმარიტი კრიტიკოსი ისეთივე შემოქმედებითი მოვლენაა, როგორც პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი. მას აქვს თვითმყოფი ხედვა, თვითმყოფი შემოქმედებითი აზროვნება, თვითმყოფი ხელწერა.

ამ თვითმყოფობით, თავისთავადობით, შემოქმედებითი პათოსით ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურულ ცხოვრებაში გერონტი ქიქოძის, სიმონ ჩიქოვანის, ლავროსი კალანდაძის, ბესარიონ ელენის, აყაი გაჩეჩელიას, ვიოტაგო ნატროშვილის, ვიოტაგო მარგველაშვილის და სხვა შესანიშნავი ქართული ლიტერატურების კრიტიკულ აზროვნებას. თვითული მთავანს აქვს არა მხოლოდ დიდი ერუდიცია, არა მხოლოდ დიდი ლიტერატურული ცოდნა; თვითიულს შეუძლია არა მხოლოდ ქრესტომათიულად წარმოვიდგინოს, არა მხოლოდ განქიქოს თუ აღწესოს ლიტერატურული ფაქტი, მოვლენა თუ პროცესი, არამედ თვითული ღრმად აზროვნებს, თვითიული ღრმად განიცდის, თვითიული ქმნის, თვითიულს აქვს საკუთარი შემოქმედებითი საწყარო, ხედვის საკუთარი აზრ, საკუთარი ხელწერა; თვითიული არის არა ილუსტრატორი, არა შედვიონე, არამედ მზარზონე-შემოქმედი, მხატვარი-მოქალაქე, მხატვარი-მეგობროლი...

თანამედროვე კრიტიკული აზრის სწორად

არასაკმაო პორიზონტი, ლიტერატურულ პროცესებზე, მთელ ჩვენს ცხოვრებაზე მისი სუსტი ზეგავლენა, კრიტიკის ოსტატობის, მხატვრულობის, არაიშვიათად, დაბალი დონე, ფორმის სიმუიფე და ერთფეროვნება, მკითხველისათვის აზრის მიწოდების საშუალებათა ნაკლები ეფექტურობა, თეორიული შეცდომები, ბუნდოვანება, ენობრივი ლაპსუსები და სიტყვის სიღარიბე მნიშვნელოვნად იმიოაც არის გამოწვეული, რომ ჩვენში თითქმის არ არის კრიტიკის კრიტიკა. ლიტერატურული კრიტიკა ფაქტიურად მიშვეებულია თვითდინებაზე, დარჩენილია შეფასების გარეშე. იშ-

ვიათად ხდება კრიტიკული პროდუქტის განსჯა-განხილვა. კრიტიკოსების წიგნებზე, ცალკეულ წერილებზე ძალიან ცოტაა წიგნებში და ისიც ზერულედ, მხოლოდ მრეკალტობის ერთგვარი მოხდის მიზნით.

თანამედროვე ლიტერატურული ნაზრვეის ღრმა, საფუძვლიანი გაანალიზება და განზოგადება ფადაუდებელ სამსახურს გაუწევს კრიტიკული აზროვნების დაწინაურებას, გაღრმავებას, მის აყვანას ეპოქის მოთხოვნების დონეზე, რისთვისაც დაუღალავი ზრუნვა ყოველ ლიტერატორს ხალხის აღიარებას, დაფასებას და სიყვარულს მოუპოვებს.



...დაე, სისპარჩოთ ანათებლს

მეცამეტე წელია, რაც ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ციცქარა“, რომელიც ომამდე არსებული „ჩვენი თაობის“ პირდაპირი და ლირსული შემკვიდრეა, ფართო პოპულარობით სარგებლობს როგორც ახალგაზრდობაში, ისე საერთოდ ჩვენი ინტელიგენციის, ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო წრეში. უშუალოდ ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ეს ჟურნალი ახლობელი და საყვარელი გახდა ყველა იმათთვის, ვისაც უყვარს აღმართის სულიერი ფორმირების ისეთი მძლავრი საშუალება, როგორცაა მხატვრული ლიტერატურა, კერძოდ, ჩვენი მდიდარი და სახელოვანი ტრადიციების მქონე ქართული მხატვრული ლიტერატურა.

ჟურნალისადმი მკითხველთა ამ დიდ ინტერესს განაპირობებს, პირველ რიგში, მისი თემატიკური მრავალფეროვნება, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გაბედული დასმა და ცდა მათი მართებული გადაწყვეტისა, სისტემატური ზრუნვა პოეტური, სამწერლო და კრიტიკული ახალ-ახალი სიძვედე ძალევის გამოჩენისა და მათი ზრდა-განვითარებისათვის, მხატვრული ნაწარმოებების თუ სხვა ხასიათის ნაშრომების იდეურ-ესთეტიკური და მეცნიერულ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. 1969 წლის „ციცქარის“ 12-ე ნომერში მეტნაკლები სიუხადითა და სიმხველით არის აღბეჭდილი მისთვის დამახასიათებელი ეს ზოგადი ნიშნები.

მიუხედავად იმისა, რომ განვილი წელი იყო დიდიწინაწინაწინა სიუხადით თარიღების აღნიშვნის წელი, — მხედველობაში გვაქვს ყველასათვის ცნობილი ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150, სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 და ლენინური კომკავშირის 50 წლისთავების აღნიშვნა, რომელთა წინაშე ჟურნალს თა-

ვისი ხარკი უნდა მოეხადა და მოიხადა კიდევ, რასაც არ შეიძლება თავისებური გავლენა არ მოეხდინა მის აწყობილ საჩუქარად შემოქმედებით რიტმზე. — ჟურნალს მაინც შენარჩუნებული ჰქონდა თავისი მკვეთრად გამოყოფილი იერი, ან, როგორც იტყვიან, თავისი პროფილი და თანმიმდევრულად, ნომრიდან ნომერში ისევ ისე მისდევდა იმ მაგისტრალურ ხაზს, საითკენაც მისი ძირითადი მიზანდასახულობა არის მიმართული.

ეს მიზანდასახულობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ინტერესებიდან, იდეოლოგიური ცხოვრების დარგში ჩვენი პარტიის მიერ დასახული ახალი, რთული ამოცანებიდან, ჩვენი ხალხის, მშრომელთა ფართო მასის, პირველ რიგში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, მორალურ-ესთეტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული აღზრდის საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანებიდან. ეს გამსჭვალავი პათოსი და სულიერეთება იყო და რჩება ყოველი სახელოვანი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსის განმსაზღვრელ კრიტერიუმი.

ჟურნალ „ციცქარის“ კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება გასული წლის ნომერში წარმოდგენილია საკმაო სიუხადით, სათანადო სიღრმითა და საინტერესო მრავალფეროვნებით. ლიტერატურისმცოდნეობის, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის სფეროდან მთელი წლის განმავლობაში ჟურნალში დაბეჭდილია 70-ზე მეტი სტატია, რეცენზია, შენიშვნა თუ გამოკვლევა, რომელთა დიდი უმრავლესობა პირდაპირ და უშუალოდ ეხმიანება ჩვენი მწერლობის განვითარების მტკიცეულ საკითხებს, ახალგაზრდული პოეზიის მოქალაქეობრივი ეღერადობის

ამაღლებსა თუ კლასიკური მემკვიდრეობის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა. შეფასების, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის თუ სინამდვილის მხატვრული გამოხატვის აქტიურ პირობებში.

ზახვანში უნდა აღინიშნოს, რომ ეურნალმა „ციკარმა“ ჩვენი ლიტერატურულ ცხოვრებაში თავიდანვე შემოიტანა სიახლით გატაცების, ორიგინალურებისაკენ სწრაფვის, ლიტერატურული სტანდარტების უკუგდების, ერთგვარი ლიტერატურული „გამოცოცხლებისა“ და „განახლების“ ტენდენციები. და ეს საფუძვლიან ბუნებრივ და კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული მხატვრული სიტყვის უცხოურ ყოფილად მოდერნიზაციისა და თვითმონღერო აბსტრაქციებით გატაცების ცდებმა ახალგაზრდობის შემოქმედების ყველა ენაში ერთხანს თითქმის გაბატონებული სახე მიიღო. მისი „მწველი აღმერი“ ვადადო ახალგაზრდა კრიტიკოსების გარკვეულ ჯგუფსაც, რომელიც ამ ტენდენციის მამაბათ თითქოს შემარბევლობის როლში გამოდიოდა. ეს არაქანსალი პროცესი უკანასკნელი 2-3 წელია თვალსაჩინოდ შენელებულია. „ციკარის“ „გასული წლის ნომრებში“ დამკვიდრებული კრიტიკული მასალები საფუძვლს არ იძლევა სექტიურად შევხებით ქართული სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელ მდგომარეობას, მის თანამედროვე დონეს.

ასეთი ხმები გაისმოდა ამ რამდენიმე ხნის წინათ. იგი ზოგჯერ დღესაც გაისმის და ამის მიზეზად მიგვაჩნია არა ის, რომ კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის დარგში მომუშავეთა ძირითად ბირთვს თითქოს არ ჰქონდეს ლიტერატურული მოვლენების ღრმა კრიტიკული ანალიზის სათანადო უნარი, საამისოდ ცოდნა და გამოცდილება, არამედ, ჩვენი აზრით, ის, რომ ეს უნარი და ეს გამოცდილება, სხვადასხვა გარემოების გამო, ყოველთვის არ არის გამოყენებული მაქსიმალურად, რომ ყოველთვის არ იგრძნობა მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა საკუთარი თავისა და მკითხველის წინაშე, რომ ჩვენმა კრიტიკამ ნაწილობრივ მართლაც დაკარგა თავისი არსებითი ნიშანი — საზოგადოებრივი აზრის ბირთვული გამოხატვის ძალა, ობიექტურობა და პრინციპულობა, და, რაც მთავარია, ლიტერატურის პრაქტიკულობისა და სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დასაცავად ის შემტევი, მებრძოლი სულისკვეთება, რაც დამახასიათებელი იყო ადრეული ხანის ჩვენი ლიტერატურული კრიტიკისათვის.

თუ ამ პირობიდან და ამ ასპექტით შევხედოთ ეურნალ „ციკარის“ კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის განყოფილებას, გასული წელი ასევე არ იძლევა საფუძვლს ჩვენი ლიტერატურული კრიტიკისათვის დამახ-

სიათებელი ზემოთაღნიშნული ეს საერთო/ნაკლოვანებაში მივიჩნიოთ „ციკარის“ წამონაზარდ ნიშნებად. ეს ნიშნები „არაფერს უკლებს“ „გამონაყრები“, მისი ფუნქციონირების პერიოდის ჩვენი ცხოვრების უფრო ღრმა შრეებში იმალება. ეურნალმა „ციკარმა“ გასული წლის მესამე ნომერში სცადა ერთგვარი ანკეტური „ამზობება“ მოეწყო და ეჩვენებინა ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა მის ყველაზე მრუდ, ყველაზე ნეგატიური ფორმით. თავისთავად ეს იყო მეტად გაბედული, პირდაპირი გამოსვლა, რომლის მთავარი არსი უნდა ვაივოთ არა კრიტიკის წინააღმდეგ გალაშქრებაში, არა მის ნიპილობაში, არამედ კრიტიკის კრიტიკის ფაქტორებში, კრიტიკის მებრძოლი ბუნების აღორძინებაში, მწერლობისა და კრიტიკის მხარდამხარ განვითარებაში. ეიმეორებთ, თავისთავად ეს მეტად გულახდილი საუბარი ქართული თანამედროვე კრიტიკული აზროვნების მდგომარეობისა და ბედის გარშემო, მიუხედავად მისი ცალმხრობისა, დროული, საჭირო და მნიშვნელოვანი წამოწყება იყო. მაგრამ „ციკარის“ კითხვებზე ჩვენი გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების მიერ გაცემული დამაბოქრებელი პასუხებიდან ერთი მკვეთრი და რადიკალური ადგილისა არ იყოს, „როგორც განვითარდება ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობანი — არც მეტი, არც ნაკლები — ის განვითარდება ჩვენი მწერლობა და, კერძოდ, ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა“ (შეზამნა ლებანიძე, „ციკარი“, № 3 გვ. 117).

„ციკარის“ გასული წლის მე-5 ნომერში (გვ. 94-102) გამოქვეყნებულა გურამ გვერდშითელის წერილი „მეტი პრინციპულობა“, რომელშიც „მნათობის“ 1967 წლის ნომრების ანალიზური მიმოხილვის საფუძველზე მოცემულია ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის საერთო მდგომარეობის ერთგვარი დახასიათების ცდა. წერილის ავტორი ნაყოფიერად შეშაობს თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში. იგი ამდგენს მისწრაფებას ჩაწვდეს ჩვენი ლიტერატურული პროცესების არსებით უბნებს, აყენებს მთელ „იგი სადღისო კონკრეტულ საკითხებს და კონსტატაციას უკეთებს ფაქტს, რომ ჩვენს მწერლობასა და კრიტიკაში გამოჩნდნენ ახალი შემოქმედებითი ძალები, რომლებმაც თან მოიტანეს ისეთი „ახალი თვისებები“, როგორიცაა „ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური მხატვრული ხედვა“, „დაკვირვებული და ჩაღრმავებული კვლევა მასალისა“ და სხვ. თუმცა აქვე ჩვენ მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ ეს თვისებები საესებით ახალი არ არის ქართული მწერლობისა და კრიტიკისათვის.

მაგრამ რამდენადაც გ. გვერდშითელი პირდაპირობას იჩენს, იმდენად იგი ყოველთვის ვერ ინარჩუნებს ობიექტურობას, რის გამო მისი

წერილის საერთო პათოსი ზოგჯერ ცილდება პრინციპულობის მისავე მოთხოვნას. ეს საგრძნობია განსაკუთრებით იმ ავტორების მიმართ ვაკეთებულ შენიშვნებში, რომელთა წერილები „მნათობში“ თავის დროზე დაბეჭდილია გარკვეულ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით და ამიტომ ბუნებრივად დაპყრავთ ხოლმე ერთგვარი „ზეაწეული“ და „მალაღმარადიან“ სტილის იერი. გამოთქმა „სერიოზული დრამა“ (ისე როგორც „სერიოზული კომედია“, „სერიოზული ეპიკა“ და სხვ.) თეატრმეცნიერებაში დღის დიდროდან მომდინარეობს და იგი ვ. ციხლაძის „მსჯელობის“ ლაფსუსად არ უნდა ჩაითვალოს.

გ. გვერდწითელის დასახელებულ წერილში თითქმის ნახევარზე მეტი ადგილი უჭირავს პოლემიკას კობა იმედაშვილთან ლიტერატურული ცნება-ტერმინების — „დადებითი გმირის“, „ახალი ადამიანისა“ და „ახალი გმირის“ გამოყენების საკითხებზე. ეს პოლემიკა პრობლემურ, აბტრუდურ და მნიშვნელოვან საკითხს ეხება, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქაც ტენდენციურობა რამდენადმე სჭარბობს საკითხისადმი ობიექტურ მიდგომას. „მნათობში“ გამოქვეყნებული ვ. იმედაშვილის წერილი უპასუვად იძლევა კამათის საფუძველს (და ამასი მისი ერთერთი ლიტსება), მაგრამ მასში არ ჩანს, რომ იგი თითქმის „იწუნებდეს“ ტერმინს „დადებითი გმირის“ და მოითხოვდეს მის შეცვლას ან ამოგდებას ლიტერატურულ ტერმინთა „ნომენკლატრიდან“. პირაქით, ვ. იმედაშვილი სამართლიანად გამოთქვამს საუკედურს ჩვენი კრიტიკანების მიმართ იმის გამო, რომ ისინი ბოლო ცნებებში ნაყლებ უტრადლებას აქევეენ მხატვრული ნაწარმოებების ან საერთოდ ლიტერატურული პროცესების ანალიზის დროს დადებითი გმირის პრობლემას, და დასახელებულია ამის გამოწვევეი ზოგჯერთი მიზეზიც. ემყარება და რა რუსი მკვლევარის არც ელამაშვინისა და თვით გ. გვერდწითელის მოსხარებებს. ვ. იმედაშვილი გარკვევით მოუთითებს, რომ „დადებითი გმირის“ კვლევა ყოველთვის არ იღვას საჭირო სიმალღზე და რომ „იგი კვლავ დაიკავებს თავის კანონიერ ადგილს ლიტერატურულ ტერმინთა შორის“ („მნათობი“ № 7, გვ. 145).

ვაკლებით უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ გ. გვერდწითელს თავის წერილში უტრადლების ცენტრი ცნებათა ტერმინოლოგიური ნიუანსებთან გადაეტანა მათ თანამედროვე შინაარსობრივ, ცხოვრებისეულ გამოხატულებამზე. აქ დასაძალი არ არის დამკარად საგრძნობიან შედარებით 30-40-იან (პოლემიკა სწორედ ამ პერიოდის მასალებს ემყარება), თვით ომის-დროინდელ და ომისშემდგომ 50-იან წლებთან, ახლანდელ ეტაპზე ცნებებმა — „ახალი გმირი“, „ახალი ადამიანი“ და სხვ. გარკვეული

მეტამორფოზა განიცადა, შეიცვალა მისი სახე და შინაარსი, ისე როგორც შეიცვალა თვით ცხოვრებაში კონფლიქტების დორმა და ხასიათი.

ასეთ თავისებურ ვითარებაში ჩვენს შერბივებს, განსაკუთრებით, ჩვენს შეითხველ ახლგაზრდობას ისე, როგორც არასაღეს, უწინარეს ყოვლისა, სჭირდება თანამედროვეობის ყოველმხრივ მისაბაძი შთამბავრებული ლიტერატურული გმირები, რომლებიც აღფრთოვანებდა და გაიტაცებდა მას საქვეყნო გმირული საქმეებისათვის. მით უფრო საგულანსებო და აღსანიშნავია ეს ვარტყეობა, რადგან, როგორც თვით გურამ გვერდწითელი „ციცქარში“ გამოქვეყნებულ მეორე წერილში საკვებით მართებულად მიუთითებს, „მოგონილი“ და „გაბერილი“ გმირების შიშით საერთოდ დაიკარგა ჩვენს მწერლობაში აბტრუდო ბუნების, რომანტიკულად განწყობილი, იდი საქმეებით შთაბრძნული გმირი“ („ციცქარი“, № 8, გვ. 104).

ჩვენმა კრიტიკამ ამჟამად ცხოვრებაში, სინამდვილეში სწორედ ასეთი „აბტრუდო ბუნების“ გმირების „პოენის“ და „დანახვის“, „მიგნების“ და „გაცნობიერების“ საქმეში უნდა აღმოიჩინოს ქმედითი დახმარება ჩვენს მწერლობას და მათინ ცნებებიც აღქვავტურ გამოსახულებას პოეებენ, რადგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს კობა იმედაშვილი თავის წერილში „ქართული საბჭოთა პროზის გმირი“ („მნათობი“, 1967, № 7, გვ. 138) „ადამიანის განვითარება და სახეცვლა რეალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანდ აპირობებს ლიტერატურული გმირის“, ე. ი. თვით ლიტერატურული ცნების „რაობასაც“.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ გ. გვერდწითელის ზემოთდასახელებულ წერილში გამოსტყვიის აგრეთვე ელა ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის წინა და თანამედროვე პერიოდების ერთმანეთთან დაპირისპირებისა და მათი ერთმანეთისავე გამოიქვინისა. ამ დაპირისპირებისა და გამოიქვინის ერთერთ მთავარ ნიშნად კრიტიკოსს მიანინა ის, რომ „თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა“, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეფრად უფრო სწორია იდეოლოგიურად და მეფრად უფრო საინტელესო—ლიტერატურულად, ვიდრე წინა პერიოდებისა“ („ციცქარი“, № 5, გვ. 102). ჩვენთვის ვაუგებარია, რით ან რატომ არის თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა, „მეფრად უფრო სწორი იდეოლოგიურად“ ვიდრე წინა პერიოდებისა, რას ნიშნავს ეს ბევრად უფრო სწორი? ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა, მწერლობა და მეცნიერება ვითარდებოდა და ვითარდება ერთი იდეოლოგიის — მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე და ამ იდეოლოგიის რამე ძირეული შეცვლა ჯერ

არ მომხდარა. თუ ავტორის მხედველობაში აქვს (და ეს მისი წერილიდანაც ჩანს), 1930-იან წლებში არსებული ველგარიზატორული დამახინჯებანი, ეს უკვე დიდი ხანია განვლილი ეტაპია და მისი გაივიწყება მომდევნო 40-50-იანი წლების პერიოდებთან გამართლებული არ უნდა იყოს.

რაც შეეხება თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის ახალ თაობას, ეს თაობა უმთავრესად „ციკრიის“ ვარშემო შემოკრებილი, „ციკრიის“ ფურცლებზე გამოვლენილი და პირველად აქ შეხადგმილი, ახლა უკვე ცნობილი კრიტიკული ძალებია იმავე გურამ გვერდწითელის, გურამ ასათიანის, აკაკი ბაქრაძის, გიორგი ვაჩეჩილაძის, ირაკლი კენჭოშვილის, ოტია პაქოტორიას, რევაზ თვარაძის, გურამ კანკავას, რევაზ მიშველასის და სხვათა სახით. მათ უძველესად შემოიტანეს ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ბევრი რამ ახლებური, ბევრი რამ საინტერესო, გააფართოვეს კვლევის საგნები და მასშტაბები, გააღრმავეს მისი თეორიულ-ლიტერატურული საფუძვლები, მოიმარჯვეს ლიტერატურული პარალელების, ანალოგიებისა და მემკვიდრეობითი კავშირების ძიების ადრე ცნობილი, მაგრამ ზოგჯერ გადავიწყებული ხერხები, — ასეთ ნიჭიერ, დაკვირვებულ, მზარდ კრიტიკულ ძალებს, ისე როგორც მწერლობისა და მეცნიერების ყველა დარგში, მთელი გაცაყვებით, ნათელი შუბლითა და ხალასი, წრფელი გრძნობით უნდა დაუპირით ყოველმხრივ მხარი (და არა პირში ფერებისა და „ზურგში მახვილის“ ჩაყვების მზავრელი დალომპატიით). მაგრამ ყოველივე ეს, ვფიქრობთ, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ თითქოს ამ ახალი ძალების გამოჩენამდე ჩვენი საზოგადოება, ვ. გვერდწითელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლიტერატურული სტროგატიებით“ იყვებებოდა და „არც ისე შორეული წარსულის“ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ხასიათდებოდა უშთაბრესად „პრიმიტიულობის, ზედამიართობის, ლეტონი და კატეგორიული განცხადებების“ ნიშნებით, რომლის „კვალ“ თითქოს მას ახლაც ატყვია (№ 5, გვ. 95).

„არც ისე შორეული წარსულის“ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ძირითადად წარმოგვიდგება გიორგი ვიბლაძის, აკაკი ვაჭერელის, შალვა რადიანის, ბესარიონ ტყეშელის, დიმიტრი ბენაშვილის, გიორგი ნატროშვილის, სერგი კილიას, გიორგი მერკვილაძის, ილ. ჩიკლეიშვილის, ვანო წულუკიძის, ვ. ქარელიშვილის და სხვ. სახით. ყველა ამათ, ერთი ლაღის მოსხმით, ვგართიანებთ „პრიმიტიულობის, ზედამართობის, ლეტონი და კატეგორიული განცხადებების“ რკალში, ვფიქრობთ, არ შეეფერება სინამდვილეს.

რა თქმა უნდა, კრიტიკის წინა თაობის შემოქმედებანი იყო ტრადიციებისა და პრიმიტი-

ვიზმის გამოვლენებანი და ახლანდელ, ახლანდელ ეტაპზე, როცა ქართული ლიტერატურა საერთოდ და კერძოდ კი პირველად სამკრთო ლიტერატურა ასე ფართოდ გავიდა ქვეყნისა და მსოფლიო ლიტერატურის დიდ გზებზე, როცა ლიტერატურის ნაციონალური და ინტერნაციონალური იდეები ასე ერწყმის, ენაცადება და ამდღებებს ერთმანეთს, ცხადია შაბლონურობისა და ზერელობის განმეორება მოუთმენელი და დაუშვებელია, მაგრამ სამაგიეროდ, მწერლის პოზიციის ვარჯჯვას, მხატვრული ნაწარმოების იდეურ-სოციალური თვალთახედვით განხილვას, მისი შემოქმედებით აღმზარდობითი ფუნქციის მხედვით, როგორც ნაწარმოების ანალიზის, აუცილებლად ეღმენებებს, ეპყეოდა საჭირო უზრადლება და ეს არ შეიძლება არც უაზრდებელი და არც დაფიწყებული იქნეს. საკითხის მეორე მხარეა, თუ ამასთან ერთად, შედარებით ნაკლებად იგრძნობოდა ან ზოგჯერ სრულიად არ ჩანდა მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის, მისი შემოქმედებითი ოსტატობისა და სტილური თავისებურებების, ან, როგორც ახლა იტყვიან ზოლზე, პოეტური ხელწერის, დამახასიათებელი ატრიბუტების შერწყმა აშკარა იდეურ ანალიზთან. ამ უკანასკნელისკენ, ე. ი. მხატვრული ფორმისაკენ გადახრა ბოლო ხანებში უძველესად საგრძნობლად შეიმჩნევა.

მაგრამ როგორი სიღრმითაც არ უნდა დაიტეხნოს ამა თუ იმ პოეტის, ამა თუ იმ მწერლის, გენიალური იქნება იგი თუ ჩვეულებრივი არანის, ლექსიკური ინვენტარის, სიმბოლოების თუ სხვა-გამოთქმების ისტორიული ძირები, მისი წარმართების უშორესი წყარო და სათავე, რა მემკვიდრეობითი სულიერა კავშირებიც არ უნდა აღმოჩნდეს მას ბიბლიასთან, „ფაუსტურ“, „ჰამლეტურ“ თუ „დონკუიშოტურ“ ზოგადსაკაცობრიო სიწყესებთან, ხელოვანი მაინც, როგორც ცნობილია, არ შეიძლება მოეწყვიტოს იმ კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქას, რომელშიც უხდებოდა მას ცხოვრება და რომლის სოციალურ-გეონომიური, კულტურული და პოლიტიკური მდგომარეობის ანაზღვი გარდუვილად აღიბეჭდება ზოლზე მის შემოქმედებაში. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მაშინ აშართლებს თავის დანიშნულებას, თუ მწერლისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომის ლენინური პრინციპი შერწყმული იქნება ამ მეთოდის მიხედვით კვლევა-ძიების მიზნებთან.

ვფიქრობთ, ეს ერთიანობა რამდენადმე დარღვეულია გურამ ასათიანის მიერ ერთდროით, სიმახელითა და ობიექტალური მიგნებებით დაწერილ ვრცელ გამოკვლევაში „მერაინი“ და მისი ავტორი“, რომელიც გამოქვეყნებულია „ციკრიის“ ვახული წლის მე-7, 8, 9 ნომრებში. ამ წერილში ახლებურად არის დაყენებული და აღძრული მთელი რაიე საკენანო პრობლემატუ-

რი საკითხები საერთოდ რომანტიზმის რაობისა და, კერძოდ, ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის წარმოშობის, მისი წინა ისტორიულ-ლიტერატურული საფუძვლების, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი ევოლუციის და სხვათა შესახებ. ეს საკითხები საგანგებო განხილვის საგანია და ამ მასზე ვერ შეგვირდებოდა. ზეინ ვინა და მეთხველის უნდა აღვნიშნავთ ამ ფრად საინტერესო წერილების ერთ ამოსავალ ლეიტმოტივზე.

გვყარება რა ლენინის ცნობილ გამოთქმას, თუ გინდა სიმართლეს მიავნო, უნდა დაუძებნო სიტყვებს ძირი, გურომ ასათიანმა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ლექსებში გამოყენებულ ცალკეულ ფრაზებსა და სახე-გამოთქმებს („ამო-ოება“, „საწყაელი აღუვსებელი“ „ტაძარი“, „ჩემს შემდგომად“, „კეთილი მწყემსი“ და სხვ.) ისეთი მიკროსკოპიული სიზუსტით დაუძებნა პირველწყარო სახარებათა წიგნებში, ჩახრუხანისა და რუსთაველის იქით, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის წარმოდგენილ ქვეყნულ იესო შორს გადაიტანა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებითი ფესვები და ცალკეულ ფრაზოლოგიურ დამთხვევათა საფუძველზე ისეთი გაზედული ზოგადი დასკვნები წარმოვიდგინა, რომ ამ გენიალური პოეტის ლირიკის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ადგილიდან მის გამოკვლევაში სრულიად ახალ, აქამდე უცნობ ინტერპრეტაციას დებულობს. მეფლევარის ეს თვისება, ეს მიდრეკილება და ეს ნიშნები, რა თქმა უნდა, დიდად საგულისხმოა და დიდად დასაფასებელი, მაგრამ ზოგიერთი მისი დებულება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე რაიმე ახლის გამოჩენისას, ზვესი კოლევალური შეკამათებას იწყებს. უწინარესად, ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ ერთი ადგილის გაგების გარშემო.

გურომ ასათიანი, დიდ ადგილს უთმობს რა თვის გაშლას ნ. ბარათაშვილის „სსოფლ-მხედველობრივი მრწამსის“ „ჩამოყალიბების კონკრეტული მასტიმულირებელი კატეგორიების, მისი ისტორიული გენეზისის“ (ნ. 7, გვ. 84) გაშუქებას და საკმაოდ ვრცლად ჩერდება რა ბიბლიასთან ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ მეშვიდრეობით სულიერ კავშირზე, ერთგან აყალიბებს ასეთ დასკვნას:

„ქრისტომთიული ნარათაშვილის კრედო (ე. ი. ამ ბარათაშვილისა, რომელსაც ასწავლიან ჩვენს საშუალო და უმაღლეს სკოლებში — ა. თ.) გახსნილია ცნობილ სიტყვებში: „მარამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შეიღნი სოფლისა, უნდა კიდევან მიესდიოთ მას... (აქ მრავალწერტილია დასმული და თავისთავად გასაგებია მომდევნო ტექსტი. ა. თ.)

მარამ ეს ხომ მხოლოდ პოსტსკრიპტუმი (ე. ი. ბოლომინაწერი — ა. თ.), — განაგრძობს მეფლევარი, — სრულიად სხვა შინაარსის შემ-

ცველი ლექსისა, მხოლოდ ნაწილობრივი, იძულებითი კომპრომისი, სინამდვილეში მოქმედების ის სარბიელი, რომელზეც „ქრისტელებმა, უცხო და მიუღებელი კაცებმა შეიქმნეს“ (ნ. 9, გვ. 89).

იბადება კითხვა: რას ნიშნავს ეს „სრულიად სხვა შინაარსი“? რა იყო „უცხო და მიუღებელი“ ბარათაშვილისათვის, აქტურობისა და მოქმედების ის ზოგადი იდეა, რომელიც ქართულ ლიტერატურის სკოლაში საყოველთაო აღიარებით ამ სტრატეგია გამოხატული?

რა თქმა უნდა, საყოველთაოდ აღიარებული დოგმატი შეიძლება დაინგრეს შემართების შეუვარი ლოკალით; მაგრამ შემართების იმავე შეუვარი ლოკალით, თუ ნ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას განვიხილავთ, მჭიდრო კავშირში მის წარმომშობ კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან და საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, იმ დროის სოციალურ და ეროვნულ კატაკლიზმებთან, ძველი ქართული მწერლობის განვითარებისა და ანტონ კათალიკოსის, დავით ჩუქტორის, სოლომონ დოდაშვილის, დიმიტრი ყვიფიანის და სხვათა მოღვაწეობის ისტორიულ ნაზთან, მაშინ უნდა ვირწმუნოთ ისიც, რომ ზემოთაღნიშნული ცალკეული ბიბლიური სიტყვები და გამოთქმები, რომელთა ანალიზების საფუძველზე მიღებული ჩვენთვის საკმაოდ მკველი დასკვნა, მტკიცედ იყო დამკვიდრებული მაშინდელი, ე. ი. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არისტოკრატიული საზოგადოების საოჯახო და სასკოლო მეტყველებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საღეთი სული ხომ სპეციალურად ისწავლებოდა, როგორც სავანი, რვეოლუციამდელ სკოლებში!

ამ საგნის ერთ-ერთ სახელმძღვანელოდ მე-18 საუკუნის 60-იან წლებიდან თითქმის მე-19 საუკუნის ბოლომდე ითვლებოდა ანტონ კათალიკოსის მიერ შექმნილი წიგნები „ღვთის მებრველება“ (ოთხ ნაწილად) და „შე-მტკიცებება“, რომლებშიც ბიბლიურ წყაროებზე დაყრდნობით მისი იდეები კონდენსირებულად იყო გადმოცემული. და აი ამ წიგნებში გვხვდება ის ძირითადი ლექსიკურ-ფრაზოლოგიური ფორმები („ტაძარი“, „შემდგომად“, „მწყემსი“, „გულისხმა“ და სხვ.), რომლებსაც გურომ ასათიანი უშუალოდ სახარებათა წიგნებიდან ამოწერით უპირისპირებს ნ. ბარათაშვილის პოეტურ ლექსებს. მრავალთა შორის მოვიტანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს.

მოაქვს რა ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“ სათანადო სტროფი და ხაზს უსვამს რა შესაბამის სიტყვას „ამოვბას“ ტაქტიდან: „არ ეიცო ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება, რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოვბა“. გურომ ასათიანი წერს: „...ოცო წლის პოეტს ლირიკული მედიტაცია აუვია „დაბადების“ ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი წიგნის „ეკლესიასტიკა“ საეკლესიო ლექსიკონსა და ფრანგოლოგიის საფუძვლებზე“. და იქვე მოტანილია „ეკლესიასტიკონი“ შესატყვისი ადგილი: „ამაეობა ამაეობა, თქვა ეკლესიასტიკე, ამაეობა ამაეობა ყოველივე ამაეო“ („ცისკარი“, № 7, გვ. 85).

სტამბურად 1892 წელს დაბეჭდილი „მზა-მეტყველების“ (ადრე ის დიდხანს ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა) 21-ე გვერდზე ახალი თავი პირდაპირ იწყება იმავე სიტყვებით: „ამაეობა ამაეობა, თქვა ეკლესიასტიკე, ამაეობა ამაეობა ყოველივე ამაეო“. და შემდეგ ამას მოსდევს მისი განმარტება. ამ შემთხვევაში საგულისხმო არის ის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებლის, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელისა და საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი წამომწვევის სოლომონ დოდაშვილის კრიტიკული წერილიდან „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა“, რომელიც მან მისსავე ჟურნალში („სა-ლიტერატურო ნაწილი თბილისის უწყველათანი“) დაბეჭდა 1832 წელს (№ 1, 2), ჩვენთვის ცნობილია, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა იგი ანტონ პირველის დიდ ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე და როგორი სიზუსტით მიუთითებდა მის მიერ შექმნილ შრომებზე, რომელთა შორის დასახელებულია სწორედ „მზა-მეტყველება“ (იხ. № 2). ყოველივე ამას გარდა, აქი ისედაც ცნობილია, რომ სოლომონ დოდაშვილის პირდაპირი და უშუალო ზეგავლენის, თუ სხვა გარემოებათა შედეგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი უწინარესად ანტონ კათალიკოსის ენობრივი პოზიციებიდან, მისი ენობრივი კონსტრუქციებიდან და ენობრივი ლექსიკონი ამოდიოდა! მაშ, რით არის განპირობებული მანკადამანკი უშუალოდ ბიბლიასთან, ძველი და ახალი აღთქმების წიგნებთან მისი ესოდენ საგანგებოდ დაეკავშირება?

რა თქმა უნდა, ზოგადთეორიულ ასპექტში გურამ ასათიანს ამის საფუძველი ჰქონდა. უკანასკნელ წლებში მსოფლიოს მასშტაბით შეინიშნება გარკვეული ტენდენცია ბიბლიისკენ მიბრუნებისა. ისტორიულად ეს ახალი მოვლენა არ არის. როგორც 18 ბრიუშერის შესავალში კარლ მარქსი მკაფიოდ მიუთითებდა, თვით ინგლისის 1649 წლის რევოლუცია ბურჟუაზიამ ბიბლიის ნიღბით დაიწყო. ბიბლია საკაცობრივი ცოდნის პირველყოფილ და უშრეტელ წყაროდ იყო მიჩნეული და მან შთაგონების არაერთი ბიძგი მისცა მსოფლიო ხელოვნებას, მსოფლიო ლიტერატურას. ბიბლიური მოტივებს, თემებსა და სიუჟეტებს შეუღარებელი ოსტატობით გამოსახავდნენ საშუალო საუკუნეების ე. წ. რენესანსის ეპოქის ხელოვნების კლასიკური ძეგლები, მიქელანჯელოს,

რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის ფერწერული შედეგული ტილოები, მაგრამ გამოსახავდნენ არა ბიბლიური მრწამსით, არამედ მწვერული ცხოვრების უარყოფის, მისერ წარმყვლუბებსა და ამოების იდეით, არამედ ქვეყნად მშვენიერებისა და სილამაზის, სიკეთისა და ბედნიერების დამკვიდრებისათვის. ბიბლიიდან ამოდიოდა ბაირონიც კეთის სახის შექმნისას, მაგრამ მისი ჩაილდ პაროლდი თავისუფლებისათვის მებრძოლის მარად უქნობი პიშია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ბიბლიის კავშირთან. ასევე იოჰანს მსოფლიოს სხვა დიდ ადამიანებზე. ასევე იოჰანს ნიკოლოზ ბარათაშვილზეც, მხოლოდ იმ განმასხვავებელი კონკრეტული-სტორიული თავისებურებისა ვთავალობს წინებით, რომელშიც მოუხდა მას თავისი პოეტური გენიის შერეობისებური გამოხატება.

პოეტის, ხელოვნის შემოქმედებაში გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს ყოველთვის არა იმდენად იმას, თუ საიდან აქვს წამოღებულ მას ესა თუ ის ფრაზა, გამოთქმა, თავის სიუჟეტური „ეკლესიასტიკა“ საეკლესიო ლექსიკონსა და ფრანგოლოგიის საფუძვლებზე აქვს აგებული „ლირიკული მედიტაცია“, თუ სხვა რამ, შთაგონების თუ იმპულსის მომცემ, საგანზე, არამედ იმას, თუ რა შინაარსს დებს იგი მასში, როგორ ანათებს, რა ელვარებას ღებულობს მთელ კონტექსტში ფრაზა. „ეკლესიასტიკა“ ზემოთ მოტანილ ქადაგებაში „ამაეობა ამაეობა ამაეობა ამაეობა, ყოველივე ამაეო“ ყოველივე და უვალაფერი ამაეობად არის აღიარებული და ამ დილემასთან შერჩევაა მისი ამოსავალი წერტილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ფიქრნი მტკერის პირას“ კი, როგორც გურამ ასათიანი მართებულად აღნიშნავს ერთგან, „მძაფერი პრინციპული პოლემიკა ამოების იდეასთან“. მაგრამ იქვე იგი ხაზგასმით მიუთითებს იმასაც, რომ ეს ლექსი იწყება „ეკლესიასტიკა“ შთავარი თეზის წმინდა ეპოქიონალური გაზიარებით“ („ცისკარი“, № 7, გვ. 87). ეს წინააღმდეგობრივი აზრია.

ჩვენი ფიქრით, დასახლებულ ლექსში გარკვეულად ბევრს ქვეშაა დაფუძნებული თვით მთელი ეს ბიბლიური „სიბრძნე“, პოეტი აშკარად ეწინააღმდეგება მას და ლამობს ვაიღებს ტემპარატების ძიების ნათელ და დიდ გზაზე. ამის მოწმობას სწორედ ის ტაბები: „არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩემი ცხოვრება, რად იყო ფუძი და მხოლოდ ამაეობა“. ამ კონტექსტში სიტყვა „ამაეობა“ სულ სხვა იდეურ დატვირთულობას იძენს. სწორედ ეს „არ ვიცი“, ეს „რად“ და ეს „მხოლოდ“ არის ის „სადემარკაციო ხაზი“, რომელიც „ეკლესიასტიკა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმედველობას მკვეთრად და რადიკალურად თმავს ერთმანეთისაგან. „მერანნი“ ხომ ამ გათიშულობის მხოლოდ ბარათაშვილისებური გამოთვობა! მაშ, რამ განპირობ-

მა გურამ ასათიანის გამოკვლევებში იმ დასკვნითი პოსტულატის გაჩენა, რომელიც ჩვენ ამ საკითხზე მსჯელობის დასაწყისში მოვიტანეთ? რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენი დიდებული პოეტისათვის „უცხო და მიუღებელი“ მოქმედების ის საბიძგელი, რომელიც გამოხატულია ტაუპში:

არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი შევდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა
იზრუნოს!

განა აქ მოქმედების მხოლოდ პიროვნული, ისეთი კონკრეტული საბიძგელია ნაველისხმევი, როგორსაც დაადგენენ ნ. ბარათაშვილის ბიძგები გრიგოლ, ილია და ზაქარია ორბელიანები და რომლის გამო, გურამ ასათიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი „ყალბ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ“? განა აქ რაღაც კონკრეტულ-პრაქტიკულ შესაძლებლობებზეა ლაპარაკი, თუ ზოგადადამიანურ იმ დიდ მოვალეობაზე, რომელიც, პოეტის გაგებით, აკისრია ყოველ ინდივიდს ქვეყნისა და ხალხის წინაშე? რატომ არის ეს ადგილი „პოსტსტრიატივი“, ე. ი. ბოლომინაწერი და არა ორგანული ნაწილი მთელი ლექსისა? რატომ არის იგი „მხოლოდ ნაწილობრივი, იძულებითი კომპრომისი“ და არა პოეტის შინაგანი ხმის გულწრფელი დღაღობი? საკმარისია ლექსის ეს ბოლო ადგილი გამოვალათ „ქრესტომათიულ ბარათაშვილს“, ვიგულისხმობთ ის „სტრელოდ სხვა შინაარსის“, რომელსაც ქვეყნულად გურამ ასათიანი გეთავაზობს და ხელში შეგვარება, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეკლესიასტეს“ მთავარი თეზის წმინდა ემოციონალური ვაზიარება“, რომლიდანაც მცირე მანძილი ბიბლიასთან შიხ უნებური დაახლოების ან ბიბლიურ ამოკრძახთან პოეტის უნებური შეზღუდვის ცდასთან!

ცხადია, არავინ უარყოფს ქართული ბიბლიის, კერძოდ, „დავითის“, „ეკლესიასტეს“, „ქება ქებათის“ და სხვ. დიდ როლს ძველი ქართული მწერლობის განვითარებაში. ძველი ქართული სასულიერო მწერლობიდან, რუსთაველიდან, ეახტანე შექქებადარ, გურამიშვილიდან და თვით ბიბლიიდანაც ცალკეული ფრაზები ცალკეული სიმბოლიკების სახით შეიძლება გადაღოსულიყო (ასეთი რამ ყოველთვის დასაშვებია და ყოველთვის ვახდებდა ლიტერატურის ისტორიაში) და ვაღმოსულია კიდევ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში, თუნდაც მის ლექსებში „ჩემი ლოცვა“, „ვპოევი ტაძარი“ და სხვ. მაგრამ თავისთავად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ არის არსებითი და ყოველივე ეს მანძი, ჩვენი აზრით, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ „ქართული რომანტიზმის ისტორია“, გურამ ასათიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეიძლება დაიწყოს ძველი ქართული სასულიერო პოე-

ზიის პირველი ნიმუშებიდან“ (№ 7, გვ. 84), რომ მისი ყველაზე უდიდესი წარმომადგენლის „ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული გენია ქრისტიანობის წიაღში აღმოცენდა“, რომ „მის შთავგებებს, წარმოდგენებს, სულიერ სწრაფვას“ მხოლოდ „საღვთო წერილისა და ძველი ქართული სასულიერო მწერლობის იდეები ასაზრდოებდნენ“, რომ „ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საზრდო, რომელმაც მისი შემოქმედი სული მოამწიფა“ (№ 7, გვ. 89).

თუ საკითხს უკიდევანოს მასშტაბით, ან, როგორც გურამ ასათიანი ამბობს, „ფართო მნიშვნელობით“ შევხედვათ, მაშინ, რასაკვირველია, უნდა ვაღიაროთ, რომ ლიტერატურის ისტორია საერთოდ სხვა არაფერია თუ არა რეალიზმისა და რომანტიზმის ისტორია, ისე როგორც ფილოსოფიის ისტორია სხვა არაფერია თუ არა დეალეალიზმისა და მატერიალიზმის ისტორია, რეალისტური და რომანტიკული საწყისის ისტორიულად თან ახლდა ლიტერატურის ჩანასახსა და განვითარებას, მაგრამ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან რომანტიზმისა და რეალიზმის ჩანასახები და ელემენტები და რომანტიზმი და რეალიზმი, როგორც ვარკვეული ლიტერატურული მიმართულებანი, ვარკვეული ლიტერატურული მსოფლმხედველობანი, რომლებიც ლიტერატურის ისტორიის განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ სივრცეშია მოთავსებული.

ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოი მთელი არსებით იყო გაუღწეოლი თეოლოგიური კონცეპციებით. ბიბლიური წარმოსახვებითა და წარმოდგენებით, „ანა კარენინას“ ეპიგრაფად სწორედ ბიბლიური ესაია უძღვის «*Мне отпущение, и аз воздам*» მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა ლენინი განიხილადა მის შემოქმედებასა და მოძღვრებას შორის არსებულ წინააღმდეგობათა საფუძვლებს, წერიალი „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სატყე“, ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებაში შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ იმ წინააღმდეგობის პირობების გამოხატულებაა, რომლებშიც ჩაყენებული იყო XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსეთის ცხოვრება“ (ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, თბ. 1951, გვ.138).

„იმისათვის, რომ გამოვიცნოთ ისეთი უსაზომოდ კოლოსალური პოეტის დაღვრემილი პოეზიის გამოცანა, როგორიც ბაირონია, — წერდა ბესარიონ ბელინსკი, — ქერ უნდა ვავიგოთ იმ ეპოქის (საიდუმლოება, რომელსაც ის გამოსახავდა) (В. Белинский, собр. соч., в трех томах, т. II, М., 1948, стр. 485).

გურამ ასათიანმა მშვენიერად იცის ეს აუცილებელი მოთხოვნები და ამიტომ მან უფრო ვარკვეულად და მტკიცედ უნდა იწამოს ის აუცილებელი ჰუმანიტარული, რომ 1830-40-იანი წლების საქართველოს მძიმე სოციალურ-პო-

ლიტერული და კულტურული მდგომარეობა, კლასობრივი და ეროვნული გულსტაკიელი იყო უპირველესი და უმთავრესი წარმომადგენელი ქართული რომანტიზმისა და, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული გენიოსის, რომ 1832 წლის შეთქმულების იდეები იყო ის მთავარი საზღაო, რომელმაც მოაწიფა მისი შემოქმედი სული, რომ ბარათაშვილის შემოქმედებითი ფესვები, როგორც ეს მიღებულია ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში და როგორც ამას თვით გურამ ასათიანიც აღიარებს, უპირობესია ევროპით რუსთაველისა და საერთოდ ძველი ქართული მწერლობისა და თვით ბარათაშვილის ეპოქის ლაბორინთებში და არა ქრისტიანობისა და ბიბლიის წიაღში.

შედარებით მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების ლიტერატურასთან, ჩვენმა ძველმა ქართულმა მწერლობამ ყველაზე ადრე შეიწოვა და შეიერთა ქრისტიანულ-რელიგიური იდეები და გადაამუშავებული სახით ვადმოსცა ის მე-19 საუკუნის მწერლობას. ამ საუკუნიდან ბიბლია უკვე აღარ წარმოადგენდა იმდენად დასაყრდენ იდეოლოგიურ საფუძვლს ჩვენი ლიტერატურის განვითარებისათვის და, შამსაღამე, იმდენად განმსაზღვრელ შთაბეჭედებულ ძალასაც. ბარათაშვილის მებრძოლი პოეზიისათვის. ამას თვით გურამ ასათიანიც შესანიშნავად გრძნობს და ამიტომაც ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი დებულებების გვერდით იქვე სწორად მიუთითებს, რომ „პოეტის ცნობიერებაში ქრისტიანული მსოფლგაგების ძირითადი მკნებები“ უარყო და გარდაიქმნენ, როგორც „ნაყოფი უარყოფს თავის აღმომცენებელ მარცვალს“ (№ 7, გვ. 89).

გერ ეტყვიოთ, რომ გურამ ასათიანი გვერდს უვლიდაც ნ. ბარათაშვილის დროის დიდწიშე-ნელოვან ისტორიულ-ლიტერატურულ მოვლენებს, პირიქით, იგი ერთგან მკაფიოდ აყალიბებს კიდევ საესებით სწორ დებულებას, რომ „მთელი თავისი შემოქმედებით ბარათაშვილი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ეპოქის მიზანსწრაფვათა თანაზიარა“ (№ 7, გვ. 95), რომ მის შემოქმედებაში გამოისახა „ეპოქისული განწყობილებები“ (იქვე, გვ. 83), მაგრამ, ჩვენი შთაბეჭდილებით, პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ეპოქის ძირითადი ტენდენციების ეს განმსაზღვრელი როლი, ბიბლიასთან პოეტის ფრაზეოლოგიურ შეხვედრათა ილუსტრირების ერთგვარ „უსიკრი ტერში“ და წინააღმდეგობრივ გამოთქმებში, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იბურება და იჩქმალდება. აი ეს მიგვაჩინა ჩვენ ამ შესანიშნავი გამოკვლევის ერთ-ერთ ნაჯლად. ასეთი ნაჯლი კი, ე. ი. უნებლიე თუ ნებისმიერი გადაზრა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობისაკენ, ისტორიულად ყოველთვის თან ახლდა ლიტერატურული ანალიზებისა და შემყვიდრობითი

კავშირების ჭარბ, მეტისმეტად ჭარბ და ზოგჯერ ხელოვნურ ძიებას. ჩვენი უწრფელესი სურვილია გურამ ასათიანმა გადასინჯოს თავისი საინტირესო გამოკვლევა ამ ბრუნობისა და დაბნულობის დასკვნით-განმარტავებელი ხასიათის ზოგიერთი ზემოთ მოტანილი ფორმულირებაანი. მოშავალში მეტი სიფრთხილით, მეტი ზომიერებითა და მეთოდოლოგიური სიმკაცრით უნდა მოვეკიდოთ ლიტერატურისმცოდნეობითი კვლევა-ძიებისათვის ამ საჭირო და აუცილებელ ხერხს.

ფერნალ „ცისკარის“ გასული წლის მუშაობის გამოცდილებიდან ჩვენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანდ მიგვაჩინა სალი, პრინციპული მისაზრებების გამოხატვა ჩვენი ლიტერატურის განვითარების ყოველდღიურ, მამდინარე პროცესებზე, ცოცხალი, კრიტიკული აზრების შემუშავება ახალ გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმებებზე, განურჩევლად იმისა, იგი ეყუთენის წინა თუ ახალი თაობის წარმომადგენლებს. ამასთან უმეველად იგრძნობა რომ ფერნალი ქმედლოთად არის ლაბორატორიული პირველ რიგში ჩვენს მწერლობაში შემოსული ახალი ძალების პირველი წიგნების, მათი პირველი შემოქმედებითი ნიმუშების ერთგვარი „სახოვადობრივი აპრობაციით“.

ამ მხრივ მეტად საგულისხმო ნიმუშებად და მკაფიო მაგალითებად აქ შეიძლება დავასახელოთ გურამ გვერდწითელის წერილი „კინ არის ლევა ხიდალევი?“ (№ 8), რომელშიც ვახხილელა „ცისკარში“ დამტკიცო და ცალკე წიგნად გამოსული ახალგაზრდა მწერლის გურამ ფანგიციძის რომანი „მეშვიდე ცა“, რევაზ მიშველაძის კრიტიკული სტატიები: „აპა, მიწურა ზამთარი“ (№ 2), საინტერესო და თავი სხეულის სტილის მწერლის თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების რომანზე, „ახალგაზრდული პოეზია და მოქალაქეობრივი პრობლემები“ (№ 12), რომელშიც დროულად და მამხილოვნიერად არის დამსული საკითხი ახალგაზრდულ პოეზიაში უსაგნო, ფორმალისტური გატაცებების აღმოფხვრისა და მათი შემოქმედების იდეურ-მოქალაქეობრივი ტრანსლობით გაძლიერების შესახებ, მისდევ ტყუენზა ახალგაზრდა პოეტის ბიძინა მინდამის ლექსების პირველ წიგნზე „თბილი თოვლი“ (№ 8), გურამ კანკავას წერილი პოეტი ჭილის ანა კალანდაძის შემოქმედების ზოგიერთი თავისებურების შესახებ (№ 7), ვლადიმერ ჭიბურებისა — „სასწაულს მხოლოდ დიდი ტრფილება ბადებს“ კოლხე ნადირაძის ლირიკაზე (№ 5), აკაკი ბაქრაძის პრემიერული სტატია „სანავარდო ანუ უნაყოფობის ტრავმა“, რომელშიც დემნა შენგელაძის ადრე დაწერილი რომანი „სანავარდო“ განხილულია სრულიად ახლებური ასპექტით (№ 3), კახა მეზურიშვილის რეცენზია გიორგი ნატროშვილის წიგნზე „გულთ-

მისწების ქვეყანა“ (№ 6), აწ განსვენებული ნოდარ ჩხეიძის პროფესიული ხელოვნებით დაწერილი მოკლე ეტიუდი სანდრო შანშიაშვილზე (№ 12), გურამ ბათიაშვილის რეცენზია გრიგოლ ჩიქოვანის წიგნზე „ოდინური მოთხრობები“ (№ 8), მწერლისა და დრამატურგის აკაკი გვიჭის წერილი სათაერთო „მწერლის შეადრე“ (№ 2), რომელშიც მოცემულია რვაზე ყოფიარის შემოქმედებით პორტრეტი და სხვ. განასკუთრებით ეს უკანასკნელი ფაქტი — მწერლის კრიტიკული გამოხედა მგობარე მწერლის შემოქმედების ვარშემო — ყოველმხრივ მხარდაჭერის, მოწონებისა და მისალმების ღირსია.

რუსთველოლოგიურ და ლიტერატურის-მკვლევებით ლიტერატურაში ერთგვარ შენამატებად შეიძლება მიჩნეულ იქნას გასულ წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებული ვრცელი სტატიები: ივანე ჭავჭავაძისა — „რუსთაველი და „ფეხისტყაოსანი““ (№ 11), მიხეილ შენგელიასი — „რუსთაველი და გელათი“ (№ 12), გივი გვერდუაძისა „ქართული მოტივები მაქსიმ გორკის რევოლუციამდე მემკვიდრეობაში“ (№ 4), შოთა რევიშვილისა — „ლენინის სახე გერმანულ ლიტერატურაში“ (№ 4), ოტიპაპუკორიასი „სტენდალი“ (№ 2) და სხვ.

როცა ეურნალში გამოქვეყნებულ ზემოთ-დასახელებულ და სხვა საინტერესო სტატიებსა და რეცენზიებს ვკითხულობთ, უნებურად გვებადება სურვილი არა თუ შენარჩუნებულ იქნას ყოველივე ის, რაც მიღწეულია ეურნალის მიერ ამ მხრივ, არამედ კიდევ უფრო ამაღლდეს კრიტიკული სტატიებისა და რეცენზიების დონე, მათი ხარისხი, ზოგჯერ ამ სტატიებსა და რეცენზიებში შემოჩნევა სუბიექტურობის სიჭარბე, ბუნდოვანება, სქემატურობა და სიმშალე. პირველის, ე. ო. სუბიექტურობის სიჭარბის — თვალში საგრძნობ მავალითად მოვიტანთ აქ ერთ ადგილს ზვენი ნიჭიერი და მზარდი კრიტიკოსისა და მწერლის რვაზე მიწველიაძის უაღრესად საყურადღებო ზემოთ ხსენებული წერილიდან: „ახალგაზრდული პოეზია და მოქალაქეობრივი პრობლემატიკა“. მისში, ამ პოეზიის დადებითი ნიშნების დახასიათების შემდეგ, ვკითხულობთ:

„აქვე აუცილებლად უნდა გავხსნათ ხაზი ახალგაზრდული პოეზიის ერთ სერიოზულ ნაკლავებას — მათი ლექსების ფორმის, რიტმისა და არქიტექტონიკის საოცარ მსგავსებას... სკადრთ და განასხვავეთ ერთმანეთისაგან ჩვენი ახალგაზრდა პოეტების ხელწერა. ისინი ერთნაირად, ერთ პანზე (ან თითქმის ერთნაირად და თითქმის ერთ პანზე) უკრავენ პოეზიის თანსმოვან ინსტრუმენტზე. მე ამოვიწერე რამდენიმე მაგალითი ლექსთა საშიში სტილური მსგავსებისა და მინდობა მკითხველისათვის ერთგვარად თავსატეხად წარმედგინა, რათა

მისსავე გუმანს დაედგინა — რომელი სტილი რომელი ახალგაზრდა პოეტის შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ მკითხველს უჭირავს მისწების (და კიდევ სხვა რაღაცას) მკვერთფეფეფეფეფეფეფე რად ის ადგილი ჩემს სტატიამი მე თვითონ ამოვშალე“ (№ 12, გვ. 115).

რვაზე მიწველიაძის სტატიის ეს ადგილი მკითხველს აეჭვებს კრიტიკოსის გულწრფელობასა და ობიექტურობაში და ერთბაშად ანელებს ამ კარგი წერილისაგან მიღებულ საერთო დადებით შთაბეჭდილებას. ვფიქრობთ, არ იყო საჭირო იმის ვამეღავენება და საჯაროდ გამოცხადება, თუ რა სუბიექტივისტიური მოტივით და რა ვარუმოვებით, ვილაყის ან რაღაცის წინაშე რილის ვამო ამოლი აეტრომა ესა თუ ის ადგილი სტატიიდან. ეს წერილის მიღმა მზარბა, აეტრორისა და რედაქციის საიდუმლოება, რასაც ამ შემთხვევაში არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მოითებული ნაკლავების — ახალგაზრდა პოეტების ლექსების ფორმის, რიტმისა და არქიტექტონიკის „საოცარი მსგავსების“ დასამტკიცებლად. ამ ნაკლავებაზე მინიშნება ბოლოს მაინც ლიტონ განცხადებად ჩნება. წერილი, ჩვენი აზრით, ვაცილებით მოიგებდა, თუ მთელი წინადადება დასაწყისიდან „მე ამოვიწერე რამდენიმე მაგალითი“, დასასრულამდე „მე თვითონ ამოვშალე“ სერთოდ ამოშლილი იქნებოდა მისგან ან აღდგენილი იქნებოდა კონკრეტული ფაქტები და მაგალითები.

გურამ კანკავის წერილში „ანა კალანდაძე“ ერთგვან ვკითხულობთ: „ანა კალანდაძის პოეტური მემკვიდრეობის ლოკურ ნაწილს შეადგენს მისი სამოქალაქო ანუ პუბლიცისტური შემართებით აღბეჭდილი ლირიკა, რომელიც ამ ბოლო წლებში საგრძნობლად წინ წამოიწია და კემშარტი პოეტური ვნებანიზმით ხასიათდება“. ამ მთელ კონტექსტში აზრს ახუნდოვანებს ორი სიტყვა „მემკვიდრეობა“ და „ვნებანიზმი“. ანა კალანდაძის პოეტური მემკვიდრეობაზე ლაპარაკი ჭერ ნადრეგია, უფრო ადექვარტური და ვასაველი იქნებოდა ავტორს ესმარა მარტივი და ნათელი ფრანზა „პოეტური შემოქმედების ლოკურ ნაწილს“, ისევე როგორც ნაკლად ფრანზისა „პოეტური ვნებანიზმით“ უმჭობესი იყო ფრანზა „პოეტური მგზნებარებით“.

ეურნალის მერვე ნომრის „წიგნების მიმოხილვის“ ვანყოფინებაში დაბეჭდილია კახა მეზერიშვილის რეცენზია მურმან ლეღანიძის საბავშვო ნაწარმოებების წიგნზე „ოთხი დრო“. ეს წიგნი ამ თვისებური და ნიჭიერი პოეტის რჩეული საბავშვო ლექსების კრებულია, რომლის შესახებ რეცენზიის ეურნალის ერთ გვერდი უჭირავს. საქმე ესემატევიანი მოყვლობის სიმკერტს ამ შეხებად, საქმე ეხება იმას, რომ ამ სიმკერტსთან ერთად რეცენზია ძალზე სქემატური და მშრალია და ვერ იძლევა საჭირო

წარმოდგენას წიგნის იმ ღირსებაზე, რომლებიც მას ახასიათებს. როცა ამა თუ იმ დღებულებს საილუსტრაციოდ პოეტური ნაწარმოებიდან ნიმუში მოგვაქვს, იგი უნდა იყოს მართლაც ყოველმხრივ საუკეთესო. კახა მეზერიშვილი წერს: „მურმან ლებანიძის პოეტური შედარებები უბრალოებით და შთამბეჭდავით გამოირჩევა. საამისოდ მხოლოდ ერთ მავალითს მოვიტანო:

კრახუნავ და ოჯალეშო,
ჩხავერო და იხაბელავ,
შაბიამნით გალუმპულო
საქართველოს ცისა ფერად.
(ლექსიდან „ყურძინს ქება“).

მადლობის მეტი რა გვეთქმის — ასკენის რეცენზენტი მშრალად და უკომენტაროდ. მაგრამ განა მურმან ლებანიძის ქვეშაირი პოეტური შედარებების „შთამბეჭდავას“ მკაფიოდ ნათელყფხვს ეს მავალით, ეს რითმული შეთანხმება — „იხაბელავ“ — „ცისა ფერად“?

ჩვენი სურვილია მეტი დამაჯერებლობა, მეტი არგუმენტირება, მეტი სიხსნად, პრინციპულობა, ობიექტურობა, პოლემიკურობა და პრობლემატურობა ახასიათებდეს ყურნალში მოთავსებულ კრიტიკულ სტატიებსა და რეცენზიებს, საერთოდ ჩვენს კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობას, ჩვენს პუბლიცისტიკას, თუ გვირდა ვანეთორდეს იგი და იქცეს ჩვენი მწერლობის მებრძოლ აენაგარად, მის თანამოსანგრად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სწორად გამოსახვის საქმეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყურნალი „ცისკარში“ უქვევლად არის დაინტერესებული ახალგაზრდა მწერლების პირველი შემოქმედებით ნიმუშების, პირველი წიგნების კრიტიკული შეფასებით. მაგრამ ვასული წლის ნომრების ანალიზი ამავე დროს იმასაც გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით ყურნალის რედაქციას, ჩვენი აზრით, მომავალში უფრო მიზანდასახული, მტიკედ მოფიქრებული გვეგმიერი მუშაობა მართება. წიგნების მიმოხილვისა და საერთოდ კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში ამ ყურნალში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ ახალგაზრდა პოეტებისა და მწერლების პირველი ნაწარმოებების, მათი პირველი წიგნების მიუეკრძაბელო, კვალიფიკატორ რეცენზირებას, მათი შემოქმედების შესახებ განმარტავებელი ხასიათის წერილების გამოქვეყნებას, ჩვენი ლიტერატურის ეროვნული კლასიკური ტრადიციების, ლიტერატურის პარტიულობისა და სოციალისტური რეალისმის პრინციპების დაკვა-ვანეთორებისა და იმ ყალბი, უცხო, ფსევდორეალისტური და მისტერიულ-დრამატური ტენდენციების დაძლევისათვის, რომლებიც ვერ კიდევ შეინიშნება ჩვენი ლიტერატურის

რის მომავალი იმედის — ჩვენი ახალგაზრდა თაობის შემოქმედებაში.

ზემოთ ჩვენ დაეახებლეთ „სმის რამდენიმე კარგი მავალით, მაგრამ, „ვეფხისტყაოსნის“ სტილითა რიცხვი შედარებით მაინც მცირეა და მეტწილად საპირო შეზღიანების გარეშე რჩება ბევრი ნივთიერი ახალგაზრდა მწერლის გამოჩენილი ტერატურულ სარბიელზე. განა ამას არ იმსახურებს „ცისკარში“ აღრე გამოქვეყნებული თამაზ ბიბილურის ნოველები? განა ამას არ იმსახურებს ნოდარ წულუკიანის, თამაზ ნატროშვილის და სხვათა პირველი ნაწარმოებები? რატომ არ შეიძლება, მავალითად, რედაქციამ თვითონ მიმართოს კრიტიკოსს თხოვნით გამოთქვას თვისი აზრი თვით რედაქციის მიერ შერჩეულ ამა თუ იმ პირველ მხატვრულ წიგნზე, პირველ ავტორზე? ასეთი ტრადიცია არსებობდა წინათ და იგი უნდა აღდგეს. მაგრამ იგი უნდა აღდგეს შესაფერის ლიტერატურულ ატმოსფეროში რედაქციის უარესი ობიექტურობის, კრიტიკული აზრის დაფასებისა და მისდამი მეტი პატივისცემის ნიშნით. ამისათვის კი თვით კრიტიკული აზრი უნდა ამაღლდეს, თვით ის უნდა იქცეს დაფასებისა და პატივისცემის ღირსად.

ახლანდელ ვითარებაში, ყურნალ-გაზეთებში მოთავსებული ზოგიერთი კრიტიკული მასალის მიხედვით, მკითხველს გზა-კვალი ენებვა, ძნელი გასარჩევი ხდება „რა არის კარგი და რა არის ცელი“ ჩვენს მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ჩვენი შეუზოგარი და მებრძოლი ბუნების საკმაოდ ცნობილი მწერალი რევაზ ჯაფარიძე მოუთითებდა „ცისკარის“ ანკეტებზე გაცემულ პასუხში, „ქართულმა კრიტიკამ უნდა იპოვოს დაკარგული კრიტიკიუმი მხატვრული ქმინების შეფასებისა და კვლავ იქცეს საზოგადოებრივი აზრის გამომხატველად“. ამას მოითხოვს მკითხველთა ფართო მასებში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში „მხატვრული გემოვნების შემუშავების, დახვეწისა და სრულყოფის ინტერესები“. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თელი დაეაღწევეთ ვიწრო ეგოცენტრიზმს და ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პერსპექტივას შევხედეთ ქვეშაირი პარტიუტული გრძნობით, მოქალაქეობრივი კეთილსინდისეგრებითა და, როგორც რევაზ ჯაფარიძე აღნიშნავდა, „თანამდებობრივი რანგებისადმი“ განურჩეველი მიუდგომლობით. ნიქისა და სწრო-მის მიხედვით აღამაინს დაფასება და საზოგადოებრივი აღიარება უნდა იქცეს ჩვენი ცხოვრების ასეთივე კანონზომიერებად, როგორც საზოგადოებრივი დოვლათისა და სიკეთის თანაბარი განაწილება საზოგადოების წევრთა შორის.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის საგულისხმო ფაქტი, რომ ვასული წელს „ცის-

კარმა“ შემოიღო „სადისკუსიო ტრიბუნა“, რომლის რუბრიკის ქვეშ მის ფურცლებზე გაიშალა ცხარე კამათი თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე. არლი თაყაიშვილის წერილს „ენა ძველი, ენა ახალი“ (№ 4) მოყვა რევანთვარაძის „მათ შესაძლებლობებზე სეპტიკურად უზრუნველ დასტურის“, (№ 6), ბაჩანა ბრეგვაძის „მცდარი თვალსაზრისი“, (№ 7), თვით არლი თაყაიშვილის „მე ვყოვარ ეამ დაფინებით“, (№ 8) და ზეიად გამსახურდიას „ა. თაყაიშვილის „ენა ძველი, ენა ახალი“, (№ 12) წერილები. ეს კამათი ჭკად დამთავრებული არ არის და რედაქცია, აღბათ, თავის დროზე შეაჯამებს მას. თავისთავად ასეთი ტრიბუნის შემოღება აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის ყურნალის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი საზოგადოება თითქოს გადაიჩვია აზრთა შეხლამეზობლას, კამათს, დისკუსიას, ამის გამო ზოგჯერ გასავალს პოულობს ყველაფერზე „ხელის ჩაქნევისა“ და „უველაფრის წინაშე“ თვალის დახუჭვის ობიექტური განწყობილებანი. ზოგჯერ გულწრფელი, საქმის ინტერესებით ნაკარნახევი, გაბედული და მართალი გამოსვლა პრესაში თუ სხლამებზე ამა თუ იმ უმსკავსოების, ამა თუ იმ სიყალბის, ამა თუ იმ უღირსი დისერტაციის გამო, მისი აღმოფხვრისა და გამოსწორებისათვის, გარკვეულ წრეებში იწვევს არაჩანსად რეაგირებას, უცნაურ და უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას, თვით პიროვნების ღირსების შეზღაღვასა და შელაზვამდეც კი. ერთიანი საზოგადოებრივი მორალი ნაკლებად უპირისპირდება იმ მოძალებულ ხალხურას, რაც მწვავედ იგრძნობა ჩვენი სამეცნიერო და სალიტერატურო ცხოვრების განსაკუთრებით უკანასკნელი წლების პრაქტიკაში.

ამიტომ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე შემოჭმედებითი დისკუსიების გაჩაღება, მათი ეთიკურად, შემოჭმედითი ვიზმის გაჩემე წარმართვა და გამსკვეტლქმამალი საზოგადოებრივი ინტერესებით დიდად შეუწყობს ხელს საერთო ლიტერატურულ და საერთო საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებასა და ჩვენს შემდგომ წინსვლას დასახელი დიადი მიზნისაკენ — ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის ასაშენებლად.

მხატვრული და კრიტიკული პროდუქციის იდეურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციის კიდევ უფრო განმტკიცება, მასუხისმგებლობისა და მომთხვენელობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ეროვნულ-ინტერნაციონალური შეგნებულობის განუწყვეტელი ამაღლება — თი რა უნდა იქცეს ერთნად „ცისკარის“ შემდგომი მოქმედების ერთ-ერთ უპირველეს დევიზად, რადგან იგი უპირველესად ახალგაზრდობის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივი-პოლიტიკური აღზრდის დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს ემსახურება. უოველი ახალი თაობის აღზრდა კი ჩვენი მუდამ ზდებოდა პატრიოტიზმის, სიმართლისა და პატიოსნების საუკუნეებში გამობრძმედილი პრინციპებით. ასე უნდა ვაგრძელდეს იგი შემდგომშიც. ჩვენი მწერლობა და ლიტერატურული კრიტიკა, მისი ახალგაზრდა თაობა თუ „ძველი გვარდია“, მოვალეა განაწყოს ჩვენი საზოგადოება მთელი არსებით ქართველი ხალხის ამ ისტორიულად ჩამოყალიბებული, უძვირფასესი და უკეთილშობილესი თვისებებისაკენ.

დავ, „ცისკარი“ ცისკარივით ანათებდეს ჩვენს ლიტერატურულ არემარშიში.

ლიბიგრი ირვაპილი

კომედლის ჰანრობრივი სავციფიკის ზოზიერთი საკითხი

კომედლის სპეციფიკის განმსაზღვრელ საკითხებს შორის ერთობ საყურადღებოა კომედლიური დადებითი პერსონაჟის საკითხი და ჩვენც ამაზე მსჯელობით უნდა დაეწყოთ.

კომედიაში გამოხატულ დადებით გმირებად ბევრჯერ მიიჩნევენ ამ ქანრის ნაწარმოებთა მხოლოდ ასეთ პერსონაჟებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან თავიანთი წესრიგინაობით, სერიალულობითა და უარყოფითადმი შტრობით.

ამგვარ პერსონაჟს ან პერსონაჟებს ვხვდებით როგორც რუსი, ისე ქართველი და სხვა საბჭოთა დამატურგების მეტწილ კომედიებში. ვ. რომანოვის „საეროვან ღვეზელში“, მაგალითად, ასეთები არიან გუსაკოვი და კრიშკინი, პ. კაპაძის „უვარუვარე თუთაბერში“ — სევასტი და გულთაშე, შ. დადიანის „კაქალ გულში“ — ჭალარა, „უწა-უწაში“ — გრამიტონი, ვანია და სხვ.

ლიტერატურის ბევრი კრიტიკოსი და მკვლევარი აღნიშნავენ, რომ კომედიაში ასეთი ვ. წ. დადებითი პერსონაჟებისა თუ გმირების გამოხატვა მოკლებულია საჭირო ეფექტს. „დადებითი გმირები სტეპანტონი, უინტერესონი არიან“. ამ სიტყვებს ზნირად წაეთხივთ წერალებში, გამოკვლევაში, წიგნებში, რომლებიც ეხება თანამედროვე დრამატურგთა ბევრ სანაქებო კომედიებსაც კი.

ყველაფერი ეს სწორია. კომედლის ასეთი დადებითი გმირები თუ პერსონაჟები, მართლაც, ვერ იმსახურებენ მკითხველისა და მსურველის ინტერესს. ნაწარმოებში ისინი ძალიან მკრთალად არიან წარმოსახულნი. ეს, ბევრ შემთხვევაში, იმით კი არ აიხსნება, რომ კომედიოგრაფმა თითქმის ჭეროვანი უტრადლება და ისტატიობა არ მოაწოდო მათს მხატვრულ სრულყოფას. ამას თავისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ობიექტური მიზეზები აქვს რომელთაგან ჩვენ ზოგს დაემახლება.

საქმე ის არის, რომ ისეთი დადებითი გმირები, როგორებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ნაკლებად შეეფერებიან, ან სრულებით არ შეეფერებიან კომედლის ბუნებას, ისინი დრამატული გმირები არიან და კომედიაში შემთხვევით მოხვედრილ „უცხო პირებს“ ჰგვანან. ასეთი პერსონაჟები ჩართული არ არიან, არ მონაწილეობენ კომედლით ნაჩვენებ ძირითად მოქმედებაში, ისინი ამ მოქმედების გარეთ დგანან. კიდევ მეტად: ისინი, მეტწილად, ამ მოქმედების გაშლავანიითარებას კი არ უწყობენ ხელს, არამედ — აღკვეთას. დავაკვირდეთ სევასტის („უვარუვარე თუთაბერი“). ამ კომედლის მოქმედების ცენტრში ნაყარქვეთა ყვარუვარე, სევასტი კი ამ მოქმედების იქით, კულსებშია, და სანამ სევასტი ასე „მიშალულია“, კომიკური მოქმედებაც ზედამავლურად ვითარდება. მაშინ კი, როცა იგი მსურველის წინაშე გამოდის და მოქმედებაში ერევა, აღნიშნული მოქმედება ჯერ ხასიათს იცვლის — კომიკურიდან დრამატულში გადადის, შემდეგ კი სულაც თავდება (მეიხსს დინალი). „უვარუვარე თუთაბერის“ უკანასკნელ სურათში სევასტი გამარჯვებული რევოლუციური მანების წარმომადგენლად გვევლინება. იგი ერთბაშად ახერხებს ალაგმოს ჭკუანაკლები ნაყარქვეთა, ბოლო მოუღოს მის ანტიხალტურ მოქმედებას, რომლის დაწყების საბაზი ერთ დროს თავისდაუნებურად თვითონვე გახდა, და, ამასთან, ფარდაც ეშვება.

ზედმოწვევით ანალოგიურია ძველი რევოლუციონერისა და მეტივე კომუნისტის ჭალარას ადგილი შ. დადიანის „კაქალ-გულში“.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ასეთი გმირები იქ აბორციალებენ გადამწყვეტ მოქმედებას, სადაც ყველაფერი უნდა დასრულდეს. უფრო მართებულად რომ ითქვას, მათი გამოჩენა სწორედ იმის ნიშნია, რომ ყველაფერი უნდა დამთავრდეს. ამიტომაც გამოცდილი კომედიოგრაფები ასეთ პერსონაჟებს დიდხანს ტოვებენ ქუ-

ლისებში და მხოლოდ ბოლოს შემოიყვანენ ხოლმე სტენაზე.

მაგრამ ზოგ კომედიაგრაფს ასეთი უნაკლო და უცოდველი დრამატული პერსონაჟი პიესის დასაწყისშივე შემოჰყავს, რასაც შედეგად კომიკური ელემენტის დასუსტება მოსდევს. აი, რა ხდება, მაგალიად, ე. პატარაის „უჩა უჩარდიანი“: დადებითი გმირმა უჩა უჩარდიამ მოქმედების სადავეები თავიდანვე ხელოდან გამოსტაცა კომიკურ პერსონაჟებს. უველა, ვინც ბრწყინვალე მოქმედებით სიცილს აღძრავდა, მან „კუპაზე მოიყვანა“, თვითურთ ზარბაზს შრომა შეაყვარა (ეს უველაფერი დაუბრკოლებლად შეძლო) და ამბოვად პიესაში ვაშლილი ვითარება უფრო დრამატული აღმოჩნდა, ვიდრე კომიკური.

ამგვარი, დრამატურგები, რომლებიც კომედიაში არასასაცილო დადებითი პერსონაჟის წარმოსახვის საჭიროებას სცნობენ, იძულებული არიან ან კომედური მოქმედების შეუზღუდავი განვითარება მოვეცენ და ამასთან დაეკუთვნებიან შეავიწროვონ არასასაცილო დადებითი გმირთა სარბიელი, დიდხანს ამყოფონ ასეთი გმირები კულისებში, ე. ი. წარმოადგინონ ისინი ძირითადი კომიკური მოქმედების გარეთ ან ასეთი გმირები ფართოდ აჩვენონ, მთავარი ადგილი დაუთმონ მათ და ამის ხარჯზე დაასუსტონ კომიკური ელემენტი.

კომედიის ქანობრივი ინტერესებისათვის დრამატურგთა უმრავლესობა არასასაცილო დადებითი პერსონაჟებს ერთიანად მოქმედებისაგან მოწყვეტულად აჩვენებს. მაგრამ ეს მწერალს შესაძლებლობას ათმუებს მაღალმხატვრულად გამოხატოს, მიმზიდველად დახასიათოს გმირი, მისი ცხოვრება ემოციური ფერებით გადაავიშალოს. კომიკური მოქმედების გარეთ დატოვებული, ერთობ ეპიზოდურად წარმოდგენილი დადებითი პერსონაჟები შეზღუდნილი გარემოების შედეგად პიესის ზეცხად უსიციოცხლო და უფერულ ფერებზედ იქცევიან.

ყოველი ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, გვაძლევს ვთქვათ, რომ აღნიშნული დადებითი გმირები თუ პერსონაჟები აუცილებელი არ არიან კომედიაში. კომედიაში ასეთი გმირების გამოყვანა არათუ არ არის აუცილებელი, ზედმეტად კია, ვინაიდან ისინი ჭკრი ერთი, ზომიერი იმედი არიან ნაწარმოებთა ასახული ძირითადი მოქმედებიდან, ხელს არ უწყობენ ამ მოქმედების განვითარებას, და მეორეც, ჩვენს მიერ დასახელებული მიზეზების გამო მაღალმხატვრულად არ არიან წარმოდგენილი.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, თითქმის კომედიაში საერთოდ არ უნდა იყოს დადებითი პერსონაჟი? ამ კითხვის ერთადერთი პასუხია: არა!

რა თქმა უნდა, კარგი კომედია შეიძლება ისეც დაიწეროს, რომ მასში დადებითი გმირი „ნათობს“, 14 5.

არ არ იყოს. ამას გარკვევით გვიდასტურებს კლასიკური კომედიაგრაფიის დამამშვენებელი ნ. გოგოლის „რევიზორი“, სტეფიუ-კობილინის „ტარელკინის სიყვლილი“, გე. ვლასოვს „კაპიტანი“, ა. ოსტროვსკის „შინაურები ვართ, მოვრიგდებით“ და სხვ. უარყოფითი სასაცილო პერსონაჟების ერთობლივ მოქმედებაზე აგებული ნ. ტრდმანის კომედია „მანდატი“, რომელიც რევოლუციის შემდგომი წლების რუსეთის სინამდვილეს ასახავს. არც თუ დიდი ხნის წინათ სერგეი მიხალკოვმა დაწერა და მრავალმა თეატრმა დადგა პიესა „კობოები“. მასში დადებითი გმირების მოქმედება გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ამის გამო აღნიშნული ნაწარმოები მწვერუბელს როდეს დაუწევია.

დადებითი გმირი და პერსონაჟი კომედიაში სასურველია და შეიძლება კიდევ გამოიხატოს. მაგრამ ისინი აქ იმ სახით კი არ უნდა გამოიხატოს, როგორც დრამაში ან სხვა ფორმის ნაწარმოებში, არამედ თავისებურად, ასე, როგორც ამს კომედიის ქანობრივი სპეციფიკა მოითხოვს.

კომედიის ქანობრივი სპეციფიკის მოთხოვნა კი შემდეგი უმთავრესი გარემოებებით განისაზღვრება:

პირველი: კომედია სიცილის გამოწვევი ნაწარმოებია. მისი წაყობვა ან სტენაზე წარმოდგენილის ნახვა ადამიანის სიცილისათვის გააწაყობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომედიით წარმოქმნილი ყოველგვარი (დადებითი ან უარყოფითი ხასიათის) ემოცია და შთაბეჭდილება სიცილის სახით იჩენს თავს. ეს კი იწინას, რომ კომედია სასაცილო ამსახველი იქნას.

მეორე: კომედიაში აღსახება ნაყოლიანი ადამიანი და მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც ეს ნაყოლიანება შეიძლება სასაცილო იყოს. „კომედია, — წერს არისტოტელე — არის ასახვა მძარე ადამიანებისა... არა მთელი მათი სიანვის მიხედვით, არამედ სასაცილო მხარეების მიხედვით“.

იმ ნაყოლიანების მიხედვით, რის გამოც კომედიაში გამოხატული ადამიანი ან მდგომარეობა სასაცილოა, კომედიის გმირს ზოგჯერ უარყოფითი უწოდებენ, მაგრამ ასეთი განსაზღვრა მთლიანად გასაზარებელი როდია. იგი სათანადო დაყენებებს საჭიროებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარვყოფთ, რომ კომედიაში ასახული ბევრი სასაცილო ადამიანი და მდგომარეობა უარყოფითი-სასაცილოა. ასეთია, თუ ვნებათ, შილოკი შექსპირის „ენეიდეელ ვაჰარში“, ტარტუფი — მოლოერის „ტარტუფიში“, ფანსოგი — გრამბოვლინის კომედიაში, სტოპნიკი-დმუხანოვსკი — ნ. გოგოლის „რევიზორში“, ბოლშოვი, პოდხალიუზინი — ა.

1 არისტოტელე, პოეტკა, თბილისი, 1944, გვ. 12.

ოსტროვსკის კომედიაში — „შინაურები ვართ, მოერგდებით“, ვრწვანოლი — შ. დადიანის „გვმინდელნი“, რაჟი და სხვანი ვ. რომანოვის „პაეროვან ლეზელში“, ყვარყვარ თუთახური, ზარბიტონი, ლაბიანე ავალქვალინი, ბახტანგ ხანი მ. კავაბაძის კომედიაში, ლათიანე კ. ბუაჩიძის პიესაში — „ეზოში ავი ძალა“, ყველა ესენი სასაცილო-უარყოფითი, უღრესი და ადამიანები, საყოფილოად მიღებულ საზოგადოებრივ და მორალურ კანონთა საშიში მოწინააღმდეგენი არიან, რომელთა შინაგანი სტიქია „ავის ქნა“ და ბოროტმოქმედებაა. უარყოფითი თვისებები ამ ადამიანთა ხასიათის ძირითადი მხარეა და არ მდგომარეობას და ბოროტებშიც არ უნდა აღმოჩნდნენ ისინი, აღზაბი, მტენაკლები ზომიერებით მუდამ გამოიჩინენ სიკეთის საწინააღმდეგო მიდრეკილებას.

მაგრამ კომედიაში ისეთ უცუთურ ადამიანებთან ერთად, ვისთვისაც ბოროტმოქმედება და მასთან დაკავშირებული სასაცილო შარბები და ფაუტარები აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია, არც თუ იშვიათად გვხვდება კეთილი ნებასურვილის მქონე გმირები, რომლებიც, მთვან ნაკლებად დამოკიდებულ ვაუგებრობის გამო, შემთხვევითი და შეუღობით ჩავარდნილან სასაცილო მდგომარეობაში.

კომედიაში ზნორად ისეთ გმირთან გვაქვს საქმე, რომელიც მარტო კეთილი კი არ არის, არამედ იბრძვის კადეც სიკეთისათვის, ებრძვის ავსა და სიავეს, ბოროტსა და ბოროტებს. ასეთი გმირი ზოგჯერ ზუსტად ვერ იცავს მოცემული პირობების შესაფერის ტაქტს, ჩქარობს, მოუთმინლობას იჩენს, ვაუგებრობაში ვარდება, და ამის გამო სასაცილოც ხდება. ასეთია მსოფლიოში სახელგანთქმული სერვანტესის ღონ-კობოტი, ტელაში (ლესინგის კომედია „შინა ფონ ბარნჰელში“), ჩაკო (გრამოვლოვის „გვი კუეისანგანი“), პიგინი (ბერნარდ შოუს „პიგმლონი“).

გმირები, რომლებიც ზემოთ ნამოვთვალეთ, უარყოფითი როლი არიან. პირიქით: სრულიად გაბედულად შეიძლება ისინი დადებით გმირებადაც კი მოვიხსენიოთ.

სიმაართე რომ ითქვას, კომედიის დადებითი გმირი სწორედ ასეთი უნდა იყოს: პრაგრესული მისწრაფებების მქონე, სოციალური სამართლიანობისა და სიკეთისათვის შეზღობილი და იმევე დროს ოდნევე სასაცილოც იმ უნებური ვაუგებრობებისა და შეცდომების გამო, რაც მას თავისი კეთილშობილური მიზნებისათვის ბრძოლაში მოსდის.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით იგივე ღონ-კობოტი. იგი ზომი თავისი დროის უცუთილშობილესი ადამიანია, ჩავრლთა თავგამოდებელი მოსარჩლეა! მაგრამ ისიც ნამდვილია, რომ რაინდული ფანტასტიკური ლიტერატურის კითხვით გაბრუნებულმა და გზავალაზნებულმა ამ

ლაშინგლმა აზნაურმა ბოროტებთან ზრპობის მიზანშეუწონელი გზა არჩია. ღონ-კობოტმა ვერ შეძლო თავისი შემანერქმეშტეშეშეშე განხორციელებისათვის უფრო უგრძობეშტეშტეშეშეშე და ეფექტური საშუალებების მოძახევა. კაცმა რომ თქვას, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების იმ ეტაპზე და იმ პირობებში, რომელშიც ღონ-კობოტი და მის ერთგულ მებარქვე საწინაპარის უხდელბადი არსებობა, ასეთ საშუალებათა მოძახევა არც იყო შესაძლებელი. ღონ-კობოტი მარცხდება. ამის გამო მკითხველი დასკანის ლამინგელ რანდს, მავრამ, იმევე დროს, დიდად აფასებს და პატივის სცემს მის კაცთმოყვარულ გიტაცებას, სიკეთისაყენ სწრაფებას.

ღონ-კობოტი სასაცილო, ნაკლოვანი გმირია, მაგრამ უარყოფითი არ არის. სერვანტესის რამანში ლამინგელი თავისი დროის ყველაზე მოწინავე, ქუშანურ იდეალებს განასახორებს და, თუმცა წარუმატებლად იბრძვის ამ იდეალებისათვის, მაინც დადებითია.

სერვანტესის უცუდავი ნაწარმოების გმირის სახელს უწოდებენ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ერთპიროვნულად ამხედრებულ კეთილშობილ ადამიანებს. ასეთად მიჩნეულია გრაბოუდოვის კომედიის („გვი კუეისანგანი“) გმირი ჩაკო. იგი თავისი დროის მოწინავე, დიდი ინტელექტის მქონე ახალგაზრდა კაცია, ყოველზე ეს მელანდება კადეც პიესით წარმოჩენილ მოქმედებაში. ფაშუსოვის სახლ-კარში გამეფებელი ატმოსფეროს მიმართ ჩაკო შეუთრეგებელ ოპოზიციურ დამოკიდებულებაშია. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელსაც ასახავს „გვი კუეისანგანი“, გმიროდოვის გმირმა მთლიანად დაიხლად ვერ შეხვდა შექმნილ ვითარებას. მან გულბრწყილობა, მიაპიტობა გამოიჩინა და მისთვის საძლეველი ადამიანების საწყაროში სიყვარულს დაუწყო ძებნა. ამას კი ის მოჰყვა, რომ ჩაკო უაღრესად მტკიანეული შეურაცხყოფის ობიექტად იქცა. მაგრამ იგი დადებითი გმირია, რომელსაც ავტორი მარჯვედ უხამებს საერთო კომიკურ სიტუაციებს და კომედირ ასპექტში გამოატაებს მას.

როგორც ჩვენს მიერ დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, კომედიის დადებით პერსონალებად შეიძლება მოვიჩინოთ კომიკურ ასპექტში გამოხატული კეთილშობილური მიდრეკილების ადამიანები; ადამიანები, რომლებიც უბრძვიანი და ახ ურიგდებიან უარყოფითს. მაგრამ ამ ბრძოლის დროს ზედმეტი აქტიუბულობის გამო მათ მოსდით დროებითი, არაარსებითი ზარბათის შეცდომები და მკითხველსა თუ მავრებელს სიცილს ჰვერია.

როცა ამას აღვნიშნავთ, ქართველი დრამატურგის შ. ბარათაშვილის კომედია „ქრაპინა“ გვახსენდება. ამ კომედიაში საყვარე პოპულარო-

ბა მოაბოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

დადებითი გმირის გამოხატვის თვალსაზრისით „პროკინა“ უდაოდ ღირსია განსაკუთრებულ ინტერესსა. ამ ნაწარმოებში ასახული მოქმედების შინაარსში მთავარი მნიშვნელობა აქვს საშუალო სკოლის ახლადურს-დამთავრებული სოფლელი გოგონას მარინე ფერაძის ცხოვრების ფართო შარავზე გამოსავლელ ცდებს და მის შეცდომებს, მარცხებს, სინანულს, უკუხვლუბს. ასეთი ვითარების ფონზე მარინე-პროკინას პიროვნებაში, მის სულში ერთი მხრივ ერთმანეთს დაუპირისპირდა უქმი დროსტარების საყმაწვილო განწყობილებანი, და, მეორე მხრივ, ცხოვრების სერიოზული მოწოდებები. გმირი მეტისმეტად ანცია, თითქმის ქაჩაყმეტაა, ზედმეტად თამბაქო სიმძლეა წინაშე. ასეთი ვითარებაში ატარებს მარინე თავისი ქალიშვილური ყვავილობის დღეებს, და ამასობაში ცხოვრება მისგან მეტ დაფიქრებას, სიბევეითეს, გარჯას მოითხოვს. ამ მოთხოვნათა უგულვებელყოფას შედეგად მოკვება წაფორბილებები, რის გამოც პროკინა სასაცილო მდგომარეობაში ჩაყარდა.

მარინე-პროკინა დინამიკური, შინაგანი ენერჯითი აღსავეს საბე-ხასიათია, და ეს იმით იჩენს თავს, რომ სასაცილო ფაფრეკებით საგონებელში ჩაყარდნისი გმირი კრიტიკულად აფასებს თავის ქცევას. ის იძულებულია გადამსწრის ცხოვრებისადმი საკუთარი დამოკიდებულება, იძულებულია გამოსწორებას და სერიოზული ადამიანის გულსყურით გაუსწოროს თვალი მომავალს, რომელიც ერთსა და იმავე დროს განსაცდელსაც უქადის და გამარჯვებულსაც პირდება.

პერსონაჟები, რომელთაც ჩვენ ასე საგანგებოდ შევხებით, კომედიისათვის ნიშანდობლივი წარმოსახვით ხასიათდებიან, ე. ი. თვითველი მათგანი სასაცილოა, მაგრამ ისინი უარყოფითი თვისებების, სიავისა და ბოროტ-მოქმედების გამო როდი არიან სასაცილონი. უარყოფითი თვისებები, სიავე მათ შეიძლება ვერც ვუპოვეთ. პირიქით, მათ უარყოფითის, სიავის საწინააღმდეგო მიდრეკილებები აქვთ. უფრო მეტი: ზოგი მათგანი ებრძვის კიდევ ამა თუ იმ სიავს. სასაცილონი ეს ადამიანები უმთავრესად ცალკეული, შემთხვევითი, ზოგჯერ უნებური შეცდომის გამო არიან. ეს არ არის შეუწყნარებელი, მორტავებული შეცდომა. მას განააზღვრული მნიშვნელობა არ ენიჭება ადამიანის შეფასებისას. ეს ისეთი შეცდომაა, რომელიც ვერ ბღალავს კაცის ღირსებას და შეიძლება ყველას ადვილად ემატიოს.

კომედორ ასპექტში გამოხატულ დადებით გმირთა სხვა ქვეყნს უნდა მივაუთვნოთ კომედიის ისეთი მოქმედი პირები, რომლებიც

დადებითი პოზიციებიდან სიცილის მარჯვენებით უპირისპირდებიან და ებრძვიან უარყოფით-სასაცილოს. ესენი მზიარული, შარვედამიანები არიან, თავიანთი მოტივებულაბით ხელს რომ უწყობენ უარყოფითის გამასხარავებას. ასეთი ნიშნით ერთი მეორის გვერდით შეიძლება დააყენოთ შექსპირის პორტია („ვენციელი ვეპარი“); ბოპარშეს ფიგარო („ფიგაროს ქორწინება“); ჩვენ ვიცით, რომ „ვენციელი ვეპარი“ პერსონაჟმა შაილოკმა კეთილშობილი ანტონიოსის შესამსრავად მოქმეული მახვილი თვითონვე მოიხვედრა და თავისთავს საბედისწერო ზიანი მიყენა. მაგრამ შაილოკს ასეთი მარცხი შეიძლება არც მოსელოდა. მის საქმეში ახლადბრ-და კეთილშობილი გოგონა პორტია რომ არ ჩატეულიყო, მან, მსაქელის ტანაცულებში გამოწყობილმა ქალიშვილმა, აქობა ავკაცობით თავბრუდახვეულ ებრავლ ჩარჩს. შაილოკის ინტრიგა მათ თვით შაილოკისავე დასაზიანებლად წარმართა, ხელი შეუწყო მისი სიავის დამახასიათებელი წინააღმდეგობრივი მომენტების გამოვლინებას. შაილოკი დამარცხებულია, მაგრამ, ამასთან ერთად, უკიდურესად დამიკრებულია, გათახირებულია, ენაიდან ამ შემთხვევაში მას ვეკავება ანტონიოსმა კი არ აქობა, არამედ სუსტმა ქალმა (ანტონიოსს რომ იგივე ვაცუთებინა შაილოკის წინააღმდეგ, რაც პორტიამ გააყეთა, მაშინ პიესით ასახულ ვითარებას იმდენი კომიკური ეფექტი როდღა ექნებოდა).

ადამიანური სიავისა და სიბრვივის წინააღმდეგ უფრო ენერჯიული კომიკური და ამავე დროს დადებითი მოქმედებით წარმოვიდგებთ ბოპარშეს კომედიის პერსონაჟი — ფიგარო.

ქართული ლიტერატურული სინამდვილე ოდითგანვე ხასიათდება ასეთი კომიკური დადებითი გმირის გამოხატვით. „ნაკარქეკია“ ამის დამადასტურებელი საუკეთესო ნიმუშია. აღნიშნული ზღაპრის მთავარი გმირი, ფიზიკურად სუსტი კაცი, ადამიანური გონება-მახვილობის დიდ შესაძლებლობებს რომ გამოხატავს, ებრძვის და ამარტებს ბუმბუკაზღვეებს. რომლებიც ადამიანთა მოდგმის სამტრო ძალმომრეობას განასახიერებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბრძოლა თავიდან ბოლომდე კომიკურ ასპექტში მიმდინარეობს და ვითარდება. დევების უსაზომი ღონის ნაკარქეკია თავის მოხერხებულობას უპირისპირებს. საკუთარი სისუსტისა და მარცხის მამვენებელი ფაქტებით იგი თავის ძლიერებას ამტკიცებს.

სწორედ ამგვარ ვითარებაში თავს იჩენს შეუსაბამოა, რაც კომიზმის შექვიდარ საფუძველს ქმნის; ერთი მხრივ, ნაკარქეკია თავისი ფიზიკური სისუსტისათვის შეუფერებელ გამბედაობას იჩენს, ხოლო მეორე მხრივ, დევები

მათი სიძლიერის შეუფერებელ შიშს ეძლევიან. ნაცარქექია სასაცილო მდგომარეობაში იგდებს დღეებს, ხელს წყუობს მათი შინაგანი სასუსტის გამოღონებას და ამით თვითონ, თუმცა ბრძოლის მიღამ მოსაწონ ხერხებს არ იყენებს (იტყუება), სიმშაობის მიხედვით ადგვიძრავს. ის ამის ღირსიც არის, ნაცარქექია ხომ აღმართა მოვლემის სახელით იბრძვის და იმარჯვებს ბოროტ ძალებზე.

უარყოფითისადმი ნაცარქექიასებური კომიკური დამირისპირების ანარაკული გარკვევით ხანს ხახულის ხასიათსა და მოქმედებაში (პ. კაბაძის „კომედიურის ქორწინება“). ეს განსაკუთრებით ვლინდება ყოფილ ბატონთან, მანუჩართან ხახულის შეხედურის სცენებში. ეს სოციალურ ნადავზე დაპირისპირებულ ძალთა განხეთქილების, შეჭაბვის ამსახველი სცენებია, სადა ხახული, როგორც ბრალმდებელი, თანდათან იზრდება, ძალასა და მზნობას იძენს, ხოლო მანუჩარი კი, მისი თავდასხმის ობიექტი — სასაცილოდ ბატარაედება, ნაჭუჭში ძვრება და იმალება.

კომედით ასახული ყველაწიერი მოქმედების გამოვლენისათვის, შეტწილ შემთხვევებში, საფუძვლად უდევს უარყოფითი ან ნაკლები გვირისა და მოვლენისადმი ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება. როგორც დღევანდელ, უარყოფითისადმი თავის ასეთ კრიტიკულ დამოკიდებულებას დრამატურგი ხშირად დადებითი კომედიური გვირგვის მეშვეობით გამოხატავს. კომედიის დადებითი გვირი, ავტორის იდეალებს შესაბამისად რომ მოქმედებს, კრიტიკულად აფასებს უარყოფითს, ამხელს მის სამარცხვინო მხარეებს, იცინის და სხვასაც აცინებს მასზე.

აღნიშნული ვითარება გარკვევით დასტურდება თათქმის ყველა წაწარმოებში, რომელიც კი ზემოთ მოვიხსენიეთ და განვიხილეთ, მაგრამ იმავე პიესებში ჩვენ კიდევ ერთ საინტერესო მომენტს შევნიშნავთ, რომელზეც ჯერ კიდევ არაფერი გვითქვამს: კომედიურ ასპექტში გამოხატული დადებითი პერსონაჟები, სწორედ ისინი, ვისი მოქმედება და ხასიათიც უარყოფითს დასაცინად წარმოგვიდგენს, უარყოფითისადმი ავტორის კრიტიკულ დამოკიდებულებას განასახიერებენ, ზოგჯერ საკუთარ თავსაც არ ინდობენ, საკუთარ ნაკლოვანებებსაც ამხილებენ ე. ი. თვითკრიტიკულ მიდრეკილებებს ამჟღავნებენ.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში დადებითი კომედიური პერსონაჟის ამგვარი მიდრეკილებები ერთობ საგრძნობია მ. ბარათაშვილის „პრინცესაში“. ყველაზე მეტად კი ამ მხრივ უროდლებას იპყრობს ნოღარ დუშბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ზურიცლა, მისი ბებია, მუზობელ-მეგობრები ილიკო და ილა-

რიონი სრულიად სხვადასხვა, განკუთრებული თვისების ხასიათებია, მაგრამ ერთი რამით ისინი ძალზე ჰგავან ერთმანეთს: ერთნაირად მხარართო ადამიანები არიან, სიცილია ყოველი მათგანის ღირსება და სიმდიდრე. სიცილი მათი ცხოვრების ერთგული მეგობრია. ისინი სხვებზე იცინიან; იმათზე, ვინც ამის ღირსია, მაგრამ ზურიცლაც, ბებიაც, ილიკოც და ილარიონიც ბუერს იცინიან საკუთარ თავზეც და ამით თითქოს საკუთარ გავირეცებაზე მალა დგებიან. სიცილით ისინი ძალს, მზნობას იძენენ საკუთარ დარღვევებთან გასამკლავებლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ:

1. თანამედროვე კომედიებში დადებითი მოქმედი პირის ფუნქციით გამოხატული, უარყოფითი ძალებთან დაპირისპირებელი, არასასაცილო პერსონაჟები ხშირ შემთხვევაში მეტანიჭურად არიან გადმოტანილი დრამიდან ან ტრაგედიიდან და არ შეესაბამებიან კომედიის ქანობრივ სპეციფიკას. ასეთი პერსონაჟები კომედით ასახული მოქმედების გარეუღვანს, ამ მოქმედების განვითარების მეტანიჭის აუცილებელ ნაწილებად არ ჩაითვლებიან და არც მხატვრული ღირსებით არიან სინტერესონი.

2. კომედიაში, ამ ქანის დამახასიათებელი სპეციფიკის გამო, დადებით პერსონაჟად შეიძლება მივიჩნიოთ უარყოფითის წინააღმდეგ მებრძოლი, მაღალმხატვრულად წარმოსახული პირი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი პერსონაჟი, თავისი კეთილშობილური მოქმედების დროს, ზოგჯერ დასახული მიზნის შეუფერებლად იქცევა, ე. ი. ცდება, უნებლოდ გაუგებრობაში ვარდება და სასაცილო ხდება. დრამატულ წაწარმოებში ნაჩვენებ მოქმედება, თავისი მიმართებითა და განვითარებით, ამოცანად ისახავს ხასიათის გამჟღავნებას, აღმართის მხატვრულ გამოვლინებას, როგორც საზოგადო, ისე გრძნობად-კონკრეტული, ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით. პიესაში — ტრაგედიაში, კომედიაში, დრამაში წარმოჩენილი მოქმედება იმავე მოქმედებაში ჩართული ხასიათების მხატვრული ცხადყოფის ფორმად უნდა მივიჩნიოთ. მოქმედ პირთა თვისებები — ტემპერამენტი, ნებისუფიცი ძალა, შეუბოჯრობა, შეუთრეველობა ან დამთმობელობა, მსოფლმხედველობრივი მიდრეკილება, ინტელექტუალური წრთობა თავს იჩენს მოქმედებაში...

მაგრამ აღმართები, და მათი თვისებები არა მარტო გამოიხატებიან მოქმედებაში, არამედ, თავიანთი მხრივ, ისინი განსაზღვრავენ კიდევ ასახული მოქმედების ბუნებას, მის განვითარებას, ერთიდან მეორე მდგომარეობაში გა-

დანიცვლების ტემპს. როგორც არიან ხასიათები, ისეთივეა მათი მოქმედება.

ამდენად პიესაში ასახული სიტუაცია შეიძლება განვსაზღვროთ იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათის ადამიანებთან არის იგი დაკავშირებული. გათხოვილი ქალიშვილების უმადურობა შექსპირის „მეფე ლირაში“ ტრაგიკული ენებთაღვლევის სახაბი ხდება. ტურგენევის მოთხრობაში („სტეპის მეფე ლირა“) კი ამ ნიდავზე სრულიად ზომიერი დრამატული კონფლიქტი წარმოიშობა: მოხუცმა შემამულემ, რომელმაც შეამჩნია სიმე-ქალიშვილის მზაკვრელი განზრახვა (მათ მოხუცის გავდება და მთელი მისი სამემკვიდრეოს დაბატრონება გადაწყვიტეს), დაარბია საყუთარი სახლ-კარი. ასეთივე ხასიათის ცხოვრებისეული მოვლენები სულ სხვაგვარად ვითარდება ილ. ოსტროვსკის პიესაში — „შინაურები ვართ, მოვრგდებით“. ქალიშვილისა და სძინისაგან მოტყუებული და გაძარცვული ვაჭრის სამსონ ბოლშოვის მდგომარეობა აქ არც ტრაგიკულია, არც დრამატული, არამედ კომიკური, და ამიტომ ოსტროვსკის აღნიშნული პიესა კომედიაა. რა არის მიზეზი ერთი და იმავე წინაარსის მოვლენათა სხვადასხვაანობრივი განვითარებისა, სხვადასხვა მხატვრულ ასპექტში მოთავსების? პერსონაჟთა ხასიათის თვისებები. შექსპირის მეფე ლირა ძლიერი ბუნების, სტატიკური განწყობის ადამიანია, რის გამოც გონიერობა და რეგინას ვერაგობა მას უსაზღვროდ აღაფთოთებს და სულიერად შეშლის. ტურგენევის მოთხრობის გმირი ხარლოვი კი ამჯობინებს ხელი აღმართოს თავისი შებალანსებული უფლებების დასაცავად, ცდილობს შერი იძიოს, ანგარიში გაუსწოროს, სატანჯველში ჩაავსოს თავისი აქსიმოსურნენი და ამის გამო იღუპება.

როგორც ლირა, ისე მისი ტურგენევისეული „ორეული“ (შემამულე ხარლოვი), უსაზღვროდ დასჯილი ადამიანები არიან. ისინი იმის ღირსნი არ ყოფილან, რაც განიცადეს. ისინი კეთილი გულთა მიენდნენ თავიანთ ქალიშვილებს და საფუძველიც ქონდათ ასე მოკეთულებს, რადგან ეს ქალიშვილები ურთოდ რადი იყვნენ აღზრდილნი. მაგრამ შეილება ამ შემთხვევაში ისეთი უაღრულობა გამოიჩინეს, რაც სრულიად არ იყო მოსალოდნელი.

ბოლშოვი კი არ ჰგავს შექსპირისა და ტურგენევის გმირებს. ის არამზადია, რეგენი და აუტანელი დესპოტი. ასეთივე სულისკვეთებით არის აღზრდილი მისი ქალიშვილი ოლიმპიადა (ლიპონკა). ამ უკანასკნელის საქმროს ლაზარე პოდხალიუზინი, რომელიც ნიქარია და ბოლშოვის მიერ გაკვალული გზით მიიწვეს სიმღერისაკენ, თუ უარესი არა, ისეთივე არამზადია, როგორც ბოლშოვი.

ბოლშოვი ამას ხედავს კიდევ, უფრო მეტიც: ის თვითონვე ასწავლის პოდხალიუზინს ვერაგობას და მუხთლობას, წყნობის მას-როგორც თაღლის. ბოლშოვი ასევე ამჩნევს ოლიმპიადას ქარაფუტობას. ევაარს სრული საფუძველი ჰქონდა დაენახა, რომ არც სასიძო და არც ქალიშვილი სანდონი არ არიან, მაგრამ დაუფიქრებლად გადაულოცა მათ მთელი ქონება.

შექსპირის ტრაგედიისა და ტურგენევის მოთხრობის გმირები თანაგრანობის ღირსნი არიან. ბოლშოვზე კი ამის ეკრასხვით ვერ ვიტყვით. მას შეეძლო აეცილებინა და, ჰკუთრომ ეზნარა, აიცილებდა კიდევ საძარბის მდგომარეობას. მაგრამ იოლ ცხოვრებას მიჩვეულია ბოლშოვი და არ ისურვავ ფიზიკურ ვონების კარნახით ემოქმედა, მან დაუფიქრებლად მიუგდო საყუთარი ქალიშვილი და, შემდეგ, მთელი ქონებაც თავის მიერვე დაგეშოლ არამზადს და ეს ძვირადღაც დაუქდა. სასაცილო, რომელსაც კომედია ასახავს, არის „რიმე შეცდომა ან სამარცხინო საქმე, რომელიც ტანჯვასა და ზიანს არ შეიცავს“, წერდა ვერ კიდევ არისტოტელს. აღნიშნული დებულება იმის ხომ არ გულისხმობს, რომ კომედიაში საერთოდ არ შეიძლება მოქმედება საზიანო იყოს? ამ კითხვას ჩვენ უარყოფითად უნდა ეუბასხოთ. მსოფლიო ლატერატურის პრაქტიკა ასეთ მდგომარეობას არ აღსატურებს. სხვადასხვა დროს კომედიაში ასახული მოქმედება ძალიან სშირად ისეთია, რომ საბედისწეროდ აზიანებს გმირს. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ სატრული კომედია. რა შეიძლება იყოს იმაზე მძიმე, რაც წილად ზედა შექსპირის შაილას ან გრაგოსის გოროდენის?!. მაგრამ საქმე ის არის, რომ კომედის უარყოფითი სასაცილო გმირი ადვილად ურთავდება მდგომარეობის ყოველგვარ, ყველაზე სატანჯველ ვაუარესებასაც კი, ის არ ეძლევა ტრაგიკულ სასოწარკვეთილებას. უარს არ ამბობს ახალ იმედებზე. „კომედის გმირი — აღნიშნავს ე. ვოლკენშტინი, — გამართლებია ან უიოდრისაში მოქნილობით, წქარი მოხერხებულობით, რასაც, იგი უველაზე საკომპანო მდგომარეობიდანაც კი გამოკეყავს, ან ცხოველური სიტლანქით, გონებჩლუნგობით, მიუხევედრილობით, რის გამოც ის ყვეთრად ვერ შეიცნობს თავის მდგომარეობას“. ოსტროვსკის კომედიაში ბოლშოვის ხეღერი უფრო მძიმეც არის, ვიდრე შექსპირის ტრაგედიის ან ტურგენევის მოთხრობის გმირებისა. ევაარმა მარტო სიმდიდრე კი არ დაკარგა, ციხეშიც ამოყო თავი. მთელი ქალაქის მოსახლეობის თვალწინ მას შერცხვენა და კატორღა მოუღის. მაგრამ მისი ასეთი დამკრება სრულენითაც არ იქცევა ტრაგი-

კული სიტუაციის წყაროდ. ბოლშოვი თითქმის არ გრძნობს თავის გამანადგურებელ მარცხს, ის ცოტაა აწეწეწდება, ეცდება თავი შეაბრალოს პოდხალოუზინსა და ოლიმპიადას. შემდეგ, როცა დაინახავს, რომ აქედან არავითარი სიყვითე არ გამოდის, ადვილად ურიგდება შექმნილ მდგომარეობას და ცხებში მიდის. კომიუტრი პერსონაჟი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაცილებით ელასტიკური და მოქნილია, ვიდრე ტრაგიკული ხასიათი. ის უფრო ადვილად ახერხებს უკანდახვევას, დათმობას, შემრიგებლობას. დრამატურგისათვის ეს ერთგვარი ხელსაყრელი პირობაა კომიუტრი სიტუაციების შესაქმნელად. დრამატული დაძაბულობის ისეთი შენელებისა და გაღწევატისათვის, როგორც საჭიროა და დამახასიათებელი მხოლოდ კომედიაში. მენანდრეს „სამედიატორო სასამართლოში“ ასახულ მოქმედებას შემდეგი შინაარსის საწყისი მდგომარეობა უძღვის: ტანრობოლულის დღეობაზე ვიღაც ვაჟმა გაუპატიურა უცნობი ქალიშვილი. როგორც შემდეგ ირკვევა, ეს ვაჟი ქარისიე იყო, ქალიშვილი კი — მოგვიანებით მის მიერ შეუღლებული პამფილე — კომედიის მთავარი გმირები, რომლებიც მათივე საქციელით სასაცილო გაუგებრობაში ჩაჯარდნენ.¹ ამ მომენტის გათვალისწინება გვაუვლისხმებინებს, თუ რაოდენ ჰუმანტატი ადამიანები არიან ქარისიე და პამფილე. პირველმა სივრცე ჩაიღინა და ისე დაიფიქვა ეს, თითქმის სულაც არა მომხდარიყო რა, მეორემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია უცნობ მოძალადეს. შეცდა და ეს შეცდომა ისე მიაფუჭნა რომ არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ამის გამო. აბა ყოფილიყო პამფილეს ადგილას ტრაგედიის გმირი ის ეგზეში ადვილად როდი დასვეებოდა მოძალადეს. ხოლო თუ ეს უკანასკნელი მინც თავისი იზამდა, მაშინ გმირი ქალი ალბათ თავის თავს მოკითხავდა მკაცრ პასუხს თავისი სისუსტის გამო.

წინააღმდეგ ტრაგედიის გმირისა, რომელიც ვერ ითმენს თავისი ღირსების შელახვას, კომედიის გმირი იოლად იფიქვებს შეურაცხყოფას. მენანდრეს კომედიაში, რომელსაც „მოქირილი ნაწიანი“ (ანუ „შეპირილნაწიანი ქალი“) ეწოდება, გმირი ქალი გლიცერა მისი საყვარელი პოლემონის შეუწყნარებელი უხეშობის ამოიქტი ხდება, საქმე ის არის, რომ პოლემონი, სრულიად უსაფუძვლოდ, ღალატს შესწამებს და შემდეგ ნაწიანებს შეაპირის გლიცერას. ის ვითარება, რომელიც ნაჩვენებია მენა-

ნდრეს კომედიაში, შეიძლება საბედისწეროვან გამხდარიყო ტრაგედიაში. ევეებით შეპურობილ პოლემონს, თუ ის ძლიერად ნასიხობის მამაკაცი იქნებოდა, შეიძლება მახვილით გაეჭვირებინა თავისი საყვარელი, როგორც ეს ოტელიომ ჩაიღინა. მაგრამ პოლემონი ტრაგედიის გმირი არ არის, ის უციღდურეს ღონეს როდი მიმართავს თავისი ვნებების დასაოცებლად; ის არ ჰკლავს, არამედ ნაწიანს აჭრის გლიცერას და შემდეგ ყოველნაირად ცდილობს შეურაცხედეს მას. პოლემონს სხვაგვარად არც შეუძლია ამიტომაც არის იგი კომედიის გმირი. მეორე მხრივ, შეიძლება არც გლიცერას მოეთმინა პოლემონის შეურაცხყოფა, თუ ის დაახლოებით მინც ისეთი თავმოყვარე ქალი იქნებოდა, როგორც ევრიპიდეს მედეა, შეიძლება მას პოლემონისათვის ძვირად დაესვა მისი საქციელი. მაგრამ გლიცერაც არ არის ტრაგედიის გმირი, ისიც ადვილად იფიქვებს შეურაცხყოფას და მზად არის ყველაფერი ამატიოს პოლემონს მაშინაც კი, როცა უკვე გაირკვეა, რომ გლიცერა ვიღაც უთვისტომო და უბრალო წარმოშობის ქალი კი არა, კეთილშობილი მამის შვილია და, ამის გამო, მას იურიდიულად და ზნეობრივადაც უფლება აქვს უფრო ღირსეული ეჭიოს.

მენანდრეს გლიცერას ასოციაციით არ შეიძლება არ გაეცხსუნდეს შ. დადიანის კომედიის „გუშინდღონის“ გმირი ფაცია, სიღარიბისა და უსახრობისაგან დაწიხლული, გულგატეხილი და ხასიათაუფუძეული ახალგაზრდა ქალი, თავადის ასული. მას ყველაფერზე ხელი ჩაუქნევია და ასულდგმულებს ერთადერთი მიზანი გათხოვება, მხოლოდ გათხოვება. სხვა არაფერი არ სწადია თავად კოწიას ქალიშვილს ამ ცხოვრებაში. რასაკვირველია, ასეთი მიზანი შეიძლება ბევრს ესახებოდეს. მართლაც, რომელ ახალგაზრდა ქალს არ სურს გვერდში ამოიყენოს ცხოვრების კარგი მეგობარი, შექმნას ბედნიერი ოჯახი. მაგრამ ფაცია ასეთ არჩევანს არ დაჟიდებს. ოღონდ კი იშოვოს საქმრო და, მისთვის სულერთია, ვინც იქნება. ასეთი სულწაუტლობის გამო თავადის ასული მაზრის უფროსს გრენგოლს გადაეყრება. მეფე ვინ არის ეს კაცი? უთვისტომო და საეჭვო ყოფაქცევის ადამიანი. ამთავითვე ჩანს, რომ გრენგოლში ბედნიერებასა და სიხარულს ვერ მიაჩივებს ფაციას, მას არ უყვარს არაფერი, რაც შეიძლება ფაციასათვის ძვირფასი და სანუფიარი იყოს. გრენგოლში აშკარად, თვითონ ფაციას თანდასწრებით ავიწებს, ცინიკურად ამცირებს საქართველოს და ქართველებს. „თქვენ გგონიათ, მე არ ვიცი თქვენი ისტორია? — ეუბნება გრენგოლმა ფაციას — ერთი ბატონიდან მეორე ბატონის ხელში გადადიოდით... თქვენი კი ამბობთ — კულტურული ხალხი ვიყავითო. რის

¹ პირველად ნაუტებათევი შეხვედრის შემდეგ ქარისიე და პამფილე გაიცნობენ ერთმანეთს და იქორწინებენ. ნაადრევად იზადება ბაჟში, რომელიც ქარისიეს სხვისი ჰგონია. ამ გაუგებრობის ნიადაგზე აღმოცენდება განხეთქილება.

არ გვაქვს? დაზიანება არის, მაგრამ კომედიის გმირი, თავისი ხასიათის პათოლოგიურობის გამო, სათანადო მტკიცებულებით როდი ვანიცდის ამ დაზიანებას.

პ. კაკაბაძის კომედია „ცხოვრების ჯარში“ კომიკური გმირის ლობიანე ძვალძვალის ერთ მარცხს მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე... სულ დაბლა ეშვება ლობიანე ცხოვრების კიბეზე. ამ კაცს სამსახურობრივი კარიერაც ეფუძება, „სიყვარულსა“ და „მეგობრობაშიც“ ცუდად წაუვიდა საქმე. მაგრამ ძვალძვალის იხტიბარს როდი იტყვის, ის თითქოს ვერ გრძნობს თავის წყალწაღებულობას, არბეინად, უდარდელად არის და თავის მარცხზე ისე

მსჯელობს, თითქოს სხვა ვინმეზე ლამაზობდეს.

ისტორიული კომედიის „დაჯიხის შერევა“ დინალურ აქტში მყოფრებელი ხედავს დამარცხებულ და შერცხვენულ, ქართველი ხალხის მოღალატე ბახტანგ ხანს. „ბახტანგ ხანი ვარ, სოფელ-ქალაქები ცეცხლითა და მახილით გადაამივლია და ბოლოს შენთან მოვბოგინდი“ ეუბნება იგი როსტომს. კაცი სირცხვილით უნდა იწვოდეს, მიწაში უნდა ძვრებოდეს, ის კი ისე ლამაზობს თავის ცუდაცობაზე, თითქოს სატრაპაზოს რამეს ამბობდეს. უცვლილვე ეს კომიკური გმირის თვისებაა და ბახტანგ ხანისაგანაც არ გვიყვია.





ნოსტა გრიგაშვილი

ფსევდონიმებისა და კრიპტობრამების ამოხსნისათვის

ფსევდონიმების ხმარება უძველესი დროიდან მომდინარეობს. ფსევდონიმი ბერძნული სიტყვაა და გამოგონილი, ანუ ერთ სახელს ნიშნავს.

მთელი ქვეყნის ხელოვანი თუ საზოგადო მოღვაწენი — მწერლები, მხატვრები, მუსიკონები და მსახიობნი თავიანთ კარიერას პირველ წლებში ფსევდონიმებით იწყებდნენ.

ასე იყო საქართველოშიც. ზოგი ქართული ფსევდონიმი მშობლების სახელგარიდან არის აღებული, ზოგი ფსევდონიმი კი წარმოებულია მწერლის, სამშობლო სოფლიდან. მაგალითად შოთა რუსთაველი, იოსებ თბილელი, არაგვისპირელი, ახოსპირელი, თურდოსპირელი, მაჩხაიელი, ხაშველი, სკანდელი, ფაზელი, ზაყელი, აბაშელი და სხვ. ჩვენმა დიდმა მწერლებმა მიაშვილმა, ნინოშვილმა, ევლოშვილმა, და სხვებმა თავიანთი ფსევდონიმი დედის სახელიდან აიღეს. შემდეგ ამთ მაშაძეს ახალგაზრდა პოეტებმაც მამაშვილმა, ვარდოშვილმა, ლისაშვილმა, ევ. სიდოშვილმა, კატოძემ, დაროშვილმა, ესმაშვილმა, მართაშვილმა, ანაშვილმა, ფეოდოსიაშვილმა და სხვებმა. მამის სახელიდან წარმოებული ფსევდონიმი კი უფრო იშვიათად გვხვდება, ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ პოეტს დედა უფრო ენიახება. დედა სულ შინ არის და შეიძლება დასტრიალებს, ენა დედა ამოადგმევინებს. ამანს დედა აწყებინებს. მამა კი, რაგორც ოჯახის თავი და ფულის შემოტანი, უფრო გარეთ იმყოფება და შვარსს დედსავეთ არ ანებიერებს. უფრო მეტიც: ხში-

რად მამის მიერ დანატყქი ვაჟი დედის კალთაში აპოუბს ნუგეშს და შვებას.

მამის სახელზე ფსევდონიმი იშვიათია. მე მამა უფრო მიყვარდა.

ყველა მწერალი დედას შენატრის, მე კი ნამა მყავს მოსაგონებლად.

საქართველოში ფსევდონიმებს უფრო მწერლებში ირჩევენ, რაც შეეხება ჩვენს მხატვრებს და მუსიკოსებს, მათ ფსევდონიმები არა მქონიათ, ხოლო ქართველი მსახიობები ორიოდუა გარდა, ყველა თავის წინაპართა გვარით გამოდიოდა სცენაზე: ერისთავები გიორგი და დავითი, მესხიშვილი, ავალიშვილი, გაბუნია, აბაშიძე, გუნია, ყიფიანი, მესხი და სხვ. ფსევდონიმით ცნობილი იყვნენ აწყურელი და სვიმონიძე. აწყურელი გვირად გამყრელიძე იყო; სცენაზე მისი ძმა ვიქტორ გამყრელიძეც მსახიობობდა. სცენაზე ორი გამყრელიძე არ იყავებოდა. ეს სცენის საიდუმლოებაა. სცენის საიდუმლოებაა, აგრეთვე, ის, რომ მსახიობები მოკლე, რამდენიმე ბგერისგან შემდგარ გვარებს იგონებენ. სცენაზე გამოსაძახებლად მაყურებელს გრძელი გვარის გამოთქმა ენაუღებო! ასე მოიქცა ვასო აბაშიძეც, როცა გედონ მირალიანს ვედუკანოვი უწოდა და სვიმონ გოგოლაშვილს ფსევდონიმად სვიმონიძე დაარქვა, ვოგოლაშვილი ძნელი გამოსაძახებელია, სვიმონიძე — მოკლე და სხარტიანი.

ფსევდონიმების ნიაღვარი მოვარდა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში, როცა ჯერ ხალხსნობამ იჩინა თავი და შემდეგ სოციალისტური მიმდინარეობანი გაჩნდნენ, აჟ, მართლაც, საქირო იყო გამოგონილი სახელგვარი, რომ თავგზა არეოდათ ცენზორებს და ენდარბებს...

ილია ქავეჭავაძემ პირველი ნაბიჯები ჩვენს მწერლობაში გამოგონილი გვარით დაიწყო. ილიამ „კაცია-ადამიანი!“ პირველად ჟიმშერაძის

ი. გრიშაშვილის ეს გამოუქვეყნებელი წერილი „მნათობის“ ტრეკციას მოაწოდა ი. გრიშაშვილის მემორიალური ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორმა ანი ლაზარაძე-ციციშვილმა. რედ.

ფსევდონიმი გამოაქვეყნა. „საქართველოს მო-
ამბეში“ იუმორისტულ ფელეტონებს ილია
აწერდა: „ფირუზას“. ილიას ეკუთვნის აგრეთ-
ვე ფსევდონიმები: ჩიბრელი, ახალმოსული და
ლარიძე.

აეკი წერეთელი თავიდანვე აეკი წერეთელი
იყო, შემდეგ დამკვიდრდა მარტო ხელმოწერა
„აეკი“. აეკის ჰქონდა, თუ შეიძლება ასე ითქ-
ვას, გაკვირებით ფსევდონიმებიც: გიორგი, ქარ-
თველიშვილი, ონელი მესტიერი, მაგრამ საბო-
ლოდ დარჩა აეკი.

გრ. ორბელიანმა „მუშა ბოქლეძე“ პირვე-
ლად ქსნისხვევლის ფსევდონიმი დაბეჭდა. ნი-
კო მარმა პირველად ლექსით დაწერა მოღვა-
წეობა. მისი ფსევდონიმი იყო **ო. ი.**

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემ-
დეგ, პოლიტიკურ მოღვაწეთა ფსევდონიმებისა
და კრიტიკურების გამოქვეყნება-გამოაშვა-
რება დაიწყო და საბრძოლველად და საბრძოლველად ით-
ვლებოდა. ჩვენ გვახსოვს, ერთხელმა „ნიშა-
დურმა“ როგორი საყვედური მიიღო ხალხისა-
გან, როცა ერთი მოღვაწის კარიკატურას უბ-
ღებენ ამ მოღვაწის ფსევდონიმი დააკრა.

ჩვენ ისიც გვახსოვს, რა მძიმე შთაბეჭდი-
ლება მოახდინა ქუთაისის გაზეთებში ერთი
ჩვეულების მიერ მოთავსებულმა პროტესტებმა
ილია ჭიანჭყაძის მოკლეს გარშემო ამტკვარი პო-
ლემიკის დროს. ამ პროტესტებს მოწერილი
ქონდა კრიტიკურები — ი. ი., ბ., ა. ბ., ფ-
ძე, ვ. ბ., რ-შვილი, ხ-შვილი და სხვ. აშკარაა
რომ ადამიანი, რომელიც პროტესტს წერს და
ქვეშ ინიციალებს აწერს, მოკლებულია პასუ-
ხისმგებლობის გრძობას.

ყველაზე მეტად ფსევდონიმს იუმორისტულ-
ი ეურნალის თანამშრომლები მიმართავენ.
ი. ევლიშვილი ათი ფსევდონიმი ჰქონდა, ახლ-
პირელს — თხოთმეტე მეტი, ეშმაკა და თა-
გუნას, — ვინ იცის, რამდენი! ეს ასეც უნდა
ყოფილიყო. 1905 წლის შემდეგ, როცა რეაქ-
ცია გაძლიერდა, ფსევდონიმები საჭირო იყო.
მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი
იუმორისტული ერთნაირი იუმორის იერს აბ-
ღებდა ფსევდონიმებს. მაგრამ ყოველთვის
რადღაც იყო ეს მოტყუებელი და გამართლე-
ბელი. მაგალითად — რა ფსევდონიმებია: პეტე-
ზიმო, შარვლის დიდი, აღიბაღი მამიდი-ისკან-
დერ-ოღლი-მირზა-ყული, შამხორი-ხოხორი და
სხვა.

სამაგიეროდ, პირდაპირ ელასიკურ ფსევდო-
ნიმებად უნდა იქნას აღიარებული „ეშმაკი“
და „თაგუნა“, რომლებიც შემდეგში ავტორებს
გვარის მაგიერობასაც უწევდა. ასევე გვარებად
ვადიოცა შემდეგი მწერლების ლიტერატურ-
ლი ფსევდონიმები: ევანტე ნინოშვილი (გვარად
ინგროსევა), შიო არაგვისპირელი (გვარად დე-
დუბინაშვილი), სკანდელი (ნაყო ნიკოლაძე), შიო
მღვიმელი (ქუჩუკაშვილი), იორდიონ ევდო-

შვილი (ხოსიტაშვილი) ბეგლარ ახალმოსული
(გვარად აღამოვი), ალექსანდრე აბაშვილი (ზო-
რია) და სხვ. მაგალითად, აბაშვილი, ფაფისკა-ნამ-
დელი გვარი — ჩოჩია ვაჩიშვილი და სხვ. მისი
მისი ოჯახის წევრებიც კი აბაშვილად დაიხატო-
ნენ.

ასეთი ზოგიერთი პოპულარული ფსევდო-
ნიმის სვე-ბედი.

სწორედ ვითრათ, ზოგიერთ გვარს მე კარ-
გი, მუსიკალურად კარგად მკლერი ფსევდონიმი
მირჩევნია.

რუსეთის სახელმწიფო მწერლები: გო-
გოლი, ტოლსტოი, კოროლენკო, ჩეხოვი და
სხვები პირველად ფსევდონიმებს ამოფარდნენ
და ასე შედგეს ფაქტ მშობლიურ ლიტერატუ-
რამი.

სამწუხაროდ, ძველად არ არსებობდა პრაქ-
ტიკა ავტორების სიცოცხლის დროს ფსევდო-
ნიმების ამოსწრაფვა. რა იქნებოდა, წ. კ. გ. სახო-
ვადობის გამგეობის მუშაკებს მიეცათ გახე-
თების კომპლექტები იმ მწერლებსათვის, რო-
მელნიც ფსევდონიმებით იყვნენ ცნობილი,
რათა უკვე დაბეჭდილი სტატიების ქვეშ თა-
ვიანთი გვარის ხელმოწერით გამოემდგინებინ-
ათ ფსევდონიმები?

თორემ რასა ჰკავს? ეს ფრად სათუთი საქ-
მე, თუ შეიძლება ასე ითქვას, თათარიხანდ,
პაპარად კეთდება ჩვენში. სწორედ მოუნდამე-
ლობით, დეკლარაციებით და არაპერიოზუ-
ლობით აიხსნება ის ფაქტი, რომ ხშირად ერ-
თის ფსევდონიმს მეორეს აუთუთუნებენ და ერ-
თის ნაწარმოებზე მეორის თხულებებაში იბეჭ-
დება. ამას ნათლად მოწმობს ამ რამდენიმე
წლის წინათ ჩემს მიერ გამოცემილი ფაქტი:
სპირიდონ ჩიტორელიძის ცნობილი ფსევდო-
ნიმი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანს ეკუთვნოდა
და არა ილია ჭავჭავაძეს. როგორც ეს მის
გამოცემლებს ეგონათ, რატომ უნდა მოხედ-
რილიყო მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის გული-
სა და ტყინის ნაშუკი ილია ჭავჭავაძის წიგნებ-
ში? განა ყველა წერალი, რაც ილიას „ივერი-
აში“ ფსევდონიმით დაიბეჭდა, მის რედაქ-
ტორს — ილიას უნდა მიეკუთვნებოდა?

პირველად ეს შეცდომა გრ. ყიფიანის კალ-
მადან მომღიარებობს. საიდან გამომდინარე, რომ
სპირიდონ ჩიტორელაძე ილია არ არის? დავი-
წყეთ ისევ ილიას „ივერიიდან“. მიხეილ ზაალის
ძე ყიფიანის გარდაცვალების გამო ილიას „ივე-
რიიში“ დაბეჭდილი იყო ნეტროლოგია. ამ ნე-
ტროლოგიაში ბ. ზ. ყიფიანის ბიოგრაფიული ცნო-
ბების, მოღვაწეობის თარიღების ჩამოთვლის
შემდეგ, ერთი აბზაცი გვაუწყებდა, რომ „იგი
(ე. ი. მიხეილ ყიფიანი) ჩვენს გაზეთში (ე. ი.
„ივერიიში“) წერილებს წერდა სპირიდონ ჩი-
ტორელიძის ფსევდონიმითა...“

აქედან უკვე აშკარად ჩანდა, რომ ჩიტორე-
ლიძე ილიას ფსევდონიმი არ იყო. ფსევდონი-

მების ამოხსნის საკითხში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ზუსტად და საბოლოოდ დაედგინოს ეს თუ ის ფსევდონიმი. მე ხშირად შეკითხვებიან ამა თუ იმ ფსევდონიმის ამბავს. თუ დანაშაულებით ვიცი — ვუბნები, თუ არა და, — ვღმერთობ. სადავო ფსევდონიმებზე დიდი მუშაობა გემართება, წიგნის პალატის მიერ გამოცემული „ქართული წიგნის“ ფსევდონიმების ამოხსნისათვის ოფიციალური პასუხისმგებელი მე ვარ. მაგრამ არა ვარ პასუხისმგებელი იმ ფსევდონიმების ამოხსნისათვის, რომელიც უჩემოდ მოხდა. მაგალითად: ვიქტ. პიუგოს „კლოდ გე“ ვოლა ჩიტაქემ თარგმნა. მისი ფსევდონიმი ზანგი იყო. ჩემს მიერ სტამბისათვის გადაცემულ კორექტურულ ფურცლებზე ასედაც იყო ამოხსნილი, რომ ზანგი ვოლა ჩიტაქეა. დაბეჭდვლ წიგნში კი, ისეც ბოლოში, ფსევდონიმის ცხრილში ვიდაცას მოუსტრეგებია ამ ფსევდონიმის ამოხსნა და იგი გრივად რეცხილასათვის მიუკუთვნებია. აშკარაა, ეს შეცდომა წიგნის პალატის რომელიმე თანამშრომელს მოუვლია. დალოცვილი, შემთხვევითად მაინც! საქმე ის არის, რომ „ზანგა“ ფსევდონიმით ორი ადამიანი წერდა: ვოლა ჩიტაქე და გრ. რეხილაძე. ვოლა უფრო ადრე იყო. გრ. რეხილაძე — შემდეგ. მაგრამ შეცდომის ასაღწევად აქ პატარა ბიბლიოგრაფიული ცნობების ანალოგი იყო საჭირო. ზანგის — ვ. ჩიტაქის თარგმნილი წიგნი 1885 წელს გამოვიდა. მაშინ, როცა გრ. რეხილაძე 15 წლის ძლივს იქნებოდა. ვარუ. ამისა ვ. რეხილაძეს „ზანგის“ ფსევდონიმით არასოდეს წიგნი არ დაუბეჭდავს. იგი „ზანგს“ აწერდა კრიტიკულ წერილებს, რომლებიც გაზეთებშია გაბნეული. ცალკე წიგნად კი „ზანგის“ ფსევდონიმით მხოლოდ ვოლას ნათარგმნი გამოვიდა. „ქართული წიგნის“ თანამშრომელმა, რასაყვირებელმა, იცოდა, რომ გრ. რეხილაძე გაზეთებში წერდა „ზანგის“ ფსევდონიმით, მაგრამ დაავიწყდა შეემორწმებინა, რომ გრ. რეხილაძეს ცალკე კრებულად ეს წერილები არ გამოვიდა. ბოლოს და ბოლოს, როცა „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიას ვადგენდით, ჩვენ წიგნის მოძებნა, წიგნის თავდასაჯალი გვაინტერესებდა და არა გაზეთებში გაბნეული ფსევდონიმების დადგენა. ჩვენ წიგნების კატალოგს ვადგენდით და არა ეტრნალ-გაზეთებისას. მას რომ გამოცემულ წიგნებზე ვაემახვილებინა უფრადებლა, მაშინ გრ. რეხილაძის მიმართ ეს შეცდომა არ მოეთიღოდა!..

ასევე ერთსა და იმავე ფსევდონიმს ორი ავტორი იყენებდა. მე ამას ფსევდონიმ „გურულზე“ ვამბობ. ამ ფსევდონიმით მოთხრობებს და პიესებს პარონე გოთუა და ე. შალიკაშვილი წერდნენ. ერთს წიგნი აქვს გამოშვებული, მეორეს კი — არა.

თუ კიდევ ერთი მაგალითიც, თუ როგორ არ

უნდა აქტარდეს მველევარი ფსევდონიმების გამოაშკარავებისას.

პუშკინის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიის შედგენის დროს (რომლის შემდგენლის ვცხანას დასახელება, სხვათა შორის, დაავიწყდა 1956 წლის „მნათობის“ მე-5 ნომერში მოთავსებული წერილის ავტორს) ჩვენ ბევრი ფსევდონიმი და კრიტიკარაზები ამოხსენით. მაგალითად, პუშკინის ერთი ლექსის თარგმნას ასე ეწერა. ა. თ. ყველას ეგონა, რომ ეს ასეოც ცარეული იყო, რადგან ის ლექსებსაც თარგმნიდა, მაგრამ ნამდვილად კი ამ ლექსის მთარგმნელი ალექსანდრე ციმაკურიძე იყო, პედაგოგი და პანეს ლექსების ცნობილი მთარგმნელი, როგორ დაუადგინეთ ა. ცს ციმაკურიძეობა? სულ უბრალოდ. ის ჩემი მასწავლებელი იყო და მისი სიტყვების დროს ჩემს უბის წიგნში ჩავიწერე მისი ფსევდონიმები.

კიდევ ერთი კურობი: პუშკინის ლექსების ქართულ მთარგმნელთა შორის ბ. დავითაშვილიც გვხვდება. და, აი, ერთმა კრიტიკოსმა, არც აცია, არც აცხება და ეს ბ. დავითაშვილი მეუბნება პოეტ იოსებ დავითაშვილად მიიჩნია და პუშკინის დღეებში, როცა მან «Новый мир»-ში წერილი დაბეჭდა პუშკინის ქართულ მთარგმნელებზე, დავითაშვილზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება და ასე გვაუწყა: «Пушкина перевел даже рабочий поэт Дави́ташвили». მაშინ, როდესაც ბ. დავითაშვილი სხვა იყო და ი. დავითაშვილი სხვა. ერთი ნამდვილი გვაჩიბა, მეორე — ფსევდონიმი. ბ. დავითაშვილი თელავის მცხოვრები ბუღდან ევანგელოზი იყო, რაფის რომანის „ხენთის“ ცნობილი მთარგმნელი, ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე. იგი კავკაზში მოღვაწეობდა და, სხვათაშორის, პირველი ქართული წიგნი, რომელიც კავკაზში დაბეჭდა, ეს უბოპეს ივანე-არაკები იყო, ამ ბ. დავითაშვილის მიერ გალექსილი.

პუშკინის სიუბილუო დღეებში ლენინგრადში ვახსენა პუშკინის გამოცენა, იქ ერთ მხარეს ქართულად თარგმნილი პუშკინის წიგნებიც ჩანდა... და აი, კოთხელომთ ლენინგრადიდან გამოგზავნილ კორესპონდენციას თბილისის „ლიტ. გაზეთში“. სხვათა შორის, ჩემი ყურადღება ერთმა ადგილმა მიიპყრო. კორესპონდენციაში ეწერა: „გამოცენილია პატარა წიგნი პუშკინზე, გამოცემული 1899 წელს დიდი მოღვაწის ილია წინამძღვრის მიერ შესავალი წერილით“. მოგვსვენებოთ, ილია წინამძღვრის შვილი, მართლა, დიდი პიროვნება იყო — წინამძღვრის კარის სკოლის დამაარსებელი, საზოგადო მოღვაწე, ილია პეკუვაძის დიდი მეგობარი. მაგრამ ის არასოდეს არც პუშკინის მთარგმნელი ყოფილა, არც გამოცემული და არც კრიტიკოსი. რა მოხდა? კორესპონდენტმა ამ წიგნის ტიტულზე ილიაწიბა ი. წინამძღვარი, რეჟიკა, ეს უკვევლად ილია წინამძღვრის შვილი

იქნებო, და აფრინა დეკემბი თბილისში! ნამდვილად კი ი. წინამძღვარი ფსევდონიმი იყო ჩვენი მსოფიანი მოღვაწის იოსებ იმედაშვილისა, რომელმაც 1899 წ. პუშკინის ქართულად თარგმნილი ლექსების და მოთხრობების კრებული გამოცა.

ორი მწერალი მიმტყობდა, „ეგრი“ იონა მუხარბიას ფსევდონიმი. ერთმა დაბეჭდა კიდევ გაზეთში ეს მოსაზრება. ეგრძე 1886 წ. „ეგრიანი“ გამოაქვეყნა დავით რეპტორის ორი ლექსი საეკლესიო ფონდიდან. ერთი ლექსი იღ. ჭავჭავაძის ეხებოდა. მე, როგორც მწვეფია, ვეძებდი ისეთ ვიწმეხ, რომელიც ეგრის ვინაობას ამოხსნიდა. ვერაფერს ვახებდი. შემდეგ ძველ გაზეთებში შემხვდა პოლემიკა ეგრასა და მ. ჭანაშვილს შორის. მაშინვე მივირბინე საეკლესიო მუხურეში (ეს მუხურეში მაშინ სიონის ეკლესია იყო მოთავსებული და მის მსოფიანი ისტორიკოსი მ. ჭანაშვილი განაგრძობდა) და ვთხოვე მოსეს — ეგრის ვინაობა ვაპყვიე-შეთი. დამისახელა კიდევ, ეგრი — თედო ეორდანიანი. შევესიტყვე, მიმტყობდნენ ეგრი ი. მუხარბიას ფსევდონიმი. — არა, შეილო, მე მუხარბიასთან საქმე არა მქონია. ეგრი თედო ეორდანიას ფსევდონიმი, და მე იმას ვეკამათებოდი. ეგრის ეორდანიანობა ჩემს მონაგრადიანი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“-ში აღვნიშნე და გამეზარდა, რომ ამას წინათ თ. ეორდანიანზე მოთავსებულ საგაზეთო წერილებში „ეგრი“ მის ფსევდონიმი იქნა მიჩნეული.

რა მეთოდო, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რა ხერხი შეიძლება იქ გვედგება „ეგრის“ აღმოსაჩენად? „ეგრიანი“ დაბეჭდილი წერილი ერთნაირად შეიძლება მიგვეუთვნებინა როგორც მუხარბიასათვის, ისე თედო ეორდანიანსათვის. ზენ ამ ფსევდონიმის ამოსახსნელად პოლემიკის ცოცხალ მონაწილეს მივმართეთ და მიხსნაც მივაღწიეთ.

შეიძლება მიხსუნონ, სადღა ძველი ხალხი, დაიხონენ და ეისა ვკითხოთო. მართალია, ფსევდონიმებს ამოფარებული ძველი ავტორები აღარ არიან, მაგრამ ხომ დარჩნენ მათი ნათესავები, მებობრები, ნაცნობები!

ზმირად შეცდომები თანამედროვე ცოცხალი ავტორების მიმართაც ხდება. ავიღოთ უახლესი ლიტერატურა. სახელმძღვანელოებში შეტანილია ერთი საბავშვო ლექსი „წიგნების საზივარი“. ამ ლექსს ქვეშ მოწერილი აქვს: მარიკან. მაშინ, როცა ეს ლექსი მარიკანს კი არ ეკუთვნის, არამედ მარიკანიძეს, ე. ი. მარიკანის ვაჟს — რუსთაველის თეატრის რეჟისორს დედო ალექსიძეს, რომელიც ქაბუჯიანში „ნაკადულში“ თანამშრომლობდა და მარიკანიძის ფსევდონიმით გამოდიოდა. ეს პატარა ფაქტიც იმას ამტყობებს, რომ ჩვენი რედაქტორები, მეტი რომ არა ვთქვა, ზერტულად ეკადებიან ამ საქმეს. რაც მთავარია, ეს შეცდომა ვეღარ გამოსწო-

რა რედაქტორმა და იგი ყოველ მას გამოცემაში შეორდება.

შეცდომებისაგან არავინ ფრჩხელს დამაფრთხილი. მაგრამ ეს შეცდომებზე უფრო მნიშვნელოვანია და სამუდამოდ აღმოფხვრათ მათი გამოკრება, საქიროს ხანგრძლივი დაყირვებული მუშაობა და არა ნაუცუბადვად დასკვნის გამოტანა. იქნება სურბდეს სადღავ ფსევდონიმი **იოსებელი** დავტოვოთ, ვიდრე იგი შეცდომით ამოსხნათ. ამას წინათ ერთ დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიულ წიგნში მ. ფრონელი გროგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეების შესამე მის ფსევდონიმიდ იყო მიჩნეული. არ არის სწორი, განა ფრონის პირას ყიფშიძეების ვარდა, სხვა ლიტერატორი არ ეფიორბოდა და არა ცხოვრობს? მისამადამე, არც ეს ხერხი გამოდგება. მ. ფრონელი ენობილი ლიტერატორის შაქრო ედილაშვილის ფსევდონიმი.

ასევე ფონ-ტეფოს ფსევდონიმს ალ. სარაჯიშვილს მიკუთვნებენ. საიდან, როგორ, რატომ? ფონ-ტეფო ძველი მეუბა მწერალი ჯვარად სტეფანე ნოზაძე იყო, რომელსაც წიგნი ჭკონდა დაბეჭდილი; ასევე შეცდომით „იო“ იოსებ ბაქრაძის ფსევდონიმიდ არის გამოცხადებული.

შესაძლოა, სტილის ანალიზით ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის ამოცნობა უფრო უტყუარი და სიმელო ხერხი იყოს, მაგრამ ზოგჯერ არც სტილის ანალიზი იძლევა სასურველ ნაყოფს. მაგალითად, „ეგრიანი“ ილია ჭავჭავაძის სტილი და მართლწერა იყო გაბატონებული. გრ. ყიფშიძის, არტემ ახანაზარის, სხვა თანამშრომლების მიერ შეფიქსებული ენა ძალიან ჰგავდა ილიას მიერ შემუშავებულ ენას. მაშასადამე, უცნობი ავტორების ნაწარმოებთა ენობრივი ანალიზი ფსევდონიმის დასადგენად ყოველთვის ვერ მიგვიყვანდა სასურველ დასკვნამდე. არც ამაზე შეიძლება მოლიხად დაეყრდნობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ხერხი უარყვათ. ენობრივი ანალიზი თვითმონად კი არ უნდა ვავიხადოთ, არამედ დამატებით ღონისძიებად უნდა გამოვიყენოთ კვლევითი მუშაობის დროს.

მაგალითად, გაზეთებში ფსევდონიმებად ვხვდებმა ქალების სახელები: „ქეთინო“, „კატო“, „ტასო“ და სხვ. შეიძლება, მკვლევარმა ამ ავტორების ძებნა მწერალ ქალთა შორის დაიწყოს, ტასო — ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას და ა. შ. მე არ ვამბობ; რომ ისინი ამ სახელებით არა წერდნენ, მაგრამ ზენ ვიცით, რომ ზმირად ქალთა სახელებს მამაკაცებიც იყენენ ამოფარებული. მაგ., ცნობილია, რომ „კატო“ იოსებ ჯულაშვილის ფსევდონიმი იყო, 1908 წელს ბაქოს ვახუთ „Гудок“-ში „ქეთინო“ არჩილ ჭავჭავაძის ფსევდონიმი იყო, „ზორემან გვერდწიფელი“ — ილია წინამძღვრეშვილისა. ტასოს ფსევდონიმით, თუ არა

ვეფხვი, — ვრ. წელუკივე წერდა, და ა. შ. შაშასადაძე, არც ეს ხერხი გამოგვადგება.

ჩემი დისკვნა ასეთია. დიდი სიფრთხილესა სპირო, რომ ერთი კაცის ნაზრევი მკვლევარმა მჭორეს არ მიაკუთვნოს. ეს, სხვა რომ არა აქვია რა, მჭრებლობა ქართული ლიტერატურის წინაშე. პატივცემული ანა ნიკოლაძე ნერასოვზე "ლიტ. და ზელ". 1948 წ. № 1-ში გამოქვეყნებულ სტატიასი წერდა: „1868 წელს „დროების“ № 38-ში გვხვდება ნერასოვის ლექსის „მამას“ (თუ „მამოს“? ი. გ.) თარგმანი, რომელიც სამოციანი წლების ქართული თეატრის მსახობის ლაზარე მესხიშვილს ეკუთვნოდაო“.

საიდან დასკვნა ავტორმა ეს? საამისოდ არა ვითარ საბუთს არ იძლევა. ჯერ ერთი, სამოციან წლებში მსახობი ლაზარე მესხიშვილი არა ვყოფილი. ნერასოვის მთარგმნელი „ლაზარე მესხიშვილი“ ფსევდონიმი იყო სერგეი მესხისა.

უბრველეს ყოვლისა, საჭიროა შედგეს ფსევდონიმების საერთო სია და გამოიცეს ფსევდონიმების ლექსიკონი, და, თუ რომელიმე ფსევდონიმი ვერ ამოშიფრა, შემდგენელმა ღიად დატოვოს, და გარწმუნებთ, მას შეაყვებენ.

სქობია, როგორც ვთქვი, აუტსნელი დარჩეს ფსევდონიმი, ვიდრე ყალბად ამოშიფრულმა ფსევდონიმმა მოიპოვოს მოქალაქეობა და ახალგაზრდა მკვლევართა ნაშრომებში. მზამზარეულად გადადიოდეს და გადმოდიოდეს, როგორც ვითომდა დადგენილი რამ. ასეთი წინადადებაც კარგია: ახალგაზრდა მკვლევარებს რომ არ მოვეუპოვოთ ძიების საშუალება, ზოგიერთ ფსევდონიმს გვერდში ამოუყვანოთ ცარიელი ადგილი სწორი კვლარტული ფრჩხილებით აღნიშნული, აი ასე: ბარონ კეაყენბერი [] ან, თუ რომელიმე ფსევდონიმი საეჭვოა, მაშინ კითხვის ნიშანიც

დაეუხვით, ასე: ბარონ კეაყენბერი [კეაყენბერი?] რათა ჩვეულებრივ მკითხველს ან მკვლევარს საშუალება მიეცეთ, იშეშაოს ამა თუ იმ ფსევდონიმზე და ჩაწეროს თავის მესხიერებაში შემონახული გაუშიფრავი ავტორის ნამდვილი გვარი. ეს საშუალებაც ეკადრთ!

ვიდრე მკვლევარი დაბეჭდავდეს და გადაკრით იტყოდეს თავის აზრს რომელიმე ფსევდონიმზე, მანამდე უნდა გაიაროს დიდი გზა სიფრთხილისა, პასუხისმგებლობისა, რათა ფსევდონიმის ყალბად ამოცნობის წყალობით ერთმანეთში არ აზიოს სხვადასხვა ავტორთა წერილები. რა საშინელებაა პოეტის მიერ ტანჯვითა თუ სიხარულის ზეშთაგონებით დაწერილი სტრიქონები, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მკვლევარმა იმ ავტორს მიაკუთვნოს, რომელიც შეიძლება ამის ღირსი არ იყოს, ან პირიქით.

ფსევდონიმებზე მუშაობა მეტად დიდ გარჯას მოითხოვს. მართალია, დღეს ფსევდონიმებს არაფერ აღარ მისდევს — აღარ ირქმევს გულს, ობოლ მუშებს, მიმჭრალებს, გარიყულებს, მაგრამ წარსული კულტურის შესწავლა და გამოყენება ჩვენი თაობის საპატიო მოვალეობაა, და პა, ფართოდ გადაშლილი ლიტერატურული ყაბახი, ვისაც გული ერჩის, აქვს უნარი, ფხა, ცოდნა, ინტელიცია, მოვიდეს და დაგვეხმაროს ამ ღიად საქმეში ჩვენი მშობლიური ლიტერატურის და მეცნიერების ასაყვავებლად. ოღონდ საჭიროა მონდომება, საქმის სიყვარული და შრომა. შრომა პირველი საქმეა. აღქმანდრე ქავქაეაძე კარგად ამბობს ერთ ლექსში, შრომა დასვენების სიამოვნებააო.



ქართული საბჭოთა პროზა ფრანგულ ენაზე

გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ცისკარი“ სანამ ცალკე წიგნად გამოვიდოდა, გამოქვეყნდა ფრანგულ ლიტერატურულ გაზეთ „ლეტრ ფრანსეზში“. მისი ბეჭდვა დაიწყო 1955 წლის 19 ოქტომბრიდან და გაგრძელდა 1956 წლის მაისამდე. შესავალ წერილში ნათქვამია:

„საქართველო ძველ კულტურის ქვეყანაა. მეთორმეტე საუკუნიდან დაწყებული, მის პოეზიას, საქართველოს დანტეს — შოთა რუსთაველის პოეზიასთან ერთად, შეეძლო მეტოქეობა გაეწია ყველაზე დიდი პოეზიისათვის, რაც შექმნილი იყო საშუალო საუკუნეებში როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. საქართველოში რომანი მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდა... მაგრამ ჩვენი ეპოქაში, ახალ საქართველოში რომანმა ღირსეული ადგილი დაიკავა, შეინარჩუნა რა ქართული ეროვნული თავისებურება, ახალი სოციალური შინაარსი მიიღო. ჩვენი არ გვაქვება, რომ საქართველოს ეგზოტიკური მომზიბელებლობა, რაც ფრანგ მკითხველს უეჭველად მოეწონება ამ ახალ ლიტერატურაში, იქნება მისთვის არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის საგანი, არამედ მრავალმხრივ საინტერესო. არაგონის წიგნში — „საბჭოთა მწერლები“, — რომელიც უახლოეს დღეებში გამოვა და რომლის ნაწევრები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდება. მკითხველს შეუძლიათ გაეცნონ ავტორის ვინაობას...

საქართველოს ხალხს ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ... აქ ქალები საუცხოონი არიან, მამაკაცები კი — მამაცინი. აი, რატომ იყო, რომ ომები, როცა ამ ლეგენდარულ მხარეს აობრებდნენ. ყოველთვის ბერძნების, რომაელების, ასურელების, ირანელების დამარცხების მთავარდებოდა. ეს ქვეყანა ვერ დაიპყრო ვერც პომპეუსმა და ვერც მითრიდატემ. საქართველო არც ევროპის დაზვერვათა ქიშკობის მხარედ გამხდარა.

შეიძლება თუ არა ჩვენი თანამედროვეები მომავალშიც არ იცნობდნენ ამ შიშის ახალ სახეს?..

ქართულ რომანს საფრანგეთში არ იცნობენ. არც ილია ჭავჭავაძეს იცნობენ, არც ვენატე ნოზოშელს, არც ალ. ყაზბეგს. ჩვენი დროში, განახლებულ საქართველოში, რომანმა დაიკავა მისთვის შესაფერისი ადგილი და განიმსჭვალა რა ახალი სოციალური შინაარსით, შეინარჩუნა წმინდა ქართული სოციალური თავისებურებანი. ქართულმა რომანმა მოიპოვა სათანადო ადგილი იმ საბჭოთა რომანების თანაბრად, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ენებზე იბეჭდება. რომანი „კოლხეთის ცისკარი“ ეკუთვნის კალამს იმ მწერლისას, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა“.

შემდეგ წერილში მოტანილია სათანადო ცნობები ქართველი მწერლის ავტობიოგრაფიიდან, მოკლედ მიმოხილულია კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებები, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძე მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი არისო.

„იმ მომენტში, — ნათქვამია სარედაქციო წერილში, — როცა ჩვენ კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარს“ ამ ლეგენდებისა და ეპოპეების მხარეში შევყავართ, ვინ მოსთვლის, რამდენი ჩვენგანი შინაგან თრთოლვას განიცდის. კოლხიდა, ესაა ზღაპრულ სიმდიდრეთა მხარე... და არაერთი ახალგაზრდა ფრანგი, როცა ამ წიგნს გადაშლის, იოცნებებს ამ „სასწაულებრივ თავგადასავალთა“ ქვეყანაზე. ეს არის ოქროს ვერძის მხარე, რომელსაც არგონაეტები მიაღწენ, მხარე, საიდანაც იაზრონმა ჯადოქარი მეუღა წაიყვანა“.

1956 წელს „კოლხეთის ცისკარი“ ცალკე წიგნად გამოიცა „ფრანგ გამოცემულთა ვაჭრთა ენაზე“, რომლის ღირებულობა გამოჩენილი

ფრანგი მწერალი ლუი არაგონი. რომანი ქართულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა ვორონოვიჩმა. (არუ ფსევდონიმი ვიოტა არუთინიანისა, რომელიც გაფრანგებულია, დიდხანია ცხოვრობს საფრანგეთში, კარგად ფლობს ფრანგულსა და ქართულ ენებს, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას). მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ვარსიას.

საფრანგეთის პერიოდული პრესა დადებითად გამოეხმაურა ქართველი მწერლის რომანს, ეტრნალ-ვახუშტეში გამოქვეყნდა რეცენზიები, რომელთა ავტორები მაღალ შეფასებას აძლევენ „კოლხეთის ცისკარს“.

ცნობილი ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი ანდრე ვილემსონი 1956 წლის „ლეტრ ფრანსუზის“ 628-ე ნომერში აქვეყნებს გრძელ რეცენზიას, რომელშიც წერს: „შე არ მოვუყვები „ლეტრ ფრანსუზის“ მკითხველებს „კოლხეთის ცისკარს“ შინაარსს, ეს რომანი მათ უკვე ვაიკინეს გაზეთის ფურცლებზე და ახლა, წინადად გამოცემულ კონსტრუქციით წაიკითხავენ ხელახლა. მისი კონსტრუქცია ზოგ-ზოგს შეიძლება არასრულყოფილად მოეჩვენოს. პირველი ნაწილი, ალბათ ასე იტყვიან ეს კალმისნები, „მთლიანად ქართულია“. რაკილა მივძღვნება ყრმა შვიკის სიყვარულს, სოფლის დღეობას თავისი სიმღერებით, ცეკვით, ჭიადობით, ვენბათულელებს. მეორე ნაწილი კი — „მთლიანად საბჭოთა არისო“, იტყვიან ალბათ იგივე მსაჯულნი და აქ შეწყვეტენ კიდევ რომანის კითხვას, რადგან, მათი აზრით, პოლიტიკა დიდი ვერაფერი შეიღია, უკიდურეს შემთხვევაში, ლიტერატურაში შაინც.“

მაგრამ, თუ ფხიზელი თვალით და მიუკერძოებლად შევხედავთ მოვლენებს, დავრწმუნდებით, რომ „კოლხეთის ცისკარს“ კონსტრუქციის მხრივ ეს ნაყოფანება არა აქვს. მართო ის თუ ითქმის, ჩემი აზრით, მისი მთავარი გმირები, პირველ ნაწილში რომ მოქმედებენ, მეტად ჩქარა გადადიან უკანა პლანზე, როცა მეორე ნაწილი იწყება.

ჩამორჩენილ სოფელში, კავკასიის ხეობის სიღრმეში რომ ჩაყარულა, ზოგიერთი რომანისტი დაიხანავდა მხოლოდ მოჭიდავეებს და შევერებულ ქალ-კაცებს. მაგრამ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს აქვს უფლება თქვას ის, რაც ოდესღაც თქვა რასინმა: „მთავარი, რასაც ვესწრაფოდი, ეს იყო ის, რომ არაფერი შემეცვალა ხალხის ზნე-ჩვეულებაში, სწორედ გადმოხეცა იგი, თანაც განსაკუთრებით ვცდილობდი არაფერი მეოქვა ისეთი, რაც არ შეეფერება ის ისტორიას“.

რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად ზუსტია მხატვრის ნახატი ნატურასთან შეფარდებით, ამის ირგვლივ შემიძლია ვიმსჯელო მხოლოდ იმ შთაბეჭდილებების საფუძველზე, რომლებიც მივიღე რამდენიმე დღით მოგზაურობის

დროს. მაგრამ ეს იყო საქართველო, სიყვებით შეცვლილი საბჭოთა წყობილების არსებობის ოცი წლის შემდეგ. უღამაზესე ფაქტორები — ემხიანი და დაუდგრომელი, მოცულობით მინახავს თბილისის ქუჩებში, ხოლო შევიწარმოებდებოდა იმ სტუდენტის სახით, რომელიც ამზადდება მოსენებას ბალახზე იმავე თბილისში, სადაც მთავარი პროსპექტი თავისი ვადრებითა და მშენებელი შენობებით ნაწილობრივ მოგვაგონებს ჩვენს ლა კრუაზეტს და ინგლისურ ბელეარს. ხოლო „კოლხეთის ცისკარი“ ევბე ის კოლმეურნეობაა, ჩვენ რომ ექსპრომტად შევიარეთ. ეს არ იყო ძლიერ მდიდარი კოლმეურნეობა, არ გამოარჩეობდა წარმოების მეტად მაღალი დონით, მაგრამ იქაურ კოლმეურნეობათა სიხარულს, რომ ჩაუწყდეთ, უნდა გაეხსენოთ ის მთიმე გზა, რომელიც მათ გაიარეს იმ დღიდან, როცა შემეკედრეობით გაპარტახებული ქვეყანა ჩიბბარეს.

ძველი ისტორიაა. მტრის განდევნის შემდეგაც დიად გარდაქმნათა შორეულმა ტალღებმა უკვბ როდი შეაღწიეს ქართულ სოფელში. დიდი ზნის განმავლობაში გარდაეტყბას ნაკლებად ვრწმობდნენ. როგორც მდიდრები, ისე ღარიბები, როგორც უმუშეგარი აგრარნიები, ისე შვიკის მსგავსი მოჭიდაგრეები და ყოვლისშემძლე ბობოლები. ისეთები როგორიცაა ბარნაბა, თალიკოს მამა. ჩვენმა რევილუციამაც ხომ ასევე ვერ გამოავლინა თაგის მძღავრი ეფექტი ვერც 1793 წლის 15 ივლისს და ვერც 5 აგვისტოს.

მაგრამ დადგა დღე, სხვაგვარად რომ ეთქვათ, გადაიშალა ასალი ფურცლო რომანისა — ახლა შეიძლებოდა დაბადებულყო კოლმეურნეობა და დაიბადა კიდევ ავტორის ესიმე ვადაწყვეტილებითა და ბრძანებით კი არ ჩაურთავს პოლიტიკა თავის რომანში, არამედ ეს პოლიტიკა თვითონ შევიდა ყოველი ადამიანის ყოფაში, განახლა იგი, ვადახალისა. მწერალმა-რეალისტმა ეს დაინახა, ვაიყო და დახატა“.

შემდეგ კრიტიკოსი ეგება იმ წინააღმდეგობებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა „კოლხეთის ცისკარს“ ჩამოყალიბების დროს, ზახვასმით აღნიშნავს, რომ დამარცხებული მტერი ყოველთვის ვაავთრებით იბრძვის, რათა შეინარჩუნოს თავისი არსებობა. „ნამდვილ რევილუციას, — განაგრძობს კრიტიკოსი. — უმაღლე უპირისპირდება კონტრრევილუციაც და კარგია, რომ „კოლხეთის ცისკარმა“ ეს მოგვახსენა. არ შეიძლება ზღვის მოქცევა მოქცევის გარეშე, არ შეიძლება დამხობილმა კლასმა წინააღმდეგობა არ გასწიოს, არ შეიძლება წარმოვიღვიწოთ რესპუბლიკა შენახვის გარეშე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია — უღალური ტერორის გარეშე. არ შეიძლება წარმოვიღვიწოთ პროგრესი, რომლის წინააღმდეგ არ ამხედრდეს „ეპრობული კოალიცია“ (სე ამბობდნენ 1793

წესს), არ შეიძლება არ ამხედრდეს ვინღაც ყველა მისი, ვისაც ძარცვით შექენილი ქონება ჩამოართვეს».

კრიტიკოსი შემდეგ ცალკეული გმირების დახასიათებაზე გადადის. თვითრუს თავის ადგილს მიუჩნევს. მისი აზრით, კონსტანტინე ლორთქიფანიძე ყარჯი რომანისტი, ამაში რომ დაერწმუნდეთ, საქმარისაა წიგნიდან მოიყვანათ რომდენიმე ადგილი. «გვიორგი არც კულვაგონებული გლეხია, მაგრამ ახლა ვერ გადაეწყვიტა, რომელი სჯობდა, უცდელი ანგელოზი თუ ნაცალი ეშმაკი. მისი უხალისო დღეები ამდენ ხანს ელოდნენ ცხოვრების გამოცვლას, მაგრამ როგორ? — უბრალო თვალთ მაინც შემიხედოდა რა არის არტელი, ფერობდა გვიარგი და ეძნელებოდა ისეთ საქმეში ჩაბნა, რაც სოფელში ჭერ არვის ენახა.

გამოუცდელ ანგელოზს გამოცდილ ეშმაკს ამჯობინებდა».

ასე წერს რომანისტი და ამ სიტყვებით განსაზღვრავს მთელ ფსიქოლოგიას ადამიანისა, გარდატეხის წინ, და როგორც იმ ვარდატეხის შედეგს, გვიჩვენებს როგორ გამოხატურებას პოულობს რეეოლუცია ადამიანების სულში. მწერალმა კარგად იცის, რომ მექის «სიყრბის ოცნებაში დანახული სამოთხე» მომხიბვლელი იყო მხოლოდ შორიდან, ნამდივლად კი იგი იყო უკარგოთი, სადაც ერთიპეროდს ირეოდნენ საყოფადი და სამარცხენო, სასაცილო და გაურკვეველი სურვილები და მტანჯველი გვიანობა. ჩვენ ვიცით, რომ გადაუღსაბადი დაბრკოლებანი შეუბრალებლად გაჰყრის ხოლმე ბევრ შეყვარებულს, მით უფრო, თუ სიყვარული გაუხიარებელია. მაგრამ ვის მთუვა ფერად უმღეროს უბედურ სიყვარულს, ვანცილს იმ ასაკში, როცა ადამიანი ჭერ კიდევ მოკლე შარვლით დარბის.

მეტი არ უყვარს თალიკოს და ამიტომ იტანჯება ისე, როგორც ამისაგან იტანჯება მთელი ქვეყანა. მაგრამ ამ ტანჯვის ემატება პირადი, განსაკუთრებული ტრაგიკი: მეტი სჭულთ იმისათვის, რომ ლატაკია, სჭულთ იმ ბეჩაური ქედ-მოდრეკილობისათვის, რომელიც სიღარიბეს თან ახლავს, სჭულთ სიციცხლეზე დახარბებული მისი გული, შეურყენელი, ზეღუბლებული გონება.

«კოლხეთის ცისკარი» დიდი წარმატებით გვიჩვენებს უღარიბესს კაცის ბედს, რომელიც ცხოვრობდა იქ, და რომელიც ახლა ცხოვრობს აქ. დასავლეთში (მიუხედავად ჩვენი ზნე-ჩვეულებების სხვადასხვაობისა), და მას, იმ უღარიბესს უგულუბელუფდნენ არა მარტო მდიდრები, არამედ საშუალო შეძლების ადამიანებიც.

დასავლეთის ლიტერატურაში «უღარიბესს» თავისი ადგილი ჰქონდა. მე არ ვლამარაკობ იმ «მიწვილზე», რომელმაც ჰამსუნის გმირი, შემხვევით გადატყვებული დეკლასტური ადამიანი,

ინდივიდუალურ განსაზღვრებით მიიწვიანა. მე ვლამარაკობ ნამდივლ ლატაკებზე.

მათს შესახებ შეიძლება მარტოვეყენოთ ბევრი დაკვირვება, რომლებიც კლდეც კლდეა ამსკარას გახდინდნენ იმ უნებურ მისტიფიკაციას, რომელიც ივრძნობა ლატაკების ბედ-იღბალზე დაწერილ წიგნებში.

ამ უნებური მისტიფიკაციის მავალთებად მე მინდა დავასახლო შარლ ლუი ფილიპის წიგნი «ღედა და ბავშვი», ანდერსენის ზღაპარი — «ჩემი ცხოვრება» და ალფონს დოდეს «კაცუნა».

ეს ლატაკისნი ლატაკთა შორის იქნენ შარლ ლუი ფილიპად, ანდერსენად, და ალფონს დოდემ. ისე გამოდის, რომ თვით ყველაზე უბედურთათვის მისინ რჩება რაღაც იმედი იმ დაგვირგვინით სავსე, მაგრამ მაინც, როგორც ჩანს, ამოდ გაიკცხულ და შეჩვენებულ წუთისოფელში. მართლაც, რომელი ლატაკი არ იამაყებდა თავისი სიღატაკით, ოღონდ მომავალში ქვეყნისათვის ეხუტებინა თუნდაც რამდენიმე საუცხოო ზღაპარი? მაგრამ მეტი, პირიქით, მისინ არაბობა იქნებოდა, თუ მთელი ქვეყანა, სახეს არ შეიცვლიდა. მას სახელად მექის ეძახიან, მაგრამ მისი სახელი ლეგონია. ეს ლატაკები არ არიან გენოსები, არ არიან გამონაკლისები.

მაგრამ ისინი ზღებიან ადამიანებად. მათ კი ადამიანებად არ თვლიდნენ, რამდენიც არ უნდა ცდილობდნენ ეკრძებინათ ფული, რამდენიც არ ეოცნებათ თავიანთ აუბუნებელ სიზმრებზე.

გავისწინოთ, როგორ გარდაიქმნება მეტი. არა ჭადსნური კვართის მიქნევით, არა ვისიმე გულმორწყალების, სიუხვის, ან შეცოდების შედეგად. არა, მას გარდაქმნის კოლმეურნეობის შექმნის აუცილებლობა, აუცილებლობა იმისა, რომ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს ტრაქტორი, ზოლო ტრაქტორის წაყვანი ესპირობა. ასევე აუცილებელია ამ წაყვანის იყოდეს წერაკითხვა, იყოს განათლებული ადამიანი და იგი უნდა დაეუფლოს ადამიანისაღმი ზღამდგანალობის ხელოვნებასაც.

და აი, ძონძებთან ერთად მეტი იშორებს თავის ბეჩავურ შორიბუბას, ქედმოდრეკილობას. რეეოლუცია — ეს ნიშნავს იდგე ამყად, ქედმოუხრულად. ეს ნიშნავს შესტყეროდე ადამიანებს არა ქვემოდან, ან დაჰყურებდე არა ზემოდან, არამედ გაყვარდნის ისინი, როგორც თანასწორს თანასწორნი.

მე ვიცი იმ ვინისათვის მშვენიერი ებიგრაფი, რომელიც დაიტევს მისი გმირის მთელ მეტამორფოზას. ესაა — თავისუფლება, ერთობა, მშობა».

«არ შეიძლება არ მისაყვედურონ, — დაასკენის კრიტიკოსი, — რომ არაფერი ვთქვი ჩვეულებებსა და ტანსაცმლის სიღამაზეზე, გლეხებისა და პეიზაჟების ფერწერულ გამოხატვაზე, მექისა და ბევრი სხვების ესოდენ

ფსიქოლოგიურ სიპართლევზე. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ მე მაინცა და მაინც არაფრად ვაგდებ „წმინდა“ ლიტერატურულ მსჯელობებს. „წმინდა“ წყალს არ აქვს არც სურნელი, არც გემო, ხოლო „წმინდა“ ლიტერატურა — ეს არის წმინდა სისულელეა.

როგორც დაინახეთ, ანდრე ვერმსერი მარჯვდ იშველეს წარსულის პარალელებს, იგი „კოლხეთის ცისკარს“ განიხილავს ისტორიის პერსპექტივაში.

1956 წლის ეურნალ „ლა პანსეს“ ნოემბერ-დეცემბრის ნომერში დაბეჭდა ფრანგი კრიტიკოსის გორგ ლესერკლის რეცენზია, რომელშიც კრიტიკოსი მალაღ შეფასებას აძლევს ქართული მწერლის რომანს. „გორგ ლესერკლის, — წერს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ილია ტაბაღა, — ჯ. ლორთქიფანიძის რომანის „კოლხეთის ცისკრის“ გამოცემა ფრანგულ ენაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია. ამ რომანის საშუალებით, — წერს კრიტიკოსი, — ფრანგმა მკითხველმა ბევრი რამ გაიგო საქართველოზე, მის მწერლობაზე. ქართველ ხალხს გააჩნია ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურა ევროპაში და მან მოგვცა ბრწყინვალე პოეტები ვერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში. მას ახლა შეაქვს თავისი სხვათა კნა საბჭოთა ლიტერატურის მდიდარ მისაგლში. მაგრამ დღემდე წევრ არაფერი ვიცილათ საქართველოს დღევანდელ ლიტერატურაზე. პირველი რომანი ესე არის ითარგმნა“.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ ლესერკლი იწყებს „კოლხეთის ცისკრის“ განიხილვას. იგი აღფრთოვანებით წერს ქართულ სოფელზე, მის უბე ზაღარაზე. „სიმღერები, ცეკვები, ფოლკლორი, თავისებური ადათ-წესები, ქართველი გლეხის ყოფა-ცხოვრება, მიცემული ჯ. ლორთქიფანიძის მიერ მდიდარ ფერებში — აი, რა იტაცებს მკითხველს“.

ავტორის აღტაცებას იწვევს ქართველი გლეხი, „მისი ძლიერი აზრი, ხასიათის სიმტკიცე“... ჯ. ლორთქიფანიძის ვლევებს, — წერს გორგ ლესერკლი, — ბევრი საერთო აქვს მ. შოლოხოვის, ჩინელი და ფრანგი რომანისტების ვლევებთან“.

თუმცა ე. ლესერკლის აზრით, „კოლხეთის ცისკარში“ ილაგ-ილაგ აღწერილობა ვადატიერთლია მეტრისმეტე მსჯელობით, მაგრამ, ამავე დროს, ჯ. ლორთქიფანიძეს აქვს რომანისტის უდიდესი ღირსებაანი. მისი პერსონაჟები მუდამ ცოცხალი არიან. „ჩვენ ზუსტად გვაძახსოვრდება კელაი ბარნაბა საჯანელიძე, მისი უღამაზესი ქალიშვილი თალიკო, ლატაი მეჭი, დამაგრული მოჭამავარი, რომელიც შემდეგში კოლმურნების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხდება“.

ჯ. ლორთქიფანიძის რომანში ვადმოცემულია უდიდესი მნიშვნელობის ამბავი ისტორიაში —

ვადასელა კერძო საკუთრებიდან კოლმურნებურ საკუთრებაზე. ამასთან დაკავშირებით აქ ნაწვევნიება ადამიანის გარდაქმნა. „კოლმურნების დაბადება — ეს არის ახალი ვადამიანის დაბადება.“ — წერს ლესერკლი. ბოლოს კრიტიკოსი დასკვნის: „ეს რომანი ნამდვილი აღტაცებით წაგიკითხე. მან შორეულ კოლხეთში ვადამიყვანა, ვადამიყვანა უღამაზეს მხარეში, რომელსაც არაერთი წარმტაცი ლეგენდა მიუძღვნეს ძველი დროის ხალხებმა“¹.

„კოლხეთის ცისკრის“ ფრანგულ ენაზე გამოსვლას გამოეხმაურა კიდევ ბევრი სხვა კრიტიკოსი, ლიტერატურაში სხვადასხვა მიმართულების რომ არიან. „კოლხეთის ცისკარი“, — წერს მარსელ სოვაი, — ფრანგულ ენაზე თარგმნილი პირველი ქართული რომანია. მას უამრავი ზემოპირი მხატვრული ღირსება აქვს. იგი ასახავს უბრალო ადამიანების ცხოვრებას, სუნთქავს პოეზიით და მიწის სურნელით.

რომანის გმირი მეჭი, ლარბი, პატროსანი ახალგაზრდა, მოჭამავარი უღვას მეღმქვეს. ავტორი ავღწერს მისი ფსიქოლოგიის გარდაქმნას, სულიერ ზრდას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეს მღრთხალი, დაბნევებული კაცი ნამდვილი პიონერის ვატაცებით ჩაება ახალ ცხოვრებაში და საზოგადოებრივად სასარგებლო კოლმქრების წევრის თვითშეგნებად აღმალდა.

და ყველაფერი ეს, მხოლოდ სხვა ფორმითა და სხვა კოლორიტით, წაგავს ძველ ამერიკულ რომანებს“.

როგორც ვხედავთ, კრიტიკოსი უურადღებას აქვევს მქვე ვაშაქიძის სულიერი ზრდის საკითხებს, თუ როგორ გარდაიქმნა ეს დაბნევებული ადამიანი, რამ განამირობა მისი გარდაქმნა კოლმურნებაში, როგორ დაიკავა მან ხელმძღვანელი პოსტი კოლმურნებაში. კრიტიკოსი აღტაცებულია ქართველი მწერლის რეალიზმით, იმით, თუ როგორი ოსტატობით დახატა მან მეჭის გარდაქმნის მთელი პროცესი.

ანრი მარკეტე 1956 წლის 15 ნოემბრის „ლემანიტეში“ გამოქვევნებულ რეცენზიაში, მალაღ შეფასებას აძლევს „კოლხეთის ცისკარს“. იგი ლამაზაკობს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევილუციაზე, რომელმაც მეჭი ვაშაქიძე ჯოჯოხეთური ცხოვრებიდან ამოიყვანა და საშუალება მისცა გამხდარიყო კოლმურნების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. „მეჭი ვაშაქიძე, — წერს კრიტიკოსი, — თითქოს ჯოჯოხეთში ცხოვრობდა. ასე ვალედა იგი სიცოცხლეს შორეული საქართველოს ერთ პატარა სოფელში და საბოლოოდ დავლახდებოდა, რომ 1917 წელს რუსეთში სოციალისტური რევილუცია არ მომხდარიყო“.

¹ ილია ტაბაღა — „ფრანგული ეურნალი „კოლხეთის ცისკრის“ შესახებ, „ლიტერატურული გაზეთი“, № 3, 1957 წ. 29, 111, გვ. 2.

ეს შესანიშნავი რომანი აღადგენს საბჭოთა კავშირის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს და, ვისაც სურს გაეცნოს ამ ისტორიას, უფროდ უნდა წაიკითხოს „კოლხეთის ცისკარი“.

1956 წლის 20 დეკემბრის „დრამო რევის“ ფურცლებზე ბელგიელი კრიტიკოსი ფულიენ ვუსმანი ათავსებს რეცენზიას, რომელშიც აღნიშნავს, რომ იგი პირველად „კოლხეთის ცისკარი“ გაეცნო ქართულ ლიტერატურას, ავტორი ჩერდება თხრობით ზელოვნებაზე, მიუთითებს, რომ თხრობა ცოცხალი და სხარტია, რომანში დახატული გმირები ძალიან დამახასიათებელია სოციალიზმის ეპოქისათვის.

„ქართულ ლიტერატურას პირველად „კოლხეთის ცისკარი“ გაეცნო“, — წერს ფულიენ ვუსმანი. — მინდა აღენიშნო, რომ ეს რომანი ავტორის უეჭველად დიდი გამარჯვებაა. კონსტანტინე ლორთქიფანიძის თხრობა ცოცხალი და მიწოდებულია, ხოლო ყველა მოქმედი პირი ძალზე დამახასიათებელია სოციალიზმის მშენებლობის ეპოქისათვის“.

„ჩემი აზრით, — განაგრძობს კრიტიკოსი, — ავტორის შეგვიძლია ვესაყვედუროთ მხოლოდ ის, რომ მისი რომანი ნაკლებად ასახავს სპეციფიკურ ეროვნულ გარემოს. მის მიერ აღწერილი მოვლენები შეიძლება ზუსტად ასევე განვითარებულიყო საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა კუთხეშიც. მაგრამ ასეთი უმნიშვნელო ნაკლი სრულებითაც არ ამცირებს ამ ნაწარმოების სხვა ღირსებებს... წიგნი მთავრდება პირველი კოლხური გაზაფხულის აპოთეოზით, როცა არტელის წევრები ხარობენ თავიანთი შრომის ნაყოფით. დიდებულია კოლმურენეთა გამარჯვება, და ეს არის არა მარტო კოლქეთის გამარჯვება ჩამორჩენილ მსახურზე, არამედ აღმართის გამარჯვება საკუთარ გეგმებსა და საკუთარ ჩამორჩენილობაზე“.

რომანს ყურადღება მიჰქცია ავსტრიელმა კრიტიკოსმა პაულ ლისტმა, მან 1956 წლის 28 ნოემბრის „ფოლქსშტიმეს“ ფურცლებზე მოათავსა რეცენზია „კოლხეთის ცისკარის“ ფრანგულ ენაზე გამოსვლასთან დაკავშირებით. კრიტიკოსი დადებითად აფასებს რა რომანს, წერს: „ის დრამატული მოვლენები, რომლებზედაც მოგვითხრობს კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავის დიდ რომანში — „კოლხეთის ცისკარი“, მოხდა შორეული საქართველოს ერთ-ერთ პატარა სოფელში“.

ასევე წლების მანძილზე დედამიწის ზურგზე არავის გახსენებია კავკასიონის ფერდობზე შეფენილი ეს პატარა სოფელი. ბნელით იყო მოკული მისი ცხოვრება, ვიდრე ახალი ხანა არ დადგა.

ქართველი მწერლის მიერ არაჩვეულებრივად ცოცხლად დაწერილი, საუცხოო რომანი ასახავს ამ სოფლის მცხოვრებთა სევა-ბედს, არცთუ

ისე შორეულ წარსულში მომხდარ ცვლილებებს, რომელთაც შეძრეს მთელი ქვეყანა და ამ ბედთა სხვაობაში, აღამიანთა რთვოცნებაში, ისე სოციალურ შეტყუებაში, რომელთა ნათელ მხატვრულ გამოხატულებას მკაცრი ბრძოლები ძველ, დროშოვულ წარსულსა და ძველამოსილ მომავლს შორის, სხარტად და დამაყრებლად შექმნილი ხასიათები, უამრავი არაჩვეულებრივი შემთხვევა, მხატვრულად ასახული პეიზაჟები — ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს, კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან ერთად, ღრმად და რეალურად განვიცადოთ ზღვის მძიმე ბრძოლა უცუთესი მომავლისათვის“.

„კოლხეთის ცისკრის“ ფრანგულ ენაზე გამოვლასთან დაკავშირებით ავტორმა წერილი მისწერა „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანების“ დირექტორს ლუი არაგონს. ამ წერილში კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მადლობას უძღვნის გამომცემლობას და პირადად მის დირექტორს ლუი არაგონს იმისათვის, რომ იგი დააფასეს და ფრანგულ ენაზე გამოსცეს მისი რომანი. არაგონი დიდი გულისხმიერებით გამოეხმაურა ქართველ თანამოკალმის წერილს. იგი საპასუხო წერილში წერს: „ჩემი ძვირფასო კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მადლობას გიძღვით წერილისათვის, ჩვენ ძალიან ბედნიერად ვიგრძენით თავი, როდესაც „ლეტრი ფრანსუაზი“ დაგბეჭდეთ თქვენი „კოლხეთის ცისკარი“. თქვენი საღამო გადავეცი მთარგმნელსა და მხატვარს“.

მგონი არ იცით, რომ თქვენი რომანი დაიბეჭდა არა მარტო ჩვენს ეურნალში, არამედ ცალკე წიგნადაც გამოვეცით. წარსულ კვირას გამოვგზავნეთ ამ წიგნის 10 ვეჭმულარი...“

მეორე მხრივ გაცნობებთ, რომ ყორე არუს გადასათარგმნად გადავეცი მოთხრობა, რომელითაც იწყება თქვენი „რჩეული ნაწერები“ და მგონი მთარგმნელმა იგი ასე დაასათარგმა: „საღამო გორში“.

აგრეთვე ვთხოვე ყორე არუს, არ დაუცადოს თქვენს წერილს და გამოგზავნოს თბილისში, საქართველოს საბჭოთა მწერლების მისამართზე ერთი ვეჭმულარი წიგნისა — „რჩეული მოთხრობების კრებული“ ჩემი წინასიტყვაობით, კრებული გამოსცა ვალმარამა, ყველაზე უდიდესმა ფრანგულმა გამომცემლობამ. ეს არის პირველი ტომი ახალი კრებულისა, რომელსაც ვებღმძღვანელობ და რომელიც მიძღვნილია საბჭოთა ლიტერატურისადმი.

... შეიძლება ისიც არ იცით, რომ თქვენს შესახებ დაწერე ჩემს წიგნში „საბჭოთა ლიტერატურები“, რომელშიც ვავითარებ აზრს, რომ თქვენ ხართ ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა მწერალი.

ოქვენი არაგონი, პარიზი, 1956 წლის ნოემბერი.¹

როდესაც 1956 წელს „კომუნისტი“ ცისკარი“ ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა, ამ სტრუქტურის ავტორი გამოეხმაურა მას. 1956 წლის გაზეთ „კომუნისტი“ 4 აგვისტოს ნომერში ვწერდო: „ფრანგული ტექსტის ორიგინალთან შედარებამ ნათელიყო, რომ ერთე არეს დასაბუთო ამოცანა პირნათლად შეუსრულებია. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ერთე არე თარგმნის კარგი ოსტატია, კარგად იცნობს თარგმნის ტექნიკას, მწერლის იდეას, სულსა და სტილს...“

ერთე არეს სახით ფრანგულ პროგრესულ ლიტერატურას მოვევლინა ახალი სერიოზული ძალა, რომელსაც უნარი შესწევს უშუალოდ ქართულიდან თარგმნის ქართულ მწერალთა ქმნილებანი და გააცნოს ფრანგ მკითხველებს.“

ჩვენ კვლავ მოგვიხდა ორიგინალის შედარება ფრანგულ თარგმანთან და დადასტურდა ის, რაც ამ თარგმანზე 1956 წელს დავწერეთ.

ერთე არეს ფრანგული თარგმანი ახლოს დგას დედანთან, ზუსტად ვადმიისცემს ქართული მწერლის აზრებს, ენას, სტილს, ინტონაციას, განწყობილებას.

1958 წელს „ფრანგ გამოკვეთელთა გაერთიანებამ“ ფრანგულ ენაზე გამოსცა ლეო ქიაჩელის რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელიც ფრანგულად თარგმნა რბერტ ფილიპონმა ელენე დოლობერტის რუსული თარგმანის მიხედვით.

რომანი ფრანგმა მკითხველებმა გულთბილად მიიღეს. საფრანგეთის პრესაში გამოქვეყნდა დადებითი რეცენზიები. 1959 წლის პირველი იანვრის „ლუმინანტიში“ გამოჩენილი ფრანგი კრიტიკოსი რეტი ბერტერონი წერს: „ფრანგ გამოკვეთელთა გაერთიანებამ ექვესა წლის მანძილზე გამოკვეთა საბჭოთა ავტორების თორმეტი ნაწარმოები. გასულ წელს გავცანიით კონსტანტინე გამსახურდიას არჩვეულებრივ გმირულ რომანს „დიდოსტატის მარჯვენას“, რომლის აღმართოვანებელი ეპიზოდები იბეჭდებოდა „ლუმინანტი დიპანში“ და მას ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ.“

ამავე გამოკვეთლობამ ეს-ეს არის გამოსცა ლეო ქიაჩელის რომანი „ტარიელ გოლუა“. რომლის ავტორი ჩვენთვის ჯერ კიდევ გუშინ უცნობი იყო. იგი აგვიწერს თავისი შრომითური ქვეყნის გლეხთა გაქირავებას, ტანჯვა-წამებას რასაც ისინი განიცდიდნენ მოხლეჩებისა და თავად-ზნაურებისაგან. ქიაჩელის რომანი დანერჩილია მწელად მისალწვეი სისადავით, გულწრფელობით. ეს არის სიბრძნე, სოფლური უბრალოება, პარპონია, ზომიერება, რითაც ასე

გამოირჩეოდა ლევექეოს საუცხოო ფილმი „მიწა“, რომელიც წელს ნაჩვენები იყო ბრიუსელში მსოფლიო კინემატოგრაფიის თორმეტ სედიუს შორის.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ რომანს, ამ კავასიორ „გმირობას“ აკლდეს ემოცია, დრამა. ანუ, მავალითად, რომანში თხრობა სიმძაფრეს აღწევს მაშინ, როდესაც მთაში ვახიზნული მოხუცი ტარიელი ხედავს კახაყების დამსჯელი რაზმის მიერ ცეცხლოკიდებულ თავის ოლას, როცა ტარიელი მოლაღის მიერ მოკლულ ლევანს, თავის ერთადერთ შვილს აიყვანს და ამაყად შეხედება მტერს, როგორც ეს არის ნაჩვენები ვიზუალისტინის ფილში „გაფშონისანი პოტიომკინა“ — როცა თმაგაწეწილი და შეწეხებული დედა — ბავშვით ზელში მიისხანვება შეხედება მტერს მოღერებულ თიფებს. ქიაჩელი აქ წარმოვეიდეგბა როგორც მგრძობიარე და, ამავე დროს, როგორც მოკრძალებული მწერალი. ავტორს უყვარს თავისი გმირი, სიმბოლო თავისი ხალხისა. ეს მოხუცი, მიუხედავად გადატანილი მრავალი ტანჯვისა, ბოლომდე დარბანისელი არება. იგი სათავეში ჩაუდგება პირველ მოხალისე წითელ რაზმს და თავის გარშემო მთელ სოფელს შემოიკრებს. ტარიელი სინდისი და პატროსნებაა გლეხებისა, რომლებსაც იგი ამხედრებდა თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

„ტარიელ გოლუა“ ყოველ გვერდზე ჩქიფს სიყვარული შრომითური მიწისაღში, მისი ამაყი ხალხისა და თავისუფლებისაღში.“

რომანს გამოეხმაურა, აგრეთვე, ფრანგ მწერალთა ერთეული კომიტეტის ორგანო „ლეტრ ფრანსეში“. ამ გაზეთის 1959 წლის 15 ივნისის ნომერში მოთავსებულია ლიტერატურის კრიტიკოსის ჯან რუარის წერილი. ამ პატარა ავტორიფერუდელმა წიგნმა იმდენად ვაატაცა ის, იმდენი სიხარული მიანიჭა და ააღელვა, რომ მოისურვა მთელი ზხით ალაპარაკებულყო.

ჯან რუარის აზრით, „ტარიელ გოლუა“ შედეგურია, იგი აღტაცებით ღაპარაკობს ლეო ქიაჩელის გმირთა თედადებამა და დეკაცობაზე, რომ მთი ხალხის საქმეს ანაცვალეს უველაფერი, თვით სიყვარულიც კი. მწერლის მიერ ასახულ სახეებში იგი ხედავს 1917 წლის რევოლუციონერებს, დიდი სამამულო ომის გმირებს მოსკოთან, ზტალინგრადთან, აღამიანებს, რომლებიც უტყვენ კოსმოსსა და მზეს.

„წიგნი საუცხოოდ არის თარგმნილი, — შენიშნავს ჯან რუარი, — იგი თვით ცხოვრებაა, აღსავსეა აღამიანური სინაზით...“

ტარიელის სახე რუარს ავონებს ფრანგ გლეხს, იგი ურჩევს ყველას, წიკითხონ ლეო ქიაჩელის რომანი და აუცილებლად წააკითხონ იგი სხეებს, რათა, როცა შეიძლება, უფრო მეტი აღამიანი გავცნოს მას. ავტორი მოუწოდებს მკითხველებს მოიქცნენ ტარიელივით.

¹ «Заря Востока», 11 ноября 1956 г., стр. 3.

ქან რუბრი თავის რეცენზიანი წერს, რომ რომერ ფილიპონის მიერ შესრულებული თარგმანი კარგი არისო, რეცენზენტს ამის დამამტკიცებელი საბუთი არ მოაქვს. ჩვენ აზრით, ფრანგ კრიტიკოსს არ ჰქონდა საფუძველი რომერ ფილიპონის თარგმანი კარგ თარგმანად გამოცხადებინა, რადგან მან ჯერ ერთი „ტრიაველ გოლუას“ ავტორის შიშობლიური ენა არ იცის, არც ფრანგული ტექსტი შეუდარებია რუსულ თარგმანთან. ჩვენ შევადარეთ რომერ ფილიპონის ფრანგული თარგმანი რუსულ ტექსტს და დავარწმუნდით, რომ თარგმანი არ არის აღმქვანტრტი. მთარგმნელი ეყრდნობა რუსულ თარგმანს, რომელიც თვითონ დამორბეულია ორიგინალისაგან. იგი უფრო თავისუფალი თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებს.

„ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებას“ ჰქონდა საშუალება რომანი უშუალოდ ქართულიდან ვთარგმნა, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. საფრანგეთში არიან მომზადებული მთარგმნელები, რომლებმაც ერთიანად იციან ფრანგული და ქართული ენები.

სანამ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ცალკე წიგნად გამოვიდოდა, ნაწყვეტები სათანადო ილუსტრაციებით დაიბეჭდა ყოველკვირად გაზეთ „ლუმიანიტე დიანში“ (29 დეკემბერი. 1937 წ.). საარქაძეო წერილში ნათქვამია: „ქართულ საბჭოთა შერალს კონსტანტინე გამსახურდიანს დღემდე საფრანგეთის საზოგადოებრიობა არ იცნობდა. ზედა ასე არ იქნება“. ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ“ გამოსცა მისი დიდი ეპოპეა „დიდოსტატის მარჯვენა“. ახლა ჩვენს მკითხველებს დიდი ცდა აღარ დასჭირდებათ, მათ შეუძლიათ წარმოადგინა იქონიონ ამ რომანზე, რომლის ბოლოსიტყვაობა 1955 წელს არის დაწერილი. ქვემოთ ვაქვეყნებთ ნაწყვეტს, რომელიც წარმოადგენს ამ წიგნის დასაწყისს, სადაც საქართველოს კეთილშობილი ადამიანები ფრანგი მკითხველების ახლობლები ზღვებიან“.

1957 წელს „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ“ ცალკე წიგნად გამოსცა „დიდოსტატის მარჯვენა“. რომანში უმაღლესი მიზნობა საფრანგეთის საზოგადოებრიობის ყურადღება, ვერნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა რეცენზიები, რომლებშიც მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველი შერალის რომანს. პირველი რეცენზია ეკუთვნის გამოჩენილ ფრანგ კრიტიკოსს რეი ბერეკონს. თავის ვრცელ რეცენზიაში „ქართველი რომანისტი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, სოუვერ ეპოპეის ღირსია“, რეი ბერეკონი წერს: „... ჩვენს ჩვეულებრივ პორბონტზე გამოჩნდა ქართველი რომანისტი კონსტანტინე გამსახურდია, რომლის „დიდოსტატის მარჯვენა“ ახლახან გამოსცა „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ“.

ამ რომანის მსგავსი თითქმის ვეღარ იწერება:

ჩვენს თანამედროვე მწერლობაში, რომლისთვისაც ასე უცხო გახდა ეპიკური ქანრი.

ეს ეპიკური ქანრი ამჟამად თითქმის ახალი ქვეყნების მწერლებს ეკუთვნით... მათათაგან, ასეთია რუმინეთი...

იი, „დიდოსტატის მარჯვენა“. თითქმის ათეული საუკუნის წინა საქართველოში შეფუთ-მეფე გიორგის — „მესიის მახილის“ არა მარტო სარკინოზების, ბიზანტიის იმპერატორისა და ურჯულოების წინააღმდეგ უზღებდა ბრძოლა, არამედ საერთო ქვეყნის ფეოდალების წინააღმდეგაც, რომელნიც აჯანყებას აწყობდნენ ყოველგვარი მიზეზის გამო და უმიზეზოდ. მათი ციხე-სიმაგრეები ეშუქრებიან მეფის ხელისუფლებას იმისდა მიუხედავად, მათ დიდი ჯვარი სწამთ თუ არა.

იბრძვიან ველურად, მაგრამ უფრო მეტი ველურობით იძიებენ შურს დამარცხებულებზე, ანგრევენ ციხე-სიმაგრეებს, გახურებულ შანთით აბრკვევენ ყველაზე მშაყ მეომრებს, თავს ჰკვეთენ აჯანყების შეთაურებს, ზოგს ბნელ დღეებში ყრიან, ზოგსაც კომკებიდან აგდებენ, იტაცებენ ქალიშვილებს, იძულებით აქორწინებენ, ან მონაზნად აღიყვებიან.

ასეთია თითქმის ის ლეგენდარული ფონი, რომელზედაც მოქმედებენ კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟები. დიდი რომანისტიც თხრობა ერთი წუთითაც არ კარგავს თავის ძალს. ძლიერი მწერლის ხელით დამუშავებულ ნაწარმოებში ვპოულობთ იმ ჩვენი ძველი რაინდული რომანების საოცრებას, რომელთა ტონი ვასაოცრად აღუდგენია „დიდოსტატის მარჯვენას“ ავტორს. მაგრამ ქართველი რომანისტიც სიტყვა აღებატება იმ შთაბეჭდილებას, რომელიც რომანის პირველი წაკითხვიდან დაგრჩებათ. „დიდოსტატის მარჯვენის“ მთავარი პერსონაჟი, რომლის შესახებ მწერალი მოკლე ეპილოგში მოკვითობრბა, არის მეფის ზნობით მოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე, გიორგის მონა, ამ მაღალ თანამდებობაზე მის მიერ დანიშნული, სეკტიცხოვლის ტაძარი რომ ააშენა. კონსტანტინე არსაკიძე მეფის ექვიანობისა, (ორივეს ერთი და იგივე ქალი უყვარს,) და თავგასული ფარისაშ სპარსის მსხვერპლი ზღვდა. ფალთმა დიდოსტატს, კონსტანტინე არსაკიძეს მარჯვენა მოკვეთა, თუცა თვით იგი ამ დროს ტიროდა, რადგან ზნობითმოძღვარმა ქართველი ხალხის ძლიერი სიყვარული დაიმასხურა. „მოკლუნათა ცენტრში, — წერს გამსახურდია, — ყურადღება უნდა მივაქციოთ ზნობითმოძღვრის დასახიჩრების ამბავს, შემოქმედებითი მუშობის დაბრკოლების ამბავს ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც ფეოდალი ტირანები მართავდა“. იი, ამ საფუძელიანი ახსნა-განმარტების შექმე უნდა წაკითხოთ „დიდოსტატის მარჯვენა“.

უდავოა, რომ ამ დიდ რომანს ბევრი კარგი ღირსება აქვს. ჩვენ მიუვსალმებით „ფრანგ გა-

მომკველთა გაერთიანებას, რომელშიც საფრანგეთის საზოგადოებრიობას მშვენივრად გაფრამებული თხზულება მიწოდა“.

ფრანგი კრიტიკოსი ყურადღებას აქცევს ზელომოდურის დასახინჩების ამბავს, რადგან, მისი აზრით, ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც ფეოდალი ტირანები მართავენ, შეუძლებელია ზელოვნების განვითარება, ზელოვნების მსახურთ სდევნიან, ავიწროებენ და სობენ. კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას თხრობა ძლიერი, დინამიური და სხარტია. მისი აზრით, კონსტანტინე გამსახურდიამ საოცრად აღადგინა ძველი ფრანგული რაინდული რომანების ტონი.

ცნობილი ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი ანდრე ვერსერი ვრცელ რეცენზიაში აღნიშნავს, რომ დღემა ქართულმა რომანისტმა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის რომანში ოსტატურად დახატა ის წინააღმდეგობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა გიორგი მეფესა და კონსტანტინე არსაიძეს შორის, კრიტიკოსს ეს მომენტი რომანში დასაბუთებულად მოჩანდა.

„კონსტანტინე გამსახურდია, — წერს ანდრე ვერსერი, — მოგვეჩვენებს საქართველოს შორეულ წარსულს. ზენ ვგებულობთ, რომ იმ ბნელ დროს საქართველოში ჰყვაროდა ისეთი ძველი კულტურა, როგორც ჩვენია... „დიდოსტატის მარჯვენა“ ახალი წიგნი, რადგან მისი ბოლოსიტყვა 1955 წლის დეკემბრით არის დათარიღებული, ეს არის ისტორიული რომანი. დიდი ეპიკური ტილი. რომანში მოქმედება იშლება მეთერთმეტე საუკუნეში. თქვენ მოწმე იქნებით დიდმნიშვნელოვანი ბრძოლებისა, რომელთაც მეფე გიორგი ფეოდალების წინააღმდეგ აწარმოებდა. მას არც კი შესწევდა უნარი განეხიზნებინა მის მთარებში, ან შეფეხებში ვინ თუ ყველაზე ძლიერი და ვერაგი. თქვენ დაინახავთ ბრძოლებს, მიმართულს შრავალი ციხე-სიმაგრის ასაღებად. დაინახავთ დასჯას, მიწის ძვრას, სიყვარულს, ეპიდემიას, შერისპიებას, ნადირობას, ცეცხლითა და მახვილით სიკვდილს, საწამლათ სიკვდილს დღესასწაულზე თუ ჰეიფში. თქვენ მოისმენთ აღმოსავლური სიმღერებსა და პოემებს. თქვენ გაეცნობით პრინციებსა და ჯადოქრებს, ეპისკოპოსებსა და სარდლებს. გაეცნობით კონსტანტინე არსაიძეს, ტარების მშენებელს. თქვენ გაინავარდებთ საკვირველ პეიზაჟებზე, სადაც დათვები. ირმები და ავაზები ბინადრობენ. თქვენ გაეცნობით საქართველოს ისტორიას შუა საუკუნეებში.

ჩვენი საშობლოდან დაშორებული ქვეყნის ორმაგი ვრწოზა — ისტორიული და გეოგრაფიული გარემო, ორმაგად შორეული პოეზია — შუა საუკუნეებისა და აღმოსავლეთისა — რამდენიმე საათის განმავლობაში თქვენ დარდს დაგვიწყებთ.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ზერეულ დიწერი-

ლი ნაწარმოები როდია, აქ საფუძვლიანადაა დასაბუთებული არქიტექტორისა და მეფის წინააღმდეგობა. ჩემო მეთხველებო, ბოლოს მოგმართავთ, წაიყოთხოთ ეს ინტერინული ზრამანი და ისამოყრით“.

1958 წლის აპრილის ნომერში „ფრანგული წიგნის კრიტიკული ბიულეტენი“ წერს: „ეს რომანი სათაისსავენ დაბრუნების ცდაა, მკედრებით აღდგომა ეპიკური წარსულისა, რომელზეც თავის დიდებას ამწენს ახალგაზრდა ხალხი, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, წარსულსა და აწმყოს შორის რომ არსებობს. უფლებით ორივე განსხვავებულია, მაგრამ ორივე სახელოვანია.

... აქ მოკლენათა ცენტრში რჩება ზელოვანის დასახინჩება, ზენ-ჩვეულების, სამოსელისა და პეიზაჟების აღწერა აღმოსავლურ ყაიდზე, ბრძოლების მრავალ სურათს ქმნიან და გვიხატავენ მეტად მომჭადოებელ ქართულ ფონს მეთერთმეტე საუკუნისა და გუსტავ ფლობერის „სალამოს“ მოგვაგონებენ“.

ისე როგორც ანდრე ვერსერი, „ფრანგული წიგნის კრიტიკული ბიულეტენი“ მეთხველის ყურადღებას მიაქცევს ზელოვანის დასახინჩებას ოსტატურად დახატულ ამბავს. მეორე მხრივ, ლაპარაკია ეპიკური წარსულის აღდგენაზე.

ქრანლი „ლო დე ბე“ 1958 წლის მისის ნომერში წერს: „რა იციან ჩვენში აღმოსავლეთის შუა საუკუნეებზე, რა იციან ბიზანტიაზე, ვარდა მისი ოთხი სახელისა, ან სამხრეთ რუსეთის სახანოებზე, ანდა საქართველოს დიდ სამეფოზე? არაფერი, ანდა მეტად მცირე რამ. დაახ, ლაპარაკობენ მონარქების სადისტურ სიმკაცრეზე, ანდა ეიზენშტეინის წყალობით იცნობენ ივანე შრისხანეს და კონსტანტინეპოლს, მაგრამ ქართველი ხალხის მისწრაფებები, მისი უამრავი ზელოვნების ძეგლები, გამათავისუფლებელი ბრძოლები ჩვენთვის უცნობია, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ახალ თარგმანს ჩვენ გადავუვართ მეთერთმეტე საუკუნეში და გვაცნობს ქართველი ხალხის ამ დიდ ბრძოლებს“.

ქრანლი „მესიდორი“ 1958 წლის იანვრის ნომერში წერს: „ამას წინათ გამოკვეთებულ საბჭოთა რომანებს შორის საპატიო და განსაკუთრებული ადგილი დეთმო კ. გამსახურდიას რომანს „დიდოსტატის მარჯვენას“. იგი განაპრტოა რომანისა. უდავოა, ეს თხზულება მეთერთმეტე საუკუნესა შრამათა რიცხვს. მაგრამ ამავე დროს ეს არის მდიდარ ფერებანი ტრონიკა ერთ და იმავე დროს იგი არის რეალისტური და ლირიკული პოემა ქართველი ფეოდალების შორეულ წარსულზე...“

თხრობას ალტაცებში მოყავს მეთხველი, რომანი შეფერადებული და მდიდარია, ვითარცა აღმოსავლური ხალხი, სადაც ძალაღობის

სცენები და სიუჟეტის გალობანი ცვლიან ერთმანეთს ისტორიული სიმაართის მეტად მიმზიდველ აღწერილობაში“.

ჟურნალი „უფეი“ 1958 წლის 30 იანვრის ნომერში წერს: „...შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ ავტორმა წიგნის ცენტრში მოაქცია არსაკიძის პირთვლება და არა გიორგი მეფისა. მონა არსაკიძემ, თავისი გუნის წყალობით სამცხოს ხეროთმოძღვრის რანგამდე აყვანილმა, ააგო შედეგრი, სადაც ჩააქსოვა მთელი თავისი სიყვარული ხელოვნებისა და აღამიანებისადმი. იგი ტირანის ექვიანობისა და შურთანობის მსხვერპლი ხდება, მაგრამ როცა თბილისელმა ცალთვალა ჭალათმა საღირამ ხელი წააცალა ოსტატს... ცრემლი წარმოსდინდა ერთადერთი თვლიდან, რადგან ხელოვანს მთელი ქართველი ხალხის სიყვარული ჰქონდა გამსახურებულა“.

ავტორი ბოლოსიტყვაში თვითონ გვიხსნის თავისი წიგნის აზრს „მე შევეცადე. — ამბობს იგი, — მომეხსრო დიდი ხელოვანის ტრავიკული სიცილილი და შედეგებმა მისი ქმნილება... მოვლენათა ცენტრში რჩება არსაკიძის დასახორჩების ამბავი, ამბავი იმ დამბრკოლებათა, რომელნიც წინ ეღობებოდა შემოქმედებით შრომას მტარავლების მიერ გამართულ სახელმწიფოში“.

ისე როგორც სხვა ფრანგი ავტორები, ამ წერლის ავტორიც მას უცვლად არსაკიძის პირთვლებას და თვლის მას რომანის მთავარ გმირად, რომელმაც ააგო ხელთუქმნელი ტაძარი და ამისათვის მას ტირანებმა ხელი მოჰკევეთეს, მას გამოყავს დასკვნა, რომ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ტირანები ბატონობენ, ხელოვნებას გასაქანი არ აქვს.

ჟურნალი „საფრანგეთი — სსრ კავშირი“ 1958 წლის ოქტომბრის ნომერში ათავსებს წერილს, რომელშიც აღნიშნავს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ მკითხველს მოუთხრობს საშინელ თავგადასავალს ხეროთმოძღვრის ცხოვრებიდან, ხელი რომ მოკვეთესო. შემდეგ იგი მიუთითებს, რომ ქართველი მწერალი აღადგინა შორეულ წარსულს, რომელიც ჩვენთვის ნაკლებად არის ცნობილიო.

ჟურნალი „ტრიბუნ დე ჟენევი“ 1959 წლის იანვრის ნომერში აქვეყნებს ვრცელ სტატიას. წერილის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს „დიდოსტატის მარჯვენას“, ამბევ დროს, აკეთებს ერთ სამართლიან შენიშვნას გამომცემლობისადმი: კონსტანტინე გამსახურდიანს რომანი დაწერილია ქართულ ენაზე, თარგმანი კი შესრულებულია რუსულიდანო. გამომცემლობა ვალდებული იყო ეს აღენიშნაო. „რომანში მთავარ როლს სამი პერსონაჟი ასრულებს, — წერს კრიტიკოსი, — მეფე გიორგი, ტაძრის მშენებელი კონსტანტინე არსაკიძე და ფარსმან სპარსი. ამ ორი უკანასკნელს შორის ჩამოვარდ-

ნილია კონფლიქტი. ერთი არის უარგარო პატრიოტი, მეორე კი — უპრინციპული ოპორტუნისტი. ეს კონფლიქტი თანდათანობით ერთმანეთს და იძაბება მკითხველის თვალწინ... ჩვენთვის ძალიან საინტერესოა გავეცნოთ ნიჟიერი ქართველი რომანისტის კალმით დაწერილ თხზულებას“.

მაღალი შეფასება მისცა რომანს, აგრეთვე, სამხრეთ საფრანგეთის ვახუთმა „მდი ლიბრმა“. ვახუთი 1958 წლის ოქტომბრის ნომერში ათავსებს წერილს, სადაც ნათქვამია: „რუსეთიდან მივიღეთ საოცარი ქართული ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც დაწერილია დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მიერ. ამ რომანს აქვს ეთნიკური თვისებები, მისი ლიტერატურული ღირსება — სრული სიახლეა. კავასიის ფეოდალური წყობილება ჩვენი ერის მეთერთმეტე საუკუნეში ჩვენთვის უფრო საოცარია, ვიდრე შემგრელებისა“.

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების მიერ ასეთი მაღალი შეფასება ერთბაშად კიდევ მეტყველებს კონსტანტინე გამსახურდიას დიდ ოსტატობაზე. გაცნა რა სამშობლოს საზღვრებს, „დიდოსტატის მარჯვენაში“ დაიპყრო საფრანგეთი. იგი უკვე ფრანგი მკითხველის სამავილო წიგნი ვაჭდა.

რომანის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „ლემანიტე ლიბანშია“, ფრანგთა ახალგაზრდებისათვის, თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა რომანის ილუსტრაციები სათანადო ტექსტებით. ილუსტრაციები იბეჭდებოდა მთელი წლის განმავლობაში. შემდეგ ეს ილუსტრაციები ვალდებულა ჟურნალმა „საბჰოთა ხელოვნებაში“.

„დიდოსტატის მარჯვენა“ 1958 წელს გამოცემა „ფრანგ გამომცემლთა გაერთიანებაში“, იგი თარგმნა რენე დომეკმა ფატმა თვალთვადის მიერ შესრულებული რუსული თარგმანიდან.

ჩვენ დაკვირვებულნი ვართ იმისა, რომ ამისათვის რუსული თარგმანი შევადარეთ ჟერ დედანს, შემდეგ კი ფრანგულს, აღმოჩნდა, რომ რუსულ თარგმანში დაშვებულია რიგი აზრობრივი უზუსტობანი.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ რენე დომეკმა დიდი შრომა გაწია, არ დაუზოგავს ძალ-ღონე, თარგმანი უოფილიყო სრულიყო. მაგრამ იმის გამო, რომ მან ქართული ენა არ იცის, ხარვეზებს ვერ აცდა. ბევრი შეცდომა ამოწრა რომანის ფრანგულ თარგმანს რედაქტორმა რენე უნებუტყველმა.

1959 წელს რენე უნებუტყველი მუშაობდა თურთ ეახლა „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორს თბილისში, მე მასთან თარგმანის საკითხებზე მქონდა საუბარი, მან თქვა: მართალი უნდა ვიფიქრო, რომ პირველად რენე დომეკის თარგმანი არ მოგვეწონა. წილად მხედა გამეს-


წორებინა თარგმანი შექლების ფარგლებში, ბევრ შეცდომას აცადინეთ მთარგმნელი“.

ქართული საზოგადოებრიობა მაღლიერების გრძნობით აღნიშნავს ფრანგ მთარგმნელთა დამსახურებას ქართული მწერლობის წინაშე, დიდი შრომა რომ გასწიეს და ფრანგ ხალხს გააცნეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის სამი დიდი წარმომადგენელი.

მომავალში საქართველოს საბჭოთა მწერლობის პრეზიდიუმმა არ უნდა დაუშვას ქართველ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნის პრაქტიკა რუსულიდან უცხოურ ენებზე, რა თქმა უნდა ასეთი თარგმანი უცხოელ მკითხველამდე სრულყოფილად ვერ მიიტანს ქართველ მწერალთა იდეებს, ენას, სტილს, განწყობილებას, ინტონაციასა და რიტმს. თუ ლექსების თარგმნა მოვახერხებთ უშუალო ქართულიდან, პროზამ რა დააშავა? დროა დამკვიდრდეს ქართველ მწერალთა ნაწარმოებების უშუალოდ ქართულიდან თარგმნის პრაქტიკა. მით უფრო, რომ ქართულ მწერლობას ამის ტრადიცია გააჩნია. ქართულმა საბჭოთა კრიტიკამ ამ მნიშვნელო-

ვან საქმეს უნდა მიაქციოს ყურადღება, არ ემარა მართო ესაფუძელოდ ვანეცხადოთ, რომ ესა თუ ის ნაწარმოებში კარგო თარგმანია. ისე როგორც ამას ურთიერთი ფრანგი კრიტიკოსი სჩადის, როდესაც წერს „დიდოსტატის მარჯვენის“ ფრანგულ თარგმანზე კარგი თარგმანიაო. იგი წერს: „თარგმანი ზუსტია და ადასტურებს ქართულ ჩვეულებათა და ისტორიის ღრმა ცოდნას“ („ფრანგული წიგნის კრიტიკული ბიულიტენი“, 1958 წლის აპრილის ნომერი).

ამრიგად, ქართული საბჭოთა პროზა გადაჩვენს საზღვრებს. ფრანგმა ხალხმა გაიცნო ჩვენი სასიქადლო მწერლების ნაწარმოებები და მაღალი შეფასება მისცა მათ. მომავალშიც უნდა ითარგმნოს უცხოურ ენებზე ჩვენი გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები, უფრო უნდა განვითარდეს ლიტერატურული ურთიერთობანი ფრანგ და ქართველ მწერლებს შორის, რაც ხელს შეუწყობს ფრანგი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას.



ქართლოს კასრამბე

ტრიუფიტი მსოფლიოს გზებზე

(ნაწყვეტი ნიგონიანი)

წი ნ ა თ მ მ ა

ძველი მსოფლიოს ხელოვნებამ კაცობრიობას შემოუნახა შვიდი საოცრება, რომლებიც ლეგენდების სახით გადმოცემა საუკუნეთა ქარავანს. ესაა შვიდი სასწაული: 1. ეგვიპტის პირამიდები, 2. სემირამიდის დაკიდებული ბალები, 3. არტემიდეს ტაძარი, 4. ფიდეასის ზეცის ქანდაკება, 5. მცირე აზიის გალიკარნასის მავზოლეუმი, 6. შპის ღმერთის, ჰელიოსის კოლოსალური ქანდაკება ენძელ როდოსზე, 7. ალექსანდრიის შუქურა.

ქართული ხალხის ვენიამ უხსოვარი დროიდან შექმნა უღამაზესი ცეკვები, რომლებიც აღფრთოვანებით აღიარა ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტმა.

ქართული ცეკვა მსოფლიოს მოველინა, როგორც მერვე სასწაული.

ქართული ცეკვების საწყისები...

ქართული ცეკვების საწყისები უხსოვარ დროიდან უნდა ვეძებოთ. საეპოპრიო კულტურის საგანძურში შესული ძველი მსოფლიოს ყველა ხალხთა ცეკვებისაგან — ძველ ეგვიპტელთა, ებრაელებს, პერსიანთა და რომაელებს ცეკვებისაგან ქართული ცეკვა განსხვავდება თავისებური პლასტიკით.

იგი ხასიათდება სისწრაფით, მიმიკით, თავდაპირვით, პარამონიული მოძრაობებით, რომელსაც ხშირად თან ახლავს შემაბილები ან სიმღერა, ტამით.

ქართულ ცეკვას, — ამ თავისებურ, სულიერ ფენომენს — მსოფლიოს ყველა ცეკვებს შორის

უძლიერესი ემოციები ახლავს. როგორც წესი, უცნაური ჯადო-თილისმით ატყვევებს მაყურებლებს, უღვიძებს მას სიხარულს, აღტაცებას, სევდას, სამიჯნურო გზუნებას...

უცხოელებს უცერად აფადოვებს, ბავშვივით აღლავებს, ზიბლავს, ერთნაირად მოქმედებს, როგორც დაბალგანვითარების ადამიანზე, ისე მაღალ-კულტურულ დონეზე მღვარ, ცივილიზებულ მაყურებელზე.

ევროპამ რაინდული კლემა დიდი ხანია დაკარგა. იგი ჩვენს ცეკვებში ზედადს რომანტული განცდების წყაროს. ამიტომაც, რომ ევროპო-ცენტრიზმის იდეის მკვდარი, დაკონსერვებული კულტურის სფეროში საბჭოთა ბალეტმა დილა სენსაცია მოახდინა.

მსოფლიოს ხალხთა მთელი რიგი რიტუალური ცეკვები რელიგიური ხასიათისაა — ძირითადად ლეოთებისაღმა მიმართული.

მაგალითები? რამდენიც გნებავთ!..

ბუნებით კონსერვატორი ინგლისელებმა პირველ მაისს ჩიხსაილში ცეკვავენ სამაისო ბოძის ირგვლივ.

ძველი შვეიცარიის მკვიდრნი ლეოთების წინაშე დაკულ ზეარაკს უვლიდნენ გარშემო.

გერმანულ ტეტონთა წინაპარნი ადრთან გაზაფხულსი მხარობელს, პაწია იას უვლიდნენ გარს, ცეკვით.

ტეტონთა მეორე ტომის სარიტუალო წესის ასეთი იყო: ბორცვზე დადებდნენ ურმის ბორბალს, ქვარედინი მარგილებით (რაც ცარგვალისა და გლობალური გავრცობის სიმბოლოს წარ-

მოადგენს) და მის გარშემო ცეკვოდნენ წრიულად.

ესტრადები როგორც შეხებით, ხის კერპის ირგვლივ მოცეკვავები ხტებიან მაღლა, მარცხენა ფეხიდან მარჯვენაზე, მარჯვენა ფეხიდან — მარცხენაზე, პარტეტებით. მამაკაცები ანახიერებენ შემოხრებს, შიშველი ქალები კი — სექსს და ნაყოფიერებას.

ესტრადიულ აბორიგენთა ცეკვებში ძირითადი ელემენტები კენკრებს ნახტომების იმიტაციას, ხოლო გარბენი სირაქლემას სირბილს გამოხატავს.

ფრინველთა და ცხოველთა მიბაძვას ტიტებისტრები კელტი განსაზღვრავს. უძველესი ხანის ქართულ ცეკვებში ზმირია არწივებისა და ვეფხვების იმიტაცია.

ქართული ორსართული ფერხული რელიგიური მოდელია, მზის სიმბოლიკის დემონსტრაცია. ესაა თორმეტკაციანი ფერხული, წელიწადის თორმეტი თვის სიმბოლო. ქართული ფერხული, უძველესი ქართული კალენდარის გავლენით ჰქმნის მზის დისკოსა და მის მოძრაობის თავისებურ იეროგლიფურ გამოსახვას. ეს სიმბოლიკა შესაძლოა მიღობდეს ჰელიოცენტრისტულ რელიგიისკენ, რადგან მზე უდრის ტერპისს „ბარბარ“, ხოლო აბარბარი — ქართული ფერხული დაკავშირებულია „ბარბალობასთან“. (შეადარე შეგარული „ბარბალი“ და ბასკური „ბირბილი“ რაც „ბორბალს“ ნიშნავს).

უფრო ადრე კი, ჩვენ მითოლოგიურ დეტალებთან პანთეონში, მზე და მთავარ ალმათ კონტაინირებულია, შერწყმული ერთ, ძირითად, გამარჯვებულ უძველეს რელიგიაში. ჩემის აზრით, პატრიარქატმა ჩვენ შემოგვინახა მამაკაცთა ცეკვა ცერებზე, რომელსაც დღემდე ვერდნობა მსოფლიო კლასიკური ბალეტის საწყისები.

ცნობილია ასაშუქ ქართული ცეკვა, როგორც ცალკე საზოგადოებრივ ელემენტები ცეცხლოვანი ტემპით; განსაცვიფრებელი, განუმეორებელი, როგორც ქართული ხალხის მრავალსაუცხოვანო, თვითმყოფადი, მდიდარი კულტურა.

თუ გავაუღებთ მსოფლიო ქვეყნების ხალხურ ცეკვებს შორის პარალელს და ერთმანეთს შევადარებთ ყველაზე ლამაზ, ძლიერ და ემოციურ ცეკვებს, დაინახავთ, რომ ქართული ეროვნული ცეკვები ძირითადად განსხვავდება სახელგანთქმული რუსული — სლავური ქორეოგრაფიისაგან, აგრეთვე ისეთი ძველი ხალხური ცეკვებისაგან, როგორიცაა მგალითად, ანდალტური ბოლირო, ბოლერო, იტალიური ტრანტოლა; არაგონული ცეკვა; ესპანური ხაბანერა, უნგრული ჩარდაში, პოლონური მანერკა, ფრანგული ფრანდოლა, ბასკური ცეკვა; ამ ცეკვებთან ქართულ ცეკვებს მხოლოდ ერთი ძირითადი ნიშანდობლივი თვისება აერთებს — ესაა ხალხურად, მისობრივად, ხალხიანი სიცოცხლე, განსაღი სიმხიარულე.

მთელმა მსოფლიომ უკვე აღიარა „ქართული ბალეტი“, როგორც შინაარსიანი, დარბაზდური, რანდული, განსაცვიფრებელი სახეობა.

მაგრამ, ვინა ხალხური ცეკვები დროთა განმავლობაში არ იცვლდნენ სახეს?

როგორ არა! უსხოვარ დროიდან თუ იცვლებოდა მსოფლიო რელიგიები, იცვლებოდა ხალხური ცეკვებიც! საუკუნეთა განმავლობაში ქართული ცეკვები გარკვეული ტრანსფორმაციით გადაიღობდა თაობიდან თაობაში, ბევრი რამ იხვეწებოდა, ზოგი რამ ეკარგებოდა, მაგრამ არ იცვლებოდა მთავარი: ქართული ერის საზოგადოებრივი, საყოფაცხოვრებო, ძლიერი სულის ანარეკლი.

დღემდე მოღწეულ მთავარ ქართულ ხალხურ ცეკვებზე ყველაზე მნიშვნელოვანია ცეკვა ქართული, ფერხული ფარკათი, საღარბაზო დაფლური, სამთა, მგდრული, ხანგლური, ხორული, ყაზბეგური, ხევსერული, სეანური, მთიულური და აჭარული.

ეს ცეკვები თეატრალიზებული გახადეს, კლასიკური ბალეტის სიმადღმდეგე აიყვანეს საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის ხელმძღვანელებმა — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა — ნინო ჩამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა.

საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მოვიტანთ მხოლოდ „ერთ წევს“ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოთა პრესის რეკლამებისა და გამოცხადებების მეფი „ოკეანიდან“.

„ქართული ცეკვის ტრიუმფი“ „უცნაური სტუმრები ფინეთის ნაპირებზე“... „დამაბრმავებელი სანახაობა“... „ქართველებმა დაიპყრეს კომუნისტები“... „ქართველებმა შელუწეს სამეფო თეატრის კარი!“ „არნახული აღფრთოვანება!“ „—ხედავთ? და ამითან კიდევ ბრძოლას აპირებენ!“... „ქართული ბალეტი — მოვლენა“... „რუმინეთის ოქროსა და ვერცხლის ვარსკვლავთა ორდენები!“ „უნგრეთის ამის მსგავსი არაფერი უნახავს“... „ეს ყველაზე დიდი მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში!“... „ამ ცეკვებში საქართველოს სული ვიგრძენი“... „სცენაზე ისე სჩანდით, როგორც ძველი ზღაპრის უცნაური, გაოცებელი პერსონაჟები“... „ბერლინის იბოღრომზე ის ოცი ათასი გერმანელი მაყურებელი მღერის „ინტერნაციონალს“... „ქართველებთან ერთად, ცეკვებს მეფი ვენა“... „ფანტასტიკა! ცეცხლი! ელექტრობა“... „საქართველოვ! მზიური საქართველოვ! მოგვსალმება პოლონეთი...“... „ქართველ მოცეკვავეთა ტრეტუმი პრალაში“... „ოქენი მადალი ხელოვნებით მოინადირეთ ჩემოსლოვაკული ხალხის გული... დაე, მარად სიცოცხლობდეს ჩემოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“... „მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავეთა ზღაპრული ფერობი!“... „საზოგადოების ოცაცია...“

„მულგარეთის პრესის რეცენზიები მეცხრე ცა-
ზე“. „ბარბარა ტელიორის ოცნება — ნინო რა-
მიშვილის ცეკვა“. „ფანტასტიკური ქართული
ღოლი ამარცხებს აფრიკულ ბონგოს“. „მოგა-
დობებელი მყურებელი — სანახაობის ცენტრ-
ში“. „არ გაუშვით შესაძლებლობა ქართველე-
ბის ნახვისა!“

„პირდაპირ საგონებელში ვარ... თუ ჩემს ქვე-
ყანას „დალის სიგრილის“ ქვეყანას უწოდებენ,
რა სახელი უნდა ეწოდოს თქვენს ქვეყანას, რო-
მელმაც შექმნა ასეთი წარბატი, განუმეორებ-
ელი ცეკვები?!“

„ქართველი ხალხის ცეკვები ისევე მშვენიე-
რია, როგორც საქართველო, მისი ზღაპრული
ბუნება, მცხენარე მზე და ლავარდი ცა...“
„სახეებით განსხვავებული სპექტაკლის მომა-
ჯდომებელი ძალია“ „უველაზე ულამაზესი ცეკ-
ვები, რაც კი უჩვენებიათ პარიზში...“ „თქვენ
ღიმიყარით პარიზი პარიზს არ უნახავს მსგავსი
აფაფერი“. „ესაა გონების შემარყეველი „ქარ-
თული ბალეტი“, — ზღაპრული სანახაობა და-
ძაბულ ვითარებაში...“

„როდესაც ვხედავთ ქართველ ვირტუოზებს
ცეკვებზე, ჩვენ უნდა ვილოცოთ!“ „ოცი წუთი
მქუხარე ტაში...“ „ქართველები — ეიფელის
კონსტრუქცი“

„ნეტო მთელი ეს ერი, მცნობრები კავასიო-
ნის მწვერვალზე და სუბტროპიკულ ველებ-
ზე, მთლიანად არისტოკრატიებისაგან შესდგება?...“

„მარით კახალბორეს შეცდომა და ბოდიში
პრესაში. „უშოგბესია ვილაპარაკო ტრიუმფზე:
იტალიელები მიღრსმულელებით დარჩნენ სა-
ვარძლებზე...“

„ასი ათასი ლონდონელი ტაშს უკრავს...“

„ქართული მომხიბლავი ცეკვები უნდა ნახოს
ვეულამ, მთი, ვისაც აინტერესებთ, და მთი, ვი-
საც არ აინტერესებთ! მაყურებელს მაყისცემა
უძლიერდება...“ „სანდერლენდის ერთერთი ქუ-
ჩის ეწოდა „საქართველოს ქუჩა“, „ორი საა-
თის აღტაცება აჯადოვებს ეგზოტიკურ ინდო-
ეთს“. „ნერუ მოარჩინა ქართულმა ცეკვამ...“
„იმ დამით არ ვბინა საბერძნეთს...“ „იოვანა ქა-
რთულად უმღერის ათენიდან თბილისს...“

„ხმალდახმალ გასული ქართველი ჭვაროსანი
რაინდები და წმინდა ნინოს სასაქულები“. „ეს
ერთი ქართველი მოცეკვავე ვაფი აღმაცემა
სხვა ეროვნების ორას მოცეკვავეს“ „ქართველ-
მა ვაყებმა ვადარიუს მაყურებელი...“ „ქართვე-
ლი გოგონები ულამაზესნი არიან, ისინი თეთრი
ველებით დაუტრავენ სცენაზე...“ „საოცარია,
წუხელის ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერა-
ში“ როგორ არ მოქცეეთეს ერთმანეთს თავიერი
ქართველებმა? ცეცხლი ცვილიდა პაერში ნა-
პერწყალები მაყურებლებს ეყრებოდა... საოცრე-
ბაა, რომ არავინ დაშავდა...“ „თქვენ დიმიყარით
კალიფორნია, — თქვენი სან-ფრანსისკოს დი-
დი ოქროს ვასალები...“

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს ამერიკას
არ უნახავს ასეთი ბრწყინვალე წმინდანობა...“
მეცხრე ცეკვა

...ასეთია მსოფლიოს პრესის გამოძახილი. და-
ეუმაცებთ, რომ საქართველოს ადრე არასოდეს
არ მყოლია ასეთი დიდი, ბრწყინვალე და შესა-
ნიშნავი ქორეოგრაფიული კონსტრუქციები.

წინამდებარე ნაშრომში მოწოდებულია სახით
ასახულია ნინო რამიშვილისა და ილიკო სუბი-
შვილის მიერ განვლილი ცხოვრების საინტერეს-
ო გზა. ანსამბლის სიცოცხლე შათი მეორე სი-
ცოცხლეა. თუ გნებავთ, შათი პირველი სიცი-
ცხლეც ანსამბლია.

აგერ ოცდაათი წელიწადია, რაც ამ ან-
სამბლმა შორს გაუთქვა სახელი საბჭოთა საქარ-
თველოს ქორეოგრაფიულ კულტურას.

ქართველი ხალხის გენიის მომხიბლავმა, წარმ-
ტაცმა ცეკვებმა, „დაიმონა“ და მოაჯადოვა ჩვე-
ნი ბლანეტის ორმოცდაათზე მეტი ქვეყანა, სა-
მასზე მეტი ქალაქი, გააოგნა და განაცვიფრა 10
მილიონამდე უშუალო მაყურებელი და მსოფ-
ლიოს სხვადასხვა სახელმწიფოთა 1 მილიარდზე
მეტო ტელე-მაყურებელი, სენსაციური ტრიუმ-
ფით ჩაატარა ათასხუთასი კონცერტი, მსოფლიო
ქორეოგრაფიის რეცენზენტთა და უცხოელ ქარ-
თველიკონდენოზის მოღვაწეთა მსჯელობას სა-
განი ვახადა ქართული ხალხური ცეკვები, —
ცეკვები, რომლებსაც მსოფლიო ტაშს უკრავს...

მეცხრე ცეკვა

რა ლამაზია მეჭერისხევის მთვარე!..
იმ ვარსკვლავიან ღამეს მოკაშაშე მთვარემ
უსანეთის ფერდობს გაღმა, წიფორის დათო-
ვლ ზოგს ვერცხლის გვირგვინი დაადგა.

უსანეთის მონასტრისავე ქართული ფარდა-
გებით მოზარდახეული ურმებით მიემართე-
ბოდნენ მლოცველები. ახლოვდებოდა „უსანე-
თობა“ — სელიწმინდის დღეობა.

ზეიმით ემზადებოდა მთელი მეჭერისხევი: ქე-
ცხტრას უბანი, შროპის უბანი, ჩარხის უბანი,
ბაზრის უბანი, მეჭებთან უბანი, უუღლმა სო-
ფელი — ლხინითა და ზეიმით, სიმღერითა და
ტაშ-ფანდურით ხედებოდა „უსანეთობას“.

სოფლის ბოლოს გოგონებიც ფერხულ გაე-
ბათ.

სუბიანთ უბანში დიდი ღმინი გაეჩაღებინათ.
დაირის, სალაშურის, დიპლომატოსა და ფანდურ-
რის საამო პანკებს ცვლიდა ზურნა და დღღუეი,
ღოლი და გარმონი.

პაპა მიქელა სუბიშვილის კარმიდამო სანთ-
ლებით იყო გაჩაღებული. სათონედან ამოვარდ-
ნილი ალი ზღაპრულ, ფანტასტიკურ იჭრს აძ-
ლევდა ქეითყარის გარუჯულ კედლებს, ბოსელს,
გომურს, ქვეყნ-მარას, სახნის-საყვეთელს.



ბაბო სალომე რატომღაც შინით გაკურნებდა მეჭვრისსხევის ორღობეს.

პატარა ობოლი ეყვები შალვა და ილიკო ავიზგებულ სათონეს თავს დასტრიალებდნენ.

ახლამოყრილი „ღედას პური“, მოხარშული დედლები, ბატონის გემრიელი ყაბრმა და „ატენური“ მადისაღმჭრელი სტრნელით აზავებდა პატარს.

ეზოში შემოსულმა ყარაზოდლების უსტაბაშმა დათა კოჭლაშვილმა ჭედ მიიხადა, უანწი შეავსო, ერთფეთიანი ვერცხლის ქაშარი შეისწორა და სუხიანთ' ფუეე დალოცა.

მეჭვრისსხევის ბუღბუღმა, იშვიათი სიღამაზის ხმის პატრონმა სინკო გელაშვილმა სათონესთან ხელები ვამალა და სიმღერით მოაქაღოვა კარმიდამო:

— ბანი მითხარით, ბიჭებო, ვარალალო, ვარალალო, ვარი-ვარალალოოოო... ტაშ! ტაშ! ტაშ! ტაშ!

შუა ეზოში, ლელვის ხის ძირში მოცვიდნენ სოფლის ღამაზი გოგონები. დეგმა ფეფომ და კატრუმა დაირით ტატოს გოგო სალომე გაათამაშეს. სალომესავით იშვიათად თუ ცეკვავდა ვინმე. ისე ღამაზად ჰქანაწავდა მკლავებს, ისე მიხდენილად გოგმანებდა, რომ დიდ-პატარა აღტაცებაში მოკავდა:

— ცანგალა და გოგონაო, გოგნი, გოგნი, გოგონა! ცანგალა ქალაქს წყიდა საყაბე მოიტანა — ის საყაბე სხვას ჩააცვა, შე კი გულს დამცა დანა!..

გასძახის სინკო — მეჭვრისსხევის ბუღბუღი და სალომეც კეკლუცად ტრიალებს შუა-ეზოში. ღბინი ვაჩადა, სონა ბუჯიაშვილმა თუთია ღინელი გამოიწვია, თუთიამ თამარა ყუჩიაშვილი, უჯანსკელმა — ეშხიანი ლიხიკო.

ყველას კი კატრუმა სჯობდა სიმკვირცხლითა და სიღამაზით.

კოტემ, ვასო, გოლამ, მიშამ წინ წამოაგდეს პატარა ილიკო.

ილიკომ ხალათი შეისწორა, შეეჭოროზე ხელი გადაისვა, დედადა... ავიზგებულ ცეცხლის შუქზე გიშრისფერი თვალები უბრწყინავდა.

ერთი დასკვივლა: ფეხი დაკრა, სათონეს ფოცხვერით გადაფრინდა, შუა ეზოში ცეცხლებზე დაერტო და შევარდენით ჩამოუარა.

— ცანგალა და გოგონა გოგნი-გოგნი, გოგონა!

ცეკვავდა ილიკო და თითქოს მასთან ერთად ცეკვავდა სიზინდის ყიხური, საბძელი, გომური, მარანი, ქვერთი, წალდი, თოხი, ბარი, ნამგალი,

ცა, დაირასავით მოკამყამე მთვარე, ვარსკვლავები...

სოფლის ღბინმა იძალა: — ტაშ, ტაშ, ტაშ, ტაშ!

სუხიანთ უბანს ყოინით მოაწყდნენ ილიკოს ცეკვის სანახავად მეზობლები — რთველაშვილები, გელაშვილები, კვირიკაშვილები, ყოხაძეები, ღინელები, ბუჯიაშვილები, ბათიაშვილები, ჩიტვიშვილები, ჩუბინიშვილები.

— ტაშ, ტაშ, ტაშ, ტაშ!

ილიკო წარმოდგენით თავის მამას, ილიას ბაძავს ცეკვაში, თუმიცა ცოცხლად არც კი ახსოვს მისი სახე, დარღმინდულად დატრის, ხან ცერებზე დგება, ხან ფრინავს, ხან ბზრიალებს:

— ცანგალა და გოგონაო გოგნი-გოგნი გოგონა!

პატარა მოცეკვავემ მთელი მეჭვრისსხევი აიყოლია:

— ბიჭო, ბიჭო, შევთვალაო გოგომ შემოგითვალა — ან მომეც ზემი დანაო, ან წამიყუანე თანა!..

ტაშ, ტაშ, ტაშ, ტაშ! აბრიალებს დიდრონ, თვალებს სუხიანთ შავი, კინკა-ბიჭი, და თავდავიწყებით ცეკვავს, დაფრინავს...

ეზოში ოფიცერმა შემოაგდო ცხენი. ორღობეში ათითღე ცხენოსანი კახაი და შევარაზმელი ჩადგა.

მეჭვრისსხევის ბოჭაულმა მათრებლები ცქენით გაარღვია, უნაგირიდან გადამოხარა და ხელი მკლავში სტაცა პატარა ილიკოს.

— შენ ეი! სად არის ბიძაშენი?

— აა, ბიძაშენი!

ილიკოს წინ ყოველგვე ჩამოინგრა, ცა და დედაშიწა შეუვარადა. შეე თვალბუშა შინი და გაოცდა ჩაუდგა.

ხალხი აუყანდა.

ბოჭაულ მათურელს მხარში ამოუდგნენ ხიდის-თაველი პრისტავი ყარალოვი, სურამელი პორუჩიკი უზნაძე და გორის ბოჭაულის თანაშემწე ვარდოსანიძე.

— ხალხო! სად არიან სანდალა გოგიაშვილი და ესტატე სუხიშვილი? ზელწიფის კაცები დაეძებენ...

— შერე და ი ბიჭები რა შუაში არიან? დააშავეს რამეი?

— სანდალა გოგიაშვილმა პატარა მეჭვრის-ხეში მემამულე ერისთავსა პირობის ქაღალდი დააწვინა ძალითა, მამულ-დედულზე უარი ათქმევინა.

შალვამ ხმა აიშაღლა:

— ჩემი ბიძა არაფერა შუაშია. ის არ შეადგენდა ეგეთ პირობის ქაღალდსა. — გიცნობთ, რა შეილებიცა ხართ, სუხიანნი!

მამაშენი ინახავდა მეფერისხევენი შეიარაღებულ რაზმელებსა, აზნაურ სანდრო ჩიკოძეს რო დაესხნენ თავსა.

— სადა? როდისა?

— სადა და მეფერისხევის შეუბოვარის ციხესთან.

ორლობეს ვიღაცა გლეხის ლანი მოადგა. მას სახედარ-შებმული პატარა ურია მოჰყავდა. გლეხს ვუღა-სტვირი ამოეჩარა ილიაში.

— დოდე, ძია დოდე!

შესძახა ილიკომ.

მეფერისხეველმა მესტვირემ, დოდე გოგია-შეიღმა სტვირი მომართა, ჩაბერა და აიარაკ-რაკა, თან ეშმაკურად ვადმოსძახა ბოქაულს:

— ჩემი ვირის ნახალიყო

შენ გიმღერი დელი, დელა...

შენი წვერი და უღვაში

ჩვენი ბოსლის საწმენდელა.

კახაეები მისცივიდნენ მესტვირეს:

— შე ძაღო, შენა ვის უბედავ მაგასა? ევრა ზედავ, რამდენი ჩინ-მენდალი ჰყიდა მკერდ-ზედა კაცსა, ჰააა?!

დოდემ თავი გაინთავისუფლა და განაგრძო:

გულმკერდზე რომ უკიღია
მედლები და ოქროს ჩინი—
უკაცრავად — მე მეგონა
მეფერისხევის ატმის ჩირი...

გაბრაზებული მათურელი ცხენოსნებს მოუბრუნდა: — შეჰკარით! ეგვეც გოგიაშვილია. აბა, გამორეკეთ საქონელი!

წარმოდგენილი წიოკობა და ტირილი ატყდა. აზნაურის ოჯახი არ იყო აღვილად ზელწამოსაკრავი, მაგრამ გომურის კარები ძალით ვახსნეს და შიგ დაბინავებული საქონელი ორლობეში გამორეკეს. მესტვირე შეჰკრეს და წინ წაიგდეს.

საქონლის ნაღვლიანმა ზმუილმა, ბავშვების ბღაილმა და ქალების წვილი-კივილმა გააურთა მეჭუდისპირი.

გამორეკეს, დენა, ნიშა, მურა-ხარი, ბროლა, ტატოს ნიკორა და მურცხალი კამეჩი.

შეარაზებულმა მათრახი მოუღერეს პატარა ილიკოს და ყურში ჩასძახეს:

— შენ აქა ცეკვე და ბიძაშენი კი გვემალება, განა?! იმასაც მოუძებნით და მამაშენივით გავშ-სწორდებით კიდევაც... დაგვაცადოს... ვიცით იმის ადგილ-სამყოფელი. აი, ემ მარჯვენით მოვედებ ბოლოსა ჩივამწარებთ სუხიშვილებს აზნაურობასა!

ამ სიტყვებით ცხენს გაეაზე მათრახი ვადანუკრია და ორლობეში გააქირითა ბედაური.

პატარა ილიკო მიხვდა შეარაზებულების მუქარას და სოფლის შარაზე გაიქრა:

— დედა! დედილო!

ცაზე ეკიდა ბადრი, კამეა მთვარე. მეჭუდის ტალღების შრიალი ყურს აღარ ესმოდა. აღრია-

ლებული ბიჭი გაიქცა რიყისკენ და უყურადღედის მკლავებში კი მოექცა:

— შეილო ილიკო!

— დედიკო, ძია ტატოს წსაყვანად მოვიდნენ...

— ვიცი შეილო, ვიცი! აბა ესლა ფრთხილად

ვიყოთ. ვენაცალოს დედა, მეფერისხევეში აღარ გვედგომება, ისევ თბილისში უნდა ვადებრუნდეთ. იქ უნდა ვადავიდეთ... შენცა, მეცა, შალი-კოცა... იქ ვასწავლი შეილო... კაცე ვამოვალ... ნუ სტირი, გენაცალოს დედაშენი.

იმავე საღამოს, სუხიშვილების ერთმა ოჯახმა მეფერისხევის სუხიანთ უბანში სამუდამოდ მიატრავა ადვოკატ სუხიშვილის კარმიდამო და თბილისში გადასახლდა...

უხნოვი მხატვარი

შალვასა და ილიკოს დედას—ანოს შეებნელი სიზმარივითი ახსოვდა მეუღლის მკვლელობა. ეს მოხდა 1908 წელს, ზაფხულში.

მამინ სუხიშვილები გოგოლის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ორსართულიან სახლში.

იმ დამეს სახლში არავინ იყო, ეანდარმებმა სუხიშვილის ბინა გაჩხრაკეს და დიდძალი იარაღი აღმოაჩინეს.

ერთი წლის ილიკოს დიდი სიციხე მისცა. დედ-მამამ ეჭიმთან გააქანა ღამით, ჩხრეკის ამბავი კი გვიან გაიგეს.

ღიღის ცხრის ნახვეარზე მამა სამსახურში წავიდა.

მას ფეხბაფებ აედევნენ სტოლიბინის აგენტები.

ერთმა ახმახმა პოლიციელმა კი „ნავანის“ შვიდი ტყუთა დაახლა ბეჭებში. მედუქნებმა დაინახეს, როგორ დაცა იგი უსულოდ ქვაფენილზე.

ამ მუხანათურმა მკვლელობამ მთელი თბილისი შეაძრწუნა.

მარჩენალი მამის სიყვდილი თავზარდამცემი იყო სუხიშვილების ოჯახისათვის.

მთელი ოჯახის სიმძიმე საყვარელ დედას, ანიკო სუხიშვილს დააწვა. ასე დარჩნენ ობლებად პატარა შალვა და ილიკო.

პატარებმა ძალზე განიცადეს მამის — „ღიღი ილიკოს“ დაკარგვა.

იღარდეს, ორივე ჩამოხმა. რკინის სახელოსნოს მუშები უფელნაირად პატრონობდნენ და ობლებულ ოჯახს, თანაუგრძობდნენ და ეფერებოდნენ პატარებს, მაგრამ პაწია გულებს დარდი არ შორდებოდა. თვალებს — ცრემლი.

მამის შალვა მეოთხე წელიწადში იყო გადამდგარი, ილიკო კი ჯერ ორი წლისაც არ იყო. ასე ედიოდა, წლებო...

პატარა შალვა და ილიკო სასწავლებელში მიიბარეს — შალვა მეორე კომერციულ სასწავლებელში, პანსევენიის ქუჩაზე, ხოლო ილიკო სასულიერო სემინარიაში.

მალე პატარა ბიჭებმა მთელ უბანს შეაყვარეს თავი.

რკინიგზის მუშები დიდი საყვარელით ელაერსებოდნენ თბილისს, ილიკოს „პატარა შამილს“ ეძახდნენ, რადგან ახსოვდათ, რომ ილიკოზე უკეთესად ვერავინ ცეკვავდა „შამილს“. „შამილს“ ცეკვა მაშინ, რატომღაც მოდამო იყო და ყოველ სკოლაში ბავშვები თავისებურად ცეკვავდნენ.

ასე ვარბოდნენ ბავშვობის დღეები.

ილიკომ ტანი ათყარა. მოიჩიტა. თავისი დიდრონი თვალებით აყვირდებოდა ქალაქურ კონტრასტებს, მდიდრებსა და ღარიბებს.

დიდებზე, მუშტაიდი, ნაძალადევი, ვერა, რივე სუსვე იყო მდიდარი მიჯიტიებით. მენახ-შირეებით, ზრანჭია ბავშვებით, უბრალო მუშებით, ჩოხიანი თავადებითა და სერთუყიანი ჭაღებით.

რუსეთის რევოლუცია გადმოსწვდა კავკასიაში.

ბოლივიანთან შეტაკება თბილისელ მუშებს ძვირად ღირდა.

ილიკო ბავშვურად განიცდიდა ყოველივეს — სისხლისმღვრელ ბრძოლებს, ბოლშევიკების წვიმებს, მიტინგებს, ბოლშევიკებისა და მენშევიკების კამათს.

რკინიგზელი მუშები წითელი დროშებით ირახმებოდნენ და თავისუფლების სიმღერებს აგუგუნებდნენ. საღამოობით ერთად იკრიბებოდნენ და კვლავ თათბირობდნენ თავიანთ კირვარამზე.

ბიჭების სწავლის საქმე ძველებურად მიდიოდა.

ერთხელ „კალიუნი ბალახე“ ეკლიან ხეთან, ილიკო ასეთ სურათს წააწყდა: მაღალ-მაღალი, შეზარხისმებული კაცი ღარიბულად ჩაცმული შუა ქუჩაში, თავისთვის ტაატით მიდიოდა. დახეული, შავი პიჯაკი, ჩითის შარვალი, ფეხებზე დაგლევილი ხამლები ეცვა. ზელში საღებავებით სავსე ყუთი და თუნუქის ქილა გვირა.

უკან ბავშვების გუნდი მისდევდა გვირგვინ-ვილით.

აბრად ივლებდნენ, უყვიროდნენ, უსტყვენდნენ, ავიწყებდნენ, თუმა ეტყობოდა, რომ არაფერი დაეშავებინა მათთვის.

ილიკოს ეს კეთილი კაცი მუშტაიდშიც ენახა ადრე, იქ, სადაც „ტიტველი ქალები“ ცეკვავდნენ ხოლმე.

შეგარდენივით შეიჭრა ქალაქელ ქალაჩენა ბიჭების „მარაქაში“, ერთი-ორს კისერში მაგრად, „მეჭერისსხეულად“ წუთოქა და ყველა აქეთ-იქით იფრინა.

უცნობა შედგა.

მოხედა.

გაბრწყინებულ სახეზე ნამიანი თვალები უცალებდა:

— შენ ილიკოს ბიჭი არა ხარ, „შამილს“ რო ცეკვავს?

— მე ვარ, ძია.

უცნობმა აღერსიანად გადაუსვა თავზე წყლი.

— წამოდი ჩემთან, თუ გინდა, შამილის სურათს გაჩვენებ. გინდა?

— მინდა, ძია.

მაღალმა, მშვილამ და ამაყმა ბიჭი ილიკოს ხელი ჩაახიდა და წაიყვანა, თან თავისთვის ბუტბუტებდა:

— აბა, თქვი, იმ ბიჭებს რა დაეუშავე, რომ აბრად მიგდებენ? რა ხანია, ამ უბანში ვეცხოვრობ, არავისთვის არაფერი მიწევინებია... წაივლიდი, აქედან, კახეთში მამამაყველი მამული მაქვს მაგრა... მიწის მოვლა არ შემიძლია...

ერთ ეზოში შევიდნენ. ეზოს ღობეს პატარა ქოხი ეყარა.

კარი ნახევრად ღია იყო.

უცნობმა ღრმად ამოიოხრა, ბიჭს მოუბრუნდა და უთხრა:

— შავ ქუჩის ბიჭებთან არ იამხანავო, ეგენი სულელები არიან.

ნესტიან კარებში შეუძღვა, მაგიდაზე მდგარი ქრაქი აანთო და პატარა ოთახი გაანათა.

— მე მიყვარს რკინიგზელი მუშების უბანი; სამიკიტნობი შეყვარება. მაგრამ რა ეჭმა, სხვა გზა არა მაქვს, შვილი! ფულს სამიკიტნები მაძლევენ. გასულ კვირას გნახე, მუშტაიდში რომ იცეკვ „შამილი“. მაშინ გორგოჩანოვის დუქანში ვხატავდი.

ოთახში არც საწოლი იდგა, არც სკამი. კედელთან ჩარჩოიანი მუშამბა იყო გაჭიმული. მაგიდაზე პატარა ჩამით ღობიო, შოთი-პურის ნატეხები, ყვავილები, სეღის ზეთში გახნილი საღებავები, ზემელის ქარხნის ღიშინათის ბოთლი და სეული ფუნჯები ეწყო.

— ავირ „შამილი“. მიდი, ნახე.

ილიკო ხარბად მიაჩერდა სურათს. საღებავებზე იდგა თეთროხიანი შამილი. მარჯვენა ხელით ღიშინი შემოეყარა, წელზე ხანჯალი და დამბახა ეკიდა.

იგი თითოთ რაღაცას უჩვენებდა თავის შავროხიან მცველს აულის იქით, თეთრია, კამკამა მწვერავალიებისკენ.

მთვარის სხივებით გაეშავებულმა, დათრეულიმა, ყინულოვანმა შთამ, მეჭერისხევეში, უსანების ფერდობს იქით, წიფორის თეთრი მწვერავლი გაახსენა ილიკოს და გაუფრკოლა.

რა ლამაზი იყო მეჭერისხევის მთაყარე...

უცნობმა მაგიდაზე დაყრილ ყვავილებში შეაჩინა საუკეთესო, წითელი ვარდი და ილიკოს შესთავაზა.

— დაისომე, შვილო, რაც გითხარი. ცხოვრებაში შენი საკუთარი გზა უნდა აირჩიო. შენ ცეკვისთვისა ხარ გაჩენილი, გზას არ გა-

დაუხვია, ისწავლე და კაცი გამოხვალ. შინ რომ მიხვალ, დედას უთხარი, ერთ საწყალ მხატვარს გამოვესარჩლე, რომელსაც არა ებადა რა-თქო.

— რა უთხრა, ძია, რა ჰქვია-მეთქი?

— ნიკოლა ფიროსმანიშვილი.

ალექსიძის სტუდიაში

მისმა უდიდებულესობამ — დიდი ოქტომბრის ცეცხლოვანმა რევოლუციამ თბილისში, თებერვლის ცაზეც გაშალა ფრთები. თავისუფლების მზე ანთო და გვირგვინად დაედო თბილისს: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაიყარდა.

ზეიმობა მთელი ქალაქი. ზეიმობა ნაძალადევიც. რკინიგზის მუშები დემონსტრაციებით გამოდიოდნენ ქუჩებში, ცხოვრება ძირფესვიანად იცვლებოდა.

ასე გარბოდნენ მშფოთვარე დღეები... ილიკო კი კვლავ თავის მამაზე დარდობდა.

როგორი იქნებოდა უამოდ მისი მომავალი ცხოვრების გზა?... ეს ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას.

ილიკო გრძნობდა, რომ ესპირობობდა მშობლიური, გულისხმიერი, სათეთი მიდგომა; აღმზრდელი, რომელიც გაუგებდა მის დაობლებულ სულს. ასეთი კაციც, საბედნიეროდ, როგორც იყო, გამოჩნდა.

ეს გახლდათ მრავალრიცხოვანი მოსწავლეების საყვარელი პედაგოგი და მამობილი, ალექსანდრე (ლექსი) ალექსიძე.

ალექსიძე 1895 წელს დაბრუნდა პარიზიდან და 1902 წ. უკვე შექმნა საკუთარი საცეკვაო სტუდია, — სასწავლებელი, რომელსაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა ახალ-ქართულ ქორეოგრაფიას.

ამ დიდი ეროდიციისა და გემოვნების მქონე მოქალაქემ, მხურვალე პატრიოტმა, კულტურტრევერმა, ნამდვილი აღმზრდელის როლი ითამაშა ბევრი მოსწავლის მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებაში.

ქაბუცმა ილიკომაც ალექსიძის სტუდიას მიემერა.

ილიკომ ალექსიძეს აჩვენა თავისი ცეკვა, ცერებზე და მუხლებზე. ალექსიძემ აღფრთოვანებით მიიღო ბიჭი თავისთან. საუვარელომ პედაგოგმა ასწავლა ილიკოს ცეკვის დროს მუხლებზე დაცემის საიდუმლოება, ცერებზე სირბილის ტექნიკა. აქვე ათთვისა შეფერხსხვევლმა ბიჭმა ჩეჩნური, ქისტური, მხიხური, სოლო ხანალებზე, ზაღდაღური.

ილიკოს „შამილი“ მთელი სტუდიის გვირგვინად იქცა.

არ ჩატარებულა ცეკვის საღამო, რომ ილიკოს „შამილით“ არ დაესრულებინა იგი.

ალექსიძის სტუდიაში ილიკო ვეფხვებოდა ოთხ ძირითად დისციპლინას — ანატომიას,

ციკვის ისტორიას, კოსტიუმების ისტორიას, მუსიკის ისტორიასა და თეორიას.

ბავშვები 12 წლამდე უმცირეს ჯგუფში: ერთ-ცხებოდნენ. ილიკოსთან ერთად სწავლებდნენ ოცი მოსწავლე.

ალექსიძეს ძალზე უყვარდა მუშის შვილები. მისმა გულისხმიერებამ ძირითადი ვარდატეხა მოახდინა ბავშვში. თავის მხრივ ილიკომაც განაცდივრა აღმზრდელი ცეკვის ათვისების უნარით, სწრაფი ფანტაზიით, ნიჭითა და დაჯერებებით.

ილიკოს გამოშატეველმა მოძრაობებმა, ყოველმა ილიკომ დახვეწილი სახე მიიღო.

ასე მიფრინავდნენ ბავშვობის წლები. ილიკომ აქ-პირველად გაიგო, რომ „ლეკური“ ქართულია და არა „ლეკური“, ისტორიულად ლეკის ქალები მამაკაცს არ ეჩვენებოდნენ და პირისახეს ჩადრით უმაღავდნენ.

ილიკო მოთამაშდა, ახალი შეგობრები გაიჩინა. მასთან ერთად სწავლობდნენ საყვარელი ამხანაგები, ქართული ცეკვის ნამდვილი ჯადოქრები — დავით ჩიკაიძე, ანტონ ჩიხლაძე, შოთ ჩიჩაძე, გიორგი ალექსიძე, ნიკოლოზ სიხარულიძე, სოსო ქავთარაძე, პერინის სტუდიიდან გადამოსული „მზე-ქაბუცა“ მხიხურ სულხანიშვილი (1941 წელს დაიღუპა ქ. სმოლენსკის დაცივის დროს), მაგრამ ალექსიძის სტუდიაში ილიკო სუხიშვილი პირველობას უკვე აღარავის უთმობდა.

პირველი პარტიული თეატრი

...1922 წლის ოქტომბრის შემოდგომა თბილისში. იმ დღეს, ჩუსული თეატრი წარმოადგენდა ვ. ბლუმენტალ-ტამარინის „კინს“. ქართული კლუბის საზაფხულო თეატრში მოეწყობოდა საღამო — კონცერტი, ხოლო საზაფხულო წრეში — საცეკვაო საღამო.

თბილისელ მოქალაქეთა ნაწილი მიემუხრებოდა პროფკავშირის კლუბისაკენ, ხოლო მხიარულების მოტრფილევებს ციხე იზიდავდა. კიდაობის მოყვარულნი ოცნებობდნენ — როდის დაიწყოცხებდა ბუჭებზე კლემენტო ბელს ქუთაისელი ფალავანი კოლია ქვარაჩი; ხალიჩის დაუმარცხებელი კერპები — უძლეველთა შირის უძლეველები — ნესტორ ცხებუა და გივანტი კოსტა მისიურაძე ზედხეულ ხდიდნენ წითელ, შავ და თეთრ ნიღბებს დამარცხებულ მოქიდავებს...
თავისუფალ თეატრში სეირნობა იყო გამართული.

იმ საღამოს „არტოს“ ხეების შრილში შესანიშნავად ეღვრდა სამეფო სტოლერმანის დიდი, სიმფონიური ორკესტრი. პეტაოკენის ვენაილური მესხეთე სიმფონია პირველი საყვარელის ენებთან სიხმრებს აღვიძებდა თბილისელთა გულბში.

თეატრალურმა თბილისმა ორი კვირაა, რაც ვახსნა სუბონი. გიორგი დავითაშვილი ამზადებს უძნელეს „პამელტს“, ალექსანდრე იმედაშვილი „მაკეტს“, კოტე მარჯანიშვილის გუნია რეჟისორულად გამიზნავს „გაბუნაურებულ მდაბოს“, მსახიობი მიხეილ ქიაურელი, როგორც ერის იმედს, სუბსიდიით სასწავლებელად მიემგზავრება საზღვარგარეთ, ბერლინში...

საღამო ემას, სულსშემზუთველი სიცხის შემდეგ, გრილი ნიავი აცოცხლებს თბილისს... ორთაქალაში აქა-იქ გვისმის ყარაჩოღელის „შოქატა“, „მუხამბაზი“ და „ახ, მთავარე, მოთარევე“, პლენარის გამხარზე ვერელი კინოტრები სასწრაფებს აელრიალუბენ და გაკვივია:

«Гордизанов бедный потому-что бедный».

„სოღეში“ უჩვენებენ „მისს საყოლეს“ — (მეექვსე სერიას), მუწეი ფილმების აკომპანიატორი პიანისტი ქალბი ჩივიან სადღილობახზე და მოითხოვენ ორ-ცულიად საშუალო სისტემის შემოღებას, კინოთეატრები „არფსატრ“, „უთერი“, „აღკრე“ ძირითადად კონცერტ — კმარეს პროგრამით კმაყოფილდებიან, მუშტაილი საქართულოს ცაის აღმასრულებელმა კომიტეტმა საღივადილი დახურა მეფისდროინდელი „ელ-ბარდლი“, სადაც ნახევრადჩაცმული და ნახევრად-გახდილი პარიზელი შანსონეტი ქალები ქაკი ცხენებივით დაჭირითობდნენ და კვილი-კვილით ქერისკენ იქნევენდენ ლამაზ ფეხებს.

მათ შავგარდ უველას თავისკენ უხმობს „ოახისი“, „იენიონი“, მაგრამ ხალხს, თბილისის საზოგადოების ინტელიგენციას მაინც ერთადერთი მუშტაიდის ბალი ურჩვენია, მისი ესაყვარლესი შემოგარენი, ბალი, სადაც „საცვევაო საღამო“ უნდა ჩატარდეს.

ღლიდა საცვევაო ასმარებსსაღამო მათი ინტერესი.

ვის გამარჯვებს? ფიქრობს უველა და მუშტაიდის სიგრილისა და სიმწვანისკენ უწყაებ ნაკადად მიედინება.

და... თხუთმეტი წლის ილიკოც მუშტაიდის ბაღისაკენ მიემუჩრება! ილიკოს ილიამი ბოლჩა აქვს ამოღებული. ბოლჩაში გულხევეია უძირო მესტები, ჩოხა, ლეკვართები, ფაფახა და პაპისუფლი, მიქელას ვერცხლის ხანჯალი, სათუთად მოსველებული და მოზარნიშებული.

ვის იცის, იქნებ უშველოს პაპის ხანჯლის თილისკამ?

ბაღში ნათის წითელ-ყვითელი ფანრები გამოკიდული. გამათხოვრებულ გორგიჯანოვის „კაფე-შინტანთან“ ხალხმარალობაა.

კარუსელთან „თექვსმეტთან“ არღანს ატრიალებს ყოფილი გორიფოვოი. არღანი უყრავს „სოლიკოს“, რომელიც გაუთავებელ „მანტრას“ უფრო ჰკავს. „იუპატოვის ცირის“ კუნთები, მუშტაიდის ღობესთან ყიდულობენ ფერად-ფერად ბუშტებს და მიირთმევენ ლა-

ლისს „საუცეთესო ხილუელის წყლუტს“, ტრამვალების მუშათა კლუბთან ყიდან ჩემად შემოტანილ „მშების ძეგვარეცხმეს“ — ჰყვებს, რომელსაც იქვე გაიჩრადდნენდენ „ქაფე-შინტანში „ათთარიახანად“ ხარშევენ.

გრილ ნიავს მოაქვს მწვადებისა და ლუდის სურნელება, რაც ასე საამურად აღიზიანებს დამსვენებლებს.

მეორე ეტუთხეში ბუქინისტს პატარა მაგიდაზე გაუშლია წიგნები და გამუდიდელებს სთავაზობს:

— „შექსპირი ქართულად! გამოცემა ივანე შანაბლის თარგმანებისა რვა ტრალიდია — ერთ წიგანად!“.

იუპატოვის ცირკის მანეჯე, რომელიც ესიკოვსების ცირკის წინამორბედი ვახლდათ ფრანგული ქიდაობაა — „რუმინეთის ფალავანი დელუსტრესეუ ზედება იაბონიის ფალავანს ონო ოკტობროს, რომელსაც ღლიც ღონე აქვს, განსაუთრებით მაყვბში!!!“

ბუქინისტი უველას სთავაზობს პატარა წიგნაკს, 95 კაბიკად; წიგნაკის წამკითხველს შეუძლია „სხვისი აზრი გათვოს, გამოიწვიოს აზრდლი, შეიტყოს — ვინ ვის უვერს, ვის რა ჰქვიან, გადააქციოს ჯოხი — გველად, წყალი ღლივად, ენაში გაიყაროს ლურსმანი, — ვულში გრძელი ხმალი, ხელში აიღოს ვახურბული რკინა, და ერთ წამში გამსოს ოთახი წყლით...“

გრილი ნიავი აშრიალებს უზარმაზარ ქადრებს და ხეზე ვაჯრულ აფიშებს, რომლებიც განგაშით იუწყება:

„— ვერ არ ყოფილი საეფეტო საღამო! ტფილისი, დრო იხელთე!“

ქართულ ცეკვებში დადგენილია პირველი პიიზი — ვერცხლის ეტონი. კონცერტში მონაწილეობენ სახელგანთქმული მოცეკვავები — გ. ბახტაშვილი, დ. ერისთავი და ვ. ხეთაჯური.

პროგრამა მეტად საინტერესოდ არის შედგენილი.

ღლის კონტრამარკებს ძალა არა აქვთ!... თუ ვინცობაა, წეიმა წამოვა, ცეკვების კონცერტის გადატანილი იქნება შამორის შენობაში.

კაცი 1 მან, ქალი 50 კაბ. სტუდენტი 25 კაბ. საუბოო ეტუთხე დასასვენებლად! ბავშვებისა და მოწაფეთათვის დაკლებულს ფასებში.

ბაღში ლორი, ბილიარდი. გამშენიერებული და განათებულია.

ბუფეტში ახორბი და ვეროპელი საქმელები...“

ილიკომ მორიდებით ითხოვა ნებართვა კონცერტში გამოსასვლელად. ნება დართეს.

ჩოხა დინჯად გადაიყვია, მესტებზე ლეკვართები მუყაითად შეიყრა, მოხეური ბოზობი დაიხურა, დიდბონი თვალები დახუტვა და პაპა მიქელას ხანჯალს ჩემად აკოცა.

ვ. ბახტრაშვილიმ შესანიშნავ სტილით, ლაღი მანერებით შეასრულა თავისი ცეკვა, რომელიც ტანის ვრცალით დაამთავრა. კარგად იცეკვეს დ. ერისთავმა და ვ. ზეთაგურიმაც.

საზოგადოებრივ ისინიც დააქაღღოვა მჭუხარე ტანით.

ჭერი ილიკოზე მიდგა. სუხიანთ ბიჭმა სცენას გახედა და ბოხბოხი შეხედა ჩამოიფხატა.

სცენის ფონთან დიდი დეკორატიული ხე იდგა. ამ ხის ძირში ილიკოს ფანტაზიით, უნდა სჩინებოდა შამილს. სცენაზე ნახევრად სიბნელე იდგა, იატაკს იისფერი შუქი ანათებდა, ამ შუქს სიწყნარე და სიმშვიდე შეჭმონდა ილიკოს ათორიაქებულ გულში.

მედოლე ერთამ დოღს რბილად შემოჰყრა წიბურტები, ხოლო ელა ნარჩინაძემ ნალვლიანად წამოიწყა:

„შამილი შევიდა მუქეთშიიიი...
და მუხლი მოიყარა...“

ილიკო მოსხლეთლო ტანის რხევით გავიდა სცენაზე და მუხლი მოიყარა. ტანმა იკრილა. ერთხანს ასე, მუხლებზე დაჩხა, სანამ ტანში არ მიწყნარდა, ელა კი სველიანად განაგრძობდა:

„შამილის დედა სტიროდაააა
გამწარებულის პირითა:
შამილი ომში დაუტრეს
გახურებულის ტყვიითა...“

ეს უძველესი ქართული, მგლოდია შემდეგში ყველზე მუსიკალურ საცეკვაო პანგად იქცა. ილიკოს მთელური ცეკვაში, ისევე როგორც „ქართულში“ თავისებური ინტერპრეტაცია ჰქონდა, — თავისებური ლოცვა, თავისებური სიუჟეტი. ლეოსიადში „ლოცვა“ დაიწყო, „ჩანათვლიმა“ და „ჩაიძინა“.

წყალზე მიშვალვი „თათრის გოგონა“ მხარზე ვერცხლის თუნგით შიგოგმანებდა.

„შამილი“ ძილისაგან და ღრმა ლოცვისაგან გამოერკვა.

ოჰ, როგორ „იღვიძებდა“ იგი! რა სანახაობა იყო!...

აი, გამოერკვა კიდევ და როგორც მშვიერი ვეფხვი გაევიდა დამფრთხლ ქვირანს, ისე გავიდა „მსხვერპლს“.

ეს გახლდათ განუმეორებელი, ამაღლეგებელი სურათი.

გოგონამ დოქი მოისროლა, გაიქცა, მაგრამ ილიკომ — შამილმა გზა გადაუღობა:

„სტირიან ლეოს ქალები
დაბლ-დაბალი ხმითათ —
შამილი აღარ მოუვათ
გამარჯვებული ხმლითათ...“

...და დაიწყო ცეკვა, რომლის მსგავსი რამ თბილისს იშვიათად ახსოვდა.

ცეცხლით, ტემპერამენტით, მოქნილი მიხრა-მოხრით, მთელური უმნიშვნელო დროით ცეკვავდა ილიკო...

ცეკვავდა და თითქოს თავისთან ერთად აცეკვა ესტრადა, ზე, ფოთლები, ფარნები, ლამპიონები, ვარსკვლავები, ცა, დარბაზივით მოცამყმე მთავარე...

მთელი საზოგადოების აღმაფრენა ილიკოსკენ გაღმობარა.

ბახტრაშვილი მივიწყვეს და ილიკო ააბურთავეს.

ამ საღამოს მუშტაიდის მაყურებელთა წინაშე ილიკომ მიიღო პირველი ჯილდო — ვერცხლის ეტრონი!

ეს იყო ქაბუცი სუხიშვილის უდიდესი წარმატება.

ილიკომ ეტრონით დაიშვენა მყარდი და უსაზღვრო სიხარულმა და აღმაფრენამ აიტანა. უნდოდა, მთელი თბილისი მყარდში ჩაეყრა და ისე ემღერა, რომ შორეულ, მშობლიურ მეყვრისხევისაც მისწვდომოდა მისი გამარჯვების ყვირნი.

და აქვე, მუშტაიდში, „გორგოჯანოვის კაფე-მანტანთან“, კვლავ ბუნდოვანად წარმოუდგა პირხმელი, მაღალ-მაღალი კაცის ლანდი, ღირბულ დახეულ ტანსაცმელში გამოწყობილი. ის თითქოს იდგა წითელი ფარნების ქვეშ, გაბრწყინებული სახით და ცრემლით სავსე, ნაღვლიანი თვალებით, თითქოს ისევ შესთავაზა ილიკოს წითელი ვარდი და ჩაესმა მისი სიტყვები:

— შენ შენი საკუთარი გზა უნდა აირჩიო, შვილო!

და ახალგაზრდა ქაბუცმა საბოლოოდ გადაწყვიტა საკუთარი გზა აერჩია ცხოვრებისკენ.

თბილისის ცა ფერმერთალი ვარსკვლავებით მოიქედა, მაგრამ... რა ლამაზი იყო ბევშობისას, მეყვრისხევის მთავარე...

„სპირტული მარბალინი“

ილიკო სასწაელებლად ვერაზე, არაგვის ქ. № 2 სახლში მღებარე მე-15 სკოლაში გადავიდა. ცეკვას კი თავს არ ანებებდა.

ცეკვამ და ბალეტმა მთლიანად შთანთქმა ქაბუცი, აღარც ძილი ახსოვდა, აღარც ქამა-სამა. სულ ცეკვაზე ღიქრობდა, ახალ დადგმებზე და ქორეოგრაფიულ სიახლეზე.

ილიკო გრძნობდა, რომ სიცოცხლე არ შეეძლო ცეკვის გარეშე.

იმ დღეს სკოლაში ილიკოს ერთი მოსწავლე მოეწადა მერტზე. ამხანაგები „არტისტს“ ეძახდნენ, რადგანაც ძალზე უყვარდა ძველი ლექსების კითხვა და მხატვრული დეკლამაცია.

მთელი შექსპირი ზეპირად იყო. ლამაზი, მა-
ლალი, ახოვანი ჰაბუთი იყო, არწივისებურ-სა-
ხიანი, თეთრი ხალათი ეცვა. ფუნჯიანი ქაზრით.
შავი, გრძელი თმები წარამაბა ფინებოდა მ-
ლალ შებლზე და ხელით აწედა მადლა.

— რა გქვია? — ჰკითხა არტისტმა.

— ილიკო, შენა?

— სერგო, ზაქარიაძე. — და ხელი გაუწოდა
ჩამოსართმევად!

— ვიყოთ ძმაცულები...

სკოლის დირექტორმა გიორგი ბახტაძემ
კლასში გამოაცხადა, რომ ილია სხარტლიძის
ქართული ენის გაკვეთილის ნაცულად ისტო-
რიის გაკვეთილს ჩაატარებდა ვარლამ ძიძი-
გური.

იმ დღეს კლასში მორიგეობდა სანიმუშო
მოსწავლე ვლადიმერ ასათიანი. მორიგეს უფრს
არ უგდებდნენ კლასის „ამრეგებს“, ვანო
კლიმაშვილი, შურა იაკობიძე, შალვა გოგბი-
ძე, კოტე კვინიყაძე. ამ „ამრეგებს“ ხელმძღვ-
ნელობდა და ღირსეურობდა სტანკო მამუ-
ლაშვილი.

მოსწავლე კლიმაშვილი (ძია ვანოშ) საკ-
ლასო შერხიდან კაბა გამოათრია.

კაბის ღნავილმა კლასში ერთი ორომ-ტრილი
შექვნი. გოგონების წივილ-კვივლში მკაცრმა
მასწავლებელმა, ვარლამ ძიძიგურმა ვანო კა-
ბიანად გაისტუმრა გარეთ.

გაკვეთილი დაიწყო.

ილიკო სერიოზული, სვედიანი და გულბათ-
ხრობილი ვახდა. კლასში გოგონებს შორის
უმრავლესობას ნინო ერქვა სახელად — ნინო
თარხნიშვილი, ნინო გოგბიძე, ნინო შერ-
ვანიძე („შურკა“). ნინო უდიდანი...

სამა მგჭანარმა სერგო ზაქარიძეს ოპერის
საში ბილეთი აჩუქა მეორე დღისთვის, 26 აპ-
რილისთვის, თვითონ კი უარი განაცხადა —
„ბალეტზე წასვლა არ მინდა“.

ილიკომ და სერგომ გადაწყვიტეს ენახათ ბა-
ლეთი — დღის საბავშვო წარმოდგენა. სერ-
გომ იმ საღამოს ბილეთით კიდევ ერთი ამხანა-
გი დაიპატივა.

მეორე დღით, ბიჭები ოპერის წინ შეხვდ-
ნენ ერთმანეთს.

ილიკომ ვაიციო ახალი მეგობარი — სანდო-
მიანი, შალვა, დიდრონთვალემა, ფერმკრთალ
სახიანიც და შეგვტყმანიც — სოლოკ ვირსა-
ლაძე — პერინის საბალეტო სტუდიის მოსწავლე-
რომელიც შესანიშნავად ასრულებდა საბალე-
ტო ცეკვებს.

ოპერის თეატრის წინ, საათთან „სოსისის“
ჯინხური იდგა, ბიჭებმა ერთი ფრანგული ფუნ-
თუშა სამად გაგლიჯეს, თითო სოსისი გადასან-
სლეს და ხელი წუთის შემდეგ უკვე ოპერის
ქანდარიდან თავადებივით გადმოსცქეროდნენ
ვეებართვლა, კამკამა ხავერდის ფარდას. ფარ-
და მძიმე ფარითა და ოქრომყედის ორნა-
მენტებით იყო მოქსოვილი, ყუითული ხავერდი

ათასფრად, ზღაპრულად ბზინავდა, ხოლო დარ-
დის ცენტრში ზინისეული ქაჭეთის ციხე და
„ვეფხისტყაოსნის“ გმირები „სტარბულის“ საფ-
თანდილი და ფრიდონი იდგნენ მკვერტხე მცლა-
ვებდაწყობილი. ილიკოს ბავშვობა გაახსენ-
და. ქაჭეთის ციხე ვერცხლისფრად ლაღლაქუ-
და, მაგრამ...

რა ლამაზი იყო შეგვტყმანის მთვარე!
ბიჭებმა ერთმანეთში გაინაწილეს გმირთა
სახელები. სერგო ზაქარიძემ ყველას დაას-
წრო „ტარიელობა“, ილიკომ „ავთანდილობა“
დაიწვია. სოლოკს არ უნდოდა, ფრიდონი
ყოფილიყო, მაგრამ სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა
და ისიც მორჩილად დასჯერდა „ფრიდონო-
ბას“...

სერგომ პროგრამა იყიდა და სამივემ ერ-
თად წაიკითხა:

„საბავშვო დილა, 1924 წ. 26 აპრილი, და-
საწყისი ზუსტად 12 საათზე. მ. ი. პერინის
საბალეტო სკოლა.“

ბალეტმეისტერი ი. ი. არბატოვი.

მონაწილეობენ — გ. ბარხუდაროვი, ლ. ჩი-
კვაიძე, ლ. ბეგთაბეგოვა, ე. ექუშოვა, ვ. ნალი-
რიაძე, ნ. ჭყონია, მ. ბუერტი.

მასხარას როლს ასრულებს ე. კაბუციანი.

მეორე ნაწილი — დივერტისმენტი.

მესამე ზარის შემდეგ მსუქრებლები არ და-
იმევიან...”

პროგრამა გადაშალეს, მაგრამ კითხვა ედარ
განაგრძეს — ოპერის ვეებერთელა ჰალი
ჩაქრა, მისი ელნათურები ზნელში ჩაიძირა და
ბალეტი დაიწყო.

ბიჭები ალტაცებულნი უყურებდნენ სცენაზე
„მარჯვენს“, „მარგალიტებს“, „მეკობრეებს“,
„იასამნებს“, „თევზებს“... თითქოს არასოდეს
ენახათ ასეთი ბრწყინვალე სანახაობა.

ილიკო მოხიბლა ვახტანგ ჰაბუციანის ცეკ-
ვამ. ვახტანგი თავბრუდამხვევით გრიგალივით
დაქროდა, პერინი ჩერდებოდა, ერთხელ, ორ-
ჯერ, სამჯერ, ოთხჯერ... მუსიკის ქარიშხლის
ფრთებზე ფრენდა და ისეთ ვირტუოზულ პი-
რუტეტებს ახვევდა, რომ ალტაცებულ მსუქრე-
ბელთა მქუხარე ტაში აზანზარებდა ოპერის
ჰალს. შესანიშნავი იყო ჰაბუცი ვახტანგი, მაგ-
რამ არა ნაკლებ მიშრიდგელი გახლდათ სცენა-
ზე პერინის სტუდიის გოგონების კორდებალე-
ტი.

ილიკო მოხიბლა „ყუითელმა მარგალიტმა“.
ეს იყო თოთხმეტითედ წლის გოგონა, რომე-
ლიც ზღაპრულად ცეკვავდა, თვალს ედარ
ამორებდა მას სუხიანთ ბიჭი, იგრძნო რომ
მოეწონა, და თავდავიწყებით შეუყვარდა
კიდევ, გადასწვრტა — უსათუოდ შეეხედა
პერინის საბალეტო სტუდიაში, და ენახა ბა-
ლეტის ამ პატარა ოსტატების რეპერტიოები.
როდესაც ჰალი აინთო, პროგრამა კვლავ გა-
შალა და განაგრძო კითხვა.

პროგრამის მეორე გვერდზე ეწერა:
„გ. პეტია. ბალეტი I მოქმედებად. მუსიკა
მუნია.“

მზეთუნახავი — ლ. ჩიკვაძე.
მიწის გენია — ზაბაროვი.
მარტენების მეფე — გულულოვი.
ლითონთა ბელადი — დიმიტრიევი.
ვარდისფერი მარგალიტი — ლამსკიროვა.
ცისფერი მარგალიტი — ბაუერი.
ყვითელი მარგალიტი — რამიშვილი...“
და ილიკომ აართოლებულ ქალღღმზე, რამი-
შვილის გვარის ქვეშ ფრჩხილი ვაუსვა...

პერიონის სტუდიის ვარსკვლავები

ილიკოს მთელი ღამე არ სძინებია.
თბილისის ცა ღურჯად კამკამებდა, მოციმ-
ციმე ვარსკვლავები შორეულ შორეთში ბეუ-
ტავდნენ და კიაფობდნენ.

ილიკო კი გულადმა იწეა და ცას მიშტერე-
ბოდა.

იღუმალი ცა, მეჭვრისხევის ზღაპრულ,
ღურჯ ღამეებს აგონებდა.

თბილისი ღრმა ძალს მოეცეა, დუმილი კი
თითქოს ილიკოს გულისხეკრას იფილიდა.

მზოლოდ შორიდან იკვლა მატარებელმა და
ველავ სინთუმე ჩამოწვა.

მთელი ღამე თეთრად გაათენა.
მეორე დღით, უთენია წამოხტა, ტანზე გა-
დაიცეა, სახელდახელოდ წაისაუზნა და გარეთ
გამოვარდა.

მზე კისკისით დანათოდა თბილისს.
პერიონის კლასიკური ცეკვის ერთი სტუდია
მოთავსებულ იყო გრიბოდოვის ქუჩაზე,
№ 24 სახლში (ამჟამად სამხატვრო აკადემია).
სტუდიაში ასამდე ბავშვი ირიცხებოდა. აქ სწა-
ვლობდნენ ტექნიკურ ელემენტარულ ხერ-
ხებს — რბილულად სიარულს, ტანის სწორად
დაქერას, კუნთებს იმეგრებდნენ და ეუფლე-
ბოდნენ ბალეტის რთული პროფესიის დაწყე-
ბით ანბანს.

ილიკომ აირბინა მარმარილოს კიბეებზე,
დარბაზს შიადგა და შუშმანდილად შეიკუიტა.

დარბაზის ცენტრში იდგა ქაღარაშეგებული,
ხმელ-შელი, ღამაზი ქალი, აოსტოკრატიული
გარეგნობის, ის ვახლადამ მარია იოსების ასუ-
ლი პერიონი, საქართველოს პარტიკუმული მან-
დილოსანი, ადამიანი, რომელმაც თავისი რო-
ლი შეასრულა ქართული კლასიკური ბალეტის
ისტორიაში.

პერიონი — ტერინის ეროვნული ბალეტის
პრიმა-ბალერინა, 1890 წ. ჩამოვიდა რუსეთში
სავასტროლოდ, 1897 წლიდან სამუდამოდ და-
რჩა თბილისში და ეზიარა საქართველოს მა-
ლალ ეროვნულ კულტურას.

სწორედ ამ ქალმა დააარსა 1916 წელს ეს სა-

ბალეტო ცენტრი სასწავლებელს, რომელმაც
ხუთი წლის შემდეგ ეწოდა სახელწოდო სტუ-
დია „პერიონული“

სტუდიის დირექტორად მუშაობდა მარია
იოსების ასული დინიშინა. მისმა სტუდიამ იარ-
სება თხოუმეტ წელიწადს.

პატარა თბილისური კერითობი: როგორც
ერთხელ, მომღერალთა გუნდში ჩარიცხეს მსო-
ფლიო ლიტერატურის კორიფე მაქსიმ გოკი,
ისე მიიღეს ამ ცეკვის სტუდიაში საბჭოთა ხე-
ლოვნების დიდოსტატი, ფერმწერი — დეკო-
რატორი სოლიკო ვირსალაძე.

მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ სწორედ ამ საბა-
ლეტო სტუდიამ ჩამოაყალიბა ჰაბუკო ვირსა-
ლაძე, ვაუღვია და განუვითარა საცეკვაო და
თეატრალური კოსტუმებისადმი დიდი მხატვ-
რული გემოვნება, დეკორაციების დეტალური
ნიუანსებისა და ფერთა შეთანხმების გენია-
ლურა ორკესტრაციის შექმნის უნარი.

პერიონი თბილისში გადმონერგა ტერინის
სამეფო თეატრის ის მღალი, ბრწყინვალე
ტრადიციები, რომელიც შეინახა სოლიკო ვა-
რსალაძის მსოფლიო ვარსკვლავის ლენინისაგან.

პერიონის საბალეტო სტუდიას თბილისში მე-
ტოქობას ვერ უწევდა ვერც კადეტთა კორპუ-
სი, ვერც ვაჟთა მეორე გიმნაზია, ვერც რიი-
ნიშვილის სტუდია, ვერც ქალთა სასწავლებ-
ლები.

პატარა ნინო რამიშვილის საბალეტო ხელო-
ვნებას სწორედ პერიონი ჩაუდგა ფაქიზი სე-
ლი. მანვე ჩაუნერგა სცენიური კეთილშობი-
ლება, ქალური სინაზე, მკაცრი უზრალოება და
განსაკუთრებით ხელების გრაციული მერყე-
ლება.

ნინო რამიშვილის ყველა ეს თვისება დღეს
უკვე ხაზგასმითაა აღნიშნული საბჭოთა ბალე-
ტის ენციკლოპედიაში.

ილიკომ ცნობისმოყვარედ, ხარბად დაზვერა
დარბაზი.

პერიონის ირგვლივ მოსწავლეები ცეკვავდნენ.
ილიკომ ყველა იცნო — გოგონებიცა და ვაჟე-
ბიც. ვახტანგ ჰაბუკიანი, ირინე ალექსიძე, ვახ-
ტანგ ნაღრაძე — (ეროსნიკი), ლილია ჩიკვაძე,
ილია არბატოვი, თამარ ჰაბუკიანი, დიმიტრი
ალექსიძე...

სარკმლთან ჩამწკრივებულაყვნენ თეთრკაბა-
ნი ბალერინები და ჰაბუკები — ბაუერი, სემი-
ონოვა, კახინევი, ბულოგინა, ეიხოდცევა... ყვე-
ლაზე ბოლოს კი ის იდგა... ის... ყველაზე პა-
ტარა... ყვეთელი მარგალიტი... ნინო რამიშვი-
ლი...

ერთმწკრივად მდგარი სასაცილო გოგონები
ქერკერობით გამხდარ, თეთრ წეროებს უფრო
ჰგავდნენ, ვიდრე ზღაპრული ტბის თეთრ გე-
დებს.

— პოზისიონი

ტარისკერით შესახა მარია პერინი და უკუ-
ლა ბავშვმა ერთად, დინად უჩვენა ხელის სა-
მი და ფეხის ხელი პოზიცია, რასაც წუთზე მე-
ტი მოუნდა.

— პლე!

ეს იყო ჩაქდომი. ზოგი ძალდაუტანებლად,
პერინიდან ჯდებოდა. ზოგი უხეშად და მძი-
მელ. პერინის დაკვირვებით თვალს წონას-
წორობის აქცევიდა ყურადღებას.

— ალომბ! — შესახა ვახტანგ ჰაბუციანს
პერინი და სახე გაუნათდა: სე ლო პუი პე-
ტიაჰ მაროუს, ვახტანგ! ბრავო! ატიტიუდი! პო-
ზა!... არაბეს! პოზა! ბრავო, ვახტანგ! — და
ლორწევიტო აკვირდებოდა.

ილიკო სიყვარულითა და აღტაცებით შეჰყუ-
რებდა ვახტანგს. ძალიან მაღალ ნახტომში —
კამბოლოში ვახტანგ ჰაბუციანს ბადალი არ
ჰყავდა. (იგი ანტიკური ხანის ბრწყინვალე
ქანდაკებას ჰგავდა).

პერინი წუხანდელი საბალეტო სექტაკლის
შეკრომებს ასწორებდა, მკაცრად გაკვიროდა,
თითქოს ილანდებოდა.

გოგონები გაიტანა. შემდეგ დაიწყო პა დე
ბურე — ცერებზე სირბილი, პა დე შა — კატის
რბილი, აქნეული ნაბიჯები, ანტრამა-ფეხშლა
ნახტომში, წინ და უკან, ცალ ფეხზე ბრუნ-
ვის პირფრეტი... ილიკოს თავი ტყვილ სიზმარ-
ში ეგონა. შუბრი შეჰყურებდა სოლიკო ვირ-
სალაძის და ნინო რამიშვილის პა დე დეს-
კლასიკურ დუეტს: შემდეგ მათ ვახტანგ ნა-
დირაჰ შეუერთდა. ეს გახლდათ პა დე ტრუა.

— გრან პა დ. ანსამბლ! — ცვლავ დაიკვირა
პერინი და მოსწავლეები — გოგონებიცა და
ეყვებიც პაეროვან, თვალწარმტაც საბალეტო
ფერხულში ჩაბა, ცენტრში კი, როგორც ზღაპ-
რის გმირი, ჯადოქრულ ბზრილასავეით დაჰ-
ქროდა ჰაბუცი ჰაბუციანი.

ილიკომ ცთუნებას ვეღარ გაუძლო და დარ-
ბაში შევიდა.

პერინიმ მეცადინეობა შეაჩერა და მკაცრად
შეკითხა გაწითლებულ ბიჭს:

— აქ რა გინდათ? ვინ შემოგიშვათ?

ილიკომ ნაბიჯი წინ გადადგა და რიხიანად
უპასუხა:

— მე გავხდები ბალეტის ვარსკვლავი!
შემდეგ მიბრუნდა და დარბაზიდან გაიქცა...

დედა როზალია

ნინო რამიშვილის დედას, როზალიას, სამი
შვილი დაჰყავდა პერინის სტუდიაში. უფროსი
— თოთხმეტი წლის იყო, ნინო, ორი წლით ნი-
ნოზე უმცროსი — თამარი, ხოლო ორი
წლით თამარზე უმცროსი ვახტანგი, რომელ-
საც შინაურობაში საალერსოდ დეკას ეძახდ-
ნენ.

როზალია იოსების ასულს სურდა, რომ შეი-
ლებს უსაქმოდ არ გაეფლანგათ დრო და ეს-
წავლათ... იგი არც ფიქრობდა ნინოს დედ. მო-
მავალზე. „ნინო სუსტი იყო, გვარამ ნიქვიერო“,
ამბობს დედა. პერინიმ უცხად ამოიციო ნინოს
ზღეა შესაძლებლობანი და მაგარად „ჩაევიდა“,
პატარად დეკა მოუსვენარი, ცქვიტი ბიჭი —
ბალეტზე მაღლა ბურთს აყენებდა. ჰიროვიტ
სძულდა ბალეტი და გარბოდა ფეხბურთის სა-
თამაშოდ.

ჩინებულად ამხერყედა ბურთით ფანჯრის
მინებს.

დედა როზალია გულისხმიერი და მკაცრი
ქალი გახლდათ.

ნოხატურის რაიონიდან დიდი ვანიდან გამო-
ყუეა მის სამივე ბავშვს გერული სიმკვირცხ-
ლე და სიკისკსე.

როზალიას მეუღლე — შალვა რამიშვილი
ერთხანს ბაქოში მუშაობდა ინჟინერ-შემნებ-
ლად, შემდეგ კი, 1918 წ. თბილისში გადმოვი-
და ოჯახით, სამუშაოდ და მუდმივად საცხოვ-
რებლად.

შესანიშნავ სახლში ცხოვრობდნენ რამიშვი-
ლები, მუშტიადის პირდაპირ, წითელ სახლ-
ში.

მამა — ცნობილი ინჟინერი — მრეწველი,
დიდი სახელით სარგებლობდა სარწეთო საფე-
შაობებზე და კარგადაც უძღვებოდა ოჯახს.

იმ წითელი სახლის ფანჯრები შეიქმნა ილი-
კო სუხიშვილისთვის ქაქეთის ციხე და მიუწე-
დომელი ოცნება. ილიკო შხად იყო უფველგა-
რი ტანჯვისათვის გაუძლო, ოღონდ წინ არ შე-
ხვედროდა — დედა როზალიას, მის მკაცრ
თვალებს და სასტიკ საუბარს.

თერთმეტი ნოემბერი

საიციევო სტუდიაში ილიკო უკვე ალექსიძის
ასისტენტად მუშაობდა, მაგრამ შეყვარებულ ბიჭს
ეს აღარ აკმაყოფილებდა: სურდა საკუთარი
ფანჯახითა და გემოვნებით ეცხოვრა, რო-
გორც დამოუკიდებელ შემოქმედს.

1924 წელს გამოიყო ალექსიძის სტუდიას
და მკლევ ხანში საკუთარი სტუდია გახსნა,
(ამ სტუდიაში შემდეგ წლებში საუეთეთსო მო-
ციეკვეციები გამოზარდა). ამავე წელს დაამთავრა
ეაქთა მეორე სკოლა, მეთხუთმეტე სკოლის
ამხანაგებთან კი მიიწე შეგობრობდა.

ილიკოს ქორეოგრაფიული გუნდი კონცერ-
ტებს უშმართავდა მუშათა კლუბს, სადაც მი-
სი მამის ყოფილი მეგობრები გულთბილად
ხედებოდნენ ახალგაზრდა ქორეოგრაფს. ხში-
რად ესტუმრებოდა ხოლმე „სახალხო სახლ-
საც“ (ე. მარჭანიშვილის თეატრის შენობა), გა-
მოდიოდა საესტრადო სცენებზედაც, სადაც

ათობით „სამეფო“ (უფასო) კონცერტებს მართავდა.

ასე ნელ-ნელა იხვეჭდა სახელს სუბიანთ ბივი. მთავარ საწადელს კი ვერა და ვერ მიიღწია. ნინოს აღმზრდელები მკაცრნი გამოდგნენ, რის გამოც ვაგონას გაცნობა ვერა და ვერ მოახერხა.

გადაწყვიტა, უფრო მეტად „მოეხვეჭა სახელი“.

ერთი წლის შემდეგ, როცა იგი ფოთში მიიწვიეს, სიხარულით დასთანხმდა მიწვევას. სურდა „სამეგრელო ენახა და მთლად საქართველო კი ნახა“. არასოდეს არ დაეიწყებდა ფოთელთა სახელგანთქმელი მასპინძლობა და ეგრისელი სტუმართმოყვარეობა. ჭაბუკი პატივისცემითა და სიყვარულით მიიღეს. დიდი გამარჯვება მოუტანა მას, როგორც ხელოვანს, ქორეოგრაფიულმა ნიჭმა.

ფოთში ილიკო თავის ძმასთან ერთად მოეწყო. შალვა პირველი კინო-მექანიკოსი იყო ფოთში.

ფოთის საზოგადოებისა და ინტელიგენციის თხოვნით აქედ გახსნა ილიკომ „ქ. ფოთის ქართულ ცეკვის სტუდია“, რომელშიც შემდეგში ათობით მოცეკვავე გამოზარდა. ახალგაზრდობა ძირითადად ფოთის ნავსადგურიდან მოიკრიბა. მათ შეუყვარეს ახალგაზრდა ცეკვის მასწავლებელი და ზარბაზ დავითაშვილი ქართულ ცეკვებს.

ილიკო სუბივილის, როგორც ქორეოგრაფის სახელი, ღლით-ღლით იზრდებოდა. მისი გაზრდილები შემდეგში შორეული ნოსნობის გულგვარები და კაბიტნები—მაქაცარია, ელიზბარ გოგობაძე; გრემი ზაბახიძე, ვლადიმერ მზარეულა, სიმონენებით იკონებდნენ ფოთის საცეკვაო სტუდიას.

ილიკო მთელი ზაფხული ოცნებობდა ნინოზე. სურდა დაბრუნებულიყო თბილისში და ეჩვენებინა მისთვის „აბესალომ და ეთერი...“ ეს, სიყვარულის ჰიმნი, ყველა ქართველის ბავშვობის დროინდელი სიზმრების გვირგვინი... „აბესალომ და ეთერი“ მეტი არაფერი...

არც ერთ სიტყვას არ ეტყვის ნინოს! სიტყვა-ქარგული ლაპარაკი არ ეხერხება...

1924 წლის შემოდგომა ილიკოდა თბილისში, როდესაც ილიკო ფოთიდან ჩამოვიდა. წვიმები და ქარი თავს აბურებდა, მაგრამ მთავარი საზრუნავი არ ავიწყდებოდა. მიაკითხა სოლიკო ვერსალაძეს და სერგო ზაქარაძეს. „ტარიელმა“, „ავთანდილმა“ და „ფრიდონმა“ ითათბირეს და გადაწყვიტეს, ნინო როგორმე დაეპატრებინათ ვანო სარაჯიშვილის „აბესალომზე“ როგორც კი დაიდგებოდა ოპერის სცენაზე, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ.

„წვიმიანი შემოდგომის საღამოს, ნოემბრის

თერთმეტს. საზარელი მეხი ვეგარდა თბილისში...“

გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი
გენერალი

გადამახინცი საღამური

იმ ღამით ილიკოს თვალი არ მოუხუჭავს...

გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი ქართულ ოპერას გამოცალა ღღებობით.

საქართველო სტიროდა ქართული სიმღერის მხისმწეობას...

რუსეთი გლოვობდა გამოჩენილ „ბელკანტოს...“

თბილისი დასტიროდა დიდ მამულიშვილსა და პატრიოტს...

გაასკეცებული გლოვის ზარი მისწვდა შორეულ ქალაქებსაც.

გლოვობდა მთელი საქართველო და გლოვობდა პატარა, მეყვრისხვეული ჭაბუკიც...

სამოქალაქო პანაშვიდებს მოაწყდა მოზარე ხალხი.

უძღურია ცხენოსანი მილიცია...

თეატრებმა მოხსნეს სპექტაკლები.

თბილისი ძაბით შეიმოსა, რადგან ვანო ყოველთვის ხალხთან იყო...

ღებულები დებულებს სცვლის რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან.

იტალიაში ეანოს სიყვდილმა თავზარი დასცა სანდრო ინაშვილს, მისკოვში — ლეონიდ სობინოვს...

განუზომელია შუეხარების ზღვა...

ქვითინებს ზაქარია ფალიაშვილი.

ლომევით ბირგავს კოტე მარჯანიშვილი.

ათასობით თბილისელი ეთხოვება მუხის კუბოში ჩასვენებულ ზღამრულ აბესალომს...

ილიკო სევდიო შეპყვრებს სერგეი ესენინს, იზოლიტოვ — ივანოვს.

სტირიან ვასო ამაშიძე, კოტე მყაშვილი, ძმები ფალიაშვილები...

მთელი ქალაქი გრგვინავდა, თითქმის ქვეყნის აღსასრული კარზე მომდგარიყოს.

ვანო უყვარდა თბილისს.

ხალხის ტალღა ტალღაზე ასკდება.

ოპერის გვერდით, გრძნულ ბალნარში შეასვენეს ვანოს ცხედარი.

ქუჩა შეკრულია ოთხივე კუთხით. ოპერის შენობის აივანზე ორკესტრმა დაუკრა „დასიოდან“ მაროს ტირილი.

მთელი რუსეთის სახელით დასტირის ვანოს მომღერალი ქალი პოპოვა.

მისი ძლიერი კალარატურის სობრანო ელექტრო-დენივით უვლის ქართველ საზოგადოებას.

პომოვას გული წაუვიდა და ოპერის აიენი-
დან გაიტანეს.

ილიკოს ფილქანი ერყვია ფეხებში...

კუბო საფლავეში ჩაუშვეს, და მთელმა ზღვა
ხალხმა, როგორც ერთმა, ისე დაინიქა.

ქარს მიჰქონდა მოთქმა-ვაება და ზუზუნნი..

ილიკომ დაინახა, როგორ დასდეს საფლავეზე
გადატეხილი სალამურაი.

მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ვერასოდეს, ვე-
რასოდეს ველარ აჩვენებდა ნინოს — ენო
სარაჯიშვილის „აბესალომს“.

...რამოდენიმე დღის შემდეგ სოლიკომ მოა-
კითხა:

— გაიგე ახალი ამბავი?

— რა?

— კოტე მარჯანიშვილის უთქვამს, „აბესალო-
მი და ეთერი“ უნდა დაიდგასო.

— ჩატარდება? როდის? როგორ?

— ჩატარდება? ხედა... ოცდაორში.

— უაბესალომოდ?

— რა ვიცი.

ილიკო სუბიშვილი გაოცდა კოტე მარჯანი-
შვილის სიჭიქით.

ოცდაორ ნოემბერს დაიდგა უჩვეულო სპექ-
ტაკლი.

ისევ ზღვა ხალხი მოასკდა თბილისის ოპე-
რის შენობას.

მამინდელი თბილისი თავისებური სორენტო
გახლდათ. ხალხი ოპერით სუნთქავდა, მაგრამ
ეს მაინც უცნაური საღამო იყო.

— კოტეს უთქვამს „აბესალომი“ უნდა და-
იდგასო....

— სსოვნის საღამო იქნებაო.

— როგორ უნდა ჩატარდეს?...

ხალხი ერთმანეთს გაოცებული შეჰყურებდა.
თეატრის ლოჟები, ბენუარი, პარტერი, ამფი-
თეატრი გაივსო მაყურებლებით.

რა უნდა მოხდეს?

მაყურებლები დღლავენ... ოხრავენ... ჩერ-
ჩულავენ....

ნეტავი რა გადასწყვიტა კოტე მარჯანიშვი-
ლის გენიაში?....

არაფინ არაფერი იცის!..

ბიჭები ისევ ქანდარახე აცივდნენ. ოპერის
დარბაზში ტყეა აღარაა, დაიწყო სპექტაკლი
და დაიწყო მაყურებელთა ტანჯვა-ც.

აი, პირველი მოქმედების პირველი სურათი.
შორიდან ისმის მონადირეთა სიმღერა. ეთერის
არია და კვლავ მონადირეთა გუნდი.

ღროა, დაიწყოს ეთერისა და აბესალომის
სცენა.

ეთერმა „დედინაცელი“ დამთავრა და ახ-
ლა უნდა გამოჩნდეს თეთრ, კაშკაშა სამეფო
ქელაქში გამოწყობილი უფლისწული — ეა-
ნო სარაჯიშვილი. სცენაზე არაფინ სჩანდა. ამ-
ფითეატრში ელავ ატირდა.

ტირილმა თითქოს გადაურბინა მთელ პარ-
ტერს და სცენაზე გადავიდა.

ილიკომ წამოიწია და გაოცებულმა შეაღებდა
მეგობრებს. როგორ? რა მოხდებოდა? მთელი
თავი ჩაღუნა, სერგო გათვითრდა. ხალხი ფეხზე
წამოდგა.

ენო სარაჯიშვილის ნაცვლად „ამღერდა“
კაბელნიციის ჩელო:

„შე ბანი-ბანად გეჰებდი,
შენ ბალი-ბალიად გვიძინა.

გაგვხსნა ოქროს საყინში,
ბროლის გულმკერდი გვიჩინა...“

კელისეში დაპრილი ლომივით ბორკავდა
მარჯანიშვილი, ნერვიულად ლეკავდა პაპიროსის
პაპიროსზე.

ხალხი თავზარდაცემული და მწუხარებისაგან
გაოგნებული სტოვებდა ოპერის თეატრს. თავ-
ჩაქინდრული ბიჭები ქუჩაში ერთად მიამაჩვიბ-
დნენ.

მგლოვიაზე თბილისმა საკუთარ მკერდში
ჩაისვენა სიმღერის ჯადოქარი.

საშაბრი ჩანჩქართან

ენო სარაჯიშვილის დაკმაღლის შემდეგ
ილიკო სუბიშვილმა დაყინებით მოითხოვა ოპე-
რის თეატრში — ნება დაერთოთ მისთვის
მონაწილეობა მიეღო, როგორც მოცეკვავეს,
„აბესალომი და ეთერი“.

ილიკოს ჯერ ერთგვარი „ანგაემენტო“ შეს-
თავაზეს — მართალია, ოპერაში მიიღეს, მაგ-
რაამ... სტატისტიკად! ეს კი, ილია სუბიშვილს.
ოცი წლის მოსხლეტილ ვაჟაკს, უკვე არამც
და არამც არ აკმაყოფილებდა.

ბოლოს, როგორც იყო, ნება დართეს ეცეკ-
ვა ჭართული.

ილიკომ ისე შეასრულა ჭართული ცეკვა,
რომ პირველ დღიდანვე მიენიჭა ბალეტის მა-
ლაღბარისხოვანი ოსტატის სახელი. იგი უკვე
თბილისელი მაყურებლის საყვარელი მსახიობი
გახდა.

იმევე, 1927 წელს თბილისის ოპერისა და
ბალეტის თეატრის დასში ჩარიცხეს ნინო რა-
მიშვილი. ჩვიდმეტი წლის ბალეტრინამ პირვე-
ლად მიიღო მონაწილეობა ოპერა „ლილაში“.
ექტორ დოლიძემ ეს ოპერა შექმნა ავსტრიული
ცაგარელის „ლეკის ქალ გულჯავაიშის“ მიხედ-
ვით. დადგმა კეთთვნოდა ა. წუწუნეას. ილი-
კო სინანულით იხსენებდა ამ ოპერის პრემიერ-
ასს, ზუთი წლის წინ, მაისის თვეში რომ ჩა-
ტარდა. მაშინ სამეფო სტოლარმანი ღირიფო-
რობდა, ხოლო სცენაზე დიდი ვარსკვლავები
მღეროდნენ — ენო სარაჯიშვილი, — (თეი-

წარმბაგი ღმინი

მურაზი, სანდრო ინაშვილი (რეჟები), ლეონ ისეცა (როსტომი), ნ. ბარონიანა — (ლეილა). მაგრამ დღეს, ახალი შემადგენლობიდან ყველაზე მეტად ილიკოს გულს ახარებდა ნინოს რამიშვილის გამოხველა. ნინომ ქალთა ცეკვაში უშუალობითა და ჰაეროვნებით მოხიზლა მაყურებლები.

— ან დღეს, ან არასოდეს! ვაიფიქრა ილიკომ და ნინოსთან შესახვედრად მოეშინადა. სპექტაკლის ამთავრების შემდეგ გადაწყვიტა ნინოსთვის ყველაფერი ეთქვა. ოპერის ბაღში შეიჭრა, ერთი ყვავილი მოწვევითა და მსახიობთა გამოსასვლელს ეცა. დარაჟმა იცრო და შეუშეა.

რამდენიმე ნახტომით აირბინა ბელეტაჟის კიბე და ერთ მინდილოსანს ეი შეეკახა.

ილიკომ იცრო ეს ქალბატონ-მეცარი შესახედობის ქალი, — ქალბატონი პერინი.

სამწუხაროდ პერინმაც იცრო ილიკო და ლორწებით დააკვირდა:

— აბა, ვის უცდის შენი ყვავილი, კავალერო! ქეთხა დამტრული რუსულით.

ილიკოს უნდოდა ეთქვა — შეც ოპერის თეატრის სოლისტი ვარო, მაგრამ ხმა გაუშრა, თავი ჩაღუნა.

მარია იოსების ასულმა ნიკაში მოჰკიდა ხელი გაწოლებულ ვეჟაკს და თვალეში ჩახედა:

— თქვი, ვინ გაინტერესებს?

— რამიშვილი... დარცხვინით ამოიღულღულდა ილიკომ.

— მოიცადე... ეხლა გამოვა... ო, მონ დე... სე ლა ვი!... ამოიხრა და ქუჩაში გავიდა.

გამოსასვლელში ზედიზედ ჩნდებოდნენ ბაღურნიები. ილიკომ სათითაოდ იცრო ისინი — დიმიტრიევა, ბაუერი, ჩიკვაძე...

და ბოლოს, გამოჩნდა ისიც... ნინო! ილიკომ თვალეში შეანათა.

ნინომ იცრო და გაწოლდა:

— თქვენ მე მიცოდით?

— ღიბ... და ყვავილი ისე გაუწოდა, რომ სახეზე არც ეი შეუხედავს.

ნინოს ბედნიერმა შუქმა გაუბრწყინა თვალეები, ყვავილი ჩამოართვა და ორივე ჩემოდ გავიდნენ გარეთ, ოპერის ბაღში.

ქუჩის რადიო-რეპორაჟორიდან ისმოდა სარაჯიშვილის ხმა: მღეროდა ღვათაბრძივი ამბულალოში.

ცისფერ მერხზე ჩამოსხდნენ.

ჭროდა ნიავი და ლერწმები შრიალებდნენ.

თავჩაღუნულნი ისხდნენ ერთმანეთის გვერდით...

არც ერთი არ ამბობდა არაფერს. გოგონა მარცხნივ იხედებოდა, ილიკო მარცხნივ და ისხდნენ ასე. მუნჯებივით...

მათ მაგიერ ჩერხულხდა ოპერის ბაღის აუღში აშარკენებელი ჩანჩქერი.

ილიკო მიხვდა, თუ რა ძალა ემტრებოდა ოპერის თეატრს და კერძოდ, ქართველ ქართველთა ფიულ ხელოვნებას, ნინოს სახით. ყურადღებითა და გულდასმით შეისწავლა მისი გამოხველება ყველა ევროპულ ბაღეტში. ნინო განსაკუთრებით წარმტაცი იყო ნაიკოესკის „გულუბის ტბაში“, ხოლო უფრო გვიან პერიოდში, „მეკობრეში“, მინკუსის „დონ-კხოტში“ და გლიერის „წითელ ყუაჩაოში“.

— ილიკო ორი წლის შემდეგ ჩარიცხეს თბილისის ოპერისა და ბაღეტის თეატრის დასში, სოლისტად და ქართული ცეკვების დამდგმელად.

ამ დღიდან ნინო და ილიკო სულ ერთად არიან: ერთად გამოდიან ქართულ ოპერაში, ერთად ცეკვავენ საესტრადო კონცერტებზე და საზეიმო საღამოებზე.

ქართული ოპერებიდან ორივემ ერთად შეარჩიეს ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“. ილიკოს დაეინებოთ მოთხოვნით მოხდა მთიულურის საცეკვაო დეტის ინფიქსირება ოპერის პარტიტურაში.

მათ მიერ შეტანილი მთიულური ცეკვა ფეროროს ახდენდა „ქეთო და კოტეში“. ამ კომიკურმა ოპერამ გაუძლო მოსკოველ და სხვა ქალაქების მაცურებელთა წინაშე მრავალჯგის გამოცდას. ახლა, ვ. დოლიძის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ლობხეტოს საფუძვლიანად ვაღამუშეებზე მუშაობდა პოეტი სოსო გრიშაშვილი, ხოლო მუსიკალურ რედაქციას უწევდა ახალგაზრდა კომპოზიტორი გრიგოლ კილაძე, ოპერის პარტიტურა „გაიკოცლა“ რამიშვილისა და სუბიშვილის საცეკვაო დუეტმა.

ღამის თერთმეტი საათია, ოპერაში მთავრდება „ქეთო და კოტე“. მოდი, შევალთ თეატრის კარი და მოველშინით მის მეთოზე მოქმედებს, სადაც კულმინაციური წერტილია დასმული.

გაკორტებული თავილი ღვეანი უკვე მეორედ შეადინა ბარბალემ და ქორწინების თანხმობის ქალადიც გამოსტუვა. მაჰანკალი ბაბუცი უკვე დამარცხებულია, ბარბალემ სასტიკი ანგარიში გაუსწორა მას: ეჭარი მკარო შინ არ არის, ხოლო მხიარული შინაური ბიჭები, კინტოები — საქო და სიკო აღტაცებული ყოფინით აუწყებენ სტუმრებს საპატიო საზოგადოებას ქორწილის დასაწყისს.

სკენაზე შემოდიან ახალაფჯარაწერილები.

მეღღუღეთო და მეზურჩენთო დასტა უკრავს თბილისურ ეანრულ საზეიმოს.

ქეთოს და კოტეს წინ ამაყად მიუძღვის ვამარკებული მაჰანკალი.

ისმის ყოფინა: „მოდიან, მოდიან!“

უარესად კოლორიტული, თბილისური ქან-
რული ოპერა ვადადის დიდ ფინალში.

მუდამ ცოცხალი და მომცინარე, იუმორის
ცეცხლით აღსავსე ლაღო კავსაძე მყურებელს
უცხადებს:

— ესა, ჩვენთან სტუმრად მოვიდნენ ნინო
რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი!

პროექტორები შუქს უმატებენ, სცენა მაქ-
სიმალურად კაშკაშებს. ორკესტრი იწყებს სა-
ცეცხლოს.

სცენაზე ველური ყეინით შემოცვივა
ორი, ერთიანად ჩაქმული ვაჟი, შეინდისფერი
წიბებით, შავი ბოხობებითა და მოკვრისხელი
ზანჩლებით...

განცვიფრებული მყურებელი შეპყრებს
ცეცხლის ქარიშხალს. ამაოდ ეძებს სცენაზე ნინო
რამიშვილს. მთიულურის პანგებზე როგორც
ტყუბი ძმები, ისე ტრიალებენ მოცეცხვე ვა-
ჟები: ცერებზე დგებიან, მუხლებზე ეცემიან,
ყეინებენ, შიშველ ზანჩლებს აბზრიალებენ ხე-
ლის გულზე წვერიით. შავად, ცერებზე უა-
ლიან წრეს, დარღმინდობაში ერთმანეთს ტოლს
არ უღებდნენ.

მთარღება ცეცხლის აპოთეოზი და გრიადებს
ტამი. ორივე ვაჟიაც მოწიწებით დაბრის თავს
და მდლონის ნიშნად ბოხობებს იხდის.

დიდა ვაჟები, როდესაც ერთ-ერთ მთ-
ვანს ტალღებად გადმოუცვივა მზრებზე ქალის
ნაწიანები.

მეუხარე ტამი პატულოზს და ილიკოს ავან-
სცენაზე. წინ გამოჰყავს ნინო რამიშვილი, რო-
შელსაც ნამდვილად ეკუთვნის ეს ოპერა...

მოსკოვის დიდ თეატრში

1932 წელს ილიკო სუხიშვილი საქართველოს
სსრ განათლების კომისარიატმა მიავლინა ქ.
მოსკოვში სსრ კავშირის ლენინის ორდენის
აკადემიურ დიდ თეატრში, ბალეტმეისტერ
კასიან გოლეზოვის ასისტენტად.

ილიკომ ნინოც თან წაიყვანა.

იმვე წელს დაქორწინდნენ.

ახლადაქორწინებულები მოსკოვში ყველა-
ფერის შეზარბოდნენ — კრემლს, წითელ მოე-
დანს, „ოხოტინი რიადს“ და სასტუმრო „მოს-
კოვს“, დიდი კალუგის პრისაქტს, კომკავში-
რის მოედანს, წითელ ჰიშკარს...

ლენინის ბიბლიოთეკასთან, კრპოტკინის ქუ-
ჩაზე, ერთ პატარა მყუდრო სახლში დაბინა-
დნენ...

მოსკოვის ფილარმონიამ შესთავაზა საგას-
ტროლო ანკეჟემენტო. ილიკო და ნინო სიხარუ-
ლით დაეთანხმნენ საცეცხლო ნომრებით საესტრა-
დო სცენებზე გამოსვლას.

დიდ თეატრში ბალეტმეისტერმა კასიან გო-
ლეზოვსკიმ სუხიშვილი თავის მოადგილედ

აიყვანა. ილიკო პარალელურად ცეცხვად კი-
დეც დიდ თეატრში, ამავე დროს სწავლობდა

ა. ლენინის სახ. ინსტიტუტში
თეატრის ფორტონებზე [ზარდნი] ცეცხვების
შესანიშნავი მოდელის მიხედვით, აბოლონის
მზიურ ეტლში შემბული ბრინჯაოს ოთხი
ტერფიცეცხლოვანი, ფთვარაყრილი მერანი ჰი-
ხეინებს.

ამ წინაბამ ილიკოს და ნინოს ლეილი შეი-
ღებოდათ გაულო ყველა კარი.

დიდი თეატრი მათთვის მუსიკის და ბალე-
ტის აკადემიად იქცა.

ამ გაეცნენ ბალეტის ისეთ კორიფეებს, რომ-
ლებიც ოქროს ასოებით აღიბეჭდნენ დიდი
თეატრის ისტორიაში: ლე-პიე, დიდლო, ბერ-
ნადელი, პეტრია...

ამვე გაეცნენ ვ. დ. ტიხომიროვის უბადლო
ხელოვნებასაც, რომელიც თავისი სასწავლო
ხერხებით აღემატებოდა სენ-ლეონის, პერდტიის,
იოჰანსონის, ჩეკეტის ტრადიციებს...

ბალეტმეისტერი გოლეზოვსკი შესანიშნავი,
გულისმომერა აღმამანი აღმოჩნდა. იგი ერთ-
ერთ მთავარ როლს ასრულებდა დიდი თეატ-
რის საბალეტო კელტურის ცხოვრებაში.

იმ წლებში, როდესაც ნინომ და ილიკომ
მოსკოვში მორიდებით გადაადგეს პირველი ნა-
ბიჯები, დიდი თეატრის საბალეტო ხელოვნე-
ბა ერთგვარი ექსპერიმენტული გზების ძიება-
ში იყო.

გადახვედით ისტორიას, რა ხდებოდა დიდ
თეატრში, შორეულ, ოცდაათიან წლებში.

რეჟისორი შარაშიძე დგამს იაგორსკის „ოქ-
ტომბრის კოშკს“, ხოლო სსრ სახალხო არ-
ტისტის ნ. ვ. სმოლინი ა. კრეინის „ზაგმუს“ და
მეიერბერის „პუგენოტებს“.

რეჟისორი ზახაროვი დამეებს ათენებს მ.
გლენკას „რუსლან და ლიუდმილაზე“.

კოლექტივიზაციის პერიოდს თავისებურად
გამოხემათა კომპოზიტორი ძეგრინსკი. იგი
სწერს მიხეილ შოლოხოვის რომანების მიხედ-
ვით ორ ახალ ოპერას „წყნარ დონს“ და „ვა-
ტეხილ ყამირს“. ეს ორი ოპერა უკვე ერთ
ახალ სიტყვად ითვლება მუსიკის მკაცრ კრი-
ტიკოსთა მიერ. შესანიშნავი დირიჟორი, ა. შ.
მელიქ-ფაშაევი დირიჟორობს განწვირბობით
დადგმულ ოპერებს — ჟ. ვერდის „ოტელს“
და მ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინს“. თანად-
როულად ოცნებობს ზ. ფალიაშვილის „აბე-
სალომ და ეთერის“ დიდი თეატრში დადგმაზე,
რომელსაც უფრო გვიან აბორციელებს და
დირიჟორობს კიდეც (1939 წელს).

ილიკო გატაცებით უსმენს ასათფეის „ბალ-
ნისარაის შადრეანის“ წარმტაც მუსიკას, მო-
ხიბლულია ნინოს მეგობარის, ე. გ. ჩიკვაძის
ბრწყინვალე საბალეტო ტალანტით, მაგრამ
ყველაზე მეტად ილიკოს და ნინოს მიანც ბა-

ლეტის სათავეები, ბალეტის საიდუმლოებანი და ისტორია ბრაცებთ.

აქვე, დიდ თეატრში ეცნობა იგი თავის დიდ მეგობარს, შესანიშნავ შემოქმედს, იგორ მიოსიევს. იგორთან ერთად სწავლობდა ილიკო ბალეტის კამეაში ფერადებს, ქორეოგრაფიის რთულ მუსიკალურ ენას.

აქ ბოლომდე გააფურჩქნა მათი საცეკვაო ტალანტი, ახალი იდეალების, შემოქმედებითი ასპარეზის ძიებაში. ი. ა. მოისიევმა დადგა ორანსკის ბალეტი „ფეხბურთელი“.

ილიკო გრძნობდა, რომ ამით დამდგმელი ემპირიზმობა თანამედროვე თემატკას. მოისიევმა დადგა კიდევ ერთი ახალი ბალეტი „კომედიანტები“, ლაპე-დე-ვევა-კარპიოს ბიესის — „ცხვრის წყაროს“ ფაზულის მიხედვით.

ეს იყო ძალზე საინტერესო და ქორეოგრაფიულ ენაზე ახლებურად გადაწყვეტილი ბალეტი.

შემდეგ ხელახლა განახორციელა ბალეტ-მეისტრთა აღმზრდელი შამის გორსკის ბალეტი „სალამბო“, გუსტავ ფლობერის რომანის მიხედვით.

ილიკო და ნინო გრძნობდნენ, რომ მოისიევი თემის პიროვნულად, ინდივიდუალურად სწყვეტდა. ეს ძალზე მოსწონდა ნინოს, მაგრამ ილიკო შეინშნავდა, რომ ბალეტის დადგმისას ქორეოგრაფი არასოდეს არ უნდა მოწვევებოდა ერთგულ ნიდავს, ერთგულ ეთოგრაფიას.

გოლეიზოვსკიმ სუბიშვილთან ერთად აჩვენა საბალეტო ნოველების ნაერგები სპექტაკლი — „იონის ცეცები“ და „ჩარდა“.

პირველი წარმოდგენდა ანტიკური ცეკვის — „დელკანის“ პრინციპების საწინააღმდეგო სანახაობას, რომელიც მტკიცედ იდგა მიწის რელიეფზე.

ძველებრძნული (იონური) მელოდიების საფუძველზე დაურდნობით გოლეიზოვსკიმ და მისმა ასისტენტმა სცადეს აღდგინათ ნამდვილი ელანური, ათლურტი ცეკვა და მიზანმიმართული კიდვც.

ცეკვის ძალისმიერი, უხეში მანერები, გაყდნითილი იყო ელინური ეპოქის ადამიანთა ძლიერი სულით.

ასეთ ფოლკლორულ ფერწერებში ძიება ძიებას მისდევდა, ექსპერიმენტი — ექსპერიმენტი.

იმავე პერიოდში ძალზე დიდი სენსაცია გამოაწვია „დიდი ზირადნების“ დადგამამ, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 15 წლისთავს.

მესამე ბალეტი, რომელიც დადგა ი. მოისიევმა, გახლდათ ორანსკის „სამი ბღენი“, ოლეშას ზღაპრის თემაზე.

ეს უკვე მოისიევის დიდი გამარჯვება იყო რეჟისორული გამომგონებლობისა და მალალი

ხელოვნების მხრივ. მაგრამ აქაც, სუბიშვილი საკუთარ რედაქციანვე ოცნებობდა.

გოლეიზოვსკის ტრადიციები, რამე შეხატქმეისტრმა შამოლოვის მინიატურებში, რამე მხრთა და ნოიტანა, ძალზე აღელვებდა ილიკოს, კამერული ბალეტები რ. შტრაუსის „სალამბო“, დეიუსის „ფავნი“ და სერიაზინის საბალეტო სურათები ხიზლავდა და იტაცებდა მას, როგორც შემოქმედს.

გოლეიზოვსკი მუდამ უნერგავდა შრომაში მუყაითობას, უხევეწავდა გემოვნებას, უღვივებდა გონებრივ სიმკვირცხლეს და საკუთარი ფანტაზიისაღმე ნდობას.

გოლეიზოვსკის ექსპერიმენტული ბალეტი შესანიშნავი სკოლა იყო ილიკო სუბიშვილისათვის.

იგი ავირდებოდა, სწავლობდა, ხარბად ითვისებდა უახლესი ქორეოგრაფიის ხერხებს, საესტრადო ინტერმედებს და სუიტებს, „მოუზიკოლს“, გოლეიზოვსკის „გოგონების ცეკვას“, ქორეოგრაფიულ ეტიუდებს ი. დუნაევსკის შესანიშნავ მელოდიების თემებზე.

საათობით სწავლობდა ილიკო მასწავლებლისაგან ვალსებს, მახურკას, ბოშურ ცეკვას. პასტორალებსა და კამპანელას, ფარანდოლასა და ზამანერას, მაგრამ ღამით, კრაპოტინის ქუნაზე მდებარე სახლში მოსვენებას არ აძლევდა ქართული დაღურელი და მოხევერი, მთითური და ხორბუმი შორისა მელიოდებმა... ხშირად, აშკარად ესმოდა ქართული დოლის ზმა!

წამოცდებოდა საწოლზე და ავირდებოდა მოსკოვის ცაზე „მეჭვრისხევის“ შორეულ, კამკამა მთავარეს...

დილით ცვლავ დიდი თეატრი. კვლავ გოლეიზოვსკისათან.

მასწავლებელი დგამს თანამედროვე ცეკვებს: „საბუთთა სოფელი“, „სოფლის კომედი-შარი“, „ტრაქტორისტები“, „დუნია ამხანაგებთან“, „რვა გოგონა და ერთი — მე“, „ორი ქალაქიდან“...

მინც ვინ იყო ეს შესანიშნავი ბალეტმეისტერი, კასიანე გოლეიზოვსკი?

ამ წიგნზე მუშაობისას, როგორც ავტორმა განვიხილავ — მენახა ბალეტმეისტერი კასიანე გოლეიზოვსკი ილიკო სუბიშვილის მოსკოველი აღმზრდელი და მეგობარია. ეს ჩემთვის ძალზე საინტერესო და სასურველი იყო.

1968 წლის 20 ნოემბერს მე პირადად ვინახულე იგი საკუთარ ბინაზე, რათა ჩამეწერა მისი მოგონებანი. კარი გამიღო ვერა პეტროვნა ეასილევაშ, წარსულში ცნობილმა ბალეტრიწამ, მზიარულმა და კეთილმა ქალმა. მერვე სართულის სარკველიდან სჩანდა ჩაიკოვსკის პროსპექტი და ამერკის შერათებული შტატების საელო.

მოსკოვის ქუჩებში „სოლიდერი“ ყინვა იდგა, ოთახში კი სიმუდრევე და სიმშვიდე

სუფიქსი ვოლენოვსკი შეუძლია დამხვდა, მაგრამ ეს მოხუცი ქაბუცი, ცოცხალი და ვერცხლის წყალივით მოსვენებული, წიგნების ხროვაში იყო ჩაწოლილი და სიცილით, ხუმრობითა და აღტაცებით შეპახარდა ყოველივეს, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, სიხარულით გამოიძინა თავისი ენერჯული და არაჩვეულებრივად მტკიცე, გამხდარი, ძარღვიანი ხელები.

საუბრეში ჩავეყვი, მოვასვენე მისთვის მიხუზი. ისიც ვუთხარი, რომ უკვე ვიცნობდი მთელს მის წარსულ შემოქმედებას — ექსპერიმენტულ ბალეტის ისტორიას. აღერსიანი ქროდა თვალები გაუბრწყინდა:

— იყო დრო, როდესაც დიდი თეატრიდან საშუალო გამოიძევეს ჩემი „ახივებული“ იდეებისა და ექსპერიმენტული საბალეტო გზების ძიების გამო. საშინელ გაპროვოკაციას განიცდიდი. საღადა აღარ მიმეშავდა... ღამის დარაჯადაც როგორ შორეულად მეჩვენება გავლილი წარსული... ახლა კი...

— ახლა?.. შევეკითხე მე და ბლოკნოტი მოვიმარჯვე.

— ახლა... პარიზში, სტოკჰოლმში კითხულობენ ლექციებს ჩემი ბალეტის შესახებ და უჩვენებენ ჩემს ფილმს — პირველ ნაწილს — „ფიქრები ბალეტზე“. ეს ფილმი გადაიღო იერი აღდუხინმა.

— ეს პირველი ნაწილია... მეორე?

— მეორე ნაწილად მსურს განვახორციელო „სკრაპინიანი“ — ცეკვები სკრაპინის არაჩვეულებრივად მდიდარ მელოდების თანხლებით.

სკრაპინი ჩემთვის ყველაზე საყვარელი კომპოზიტორია. მესამე ნაწილში კი გამიზნული მაქვს ყოვალური ცეკვები. აი, ახლაც პრესკონფერენციისთვის ვემზადები. ქვეყნის ყურნალისებრი იქნებოდა — საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან. მახსოვს, 1924 წელს ჩემს მავიერად გაეგზავნე ერთი ბალანშინი საზღვარგარეთ. იგი ჩემი დიდი მეგობარია, შესანიშნავად იცის ბალეტი.

ქართული ბალეტი ახლა მსოფლიო სენსაციია. როცა ვუყურებ ქართულ ბალეტს, მახსენდება პეტროლიტი: „როცა ქაბუცი ცეკვავდა მიწა უნდა ზანზარებდეს!“ აი, ასე უნდა ცეკვა...

მე დღემდე ვერ ვხედავ უფრო მაღალ საცეკვაო კულტურას, ვიდრე ეს ქართული ცეკვის უმაღლესი კულტურაა.

— გაბოვთ შიამბოთ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის შესახებ.

— აბა, როგორ ვადმოგვით, როგორ მიყვარდა ისინი! რა დამავიწყებს ნინოს! ისინი, ნინო და ილიკო, არ შეიძლებოდა, ერთად რომ არ ყოფილიყვნენ... მათი შეხვედრა ბედნიერებაა ყველასათვის. თითქოს ახლაც ვხედავ, მოს-

კოვში „ქართულს“, ნინოსა და ილიკოს შესრულებით.

ოპ, როგორი ღეთებრივი იყო ნინო! აბა, გიცოცხლო, როგორ „მოპარა“ მას ნაღვედნამ ქართული ქალის ცეკვის მანერები და სიღარიბისაღწევა, როგორ მოახერხა მან ეს!

ნინო არაჩვეულებრივი ქალური მოცეკვავეა. კდემამოსილი, ასეთი გულზედადი ქალები მსოფლიოდ საქართველოში იხადებოდა. აი თითქოს ჩემს წინა რამიშვილი... მოდის... მოდის... სულ ძირს იხედება, მორცხვობს. პეროვანად, მოდის, მოდის, ასწევს წამწამებს. ესაა დღესასწაული ზეიმის ამოთვოზი, მაგრამ იგი ყველადახრის მზერას და უერთდება ილიკოს...

მე აღტაცებული ვიყავი „ქართულით“. მათ მიერ დადგმული ცეკვებით. სწორედ ამიტომ მათ ქართული ცეკვები არასოდეს რომ არ დამიღამსა ვერც შევიძლებდი... გვერდით მყავდა ილიკო, და მეც ესწავლობდი მისგან.

ილიკო სუხიშვილია მორიდებით შემოდგა პირველი ნაბიჯი კლასიკურ ქორეოგრაფიაში. პირველივე დღიდან, რასაც ხედავდი, ღრუბელივით იწოდდა. სწავლობდა ჩემთან, მხელილ გამოვიჩინებდი. ძირითადად კი ჩემს ასისტენტად მუშაობდა.

მე მახსოვს, როგორ შემოვიდა იგი პირველად, ბალეტის სამეცადინო კლასში. მაშინ იგი ოცდახუთი წლის გამხდარი ქაბუცი იყო. მაღალი, მზარბეცვამილი, შავი, გრუზა თმებით. მეოცნებე, დიდრონი თვალებით. დავუახლოვდი ჩემს მოწაფეს, და ამოვიცანი მასში დიდი ტალანტი, სუფთა ქართული, ვნებიანი ტემპერამენტი და ბალეტის შესწავლის დღეოცეხელი წყურვილი.

ყოველივე, რასაც ილიკო სწავლობდა, საოცრად ზუსტი იყო, დაწყებული ილიკოს შემადგენილი ელემენტებიდან, გათავებული სამეცადინო ტექნიკის მანერით.

სწავლების დროს მუდამ ცდილობდა — ბოლომდე გაეგო საიდანაა ეს ხერხი, როგორ ეწოდება. წარმატებით განახორციელა რამოდენიმე საბალეტო დაღამი, ჩემგან დამოუკიდებლადაც.

ილიკო ცხოვრებაშიც და ცეკვებშიც ძალზე კორექტული და ზრდილობიანი მახსოვს. ასედაიქნებოდა და დამახულობდა შეისწავლა მან კლასიკური ქორეოგრაფიის უმაღლესი „აღგებრა“.

მე მომწონს და აღტაცებულ ვარ — რომ იგი ცეკვებს სტილიზებულად გარდაქმნის, თეატრალურს ხდის, რათა მოეწონოს ყველა მყურებელს. ჩემის აზრით, ეს სწორი, ზუსტი და ნამდვილი გზაა.

მე ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს ასე გაითქვეს სახელი ნინომ და ილიკომ. ქართული ბალეტი მსოფლიოს საოცრება გახდა.

კასიანე გოლეზოვსკი დაფიქრდა და დაუმატა:

— ადამიანი — ესაა ღმერთი; ღმერთი კი შემოქმედია. მაგრამ თუ კაცმა გაიმეორა ხელოვნებაში იგივე, რაც ღმერთმა შექმნა, მაშინ ის ჩამორჩება, აღარ იქნება ხელოვანი.

ადამიანმა უნდა იპოვოს ვაგრძელება იმისა, რაც „შექმნა ღმერთმა“.

ბალეტის ძირითადი შემოქმედება რიტმია. ქართული ცეკვებიც ძირითადად რიტმია, მაგრამ ლამაზი, წარმტაცი რიტმი, ზღაპრული ჩანჩქერი.

ბედნიერ არიან ადამიანები, ვინც ჩაწვდებიან ამ უკვდავ, ჭაღოსნურ კიმერას — რიტმს.

ეკთ-ერთი ასეთია ილიკო სუხიშვილი, რომელიც ნინოსთან ერთად ჩასწვდა ამ საიდუმლო ჩანჩქერის სათავეს.

აქ შე უნდობლად მაგონდება ბობლიის სიბრძნე, რომელსაც საკმაო გაბედულებებითაა ნათქვამი. სახელდობრ, თიანე ღვთისმეტყველის „ამოკალიტის გამოცხადებაში“:

„...და ხალხნი იქნებოან ვითარცა ღმერთები და ყველაფერს გაიგებენ...“

აბა, დააკვირდით აქ, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

მიტომ, მუდამ ვფიქრობდი, რომ ვინც იპოვდა რიტმს, ის გახდებოდა „ღმერთი“; დამორჩილება საბალეტო ხელოვნებას.

ნინო და ილიკო ჩასწვდნენ შალაკულტურული, ქართული ხელოვნების სათავეს, შესვეს უკვდავების წყარო, ხელოვნების ნექტარი... ისინი ადამიანები აღარ არიან, ისინი ხელოვნების ღმერთები გახდნენ“.

ლონდონის ფესტივალი

დაუფიქრარი, ოქროს დღეები დღევანდის მისდევს, წლები—წლებს, და, აი, ერთ მშვენიერ დღეს ილიკო იღებს მეტად მნიშვნელოვან ცნობას.

1935 წელი. მოსკოვი. იელისის პაპანაძეება სცხებ.

ილიკო სუხიშვილი ვაახარა სასწრაფო დეპეშამ თბილისიდან: საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდია გზავნიდა ლონდონის ფესტივალზე.

უცხოეთის ფესტივალისთვის მზადება თბილისში ელვის სისწრაფით მიმდინარეობდა.

საერთოდ სიაც მზად იყო, ოცამდე კანდიდატის გვარი.

დედუგაციას ზელმძღვანელად დაენიშნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორი, ქართველ საბჭოთა ქორეოგრაფთა მამამთავარი, შესანიშნავი პე-

დაგოგი და მოქალაქე—დავით ლავერენტს ძე ჭავჭავაძე.

ესაა ადამიანი, რომელმაც სისტემაში მოიყვანა ქართული ცეკვები, შექმნიერულად დაამუშავა ისინი და შექმნა ქართულ ქორეოგრაფიაში პირველი ცეკვის სახელმძღვანელოები.

11 იელისის ილიკო უკვე ლენინგრადშია.

აქ საბოლოოდ დადგინდა ლონდონის ფესტივალში მონაწილე ქართული ჯგუფის დელეგატთა სია: 1. ილიკო სუხიშვილი, 2. ვალოდია ხეთაგური, 3. ანტონ ჩიხლაძე, 4. სერგო ნონაშვილი, 5. მისხელი ჩოჩიშვილი. მათ თან ახლდათ მეზურნეები — ლევანი და სერგო ძმები ზუბაშვილები და მედლო ვანო შავულაშვილი. აღსანიშნავია, რომ თეთრი ნიხა ეცვა მხოლოდ ილიკოს, როგორც სოლისტს.

დავით ჭავჭავაძის დასაზუსტებელი ჰქონდა საერთოდ რეპერტუარიც — „ხორბლი“, „ქართული“, „ბლადღერა“, „მთიულერი“, „ქალის დაღერი“. მაგრამ თბილისში შედგენილი პროგრამა აღარ გამოდგებოდა. აი, რა ვანუცხადა 1935 წლის 10 იელისის ზელმძღვანელ ამხანაგებს დ. ჭავჭავაძე:

„—ნინო რამიშვილის გამო პროგრამას ორი ნომერი გამოაკლდა. ი. სუხიშვილი რჩებოდა ექნება. საჭირო ვახდა ამხ. ი. სუხიშვილისთვის გამოსავალი მოგვეძებნა და გამოვიძებნეთ კიდევ: შე წინადადება მივეცი ამხ. სუხიშვილს ამოიჩინა ზენი ნომრებიდან საუკეთესო ადგილები, შევიბრდი მთიულტრში ცენტრალურ ადგილს და გარშემო ანტურაჟს. მოცეკვავეები —ჩიხლაძე, ჩოჩიშვილი, ნონაშვილი და ხეთაგური სიამოვნებით დამთანხმდნენ ანტურაჟზე და შეგობრულად ხელი გაუწოდეს ამხ. სუხიშვილს“.

საბოლოოდ გადაწყდა — ეცეკვათ სამი ცეკვა — „ხორბლი“, „ოსური“, „მთიულტრ-დაღერი“.

ჩიხლაძეც, ჩოჩიშვილიც, ნონაშვილიცა და ხეთაგურიც იმ დროს საქართველოს უძლიერესი მოცეკვავენი იყვნენ, მაგრამ მათ მშვენიერად ესმოდათ რომ უცხოეთში საჭირო იყო ილიკო სუხიშვილის ვირტუოზული ცეკვის წინა პლანზე გადმოწყდა მათ ძალიან უყვარდათ ილიკო, როგორც მეგობარი, როგორც ხელოვანი და მოქალაქე, მაგრამ მასთან ერთად, უშუალოდ ამსამბლში არასოდეს არ უცეკვიათ.

როგორ მოქცეულიყვნენ?

გადაწყდა რეპეტიციების ჩატარება ვეზუ!

1935 წლის 15 იელისის ვეშმა „სინიზმა“ ახსნა ღუზა შობლიური ლენინგრადის ნავსადგურში და გაემართა დიდი ბრიტანეთის კენძულებისაკენ.

ინგლისელი გენიალური პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ „დახრილი ანძა და ლდი არწივი—

გემი", ბიჭებს მიჰქროლებდა „ნაბრზე მითო-
ვებული ძველი ინგლისისაყენ...“

გემის კიბუტებში მშვიდად არ უძინიათ.
რეპერტიცია რეპერტიციას სცვლიდა!
ბოლოს, კარგად დარწმუნდნენ, რომ ყოვე-
ლივე რიგზე იყო.

ილიკოს საცეკვაო სოლოები ზუსტად გამო-
თვალეს, შეეთვისნენ და ერთიან ანსამბლად
შეიკრნენ.

„სოლისტი“ „ანტერაჟში“ ჩაქდა, ახლა უკვე
არხებიდან გრძნობდა თავს, უღარდელად და-
ლაქებდა გემბანზე. ლღინებდა, და წყალს უც-
ვლიდა ლარანკში თბილისურ ვარდებს.

გემმა ქართული საცეკვაო ჰანგებითა და
ჯოლი-გამომონით გაიარა მდინარე ელბას დელ-
ტა და ღუზა ჩაუშვა ჰამბურგის უზარმაზარ
ნავსადგურში. აქ გემიდან გადატერიტეს საბ-
ჭოთა საექსპორტო საქონელი და ერთი დღით
შეისვენეს მებლავურებმა და მგზავრებმა.

მდინარე ელბა მღვრივ და უშუალოდ ერე-
ნათ.

შორს, ლურჯად მოკამყამე, უღრბლო ცის
ფონზე თეთრად ქათქათებდა ჰამბურგის საზ-
ღლო ობსერვატორია.

ჰამბურგში ყოფნისას მებლავურებმა და მსა-
ხიობებმა გაიგეს, რომ ქალაქში ზშირი იყო
ბოლურის შემთხვევები, რასაც თავის დროზე
ფაშისტური მთავრობა რუს ემიგრანტებს აბრა-
ლებდა, მაგრამ გერმანელმა ექიმებმა უარჩყვეს
ეს მტკიცება. საბჭოთა მებლავურებმა ყვეა-
ლების გვირგვინი მოიტანეს ჰამბურგის 1923
წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყებისას
დაღუპული გმირების მემორიალურ დაფასთან.
დაფაზე გერმანელად ეწერა:

„ისინი დაეცნენ პროლეტარიატისათვის
ბრძოლაში“.

გერმანელმა მუშებმა მოუთხრეს საბჭოთა
მსახიობებს იმ შეიარაღებული აჯანყების შე-
სახებ, თუ როგორ შეეწირენ გერმანიის მუ-
შათა კლასის აჯანჯარდის შვილები ფაშისტ-
თან ბრძოლას.

ჰამბურგელ ახალგაზრდებს სურდათ გერმა-
ნელი კომუნისტების ბელადის ერნსტ ტელმან-
ის ციხიდან განთავისუფლება შეიარაღებული
აჯანყების გზით.

ამ აჯანყების ხელმძღვანელთა რიგებში იყო
ირინა ტელმანი. — ერნსტის ქალიშვილი, ბე-
რმანიის ახალგაზრდობის კომუნისტური კე-
შირის წევარი...

საბჭოთა მებლავურები და მსახიობები მღე-
ლვარე შობაქედობებით დაბრუნდნენ გემზე.

ჰამბურგის ნავსადგურიდან ღუზის ახსნის
შემდეგ კაპიტანი კერსი აიღო ჩრდილო-დასა-
ვლეთით.

მღე თვალწინ გადაეშალათ დიდი ბრიტა-
ნიის სანაპიროტეშის ვაშლილი ყურე,
სადაც თავდებოდა ბემტონის რკინიგზის შტო.

წარუშლელი შობაქედობა დასტოვა დელ-
ტაზე ლონდონის საოცენო ასაწევმა ხიდიმა.

უკან დარჩა ბარცეგ-ტაქსი, ვალლიონ-რიჩი,
ველენი-რიჩი, სილვერ-ტაქსი; ტემზის მარჯვენა,
ნესტონის სანაპირო, სახელგანთქმული გრი-
ნების ტაობებით.

გემის კაპიტანი მოუთხრო მსახიობებს ქვეყ-
ნის ამბები. „ალბიონი“ ლათინური სიტყვაა და
თეთრს ნიშნავს. დაახლოებით ორიათასი წლის
წინ თურმე ასეთი მოგეგნათ რძისფერ ბურთ-
სში გახვეული ბრიტანიის კლდოვანი კუნძუ-
ლები რომელ დიქტატორს იულოეს კეისარსა
და მის განცვიფრებულ მებლავურებს. ლონდო-
ნის ნისლშია გახვეული ყოველივე—ხიდი, მო-
ქალაქენი, ქუნები, მანქანები, ტემზა... უამინდო-
ბა ადამიანის განწყობას ცვლის. მუდამ მწყრა-
ბი, მკაცრი ტაროსი, როგორც საჩყვით, ისე
არყვედა ერის შინაგან ბუნებაში. აღბთ აქე-
დაწვეა წარმოდგენა ინგლისელის ცივ ხასიათ-
ზე. უღმებრ თავდაპირობაზე, ქედმალლობა-
ზე.

ინგლისის სატახტო ქალაქი დიდი ინტერე-
სით ელოდა მსოფლიო ფესტივალის მონაწილე
სახელმწიფოთა წარგზავნილებს.

მესამე დღეს, 18 ივლისს, განთავადისას, გემმა
ღუზა ჩაუშვა ლონდონის ნავსადგურში.

— გამარჯობა ინგლისო! შექსპირის, ბაირი-
ნის, შელის, დიკენსის სამშობლო!

ნავსადგურის ბულვარი გაქედული იყო ინ-
გლისელი მუშებითა და ლონდონის ღარიბი და-
სახლებით.

გემის წითელი ვარსკვლავის, ნაშალისა და
ჩაქუნის დანახვზე ისმოდა აღტაცებული შეა-
ხილები და სიმღერები.

ფესტივალი უნდა ჩატარებულყო „როიალ
ალბერტ-ჰოლის“ უზარმაზარ თეატრში.

ილიკომ შიშით ახვდა ამ ვებებრთედა შე-
ნობას. გადასწყვიტა, რადაც არ უნდა დასაქლო-
მოდათ—აელო“ ეს გიგანტური სასახლე.

რა იცოდა მაშინ ილიკო სუბიშვილმა, რომ
ზუსტად ოცდაოთხი წლის შემდეგ კიდევ მო-
უწევდა გამოსვლა კენსინგტონის „ალბერტ
ჰოლის“ სცენაზე, ნინო რამიშვილთან და საქა-
რთველს ხალხური ცეკვის ანსამბლთან ერ-
თად! რომ ეს თეატრი მოწმე გახდებოდა ქარ-
თული საბჭოთა კულტურის ფანტასტიკური,
ბრწყინვალე ზეიმისა, რომ ამ თეატრის ფარდა
„მხებრულის“ შემდეგ იხსნებოდა 19-ჯერ!...

მსახიობებმა შეადგინეს ბრიტანიის სატახ-
ტო ქალაქი დაათვალერეს. ლონდონი მაშინ
ტოკიოს შემდეგ მსოფლიოში ყველაზე მეტად
დასახლებული ვახლდათ და მსოფლიო ვაჭ-
რობის ცენტრად ითვლებოდა.

ილიკომ პირველად ნახა ლონდონის „სიტი“. და
მის თავზე გაწოლილი კეამლისა და ღრუ-

ბლის მონაცრისფრო, სქელი ბერუსი.—„სმოვი“ რაც დილითაც ოდნავ სიბნელეს იწვევდა ქალაქში. შეაშინია, რომ აქ-იქ შუადღისასაც ენთო ოდნავ მბუტბავი ელნათურები.

ჩერინგ-კროსის ცენტრალური ვაგზალი თავისი უნივერსალური მალაზიებით ლონდონის ცენტრალ და ითვლება. აქ ბევრია „საქმოსანთა“ სახლები და კანტორები.

ინგლისელებს ძალიან უყვართ ცალკე, აბსოლუტურად იზოლირებულ, სტანდარტულ, სამსართულიან სახლებში ცხოვრება. ნომრები რომ არა, ერთ სახლს, მეორისგან ვერ გაარჩევ — ავურით ნაშენი სახლების კვადრატები გაქმნილია კილომეტრების მანძილზე. რა თქმა უნდა, არსად არაა № 13!

მოსახლეობა ძირითადად მრეწველობას მისდევს, ან ვაჭრობასა და თავისუფალ პროფესიებს.

ძირითადი მაცხოვრებლები ინგლისელები არიან, მათ მოსდევენ შოტლანდიელები, ირლანდიელები, გერმანელები, ფრანგები, რუსები, პოლონელები.

ლონდონში 10.000 ქუჩაა. ილიკოს კი ყველაფრის ნახვა სურდა. ვერ დაათვალიერა ინგლისის ბანკის შენობა, რომელზედაც ამჟამად ეიფობდა წაჭრება «Bank of England».

ბანკის პირდაპირ, კორინთულ სტილის შენობაში მოთავსებული იყო ლონდონის ლორდ-მერის რეზიდენცია და დედოფლის ბიჭვა — «Royal exchange».

შემდეგ გავითა მფლობელების კანტორების მწკრივი მწკრივის მისდევდა.

წმინდა პავლეს ტაძართან იდგა „ტაიშის“ გამოქვეყნება, წიგნების დიდი მალაზიები, რატეშა...

სტრანდის სანაპიროზე დაათვალიერა კოვენტ-გარდენის სახელგანთქმული ბაზარი. ეს სანაპირო ვასდევდა ჩერინგ-კროსის და ვალიოდა ტრაფალგარ-სკუერზე. პიკადილის სამხრეთით დაათვალიერა ნიუ-ბონდი და რიჩენტ-სიტი, უმდიდრესი მალაზიებითა და სამეფო სასახლეებით.

აი, როგორი ხარ, შენ, ლონდონო!...

ილიკომ პირველად ნახა ასეთი კონტრასტები — ეოლოპონის და ოქსფორტ-სტრატის ვაღში, ჰიდ პარკისა და კამდენ-ტაუნის ფართო, შიშისანი კვარტალების შემდეგ საცოდაობით იწვეოდა აილინტონი—ძველი ქუჩებითა და ულარიბესი მოსახლეობით.

ილიკომ პირველად ნახა პარლამენტის შენობასთან ამდენი უმუშევარი.

ისინი ავსებდნენ იმ დღეებში ლონდონის ქუჩებს.

თუმცა პალატის კი მათთვის არ ეცადა.

იმ დღეებში კონსერვატორებმა პრემიერ-მინისტრად გაიყვანეს სტენლი ბოლდუინი, ხოლო

ჯონ საიმონი ვაითაისუფლეს საჯაროე საქმეთა მინისტრის პოსტიდან.

იმ დღეს, 18 ივლისს, სანჯივლი მინისტრის შესახებ გამართულ კამათში პარტყებმა გამოვიდნენ მისტერ ლლოიდ ჯორჯი, სერ ოსტინ ჩემბერლენი, ლეიბორისტების ოპოზიციიდან სერ მორგან ჯონსი და მისტერ ანტონი იდენი.

არც ერთ მათგანს არ შეუწყუებია თავი—ადებუდა თემთა პალატის კაბინეტის ფანჯრებიდან — რათა დაენახა, თუ რა ხდებოდა ლონდონის ქუჩებში. არც იმ ამბებს შეხებია რთმელიშე მათგანი, რასაც საკუთარი თვალით ხედავდნენ საბჭოთა მსახიობები.

ლონდონში უმარავი მიეკეტებით, ტრანსპარანტებითა და პლაკატებით ჩამოვიდა შოტლანდიის, უმუშევართა დიდი დელეგაცია.

ეს იყო დიდი ბრიტანეთის უმუშევართა მილიონნახევარი არმია.

ტრაფალგარ-სკუერში მოხდა მათი ერთიანი ფრონტის დემონსტრაცია, რომელშიც რამდენიმე ათასმა მუშამ მიიღო მონაწილეობა.

რადუნ დიდი იყო საბჭოთა მსახიობების გაოცება, როდესაც გაიგეს, რომ შოტლანდიის მხოლოდ ერთ ქალაქში—გლაზგოში 100.000-ზე მეტი უმუშევარი იდგა ქუჩებში უსაქმოდ!

საბჭოთა მსახიობები შეიკრიბნენ „ალბერტ პარლი“, სკენის ვასაენობად და რეპერტიციისათვის.

თუატრის საღაროსთან გრძელი რიგები იდგა. საღამოს დანთხული იყო პირველი კონცერტები.

ლონდონის მოსახლეობა მიიზიდა მსოფლიო ფესტივალის პრემიერამ.

ყველას სურდა დასწრებოდა ხელოვნების საერთაშორისო ფორუმს.

ამ მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებას სათავეში ედგა ინგლისის ხალხური ცეკვისა და სიმღერის საზოგადოება.

ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ ინგლისის მეფე ჯორჯ V, და დედოფალი მარია.

...პრემიერაზე აღარ იყო აღარც ერთი ბრლეით.

ფესტივალის დირექტორმა მისტერ დუვლას ეყენელმა აცნობა საბჭოთა დელეგატებს, რომ მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობას იღებდა 18 სახელმწიფო. მათ შორის ავსტრია, ბულგარეთი, დანია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდი, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვეიცია, შვეიცარია და საბჭოთა კავშირი.

ჩვენს დელეგაციის გამოსასვლელად მიეცა 7 წუთი და 30 წამი.

საბჭოთა დელეგაციის საერთო ხელმძღვანელმა აშ. ბოთარსკიმ წარადგინა კავკასიური

ეკავები „ხორეში“, „ოსური“, და „მთი-
ლურ-დედური“.

იმავ დღეს, 18 ივლისს, ფესტივალს ხსნიდა
ვერმანია, შემდეგ მას მოჰყვებოდა საფრანგე-
თი, დანია, პოლონეთი, იტალია და რუმინე-
თი. საბჭოთა კავშირის დელეგაცია გამოდიოდა
რუმინეთის შემდეგ, დელეგაციის საერთო ხე-
ლმძღვანელმა ბოიარსკიმ წინადადება მისცა ქა-
რეიშვილს „ხორეში“ ეკავათ ხანჯლებით!

ქარიშხლიმა აუხსნა, რომ ეს იქნებოდა ეთ-
ნოგრაფიული დამახინჯება და არამც და არამც
არ დათანხმდა. ბოიარსკი თავისას გაიძახოდა:
„ეკავე ხანჯლებით ხორეში და პასუხისმგებ-
ლობას ჩემს თავზე ეიღებო“.

სხვა გზა აღარ იყო. მართალია, „ხანჯლურს“
ეკავადღენ ქართლში, მაგრამ ხორეში შიშ-
ველი ხანჯლის ჩვენება ქარიშხლის დაუშვებ-
ლად მიიჩნდა. ბოლოს ბოიარსკიმ იგი მიიწი და-
ითანხმა და „ხორეში“ იცავეს შიშველი ხან-
ჯლებით.

წარმატება ძალზე დიდი იყო!...
საბჭოთა დელეგაციის გამოსვლას დაესწრო
ინგლისის მეფე გორჯ V და დედოფალი მარია.
სამეფო კარისა და მალაი წრის მოხელენი,
პერები, კინგსელის ლორდები—დე კერსის
შთამომავლები, შინისტრები, ყველა ერთხმად
აღნიშნავდა „ეკოლასაღურ“ წარმატებას.

ილიკომ თავის მეგობრებთან ერთად, მარ-
თლაც, ბრწყინვალედ იცავდა.

ლონდონის ფესტივალი არ ითვალისწინებდა
გამარჯვებულს, ე. ი. პირველ-მეორე-მესამე-მე-
ოთხე ადგილებს და სხვ. ამის მიუხედავად სსრ
კავშირის დელეგაციამ დიდი გამარჯვება მოი-
პოვა.

ასეთივე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა
მოცუვავენი პიდ-პარკში, რევენ-პარკში, გრი-
ნეინში, ვიქტორია-პარკში.

ბოლო კონცერტზე უკვე ზღვა ხალხი მოას-
კდა, მოვიდნენ მუშათა დელეგაციები მესინგ-
ლეინიდან, ლიტლ-ისტ-ჰიმიდან, პენდონ-პოლი-
დან, ჩიპსაიდიდან, ინგლისის იმდროინდელი
პრინს აღნიშნავს „სასამოვანო მოვლას“, რომ
„საბჭოთა კავშირის მოცუვავეთა გამოსვლა
დამთავრდა დიდი პოლიტიკური დემონსტრაცი-
ით“.

მართლაც, პოლიცია აკავებდა ოჯაციას და
აღფრთოვანებულ მაყურებლებს, ლონდონელე-
ბი ყვიროდნენ „როტ ფრინტს“; წითელი დრო-
შის დანაპისისა, (რომლითაც გამოდიოდა ჩვე-
ნი მოცუვავეთა ჩვეუთ), მქუხარ ტაშით ეპე-
ბებოდნენ და ყვირით მიესალმებოდნენ თავი-
სუფალი საბჭოეთის შვილებს.

პოლიციელები ამოდ ზღუდავდნენ დემონსტ-
რანტებს.

ჩვენი დელეგაცია ინგლისის საფესტივალო
კომიტეტმა სჯაროდ დააქვლდოვა, რასაც წინ
უსწრებდა დიდი ცერემონიალი.

ეს მოხდა ლონდონის ცენტრიდან 20 კილო-
მეტრის დაშორებით, დედოფლის ციხე-დარბა-
ზში ბერკის საგრაფოში, უინსტონის სასახლე-
ლო, ულამაზეს რეზიდენციებში.

აქ, ტრემის მარჯვენა სანაპიროზე, რატუშის
დიდ დარბაზში, ინფორმატორმა გამოიძახა ილ-
იკო:

— მისტერ სუბიშვილი!...

ინგლისის დედოფალმა მარიამ ძარღვიანი
ცივი თითებით, საცუთარ ხელში სახეიზოდ გა-
დასცა ოქროს მედალი ილიკო სუბიშვილს. შე-
მდეგ გაიმართა სამეფო ბანკეტი, 1200 კაციანი
სუფრით, წმ. ვიორჯის კაბელით; ოქროთი მო-
ვარაუებელი დარბაზი გრავიწავდა და სიმღერ-
ის მქუხარ ხმა აცახცახებდა ქენრი I-ს, ზარლ
მეორის, ედუარდ მესამისა და გორჯ მეოთხის
პორტრეტებს. გორჯ მეხუთემ საერთაშორისო
ფესტივალი დახურულად გამოაცხადა.

28 ივლისს აუარებელი ხალხი, უბრალო მე-
შეები, ლონდონსიტის ღარიბი მოჭალაქენი,
დოკერები, უმუშევრები ზეიმით აცილებდნენ
საბჭოთა გემებს.

„სიბიზა“ ახსნა ლუხა და კერსი აიღო კვლავ
ლენინგრადაისკენ.

ილიკო სუბიშვილის მეკრძნე, მზე ახალი
გამარჯვების სხივებით აბრწყინებდა ლონდონის
მსოფლიო ფესტივალის ოქროს მედალს.

ნახვამდის ინგლისო! ნახვამდის „როიალ-ალ-
ბერტ პოლო“...

მეჭვრისხვეული პატარა ბიჭი კიდე გესტე-
მრება შენ, უფრო დიდი ანსამბლით!

მსოფლიოს დიდ გზებზე გასული იგი კვლავ
შემოავლის „ალბერტ პოლო“.

შენი სატახტო ქალაქი კიდე ნახავს „ხმალ-
დახმალ გასულ ქართულ ქვაროსან რაინდებს“
და „წმინდა ნინოს სასწაულებს“.

ასი ათასი ლონდონელი მქუხარე ოჯაციებით
შეხედება „ქართული ხალხური ცეკვის ან-
სამბლს!“

შენი თეატრის ფარდა ქართული „მხედრუ-
ლის“ შემდეგ აიწევა ცხრამეტჯერ!..

და მაშინ, ლონდონის პოლიცია უძღვრე იქ-
ნება შეატეროს ანსამბლის ტრუემფი!..

ნახვამდის!

**საპარტოველოს ხელოვნების პიკაპილი
დეკადა**

1936 წელს საქართველოს ხელოვნების მე-
შაკებს აენობეს, დაეწყათ საქართველოს ხე-
ლოვნების პირველი დეკადისთვის მზადება. ამ
სასიხარულო ცნობამ აღაფრთოვანა საქართვე-
ლოს მშრომელები. დაიწყო ერთსულოვანი მზა-
დება დეკადის დღეებისათვის. ძირითად ბირ-
თვად მიჩნეული იქნა თბილისის ოპერისა და
ბალეტის თეატრი.

მას მხარს უმშვენებდა ორი ეთნოგრაფიული

(მომღერალ-მოცეცხვეთა) გუნდი. აღმოსაფ-
ლერ გუნდს სანდრო კავსაძე ხელმძღვანელო-
ბდა, დასავლეთისას—კირილე პაჭკორია. ემ-
ზაღებოდნენ ცალკეული სოლისტი-შემსრუ-
ლებლები, როგორც საესტრადო, ისე კამე-
რულ კარში. შემოწმებამ ცხადყო საქართვე-
ლოს ხელოვნების მუშაეთა მზადყოფნა პირვე-
ლი დეკადისათვის.

დეკემბრის მიწურულს ქართული ხელოვნე-
ბის მუშაების დიდი არმია მატარებლით ვაგე-
ზხავრა მოსკოვს.

ახალ წელს საკუთარ კუბეებში შეხედნენ.
რუსეთის ტრამალებზე, მაგრამ არსად არ ის-
მოდა ყაწყებისა და საესე კიშების წყრილი,
არც „პრავდალენიკი“ და არც „სუფრული“...

ყველა მოლოდინით იყო განაზღვრული.

2 იანვარს მატარებელი შეცურდა თოვლით
გადაუსიდა კერსკის ვოგზალზე.

მოსკოვმა გულთბილად გულთ კარი ქართველ
სტუმრებს.

სადგური მორთული იყო სახელმწიფო აღმე-
ბით, წითელი პლაკატებით, ქართულ ენაზე და-
წყრილი ლოზუნგებით. ბაქანზე პირველი გა-
დავიდა თბილისის ოპერისა და ბალეტის ძი-
რითადაი შემადგენლობა.

მათ მხურვალედ მიესალმნენ მოსკოვის თე-
ატრების დელეგაციები, პრესის წარმომადგე-
ნლები, საბჭოთა დირიჟორები, სახელგანთქმე-
ლი მხატვრები.

3 იანვარს საკეშირო რადიოში გადასცა თბი-
ლისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირე-
ქტორის, ა. ჭუონიას სიტყვა. მოსკოვი სიხა-
რულით ელოდა ქართველი ერის ზეიმის დასა-
წყისს.

ცენტრალური პრესა აჭრევებული იყო სა-
ინტერესო სტატიებით, ფოტო-ილუსტრაციე-
ებით, ხელოვნების მოღვაწეებთან საუბრებით.

ქართული ხელოვნების პირველ დეკადის დიდ
უფრადღებებს უთმობდნენ გაზეთები: „პრავდა“,
„იზვესტია“, „სოვეტსკოე ისკუსტვო“, „კომ-
სომოლსკაია პრავდა“, „ტრუდ“, „ლიტერატურ-
რნაია ვაზეტა“, „რაბოჩია მოსკვა“ და სხვა.

მოსკოვის უნივერსალურ მღაზიების ვიტრი-
ნებში ქართველ მსახიობთა ფოტო-პორტრეტების
გამოფენები მოეწყოთ. მოსკოველები საათო-
ბით იდგნენ ამ ფოტო-რეკლამების წინ. „სოი-
უხ-ფოტოს“ ნაშუშვრები უნაკლო და საინ-
ტერესო იყო. დეკადის დღეების წინ გამოიცა
ფოტომინიატურების პორტრეტული ალბომები.

დეკადის დღეებში ბილეთებს თხოულობდნენ
უცხოეთის საელჩოებიც. ყველას სურდა მოხ-
ვედრა დიდ თეატრში.

5 იანვარს, საღამოს, სვერდლოვის მოედანზე
ტევა აღარ იყო. მოსკოველები მოდიოდნენ. ზ.
ფალიაშვილის „დაისის“ სანახავად. პირველი
სპექტაკლის ტრანსლაციას აწყობდა „კომინ-
ტერნის“ სახელმწიფო რადიოსადგური.

სადირიჟორო პელტთან დადგა დირიჟორი
ევეგნი შიქელაძე. შუქი ჩაქრა. დირიჟორმა ხე-
ლები შემართა, დაიწყო „დაისის“ დღეობრივი
უეერტიურა, რასაც მოჰყვა პირველი ტრანს გრი-
ალი. იმ დღეს დიდი აღმავლობით მღეროდნენ
ქართველი მსახიობები 6. ჭუონიასეილის „თა-
ვი ჩემომ“, ხომ დააგვირგვინა პირველი მოქმე-
დება!...

... ილიკო სუხიშვილმა ფილიგრანული ტექ-
ნიკით ისახელა თავი. მოსკოვის გაზეთები მეორე
დღეს სწერდნენ:

— „ბისი ბისი ისმოდა ყოველი მხრიდან. ბო-
ლოს და ბოლოს ე. გვარამაძესა და ი. სუხი-
შვილს ცეკვა გაამეორებინეს...“

დეკადის დღეებში წარმოდგენილ ყველა
სპექტაკლში ილიკო სუხიშვილი მთავარ პარტი-
ებს ცეკვავდა.

6 იანვარს მოსკოვის გაზეთები უნდაღერია
წყრილების ავტორთა გვარების მიხედვით. „პრავ-
დაში“ დაიბეჭდა სსრკ სახალხო არტისტის ე-
ნემიაროვიჩ-დანნიეკოს, ლუონიდ ლუონოვის, ა.
ნეედანიოვის, რსფსრ სახალხო არტისტის ა. გო-
ლდენევიჩოვისა და სხვა მოსკოველ დიდ ხე-
ლოვანთა წყრილები.

ქართველი ერის სიამაყე ზ. ფალიაშვილი
„პირველხარისხოვან ევროპული მასშტაბის კო-
მპოზიტორად აღიარეს“.

მეორე საღამოს კვლავ „დაისი“ დაიდგა, ხო-
ლო 7 იანვარს კომპოზიტორ მელიტონ ბალან-
ჩივაძის ოპერა „დაგრეან ციბიერი“. ბრწყინვა-
ლედ დირიჟორობდა შ. ახშიაფარაშვილი. წარ-
მატება კვლავ გრანდიოზული იყო, და ახლაც,
დიდ ხელოვანთა არმიამ კვლავ ისახელა თავი
ილიკო სუხიშვილმა.

8 იანვარს ჩატარდა დიდი საზეიმო კონცე-
რტი საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ
გუნდების, თბილისის ოპერის ორკესტრისა და
სოლისტების მონაწილეობით. წარმოდგენილი
იქნა ანდრია ბალანჩივაძის ბალეტის „მზეკა-
ბუკის“ ნაწყვეტი, რომელიც შესანიშნავად შე-
ასრულა ვახტანგ ჭაბუკიანამ.

იმ დღეს მოსკოვმა სიყვარულით აიტაცა ე-
აკოს „სულიკო“, ვარინკა წერეთლის მელიოდი-
ის „სულიკო“ შეასრულა კირილე პაჭკორიას
გუნდმა, ლობზარობდა ავტენტი მეგროლიძე.

მოსკოვი თანდათან, უფრო და უფრო იხიბ-
ლებოდა ქართველ მსახიობთა ოსტატობით.

9 იანვარს „ახესალომ და ეთერმა“ პირდაპირ
ფეროთი მოახდინა შესიკალურ მოსკოვზე.
ღრმა შთაბეჭდილებით აგზნებულნი კვლავ ილა-
პარაკდნენ ზ. ფალიაშვილის გენიაზე.

11 იანვარს წარმოდგენილი იქნა ვ. დოლიძის
„ქეთო და კობე“.

ეს სპექტაკლი მოსკოველებს 1923 წელსაც
ენახათ, ზიშინის თეატრში, ალ. წუწუნავის რე-
ჟისორობით, ახლა ოპერა წარმოდგენილი იყო
ახალგაზრდა კომპოზიტორის, გრიგოლ კილაძის

მუსიკალური რედაქციით. სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრის თხოვნით, ბალეტების-ტურმა და ჭაერისვილია წაიკითხა ლექციების ციკლი ქართულ კორეოგრაფიაზე.

12 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს გუნდი, სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით, გამოვიდა ქარხანა „კაუჩუკის“ ვეებერთელა კლუბში. კონცერტი „ინტერნაციონალით“ დაიწყო, რასაც მთელი დარბაზი ასევე. და ეს აღფრთოვანებული ტონი ბოლომდე გაჰყვა კონცერტს. პარალელურად, იმავე დღეს, 12 იანვარს მოსკოვის დიდ თეატრში წარმოდგენილი იქმნა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“. სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები: სტალინი, ვოროვილოვი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, მიქოიანი, და სხვები...

ოპერის მხატვრული გაფორმება ეკუთვნოდა მხატვარ ლადო გულდიაშვილს. სპექტაკლში დიდი გამარჯვება მოუტანა შემსრულებლებს. დარბაზში ზშირად ისმოდა მზიარული სიცილი და ტაში, პრესა აღნიშნავდა „თავისებურ საცეკვო სკოლის წარმატებას, რომელსაც საკუთარი სპეციფიკური კოორდინაცია საკუთარი ტექნიკა და ფსიქოლოგია აქვს“...

13 იანვარს დიდი გაერთიანებული საკონცერტო საღამო გაიმართა კავშირების სისახლის სეკტებთან დარბაზში.

წარმოდგენილი იქნა ბოროდინის „თავადი იგორი“, ხოლო 14 იანვარს, სასტუმრო „მოსკოვში“ ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი დიდი მღელვარებით კითხულობდნენ ვახუთ „პრავდაში“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმსრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებს, რომლებიც გამოტანილ იქნა საქართველოს ხელოვნების მუშაობა დეკადსთან დაკავშირებით. ასეთი დადგენილება იყო ოთხი:

I. ვანსაკუთრებული წარმატებისათვის, ქართული თეატრალური კულტურის, ხალხური სიმღერისა და ცეკვის განვითარების საქმეში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაჭილოვდა ლენინის ორდენით.

II. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუშაობათვის უფრო ხელსაყრელ პირობათა შესაქმნელად გამოიყო 5.200.000 მანეთი.

III. დეკადის მონაწილეთა მგზავრობა და შენახვა სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს. ყველა მონაწილეს მიეცა პრემია ორი თვის ხელფასის ოდენობით.

IV. დეკადის მონაწილეებს გადაეცათ ქილოდები.

ეს დიდი ზეიმი და გამარჯვება მოსკოვში იმ სეპტემბერიკ მოვლენას უნდა მიეწეროს, რომ საქართველოს ხელოვნების მუშაობა ავანგარდში იდგა ბრწყინვალე პლუდა, კაშკაშა თიანთიარსკვლავად, ისეთი ძლიერი ძალები, რომლებმაც ნახევარი საუკუნე მზრებით ატარეს ქართული საოპერო ხელოვნების გვირგვინი, ქო-

როგრაფიული და ეოკალური კულტურის დედება. ვინ იყვნენ ისინი?

გადავხედოთ დადგენილების შემოტენვემარტლს — დაჯილდოვებულთა შესანიშნავი კრებულები საკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ დეკადის წამყვანი მუშაეები:

სრომის წითელი დროშის ორდენით:
დ. ი. ანდრეიძე, პ. ვ. ამირანაშვილი, მ. ა. ბალანიძეაძე, ე. ლ. გვარამაძე, ნ. გ. ქუმისიაშვილი, ე. მიქელაძე, ე. ტ. სოხაძე, ა. რ. წუწუნავა, ა. გ. კავსაძე, კ. ნ. პაპკორია.

საპატიო ნიშნის ორდენით:
მ. ი. ახმაფაშვილი, დ. ვ. არაყიშვილი, მ. რ. აღსაბაძე, დ. ა. გამრეკელი, დ. ლ. ჭაერისვილი, ა. ი. ინაშვილი, ე. დ. კახაძე, გ. ბ. კილაძე, ა. ვ. მეგრელიძე, ვ. გ. ფოცხვერთაშვილი, ი. ს. სუხიშვილი, ნ. ა. ცომიაი, ე. მ. კიბუკიანი, ა. მ. კურონია, ს. ბ. ვირსალაძე, გ. ვ. ბარხუდაროვი, გ. ი. ვენაძე, გ. ბ. ვარდიანიშვილი, ვ. დ. გუდიაშვილი, ლ. ნ. ისეკცი, მ. დ. ყუარელაშვილი, ა. დ. კუჭუბიძე, ე. ნ. ნაკაშიძე, ს. ი. ნონიაშვილი, ზ. ნ. სვანიძე, ქ. ნ. ტატიშვილი, პ. ა. ხურციია, შ. გ. ცირდილაძე, ე. ა. კუბაბრია, ტ. დ. შარატა-ლომიძე.

იმავე საღამოს, დაჯილდოვებულები მიიწვიეს კრემლი, საზეიმო შეჯლისზე.

აქ გაიმართა საღამო — კონცერტი, პარტიის ხელმძღვანელებმა მიულოცეს საქართველოს ხელოვნების წარმომადგენლებს დეკადზე გამარჯვება და უსურვეს შემდგომი წარმატებები.

საზეიმო-საკონცერტო პროგრამა გახსნა თბილისის ოპერის სოლისტმა პეტრე ამირანაშვილმა. მან ბრწყინვალედ იმღერა კიანოს არია ზ. ფალიაშვილის „დაისიდან“. ეს ისე მოეწონა სტალინს, რომ პეტრე ამირანაშვილის სადღე-ჭაილოცა დალია.

მერა ნაკაშიძემ შესანიშნავად შეასრულა კომპოზიტორ დ. არაყიშვილის ლირიკული რომანსი და ჟ. ვერდის ჭილდას არია „რიგოლეტო-დან“.

გონებამახვილური, პარიდიული კუმბეტებით ყველა გამაზიარულა რუსუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლადო კავსაძემ.

მეჯლისმა კონცერტის შემდეგ დიდხანს გასტანა.

სტალინი დინჯად ესაუბრებოდა ელ. გვარამაძესა და ე. სოხაძეს მათი ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ. შემდეგ სანდრო კავსაძე მიიხმო და დინჯად უთხრა:

— აბა ერთი ციტატური „მრავალკამიერი“ გამავონო.

— ეგ რომელია?

სტალინმა დაილიღინა.

შევენიერად იმღერეს.

ორჯონიკიძემ მკლავი მხარზე მოხვია მიხვილ უვარელაშვილს და უკანასკნელმაც წამოიწყო „ნეტაევი გოგო მე და შენ“.

სტალინი აყვავდა.

ხმა ხმას ერწყმოდა.

ჯერ ხმადაბლა მღეროდნენ, შემდეგ ხმას მო-
ცმობდა, აუწყის და შესანიშნავად შეასრულეს
ველი ხალხური სიმღერა.

— თქვენ ხომ არ გვინათ, რომ მე მო-
ლოდ ქართულ-კახური სიმღერები ვიცი? ამა
ერთი იმ გურულებს დამიძახეთ, — სთქვა სტა-
ლინმა.

მოიწვია გერულო მომღერლები ვარლამ ვა-
შალიშვილის თაოსნობით და მათთან ერთად სა-
ცუხოოდ იმღერა რამდენიმე სიმღერა.

შემდეგ იკითხა:

— სოფელი ბაილეთი თუ გაგიგონიათ; სი-
სონა დარჩია ბაილეთელი იყო.

— მართლა? გულუბრყვილოდ შეეკითხა კი-
რიღე პაჭკორია.

სტალინიმ შებღი შეიკმუხნა და ყრუდ ჩაი-
ლაპარაკა:

— მე ვამბობ, და, შენ გინდ დიჯერე და
გინდ არა.

შემდეგ ილიკო იცნო და მიხეშო თავისთან:

— რომელი რაიონიდან ხარ?

— მეჭვრისხევიდან.

— ჰო, ვიცი, ვიცი! შემდეგ ყველას მიუბ-
რუნდა:

— ამა ნახეამდის, ალბათ კიდევ შეეხვდებით
ერთმანეთს.

ასე დამთავრდა საზეიმო საღამო-მეცლისი
კრემლში.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ნინო რამიშვილსა
და ილიკო სუბიშვილს გამოუცხადეს, რომ სა-
სტუმროს ნომრიდან „ფეხი არ მოეცვალათ“,
როგორც შემდეგ გაირკვა, ხელავენების მოღ-
ვაწეთი დიდი ჭვრფი მიპატივებული იყო მის-
კოლის ვარუშხანში.

დილიდან თოვდა. მოსკოვის ტყეებში ქარბუ-
ჭი იდგა. ყინავდა. მიპატივებულებმა არც კი
იციოდნენ, სად, ვისთან მიდიოდნენ.

ავარჯი დათოვლილ ნაძვებში ჩაფლული სა-
ხლი აღმოჩნდა. სტუმრები შევიდნენ თოვლით
ნახევარად-განათებულ ღერფთანში, ხოლო შემ-
დეგ — გაკაშვებულ თბილ, მეყდრო დარბაზში.

სტალინი სტუმრებს შინაურულად შეხვდა.

როგორც მასპინძელი, სულ ფეხზე იდგა, თა-
ვის ხელით უყვებოდა შესას ბუხარს, განუწყ-
ვეტლოვ ოხუნჯობდა, ყურადღებით მასპინ-
ძლობდა ყველას. მაგიდას მიუსხდნენ ევგენი
პიქელაძე, დავით გამბეკელი, პეტრე ამირანა-
შვილი, ვაკატრინე კობახიძე, დავით ანდლულაძე,
მერი ნაყაშიძე, ნადია ხარაძე, ნიკო ქუმსია-
შვილი, სანდრო კავსაძე, კირილე პაჭკორია და
სხვები.

ნინომ და ილიკომ იციოდნენ, რომ „ცკვა
პოწყვედათ“, ამიტომ მაგიდის კუთხეში დასხ-
დნენ და ერთი ცვარი ღვინოც არ დაუღვავათ,

თუმცა ღვინო ატენურიც იყო, და იშვიათი
სურნელოვანი გემოც ჰქონდა.

ილიკოს შავი, თეთრქილებიანი ჩოხა ეცვია,
წელზე პაპისეული, ვერცხლით მოსვავადებული
ხანჭალი იტყავა.

სმა გაჩაღდა, ილიკო კი არაფერს არ დაეკა-
რა.

ეს შენიშნა სტალინი და თამადას მიმართა:

— მე ეხედავ, რომ სუფრაზე ყველა სვამს,
გარდა სუბიშვილისა. მერე წავა სუბიშვილი და
იტარაბაბებს — ვიყავი სტალინიან, სტუმრად,
პურმარაილზე, სტალინი და მისი სტუმრებიც
დავითერე მე კი ფხიზელი დავარჩიო. ჩემი წი-
ნადადგება — დაეჯარიმოთ! რას იტყვიოთ ამაზე?

ვინ რას იტყვოდა?

თამადამ შეაღო ორი ბროლის ჭიქა და გა-
მოემართა ილიკოსკენ.

ილიკო წამოხტა, შეეგება და ორივე ჭიქა ჩა-
მორათვა.

— თქვენი დღევრძელობისა იყო!

— არა, შვილო... ჯერ შშობლებს გაუმარჯოს,
თუ გყავს, თუ არა და, ღმერთმა აცხონოს.

ილიკომ დალია.

— ეხლა ძალიან ვთხოვთ, გორული „ქართუ-
ლი“ იცკვეთ — მიმართა ილიკოს სტალინი.

— დამკერვლები? კეთიხა დაბნევეთ სუბი-
შვილი.

— ეხლავე, შვილო! რა სელსწრაფი ყოფი-
ხარ?

ამ სიტყვებით მივიდა უზარმაზარ რადიო-
ლასთან, ილიკო გრამ-ფირფიტა და ღერძს დაუ-
ლო. ვაისმა „ქართულის“ მელიღია.

ილიკომ იცნო პანგები — ეს იყო შულავერე-
ლი „დიდი ბაგრატი“ დუღუყების დასტიით გაღ-
მოცემული „ქართულის“ მელიღია.

ილიკო მოხდენილად გადახტა დარბაზის შუა-
გულში, ხელზე გამაღა „მეჭვრისხეველად“ ჩა-
მოურა „ქართული“.

მესტები ფანტასტიკურად ელავდნენ პარკე-
ტზე. არასოდეს არ უცეკვია ასე მონდომებით
„ქართული“.

სტალინი კიტელის ჩიხიდან ხელსახოცი
ამოიღო და ცრემლი შეიმშრალა:

— მეც უცეკვავდი ახალგაზრდობაში, მაგრამ
ეს ღმერთიადლო, რა ვანთლებული ყოფილა
ფეხებში!

შემდეგ სანდრო კავსაძეს მიუბრუნდა და
შენიშნა: — ჩიბუხი მოსწეე, შენთვის პაპირო-
სი მავნებელია.

— ჩიბუხი რომ არა მაქვს? ეშმაკურად
ჩილაპარაკა კავსაძემ.

სტალინი და დუღუყო ანთებული ჩიბუხი, რო-
მელიც სანდრო კავსაძის საკუთრება გახდა.

მერე სტალინი ილიკოს მიუბრუნდა:

— შენ რა საჩუქარს ისურვებდი, ჭაბუკო?

— თქვენს დღევრძელობას!

— არა, მაინც მიიხარო რა ვაჩუქო.

— თქვენი სურათი მანუქეთ, წარწერით...

რაც შეეხება **შეუტებას**, იგი მიღებულია **შეპოვებ**-ისაგან, სადაც **ოვე**-ში ვ დიკავრა და დაგერჩა **ოე**, რომელიც **უი**-დ იქცა (ასეთ მოვლენებს ქვეთარაძე აღნიშნავს 289 გვერდზე). ასე რომ, არც აქ ვაქვს შენაცვლება. რჩება **იწონებს-იწუნებს** ხმანების ფუძეთა ხმოვნების მონაცვლეობის საკითხი (იქვე). რადგანაც ამ ხმანებს გარკვევით განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, საჭიროა დამტკიცდეს, რომ ესენი ერთნია წარმოშობით, რომ მონაცვლეობაზე ელმანარაყოთ. სათანადო დამაჯერებელი საბუთი ქვეთარაძეს არ აქვს მოყვანილი.

ქვეთარაძე თავის წიგნში გვარების ეტიმოლოგიასაც გვაჩვენებს.

ა) მას ჰგონია, რომ დღლიმე მიღებულია დღლიძისაგან (გვ. 303). დღლიძეები გერულენობია. გერულენო კი ვა კომპლექსი (ძველი უა) არასოდეს არ გვაძლევდა **ო**-ს. ამიტომ ასეთი ახსნა მეტისმეტად საეჭვოა.

ბ) **დუმანი** სმ. სიტყვაა და ნიშნავს „მტერს“. **დუმანის** პარალელურად **თუმანი**-იც იხმარებოდა და აქედან არის **თუმალიშვილი**, ამტკიცებს ქვეთარაძე (გვ. 339). მაშასადამე, ქვეთარაძის აზრით, **თუმალიშვილი** ეტიმოლოგიურად „მტერიშვილ“ ნიშნავს. ასეთი ახსნა არა მგონია ვისმე სხვას მოუეუდეს ფაქტად.

თუ როგორ ესმის **ი**, ქვეთარაძეს ქართ. ენის ისტორია, ეს, სხვათა შორის, იმიტაც შეგვიძლია გავითვალისწინოთ, თუ როგორ ეპყრობა იგი „ვეფხისტყაოსნის“ ენას.

ჭერ ერთი: **ი**, ქვეთარაძეს ხშირად მოჰყავს მაგალითები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან (ვირიანტების წიგნის მიხედვით), მაგრამ ჩვეულებრივ არ აღნიშნავს, თუ როდის არის ხელნაწერი ვადაწერელი. ასამილიარებული **ჭურაჭ** ფორმა (**დურაჯის** ნაცვლად) შემოუნახავს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსო, ამბობს იგი ერთგან (241). შემოწმებისას ირკვევა, რომ ასეა მართო ერთ ხელნაწერში. მაგრამ ეს არაფერს გვეუბნება. უბრალო კალმის შეცდომაა. ამიტომ, ქვეთარაძე რომ წერს: „მაშასადამე, არტიკულაციის ცვლით და გარკვეულ პოზიციაში **ღ**-მ შეიძლება მოგვეცეს... **ჭ**-ო, ეს შეიძლება, მაგრამ ეს მაგალითი საამისოდ არ გამოადგება. ამგვარივე შეცდომაა „ჩაჩქვარი“ (**საჩქვარი**-ის ნაცვლად) და **წაწლიაჩეო** (**საწლღაჩეო**-ის ნაცვლად), რომელთაც კავთარაძე კავშირი არა აქვს ფონეტიკურ ისმილიაციასთან. ამგვარი რამე ბევრს მოსდის წერაში მომდევნო დასაწერი

ასოს გაღვნიით. ისინი კალმის შეცდომაზე გვეუთვებნებიან.

ახლა მეორე: ის ამტკიცებს, რომ **ვეფხისტყაოსნის** ძველი და ფრე-შეუკრძალვით **საშუალო** ქართულში პარალელურად გვხვდება (ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტშიც კი), მრავალი ნიმუშია წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტებში და ეს მოვლენა რითმის ან რიტმის მოთხოვნის აუცილებლობით არაა გამოწვეული (გვ. 155) და, სხვათა შორის, იმომწებს პოემის 1937 წლის გამოცემის, სადაც შეცდომა (იქითება რაც ხამდა ამის ნაცვლად: რაც ხმდა). ეს შეცდომა გასწორებულია 1957 წლის გამოცემაში.

ხამდა შუბლონრად ნაწარმოებია აწყობის **ხამს** ფორმისაგან, როცა ეს ხმანა უკვე ვადამარდნილი იყო ხმარებიდან. ასეთი დამორწმუნება არაფერს გვეუბნება თვით „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის.

ვა კომპლექსის ია-დ ქვევა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგ ხელნაწერში, რომლებიც მოჰყავს ქვეთარაძეს (გვ. 292), ვერც შ. რუსთველის ენაზე მოგვეცეს წარმოდგენას და ვერც პრონოლოგიურ ფარგალზე, რომელშიც ის ხდება: შიადარებდით (74,3), შიადარენია (203,1), შიადარენი (760,1), შიადარებდა (756,2), ვიადებო (810,1).

ვირიანტული ფორმა დაუწოე (524,4) ისე არ არის დამახასიათებელი შოთას ენისათვის, როგორც ბევრი სხვა რამე, რაც ვვიანდელ ხელნაწერებში გვხვდება.

კ. ქვეთარაძე ჩამოთვლის (გვ. 168-199) ვინის ვანენის შემთხვევებს ქართულურ ენებსა და დიალექტებში და განაგრძობს: „ქართული დიალექტების განხილული მაგალითების ანალიტიური ფაქტები დადასტურებულია საშუალო ქართლის ტექსტებში (მეტადრე ხელნაწერებში“—ო), ამბობს ის და მაგალითი მოჰყავს, სხვათა შორის, ვეფხისტყაოსნიდან: ვორავლიცა შენი კედების (780,2). თუ ჩავხედავთ ვარიანტების წიგნს, საიდანაც ეს მაგალითია ამოღებული, ენახავთ, რომ იგი D1-ში წერებულა. ეს ხელნაწერი კი მე-19 საუკუნეშია ვადაწერილი. ამიტომ ასეთმა წყარომ რა უნდა მოგვეცეს საშუალო ქართლის ისტორიის შესახებ?

ქვეთარაძეს არაფერი აბრკოლებს, რომ გრაფიკული გამოსახვის თავისებურება გამორიცხოს და პროგრესული ისმილიაციით ახსნას **მი > მუ** და ერთ სიმბოტყეზე განხილოს რუსულიდან ქართულურში შესული **ზემუკვა**, მვეგრული **მეტლს** („მეტლს“ ნიშნავს) და სპარსულიდან შემოსული **მურდარი** (გვ. 281). იმას მიახლო ვერ ვაიგებთ კაცი, სად არის მო რუსულ სემიკვა-ში, რომელსაც **ზემუკვა** მოუციო. ან თუ მორდარი სპარსული mühdard-ისაგან მოდის,

1 ს. ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტრუქტული შედგენილობა, 1959, 316.

რად უნდა გვიყვირდეს მე? „მუღებების“ ფორშია ვრადიკის თავისებურება გამორიცხულია ვითომ და ასიმბოლითი უნდა ავხსნათ? „ისევე ვაი დაგმართოსო“, იციან იმერეთში.

ისტორიული შესწავლით ირკვევით, ამბობს ი. ქავთარაძე, რომ უცხო ენებიდან მიღებულ სიტყვებს ქართული ენა უძველესებარებს საყუთარ ბუნებრივ არტიკულაციას გარკვეული კანონზომიერების დაცვით. ეს საკითხი თავის ადგილას არის სრულად განხილული. აქ მოვიგონებთ, რომ ის წესი, რაც დიფთონგების შემცველი მარცვლების გადმოცემას ახასიათებს დღეს ქართულში, მოქმედებდა უფრო ადრეც. XVIII საუკუნეში ევროპული ენებიდან რუსულ ენაში შემოსულ სიტყვებში (შდრ. მაგ. шляпа — შლაპა: ე. ი. სიტ. III 276, 1797 წ.). მე აქ რუს. шляпа-ში დიფთონგს ვერ ვხედავ და იქნებ ამხსნას ენმემ, რაშია საქმე. აღბათ, ი. ქავთარაძეს ის აქვს მხედველობაში, რომ რუს. я და დიფთონგის. დიად, გამოითქმის, მაგრამ არა ურველთვის. არამედ გარკვეულ შემთხვევებში: როცა იგი მარტა დაწერილი (მაგ. я говорю), ან როცა იგი თავშია (ясно, Яков და მისთ.). მაგრამ шляпа-ში я სიტყვის შიგნით არის თანხმოვნის შემდეგ, და ნამდვილი რუსული გამოთქმით იგუევა, რაც ა, ოლინდ მის წინ მდგომარ თანხმოვანი ლ რბილად უნდა გამოითქვას. ქართულში უფროსა ვაიგონა არა სამარცველანი შლაპა, არამედ ორ-მარცველანი შლაპა და ასევე გადმოიღო, თუმცა არც ერთი მისი თანხმოვანი (ш, ж, ж) სავსებით არ უდრის სათანადო ქართულ შ, ჯ, ჰ ბგერებს.

სიტყვის შიგნით ა რამ დიფთონგის და წინა თანხმოვანს არბილებს, ეს ელემენტარული ამბავია და გ. ახვლედიანის რუსულ სასკოლო 'გრამატიკაშიც კი არის შეტანილი: Во-первых, на мягкость согласного часто указывают последующие буквы и и ъ (მოუვანილი მაგალითები); во-вторых, на мягкость согласного указывают последующие буквы е, ё, ю, я, напр., бл'яск — блеск, н'ос — нёс; инд'ук — индук, п'ат' — пять'.

უკანასკნელი მაგალითის (пять სიტყვის) ხმოვანი ზვეულებრივი კითხვარადი ან არის, ფონეტიკური — ა. პირველი თანხმოვნის სირბილე მომდევნო ა-თი არის ნაწევები, რომელიც ა-დ გამოითქმის, ხოლო მეორე თანხმოვნის შემდეგ სირბილის ნიშანი ზის (ь).

ქავთარაძე აცხადებს: „საუღლისხმოა აქ აგრეთვე ვარაანტები „ეფების ტყაოსნის“ ხელნაწერებში: ბუცა ჰქრეს|ბუცა იქრეს (ვარ., ნაკვ. I, გვ. 1087, სტროფი 1945,3), სადაც ა გამოთქმაში არის შ|ა და არა სათავისო ქვეყის პრეფიქსის ფუნქციის მქონე“ (გვ. 23). თუ შე-

ვამოწმებთ და ჩაუხედეთ წიგნში და მიხედვით მითითებულ ტაბლ., ენახვით, რომ აქ იკითხება:

ბუცა იქრეს და აეთანდის. [ფრიდონს სძლე-
ნინა. | მოდგეს თავნი. ჩავსეთ ქავთარაძის ხა-
ველები ჰ (ან ა) ზმანში; გვექნება:

ბუცა ჰქრეს და აეთანდის. [ფრიდონს სძლე-
ნინა. | მოდგეს თავნი.

ბუცა აქრეს და აეთანდის. [ფრიდონს სძლე-
ნინა. | მოდგეს თავნი.

ორსავე შემთხვევაში დაგვიკლდა ერთი მარცველი, რადგანაც ბუცა ჰქრეს სამ-მარცველია, ისე როგორც ბუცა აქრეს. საჭირო კია ოთხი (ლექსი მაღალი შიარით არის დამტკიცებული მომდევნო და „ეთანდის“ ფორმასთან არის) ამიტომ, ცხადია, ქავთარაძე სცდება, როცა ამტიკებს, რომ იქრეს ზმნის ა გამოთქმაში არის ჰ ან ა და არა სათავისო ქვეყის ნიშანი. სწორედ სათავისო ქვეყის ფორმა აქ საჭირო, რადგანაც სხვაგვრე ლექსი დაიკლებს ერთი მარცველის დაკლების გამო.

ი. ქავთარაძე ფიქრობს, რომ „ღვთაების გუჯარი“ 1722 წლის ვაცილებით უფრო მეტი არქაელობის შემცველია, ვიდრე „ხელმწიფის კარის გაჩივება“, რომელსაც მისი გამოცემული ე. თაყაიშვილი XIII-XIV საუკუნეებსა მიაკუთვნებს და რომლის ენა, ე. თაყაიშვილისავე სამართლიანი შენიშვნით, საქმიოდ მარტივი, ლაკონური და ნაკლებ სქოლასტიკურია. ცხადია, განაგრძობს ი. ქავთარაძე, ამ ორი სხვადასხვა ძეგლის ავტორები თავიანთი ეპოქის ერთი სარგებლობისას გარკვეული პრინციპებით ხელმძღვანელებდნენ და ასაწერ სინამდვილეს ხელოვნურად შეტ-ნაკლებად ცვლიდნენ და აფერადებდნენ. კერძოდ, გუჯარის ავტორს ეტყობა ანტონის სამი სტილის მოძღვრებას ძლიერი გავლენა“ (გვ. 8-9).

აქამომდე ვიკოლით, რომ ანტონი კათალიკოსის „სამი სტილის მოძღვრებამ“ პირველად 1754 წ. შედგენილ ღრამატიკაში იჩინა თავი (მეორედ გადამეშვებულში, 1767 წლისაში, რომელიც გამოცემულია 1885 წ., ამ თეორიასზე არაფერია ნათქვამი) და რაკი 1722 წელს დაწერილ „ღვთაების გუჯარისა“ ეტყობა ანტონის ამ მოძღვრების ძლიერი გავლენა, პირდაპირ გასათვარი, როგორ მოახერხა ასეთი სასწაულის მოხდენა ორი წლის ანტონიმ (რომელიც დაიბადა 1720 წ.). აშკარაა, ანტონი არაწვეულებრივი ენდერკინდი უოფილად

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ი. ქავთარაძის წიგნის შესახებ, მაგრამ საერთო წარმოდგენისათვის ესეც კმარა.

1. Г. Ахведиани, Грамматика русского языка. Учебник для грузинских школ (VIII—X кл.). Тбилиси, 1933.

„ბრწყინვალე პარსკვლავის მაძიებელი“

ბრწყინვალე
მაძიებელი

მიხეილ კეკელიძის რომანი „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელი“ (XVII-XVIII საუკუნის საქართველოს შიშვე პერიოდს ეხება. როგორც ცნობილია, შაჰ-აბასმა კახეთიდან 100 ათასი ქართველი არა თუ გადასახლა არამედ მას განზრახული ჰქონდა ქართლ-ხაყთორიანის ვასალური სახანოები შეექმნა, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებისას ის ისეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ ვერაფერა შაჰმა ამ განზრახვაზე ხელი აიღო. სამაგიეროდ მან გადაწყვიტა თბილისში „ვალი“, ე. ი. შაჰის მოადგილე დაესვა და მისი მეშვეობით ემართა ქართლი. ასეთი პირველი ვალი იყო როსტომ მეფე, რომელიც 26 წლის განმავლობაში განაგებდა ქართლს. როსტომი ფაქტიურად ქართლის მეფე იყო. მას ცოლად ჰყავდა სამეგრელოს მთავრის დადიანის ასული, სათნო ჰკვიანი და სამშობლოს მოყვარული მარიაში.

უშვილო როსტომს დედოფალმა მარიამმა ამვლივბინა მუხრანის ბაგრატიონთა ნიჟიერი წარმომადგენელი ვახტანგი. შემდგომში ვახტანგ V, შაჰნავაზი წოდებული.

მ. კეკელიძის რომანი იწყება იქიდან, როდესაც ქართლის გამგებელი როსტომი გარდაიცვალა და მისი ადგილი მისმა შვილობილმა ვახტანგ V დაიკავა. ვახტანგის ოჯახი დეკავშირებული იყო ძლიერ ფეოდალურ გვართან — ორბელიანებთან. მას ცოლად ჰყავდა დიდი ქართველი მწერლის, ლექსიკოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის სულხან საბა ორბელიანის მამიდა როდამი, შესანიშნავი დედა, შეგნებული, მტკიცე ნებისყოფის მანდილოსანი. სამშობლოს კეთილდღეობამ მისგან პირადი ბედნიერების დამოხრა მოითხოვა, და იგი მან უყოყმანოდ დასთმო სიცოცხლესთან ერთად.

რომანში მწერალი აღწერს პერიოდს, რომელიც დატვირთულია განსაკუთრებული ტრაგიკული სიტუაციებით. ნაწარმოებში უამრავი პერსონაჟის ურთიერთდამოკიდებულება ოსტატურადაა შეკრული.

როდესაც მ. კეკელიძის რომანს კითხულობთ, განცვიფრებას იწვევს ერთი რამ, სახელდობრ, ის, რომ ამ ეპოქის ყველა მამულიშვილისა და სახელმწიფო მოღვაწის შეგნებული ჰქონდა სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ დაყოფილი სამშობლოს უძღურება, მაგრამ მაინც უმრავლესობა პირველობისავე სწრაფვასა და

სიხარბეს ვერ სთმობდა და მდბალ გრძობებს ანაცვალბდა სამშობლოს კეთილდღეობას.

რომანში ნათლად ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას; მას ზედმოწვენიო შეუსწავლია არამარტო ამ ეპოქის საქართველო, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის იმდროინდელი პოლიტიკურ-ეკონომიური სიტუაციები.

ვახტანგ V საინტერესო პიროვნება იყო როგორც მეფე, სარდალი, მამულიშვილი, ავრთვე, სწავლა-განათლებისა და ხელოვნების მოყვარული, შწიგნობარი. პროგრესულად მოაზროვნე ვახტანგს ესმის, რომ რელიგია ადამიანისათვის ვარს მოხვეული ბნელეთის მანტიია და რომ ამ მანტიამ არ უნდა შეუშალოს ხელი ცალკეულ პიროვნებებს კეთილი და მამულიშვილური საქმეების კეთებაში. ვახტანგი, ფორმალურად მამადაიანი, ფართლად გულზე ჯვარს ატარებდა. იგი ერის სამხედრო და სულიერი წინამძღოლია, რომელსაც შაჰ-ნავაზობა ხელოლდ სპარსელთა ექსპანსიის მისამინებლად სჭირდება. ვახტანგი უღარესად დინამიური და აქტიური პიროვნებაა. მისი მჭქვეყარი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ვერ შეაფერხა ოჯახისა და სამშობლოს ტრაგედიამ. ის ყოველთვის ერის ხმალშემართული წინამძღოლია, ბრძოლის ველსა თუ დიპლომატიურ სარბიელზე.

წიგნი სამშობლოს სიყვარულითაა გაედენთილი. მის ფურცლებზე ცოცხლდება მრავალი ისტორიული პირი, ისტატის ხელით ატიან დახატული დადებითი თუ უარყოფითი პერსონაჟები.

მიხეილ კეკელიძეს, როგორც მწერალს, თავისი განსაკუთრებული ხელწერა აქვს. იგი თითქოს ერიდება ხატოვან გამოთქმებს, განგებ გაერბის ისტორიული რომანისათვის დამახასიათებელ ლირიკულ წილსვლებს. მაგრამ მკითხველიცა და ავტორიც რწმუნდებიან, რომ ლიროზმს არა აქვს ადგილი ამ შეუბრალებელ და მკაცრ ეპოქაში.

უამთა სიაცემ უდიდესი ერობი ადგავა პირისაგან მიწისა, ზვენი პატარა სამშობლო ვი საუკუნეთა მანძილზე სისხლში მოსერილი, ციბრტიკივთ ტრიალებდა და ოთხივმხრივ იქნევა და ხმალს. მონღოლთა შემოსევის შემდეგ ერთიანი ძლიერი საქართველოს საშეფოს მთლიანობა დაირღვა. მის ვეკატურ მაგრამ

მრავალტანჯულ სხეულზე განიდა ისეთი საზიზღარი, დამაძლურებელი და მომაკვდინებელი იარაღები, როგორც ღალატი და შინაგამცემლობა იყო. და თუ სხვა ერების მსგავსად, საქართველო არ აღივავა პირისაგან მიწისა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას პატიოსანი და სამშობლოსათვის თავდადებული მამულშვილები ჰყავდა. დამახასიათებელია მ. კეკელიძის რომანის ერთი გმირის გიორგი ფაღვას საუბარი ვაჟიშვილთან — „შენ ჯერ კიდევ არ გესმის, ჩემო შვილო, რა ხდება ქვეყანაზე-თათრების იმედით ტახტის დაკავებას მთაში შეჯოჯვდ წასვლა სჭირბს. ვინ მოუთმენს ვაჟზე დადიანს ბაგრატიონთა ტახტზე დაბრძანებას?.. ყველაფერი რომ მცოდნობა, იქნებ არც წამოესალთაიეთ... საქართველოს გაძლიერებისათვის კი ყველა მისმა ეტხებმე, ყველა მისმა სოფელმა, ქალმა და კაცმა, ჭაბუკმა და მოხუცმა თავდაუზოგავად უნდა იბრძოლოს. თუ საჭირო იქნება, თავი გასწიროს, ცეცხლში დაიფარფლოს, ჭჯახს ეცემა. ჩვენ ერთი დედა გვაყავს — საქართველო — მას უნდა მოუფაროთ და განეადიდოთ.“ (გვ. 63).

მ. კეკელიძის რომანის პირველი გამოცვლიდან დღემდე ხშირად გააგონებთ, რომ შვერალმა სულხან-საბა ორბელიანზე დაწერა რომანი, ეს არ არის სწორი.

ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ ნაწარმოები XVIII-XVIII საუკუნეების საქართველოს დიდი ტრაგედიის მხატვრული ისახება, სადაც მართალია, მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ერის მამას სულხან-საბას, მის ცხოვრებას — დასაწყისიდან დასასრულამდე, მაგრამ წიგნი არამცდარაჲმ არ არის საბას ცხოვრების რომანი. საქმე იმაშია, რომ ნაწარმოები მოიცავს ვახტანგ V და ვახტანგ VI საქართველოს ეპოქებს და, საბას გვერდით, ნაწარმოებში ბევრი ისეთი სამშობლოსათვის თავდადებული ისტორიული პირია გამოყვანილი, რომელიც შეიძლება დიდი საბას სიმძლიდან ვერ ქერტტა იმ პერიოდის პოლიტიკური სიტუაციების სირთულეებს, მაგრამ მასზე ნაკლებ როლი შესტიოდ და ველი საერთო, ქართული საქმის აეკარგზე.

ვახტანგ V მთელი თავისი ტანჯული ცხოვრების მანძილზე სამშობლოს ბედნიერებისათვის იქნედა ხმალი, სწამდა და იღწოდა, ეცემოდა მაგრამ მაინც დგებოდა და კვლავ იბრძოდა. მისი და მეფე გიორგის გაზრდილი სულხან ორბელიანი შერყენილი ქართული ერის განწმენდით შეებრძოლა საქართველოს შტრებს. სულხანი დიდი მამულიშვილის ვახტანგ V ტრადიციებზე იყო აღზრდილი, იმ ადამიანის ტრადიციებზე, რომელმაც — ეამთა სიავის

იმ სამინელ პერიოდში მაინც ოპტიმიზმით აღსავსე შესაბა — „ეცოცხლობ, რამეთუ შვერალს დრომ და მე ეძლიოთ მტრინა ქუშთა“.

იბრძოდა სულხანი, იბრძობდა — საქმეებდნის გადარჩენისათვის, მისი ბედნიერებისათვის, აქ, სამშობლოშიც და თვით საფრანგეთშიც კი, ლუდოვიკო მეთოთხმეტის კარზეც. იბრძოდა სიტყვით, კალმით, საქმით და სევგამწარებულნი ერის მამას, ისევე როგორც მის გამზრდელს — ვახტანგ V და მეფე გიორგის, სამშობლოს მიწაც აღარ ეღიბსა, მისი ნეშტი უკიდევანო ჩრდილოეთმა მიიბარა. შვერალს მშვენიერად აქვს აღწერილი სულხან საბა ორბელიანის მოღვაწეობა, მისი მამულიშვილური თავდადება.

რომანში პირველ გამოცემაში შვერალს საბას ევროპაში მოგზაურობა არ ჰქონდა ჩართული. მოველოდით, რომ მეორე გამოცემაში შვერალი გამოასწორებდა აღნიშნულ ხარვეხს, მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, მკითხველს არც თუ მთლად გამეამოღდა იმედი.

მ. კეკელიძის ნაწარმოებში სუსტრად ადვილი მაინც საბას ევროპაში მოგზაურობაა, რომანის ამ ადგილს აკლია შვერლის თვალთ ევროპის ხედეა, ხოლო ლუდოვიკო მეთოთხმეტის კარის აღწერა და იმ პერიოდის საფრანგეთის პოლიტიკური ვითარება მხატვრული თვალსაზრისით იმ ძალისა და რანგის რომანი, როგორც „ბრწყინვალე ვარსკვლავის მამიებელნი“ საესებთ არ შეეფერება.

მისი დასადასტურებლად ჩვენ გვიდა ორი ადგილი მოვიყვანოთ. უფრო სწორად ორი ადგილი შევადაროთ ერთმანეთს. საბა ლუდოვიკო მეთოთხმეტის კარზეა.

„ღმერთო ჩემო, ეს რა დამაბრმავებელი ბრწყინვალეობაა, გათფრთა საბამ, როცა ლუდოვიკო მეთოთხმეტის დარბაზს თვალი შეავლო. მისალმების პირველმა გამაბრმავებელმა წუთებმა განვლეს და ახლა მას საშუალება მიეცა თავდაპირით და შეუშინველად დაკვირვებოდა თემზე პუდრდაყრილ კარისკაცებს, ოჭრომკვრდით მოსიარულებსა და გამოწყვილებს.“

...

— დესპანო, ივერია აქედან შორს არის?

— ღიახ. მეფე ბატონო, ჩემი ქვეყანა აქედან შორს არის.

— რას აეთებს თქვენი ზალხი, დესპანო, რა გაუქირდა თქვენს მეფეს? — და. ა. შ. (გვ. 547).

ლუდოვიკო მეთოთხმეტის ეპოქაში ევროპის და განსაკუთრებით, საფრანგეთის სამეფო კარის არისტოკრატია თმაზე პუდრს არ იყრიდა, თვით დიპლომატი ლუდოვიკოსა და საბას შორის არ არის დამაყრებელი. ლუდოვიკო XIV იმპერატორ კარლოს დიდის შემდეგ, საფრანგე-

თს ისტორიაში უდიდესი და უკეთესი მო-
ნარქი იყო, თუ არ ჩავთვლით ნაპოლეონ I.
დაუჭრებელია მას არ სცოდნოდა საღ მღებ-
რობდა საქართველო, ლეოპოლდ XIV ინტე-
ნსიორ საეპიკო-ეკონომიორ და დიპლომატი-
ურ ურთიერთობაში იყო ახლო აღმოსავლეთ-
თან კათოლიკობა ეკლესიის უამრავი მისიო-
ნერიანი იყო მოყვნილი თურქეთი, სპარსეთი,
ამიერკავკასია, შინაინერებს, გარდა სარწმე-
ნოებრივი მისიისა, ევალეზობდა აღნიშნული
ქვეყნების დაზერვატ.

ახლა დავეყვირდეთ მეორე ადგილს. იგი
უდიდესი სიმართლითაა აღბეჭდილი. შეიძლება
ამ ადგილს ნაწარმოების კელმინაცია ვუწო-
დოთ.

„მე ვახტანგს სამუდამებს ვაძლევ, სადაც
სურს დაუბრკოლებლად წავიდეს

ბაქარმა დაცივიეთ შეხედა იესეს და უბასუ-
ხა:

— ეგ გუღვეთილობით კი არა, ლაზრობით
მოვლით, რადგან თქვენ მამარწმე აღმართული
ზმალი ჰაერში გავიშვსდებათ!

ამ სიტყვებში იესე ვაიყოფა.

— ეთომ რატომ? — შეუღრინა ძმისწულს.

— იმიტომ, რომ თქვენს შორის დგას მამა-
თქვენი ლეან ბატონიშვილი, საქართველოს
სიყვარულისათვის ეღანეთს დაღუბული თქვე-
ნი ბიძა გიორგი მეფე. ჩვენი სამშობლოსათვის
გულდამწვარი და მოსკოვს გარდაცული
არჩილ მეფე. ქართლის გულისათვის ისპაჰანში
მეგრდღაცხრილელი თქვენი უფროსი ძმა ქაი-
ხოსრო ბატონიშვილი!

— შერე, შერე? — შეეკითხა აცხცაბებული
იესე და ხალხს გამოორტყებით გადახედა.

—... შერე, ისინი რომ აქ ყოფილიყვნენ, აი,
ასე მოგვეტეოდნენ, როგორც მე!

ბაქარმა ბიძას მიაფურთხა“. (გვ. 664).

აქ უვლანდერა ადგილზეა, დიალოგიც,
მდგომარეობის შესაფერისი სიტუაციაც, ამ
კულმინაციური სიტუაციის მწერლისეული ქა-
რგაც, ჩვენ ისევე საბას და ლეოპოლდის დია-
ლოგს დაუბრუნდებით ცოტახნით და აღნი-
შნავთ, რომ ჯობდა საბას ევროპაში მოგზაუ-
რობის ნაწილში მ. კეკელიძეს გამოუყენებინა
თეთი საბას წიგნი ევროპაში მოგზაურობის
შესახებ.

უველას ყარგად მოეხსენება ვახტანგ VI რო-
ლი საქართველოს ისტორიაში. მეფე, სარდლი,
გულმართალი, სამშობლოს ნათელ გზაზე გა-
მოყვანისათვის მებრძოლი და მეცნიერი. ვახ-
ტანგმა მთელი თავისი ვეჯეტური ბრძოლუ-
ებით აღსავსე სიცოცხლე საქართველოს თავი-
სუფლების სასწებეკპლოზე მიიტანა. უვლი-
თერს რომ თავი დაენებოთ, იგი მამა იყო
დიდი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბატონი-
შვილისა. მაგრამ არცერთ ქართველ მწერალს
არა აქვს უფლება, თუ ის ეპოქის მხატვრუ-
ლი ახატვის მიზნით ისტორიული რომანის

შექმნას მოკიდებს ხელს, ჩვენი ერთი მაშინ-
დელ წინამძღოლთა სიკეთით და სიმართლით
აღსავსე საქმეებთან მათი შეტყობისმეზობლად
აღნიშნოს.

ვახტანგ VI ჰქონდა შეცდომა და ძალიან დი-
დიც, ეს შეცდომა არა მართო ვახტანგს, არ-
ჩილსაც ჰქონდა. განა საეალალო და შეიძლება
გამოუსწორებელი შეცდომა არ არის ის, რომ
ჯერ არჩილმა, ხოლო შემდეგ ვახტანგმა საქა-
რთველოს პროგრესულად მოაზროვნე მამუ-
ლიშვილთა ნაღები რუსეთში წაიყვანეს და სა-
მუდამოდ მოსწვეიტეს სამშობლოს?!

უველა მცირერიცხოვანი ერი, განსაკუთრე-
ებით შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ესწრა-
ფვოდა მალდ დონზე ჰქონოდა დაყენებლი
სტრატეგია და ტაქტიკა, საშუალო ნაწილებს
ელვისებური გადანაცვლებები. ეს იყო შეცნი-
ერება საშუალო საქმისა. გამოჩაყლისს არც
საქართველო წარმოადგენდა.

საქართველოს წარსული საუკუნეების თემაზე
ისტორიული რომანის ავტორი ყოველთვის მა-
დამხატვრულად უნდა წარმოგვისახედეს
ომებს, ბრძოლებს, ომის სურათები კიდევაც
უნდა აძრწუნებდეს მკითხველს და აღტაცება-
შიც უნდა მოჰყავდეს იგი. მ. კეკელიძის რომა-
ნიც არ არის ღარიბი, ომის სურათებით, მაგ-
რამ უნდა ითქვას, რომ რომანში დაჭტებული ბა-
ტალური სცენები მკითხველს არ ძაბავს, არ
ათათოლებს. ამის დასადასტურებლად შეიძლე-
ბა მივეთითოთ თეიმურაზ დიდის შვილიშვი-
ლის ერეკლე ბატონიშვილისა და ვახტანგ V
ბრძოლაზე კახეთისათვის (გვ. 132, 140).

ბაგრატიონთა დინასტიის უველა წარმომადგე-
ნელი, რომელსაც კი ტახტზე ყდომა ღირსებია,
არ იყო მოკლებული ყარგი სარდლის ღირსე-
ბებს. (მცირე გამოჩაყლისს გარდა). და საქა-
რთველომ ბევრი დიდი სარდლი მისცა არა მა-
რტო სამშობლოს, არამედ მაშინდელ აღმოსავ-
ლეთს. საერთოდ მათი საშუალო ღირსებების
გადმოცემა, უშუალოდ ბრძოლის ველზე, დიდი
ხელოვნებაა, მხატვრული ნაწარმოების ღირსე-
ბას ერთიორად ზრდის და ამას მწერალმა ყო-
ველთვის დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

კეკელიძის რომანში ხალხს წრიდან გამო-
სულ ვმირებს, მათალია, სინატიფე აკლათ,
მაგრამ უველგან იგრძნობა მწერლის დიდი სი-
ყვარული მათ მიმართ. ხალხის მიმართ უსამარ-
თლობა, მათი ფიზიკური და ეკონომიური შეე-
ფროვება. აი, რით იყო დატვირთული ვახტანგ
VI ეპოქის საქართველო და ამის ნათელ დადა-
სტერებას წარმოადგენს სულთანშვილისა და
საბას კონფლიქტი უღანაშუალოდ ნაცემი გლე-
ხის სესიკა თანდაშვილის გამო.

ხალხის სიკეთით აღსავსე ცხოვრების, შრო-
მისა და მშვიდობისაყენ სწრაფვის მათი გე-
ლია, ალალი ბუნების აღწერას დიდი ადგილი
აქვს დათმობილი რომანში. დასაშვსოვრება-

ლი ხასიათები აქვს მწერალს შექმნილი ლაზარე ჟოფაძისა და ჭიტა ჯობაძის სახით.

მწერლის მიზანია, რაც შეიძლება ზუსტი, კონკრეტული და ღრმა იყოს ეპოქის ჩახლართული სიტუაციების გადმოცემისას, რასაც იგი, მეტ-ნაკლები ძალით, მაგრამ მინიმუმ ყველგან აღწევს.

თი, მთელი ჩვენი უმნიშვნელო პრეტენზიები ნაწარმოებისადმი, რაც შეეხება ნაწარმოების გმირთა ხასიათების მხატვრულ გახსნას, მათი პორტრეტების გამოქრწევას, აქ კველიძე უდავოდ ძლიერია. მას კალმის ერთი მოსმით შეუძლია შექმნას ხასიათი და წარმოადგინოს მძაფრი დრამატული სცენა. გვიხსენით მეფე გიორგისა და ლევან ბატონიშვილის — კახეთში გალაშქრების სამზადისი და ვახტანგ ორ-

ბელიანის ლაღატი, ან ბაქარ ბატონიშვილის მიერ თავისი სიმამრის, არაგვის ერისთავის, გიორგის დასჯა და სხვ.

ბოლო ვახტანგ V და თენგიზის შესყდრების სცენა შესანიშნავი ოსტატობით აქვს გადმოცემული მწერალს:

მთავრდება წიგნი, სიყვარულით ენთუზიუმით მკითხველი ამ კარგ ნაწარმოებს, ბევრჯერ შესძრა მწერალმა მკითხველის გული ქართლის ჭირით, მისი თითქოსდა გამოუვალი მდგომარეობით, საიდანაც გმირ მამულოშვილებს ხშირად საყუთარი სიცოცხლისა და სისხლისა ფასად გამოუყვანიათ იგი.

ბაშან ჯაფარიძე

კოლექტიური ნაშრომი თუშეთის შესახებ

თუშეთში, სხვა ქართველ მთიელებთან ერთად, დიდი ხანია მიიპყრეს მკვლევართა ყურადღება. მათი სამოსახლო ადგილის, ეთნიკური შედგენილობის, ლექსიკის, უოფისა და კულტურის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით როგორც ისტორიულ წყაროებში, ისე სხვადასხვა ხასიათის გამოკვლევებში. გარეშე დამკვირვებლებთან ერთად თუშეთის წარსულის შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანეს თვით თუშმა სწავლელებმაც. სახელდობრ ცისკარი-შვიდამა, რომელთა საინტერესო წერილები ქართულ პრესაში იბეჭდებოდა, მაგრამ ყოველივე ეს თუშეთის შესწავლის მხოლოდ დასაწყისი იყო. საქართველოს სხვა კუთხებთან ერთად თუშეთის შესწავლისათვის სათანადო პირობები შეიქმნა საბჭოთა ბელისთვლების დამუშავების შემდეგ. თუ XIX საუკუნეში თუშეთისა და მისი მეზობელი კუთხეების შესახებ უმთავრესად რუსი ან უცხოელი მოგზაურები წერდნენ, ჩვენი ეპოქაში ამ კუთხეს სწავლობენ ქართველი ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ენათმეცნიერები, ფოლკლორისტები. ისიც აღსანიშნავია, რომ თუშეთის შესახებ დაწერილი სტატიების და მონოგრაფიების, მათ შორის საღისურთაყოფი ნაშრომების ავტორთა უმრავლესობა თვითონ თუშეთი არიან, რომლებიც დიდი მონდომებითა და სიყვარულით იკვლევენ მშობლიური კუთხის კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

თუშეთის მიმართ გაწეულ მეზობაში უსათუოდ მნიშვნელოვანია ჩვენი გამოჩენილი ეთნოგრაფების — ს. მკაალათისა და რ. ხარაძის ღვაწლი. ქართველ საბჭოთა ეთნოგრაფთაგან

ს. მკაალათიმ პირველმა მოგვცა თუშეთის ეთნოგრაფიის ყველა ძირითადი საკითხის ზოგადი მიმოხილვა, ბოლო რ. ხარაძემ შეისწავლა თუშეთა ძველი საოჯახო ყოფა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვა მნიშვნელოვანი მონაკლები.

ასე ჩაეყარა საფუძველი თუშეთის ეთნოგრაფიის კვლევას, რომლის შემდგომი გაგრძელება წილად ხვდათ ეთნოგრაფიული კვლევადობის ისეთი სამეცნიერო ცენტრებს, როგორცაა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი.ე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ს. ჭანაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებები.

ზემოხსენებული ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში თავიდანვე დაისახა ქართველ მთიელთა ეთნიკური შედგენილობისა და საზოგადოებრივი ყოფის შესწავლა ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან ურთიერთობის კრილში. ამ მხრივ განყოფილების ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს პანკისელი ქისტებისა და წოვა თუშეთის ანუ ბაცებების უოფისა და კულტურის შესწავლა ნახურ ეთნიკურ წრესთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას, მისმა თანამშრომლებმა ამოცანად დაისახეს ჩაღმა თუშეთის მუდრეობისა და მატერიალური კულტურის რიგი ისეთი საკითხების გაშუქება, რომლებზედაც ხელი მიუწევდებოდათ. ამ მიზნით მათ 1963-1964 წლების ზაფხულში იმუშავეს მთათუშეთისა და აღვანში, კვლევის შედეგები ცალკეული შრომების სახით შევიდა ერთ მონაწილე კრებულში, რომელიც გ. ჭალაძის რედაქტორობითა და შესავალი წერილით 1967 წელს გამოქვეყნდა „ცოდნა“ გამოაქვეყნა.

თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის „მეცნიერება“, 1967.

როგორც კრებულის შინაარსიდან ჩანს, მეტროპოლის ფორმების შესწავლას მიეძღვნა გ. ჯალაბაძისა და მ. შავლათიას შრომები. ორივე მათგანი უმოთარესად ემყარება XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ხოლო ისტორიული წყაროების მომწოდებით გვაცნობენ მეურნეობის დარგების განვითარების საფეხურებსაც. გ. ჯალაბაძე ცალკეული თავების მიხედვით გვაცნობს მიწათმოქმედების სისტემას, მარტოვულ კულტურებს, სახვინელ იარაღებს, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ შრომის ორგანიზაციას და მიწათმფლობელობის ხასიათს. საკითხთა ამ კომპლექსის შესწავლის შედეგად მკვლევარი საუბრობს სამართლიანად დასკვნას, რომ თუშეთი, ისევე როგორც მათი მეზობელი ქართული მთიელები, ფლობდნენ მიწათმოქმედების მაღალ კულტურას და მაქსიმალურად იყენებდნენ სახანა-სათეს ადგილებს, მაგრამ მათი სიმცირის გამო მიწათმოქმედება აქ არ წარმოადგენდა მეურნეობის წამყვან დარგს. ის ამ მხრივ პირველობას უთმობდა მესაქონლეობას, სახელდობრ მეცხვარეობას, რომლის განვითარებისათვის არსებობდა ხელსაყრელი საშუალებები ბაზა საქონლების სახით. ამავე დასკვნაზე მივიდნენ მესაქონლეობის შესწავლის საფუძველზე მ. შავლათია, თუმცა საქმეების აღწერისათვის შედეგად ნ. ჩიქია, ბავშვთა ჯანთობა-თამაშობათა სისტემაზე დაკვირვების საფუძველზე ნ. ლოლიბერიძე და ხის დამუშავების ხალხური წესების შესწავლის შედეგად გ. გასიტაშვილი. მეურნეობის ამ ორი მთავარი დარგის ხვედრითი წონის თანაშემფარების შედეგად მიღებული ეს დასკვნა განსაკუთრებით საყურადღებოა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ ერთმომორისაგან ჯერ ანსხვავებს მეურნეობის ტრადიციულობას, ინტენსივობასა და წამყვანობას.

მიწათმოქმედებისადმი მიძღვნილი ნაშრომის განსაკუთრებით დიდ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ საკითხი შესწავლილია ისტორიულ კრილში, რითაც აქტორმა დაგვიანხა ის სოციალური გარემო, სადაც მეურნეობის ეს დარგი ვითარდებოდა. ახალი მასალების საფუძველზე გ. ჯალაბაძემ განავითარა რ. ხარაძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მთათუშეთში, ისევე როგორც მის მეზობელ უთხეებში, სოციალური სტრუქტურა ხასიათდებოდა თემური ყოფის გადმონაშთებით, რაც კონკრეტულ გამოვლინებას პოულობდა თემური მიწათმფლობელობის საოჯახო თემისა და რიგი სხვა ადრინდელი ინსტიტუტების გადმონაშთების გვიანობაზე შემონახულობაში.

სოციალური ურთიერთობის რიგი მომენტის შესწავლისათვის ასევე საყურადღებოა მ. შავლათიას, გ. გასიტაშვილის, ლ. ბედუქიძის, ც. ბუჩარაშვილისა და სხვთა წერალებში და-

მოწმებული მასალები და მისი ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები. თუ მ. შავლათია დაინტერესებულა მესაქონლეობის სფეროში საოჯახო თემის წყარებს შორის ურთიერთობების განაწილების საკითხით, გ. გასიტაშვილის ყურადღება მიუქცევია ტყეზე სათემო, სასოფლო და პატრიონიული საკუთრების ხასიათს, ლ. ბედუქიძე ცდილობს აეყვის განლაგების მიხედვით დაგვიანხოს ოჯახის წევრების შორის საცხოვრებელი ფართის გამოყენების სქესობრივ-საკობრივი პრინციპი და ა. შ. ამათან ერთად ნაშრომებში ნაჩვენებია მეზობელ კუთხეებთან ეკონომიური ურთიერთობის ხასიათი და შენიშნულია ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რომელიც ერთნაირად იყო დამახასიათებელი მსგავს სამეურნეო-გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები ქართველი და მათი ჩრდილო-კავკასიელი მეზობლებისათვის.

ჩვენ აქ შეუძლებლად მიგვაჩნია ყველა ნაშრომის დაწვრილებით განხილვა. დავეყაროთ ლეხეთი იმის აღნიშვნით, რომ მათში უხვი მასალებია საქონლის მოვლა-პატრონობის, მისი მთა-ბარობისა და სამეურნეო ბაზების, პროდუქტების დამზადების, ხის დამუშავების ხალხური წესების, ხელისნობის მასშტაბის, ორნამენტის, აეყვის სახეობა-დანიშნულების, კოსტუმის ძირითადი ელემენტების, ფრესკული მხატვრობის, სამკაულის დამზადების ტექნიკის, ტართობა-თამაშობათა სახეობებისა და ბუნების შესახებ და ა. შ. ერთმეორესთან თემურად ახლო მდგომი ეს საკითხები ერთმეორეს ავსებენ და კრებულს ამ მხრივ გარკვეული მოღანიობის სახეს აძლევენ.

ყოველივე ამის გამო სარეცენზიო წიგნი დადებით შეფასებას იმსახურებს. სასურველია მისმა შემქმნელმა კოლექტივმა საქართველოს სხვა კუთხეებში გაწეული შრომის შედეგებიც ასე შექამებული სახით გამოაქვეყნოს. ამასთან ერთად ჩვენი სურვილია ავტორებს ზოგიერთი შენიშვნა გაუწეოთ.

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. ჯალაბაძე თავის ნაშრომში ავითარებს სწორ თვალსაზრისს თუშეთში მეცხვარეობის წამყვანი როლის შესახებ. ავტორი იქვე იმარწებს რ. ხარაძის გამოკვლევას თუშეთი საოჯახო თემის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ თუშეთში დიდი ოჯახის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა საერთო-საოჯახო საკუთრებაზე დამყარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მეცხვარეობის ხვედრითი წონის აშკარა უპირატესობით. ამასთან დაკავშირებით გ. ჯალაბაძე შენიშნავს, რომ გაუყრელად ცხოვრების შენარჩუნებას ხელს უწყობდა საკომლო გადასახადების გაწერის სისტემა და დიდი მეცხვარეობისათვის მრავალრიცხოვანი მუშაქლის სკირობა. ავტორის მტკიცებით, დიდი ოჯახის დაყოფა პატარა ოჯახებად იწვევდა მუშაქლის დაქაქვას,

„ამ ოჯახიდან გაყრა და წასვლა ნიშნავდა მეცხეჯერათა ჩამოყალიბებული საოჯახო არტელის დაშლას... მეცხეჯერული დიდი ოჯახებისათვის გაყრილობა არა მარტო დიდი ოჯახის დაცემას იწვევდა, არამედ ამავე დროს იმ დიდი შრომითი არტელის დაშლასაც, რომელიც საოჯახო თემის ტრადიციებით იყო შემტკიცებული“ (გვ. 15).

ჩვენ ვეთანხმებით პატრიცეზულ მკვლევარს, რომ დიდი ოჯახის გაყრა შეერწეობის მისშტამასაც ამკირებდა და ამ მხრივ მეცხეჯერობა ერთგვარად ანელებდა გაყრილობისადმი მიდრეკილებას, მაგრამ უმართებულა თუშეთში გადმონათმუიერ ფორმის შემოახეულ საოჯახო თემს ვუწოდოთ „მეცხეჯერათა საოჯახო არტელი“ ან „დიდი შრომითი არტელი“, ასეთი გამოთქმებით მკვლევარი, ნებისთ თუ უნებლიედ, შეიძლება აღმოჩნდეს დრომოკმულ, თავის დროზე მხილებულ, მაგრამ დღესაც მოარულ მელარ თვალსაზრისზე, თითქმის საოჯახო თემი წარმოადგენდა მხოლოდ „სამეურნეო საწარმოო უჯრედს“ და არა ისეთ ერთეულს, რომელსაც ახასიათებდა ნათესაური კავშირი, საერთო საკუთრებაზე დაჰყარებული მეურნეობრივი ერთობლიობა და სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით განსაზღვრული მმართველობის შესაბამისი სისტემა. ყოველივე ამის შესახებ მკაფიოდ არის ნათქვამი რ. ხარაძის შრომებში, რომელთაგან თუშეთის შესახებ არსებული გამოკვლევა სარეცენზიო კრებულში მრავალჯგის არის დამოწმებული.

2. მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის შესახებ გ. ჭალაბაძეს მოჰყავს ორი ხალხური გადმოცემა. პირველი მათგანი მოგვითხრობს მონადირე ბევსურის თუშეთის სოფ. ბისიში დასახლების ამბავს, ხოლო მეორე ეხება ბევსურეთში ფხოველების ჩასახლებას. ორივე გადმოცემის მიხედვით, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას აპირობებდა სახნავეი ადგილების საკვირება. ამ გადმოცემების მნიშვნელობას ავტორი იმში ხედავს, რომ ორივე მათგანი „ბევსურების სახელთან არის დაკავშირებული და მათს მთაში დასახლებას შემინდვრობას უღებს საფუძვლად“. მისივე მტკიცებით, „გადმოცემაში საერთოდ ბარიდან მთაში დასახლების საკითხია უტრიალად“. გ. ჭალაბაძეს მიაჩნია, რომ მიწათმოქმედების ადრინდელ საფეხურზე, როდესაც მიწის მარტივი იარაღებით ზედაპირულად ამუწავებდნენ და თესვამონაცვლეობის, სასუქის გამოყენებისა და რწყვის არარსებობის გამო მიწა ნაადრევად იფიტებოდა, ამის გამო შემინდვრე ახალი მიწების ათვისების გზას ადგა და ეს გზა, შესაძლებელია, მოსურდ მარილიან მთისავე მიწათრებოდა. მისივე მიხედვით ავტორივე მესაქონლნი“. ავტორისავე ერთეული, „შესაძლებელია ამ მოძრაობამ შეახვედრა თუშეთში ჩრდილოეთიდან

მესაქონლე ბაცებებისა და სამხრეთიდან ჩრდილოეთშების წარმომადგენლნი, რომელნიც შემდეგ თუშების სახით ერთმეორედ შეერთდნენ მთლიანობაში ჩამოყალიბდნენ

როგორც ეხებათ, ნაშრომში დამოწმებული გადმოცემები ეხება მთიულთა ადგილობრივ ცვლეობას მთის ერთი კუთხიდან მეორეში, ბაცებებისა და ჩაღებების შეხვედრის შესაძლებლობის შესახებ არსებული ავტორისთვის ვარაუდიც კვლავ მთის ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლას ეხება. ამიტომ უადგილოდ გვეჩვენება ბარიდან მთაში გადაადგილებაზე მსჯელობა და ისიც სახნავეი მიწების ათვისების მიხნით.

ის ვარაუდიც ვაჩვენებ, რომ მთიული კაცი სამიწათმოქმედული ფარგის ადგილს ირჩევს სამოსახლოდ, სრულებითაც არ არის იმის მარეწებელი, რომ ბარელი კაცი შემინდვრეობის დონის ასამაღლებლად და მიწათმოქმედების მასშტაბის გასაფართოებლად ბარიდან მთაში წასულიყო. როგორც აქ მოატანილი, ისე მთაში არსებული სხვა მსგავსი გადმოცემები იმის მარეწებელია, რომ მდებრე საცხოვრებელ ადგილს უსათუოდ უნდა პირიდან სახნავეი ადგილის მიწიშტეშიც, ურთოდისოდაც აღამიანის არსებობა შეუძლებელია და თუ ბევსურმა ადგილი იცვალა, ეს ბარიდან მთაში წასვლას კი არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მიწის ნაკლებობით შეწუხებული კაცი ადგილის ძებნაშია და სადაც მას მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა მიეცემა, იქ სახლდება.

3. თუში ქალის ჩაცმულობის ფშავურ-ბევსურულ ტანსაცმელთან მსგავსების გამო ც. ბენაჩაშვილს თუშეთში შემობრუნელი კოსტუმი ფხოვეური სამოსის ნაშთად მიაჩნია. ამის საფუძვლად იგი თვისს ბევსურების, ფშაველებისა და თუშების საერთო წარმომავლობას და კულტურას. ც. ბენაჩაშვილის აზრით ფშავე-ბევსურები და თუშები იყვნენ ისტორიული წყაროებით ენობილი ფხოველები. ამის დასამტკიცებლად იგი იშველიებს ეთნონიმიერო ხასიათის გადმოცემებს თუშეთში მცხოვრები რიგი გვარის ბევსურული წარმომავლობის შესახებ, როგორც ბევსურულ-თუშური ერთობის, ე. ი. ფხოველობის საბუთს. ამ შეხედულებისათვის სასარგებლო არგუმენტად მკვლევარს დაუდოწმებია აგრეთვე ენათმეცნიერთა მიერ შემოტანილი გამოთქმა — ფხოური კილო, რომელშიც ნაგულისხმებია აღმოსავლეთ საქართველოს მთიულთა კილოების ერთობა.

ბევსურებს, თუშებს და ფშავეებს, ისევე როგორც სხვა ქართულ თემებს რომ ოლითგანვე საერთო წარმომავლობა და კულტურა ავაწმირებდათ და რომ ეს ჩაცმულობის მიხედვითაც ნათლად ჩანს, ეს უდავლოა, მაგრამ ყოველივე ეს იმის უფლებას რომ გვაძლევს, რომ ერთი ეთნოგრაფიულად კვდფის სახელწოდების ქვეშ მოვაქციოთ სხვა ასეთი ერთეულებიც, იმის

გამო, რომ თუშეთში ხევსურული წარმომავლობის გვარებია, თუშეთისადმი ფხოვის წოდება გამართლებული არ არის. ხევსურული წარმოშობის გვარები ხევსა და მთიულეთშიც არიან, ისევე, როგორც ხევსურეთში არიან სხვა კუთხიდან მოსულნი, მაგრამ განა სადაც ხევსურულ ელემენტს ამოვარჩენთ ყველგან ფხოვის დანახვა შესაძლებელი? თუშეთის მოქცევა ფხოვის ფარგლებში მით უფრო შეუძლებელია იმ ისტორიული წყაროს მიხედვით, რომელსაც ავტორი შემოხსენებული თვალსაზრისის დასამტკიცებლად იმორჩმებს. ქართულ მთიულთა კრებით სახელად ამ წყაროში გვხვდება მთ უტლი ნ. ხოლო შემდეგ ჩამოთვლილი არიან ქარააღლენი, ფხოვანი, წილანენი და გუდამაყრენი, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანობის გამავრცელებელ მისიას. იმავე თხზულებაში აღნიშნულია, რომ „ფხოველთა დაუბრუნეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 126). როგორც ვხედავთ, ერთსადაიმევე წყაროში ფხოვი და თუშეთი სხვადასხვა ადგილებად და სხენებული. ფხოველებს ქონდათ თავისი „ქუეყანა“ (ე. ი. კუთხე), საიდანაც ისინი ქრისტიანობას გავრბოდნენ და ზუშეთისაყენ მიიღებოდნენ. ამდენად, თუშეთის შეუვანი ფხოვში და ფხოველებად თუშების გამოცხადება გაუმართლებელია.

ფხოვის შესახებ ე. ბუზარაშვილი მსჯელობას განაგრძობს ერთ-ერთ სქოლიოშიც. მისი განმარტებით, „ძველ საქართველოში ფშავსა და ხევსურეთის ხეობას ერქვა ფხოველი, ხოლო მის ნაცხოვრებთ ფხოველნი“ (გვ. 188). ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიისადმი ფხოვის ნაცვლად ფხოველს წოდება შესაძლებელია უნებლიედ გაპარული შეცდომა იყოს, მაგრამ ავტორი როდესაც იქვე იმორჩმებს ლეონტი მროველს თუშეთში ფხოველთა ვადასეღის შესახებ და ფხოველთა ხსენებისას ფრხიხილებში განმარტავს, რომ ისინი ფშავლები არიან, ეს უკვე ავტორის წინააღმდეგობაში აგდებს, ვინაიდან, მისი ნაშრომის მიხედვით, ფხოველები ერთ შემთხვევაში ყოფილან ხევსურები, ფშავლები და თუშები, მეორე შემთხვევაში ფშავ-ხევსურები, ხოლო მესამე შემთხვევაში მართლაც ფშავლები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკტი სიფრთხილდ მართებდა გ. ჭალაბაძესაც, როდესაც კრებულის შესავალში წერდა IV-V საუკუნეებში თუშეთში ხევსურთა შესვლის შესახებ (გვ. 10). ეს იმიტომ, რომ ლ. მროველის თხზულებაში ხევსური ხსენებული არ არის, ხოლო ფხოველთა ქვეშ, რომელთაც თუშეთს მიაშროვს, მართა ხევსურები არ იგულისხმებიან. საუბრადღებოა ერთი მომენტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. ჭალაბაძე გვეცნობს ერთ-ერთ ვადმოკცემას ხევსურეთში ფხოველთა ჩასახლების თაობაზე (გვ. 32). იმის გამო, რომ ეს

ვადმოკცემა ეხება საიდანღაც მოსული ფხოველის მისთვის უცხო გარემოში დაქვედრების ემიზონს, ამის მიხედვით შეეძლება შევქმენს შთაბეჭდილება, რომ ხევსურულ ქრ. ბრუნვ. კრც. ფხოვი და არც ფხოველის სამშობლო, რომ ფხოველი და ხევსური სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ და სხვადასხვა ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

4. ეთნონიმის საკითხებზე მსჯელობისას ე. ბუზარაშვილის ნაშრომში გვხვდება გამოთქმები: თუში ხალხი (გვ. 185), თუშური ენა (გვ. 189), რაც გაუმართლებელია. თუში, ისევე, როგორც ხევსური, მოხვევ, მთიული, რაჭველი და ა. შ. არის მხოლოდ ქართველ ხალხში, ქართველ ენის შემავალი ერთეული თვისს ანუ ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდება. როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის შემადგენლობაში შედის სამი ტომი: ქართები, მეგრელები და სვანები. თავის შხრივ ტომები აერთიანებენ თემებს — ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. ამიტომ ასეთი ერთეულისადმი (იმ შემთხვევაში თუშებისადმი) ხალხის წოდება ისევე გაუმართლებელია, როგორც არ შეიძლება მოქალაქის დოკუმენტში ჩაიწეროს ეროვნებით თუში, ეროვნებით მთიული, ეროვნებით სვანი და სხვ. მაშასადამე, თუში წარმოადგენს ქართველ ხალხში შემავალ ეთნოგრაფიულ ჯგუფს, თემს. რაც შეეხება თუშური ენას, ეს გამოთქმა უცხრებულია, ვინაიდან თუშების მხოლოდ ერთ ნაწილს — ბაცებებს ანუ წოვა თუშებს აქვთ ქართულ ენასთან ერთად ბაცური ენა, რომელიც ეკუთვნის ქისტურ-ბაცურ ენათა ჯგუფს. ჩაღა თუშების ენა კი ქართულია. ამიტომ ნაცვლად თუშური ენისა ნაშრომში აღნიშნული უნდა ყოფილიყო ბაცური ანუ წოვა-თუშური ენა.

5. ჩემს ნაშრომზე („ქართველ მთიულთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1960) დაყრდნობით ე. ბუზარაშვილი აღნიშნავს, რომ ხევში სამატარპლო პირბადის ჩამოხსნა ხდებოდა წყაროზე პატაროდს გვეყინის რიტუალის შესრულებისას. ე. ი. ქორწილიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ (სარტყენითი კრებულო, გვ. 172). ამის მიხედვით გამოდის, რომ მატარპალს ერთ თვემდე პირბადე ქონდა ჩამოფარებული. სინამდვილეში ქორწილის მესამე დღეს ხდებოდა ნუფე-დროშისათვის გვირგვინების მოხდა (ე. ი. თ. თ. ი. შ. ი. ლ. ი. დასახ. ნაშრ. გვ. 285), რაც პირბადის ჩამოხსნასაც გულისხმობდა. აქედან დაახლოებით ერთი თვის თავზე წყაროზე პატარპლის წაყვანასთან დაკავშირებით ყიდვე ერთხელ სრულდებოდა სახლში პირბადის დახურვისა და წყაროზე მისი ჩამოხსნის წესი (ე. ი. თ. თ. ი. შ. ი. ლ. ი. დასახ. ნაშრ. გვ. 294-301).

ამვე ნაშრომზე დაყრდნობით ე. ბუზარაშვილი ეხება ხევში გვირგვინების მოხდის წესსაც

და წერს, თითქოს ნეფე-დედოფლისათვის გვირგვინების დაბურვა და საქორწილო რიტუალის დასასრულს მათი მოხდა ევალებოდა ეკაბს ან ვაჟის დედის ძმას (სარეცენზიო კრებული, გვ. 173).

სინამდვილეში ვეჩიბის ამგვარ უფლებებზე ჩვენს ნაშრომში არაფერია ნათქვამი. იქ აღნიშნულია: თუ ეკლესიაში არ შესდგებოდა ჯვარის წერა, გვირგვინების კურთხევა ვაჟის სახლის ეკრასთან ევალებოდა ზევისბერის ან დეკანოზს. როდესაც ზევისბერი ამ ცერემონიაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ნეფე-დედოფლის დაგვირგვინება შეეძლო აგრეთვე ვაჟის საგვარეულოს უხუცესს, თუ ის იმადრთულად სოფლის დეკანოზადაც იყო ამორჩეული (ე. ი. თ. ი. შ. ე. ი. ლ., დასახ. ნაშრომ. გვ. 151, 253).

ასეთი ვითარება დამახასიათებელი იყო იმ დროისათვის, როდესაც ზევი ზევისბერობა არსებობდა. ზევისბერობის მოსპობის შემდეგ ზევისბერების ფუნქციები (უშთაერესად რელიგიური რიტუალები და საქორწინო წესგების შესრულება) დეკანოზების ხელში გადავიდა. ამიტომ გვაქვს აღნიშნული, რომ „ეკლესიის გარეთ გვირგვინების კურთხევა თავდაპირველად ზევისბერების საქმე ყოფილა, ხოლო ზევისბერობის გაუქმების შემდეგ ეს მოვალეობა დეკანოზებისთვის დაუკისრებიათ“ (ე. ი. თ. ი. შ. ე. ი. ლ., დასახ. ნაშრომ. გვ. 253).

ამავე ნაშრომში აღნიშნული გვაქვს, რომ „გვირგვინების მოხდა იმავე პირს ევალებოდა, რომელიც დახურა (ე. ი. ზევისბერს ან დეკანოზს), მაგრამ ამ საქმეში მას არაიშვიათად ვაჟის დედისძმა ენაცულებოდა“. რაჟი ვაჟის დედის ძმას ზევისბერის ან დეკანოზის შენაცულები და გვირგვინების მოხდის უფლება ჰქონდა, ამან გვაფიქრებინა, რომ მას ოდესღაც დისწულის დაგვირგვინების უფლებითაც ესარგებლნა, როდესაც ჯერ კიდევ მოქმედებდნენ ცხოვრებაში მატრიარქატის გადმონაშთები. მაგრამ მისი თანდათანობით შევიწროებისა და პატრიარქალური წყობილების საბოლოო გამარჯვების შედეგად წვეულის დაგვირგვინების უფლება მამის საგვარეულოს უფროსისა თუ მათივე ინიციატივით მოწვეული ზევისბერ-დეკანოზების ხელში გადადის, ხოლო გვირგვინების მოხდის უფლება მამის საგვარეულოს წარმომადგენლის პარალელურად დედის გვარის წარმომადგენელსაც (დედის ძმამ) შეინარჩუნა“ (ე. ი. თ. ი. შ. ე. ი. ლ., დასახ. ნაშრომ. გვ. 286).

მასაღამე, გვირგვინების დაბურვა-დახურვის მიმოხილვის მონაწილეობის შესაძლებლობა გამოიჩინებოდა.

6. გ. ვასილთაშვილს ურბადადგება მისი ცნობები სოციალური თვალსაზრისით საინტერესო რამდენიმე მომენტისათვის. ასეთებდა გვესახება გინდაც ტყის მფლობელობა-გამოყენების ხასიათი (გვ. 85-87) და შრომა-საქმიანობის მიხედვით მშაქაქების გაყოფა შინა და გარე შრომის კაცებად (გვ. 89). ამასთან დაკავშირებით სსოციალური იყო ავტორის უფრო გამოკვეთილად ეჩვენებინა ერთი მხრივ ტყეზე პატრონიშული საკუთრების ხასიათი და მეორე მხრივ ის, რომ მამაკაცთა ასეთი დაყოფა თავისი ბუნებით დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო საოჯახო თემისათვის.

7. სოციალური ურთიერთობის რიგი საკითხის გაშეშებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ლ. ბედუქიის ნაშრომი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ავეჯის დამზადების ტექნიკა, ავეჯილეზი, ორნამენტი და მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები. ავტორი ცდილობს აჩვენოს ავეჯის პრაქტიკული და სოციალური ფუნქციაც, მაგრამ ავეჯის სოციალური ბუნებაზე მსჯელობისას ის სიძუნწეს იჩენს. იგი ეხება ამ მხრივ უაღრესად საინტერესო საუფროსო სკამს, კრასთან ჯდომის წესს, ავეჯის განლაგებას სამამაკაცი და საქალბო მხარეების მიხედვით (გვ. 141), მაგრამ რატომღაც სწორედ იქ სწვევტს მსჯელობას, საიდანაც ისახებოდა საოჯახო ყოფის, სახელდობრ გადმონაშთური ფორმით თუშეთში გვიანობამდე შემონახული საოჯახო თემის ზოგიერთი თავისებურების გამოვლინების შესაძლებლობა, რითაც მკვლევარი დამატებით მასალას თუ დასახებუებას შემატებდა რ. ხარაძის მიერ შესწავლილ საკითხს.

ძირითადად ამგვარი ხასიათის შენიშვნება აღვევტრა სარეცენზიო კრებულის მიმართ. შეიძლებოდა აქვე გვეჩვენებინა, რომ კრებულში შესული ყველა ნაშრომი ერთ დონეზე არ დგას, ზოგიერთი მათგანი აღწერილობითი ხასიათისა და ძირითადი ნაშრომებისათვის დამატებით მასალად თუ გამოდგება, მაგრამ ავტორთა კოლექტივის ეს ნაშრომი უსათუოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. იმედი უნდა ექონიოთ, რომ მისი შემქმნელი კოლექტივი ასეთ მუშაობას მომავალშიც გააგრძელებს.

3. ითონიშვილი.

ფან 80 443.

ИНДЕКС
76128
საქართველოს
საბჭოთაო კავშირი

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ